14
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

12

1975

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე. № 12. დეკემბერი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

12729

## კ ი ნ ა ა რ ს ი

რამაზ კობიძე — გვიმრის ფოთლები. რომანი. წიგნი პირველი . . . . . 3
თედო ბექიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . . 25
აკაკი გეწაძე — შვილები. მოთხრობა . . . . . . . . . . . 29
ზაალ ებანოიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 54
ჯარჯი ფხოველი — ლექსები . . . . . . . . . . . . 56
ირაკლი გოგოლაური — დილა არაგვზე. ლექსი . . . . . . . . 58
ნიკოლოზ გაბაონი — აივნიანი ქალაქი. რომანი. გაგრძელება . . . . . 59
შალვა ამისულაშვილი — გრეხილი კიბე. მოთხრობა . . . . . . 78
შოტლანდიელი პოეტები. თარგმანი თამარ ერისთავისა . . . . . 82
ფრიდრიხ დიურენმატი — მოსამართლე და მისი ჯალათი. რომანი. თარგმანი ნ. რუხაძისა . . . . . . . . . . . . 91

### ცხოვრებისეულ პრობლემებზე

გიორგი ხორგუაშვილი — მთებსაც სწყურიათ სიცოცხლე. დასასრული . . 100

### 100 შალვა დადიანი 100

შალვა დადიანი — ჩემი დღიური . . . . . . . . . . . . 114
სერგი ჭილაია — შალვა დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“ . . . . 124
ალექსანდრე სიგუა — შალვა დადიანთან ერთად . . . . . . . . 130

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ჯანსუღ ღვინჯილია — ბედიას საგონებელი . . . . . . . . . 139
დ. მგელაძე — 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში . . . . . . . . . . . . . . . . 152

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

პროკლე. კეკელიძე — აკ. წერეთელი და რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია . . . . . . . . . . . . 161
ეთერ ავსაჯანიშვილი — ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის" ხალხური წყაროები . . . . . . . . . . . . . . 169
დავით ჩაკვეტაძე — ერთხელ კიდევ იშ/შ/-სუფიქსიანი ლეჩხუმური ტოპონიმების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 178

## წიგნების მიმოხილვა

ნოდარ შენგელია — საინტერესო მონოგრაფია შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხებზე . . . . . . . . . . . . . . 183
წლიური სარჩევი 189

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 5/XI-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XII-75 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.
უე 00088. ტირაჟი 13.400. შეკვ. № 4035
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ კოჩიძე

# გვიმრის ფოთლები

რ ო მ ა ნ ი

წიგნი პირველი

ნაწილი მეორე

## თავი I

გამარჯობა, ნათია!

როგორა ხარ? სულ რამდენიმე დღეა, რაც მე და შენ ერთმანეთს დავშორდით. მაგრამ ამ დღეებში იმდენი რამე გადამხდა, რომ ჩვენი ერთად ყოფნა შორეულ წარსულად მეჩვენება.

მგზავრობაზე საამბობი არაფერი მაქვს. ოღონდ ეს იყო, რომ მატარებელში სხვებს გულიანად ეძინათ, მე კი მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა... მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ახლა უნდა მოგახსენო, რომ მე უკვე თანამდებობის პირი გახლავართ: ვეებერთელა საექსპლოატაციო უბანი ჩამაბარეს და იმოდენა ხელფასიც მოაყოლეს, რომ პირდაპირ თავზარი დამეცა: ორას ოცი მანეთი! თანაც ეს მხოლოდ ძირითადი ხელფასია. ხოლო, თუ მე კარგი ბიჭუნა ვიქნები და ჩემი უბანი კარგად იმუშავებს, მაშინ, როგორც ეს შახტის მთავარმა ბუღალტერმა ამიხსნა, ჩემი ხელფასი შეიძლება გასამკეცდეს: ეს გეგმის შესრულებისთვისო, ეს გეგმის ზევით ამოღებული ყოველი ტონა ქვანახშირისთვისო, ეს ხე-ტყის ეკონომიისა და ელექტროენერგიის დაზოგვისთვისო, ეს ხარისხიანი ქვანახშირისთვისო და — რა ვიცი... თუ მართლა ასე იქნა, უსაშველოდ გავმდიდრდები და ჩემი მოხუცი მელანოს შენახვა აღარ გამიჭირდება. მაგრამ...

იქნება კი ასე?

რაღა დაგიმალო, ნათია, და დედამიწის ზურგზე ახლა შენს მეტს ვერავის ვხედავ, ვისაც ჩემს საფიქრალს გავუზიარებდი. ჰოდა, არაფერი დაშავდება, თუ რამდენიმე წუთით მოიცლი და ყურს დამიგდებ.

ტრესტის კადრების განყოფილებაში შემზარავი შესახედაობის, მაგრამ უსაშველოდ გულკეთილმა და კიდევ უფრო ენაწყლიანმა ბერიკაცმა ხელგაშლით მიმიღო და, თუ მე მას სწორად გავუგე, სწორედ უბნის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნა დამიპირა.

ოღონდ, მაშინვე ისიც მაგრძნობინა, ამ საქმეს მარტო მე ვერ გადავწყვეტ და ტრესტის მმართველს დაველოდოთო. ტრესტის მმართველიც მალე მობრძანდა. ჩემმა კისერგაშეშებულმა ბერიკაცმა ელვის სისწრაფით აკრიფა ჩემი საბუთები და სახეგაბრწყინვებული წაძუნძულდა მმართველის კაბინეტისაკენ. დარწმუნებული ვარ, მმართველმა მან კარებიდანვე მიაძახა, არიქა, ზეცამ წყალობით გადმოგვხედა და გავბედნიერდით, წითელდიპლომიანი ინჟინერი ჩამოგვივიდა, როგორც ეტყობა, უბნის უფროსობაზეც თანახმა უნდა იყოსო (ისე, ჩვენში კი დარჩეს და — იმ ბერიკაცისთვის უბნის უფროსობაზე მე არც უარი მითქვამს და არც დასტური. მან ყველაფერი ჩემს მაგივრად გადაწყვიტა).

მაგრამ ტრესტის მმართველის კაბინეტიდან ეს ჩემი ავთვალებიანი და ენაწყლიანი ბერიკაცი აშკარად ნირწამხდარი გამოლასლასდა. მზერას მარიდებდა და რაღაც გაუგებარს მებურტყუნებოდა. ხელში მოგრძო ქაღალდი მომაჩეჩა, იგზავნები მეორე შახტზე, იქაური ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ გამოსაყენებლადო, და გამშორდა. ისეთი დაბნეული და დარეტიანებული იყო, რომ, მგონი, აღარც კი გამომშვიდობებია.

მე ოდნავადაც კი არ მწყენია, რომ უბნის უფროსად აღარ მნიშნავდნენ და ჩემი კარიერა რაიმე უფრო პატარა თანამდებობით უნდა დამეწყო. მწყენია კი არა, გამოგიტყდები, შვებაც კი ვიგრძენი. არაერთხელ გამიგონია და პრაქტიკაზე ყოფნისას საკუთარი თვალითაც მინახავს, თუ რა მძიმე და სადავიდარაბოა უბნის უფროსის თანამდებობა. ის ბერიკაცი რომ ამ თანამდებობას მთავაზობდა, უეცრად თბილისი გამოუთქმელად მომენატრა. ჰოდა, სანამდე ამ ჩემს მეორე შახტამდე მივიდოდი, ჩემი მდგომარეობა კარგად ავწონ-დავწონე და ტრესტის შორსმჭვრეტელ მმართველს მრავალჯერ გულითადი მადლობა შევწირე იმისათვის, რომ ის დავიდარაბა თავიდან ამაცდინა და რაღაც უფრო შესაფერის საქმეზე მგზავნიდა.

მეორე შახტის უფროსის კაბინეტში, მგონი, სულ წუთნახევარი, ან, დიდი-დიდი, ორი წუთი დავყავი. პირდაპირ ლომური შესახედაობის, მხარბეჭიანმა და მუხასავით ჩასკვნილმა ჭაღაროსანმა, — რომელსაც პირველი შეხედვისთანავე შევატყვე, რომ შეკამათებას ორგანულად ვერ უნდა იტანდეს, — პატივცემულმა სარდიონ რაჭველიშვილმა მოურიდებლად შემათვალიერა თავიდან ფეხებამდე, რამდენიმე კითხვა მომცა. არც ერთი მათგანის პასუხი ბოლომდე არ მოუსმენია, მაგიდაზე აბრდღიალებულ ჩემს წითელ დიპლომს გულგრილი, — არა, მგონი უფრო აგდებული მზერა შეავლო, ზარს ხელი დააჭირა და მდივანს უბრძანა... ეს ახალგაზრდა მესამე საექსპლოატაციო უბნის უფროსად დანიშნეთო. ამ ამბავს კაბინეტის კუთხეში ხმაამოუღებლად მჯდომი, ფერმკრთალი და ავადმყოფური შესახედაობის კაცი აშკარა გაოცებით შეხვდა მგონი, ცოტათი შეეშინდა კიდეც. შახტის უფროსს უაზროდ მიაშტერდა. მეც ჭირის ოფლმა დამასხა. მაგრამ შახტის უფროსს შეკამათება ვერც ერთმა ვერ გავუბედეთ. სიმართლე გითხრა, მე შეკამათება არც მიფიქრია. ვერ მოვასწარი. სანამ რაიმეს მოვისაზრებდი, უკვე კანცელარიაში ვიჯექი და ხმაჩავარდნილი მივჩერებოდი, მდივანი ქალი — მარგალიტა ხეცურიანი — ჩემი დანიშვნის ბრძანებას რა გამალებით ატკაცუნებდა საბეჭდ მანქანაზე. ის კი შევატყვე, რომ მარგალიტას ამ ბრძანების დაბეჭდვა გამოუთქმელად ეჩქარებოდა და, ამ დროს, რაღაც ბოროტ სიხარულსაც კი განიცდიდა. ვითომ, ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ მარგალიტას უნდოდა, სარდიონისთვის ეამებინა? არა მგონია... მაგრამ შენ ესენი, ალბათ, არ გაინტერესებს...

(ნეტავი, ის მაინც თუ გაინტერე-

სებს, რასაც ჩემს თავზე გიამბობ? ა? ნათია... როგორ მინდა, რომ ამ სიშორეზე შენი პასუხი გავიგონო?).

რაღა გავაგრძელო: ხელი ჩავიქნიე და თავი იმითი ვინუგეშე, რომ შახტის უფროსმა, ალბათ, იცის, რასაც აკეთებს-მეთქი. შეიძლება, მაინცადამაინც დიდი ფსიქოლოგი არ ვიყო, მაგრამ სარდიონ რაჭველიშვილი პირველი დანახვისთანავე მომეწონა. ვნახოთ... მერე იმავე მარგალიტამ საერთო საცხოვრებელში წამიყვანა; იქაურობის განმგებელი ჩემი ახლანდელი მოადგილის ცოლი ყოფილა. მარიამს მარგალიტამ თვალები გადაუბრიალა. მარიამმა მაშინვე თავის ოჯახში მიმიწვია, იქ თვითონ ბატონი ანთიმოზი — ჩემი მოადგილე დამხვდა, გემრიელად მასადილეს, დამათვრეს, მომასვენეს და მეორე დილით ისეთსავე გუნებაზე გამომეღვიძა, როგორზეც, დაახლოებით, ნაპოლეონს აუსტერლიცის მომდევნო დილას. და, უნდა გამოგიტყდე, არაფერი არ შეედრება იმ გრძნობას, რომელსაც განიცდი, როდესაც რბილსა და სუფთა ლოგინში იღვიძებ და იცი, რომ მთელი ქვეყნიერება შენ გეკუთვნის. ნაპოლეონს მთელი ევროპა ეკუთვნოდა, მე კი მესამე საექსპლოატაციო უბანი. განსხვავება, გარწმუნებ, მეტად უმნიშვნელოა.

მაგრამ ამბობენ, ნაპოლეონი თავის ჯარისკაცებს ძალიან უყვარდათ, პირდაპირ აღმერთებდნენო... მე კი... არა, სიძულვილით ჩემს მეშახტეებს, იქნებ, არც მე ვძულდე. მაგრამ, როცა საერთო კრებაზე მათ უთხრეს, აი, თქვენი ახალი უფროსი ეს არისო და ჩემზე მიუთითეს, ისინი — ვფიქრობ, პროტესტის ნიშნად, თავაზიანად და ხმაამოუღებლად წამოდგნენ, დერეფანს მიაშურეს და დარბაზში მარტო მე და ჩემი მარგალიტა დაგვტოვეს. მერე, როცა დერეფანში მე და მარგალიტა გამოვედით, იქ უკვე კაციშვილი აღარ ჭაჭანებდა. მეშახტეები სახლებში წასულიყვნენ. იატაკზე ვიღაცას ახლადმოკიდებული სიგარეტი დაეგდო და ფეხით მაგრად დაესრისა. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი. არც დაფდაფების გრიალი, არც დროშების [illegible] ზღვა და არც „ვაშას" შეუწყვეტელი ქუხილი.

ხუმრობა იქით იყოს, ნათი. არა მგონია, მეშახტეებს პირადად მე არ მოვწონდე, ან, მით უფრო, ვძულდე. ისინი მე სულაც არ მიცნობენ, ამიტომ ჩემი სიძულვილიც ისევე არ შეუძლიათ, როგორც სიყვარული. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ უბნის ჩემამდელი უფროსი, ვინმე ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი (რომელიც ჯერჯერობით თვალითაც არ მინახავს) დიდი ვაჟკაცი ყოფილა და მეშახტეებს ძალიან ჰყვარებიათ. ეს ყოველ ნაბიჯზე და ყველაფრიდან იგრძნობა. რატომ მოხსნეს ხელთუფლიშვილი, ეს მე ჯერაც არ ვიცი. ეს კი იყო, რომ მეშახტეები მთელი საღამო გააფთრებით ებრძოდნენ სარდიონ რაჭველიშვილს, ჯიბრაილი უდანაშაულოა და თავის თანამდებობაზევე დააბრუნეთო. მაგრამ სარდიონი, ეტყობა, თავისნათქვამა და უტეხი კაცია. ჯიბრაილი თანამდებობაზე არ დააბრუნეს და მის ნაცვლად მეშახტეებს თბილისიდან მოვლენილი ჭაბუკი შესთავაზეს, რომელმაც ჯერჯერობით თვითონაც კი არ იცის, ასეთი ნდობა და პატივი რით და როდის დაიმსახურა.

ხუმრობა იქით იყოს. ეს ყველაფერი რატომ მოხდა, ახლაც კი არ ვიცი; ჩანს, შახტის უფროსს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ასე რომ, ჩემი უპირველესი ამოცანა ცხადი და გასაგებია: ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მაგივრობა უნდა შევიძლო. ეს კი არც ისე ადვილი საქმე უნდა იყოს. ახლა ნამდვილად ასე მგონია.

აი, ნათი, ყველაფერი, რაც მინდოდა, შენთვის მეამბნა. შენ თვითონაც ჰხედავ, როგორი უღელტეხილები მაქვს გადასალახავი. ვნახოთ, რას მომიტანს ხვალინდელი დღე. ერთი კია: ტყუილად არ უთქვამთ, მარტოხელა კაცის-

თვის ყველაფერი ათგზის უფრო ძნელიაო.

. . .

თეიმურაზ არჯევანიძეს ეს წერილი კიდეც რომ დაეწერა, მაინც ვერ გააგზავნიდა: მან ნათიას სახლი იცოდა, მისამართი კი არა. თავის დედას კი, მელანოს, თეიმურაზმა ასეთი ბარათი გაუგზავნა:

გამარჯობა, დედი!

როგორა ხარ? გატყობინებ, რომ აქ კარგად მიმიღეს, კარგად მოვეწყე და ძალიან კარგადაც ვარ. უფრო დაწვრილებით სულ მოკლე ხანში მოგწერ. გკოცნი. მომიკითხე მზევინარი და ბავშვები.

შენი თეიმურაზი.

## თავი II

შახტის მთავარი ინჟინერი კახაბერ გურასაშვილი თავის თავს „გაიმერლებულ კახელს“ ეძახდა. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, როდესმე არც კახეთში უცხოვრია. თბილისში დაიბადა, აქვე გაიზარდა და ინსტიტუტიც აქვე დაამთავრა. ხანდახან — გააჩნია, როგორ ხასიათზე იყო, — იმასაც იტყოდა ხოლმე, ალბათ, საქართველოში მე ერთადერთი კახელი ვარ, ვისაც საკუთარ ვენახში ერთი მტევანი ყურძენიც კი არ მოუწყვეტიაო.

კახაბერი ახლა ოცდათხუთმეტის იქნებოდა და ქვანახშირის ქალაქში თორმეტიოდე წლის წინათ ჩამოვიდა. მაშინ ეს ერთი იმათგანი იყო, ვისაც გამოცდილი მეშახტეები პირყვითელა ბარტყებს ეძახიან. მაგრამ იმ გამოცდილმა მეშახტეებმა ისიც მალე დაინახეს, რომ კახაბერი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვინც აქაურობას რამდენიმე თვეში სტოვებს და თბილისისკენ გარბის, რათა იქ ჯერ უსაქმოდ იხეტიალოს, მერე კი, — სულ ერთია, რა გზით და ვისი შემწეობით, — სადმე მოეწყოს, გინდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში, გინდაც ხილბოსტნეულის ფარდულში, — და სამუდამოდ გადაივიწყოს, თუ რას ჩასჩიჩინებდნენ ხუთი წლის მანძილზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და რა უსურვეს იმავე პროფესორ-მასწავლებლებმა სამთო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს გამოსაშვებ საღამოზე. არა! კახაბერი ამაყი და უჯიათი ხასიათისა იყო. საკუთარ თავს უთხრა, სანამ კაცად არ ვიქცევი, თბილისისკენ აღარც კი გავიხედავო. და შეასრულა კიდეც.

ეს უთქმელი, ცოტა გულჩახვეული ჭაბუკი სარდიონ რაჭველიშვილს ისე მიენდო, როგორც შვილი საკუთარ მამას მიენდობა. სარდიონმა კახაბერი მაშინ ცვლის უფროსის თანაშემწედ დააყენა. ამ თანამდებობას სამთო ინჟინრები კი არა, აქაური ექვსთვიანი კურსების მსმენელებიც ძლივს კადრულობენ. კახაბერს კი კრინტიც არ დაუძრავს, სპეცტანისამოსი ჩაიცვა, ჩაფხუტი დაიხურა, თავის ცვლას სანგრევში ჩაჰყვა და სანამ მეშახტეებმა კონვეიერზე ნახშირის უკანასკნელი ლოდი არ შეაგდეს და სანგრევი საქორწილო სუფრასავით არ მოასუფთავეს, იქიდან ფეხი არ მოუცვლია. ასევე მეორე დღეს, მესამეს, მეოთხეს... და ძალიან მალე თითონვე დაინახა, თუ ამ უბრალო საქციელს პირადად მისთვის რა შედეგებიც მოჰყვა. რამდენიმე დღის შემდეგ მეშახტეები — ხანდაზმულნიცა და ახალგაზრდებიც კახაბერს უკვე თავისიან კაცად თვლიდნენ და მხარზე ხელებს მეგობრულად უბარტყუნებდნენ. და აქედან დაიწყო კახაბერმა, თვითონვე დაინახა, რომ ნამდვილ მეშახტედ მხოლოდ ის შეიძლება

გახდეს, და მეშახტეების ნდობასაც მხოლოდ ის მოიპოვებს, ვისაც მიწისქვეშეთში — იმ უკუნეთ სიბნელესა და ნესტში საათობით და ზოგჯერ, თუ საქმემ მოითხოვა, მთელი დღე-ღამობითაც ყოფნა შეუძლია. კახაბერმა ეს ადვილად და ძალდაუტანებლად შეიძლო. ამიტომაც აღარავის გაჰკვირვებია, როცა ორიოდე წლის შემდეგ კახაბერს ჯერ მოსამზადებელი უბანი ანდეს, მერე კი, კიდევ ორიოდე წლის შემდეგ — საექსპლოატაციო უბანი. და ორივე ამ საქმეს ძალიან კარგად, პირდაპირ სანაქებოდ გაუძღვა. არა, შეცდომები ვის არ მოსდის, მაგრამ საერთოდ კახაბერის საქმიანობას წუნი ნამდვილად არ დაედებოდა. ახლა კი, ოცდახუთმეტი წლის ახალგაზრდა კაცი უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, შახტის მთავარ ინჟინრად მუშაობდა და ჯერჯერობით არც უფროსებისაგან და არც ხელქვეითებისაგან არც ერთი სერიოზული საყვედური არ დაუმსახურებია. თავისი უფლებებიც კარგად იცოდა, თავისი მოვალეობებიც, არც სხვის საქმეში შეეჩხირებოდა და არც სათავისო საქმეს გაასხვისებდა.

კახაბერ გურასაშვილი სარდიონ რაჭველიშვილს არც ჯიბრაილის მოხსნის საქმეში გაურევია და არც თეიმურაზ არჯევანიძის დანიშვნისაში. მთავარ ინჟინერს ასეთი რამეები არ ეხება. მაგრამ ახლა კი, როცა ეს საქმე უკვე გაკეთებული იყო და მესამე უბანს — შახტის ყველაზე უფრო დიდ უბანს ახალი ხელმძღვანელი ჰყავდა, გურასაშვილი უკვე მოვალე იყო, უბნის საქმიანობაზე სრული წარმოდგენა ჰქონოდა და შეძლებისამებრ, კანონების ფარგლებში, იმაზეც ეზრუნა, რომ ახალგაზრდა ინჟინერს შეცდომები არ დაეშვა და უბნის მუშაობა ტექნიკური დოკუმენტაციის თანახმად ეწარმოებინა. ამიტომ, კახაბერს არ გაჰკვირვებია, როცა სარდიონმა დაურეკა და უთხრა, ჩემთან შემოდი, მესამე უბნის საქმეებზე მოვილაპარაკოთო.

სარდიონის კაბინეტში, როგორც ყოველთვის, მინაგო ჩარკვიანიც იჯდა. მაგრამ ახლა, რატომღაც, ძალიან უგუნებოდ იყო და მთელი ხნის განმავლობაში ერთხელაც არაფერი უთქვამს. ხმას მარტო მაშინ ამოიღებდა, როცა სარდიონი რამეს შეეკითხებოდა ხოლმე.

— გამარჯობა შენი, კახაბერ! — დიდად ხალისიან გუნებაზე არც თვითონ სარდიონი იყო. ეტყობოდა, ღამე რატომღაც, უძილოდ გაეტარებინა — თვალების უპეები შეშუპებული ჰქონდა, ხმა კი ჩვეულებრივზე უფრო ბოხი, თითქმის ჩახლეჩილი. — შენ რა განზე გვიდგეხარ? თუ არ გაგიგია, შახტზე რა ამბები ხდება? უსწავლელებსა და უმეცრებს თანამდებობებიდან ვათავისუფლებთ, ნასწავლები და განათლებულები ცხოვრების ფართე გზაზე გამოგვყავს. შენც ხომ ნასწავლი და განათლებული ხარ, შენ ეს ამბები უნდა გიხაროდეს. ა? თუ კონკურენციის გეშინია?

— კაცი ცხოვრებაში ყველაფერს უნდა ელოდე.

— მართალია. ესე იგი?

— არ ვიცი, ბატონო სარდიონ.

— რა არ იცი?

— კადრების საკითხი მთავარ ინჟინერს არ ეხება. ვისაც დანიშნავთ, მეც იმასთან ვიმუშავებ.

— ოჰო! გესმის, მინაგო? მინაგო, გესმის?

— მესმის. — უხალისოდ ამოღერღა მინაგომ და სარდიონს სახეც კი აარიდა.

სარდიონმა გრაფინიდან ჭიქაში წყალი დაისხა და ისე დალია, რომ მინაგოსათვის მზერა არ მოუშორებია. მერე ჭიქა დადგა და გურასაშვილს თვალი ჩაუკრა.

— ჩვენი პარტკომის მდივანი რატომღაც უგუნებოდ ბრძანდება, მაგრამ მიზეზს არ მეუბნება და მე გულთმისანი ხომ არა ვარ, რომ გამოვიცნო. რა გჭირს, ადამიანო?

— არაფერი. — მინაგომ სარდიონს მზერა ისევ აარიდა.

— არაფერი და — იყავი. მე თვითონაც უგუნებოდ ვარ, მაგრამ ვცდილობ, არ გავამჟღავნო და სხვები არ შევაწუხო. შენც ადექი და მე მომბაძე. გაიგე? ახლა კი დავსხდეთ, ჩემო ძვირფასებო და, რაკი ამ მაზტის ზედ-იღბალი ჯერ-ჯერობით ჩვენ გვაბარია, მოვილაპარაკოთ. პირველი სიტყვა კახაბერ გურასაშვილს ეკუთვნის.

კახაბერს ჩაეღიმა.

— რას იღიმები? ალბათ, ფიქრობ, როცა იმ ბავშვს უბნის უფროსად ნიშნავდი, მე არაფერი მკითხე და ახლა კი, საქმე საქმეზე რომ მიდგა, პირველ სიტყვას მე მაძლევო. თქვი, ასე ფიქრობ, თუ არა?

— დაახლოებით. — კახაბერს ტყუილის თქმა არც უფიქრია.

— აგაშენა ღმერთმა, ჩემო კახაბერ! მაგრამ ახლა არა თქვი, კადრების საკითხი მთავარ ინჟინერს არ ეხებაო? ვისაც დანიშნავთ, მეც იმასთან ვიმუშავებო? ამ წუთში არ ბრძანე.

კახაბერმა მხრები აიჩეჩა.

— აბა, რაღა გინდა?

— რაც თქვენ გინდათ, მეც ის მინდა, ბატონო სარდიონ.

— გასაგებია. ეგეც კარგად მესმის, ჩემო კახაბერ... მაგრამ... ერთი ეს მითხარი, მინაგო, იმ ვაჟბატონის რა ისმის?

— ვინ ვაჟბატონის? — მინაგომ ვერაფერი გაიგო.

— ჯიბრაილის, ადამიანო! განცხადება გამომიგზავნა, შახტიდან გამათავისუფლეო და მას აქეთ თვალითაც აღარ დამნახვებია. ხომ არ იცი, სადაა, ან რას შვება, ან რას აპირებს, ან რას გვემართლება?

— არ ვიცი.

— ჰმ!

— ბატონო?

— ყველაფერი მარტო მე ვიდარდო?!

მინაგომ ამაზე აღარაფერი უპასუხა. არა, მას ნამდვილად რაღაც მძიმე საფიქრალი გასჩენოდა. სარდიონი ერთხანს ხმაამოუღებლად აბოლებდა პაპიროსს. მერე ხელი ჩაიქნია და ისევ გურასაშვილს მიუბრუნდა:

— აბა, გისმენთ, ამხანაგო მთავარო ინჟინერო!

— ბატონო სარდიონ... ახლა... რაჰქვიანა... — კახაბერმა ისევ მხრები აიჩეჩა. — რაც შემიძლია და რაც გამეწყობა, იმ ადამიანს დავეხმარები და... მეტი რა გავაკეთო?

ლაპარაკი ასე თავისთავად გადავიდა თეიმურაზ არჯევანიძეზე.

— მეტი რაღა უნდა გააკეთო, ადამიანო, მაგრამ... შენ გგონია, მე არ ვიცი, რომ... ერთი სიტყვით, მართალი მე დღეს და გუშინ კი არა ვარ, მართალი ამ თორმეტი წლის წინათ ვიყავი, მე და შენ რომ ერთმანეთს პირველად შევხვდით. გახსოვს? და კიდევ ბევრჯერ. მართალი მე ბევრჯერ ვყოფილვარ, დღეს კი მტყუანი ვარ. მაგრამ რა უნდა მექნა? ეს დღეები შენ არ მოგვკარებიხარ, მე და მინაგოს კი ისე გაგვიჭირდა, რომ უბანი კინაღამ ანთიმოზას ჩავაბარეთ. აბა!

— ვიცი.

— საიდან იცი?

— გავიგე.

— მერე? ეგ უდღეური მაგ ბიჭზე უკეთესი იქნებოდა?

— არა მგონია.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! აგაშენა ღმერთმა, ჩემო კახაბერ! — მთავარი ინჟინრის ეს სიტყვები სარდიონს ისე გაეხარდა, რომ წამოდგა და კაბინეტში ხალისიანად გაიარ-გამოიარა, — ესე იგი, პატარა უკეთესობა გვაქვს, ხომ? გვაქვს. ესეც საქმეა, თუ არა? საქმეა! ჰოდა, გავყვეთ ახლა და ვიაროთ ამ უკეთესობის გზით. ყველაფერი ჩვენს ხელთ არ არის? — სარდიონი ისევ მაგიდას მიუჯდა. — ახლა ყური კარგად დამიგდეთ, ჩემო ძვირფასებო! განსაკუთრებით შენ, ჩემო კახაბერ. უპირველეს ყოვლისა, მკაცრი და პირდაპირ უმკაცრესი კონტროლი უბნის საქმიანობაზე. არჯევანიძის ყოველი ნაბიჯი, ყოველი მისი ამოსუნთქვა ასჯერ და ათიათასჯერ უნდა შემოწმდეს. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს — სიფრთხილე, გულისხმიერება და ტაქტი. გეყურებათ? მინაგო და კახაბერ: ტაქტი. ჩვენ ყოველნაირად, ყოველგვარი საშუალებებით უნდა დავეხმაროთ მაგ ბიჭს, რომ უბნის ხალხთან საერთო ენა გამონახოს. ეს — ყოველ მიზეზგარეშე. ეს — პირდაპირ უსიკვდილოდ! თორემ მაგან თუ, სიტყვაზე ვამბობ, გერასიმე ცნობილაძეს კაბინეტში გამოძახება და მაგიდაზე მუშტების ბრახა-ბრუხი დაუწყო, როგორც ზოგიერთებს სჩვევიათ, მოგვჭამა ჭირი! მაშინ ჩვენ ყველამ უნდა ავიკრათ გუდა-ნაბადი. საერთო ენა მეშახტეებთან — ეს პირველ რიგში. მაგრამ ისევ უნდა გაგახსენოთ — ტაქტი! ჩვენ თუ ეგ ბიჭი, ღმერთმა ნუ ქნას, საჯაროდ დავამცირეთ, შევურაცხვყავით, თუ სულ პატარა ბიჭუნასავით ხელიხელჩაკიდებული ვატარეთ, მაშინ... არა, ასეთი მიდგომა ჩვენ არ გამოგვადგება. ისე კი, ჩემო კახაბერ, ამას ახლა შენს გასაგონად ვამბობ, მე და მინაგომ ამაზე უკვე ბევრჯერ ვილაპარაკეთ... ისე, მოგეხსენება, უბანი ჯერჯერობით საათივითაა აწყობილი, ჯიბრაილმა მაგ ბიჭს კარგი მემკვიდრეობა დაუტოვა. ესეც საქმეა, თუ არა? შენ გეკითხები, კახაბერ!

— საქმეა, რატომ...

— ჰოდა, ასე... ასე, ჩემო კარგებო!.. — სარდიონი დადუმდა, პაპიროსი გააბოლა და სკამის ზურგს მიაწვა.

„რაღაც თავის ხასიათზე ვერ არის, — გაიფიქრა კახაბერმა, — ამდენი ლაპარაკი ამას არ სჩვევია. გრძნობს, რომ ძალიან აჩქარდა. მაგრამ ამ საქმეს ახლა რაღა ეშველება?“

— რაღა თქმა უნდა, მაგ ბიჭს ყველანი უნდა დავეხმაროთ და დავეხმარებით კიდეც, ბატონო სარდიონ. — კახაბერმა თავი რამდენჯერმე ჩაიქნია. — აბა, რა ხალხი ვიქნებით, ესე რომ არ მოვიქცეთ. ეგ ჩვენი ვალია და, აბა, რა ვიცი, თავისი ვალის შესრულებას ვინ ჩვენგანი გაექცევა. ოღონდ...

— ოღონდ რა?

— კანონს ნუ დამარღვევინებ, სარდიონ ბატონო, და მაგ ბიჭის მაგიერ დავალებებზე ხელს ნუ მომაწერინებ.

— მერე და მაგას ვინ გთხოვს?! — სარდიონმა წარბები წრფელი გაოცებით ასწია.

— არავინ. არავინ არა მთხოვს. ეს თქვენ არც გიბრძანებიათ. ოღონდ ზოგან იციან... აქაოდა, ახალგაზრდებს უნდა დავეხმაროთო და, ვინ იცის, რაღას არ აკეთებენ. ახალგაზრდა ახალგაზრდაა, რა თქმა უნდა, მაგრამ კანონი კანონია. ეს ჩემთვის თქვენ თვითონ გისწავლებიათ. ჰოდა...

— რა — ჰოდა?

— არაფერი, ბატონო სარდიონ! სიტყვაზე ვთქვი. ისე კი, საჭიროა და გავაკეთოთ. ჩვენ ყველანი ახალგაზრდები არ ვიყავით? რა იქნებოდა, ჩვენთვის რომ მაშინ გულზე ხელი ეკრათ და... ისა... რაჰქვიანა... საჭიროა და გავაკეთოთ. მაგას რაღა ლაპარაკი უნდა?

— გავაკეთოთ, ჩემო კახაბერ, გავაკეთოთ. სხვა გზა არ არის. გავაკეთოთ, შვილო და ძმაო! აბა, არ უნდა გავაკეთოთ?

* * *

სარდიონმა კახაბერი კარებამდე მიაცილა, მხარზე ხელი მოუთათუნა და გაისტუმრა. მერე კარი ჩაკეტა, მინაგოს წინ დაუჯდა და ბრძანების კილოთი უთხრა, თავი ისედაც გასკდომაზე მაქვს და ბევრს ნუ მაწვალებ, ახლავე მოკლედ მითხარი, ასე კრიჭაშეკრული რატომა ხართ. მინაგოს არაფრით თქმა არ უნდოდა, ბოლოსდაბოლოს, რაღა კაცი ვარ, თუ ჩემს სადარდელს მარტო ველარ მოვერიეო. მაგრამ, ბოლოს სარდიონს ხათრი ველარ გაუტეხა და, ცოტა არ იყოს, უხალისოდ და ნაძალადევად, მაგრამ მაინც ყველაფერი უთხრა.

თურმე, მესამე უბანზე და საერთოდ მთელ შახტზე ვიღაც-ვიღაცეებს უკუღმართი ლაპარაკი დაუწყიათ: მინაგო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცუდი პარტკომის მდივანიაო, ეგ მოვალეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა სარდიონს რამე შეეშლება, გაუსწოროს, ეგ კი, პირიქით, ყველაფერში სარდიონს კვერს უკრავს და მხარში უდგასო, სარდიონს მაგის ეშინიაო, და ეს კი იმიტომ ემართლება, შენ ხარ ჩემი ბატონი, რომ მინაგო ნამდვილი მეშახტე არასოდეს ყოფილაო; ყველას ახსოვსო, ეგ მეშახტეებმა სანგრევიდან როგორ გამოაგდეს, ფეხებში ნუ გვებლანდები და მუშაობაში ხელს ნუ გვიშლიო; მას აქეთ ზის ხარისხის ინსპექციაში და ითვლის, ვაგონებში რამდენი ფუთი სუფთა ნახშირი ჰყრია და რამდენი ოყა ფუჰი ჯანიო; რაღა თქმა უნდა, მაგისთანა კაცი სარდიონს შეკამათებას ვერ შეუბედავსო; და აქამდე თუ ვითმენდით, ახლა ჯიბრაილის მოხსნას და მის მაგიერ ვიღაც პირყვითელა ბარტყის დანიშვნას კი ველარ ვაპატიებთ და უსიკვდილოდ რაიკომში ვუჩივლებთო, ლონგინოზ ფეიქრიშვილი, ახლანდელი პირველი მდივანი, ძველი მეშახტეა და იმან გაგვასამართლოსო და სხვა ამგვარები...

— ვინ ჩაგიკაკლა შენ ეგ ყველაფერი? — ჰკითხა სარდიონმა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

— მაინც?

— ანთიმოზამ მიამბო.

— ანთიმოზასი გჯერა?

— ამბის მოტანა ანთიმოზასაც კი შეუძლია. არადა...

— არადა — რა?

— მართალია ის ხალხი. ნამდვილი მეშახტე, ჩემო სარდიონ, არასოდეს ვყოფილვარ.

— ოოოჰ! დამიწყო ახლა!..

— არა, მე...

— კარგი! ნუ ასუილდები! ვინც შახტში მუშაობს, ყველა მეშახტეა. აბა ზოგმა მართლა იცის თავის აგდება, მეშახტეები მარტო ჩვენა ვართ, ვისაც ხელში ნიჩბები გვიკავიაო. იმათ თუ აჰყევი, აბა, მეშახტე აღარც მე ვყოფილვარ.

— შენ სხვა ხარ...

— კარგი-მეთქი! მე მართლა რაღაც ფარსაგი არ მეგონა? აღარ გამაგონო! ანთიმოზის ნაჩერჩეტალს აჰყოლიხარ! გარწმუნებ, ერთი ათად გაამუქა და ამბავი ისე მოგიტანა, ვითომ შენი დიდი გულშემატკივარია. რაიკომი კი... რაიკომში წასვლას, ჩემო მინაგო, ვის აუკრძალავ? მიბრძანდნენ, ბატონო! თუ ლონგინოზ ფეიქრიშვილი ამ საქმეში დამეხმარება და რაიმე უკეთეს გამოსავალს მიპოვნის, მისი ხმალი და ჩემი კისერი!

## თავი III

ის, რაც ანთიმოზ ჩახუნაშვილს მინაგოსათვის უამბნია, სარდიონის თქმისა არ იყოს, მართლაც ერთი ათად იყო გაბერილი. არა, მესამე უბნის მეშახტეები სწორედაც რომ ცუდ ხასიათზე იყვნენ, დანა კრიჭას არავის უხსნიდა, და მინაგოსაც ბევრი ლანძღავდა, სარდიონს ყველაფერში კვერს უკრავს. ისეთ საქმეებშიც კი, რომლებიც თვითონ სარდიონს გულით არ უნდაო. მაგრამ რაიკომში წასვლა და ჩივილი არავის უფიქრია. იცოდნენ, რომ აქედან აღარაფერი გამოვიდოდა. ეს საქმე — რაიკომში წასვლა და საჩივრის შეტანა — მხოლოდ ერთ კაცს, დიანოს გოლეთიანს ჰქონდა აჩემებული.

ამ სამოცს მიღწეულმა მეშახტემ მთელი სიცოცხლე თავაუღებელ შრომაში გაატარა. ამხანაგები მას მუდამ აქილიკებდნენ მოუქნელობისა და წრესგადასული მომთმენლობისათვის, მაგრამ მაინც გულითადი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ყველამ იცოდა, რომ დიანოსი ალალ-მართალი, პატიოსანი და სანდო ადამიანი იყო. და ახლა ზიზინა, მუდამ აუღელვებელ ამ კაცს,

რომელსაც პენსიაზე გასვლამდე რაღაც თვეებიღა ჰქონდა დარჩენილი და მოსვენებული, უზრუნველი სიბერე ელოდა, ამ ბოლო დღეებში სიცოცხლე გაუმწარდა. მოტეხილი ფეხი აღარც კი ახსოვდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ეს უკუღმართი ამბები — ჯიბრაილის მოხსნა, მის ადგილზე ვიღაც უწვერული ინჟინრის დანიშვნა, უბნის საქმეების მოსალოდნელი აწეწ-დაწეწვა, — ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი, რამაც მეშახტეებსაც და თვითონ დიანოსსაც ჭამის მადაც კი დაუკარგა, — თვითონ მისი უხეირო აცუნდრუკების ბრალი იყო. ან რა ღმერთი გაუწყრა? ეს ოხერი ფეხი რატომ მანამდე არ მოსტყდა, სანამ იმ დღეს შახტში ჩავიდოდა? მიწისქვეშეთში ოცდაათი წელი ისე გაატარა, რომ ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია, მისი სიფრთხილე და წინდახედულობა სასაცილოდაც კი იყო აღებული და აი, ახლა, ამ სიბერეში რა დაემართა! ეს როგორი უპატიებელი სისულელე ჩაიდინა! დაღუპა უბანი, დაღუპა ამხანაგები. გაილანძლა და ქვეყანას შეაძულა საკუთარი თავიც... გამოსავალი კი აღარსად იყო. უბანზე პირდაპირ აღარ დაედგომებოდა, ამას თვითონაც მშვენივრად გრძნობდა და ლოგინში მწოლიარე და სიმწრის ოფლში გაღვრილი ზოგჯერ იმასაც კი ინატრებდა ხოლმე, ნეტავი, ეს ოხერი ფეხი სულაც აღარ მომირჩებოდეს და შახტზე წასვლაც არ მომიწევდესო.

თვითონ დიანოსი, იქნებ, როგორმე კიდეც მორეოდა თავის სადარდებელს. მაგრამ ცეცხლზე ნავთს საკუთარი ცოლი ბაბილინა უსხამდა. ბაბილინა შახტის საბავშვო ბაღში მზარეულის თანაშემწედ მუშაობდა. ამ ბოლო დღეებში მეშახტეების ცოლებსა თუ დედებს, ვისაც ბაღში ბავშვები მოჰყავდა, სხვა საქმე აღარაფერი ჰქონდათ: ბაღის ეზოში გრძელ სკამებზე ჩამოსხდებოდნენ და მთელი საათობით მარტო იმაზე ქაქანებდნენ, თუ რა შავ დღეში ჩავარდა მესამე უბანი, რა ძნელი დღეები მოელით უბნის მეშახტეებს, რა წინდაუხედავად მოიქცა სარდიონ რაფიელიშვილი, რა უსამართლოდ მოექცნენ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილსა და რა შტერი, რა წინდაუხედავი და უტვინო გამოდგა ამ ხნის მეშახტე, ეს დიანოს გოლეთიანი, თავისი უხეირო აცუნდრუკებით მთელი უბანი და მთელი შახტი ამ შავ დღეში რომ ჩააგდო.

— ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, ქალებო! — იტყოდა რომელიმე მათგანი, — დიანოს გოლეთიანის ცოლი ამ ბაღში მუშაობს. გულში არაფერი ჩაიდვას და ბავშვები არ დაგვიწამლოს.

— დაგვიწამლოსო?! ვაი, მეტი არაფერი მინდა, ნეტავი მართლა რამეს გაბედავდეს. დაწამლოს კი არა, ნეტავი ბავშვებს ერთ მისხალ კარაქს ან შაქარს დააკლებდეს. მე ვიცოდე მაშინ და ჩემმა ქალობამ! მაგასაც და მაგის ზონზროხა ქმარსაც თუ მოუსავლეთში არ ვუკრა თავი, ქალი აღარ მერქვას!

— არ ეკუთვნით, თუ?

ბაბილინა სამზარეულოში ღია ფანჯარასთან იდგა, კომბოსტოს კეპავდა და თან ბოღმით იტენებოდა. არა, ეს მართლაც რა შავი დღე გაუთენდათ? ეს მისი ლენჩი ქმარი, ეს მართლაც შავი კამეჩი რა ქვეყნის სალანძღავი და სათათხავი გახდა? რა ეშმაკი უნდოდა, იმ ნახშირის ფენას რომ ჩაეხუტა? ახლა რითი გინდა, ამ გაავებულ ხალხთან თავი იმართლო? და ეს დღესაა ასე. ხვალ და ზეგ? უბანზე რომ მართლაც ავარიები და უბედურებები დაიწყოს? მაშინ რომელ შავ წყალს უნდა მისცე თავი? ო-ჰო-ჰო! ის დღე რატომ არ დაიქცა, ბაბილინამ ვიღაც უკბილო მაჰანკალს რომ დაუჯერა და მაგ უნიათოს, მაგ მოუქნელს, მაგ უდღეურს ცოლად გაჰყვა. ან ჰყვარებოდათ ერთმანეთი, ან შვილი მაინც ჰყოლოდათ. არა, არაფერი! არც ერთი, არც მეორე და არც მესამე! ახლა კი, ამ სიბერეში, ასეთი შერცხვენა და თავსლაფის დასხმა!

როგორც კი აშუადღევდებოდა და პირველიცა და მეორეც გამზადდებოდა, ბაბილინა წინსაფარს მოიხსნიდა ხოლმე, ცრემლიან თვალებს იმითი ამოი-

წმენდდა და მზარეულ ისაკიას შეცვედრებოდა, დღეს მაინც ალარაფერში გჭირდები და სახლში გამიშვიო.

— დიანოსი მოგენატრა?

— ის მოენატრა ჭირსა და ვაიუშველებელს!

— რას ერჩი, შე ქალო... იმ კაცს თავისი გაჭირვება ეყოფა.

— გაჭირვება იმას და არგადარჩენა ჩემი სიცოცხლის გამწარებისათვის.

— ო-ხო-ხო-ხო!.. — ჩასუქებული, სამკეცღაბაბიანი ისაკია თავს აქნევდა და ბაბილინას სახლში უშვებდა. და მაშინ კი ვაი დიანოს გოლეთიანის მოსწრებას: გაალმასებული ბაბილინა საჭმელს კი აჭმევდა, მაგრამ თან ისეთი წყევლა-კრულვით უმასპინძლდებოდა, რომ დიანოსს მოტეხილი ფეხიც ავიწყდებოდა, უბანიც, შახტიც და მთელი ქვეყნიერებაც. გაწამებული ბერიკაცი ზოგჯერ იმასაც კი გაიფიქრებდა ხოლმე, წავალ და ვთხოვ, ისევ საავადმყოფოში დამაწვინონ, თორემ ეს გაავებული დედაკაცი ნამდვილად ხელში შემაკლავსო.

ერთ ნაშუადღევს, როცა ბაბილინამ ისაკიას ისევ თხოვა, დღესაც გამიშვი, ის უდღეური მისახედი მყავს, აღარც კვდება ის უპატრონო და აღარც რჩება (იმ დილას, მეშახტეების ქალებმა დიანოს გოლეთიანი მართლაც ძალიან ლანძღეს), მზარეულმა მოტვლეპილი თავი მოიფხანა და ბაბილინას თვალებში ფიქრიანად შეხედა:

— ბაბილინა ჩემო, რა გითხრა, იცი? შენს სახლშიდ გაშვებაზედ ადვილი ჩემთვის სხვა რაღა არის. ბორშჩი მზად არის, შენ ხარ ჩემი ბატონი, ისე კატლეტი და ისე კამპოტი. კარტოფილის პიურე ცოტა თხელი გამოგსვლიასავით, მაგრამ არა უშავს, მაგ ეშმაკის ფეხები ნახევარს მაინც არა სჭამენ. წადი, შენ ხარ ჩემი ბატონი, დღესაც წადი და თუ გინდა, ხვალაც და ზეგაც, ოღონდ საქმეს გაუკეთებელს ნუ დამიტოვებ. მაგრამ... შენს გულს რომ ტყუილად ასკდები და იმ დასახიჩრებულ კაცსაც სიცოცხლეს უმწარებ, ვითამ, ეს ვარგა? ქალების ლაპარაკსა და მიეთ-მოეთს რატომ უნდა აჰყვე, იქაქანებენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, იქაქანებენ და გაჩუმდებიან. მობეზრდებათ. ადამიანს ყველაფერი ბეზრდება. ზოგი მანდ სულაც განგებ, შენს გასაგონად იფოფხება. ნამდვილად, შენ ნუ მომიკვდები! ჰოდა, მე რას გეტყვი, იცი? აბა, ყური დამიგდე. რამდენადაც მე ამ ქვეყნისა და ამ წუთისოფლის რამე გამეგება, ის საქმე, შახტზე თუ უბანზე რომ მოხდა, თავიდან ბოლომდე უკანონო და უსამართლო საქმე უნდა იყოს. ისე ამ ისაკია გოდაბრელიძემ იცოცხლოს და იდღეგრძელოს! ქალო, საბჭოთა კავშირში კაცის თანამდებობიდან ასე განუკითხავად, ასე ხელიერთპირად მოხსნა შეიძლება? ჩვენი კონსტიტუცია რას უბნობს? ჰოოო! ადამიანს ჩვენში სამი საყვედური და გაფრთხილება უნდა მისცე, სანამ სამუშაოდან მოხსნიდე. აბა! და სამივე პირად საქმეში უნდა ჰქონდეს ჩაწერილი, ისე კაცის მოხსნა არაფლამდი არ შეიძლება, აბაა! მით უმეტეს, რომ ჯიბრაილი, ყველამ კი იცის, საალდგომო ბატკანივით მართალი იყო მაგ საქმეში. ჰო! დამნაშავე ვინც იყო, შენც იცი და ყველამაც იცის. მაგრამ ეს სხვა საქმეა. ხალხი ჯიბრაილის მოხსნისთვისაა გამწარებული. კანონს კი, ჩვენს საბჭოთა კანონს ამ შემთხვევაში ნამდვილად ფეხი დააბიჯეს. ქალო, ეგ კი არა, ჩემს ახალგაზრდობაში, ჩემივე უგულისყურობითა და დაუხედაობით, ოცდაშვიდი ცალი კატლეტი ისე დამეწვა და დამინახშირდა, რომ კვალიც ველარსად ვიპოვნეთ. მაგრამ სამუშაოდან კი არავის მოვუხსნივარ. რატომ? ჯერ ერთი, ახალგაზრდა ვიყავი და მეორეც, პირად საქმეში არც გაფრთხილება მეწერა და არც საყვედური. აბა! ადგნენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ბრძანებით საყვედური გამომიცხადეს, და ეს იყო და ეს. მეც ავდექი, ის მაშინდელი შეცდომა მომავალ მუშაობაში გავითვალისწინე და.. რა ვიცი, ვითამ, ცუდი მზარეული დავდექი? აქ, ამ საბავშვო ბაღში რა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძლია და დიდრონ რესტორნებში ჩემი ნახელავი ზეფ-სტროგანოვებისა დაესეილოპების ჭამით ხალხი ვერ ძღებოდა. ამას კვეხნით არ გეუბნები. ჰოდა, ჯიბრაილის საქმეც ასეა. რა დააშავა? ან მანამდე რა დანაშაული ჰქონდა? აბა, ასე რომ დაეძგერენ და მოხსნეს, ეს ქვეყანა ჩალით კი არაა დახურული. კაცს ჯერ ჯილდოებით და მადლობებით ახრჩობდნენ, მერე კი ეცენ და მოხსნეს? რატომ და რისთვის? ამის უფლება მაგათ ვინ მისცა? არავინ. ამისთანა უსამართლობას და გაუკითხაობას ჩვენი მთავრობა პირდაპირ კრძალავს. პირდაპირ, აბა? ახლა ყური დამიგდე: მაინც, როცა ასეთი უსამართლობა ხდება, ხალხი მაშინ სად მიდის? ხალხი მაშინ, ჩემო დაო, რაიკომში მიდის. გეყურება? რაიკომში. რაიკომიდან გამოდის მაგისთანების წამალი. რაიკომები ჩვენმა მთავრობამ იმიტომ გამოიგონა, რომ ამისთანა უსამართლო საქმეები აღკვეთოს. ახლა მოიხედე: ასე წყევლა-კრულვითა და წივილ-კივილით საქმეს არაფერი ეშველება. ადექით ახლა შენ და შენი დიანოსი, დაჯექით, რაიკომში ერთი კარგი განცხადება გააშანშალეთ არც რამე დააკლოთ და არც რამე მოუმატოთ, რაიკომს ტყუილები არ უყვარს... და მიიტანეთ. ნახავ შენ, შენივე თვალებით დაინახავ, რომ ჯიბრაილას მეორე დღესვე თავის თანამდებობაზე აღადგენენ, დიანოსის ლანძღვას ეს ქალები მოეშვებიან და შენც მოსვენებით ამოისუნთქავ. ცუდი იქნება?

— ეს რა მითხარი, ისაკია. შენ შემოგევლე!

— ასეა. ოღონდ სარდიონს ნუ გააგებინებთ, რომ ეს გზა მე გასწავლეთ.

— სარდიონთან რა მინდა... ესე იგი, რაიკომში წავიდეთ?

— რაიკომში. პირდაპირ რაიკომში.

— დღესვე?

— რაც მალე წახვალთ, მით უკეთესი.

— ვაი, ჩემო ისაკია, შენ გაიხარე! ესე იგი...

— რა — ესე იგი?

— ვითამ... უარესობის მეშინია, ეს ოხერი... ა?

— ქალო, უარესი რაღა დაგემართება? სახიჩარი ქმარი ლოგინში გაწევს. შენ თვითონ კი ქუჩაში ცხვირი ველარ გამოგიყვია. ამაზე უარესი სიკვდილია, და ვითომ სასიკვდილო გჭირს რამე?

— არაფერი, მგონი არაფერი. აბა, გავვარდები! ა?

— გავარდი. და გახსოვდეს: რაიკომს — მხოლოდ სიმართლე!

— ვაი, ღმერთო!.. შენ მოგვხედე. ისაკია!

— ა?

— იქნება, განცხადებაც შენ დაგვიწერო? ნასწავლი და გამოცდილი ადამიანი ბრძანდები.

— არა! ეგ ჩემი საქმე არ არის. ჩემი საქმე მე ვიცი. ადექი, ნუღარ ახვალიებ და გავარდი. თორემ დაძველებულ საქმეს ვერც რაიკომი უშველის და ვეღარც მამალმერთი.

ბაბილინა გავარდა და პირდაპირ დიანოსს მიაფრინდა. ისე უწიოდა და უკიოდა, რომ საწყალმა დიანოსმა დიდხანს ვერაფერი გაიგო. მერე კი, როცა ჩახვდა, სახეზე წამოწითლდა და თვალები შიშითა და იმედით ავსო:

— ესე იგი...

— ესე იგი შენ და არგათენება!..

— კარგად ამიხსენი, ადამიანო!

— ამას რა ახსნა უნდა? ახლავე განცხადება დაწერე და რაიკომში წაეთრიე.

კი, ეს დიანოსმა წეღანაც გაიგო. განცხადება უნდა დაწეროს და რაიკომში შეიტანოს. მაგრამ მან, ძველმა მეშახტემ თავისი შახტის უფროსს რაიკომში უჩივლოს? არა, ეს საქმე... სარდიონი მასზე ისედაც ამრეზილია და ახლა ხომ სულ გადაირევა. თანაც — ჩივილი, ქაღალდების წერა და დაბეზღება? ეს რა მეშახტის საკადრისია? ან გამოვა კი აქედან რამე? რაიკომში სარდიონს იცნობენ და პატივს სცემენ, დიანოს გოლეთიანი კი რაიკომისთვის ვინ არის. არავინ და არაფერი.

დიანოსმა ხელი ჩაიქნია და პირი ჭედლისაკენ იბრუნა.

ბაბილინა სულ გადაირია:

— სად მიგაქვს ეგ სამიწე პირი, შე ბრდასაცალებელო? ვერ გაიგე, რასაც გეუბნები?

დიანოსი მიხვდა, რომ ბაბილინა ასე ადვილად არ მოეშვებოდა. და ისევ ხერხი იხმარა:

— მაგისთანა განცხადებას, ბაბილინა, კარგი დამწერი უნდა... ჰოდა... ახლა, მე და შენ... რაქვია...

— მე და შენ კი არა, ის არ გინდა? წამოდექი და რამე მოიხურე, მე ახლავე გერონტის ბიჭს დავუძახებ.

გერონტის — გოლეთიანების კარის მეზობლის, ბიჭი მეათეკლასელი მოსწავლე იყო. ყველა ამბობდა, ძალიან ნიჭიერი ბავშვია და ულაპარაკოდ მეცნიერი მუშაკი დადგებაო. ისე, კაცმა რომ თქვას, უფრო მათემატიკურ საგნებში აქებდნენ. ეს ალგებრა და გეომეტრია წყალივით იცისო, მაგრამ ერთხელ ქართულის მასწავლებელსაც უთქვამს, როცა მოინდომებს, ქართულსაც კარგად წერსო.

დიანოსმა ბევრი იხვნეშა და გერონტის ბიჭიც ბევრი აწვალა, სანამ ყველაფერს წესიერად დააწერინებდა. დროგამოშვებით ხელს ჩაიქნევდა ხოლმე და ისევ ლოგინში ჩაბრუნებას დააპირებდა, მაგრამ ბაბილინას ალმასივით მბრწყინავ თვალებს წააწყდებოდა და ისევ ხვნეშას, ფიქრსა და კარნახს განაგრძობდა. როგორც იქნა, ოთხგვერდიანი განცხადება მზად იყო. დიანოსს მართლაც არაფერი გამოუტოვებია, — არც ის, რომ შახტში ბარე ორმოცი წელიწადი უმწიკვლოდ იმუშავა და არც ის, რომ ჯიბრაილ ხელთუფლიშვილისთანა ხელმძღვანელი მესამე უბანს ჯერ არ მოსწრებია, ტყუილ-უბრალოდ და უდანაშაულოდ კი გააფუჭეს. დიანოსმა ბოლო გვერდზე ხელი მოაწერა და შეოფლილი სახე იდაყვით მოიწმინდა.

— შენ წადი, თამაზია! — უთხრა ბაბილინამ გერონტის ბიჭს.

თამაზიამ ავტოკალმის წვერი გულდასმით გაწმინდა. მერე ავტოკალმი გულის ჯიბეზე მოირგო, მასპინძლებს თავი თავაზიანად დაუკრა და წავიდა. ბაბილინა წამოდგა, კარადიდან დიანოსის საგარეო ტანისამოსი გამოიღო და ლოგინზე მიჰყარა.

— ჩაიცვი!

— ეს ფეხმტკივანი კაცი სად წავიდე, ქალო?!

— კიდევ მაგას მეკითხები?!

— რაქვია... წეღან, შენ სანამ მოხვიდოდი, წყლის დასალევად წამოვდექი და აი, აგერ რომ დამკრა, სულ ელვასავით დამიარა მთელს სხეულში.

— ელვა მე ცაში გამიგონია.

— არა, ეგ კი სწორია, მაგრამ... როდის იყო, რაიკომი ამისთანა საქმეებში ერეოდა?

— აბა, ამსიგრძე ქაღალდები რისთვის-ღა გააჭრელე?

ამაზე დიანოსმა ვერაფერი უპასუხა. ერთხანს იყუჩა, მერე კი იფიქრა, აჯობებს, თუ ბაბილინას სიმართლეს ვეტყვიო.

— სარდიონი ამას მე არ მაპატიებს.

— რას?

— ჩივილს.

— შეხედე! — ბაბილინამ გაოცებისაგან ტაშიც კი შემოჰკრა. — ოჰ, შე უტვინო, შე მართლა უტვინო და უდღეურო, შენ! მთელმა ქვეყანამ, დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა, მთელმა ქალაქმა იცის, რომ სარდიონს ჯიბრაილის მოხსნა სიკვდილივით არ უნდოდა და იმ სასიკვდილე დემიანემ ძალით მოახსნევინა. ეს მთელმა დუნიამ იცის და მარტო ამ სასიკვდილეს, ამ დასამიწებელსა და ამ არგასათენებელს ვერ გაუგია. კაცო, შე ოხერო, შენ ცოცხალი ხარ, თუ მკვდარი? ამ ქვეყნის სულ არაფერი გაგეგება? მაგ განცხადების რაიკომში შეტანა, შე უტვინო, თვითონ სარდიონისთვის არის სასარგებლო. რაიკომი თუ დამიანეს გამოუძახებს, ტყავს გააძრობს და ჯიბრაილს თავის ადგილზევე დააბრუნებინებს, სარდიონს მეტი რა უნდა? მაგრამ სარდიონი თავის თავს თვითონ

ხომ ვერ უჩივლებს, კაცი ტყუილა მოვხსენი და აღადგინეთო. ამას მე, უსწავლელი დედაკაცი ვხვდები და შენ, ამდენი ხნის მეშახტე ვერ უნდა ხვდებოდე? მაგ შენი განცხადება სარდიონს ახლა სწორედ მალამოსავით წაადგება. ეგ განცხადება ახლა სარდიონის წამალია.

— ა? — დიანოსი ისევ წამოწითლდა სახეზე და თვალებში ისევ იმედის ნაპერწკალმა გაუელვა.

— გაანძრიე მაგ სამიწე ტვინი! გაანძრიე და მიხვდები.

— ჰმ!.. რაქვია... ხომ იცი შენ... გეყურება, ბაბილინა? ეგ აზრი, ერთდაგვარად... ა?

— აბა, რაღას ზოზინობ? სანამ შენ გაინძრეოდე, ის უბანი ქე ჩამოინგრევა და მერე უყარე კაკალი.

— რაქვია... ჯერ თვითონ სარდიონს რომ ვაჩვენო?

— რა?

— ეს განცხადება.

— ი! — ამ მოულოდნელმა მოსაზრებამ ბაბილინა აშკარად დააბნია. სამაგიეროდ, ამავე მოსაზრებამ მის ავტორს — დიანოს გოლეთიანს ახალი ძალები შესძინა. ხანდაზმულმა მეშახტემ ფაცა-ფუცით ჩაიცვა თავისი საგარეო ტანისამოსი, ყავარჯენი მოიმარჯვა და შახტისაკენ მიმავალ გზას ხვნეშითა და ბაკაბუკით დაადგა.

დიანოს გოლეთიანის დანახვაზე სარდიონს თვალები გაუფართოვდა:

— შენ ცოცხალი ხარ?

— სასიკვდილო რა მჭირს, სარდიონ ბატონო!

— სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს!

— ერთხანს კიდევ მინდა ვილოლიალო ამ ქვეყანაზე.

— რატომ „ერთ ხანს“, ადამიანო? ამდენი ნაშრომი და ნაღვაწი კაცი ხარ. ამ ქვეყანაზე სწორედ შენისთანებმა უნდა იცხოვრონ, აბა!

— ამ ნაშრომ და ნამოღვაწარ კაცს ამ ბოლო ხანებში ერთი შეცდომა მომივიდა.

— რას იზამ!.. შეცდომისაგან დაზღვეული არავინაა.

— ჰოდა, ვითომ, რამე დაშავდება, ის შეცდომა რომ გამოვასწოროთ?

სარდიონმა გაკვირვებით შეხედა. „რა და როგორ უნდა გამოასწოროო“, — ეწერა იმ შემოხედვაში. მაშინ გოლეთიანმა ოთხად დაკეცილი რვეულის ფურცლები გაშალა და შახტის უფროსს მაგიდაზე დაუწყო.

— ეს რა არის?

— ჩაიკითხე, სარდიონ ბატონო. კიდეც გაგიკვირდება და კიდეც გაგეხარდება.

— რაო?! — სარდიონმა ქაღალდებს თვალი ჩაავლო. სათაური წაიკითხა, — პარტიის რაიკომის პირველ მდივანს — დიანოს გოლეთიანის განცხადებაო, — მაგრამ ვერაფერს მიხვდა და ისევ დიანოსს შეხედა. — პარტიის რაიკომისგან რას თხოულობ?

— სიმართლეს, სარდიონ ბატონო.

— სიმართლეს?

— მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს. ესე იგი, კანონიერებას.

განცხადების პირველ გვერდზე სულ გოლეთიანის ღვაწლზე იყო ლაპარაკი. სარდიონმა ეს გვერდი ჩაიკითხა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა და ისევ გოლეთიანს შეხედა.

— ეს განცხადება შენ რაიკომის მდივნის სახელზე დაგიწერია და მე რატომ უნდა წავიკითხო?

— რაქვია... მაგ განცხადებაში შენზე ვჩივივარ, სარდიონ ბატონო. შენზე და დამიანე ჭყონიაზე. და მაშინ მოკვდეს დიანოს გოლეთიანი, თუ ეს ამბავი შენ დაგიმალოს. შე კაცო, მე და შენ... ამდენი წელიწადი...

— ჰმ!

— ასეა, ერასტოვიჩ. აგერ, ჩემს მარჯვენას გეფიცები...

— მოიცა! რად გინდა ეს ამდენი ფიცი და მტკიცი. მაინც რას თხოულობ?

— ჯიბრაილი დაგვიბრუნონ.

— ჰოო!

— ეს არც შენ გეწყინება, სარდიონ. ჯიცი.

— მერე?

— მეტი არაფერი.

— ეს განცხადება ჩემთან რატომ-ღა მოიტანე.

— როგორ, ახლა... შე კაცო, სარდიონ... მე და შენ... ამდენი წელიწადი... ამ განცხადებაში... პატარა გაკენწლილი შენც კი მყავხარ... ესე იგი... საერთო საქმისათვის, რასაკვირველია.

— მესმის, მესმის. ახლა ჩემგან რა გინდა?

— არაფერი. მარტო ის მინდა, რომ... არ გეწყინოს და მაბეზღარობაში არ ჩამომართვა. გამიჭირდა, ერასტოვიჩ. შახტზე ჩემი სახელის გაგონება არავის უნდა. მეც ადამიანი ვარ. ცოლი რომ ცოლია, იმანაც კი ამომიძულა. არადა, ამის ფასი რა დავაშავე. ან სულ მარტოხელამ როგორ ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე. ამ ხნის კაცს ზოგჯერ... ერთი სიტყვით... ა?

— ჩემგან რას თხოულობ, ადამიანო?! ეს გამაგებინე.

— მაბეზღარობაში არ ჩამომართვა და არ მიწყინო.

ბიბლიოთეკა

— რა სისულელეს ლაპარაკობ! რა უნდა გიწყინო, ადამიანო? ეგ შენი უფლებაა, შენი მოვალეობაცაა. ეგ ან როგორ უნდა დაგიშალო, ან რატომ უნდა მეწყინოს? წადი, ძმაო, მიმართე პარტიის რაიკომს. თუ ამ საქმეს რაიმე ეშველა, მე ეგ შენზე უფრო გამეხარდება.

— ა? სარდიონ...

— იმ ერთ შვილს გეფიცები!

— აბა, ღმერთი შეგეწიოს! ა?

— კარგად და ყოჩაღად იყავი! ფეხს გაუფრთხილდი.

— არა მიშავს!

სარდიონი წამოდგა და გოლეთიანი კარებამდე მიაცილა. მას არც კი ეგონა, თუ ამ განცხადებას რაიკომში ყურადღებას მიაქცევდნენ, ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დარჩა, როცა მეორე დილით მარგალიტამ მოახსენა, რაიკომიდან დარეკეს და გთხოვეს, თორმეტი საათისათვის პირველ მდივანთან მობრძანდითო.

## თავი IV

— კაცო, თუ მოგბეზრდით და აღარ გინდივართ, პირდაპირ მითხარით და... მეცოდინება მაინც. ამ რაიკომის მდივნობა მე მოსჯილი კი არა მაქვს. — ამ სიტყვებით შეხვდა რაიკომის პირველი მდივანი ლონგინოზ ფეიქრიშვილი მის კაბინეტში შესულ სარდიონსა და მინაგო ჩარკვიანს. თორმეტი საათისთვის ფეიქრიშვილს მინაგოც გამოეძახა და მუხით მოპირკეთებულ, უზარმაზარ კაბინეტში ახლა სარდიონი და შახტის პარტკომის მდივანი ერთად შევიდნენ. ოღონდ ეს იყო, რომ თმაჭაღარა, ხშირწარბებიანი, ორმოცს მიღწეული ფეიქრიშვილი სარდიონს უფრო გულთბილად მიესალმა — ხელის ჩამორთმევისას გაუღიმა კიდეც; მინაგოს კი — იმავე წუთში — ცივი მზერა შეავლო და ხელიც ისე გაუწოდა, რომ თვითონ უკვე ისევ სარდიონისკენ იყო მობრუნებული.

— აღარ გინდივართ? ამ დილას ჭარხალაშვილი, საკონსერვო ქარხნის დირექტორი შემომივარდა, გეგმის საქმე ცუდად მაქვს და რკინიგზასთან დამეხმარე, სამაგიეროდ სექტემბერში მე ვიცი, რასაც ვიზამო... კარგი. ის გავისტუმრე და ახლა მაღლაფერიძე მირეკავს, დიდი ხერხი მწყობრიდან გამოგვივიდა და იქნება, სამინისტროსთან გვიშუამდგომლოთ, ამ თვეში ცოტა მოგვიფონონ: სამაგიეროდ, სექტემბერში მე ვიცოდე და ჩემმა კაცობამო. კარგი. ახლა კიდევ თქვენ. მაგრამ თქვენ, ალბათ, არც სექტემბერში გეშველებათ. ა? რას იტყვი, სარდიონ?

— რა მოგახსენოთ!..

ფეიქრიშვილმა მაგიდიდან ოთხად

გაკეცილი ქაღალდი აიღო და სარდიონს დაანახვა. სარდიონმა გოლეთიანის განცხადება იცნო.

— ამ ქაღალდს იცნობ?

— ვიცნობ, ბატონო ლონგინოზ.

— მერე?

— რა მოგახსენოთ!

— ჰმ!.. — ფეიქრიშვილმა ქაღალდი გაშალა და ისევ ჩაათვალიერა, — აქ, კაცმა რომ თქვას, დამიანე ჭყონიაზე უფროა. იმასაც ვთხოვე, მაგრამ არ ჩანს. მოიცათ...

შავი ლიდერინით აკრული კარი გაიღო და დამიანე ჭყონიამ შემოიხედა.

— შეიძლება?

— მობრძანდით, ბატონო დამიანე, მობრძანდით. — ფეიქრიშვილი წამოდგა. ჭყონიას ისეთი თანამდებობა ეკავა, რომ მასთან ყველა ფრთხილად უნდა ყოფილიყო, — სამთო ზედამხედველი ადმინისტრაციულად არამც თუ რაიონში, რესპუბლიკაშიც კი არავის ემორჩილება.

დამიანეს სარდიონიცა და მინაგოც ფეხზე წამოდგომით მიესალმნენ.

— დაბრძანდით, ბატონო დამიანე. — ფეიქრიშვილი ისევ თავის ადგილზე დაჯდა — და გოლეთიანის განცხადება მაგიდაზე შეასწორა. — შეგაწუხეთ, მაგრამ... სხვა გზა აღარ გვქონდა.

— ვიცი, — დამიანემ ცხვირსახოცი ამოიღო და შეოფლილი სახე შეიწმინდა, — რომ გაგიჭირდებათ, მაშინ ყველა გზა დამიანესკენ მოდის.

— ასეა, ასეა... მყისვე დაეთანხმა ფეიქრიშვილი, — აი, აგერ განცხადება შემოვიდა...

— რაო, რას წერენ? დამიანემ კაცი მოკლა, თუ სახელმწიფო ქონება გაფლანგაო?

— ხა-ხა-ხა!.. — ფეიქრიშვილმა თვითონაც გადაიხარხარა და სარდიონს და მინაგოსაც წამქეზებელი მზერა შეავლო, თქვენც ამყევითო. იმათაც მყისვე ხმამაღლა გადაიხარხარეს:

— შეიძლება, წავიკითხო? — დამიანემ მოკლე, მსუქანი ხელი განცხადებისკენ გასწია.

— რა თქმა უნდა!.. — ლონგინოზი წამოიწია და დამიანეს განცხადება ისე მიაწოდა.

სანამ დამიანე განცხადებას კითხულობდა, დანარჩენები ჩუმად ისხდნენ. კაბინეტში მხოლოდ კედლის საათის ტიკტიკი ისმოდა.

დამიანემ კითხვა ჩაათავა და განცხადება ფეიქრიშვილის წინ დასდო:

— ეგ გოლეთიანი განათლებული კაცი ყოფილა. ისეთ სიტყვებს ხმარობს, რომ ყველა ვერც კი გაჰბედავს: „მაშინ, როცა ჩვენი სამშობლო"... „საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება"... „საბჭოთა კანონი და ადამიანი"... ხომ არ დაგვეწინაურებინა, ა?

— ხა-ხა-ხა!.. — მყისვე ახარხარდნენ ლონგინოზიც, სარდიონიცა და მინაგოც. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვებზე ნაკლებ მინაგოს ეცინებოდა... მან უკვე იცოდა, რომ ის თათბირი, როგორც არ უნდა გათავებულიყო, რაიკომის მდივანი მას კაბინეტში დაიტოვებდა და ცხრაპირ ტყავს გააძრობდა. მაგრამ რა უნდა ექნა? სიცილი საჭირო იყო და იცინოდა.

ფეიქრიშვილმა ზარის ღილაკს ხელი დააჭირა და შემოსულ თეთრკაბიან ქალიშვილს ბორჯომის მოტანა უბრძანა. ეს დანარჩენებმა ისე გაიგეს, რომ სიცილის დრო აღარ იყო და უნდა დასერიოზულებულიყვნენ. ფეიქრიშვილმა შემოტანილი ბორჯომი ყველას შესთავაზა, თვითონაც დალია და ბოთლი გვერდზე მიდგა.

— განცხადება, რა თქმა უნდა, სხვისი დაწერილია. მოწაფის ხელს ჰგავს. მაგრამ თვითონ ბერიკაცი კი — ეს გოლეთიანი — ნამდვილად შეწუხებულია, ბატონო დამიანე.

— მჯერა. — მყისვე დაუდასტურა დამიანემ.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. სარდიონი ხედავდა, რომ ფეიქრიშვილი ფიქრობდა და რაღაც სათქმელს ამზადებდა. მართლაც, რაიკომის მდივანი წამოდგა, კაბინეტში გაიარ-გამოიარა და ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. და-



სახელმწიფო რესპუბლიკ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯდომისას მინაგო ჩარკვიანს მრავალმნიშვნელოვანი მზერა შეავლო და გოლეთიანის განცხადება გვერდზე მისწია.

— მეორე შახტის პარტორგანიზაციის მდივანს, ეტყობა, ზედმეტად მიაჩნია რაიკომის ინფორმირება ასეთ საქმეებზე. შენ დაგავიწყდა, ჩემო მინაგო, რომ კონსერვების და სახერხი ქარხნის კი არა, შახტის პარტკომის მდივანი ხარ. მაგრამ ამაზე მე და შენ მერე მოვილაპარაკებთ. ახლა მე გეკითხები შენ, ჩემო სარდიონ: რომელ ხელთუფლიშვილზეა ლაპარაკი·აი, ამ განცხადებაში? — ფეიქრიშვილმა გოლეთიანის განცხადება ისევ სარდიონისკენ მისწია.

— ჯიბრაილ ხელთუფლიშვილზე. — მხრების აჩეჩვით მიუგო სარდიონმა.

— მერე?

რაიკომის მდივანი ერთ ხანს ამაოდ ელოდა პასუხს თავის შეკითხვაზე.

— მიპასუხეთ, ადამიანებო! ეს ის ჯიბრაილ ხელთუფლიშვილი არ არის, სამი წელიწადი, თუ მეტი, პირდაპირ ცაში რომ აგვყავდა? სამი წელიწადი — სამჯერ სამას სამოცდახუთი დღე მისი ქებით ქვეყანა რომ გავაყრუეთ? ის ჯიბრაილია, თუ არა? თუ ეს სამი წელიწადი თავსაც ვიტყუებდით და ქვეყანასაც თვალებს ვუხვევდით? და ეს კაცი მუშაობდა ცუდად, უბანსაც ცუდად ხელმძღვანელობდა და ჩვენც გვატყუებდა? არა, ქვეყანამ იცის, რომ ძალიან კარგად, საარაკოდ მუშაობდა, თითით საჩვენებელი კაცი იყო. და ჩვენც ვაფასებდით. დამსახურებისამებრ ვაფასებდით. ქალაქში ერთი კორესპონდენტი არ ჩამოსულა, რომ აქედან ჯიბრაილის ფოტოსურათები და ქება-დიდება არ წაელო. და ასეთი კაცი, ასეთი სახელოვანი და საჭირო კაცი თქვენ თანამდებობიდან მოხსენით! მოხსენით, გააბიაბრუეთ და ქუჩაში გააგდეთ. და ამ ამბავს მე, რაიკომის მდივანი, შემთხვევით, კერძო პირის განცხადებით ვგებულობ. აი, როგორი პარტორგანიზაციის მდივანი გვყოლია მეორე შახტზე!

ლონგინოზ ფეიქრიშვილს ველარ იცნობდით. წელანდელი გულღია მასპინძლისა და გულითადი მოსაუბრის ნაცვლად ახლა მაგიდას მრისხანებისაგან პირგამეხებული, ფერდაკარგული კაცი უჯდა, და ისიც კი აღარ იცოდა, მღელვარებისაგან აცახცახებული ხელები სად წაეღო.

სარდიონიცა და დამიანეც მიხვედრილნი იყვნენ, რომ მინაგოსთან და, მით უმეტეს, მათთან ასეთი ტონით ლაპარაკი ლონგინოზ ფეიქრიშვილს განზრახული არ ჰქონია. უბრალოდ, ახლა თავს ველარ იკავებდა. სარდიონიცა და დამიანეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. დამიანე იმიტომ, რომ ჩვეულებრივ ქალაქში მისი თანდასწრებით ხმის ამაღლებას ყველა, და მათ შორის რაიკომის მდივანიც ერიდებოდა. სარდიონი კი იმიტომ, რომ მინაგო ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო იყო. ესეც არ იყოს, ლონგინოზ ფეიქრიშვილი ახლა მხოლოდ იმიტომ კი არ ბრაზობდა, რომ მომხდარი ამბავი დროზე არ შეატყობინეს, არამედ უფრო იმიტომ, რომ მან — თითონაც ძველმა მეშახტემ — ძალიან კარგად იცოდა, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჯიბრაილის მოხსნას და მის ადგილზე გამოუცდელი ინჟინრის დანიშვნას. მეორე შახტი კი ყველაზე დიდი იყო მთელ ქალაქში და მის მუშაობაზე დიდად იყო დამოკიდებული როგორც ტრესტის, ისე მთელი რაიონისა და ქალაქის კეთილდღეობა.

უხერხულობა და ხმის ამაღლების უადგილობა, ალბათ, თვითონ ლონგინოზმაც იგრძნო. უფრო მეტიც. გულში იგი სარდიონისა და, თუ გნებავთ, მინაგოს მხარეზეც კი იყო. ამათ რა უნდა ექნათ? კანონი დამიანე ჰყონიას მხარეზეა. ლონგინოზ ფეიქრიშვილს ესენი არ შეეშლება. დამიანემ უბრძანა და... მაგრამ — მაინც: ამ წამხდარ საქმეს ახლა რა უნდა ეშველოს? რატომ სდუმან სარდიონიცა და მინაგოც? მათ-

ტო ლონგინოზმა რა უნდა გააკეთოს?

ლონგინოზი წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა და კაბინეტში გაიარ-გამოიარა. აშკარად ცდილობდა, დამშვიდებულიყო და ამის შემდეგ მაინც უფრო მშვიდად ელაპარაკა. იგი სარდიონს მიუბრუნდა და ის-ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ კარი გაიღო და მდივანმა ქალიშვილმა შემოიხედა.

— რა იყო?

— გუშინდელი კაცი მოვიდა.

— ვინ გუშინდელი კაცი?

— ის, ფეხმტკივანი.

— მერე?

— პირდაპირ მახრჩობს, განცხადების პასუხი მომეცით.

— ასე მალე? — ლონგინოზმა ღიმილი ძლივს შეიკავა. ჩაელიმათ დანარჩენებსაც.

— ვერაფერი გავაგებინე!

— ჰმ! უთხარი, შემოვიდეს.

ერთი წუთის შემდეგ რაიკომის მდივნის კაბინეტი გოლეთიანის ხვნეშით და ყავარჯნის ბაკაბუკით აივსო.

— მობრძანდით, მობრძანდით.

გოლეთიანი კაბინეტში შემოიზვინა, ფანჯარასთან გაჩერდა და დამხვდურებს თავი სათითაოდ დაუკრა. ფართო, შეწითლებულ სახეზე ოფლი ღვარად მოსდიოდა.

— გისმენთ!

— ჩვენ, რასაკვირველია, ჩვენი განცხადების თაობაზე გეახელით.

— კი, მესმის. აი, ჩვენ, სწორედ მაგ საკითხზე ვთათბირობთ. თუ გნებავთ, დაგვესწარით. საიდუმლო აქ არაფერია.

— არა. ჩემი დასწრება საჭირო არ არის. მთავრობამ და მთელმა ხალხმა ასეთი თანამდებობები განდოთ და, მე მგონი, შეძლებისამებრ, თავს არ დაიზოგავთ, რომ, რასაკვირველია... მაგრამ ჩემს მდგომარეობასაც მიხედეთ. სარდიონ, შენ შემოგევლე! ეგ განცხადება რომ მომქონდა, შენთვის არ დამიმალავსა და ყველაფერი შეგატყობინე. ასეთ დღეში ვარ, ისე გავიტანჯეთ მეც და მთელი ჩემი ოჯახიც, რომ ამაზე უარესი აღარ შეიძლება. ყველა შემოგვეცალა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ყველა მოსისხლე მტრად მოგვეკიდა. არადა, ისეთი დანაშაული არაფერი მიმიძღვის. მთელი ჩემი სიცოცხლე, რაც ჩემი თავი მახსოვს, ხალხის სამსახურში, შენ ხარ ჩემი ბატონი, მთავრობის და პარტიის სამსახურში...

— გვესმის, გვესმის, — ღიმილით შეაწყვეტინა ლონგინოზ ფეიქრიშვილმა. გოლეთიანის მოსვლამ რაიკომის მდივანს, ცოტა არ იყოს, გუნება გამოუსწორა. — თქვენ მიბრძანდით ახლა, ამხანაგო დიანოს. ხომ გვენდობით? წაბრძანდით, ეგ მტკივანი ფეხი დაასვენეთ... ჩვენ კი ამ საქმეს ისე მოვუვლით, როგორც... ერთი სიტყვით, ჩვენ ყველაფერს მოვინდომებთ.

— მარტო მონდომება, შენ ხარ ჩემი ბატონი, მარტო მონდომება რას გვიშველის, თუ კი რომ... ერთი სიტყვით... ესე იგი, ამ საქმეში ბევრი რამე ბატონ დამიანეზეა დამოკიდებული და აგერ, მთელი უბნის და შახტის სახელით გთხოვთ, ბატონო დამიანე, პირდაპირ ძალიანა გთხოვთ, რომ... რაც კი გაეწყობოდეს და რაც კი გვესაშველებოდეს... მე მგონი...

— კი, კი, კი... — დამიანეს მაგივრად უპასუხა ფეიქრიშვილმა, — ყველაფერს. გვერწმუნე, დიანოს, ყველაფერს გავაკეთებთ. თავებს არ დავიზოგავთ.

— აბა, თქვენ იცით!

გოლეთიანმა შეოფლილი სახე იდაყვით შეიწმინდა და ყავარჯენი მოიმარჯვა. იმ ყავარჯნის ბაკაბუკი და გოლეთიანის ხვნეშა ადგილიდან დაიძრა და ერთი წუთის შემდეგ შავი ლიდერინით აკრულ კარს უკან დაიკარგა.

ლონგინოზ ფეიქრიშვილი აუჩქარებლად მივიდა კარებთან და გასაღებით ჩაჰკეტა.

ყველამ იგრძნო, რომ მთავარი ლაპარაკი ახლა უნდა დაწყებულიყო. სარდიონი და დამიანე თავიანთ სკამებზე გასწორდნენ. მინაგო კი უხალისოდ იჯდა. არც განძრეულა, ოღონდ ხელში რაღაც ქაღალდის ნაგლეჯს აწვალებდა.

ლონგინოზი თავის ადგილზე დაჯდა. ერთხანს ისიც სდუმდა. მერე ალაპარაკდა:

— ნუ გამიგებთ ისე, თითქოს შახტის შინაურ საქმეებში ჩარევას ვაპირებდე. უბნის უფროსის თანამდებობა რაიკომის ნომენკლატურა არ არის და მარტო შახტის უფროსის საქმეა, ამ თანამდებობაზე ვის, როდის და რატომ ჩააყენებს, მაგრამ ის, რაც ამ დღეებში მცირე შახტზე მოხდა, — ანუ, უკეთ, მომხდარა, — მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. — ეს ამბავი ნამდვილად ცილდება ამ შახტის ფარგლებს და ამიტომ, ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, ნება მომეცით ამ საქმის შესახებ ჩემი აზრი მოგახსენოთ. ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მოხსნა და მის ადგილზე სხვა ადამიანის დანიშვნა, — ვინც არ უნდა იყოს ეს ადამიანი, ამაზე მე ჯერ არ ვლაპარაკობ, — ეს არ გახლავთ თანამდებობაზე ერთი პირის ნაცვლად, უბრალოდ, მეორე პირის დანიშვნა. ხელთუფლიშვილის მოხსნა — ეს არის უმძიმესი ტრავმა, უპირველეს ყოვლისა, უბნის კოლექტივისათვის; ეს არის არა მარტო უბნის, არამედ მთელი შახტის და, თუ გნებავთ, მთელი ტრესტის კეთილდღეობის კითხვის ქვეშ დაყენება. სხვათა შორის, მე ბატონ აკაკისაც ვთხოვე მობრძანებულიყო და რატომღაც იგვიანებს. შეიძლება, სულაც არ მოვიდეს. ვნახოთ. იქნება, რამე საქმეებმა დააკავეს... დაბოლოს, ჯიბრაილის მოხსნა — ეს არის ვეებერთელა კითხვის ნიშანი მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. მე წეღანაც მოგახსენეთ, ქალაქში ჯერ კორესპონდენტი არ ჩამოსულა, რომ ჯიბრაილის სურათები და ქება-დიდება არ გაგვეტანებინოს. იგივე კორესპონდენტები აქ ხვალაც ჩამოვლენ, გვკითხავენ, თქვენი სახელგანთქმული უბნის უფროსი როგორ არისო და... მე არ ვიცი, აი, პირდაპირ არ ვიცი, მაშინ ჩვენ იმათ რა უნდა ვუპასუხოთ. აი, ამ საკითხებზე მოსალაპარაკებლად შეგაწუხეთ და იმედია, არ იფიქრებთ, ეს ადამიანი დროს ტყუილად გვაკარგვინებსო. ახლა... მე საქმის ვითარება დაახლოებით ვიცი. აი, ამ განცხადებიდან. თუ შენ, სარდიონ, რამე დასამატებელი გაქვს, გვითხარი და გისმენთ.

— დასამატებელი არაფერი მაქვს.

— შენი ნებაა. თქვენ, ბატონო დამიანე?

— ჰმ!.. — დამიანემ ამოიხვნეშა და თავი გადააქნია, — მე დასამატებელი არაფერი მაქვს. ისე კი, გულახდილად და პირდაპირ ვიტყვი: ჯიბრაილ ხელთუფლიშვილის მოხსნა, — თუ კი ამას მოხსნა ჰქვია, — და შახტის კეთილდღეობის კითხვის ქვეშ დაყენება, აი, ჩვენი სარდიონის კისერზეა. ეს ცოდვა ამას უნდა მოეკითხოს. სარდიონს და მეტს არავის.

— ვაი, საწყალი სარდიონის ბრალი თქვენს ხელში. — სარდიონმა ხელი ჩაიქნია.

— მოიცა, მოიცა...

— ბატონო, მე...

— მოიცა!.. მადროვე. ჩვენ აქ გულახდილი ლაპარაკისთვის ვართ დაბარებული, და არა იმისთვის, რომ ერთმანეთს ხელები შევახოცოთ. მოიცა! მალაპარაკე! მე შენ სამი წლის წინათ გითხარი, მაგ ბიჭს ჯიბეში რაიმე დიპლომი ედოს-მეთქი. არ გითხარი? არ გაგაფრთხილე? აბა, თქვი ერთი! ბრძანე!

— მე დიპლომებს სახლში კი არ ვამზადებ.

— ჰოო! არ ამზადებ? აბა, დამიანე ჰყონიამ რა გიყოს? დამიანემ შენს მაგივრად პასუხი აგოს? ნურას უკაცრავად! ის დრო წავიდა! სამი წელიწადი გაცალეთ, სამი! ვფიქრობდი, აი, ახლა ინამუსებენ, აი, ახლა გაინძრევიან... რამდენი ვინმე ამ სამ წელიწადში დაუსწრებელზე მოეწყო, რამდენი ტექნიკუმში შევიდა... თქვენ კი — არა და არა! არა და არა! ჰო-და — მე რაღა გიყოთ? ჩვენ სახელმწიფოს კი მკაცრი კანონი აქვს: უდიპლომო და უსწავლელ ადამიანებს ჩვენ მეშახტეების ბედს ვერ ვანდობთ. მეხუთე პარაგრაფი — წაი-

კითხე! მეხუთე! მეოცდახუთე და მესამოცე კი არა, მე-ხუ-თე! ეს პარაგრაფი პირველ გვერდზე სწერია.

— ვიცით, ბატონო... წაგვიკითხავს...

— მარტო წაკითხვა ეყოფა?

— მე გითხარი. დიპლომებს სახლში არ ვამზადებ-მეთქი. ჯიბრაილი კი ინსტიტუტში ვერ მოეწყობოდა — მაგას საშუალო ცოდნაც კი არა აქვს.

— მით უკეთესი! მით უკეთესი!

— საშუალო ცოდნაც კი არა აქვს? — რაიკომის მდივანი სახტად დარჩა.

— არა! — დამიანე ალარავის აცლიდა, — ცოდნა რა საჭიროა? ან განათლება რა საჭიროა?! ესენი პრაქტიკოსები ბრძანდებიან! ამათ მეშახტეები ენდობიან! შენ კი, დამიანე ჰყონია, დადექი და ითვალე, რამდენ მეშახტეს ეს პრაქტიკოსები კისერს მოატეხინებენ.

— გოლეთიანისათვის კისერი არავის მოუტეხინებია. მაგან კისერი თვითონ მოიტეხა.

— ეგ მე არ ვიცი! მე სახელმწიფო ჯამაგირს იმაში მიხდის, რომ კანონების შესრულებას თვალყური ვადევნო და მე ამას როგორმე მოვახერხებ. და თუ მე ზოგჯერ თვალებს განგებ ვხუჭავ და თქვენს ნებაზე გიშვებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაუთავებლად ასე იქნება. მე შენ ზუსტად სამი წლის წინათ გაგაფრთხილე! მორჩა!

— მაგ ოჯახაშენებულს საშუალო მაინც დაემთავრებინა. — ლონგინოზ ფეიქრიშვილი აშკარად შეფიქრიანებული იყო.

სარდიონმა ამოიხვნეშა და ხელი ჩაიქნია.

აღელვებული, ოფლში გახვითქული დამიანე აბრეშუმის ცხვირსახოცით იმავე აბრეშუმივით მოლაპლაპე სახეს იწმენდდა.

— სამი წელიწადი! პატარა ვადაა? მითხარით, პატარა ვადაა? არა. ამათ ოცდაათი წელიწადი მომინდომეს.

— დაწყნარდით, ბატონო დამიანე. ძალიან გთხოვთ!

— მე ძალიან დაწყნარებული ვარ. მე ჩიმი გავაკეთე.

— კი, მაგრამ...

— ბატონო?

— ის პარაგრაფი მეც ვიცი. — ლონგინოზი ცდილობდა, დამიანესთან რაც შეიძლებოდა, თბილად და დაყვავებით ელაპარაკა, — მეც ვიცი... მაგრამ... ეგ პარაგრაფი გვასწავლის, რომ უნდა ვიზრუნოთ მეშახტეების უსაფრთხოებაზე. ასე არ არის? ეგ პარაგრაფი გვიკრძალავს, რომ მეშახტის ბედ-იღბალი შემთხვევით ხალხს ვანდოთ. ხომ ასეა, არა? მერე, ამ შემთხვევაში რა გამოვიდა?

— რა გამოვიდა?! — დამიანემ ცხვირსახოციანი ხელი მელოტ კეფასთან გააჩერა.

— რა და ის, რომ სარდიონი იძულებული გახდა. უბანი ახალგაზრდა, გამოუცდელი ინჟინრისათვის ჩაებარებინა.

— უკაცრავად! უკაცრავად! ინჟინერი, დიპლომიანი სამთო ინჟინერი — შემთხვევითი ადამიანია?!

— არა, მე ეგ არ მითქვამს. მაგრამ... თქვენ შესანიშნავად მოგეხსენებათ, ბატონო დამიანე, რომ ახალგაზრდა, პირდაპირ თბილისიდან ჩამოსული ინჟინერი ჯერ ხალხს უნდა გაეცნოს, ადგილობრივი სამთო პირობები კარგად შეისწავლოს, ასე ვთქვათ, სამთო აკლიმატიზაცია უნდა გაიაროს და მერე...

— მერე? ვინ გითხრათ, უბნის უფროსად გამოუცდელი ინჟინერი დააყენეთო? მე ეგ არ მითქვამს.

— აი, ბატონო, ამ განცხადებაში წერია, სარდიონ რაჭველიშვილმა უბნის უფროსად პირდაპირ მატარებლიდან ჩამოსული ბავშვი დაგვიყენაო.

— ეგ მე არ ვიცი!

— ასე ყოფილა, ბატონო დამიანე!

— ეგ მე არ ვიცი!

— ჰმ!..

— მაგ ბავშვს, — სარდიონმა ორივე ხელი სახეზე ჩამოისვა, — მაგ ბავშვს ინჟინრის დიპლომი მატარებელში ჩაჯდომისას უკვე ჯიბეში ედო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სარდიონ, ხუმრობისთვის გცალია?!

— სრულ სიმართლეს მოგახსენებთ!

— წითელი დიპლომი აქვს, — ამოღერღა მინაგომაც.

— შენ — სუ! — ლონგინოზმა მინაგოს თითი დაუქნია, — შენ ხმას ნუ იღებ.

— მოიცათ, მოიცათ, მოიცათ... — წამოჭარხლებული დამიანე წამოხტა და კაბინეტში სიარულს მოჰყვა, — ეს რაღა ამბავია? ჯერ ერთი, დიპლომი თუ აქვს, რაღა ბავშვია. და მეორეც: თუ ბავშვია, რატომ დანიშნეთ. შახტსა და ტრესტში ინჟინრები გამოგელიათ?

— ტრესტი მე არ მემორჩილება. შახტზე კი ყველა ინჟინერს თავისი საქმე აქვს. უსაქმოდ არავინ არის.

— ესე იგი? უბანი ბავშვს უნდა ჩააბარო?

— შენ თვითონ ბრძანე, თუ ინჟინერია, რაღა ბავშვიაო.

— სიტყვაზე მიჭერ?

— არა, ბატონო, დოკუმენტებს ვენდობი. იმ წითელ დიპლომში წერია, ამის წარმომდგენი ინჟინერიაო. მეხუთე პარაგრაფი კი გვასწავლის, შახტებში პასუხსაგებ თანამდებობებზე მხოლოდ ინჟინრები და ტექნიკოსები დააყენეთო. რაღა გინდათ?

— მე არაფერი. — დამიანემ ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიტენა, — ოღონდ გახსოვდეს, სარდიონ: თუ მაგ უბანზე...

— უკაცრავად, უკაცრავად!.. შეაწყვეტინა დამიანეს ფეიქრიშვილმა, — ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ, მაგრამ... სარდიონს ახლა რაღას ერჩით? კანონში წერია, ინჟინერიო. ამასაც ინჟინერი დაუნიშნავს. რაღას ერჩით?

— არ ვიცი, ღმერთმანი! — სარდიონმა ხელებიც კი გაშალა, — კანონში ხომ არ წერია, გამოცდილი ინჟინერი დანიშნეთო. უბრალოდ — ინჟინერი დანიშნეთო. მეც დავნიშნე. ახლა ის უბანი სულაც რომ დაიქცეს, მე ვერავინ ვერაფერს დამაკლებს. მორჩა!

— ნამდვილად ასეა! — ღიმილით დაუდასტურა ფეიქრიშვილმა.

— ჰმ!.. — დამიანე სიტყვას ველარ პოულობდა. — ჰმ!..

— ბატონო დამიანე! — ლონგინოზმა ბორჯომი დაისხა, — ჩვენ აქ იმისთვის ხომ არ შევკრებილვართ, რომ ერთმანეთს ფორმალისტიკაში შევეჯიბროთ. ბავშვები ხომ აღარა ვართ... ხალხმა, პარტიამ, მთავრობამ ასეთი საქმე გვანდო. ნუთუ ჩვენ, ამდენი ხნის, ამდენის მომსწრე და მნახველი ხალხი იმას ვერ მოვახერხებთ, რომ მიღწეული მაინც შევინარჩუნოთ? უკაცრავად! ჰკუის დარიგებას სულაც არ გიპირებთ, მაგრამ... თუ ჩვენ ასე დავიქსაქსეთ, თუ სამთო ზედამხედველობამ ცხოვრებას მხოლოდ პარაგრაფებიდან უცქირა, თუ შახტების ხელმძღვანელობამ საქმეები მხოლოდ ფორმალურად მოაგვარა, — ხომ ვიცით, რა დღეშიც ჩავვარდებით? არადა, რატომ? რა ძალა გვადგია? ეს საათივით აწყობილი უბანი, ეს შახტი, ეს ტრესტი...

— უკაცრავად! დიდი ბოდიში, ძალიან დიდი ბოდიში, რომ გაწყვეტინებთ. მაგრამ შახტის ხელმძღვანელობას ვინ დაავალა, ან ვინ თხოვა, ან უფლება ვინ მისცა, საქმეები ფორმალურად მოაგვარეო? ვინ? მე? სამთო ზედამხედველმა? დამიანე ჰყონიამ?

— ბატონო დამიანე, თქვენ მე სწორედ ვერ გამიგეთ...

— მე ვუთხარი სარდიონ რაჭველიშვილს, საქმეები ფორმალურად მოაგვარეო?

— ბატონო დამიანე!

— დამიანე, რას გეტყვი, იცი? მოდი, დაჯექი შენ ცოტა ხანს ჩემს ადგილზე და ერთი ვნახავ, საქმეებს როგორ არაფორმალურად მოაგვარებ.

— ვიჯექი. მე უკვე ვიჯექი შენს ადგილზე. მიმუშავია შახტის უფროსად.

— და არც ერთი პრაქტიკოსი თანამდებობაზე არ გყოლია, ხომ?

— პრაქტიკოსი!

— არ გყოლია, ხომ?

— მაშინ სხვა დრო იყო. მაშინ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოში სულ ათი ინჟინერი არ იქნებოდა. შეადარა! მაშინ და ახლა! შეადარა!

— კარგი ერთი და!.. — სარდიონმა დამიანეს გვერდი შეაქცია.

— დაწყნარდით, დაწყნარდით! აქ საკამათოდ კი არ შევკრებილვართ. მოვინდომოთ, ხალხო, ამხანაგებო, მოვინდომოთ და საქმეს რეალურად მივუდგეთ. ორიოდე სიტყვა მაქვს, ბატონო დამიანე!

— ბრძანეთ!

— ხალხო! ამხანაგებო! მაინცადამაინც დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ამხანაგი სარდიონის საქციელი — ახალგაზრდა ინჟინრის ასე ხელის ერთი მოქნევით დანიშვნა უბნის უფროსის თანამდებობაზე — ეს საქციელი ცოტა ნაჩქარევიცაა და, ცოტა არ იყოს, გაჯავრებული კაცის ნამოქმედარს მოგვაგონებს. არა, მე იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს სარდიონს დიდი არჩევანი ჰქონდა და ეს საქმე ვიღაცის გამოჯავრებით გააკეთა. არა. ვიცით, გვიჭირს. მაგრამ...

— ბატონო, ბატონო! — ახლა სარდიონმა ველარ მოითმინა და რაიკომის მდივანს სიტყვა შეაწყვეტინა, — ბატონო, აგერ თქვენ, აგერ ეს ჩემი შახტი და აგერ ეს იქაური ინჟინერ-ტექნიკოსები... თქვენ...

— მადროვე, სარდიონ, — სთხოვა ლონგინოზმა, — მადროვე. არ გამტყუნებ...

— რაღა გადროვოთ, ქრისტიანებო! აგერ ის ხალხი, ბატონო! თუ თქვენ იქიდან ერთ კაცს ისე ამომირჩევთ, რომ საქმე არ დაზარალდეს, რომ სხვა უბანი არ ჩამორჩეს. აი, ბატონო, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! იმე! თუ სხვანაირად არ გამოდის? რა ვქნა? თავი ჩამოვიხრჩო?!..

სიჩუმე ჩამოვარდა. მართლაც, ადვილი მისახვედრი იყო, რომ ახალგაზრდა ინჟინრის დანიშვნას სარდიონი თავის თავს დიდ გამჭრიახობად და ვაჟკაცობად არ უთვლიდა. ამ ადამიანს სხვა რაღა უნდა ექნა? ესეც არ იყოს, ლონგინოზიცა და დამიანეც სარდიონს კარგად იცნობდნენ და იცოდნენ, რომ რაკი ის ბიჭი დანიშნა, თვალყურსაც მიადევნებდა, მხარში ამოუდგებოდა, პირდაპირ — მის მაგივრად იმუშავებდა და სამშვიდობოს გაიყვანდა. მაგისთანა ახალგაზრდები სარდიონს არა ერთი გამოუზრდია და ეს ერთიც იმათთან იყოს. და იქნება კიდეც! მაგრამ — მაინც: ახალგაზრდა, გამოუცდელი ინჟინერი და — პირდაპირ ამოდენა უბნის უფროსად? ასეთი რამ არც მომხდარა და არც გაგონილა.

— აკაკი სად-ღა დაიკარგა? — ლონგინოზმა ამოიხვნეშა და ტელეფონის ყურმილი აიღო, — იქნებ, იმან მაინც მოგვარიგოს.

მაგრამ რაიკომის მდივანი კარგა ხანს ამაოდ რეკავდა ტრესტის მმართველის კაბინეტში. იქ ყურმილს არავინ იღებდა.

— არ ჩანს. — ლონგინოზმა ყურმილი მიაგდო, — მერე მოვა და თავს გაიმართლებს. სასწრაფო საქმე გამიჩნდაო. რას იზამ! ტრესტის მმართველი თავის გამართლებას ყოველთვის მოახერხებს... — ბორჯომის ბოთლი გვერდზე გადგა და მაგიდის მწვანე მაუდს ხელი გადაუსვა. — რა ვქნათ, ამხანაგებო?

— ხელთუფლიშვილის აღდგენაზე ლაპარაკიც ზედმეტია. — მკვახედ ისროლა დამიანემ.

— კარგი. გავიგეთ. სხვა?

— უბანს ახალი უფროსი უკვე ჰყავს. — მხრების აჩეჩვით წაიბურტყუნა სარდიონმა.

— გაგიჭირდება, სარდიონ. — ფერქრიშვილმა თავი მძიმედ გადააქნია.

— ვიცი, ისიც ვიცი, რომ არავინ დამეხმარება და იმოდენა ტვირთი მარტო უნდა ვზიდო, ვიცი.

— კარგი ახლა, კარგი... ნერვებს ნუ აჰყვები... ან ვის ადანაშაულებ?

— არავის, ბატონო!

— ჰოდა, სწორიცაა. შენ თვითონაც იცი, რომ... ერთი სიტყვით, ეს მითხა-

ეროვნული

რი: მოადგილედ იმ ახალგაზრდას ვინ ეყოლება?

— ვინც ჯიბრაილს ჰყავდა.

— ანთიმოზ ჩახუნაშვილი. — მინაგომ, როგორც იქნა, ხმის ამოღება გაბედა.

— ჰმ! ვიცნობ... ჰმ! არ შეიძლება, ერთი საქმე გავაკეთოთ? — ფეიქრიშვილმა დამიანეს ალმაცერად, მოლოდინით გახედა. დამიანეს ეს არ შეუმჩნევია.

— რა საქმე? — სარდიონი აშკარად დაინტერესდა.

— მოადგილედ იმ ჰაბუკს... მოადგილედ ჯიბრაილი დავუყენოთ? ა? — ფეიქრიშვილმა ისევ დამიანეს შეავლო მზერა.

— იჰ! — სარდიონმა ხელი ჩაიქნია.

— რა იყო?

— იყო! ჩახუნაშვილის მოხსნა არ გინდა? მოკვდება და მაგ თანამდებობას არ დათმობს... ჯიბრაილიც, რა ვიცი მე, როგორ ხასიათზეა.

— არა! — მოულოდნელად მკვახედ ისროლა დამიანემ, — ეგ არ შეიძლება! სამთო განათლება და დიპლომი მოადგილესაც უნდა ჰქონდეს! — და წამოდგა.

აშკარა იყო, რომ თათბირი უშედეგო გამოდგა. ლაპარაკის გაგრძელებას აღარავითარი აზრი აღარ ჰქონდა. ფეიქრიშვილიც წამოდგა და ბორჯომის ბოთლს ადგილი ერთხელაც შეუნაცვლა და სარდიონს მრავალმეტყველი მზერა შეავლო, — ჯერჯერობით მეტი რაღა შემიძლიაო. სარდიონმა თავი დაუქნია. ერთხანს უხმოდ იდგა მერე კი მძიმე ნაბიჯით წავიდა კარისაკენ.

— მე დავრჩე? — მინაგო ფეხზე წამომდგარიყო და რაიკომის მდივანს შესცქეროდა.

— ეჰ! — ფეიქრიშვილმა ხელი უგუნებოდ ჩაიქნია და მინაგოს აგრძნობინა, აღარაფერში მჭირდებიო.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თედო ბექიშვილი

* * *

ყველაფერს უნდა ჩემი დასტური:
სიყვარულსა და ჯალათის მახვილს,
ქარების ქროლას და ბალახთა აბიბინებას,
უსამანოდ გადახსნილ ზეცას,
და მაღლა მავალ მზეს და მთვარეს
ჩემგან ჭირდებათ აღიარება —
ჩემს ჭიშკართან მშვიდად იცდიან...

მე კი ახლა —
ხურვებიანი ავადმყოფი ლოგინში ვწევარ
და გულისამრევ მწარე აბებს
ვყლაპავ ძალათი.

* * *

ისე ხასხასებს ამ საფლავზე
მორწყული მოლი,
ისე საყვარლად მოვლილია აქაურობა,—
ნეტა ეს მწვანე, ნორჩი ბალახი
ჩემს მკერდზე იდგეს და ბიბინებდეს...

ო, მქუხარების ჩავლილო წლებო,
ო, სიმშვიდევ მიუღწეველო!

* * *

ვისი ცოდვაა
ჩემს დღეებს რომ ლანდივით მოსდევს?
ვისი მზერაა
იდუმალი, მოუცილები,
ნაბიჯს რომ მირევს,
მებორკება ფეხში ჯაგივით?
რა შხამია დალექილი
ჩემს ბებერ სისხლში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ღვარძლიან მოსავალს ვიმკი,
რომელ წინაპრის,
რომელ დროის,
რომელ თაობის?
ჩავყურებ წარსულს —
ბნელით სავსე უძირო ნაპრალს
და ვგრძნობ:
თანდათან ფსკერი როგორ ამოდის მაღლა,
ხავერდოვანი, ხავსიანი
ფიანდაზად მეგება ფერხთით...
ვინ, ვინ მომძებნის
მეც ასევე ათას წლის მერე?
ვის გზა- კვალს ავრევ,
ვის სიხარულს ავეფარები
ჩემი ცხოვრების
ცთომილიან გზების წყალობით?..

* * *

დროს ჩვენი სიყვარული ისე უერთდება,
როგორც ნაკადული დიდ, მღვრიე მდინარეს.
მაინც არა გვჯერა.
მაინც ვუცდით...
რატომ გვაქვს იმის იმედი
რაც ჩვენს წინააღმდეგაა?
დრო... დრო... დრო...
სადაა ქალი,
რომლის გარეშე ცხოვრება
არ შეიძლებოდეს?
შეისრუტეს,
შეიწოვეს ნაკადული მღვრიე ტალღებმა....
და მშვიდად ვკვდები
საკუთარი სულგრძელობის უძრავ ჭაობში.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

* * *

წუხილი —
როგორც სიმახინჯე დაბადებიდან
დაყოლილი,
როგორც ფითრი ხის ტოტებზე,
როგორც სახლში — აბეზარი, ურცხვი
სტუმარი,
როგორც ლანდი — მთვარიანში...

ნუთუ მანამ ვერ მოვიცილებ,
სანამ უმთვარო წყვდიადში არ შევეფარები?
მაშინ შენც, ჩემო სიხარულო
შენც მასთან ერთად,
მის პირისპირ უნდა დაგტოვო,
კრავი მგელს უნდა მიგაბარო...
ვაი რომ მაშინ მწედ და მაშველად,
არ დაგიდგება აღარავინ გვერდით
ძმასავით...

ისე გამომყვა ღიმილი შენი,
როგორც წყალობა,
გლახაკისთვის გამეტებული...

რა საწყალი ვარ,
იმაზეც კი ვერ ვამბობ უარს,
რაიც სულ-გულს არ ეკარება.
მუდამ ჩემთვის, მოფარებულში
უნდა გავცხრილო ყველა განძი,
მარტომ უნდა გადავარჩიო,
რომ არავის დავწყვიტო გული,
რომ ვერავინ შეასწროს თვალი —
დავიწყების ბნელ სანაგვეში
როგორ გადავყრი
თქვენგან მოძღვნილ სუყველა ჯილდოს.

ამომივსე მარტოობა
თავთუხისფერი დალალებით
და წამიყვანე,
წამიყვანე უცხო მხარეში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამავიწყე გარდასულ დღეთა სიცარიელე,
ჩემი ცხოვრების შეჭირხლულ ფანჯრებში
შემოიხედე, სანატრელო,
გემუდარები!
შენზე ნატვრით გაჟღენთილია
ყველა წუთი, ყველა წამი,
ყველა ოხვრა
ამ გულიდან ამოგლეჯილი...
გადმოაბიჯე წარსულის ზღვარიდან,
რომ ჩვენმა ყოფამ
მომავალის სასთუმალზე
იპოვოს შვება,
რომ ყველა შიში,
როგორც შლამი მდინარის ტალღამ,
ჩამოვიტოვოთ
და ანკარა, წმინდა, კრიალა
სხვა კალაპოტში გადავუშვათ
ცხოვრება ჩვენი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# შვილები

მოთხრობა

ცხრა დღე და ღამეს ებრძოდა მამაჩემი სულს. კარის მეზობელი, იორდანე, დღისით ხომ სულ ჩვენთან იყო, ზოგჯერ ღამითაც არ გვშორდებოდა. წამდაუწუმ ავადმყოფთან ტრიალებდა და ამხნევებდა:

— აბა, ფარნაოზ, არ მიღალატო, ბიჭო! ნუ გეშინია, ცოტაც გაუძელი და გეშველავთება. მალე წამოდგები და ისევ შენებურად გაივლ-გამოივლი. ჰე, ფარნაოზ, მომხედე აქეთ, იორდანე ვარ, სხვა კი არავინ!

ხან ცოტა-ცოტა ღვინოს ასმევდა, ხანაც ნიჩაბივით ფართო ხელს ჭრელ საბანქვეშ შეუცურებდა და სულთმობრძავს გალიგვებულ ფეხებზე ჭოპოსანივით უსვამდა, იქნებ ცოტა მაინც გავუთბო და კაცი საამქვეყნოსაკენ შემოვაბრუნოო.

როცა დარწმუნდა, აღარც ღვინო უხდება, აღარც ექიმის წამალი და აღარც სხვა რამეო, მე და ჩემს ორ უმცროს ძმას ხელი ჩაგვავლო, თქვენთან ცალკე სათქმელი სიტყვა მაქვსო და ეზოში გაგვიყვანა. გაგვიბა საუბარი, მისი ბავშვობისას ჩვენი სოფელი ზარგულა როგორი იყო, წინათ ვინ სად ესახლა, ხალხი რა დღეობებს იხდიდა, თვითონ ეკლესიაში პირველი ზიარება როგორ მიიღო. ვფიქრობდი, ჩვენ ახლა ეს ყველაფერი რისთვის გვჭირდება-მეთქი, და მაინცდამაინც გულისყურით ვერ ვუსმენდი. დედაჩემმა შეკივლებით რომ შეიცხადა, მაშინღა მივხვდი, იორდანემ გარეთ რატომ გამოგვიტყუა: არ უნდოდა მამის სიკვდილისთვის გვეყურებინა.

დედაჩემის შეკივლებაზე სამივე ძმამ სახლს მივაშურეთ. იორდანე წინ გადაგვიდგა, ჯერ მე შევალო.

დიდხანს არ გვატირა, განგებ ხან რა საქმე გაგვიჩინა, ხან — რა: აბა, ეს გაიტანეთ და ეს შემოიტანეთ, ეზო მიალაგ-მოალაგეთ, ჭირსაც თავისებური დახვედრა უნდაო. წამით არ გვასვენებდა, უბედურებაზე რომ არ გვეფიქრა.

მესამე დღეს, მამა კუბოში რომ ჩავასვენეთ, მე ღელეს გაღმა ვენახისკენაც კი გამიყოლია, იმ ვენახისკენ, მამაჩემს ყველაზე მეტად რომ უყვარდა, ესაა ჩვენი მარჩენალიო.

— გახედე, ნოშრევან, გახედე, რა კარგად ასხია ამ ძირგახარებულს. ვაი, რომ საწყალ ფარნაოზს ამის მოკრეფა და დაწურვა აღარ დასცალდა, მარა, არც იმის დარდი მიაქვს, ვიღაცა სხვა მოირთვლიანებსო. კარგი შვილები დარჩით, კარგი... ეჰ, მეც რომ ასე

მოვკვდებოდე, საიქიოში სულ ცეკვა-თამაშით წავიდოდი, ღმერთმანი. ცოტა ადრე გიღალატათ, მარა, წუთისოფელი კი უკან ბედნიერად მოიტოვა. დარდს არ დაემონო ახლა შენ, ნოშრევან, ეს ჭირი ყველას სტუმარია... პატივი ეცი მამაშენს, რავარც იმ სულნათელის კაცობას ეკადრება, დარდს კი არ დაემონო. კი, მამის დაკარგვა და ისიც ამისთანა მამის, ადვილი არაა. ხელის განძრევა რომც აღარ შეეძლოს, მამა მაინც მამაა, შვილისთვის მუდამ იმედია, ქომაგიც — ყოველ საქმეში. ეს იმედი და ქომაგი გამოგაკლდა ახლა შენ, მარა, მამობას თუ ვერ გაგიწევთ მეზობლები, ზოგჯერ ხელს მაინც წამოგაშველებთ. რაც არ უნდა დაგჭირდეს, არ დაგზარდებით. აბა, ადამიანები ერთმანეთს სხვაბრე რითი გამოვადგებით?

ვენახს რომ შემოვუარეთ, მე ჭიშკრისკენ გავწიე: ხალხი ალბათ გაკვირვებულია, შვილმა კუბოში ჩაწოლილი მამა შინ მიატოვა, თვითონ კი ვენახში დახეტიალობსო!

იორდანე შეჩერდა, ყორეზე ავიდა, დინჯად ჩამოჯდა და ხელის დაქნევით მეც მიმიწვია:

— ნუ ჩქარობ, შვილო, აგერ მომიჯექი, ჩამოისვენე!

ვენახში ხეტიალი მეუხერხულებოდა, იორდანემ კი სამუსაიფოდ ყორეზე ჩამოჯდომაც შემომთავაზა, ცოტა არ იყოს, მეწყინა, ენის წვერზე დამეკიდა: დაღლილი სულაც არა ვარ-მეთქი, მაგრამ კარის მეზობელს ხათრი ვერ გავუტეხე, ყორესთან მიგდებულ ლოდზე ჩამოვჯექი და თავი ჩავკიდე.

— ცივი ხომ არ არის ქვა?

— არც ისე... მიჩვეული ვარ.

— შენ, ალბათ, გერიდება, ახლა შინ რომ არა ხარ, ხომ? ცოტა კია მოსარიდებელი, მარა, შენი აქ ყოფნაც საჭიროა. მამაშენის სული ჯერ ცაში არ არის, ისევ აქ ტრიალებს, თავის ნაამაგარ მიწა-წყალზე, ყანა-ვენახში. შენ რომ ვენახში დაგინახავს, სიხარულს ჩაიდებს გულში და უფრო იმედიანად წავა იმქვეყნად. აპა!

მერე ერთხანს ორივე ვდუმდით. შემოდგომის მზე პირსახეზე შემომყურებდა და თვალებს მახუჭვინებდა ხოლმე. ახლა საამოც კი იყო მზეში ყოფნა. უცებ მართლა დავიჯერე, რომ მამაჩემის სული აქვე ტრიალებდა, ვაზებთან, და სულ სხვანაირად გავხედე ვენახს. თითქოს ამ ვაზებში იყო გადასული და გამრავლებული მამაჩემის ერთი სიცოცხლე, ის ერთი სიცოცხლე, რომლის თან წაღება არც უფიქრია, ჩვენ დაგვიტოვა სამუდამო სახსოვრად: ჩამიბარებია, აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლითო.

— ნოშრევან, შვილო. იცი, მამაშენი რა მშვიდად გამოეთხოვა წუთისოფელს? ჩემი შეტყობით, სიკვდილის სულ არ ეშინოდა. სიცოცხლე ვის მოსჭარბებია, დიახაც უნდოდა კიდევ მამაშენს, მარა, სიკვდილის კი არ შეშინებია. თუ იცი, რატომ? შენ გტოვებდა კერიის პატრონად, შენთან ერთად — კიდევ ორს. აი, მე კი, ახლა ერთხელაც რომ დავფიქრდი კარგად, უცებ ერთობ შემეშინდა სიკვდილის. ესეც იცი, რატომ? მარტო დავრჩი. მარტოობაზე საშინელი არაფერი ყოფილა დედამიწის ზურგზე. ჰოდა, მეც ამჟამად ცოცხალი მკვდარივით ვარ ხოლმე შინ. ხალხს თურმე ჰგონია, სიგიჟე მივლის, ღამღამობით აივანზე რომ გადმოვდგები და სიმღერა-მოთქმით ვლაპარაკობ. ეგონოს. აპა, რა ვქნა, ბიძია? ჯერ იყო და, შვილები გაგვექც-გამოგვექცნენ, დავრჩით ულლად მე და ჩემი ალათი. მარშან სულგანათლებულმაც მიღალატა და გამექცა საიქიოში. ჰოდა, რა ვილონო მარტოხელამ? ვის ვესაუბრო? ჰოდა, ვესაუბრები ჩემს თავს. სხვანაირად მარტოობას რაფერ მოვერიო? ჯერ სიცოცხლე კი არ მომძულებია, რაღაცის იმედი კიდევ მაქ, აპა, არა მაქ? — იორდანე აქ შეჩერდა წამით, ყურს მიგდებს თუ არაო, მერე შემობრუნდა. გაიხედ-გამოიხედა შიშნარევად და ისევ განაგრძო: — ცოტასაც ვაცლი და თუ არც ერთმა შვილმა არ გამითენა, თუ

არ ქნა პირი სოფლისაკენ, ცოლი უნდა მოვიყვანო! კი, მოვიყვან, აპა არა!

აქამდე მეგონა, იორდანე ლაპარაკით მართობს, გულიდან ჭირი რომ გადამყაროს-მეთქი, მისი ბოლო სიტყვები კი უროსავით მომხვდა, ანაზდად ვერც დავიჯერე, ეს იორდანეს პირით რომ ითქვა, ვიფიქრე, ყურმა მომატყუა-მეთქი. უნებურად გამეღიმა: ამ ჩემი უბედურების დღეს რა დროს ამაზე ლაპარაკია და საერთოდ, რაღა დროს ამ ხნის კაცის ცოლია-მეთქი?!

— გულში გაგეცინა, ნოშრევან, ხომ? გგონია, ისე ბებერი ვარ უკვე, რომ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შინ ხმის გამცემი მინდა, ადამიანის ხმის გაგონება მენატრება ჩემს ეზოსა და კარმიდამოში. არ დამძრახო, ბიჭო, რაღა ამ უბედურების დღეს მოუნდა ამის თქმაო. სხვას კი ვერ ვეტყოდი, შენ გაგიბედე, კარის მეზობელს. შენ ნურავის ეტყვი, ჩვენში დარჩეს. საბოლოოდ სწორედ გუშინ გადავწყვიტე ეს ამბავი გულში, დედაშენი რომ დასტიროდა მამაშენს ცრემლგამშრალი. ჰო, მამაშენი იმითაც არის ბედნიერი, ცოლზე ადრე რომ მიაბარა ღმერთს სული. მამაშენს დედაშენი ტიროდა, მე ვინ მიტირებს? ვიცი, ბევრი დამძრახავს: ამ ზერახჩუას რა ცოლის მოყვანა აუტყდაო, მარა, ერთი ჩემს გულშიც ჩაიხედონ და მერე დამძრახონ!..

ჭირისუფალს, აბა, სად მეცალა, ამაზე ვინმესთან მესაუბრა, არც მერე გამიმხელია ვინმესთვის. ერთხანობას ისიც კი ვიფიქრე: ალბათ, იმ დღეს იორდანე რაღაცამ ააფორიაქა და ასეთი რამ იმიტომ წამოსცდა-მეთქი. გავიდა ორიოდე თვე. ეტყობა, იორდანეს ეს ხვაშიადი გულში აღარ დაეტია, სხვასაც გაანდო და მისი ახირებული ზრახვა მალე მთელმა სოფელმა გაიგო.

ერთმა გაიცინა, მეორემ შეაგინა ბერიკაცს, ზოგმაც ხელი ჩაიქნია: საწყალი სიბერეს გაუსულელებია, იორდანემ გზაზე ქვების სროლა რომ დაიწყოს, ევეც კი არ უნდა გაგიკვირდეთ, მაგას გიჟის მეტი ვინ წაჰყვებაო.

ჰო, ასე იყო: იორდანე სულელადაც კი მონათლეს.

* * *

ჩვენი სოფელი ზარგულა ჩემს ბავშვობაში თითქმის მთლიანად ტყიან მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. მერე სამი გლეხი ვაკეზე გადასახლდა. დიდი გზის პირას, და მიჰყვნენ სხვები.

ქვეყანა წამხედურობით შენდება და ინგრევაო. ჩვენი უბანი საქორიაც მალე შეთხელდა — ხუთი კომლიღა დავრჩით.

მთისკენ მიმავალი გზის ზემოთ, ბაგრატა ცალყურას სამთვალიანი ოდა ძლივსღა დგას ფეხზე. რაც ცხონებულმა ბაგრატამ სული დალია, მის შვილს აქ ფეხი აღარ დაუდგამს. თურმე, ქალაქში სიროფიან წყალს ყიდის და ასე გაიძახის: ჭიქა-ჭიქა წყლის გაყიდვით იმდენ ფულს ვაკეთებ, თვის ბოლოს დათვლა მიჭირს და ამ ხეირის დროს სოფელში რა ჭირი მინდაო.

ბაგრატას ოდის მეზობლად თადეოზას მაღალ-მაღალი და ლამაზი სახლი დგას, პალატიანი. ხუთიოდე წლის წინათ თადეოზამ უფროსი ვაჟი დააქორწინა. რძლად ქვემოური ქვისმტეხლის ქალიშვილი მოიყვანა. რაკი დედოფლის მაყრებს სხვა სასროლი იარაღი არ გააჩნდათ, დინამიტებს დააწყებინეს ბათქა-ბუთქი და მოხდა ფათერაკი: სიძის უმცროს ძმას მარჯვენა ხელის ოთხი თითი მოსწყდა — ცერიღა დარჩა. ხალხს ქორწილი ჩაშხამდა. დედამთილმა რძალი უმალვე ამოიძულა: ოჯახში უბედურებად შემომივიდაო. რძალ-დედამთილის ამბავი ისედაც ნაძრახია ათაბაბადან. გაიყვნენ. აბირბილებული უსიამოვნების ცეცხლი მაინც არ ჩაქრა. ახალდაქორწინებულებმა იფიქრეს: აქ მაინც აღარ დაგვედგომება, იქნებ უფრო დიდ ხიფათსაც გადავეყაროთო, ყველაფერი გაყიდეს, დაჰკრეს ფეხი და ქალაქს მიაშურეს. მალე თითებწაწყვე-

ტილი ბიჭიც მათ კვალს გაჰყვა: საცალხელო სამუშაო ქალაქში მეტი იშოვებაო. მოხუცები დაიხოცნენ და ეს მშვენიერი სახლ-კარი უპატრონოდ დარჩა.

ღელესთან თედორეს სახლია. მიწაც უყვარს და ჯერ ჯან-ღონეც ერჩის. მაგრამ საწყალს დედისერთა ვაჟი ომში დაეკარგა და ბედგამწარებული ვეღარაფერ საქმეს ვერ უგდებს გულს: ვისთვისღა, რისთვისღაო.

იორდანეს ეზოში დარგულ კაკალს ტოტები ჩვენი ეზოსკენ გადმოუშვერია, ჩვენს კაკალს — მისი ეზოსკენ. მხოლოდ საურმე გზა გვყოფს.

იორდანეს სამთვალიანი სახლი გვირგვინით ადგას გორაკს. მოხარატებული აივნიდან მარჯვნივ თუ გაიხედავთ, კონცხზე დაყუდებული ძველისძველი ციხე შემოგეფეთებათ. ციხეს ერთი კედელი ნახევრად ჩამონგრევია და კარიც აღარ აბია. ციხეში მუხა ამოსულა და ღონიერი ტოტები კბილებჩამტვრეული ქონგურებისათვის გადაუფარებია. მარცხნივ სასაფლაო ჩანს. იქ, წინათ, ეკლესია იდგა, მორჩილი თეთრი ეკლესია. ჩემი ბავშვობისას დაანგრიეს. გორაკის ქვემოთ, ლოდებზე ხტომა-ხტომით მიჩხრიალებს ღელე. ზედ ხუთფეხიანი წისქვილი გადალაჯულა. ოთხი ფეხი ბოძია, მეხუთე — ფრთიანი ბორბალი.

წისქვილთან იწყება და მთისკენ მიდის დიდი ტყე.

იორდანეს აივანი წინ გაშლილ ველმინდორს გადაჰყურებს. ველს ფართო გზატკეცილი მისდევს. ახლა ამ გზას მოუყვება ორივე მხარეს თითქმის მთელი ზარგულა. ხელისგულზე გადაშლილი სოფელი მალე წყდება. ვაკეზე მიმავალი გზა კი სადღაც უსასრულობაში იკარგება.

ამ გზასთან მიადგარ სოფელს და უსასრულობაში მიმავალ გზას ხშირად გაჰყურებს იორდანე და ვიღაცას ეჩხუბება.

* * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ექიმთან მისული იორდანე არ მინახავს, არც სხვა ვინმეს ახსოვს. გავიგე: დაფიცებული ჰქონია, არც არასდროს მივალო. ჩემი ხუთი თითივით ვიცი მაგათი ამბავი, ერთ ტკივილს მოგირჩენენ და ცხრას — ახალს შეგყრიანო. თუ რაიმე წამოსტკივდება,ნაირნაირ ბალახ-ბულახს ხარშავს, ნახარშს ღვინოსავით სვამს ხოლმე და ჯანიანად დააბიჯებს მიწაზე.

როდესაც ვარსკვლავებით მოჭედილი ციდან ბადრი მთვარე იყურება, იორდანეს სახლის აივნიდან დანახული ქვეყნიერება იდუმალებით მოცულ ზღაპარს ჰგავს. ასეთ ღამეში შეუძლებელია იორდანემ დაიძინოს. ზის აივანზე და იმ იდუმალ სიმყუდროვეში მხოლოდ მისი ხმა ისმის, ოდნავ ათრთოლებული, გეგონებათ, მღერისო. მიჩუმებულ ღამეში ფოთლის შრიალიც კი არ გამოეპარება ყურს. ჰოდა, შუაღამისას, როცა ირგვლივ საოცარი სიწყნარეა, იორდანეს ჩურჩულიც კი მკაფიოდ ელვრება გარემოს.

— ეჰ, შვილებო, შვილებო, სად ხართ, მარტო რად მიგვატოვეთ? ბევრს არა გთხოვთ არაფერს, ზოგჯერ მაინც მოგვხედეთ! ჩვენ სულ თქვენზე ვდარდობდით, თქვენ ცოტა მაინც იზრუნეთ, ცოტა მაინც იფიქრეთ ჩვენზე, უღმერთოებო! — თითქმის ხვაშიადს ლექსად აწყობსო, მერე ამოიოხრებს და მის სიტყვასაც უმალვე იერი ეცვლება. — გამექეცით ყველა ხომ? თქვენ გეტირებათ ყოფა, ამოიხრჩობით მაგ ოხერი ქალაქის მტვერსა და კვამლში, მოიწამლებით და გაიგუდებით, თვარა, მე განა დამაკლებს რამეს! რაო, სოფელში შავი ჭირი გაჩნდა? რატომ აღარ გინდათ აქ გაჩერება? ე, ჰე, ჰეი! ეს მიწა-წყალი, მამა-პაპამ რომ დაგვიტოვა, ჩვენ ვიღას დავუტოვოთ, ვის? მარტო მკვდარსაც არ მიატოვებენ, ვიდრე მიწას არ მიაბარებენ, მე კი ჯერ ცოცხალი ვარ და შინ ხმის გამცემი მინდა, თქვე უღმერთოებო!

ამგვარი სამდურავ-საძრახავით იწყებს და მერე ალერსიანად ეჩურჩულესაუბრება ტყეს და მთებს, ცას და მთვარეს, ორღობეს და ღელეს, ხოლო ბოლოს ომახიანად გასძახებს ხოლმე:

— აი, გაიხარეთ! არ მეპასუხებით, მარა, ყურს ხომ მიგდებთ? ესეც დიდი შეღავათია, ღმერთმანი. აი, გაიხარეთ! თქვენღა დამრჩით ჭირისა და ლხინის მოზიარედ, სხვას აღარავის ეყურება ჩემი სიტყვა. მარტო თქვენა ხართ ჩემი მასულდგმულებელი, ჩემი სიცოცხლე! ე, ჰე, ჰეი! ე, ჰე, ჰეი! მრავალჟამიეროოოო, მრავალ-ჟამი-ეი, ეროოოო...

და იორდანესთან ერთად მღერის მთვარიანი ღამე.

* * *

იორდანეს უფროსმა ვაჟმა ლუკამ, ომიდან ორი ჭრილობა რომ ჩამოჰყვა, შვიდიოდე თვეს ძლივს წაიმუშავა მამის გვერდით ყანა-ვენახში და აიჩემა, ქალაქში უნდა წავიდეო.

— სოფელში რომ დარჩე და მამას მიეხმარო ხოლმე, ვითომ გვარიშვილობა წაგიხდება? — უსაყვედურა იორდანემ, — ადრეც მითქვამს და ახლაც გიმეორებ: ბიჭო, მიწას არ უნდა გაექცე.

— ომში იმდენი მიწა ვთხარე, ათას წელიწადს მეყოფა, მამა.

— სოფელში სხვა საქმეც ბევრია. გაიხედ-გამოიხედე, იქნებ რამე გამოჩნდეს შენი საგუნებო. ოღონდ, გეხვეწები, ნუ გაგვექცევი. სულ შენი მონატრებულები ხომ არ უნდა ვიყოთ?

ლუკამ მამის ხათრით ორიოდე კვირას კიდევ დაჰყო სოფელში, დაბაშიც გაიარ-გამოიარა და მამას გადაჭრით განუცხადა:

— ვერა, აქ ვერ გავჩერდები. რასაც არ უნდა მოვკიდო ხელი, მაინც მიწაში ამოილართხები. ომში იმდენი ტალახი ვზილე... რა ვქნა, საჩემო ადგილი აქ არ არის და...

— ასე გამოგცვალა, ბიჭო, ომმა? თითქოს კალაპოტიდან ხარ ამოვარდნილი. იქ უცხო ქვეყნებში ისეთი რა ნახე?

— უცხო ქვეყნები რა შუაშია?

— ომამდე სხვანაირი იყავი[illegible] თვალებში შემომჩერებოდი, რა მეწყინებოდა და რა გამეხარდებოდა. არც თოხი გეზარებოდა, არც ბარი... შენი იმედით გავაშენე იმხელა ვენახი.

— მართალი ხარ, მამა, მეც ვატყობ, შევიცვალე... უფრო სწორად, მე კი არა, სხვა რაღაც შეიცვალა და მეც... ომამდე თითქოს უფრო მყარი იყო მიწა.

— ბარემ თქვი, მუშაობა მეზარებათქო. ჰა, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოტყდი!

— გამოსატეხი რა მჭირს? იცი, რა გითხრა, მამა? გადახედე ქვეყანას, ვინც მიწას არ ჩიჩქნის, ცხრაჯერ უფრო იოლად და უკეთ ცხოვრობს. აქ ჩემი ტოლი თითქმის აღარავინაა. შენისთანებიღა დარჩნენ, მიწასთან შეზრდილი ბერიკაცები, ამჟამად ცხოვრების შეცვლა რომ აღარ შეუძლიათ. ყველას თავისი ჭკუა აქვს, ვისაც სად ეცხოვრება უკეთ, იქ მიდის. ვერც გაამტყუნებ.

— შენ სხვისი აყოლა არ გარგია, წამხედურობა ხეირს არ დაგაყრის.

— აქ რომ ხეირს ხედავდეს ვინმე, სხვაგან რატომღა გაიქცევა?

და გაექცა იორდანეს ჯერ ლუკა, მერე დიომიდე, მერე გერონტი, მერე მეოთხე და მეხუთე შვილიც. ერთი ვაჟი ომმა წაართვა და ამდენი შვილის მამა სიბერის ჟამს მაინც მარტო დარჩა. კიდევ კარგი, ქალიშვილი ქეთო მეზობელ სოფელში გაათხოვა და კვირაში ერთხელ მაინც მიაკითხავს ხოლმე, თორემ სხვები შვებულიბის დროსაც კი აღარ ჩამოდიან მამასთან.

მხოლოდ ერთხელ ჩააკითხა იორდანემ თბილისში მყოფ შვილებს და მაშინაც სამ კვირაზე მეტხანს ვერ გასძლო იქ. ვერ ისვენებდა. კარმიდამო და ყანა-ვენახი ერთიანად გავერანებული ელანდებოდა. ასფალტს რომ უყურებდა, მისი სუნიც კი გულს ურევდა. ფუნთუშა მისცეს, ხელი მოუჭირა და ამრეზილად დახედა. წამით გადაგდებაც კი დაუპირა, მაგრამ იორდანეს პურის ლუკმა მის დღეში არ გადაუგდია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფუნთუშაც, ასე თუ ისე, პური იყო და უდიერად არ მოექცა, მხოლოდ დაფშვნა და ფანჯრის რაფაზე დაყარა, ჩიტები შეჭამენო.

შვილიშვილებმა ზოოპარკში წაიყვანეს — გალიებში დამწყვდეული მხეცები აჩვენეს, შვილებმა ცირკში წაიყვანეს, შვილებმა ცირკში წაგრიალეს „ვოლგით" — იქნებ გაერთოსო. ეფერებოდნენ, ელოლიავებოდნენ. ა, ჰა, ჰა, ჰა! ვერაფრით ვერ შეეჭუა ქალაქს, ჯოხდარტყმულივით გამოიქცა სოფელში. ახლა ხან ერთი ვაჟი უთვლის, ხან მეორე: ჩამოდი, სავარძელში ჩაგსვამთ და ხელს არ გაგანძრევინებთო, ხელმწიფესავით გაცხოვრებთო, გეყოფა რაც მიწაზე იჯახირე, დროა დაისვენოო. ამ ამბავს რომ მიუტანენ, ბრაზდება, იფურთხება და ჩუმად იგინება კიდეც: ხომ იციან, მე ქალაქში წამსვლელი რომ აღარა ვარ და ტყუილად ძარღვებს რატომღა მიშლიანო?

დამნაშავეს ეძებს იორდანე, ხან ვისა სდებს ბრალს, ხან — ვის, ბოლოს ხელს ჩაიქნევს ხოლმე:

— ეჰ, სხვა რა გავამტყუნო, მგონი, მეც ვარ დამნაშავე... მეც და ჩემი ცოლიც. ავყევით ფეხის ხმას და ორ შვილს თვითონ დავაძალეთ ქალაქში სასწავლებლად წასვლა. ისწავლეს და, აჰა, თავისი თავის მეტი აღარავინ ახსოვთ. სხვებიც აქვინტრიშდნენ: იორდანეს შვილები თუ ქალაქში წავიდნენ და დარჩნენ, ჩვენ სხვაზე ნაკლები რითა ვართო. ჰო, ასეა, ასე, ბატონო. ჩვენ თვითონ ვუწყობთ ხელს, ჯერ ჩვენს შვილებს სკოლა არ გაუცდესო, მერე უმაღლესში უსწავლელნი არ დაგვრჩენო. ისწავლიან და სოფლისაკენ აღარავინ იყურება. აჰა! ვიცოდე მაინც, ვის რა ჭირად უნდა ამდენი ნასწავლი? ხალხმა თუ მიწის სიყვარული დაკარგა, დაიღუპება ქვეყანა.

ადრე იორდანე მეც ალმაცერად მიყურებდა:

— ე, ნოშრევან, მალე შენც დაამთავრებ შკოლას, მიაშურებ ქალაქს და სხვებივით უკან მოსაბრუნებელი გზა დაგავიწყდება — იქ ჩარჩება სამუდამოდ.

მერე, სოფელში რომ დავრჩი საშუშაოდ და მამაჩემის გვერდით დამინახა ყანა-ვენახსა თუ სათიბში, უმალვე მოუბრუნდა ჩემკენ გული.

მარტო მე კი არა, ყველა უყვარს, ვინც მიწას არ გაექცა.

იმ წლის ზამთარმა ხომ სულ დაგვაახლოვა ერთმანეთს.

ცხრა დღეღამე თოვდა, ხელის სიფართე ფანტელები ფანტელებზე ეფინებოდა. ცა იშვიათად ისვენებდა. ბუხრების ყელსაც კი ყოველდღე ხურავდა და გმანავდა თოვლი.

მეც და იორდანესაც ფართო ნიჩბები გვეჭირა და დღეში ორჯერ, დილასაღამოს, ჯერ დახურულ დაგმანული ბუხრის ყელს ვუხსნიდი ცას, მერე სახურავიდანაც ვყრიდი თოვლს.

ნიჩბებს წინდაწინ ვპოხავდით ქონით, თოვლი რომ არ მიჰკროდა პირზე.

ვნიჩბავდით სახურავზე სქლად დადებულ თოვლს და თან ერთმანეთს გადაძახილ გადმოძახილით ვამხნევებდით.

— ეჰეი, იორდანე ბიძია!

— ეჰეი, ნოშრევან!

— ხომ ხარ მაგრად, იორდანე ბიძია?

— შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, მტრის ჯინაზე კაჟივითა ვარ, კაჟივით!

— ეს რა გადაუღებლად ბარდნის! აღარ აპირებს ცა პირის შეკვრას. მგონი, მთელ დედამიწას თოვლში უპირებს დამარხვას. აღარაა საშველი!

— ნუ გეშინია, ითოვოს! მალამოსავით თოვლია, მალამოსავით. ამ წელიწადში ზღვად გასკდება მოსავალი.

— ფრთხილად, ბიძია იორდანე, ფეხი არ დაგიცურდეს და არ ჩამოვარდე!

— სადღაა, ბიჭო, ჩასავარდნი ადგილი, თვარა, კაი შენ!

ერთმანეთს ვერ ვხედავდით, მხოლოდ ხმა გვესმოდა.

პირველხანობას სახურავებიდან გადახვეტილი თოვლი ეზოში დგაფუნით

ვარდებოდა, მერე ეს დგაფუნი თანდათან დაყრუვდა და მიილია. ნაყარი თოვლი ჯერ აივნის მოაჯირს გაუსწორდა, მერე — სვეტების თავსაც. სახურავზე ასასვლელად კიბის მიდგმა აღარც მე მჭირდებოდა, აღარც — იორდანეს. კიდევ კარგი, თოვლი თოვლს ტკეპნიდა, თორემ ეზოებში აღარც დაეტეოდა.

ამოიგმანა ბოსლის კარი და თოვლი ბოსელზე დადგმული საბძლის აივანსაც წაეპოტინა. თოვლში დაიმალა მთლიანად ორივე სახლი. კაკლის ხეებმა თოვლით დახუნძლული ტოტები ნაყარ თოვლზევე დაასვენეს. ეს დასაყრდენი რომ არ ეპოვათ, იქნებ ტოტები ჩამომტვრეოდეთ კიდეც.

პირუტყვი არ ამოგვიხრჩოსო, სახლიდან ბოსლამდე, ნაყარ თოვლში გვირაბები გავჭერით. მერე გვირაბები გავიყვანეთ ჭიშკრამდეც. ამასაც ვარაუდით მივაგენით, თორემ ჭიშკრები სადღა ჩანდა. გზაზე დიდი თოვლი კი იდო, მაგრამ რაკი იგი ნაყარი არ იყო, აქ გვირაბის გაჭრა არ დაგვჭირვებია. იორდანემ თავისი ჭიშკრიდან ჩვენს ჭიშკრამდე გამონიჩბა ბილიკი და თოვლის გვირაბით გვესტუმრა შინ.

— მშვიდობა სახლსა ამას, მეზობლებო!

— იცოცხლეთ! დაბრძანდით, ბიძია იორდანე!

— არა, დასაჯდომად სად მცალია ჯერ. როდემდე ვადნო თოვლი. ბარემ წყარომდე გავკვალავ გზას. მეცი პატივი, მომეხმარე.

— ჩვენც უწყლოდ არ ვართ?

ნიჩბები გავპოხეთ, თოვლის გვირაბში გავძვერით, ორღობეში ამოვყავით თავი და შევუტიეთ გზას.

— ამ საქმეს მარტო მეც მოვერეოდი, ჩემო ნოშრევან, მარა, გვერდით რომ მიდგახარ, მიხარია. ო, ჰო, ჰო, ჰო! რა თოვლია, რა თოვლი! მალამოა ნამდვილი! ამხნის კაცი მოვიყარე და ამხელა თოვლი არ მახსოვს, არც გამიგონია.

დიდი თოვლი კია, მაგრამ რატომღაც არ ცივა. იორდანეს ხელთათმანებიც კი არ ჩაუცვამს. ხელები ხნიერი მუხის ქერქს მიუგავს და [illegible] სახეზეც იმ ქერქის იერი დაჰკრავს.

დღეს აღარ თოვს, მაგრამ ცა მოწმენდილი როდია.

გზა სადაა, მხოლოდ იმით ვიგებთ, რომ ვიცით, ორღობეს ორივე მხარეს კოპიტის ხეები მიუყვება. არც ღობე ჩანს სადმე, არც — ვენახი. ირგვლივ სითეთრეა, უკიდეგანო სითეთრე. მაღალი ბლები, რომლებზეც ჩალაა შეკიდებულ-შეზვინული, თუ კარგად არ დააკვირდი, ისიც ახლოდან, იქნებ ვერც შეამჩნიო ამ დიდ სითეთრეში. ძველისძველი ციხეც ისეა შესუდრული თოვლით, მთაზე დაყუდებული რომ არ გეგულებოდეს, უცხო თვალი იქ ვერც ვერაფერს დაინახავს.

თოვლი, თოვლი და მხოლოდ თოვლი.

აღარც დიდი გზა ჩანს, აღარც — იმ გზასთან მიმდგარი სოფელი.

მარტოოდენ ერთგან ილანდება ცისფერი ადგილი. ეს — ორსართულიანი სკოლაა. მწვანედ შეღებილი აივნის უბე თოვლის სითეთრეში შორიდან ცისფრად გამოიყურება. თოვლი ყველაფერს უცვლის იერს.

— ნოშრევან, ხედავ რამეს?

— მხოლოდ სკოლის აივანს.

— კვამლს? ბუხრებიდან ამოსულ კვამლს?

— ვერა.

— მე კი ვხედავ, შე ყურუმსაღო. ამ ბოლოს ხანს თვალი შორს უფრო მიჭრის. მხოლოდ აქა-იქ ამოდის კვამლი. ერთობ ცოტა ბუხარში ანთია ახლა ცეცხლი. ბევრის პატრონი ზამთრობით ქალაქში გარბის, ზოგიც სულ მიატოვეს. იცი შენ, ნოშრევან, ბუხრის კვამლი რა არის?

უცებ ვერ მივხვდი, იორდანეს გადაკრულად რისი თქმა უნდოდა და მხრები ავიჩეჩე.

— არ იცი, შენისთანა ბიჭმა კი უნდა იცოდეს, მე და ჩემმა ღმერთმა. ამ ბუხრის კვამლის სვეტებზე დგას ჩვენი ქვეყნის ცა. ეს სვეტები თუ მოიშალა,

ცა თავზე დაგვემხობა და გავთავდებით, აპა. ამიტომ ბუხრებში ცეცხლი არ უნდა ჩავაქროთ. ასე მითქვამს მე და თქვენ გინდათ დამიჯერეთ, გინდათ — არა.

— ვინ ჩვენ, ბიძია იორდანე?

— რავა, ეს კიდევ საკითხავია? შვილებმა, ჩემო ნოშრევან, შვილებმა.

აი, ნამეხარი მუხა. ვიდრე არ მივუახლოვდი, ვერც შევამჩნიე. თოვლში უცნაურად დგას. ერთი შეხედვით აყლაყუდა კაციც კი მეგონა. თავგადაჩეხილს მოზრდილი ღრუ დაღებული პირივით უჩანს, გეგონებათ, ყვირის, მაგრამ ეს ყვირილი იმიტომ არავის ესმის, რომ ხმა კარგა ხანია დაჰკარგვია და მხოლოდ საყვირლად გაღებული პირიღა შერჩენიათ.

მუხის მახლობლად, შავ კლდესთან, მოჩუქურთმებული ქვით მოპირკეთებული და ფიქალით თავდახურული წყაროა. რა თქმა უნდა, ამ ცხრა დღეს ამ წყაროსაც ათოვდა და თოვლი მის ქუდზე რომ ვერ დატეულა, ქვემოთ, მოჩუქურთმებულ ქვაზეც ჩაუდგამს ფეხი, ზემოთ კი ისე აკოლიკებულა, შავი კლდე თითქმის მთლიანად დაუფარავს წელამდე. თვითონ წყარო კი წინანდებურად მოღუღუღულებს. ისეთი ხმა აქვს, თითქოს ვიღაცას იდუმლად ეჩურჩულებაო. პატარა აუზიდან ისევ ღარით კადადის მიწაზე და თოვლქვეშ მიიპარება. ეტყობა, იქ თავისი გვირაბი გაუყვანია უნიჩბოდ და კაცის დაუხმარებლად.

— აი, ეს მიყვარს. რამდენი ითოვა, ითოვა და წყარო მაინც წინანდებურად მოღიღინებს. დიდი თოვლიც კი ვერ მორევია ამ პატარა წყაროს. მერედა, არ კითხავ, რატომ? ეს წყარო — ზამთარ თბილი და ზაფხულ გრილი — მიწის გულიდან გამოდის, თოვლი კი ცის შვილია. მიწა ცაზე უფრო თბილიცაა და ღონიერიც.

წყაროს ირგვლივ თოვლი გავნიჩბეთ და დავტკეპნეთ. მე შინ გაბრუნება დავაპირე. ეს იორდანეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ირიბად გამომხედა:

— ძალიან გეჩქარება, [illegible]

— არა, არ მეჩქარება, მაგრამ... [illegible] ტყუილად ხომ არ დავეყუდები ბოძივით? შინ საქმეს რა გამოულევს კაცს.

— ქვეყანას ხომ არ მოვწყდებით, ბარემ დიდ გზამდე გავუტიოთ! — იორდანემ ჯიბიდან ჩვარში გახვეული ქონი ამოიღო და ნიჩბის პირის გაპოხვას შეუდგა. — ეგების ვინმეს რამე უჭირს და ჩვენს უბანში უნდა მოსვლა. გავუნიჩბოთ გზა, ბიძიკო. ისევ ჩვენ მივეშველოთ, თვარა...

წყაროდან დიდ გზამდე უფრო ფართო ბილიკი გავჭერით. მერე, რომ მეგონა, ახლა კი შინ გავბრუნდები-მეთქი, იორდანემ ნიჩაბი წინ დაიბჯინა და სკოლის შენობას გახედა.

— ცხრა დღე კი არა, ასე მგონია, ცხრა თვეა დადუმებული. ვერ ვიტან, სკოლის ზარი რომ აღარ რეკავს. ახლა დათხოვნილები ხომ არ არიან ბავშვები?

— არა, არდადეგები ორი კვირის წინათ გაუთავდათ.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა! ბავშვები, ალბათ, იმიტომ ვერ დადიან სკოლაში, გზა-ბილიკი რომ არავინ გაუკვალათ. ჰე, მოიმარჯვე ნიჩაბი!

სკოლის გზა იორდანემ მეტი გულმოდგინებით განიჩბა. მერე ქვის კიბესთან ფეხები დაიბერტყა, აივანზე ავიდა, სკოლის ზარის ენაზე მიბმულ ჩამოკონწიალებულ გრძელ თოკს ხარბად ჩაავლო ხელი და ასტეხა რეკა.

— ნა! ნაუ! ნაუ! ნაუ!

უნდა გენახათ, როგორ გაიხარა, ბერიკაცი თითქოს წამში გაბავშვდაო. რეკავდა ზარს და თან ჰყლოპინებდა: აქ თუ ჟივილ-ხივილი არ იქნა, სოფელშიც მალე ჩაწყდება ხმაური, სასაფლაოს დაემგვანება. ეჰ, შეურცხვეს თავი ჩემს მუტრუკ შვილებს, თვარა, ჩემი შვილიშვილებიც აქ უნდა ჟრიამულობდნენ. არა, თუ?

კარგა ხანს რეკა და რეკა იორდანემ ზარი. ეტყობა, მაჯა დაეღალა, ცოტა შეისვენა და მერე ისევ:

— ნაუ! ნაუ! ნაუ! ნაუ!..

შინისკენ ქულა-ღრუბელივით პირგაბადრული გამობრუნდა.

წყაროსთან შემაჩერა და ხელი მაჯაში ღონივრად ჩამავლო:

— ახლა შენ, იცოდე, ჩემთან წამოხვალ. შევაყუდოთ ჯირკი ბუხარში, გემრიელად ავაგუზგუზოთ, თავშესაქცევად პატარა სუფრა გავშალოთ და მამაშვილურად ერთმანეთს ორიოდე სიტყვა ვუთხრათ. უარი არ მკადრო, თვარა, ნამეტანი მეწყინება, რჯულის მადლმა.

— სუფრის გაშლა ჩვენთან აჯობებდა, ბიძია იორდანე. ორი ქალია შინ, უცებ დატრიალდებიან და... — ასე მივუგე უარის ნაცვლად.

— აი, სწორედ მაგიტომაც უნდა გავტეხოთ პური მე და შენ ჯერ ჩემთან. არავინ იფიქროს, რაკი იორდანეს შინ ქალი არა ჰყავს, სუფრის გაშლა არ შეუძლიაო. საპყარი არავის ვეგონო. მამის სულს გაფიცებ, ამ საღამოს ჩემთან ვისაუბროთ და მერე... ამ თოვლს ასე ადვილად კი ვერ მოერევა მზე, შენთან მერე ვიქეიფოთ, ბიძიკო. ჰა, გამიძეხი წინ! მეცი პატივი!

გემრიელად აგუზგუზდა იორდანეს ბუხარი, გეგონებოდათ, მღერისო. დიდმა თოვლმა ელექტროხაზი დააზიანა და შესაკეთებლად, ეტყობა, ვერავინ მოიცალა. ნათურა არ აინთო. მასპინძელს ეს არ სწყენია, ჭრაქსაც კი არ მოუკიდა.

— მე, ბიძიკო, ბუხართან გაწყობილ სუფრას და ღვინის სმას არაფერი მირჩევნია. აქ დალეულ ღვინოს სხვა გემო აქვს.

— კი ბუხართან ყველაფერი უფრო გემრიელია. — დავუდასტურე მასპინძელს.

ახალ-ახალ სადღეგრძელოებს მაძალებდა შექეიფიანებული იორდანე. მრავალჟამიერი წამოიწყო, მეც უმალ ავყევი და გაერთიანდა ზამთრის ღამე, მოგუზგუზე ბუხარი და ორკაციანი სუფრა.

მეორე დღეს მე და იორდანემ ისევ გავკვალეთ თოვლი სოფლის გზა-ბილიკებზე და პურ-მარილი ჩვენი ბუხრის წინ გავშალეთ, დაბალფეხებიან ტაბლაზე. ერთიმეორეს ვუნაწილებდით ტკბილ სიტყვას, გულის სითბოს და ყველაფერს, რაც გაგვაჩნდა.

თოვლმა გვიან გაზაფხულამდე გასძლო. თითქმის ორ თვეს ებრძოდა მზე ზამთრის ხვავრიელ დოვლათს. ჯერ სამხრეთის ფერდობები გაილოვდა, მერე მეზობელ ფერდობებსაც შეუტია გაზაფხულის ღონემომძლავრებულმა მზემ და შეშინებულმა თოვლმა ქურდულად გაპარვა ამჯობინა, ნაწილი ნაკადულებს გაჰყვა, ნაწილი მიწას ჩაეწურა, უხილავ ხვრელებში ჩაძვრა. ყველაზე დიდხანს სახურავებიდან ჩამოყრილმა დატკეპნილმა თოვლმა გასძლო. ასე რომ, ჩვენი თეთრი გვირაბები კარგა ხანს არ მოშლილა. მე და იორდანე ამ გვირაბებით რომ გავდიგამოვდიოდით ერთმანეთთან, რაღაცნაირად ეს უფრო გვსიამოვნებდა, ამიტომ განგებ არც დაგვინგრევია.

როდესაც ტყიდან ყვითლად გამოანათა შინდმა, უმცროსმა შვილმა გერონტიმ მამას ქარვის მსხვილი კრიალოსანი გამოუგზავნა, აქაოდა, დროა დაჯდე და დაისვენოო.

იორდანემ საჩუქარი ამოღრუტნულ ლოდზე დააგდო, მორების საპობი რკინის უროთი დანაყა, აბოჰა, ჰიშკარგარეთ გაიტანა და გზაზე მიმოაბნია, თავისი ეზოს მიწაში აზელაც კი არ აღირსა კრიალოსნის მტვერს. მერე ქამარში წალდი გაირჭო და ვენახს მიაშურა.

ჩემი ბავშვობისას იორდანე ათას საქმეს აკეთებდა: დურგლობდა, კალატოზობდა, ხის სახლებსაც აშენებდა, ქვითკირის პალატებსაც, ბუხრებსაც და წყაროებსაც. ყველა უქებდა ოქროს ხელს. ხანში რომ შევიდა, უფრო ვენახებში ტრიალს მოუხშირა. ვაზი ადრეც უყვარდა, ახლა მეტად დაიძმობილა. ორი ვაზი, ძელშავი და თეთრა, აივანზეც ჰქონდა შეშვებული სახლის აქეთიქიდან.

* * *

გონიერი გლეხი იყო იორდანე, ამიტომაც უფრო გამიკვირდა მისი ახირება — ცოლი უნდა მოვიყვანოო. მოგვიანებით მივხვდი, რამაც გაამწარა ეს კეთილი გუმანის პატრონი ბერიკაცი. შვილების ჯიბრზე დაიჟინა ქალის თხოვის ამბავი, გაიგებენ, რომელიმე ინამუსებს და ცოლშვილით სოფელს დაუბრუნდებაო. მთელმა ზარგულამ შეიტყო, ოთხმოცი წლის ზღურბლთან მიმდგარი იორდანე თურმე ქალის მოყვანას იჩემებსო და, შეუძლებელია, ეს ამბავი მისი შვილების ყურსაც არ მისწვდომოდა, მაგრამ არც ერთმა არ გაიბერტყა ყური. ეტყობა, ყველამ ეს ვილაცის ხუმრობადაც კი მიიჩნია.

ქეთომ ისევ მოუხშირა მამასთან სიარულს, მოვლა-პატრონობა გაუორმაგა, შეეშინდა, მართლა არ გაგვიგულისდეს ბერიკაცი და შინ არავინ შემოგვითრიოსო.

— გოგო, ყოველდღე ჰიშკარს რომ მიჰრიალებ, ეზო რომ ამიტალახე, შენი ოჯახი არა გაქვს? — ჰკითხა ერთ საღამოს იორდანემ თავის ქალიშვილს.

— ესეც ჩემი ოჯახი არაა, მამა?! — გაიკვირვა ქეთომ.

— ეს შენი ოჯახი აღარაა! — მოუჭრა იორდანემ. — სადაც გაგათხოვე, ისაა შენი ოჯახი. თვალთმაქცობას მოუკვდეს პატრონი!

— დიდი ამბავია, ქალიშვილმა კენტად დარჩენილ მამას მოუაროს?

— არა მჭირდება მე შენი მოვლა. ვისაც ვეძახი და ევალება, ის არ მოვლის და შენი პატრონობა რა ჭირად მინდა მე ახლა! საპყარი კი არა ვარ, თვითონ მოვუვლი თავს, კი, აპა!

— მამა, ნუ ხარ ხოლმე უცნაური!

— არაფერი უცნაური არა ვარ! დღეიდან შენი ფეხი არ ვნახო აქ! ასე მითქვამს მე!

მეორე დღეს ისევ მოაკითხა ქეთომ.

— შენ ხომ არ დაყრუვდი? რა გითხარი მე შენ? — შეუტია მამამ

— შენ თუ ყური გიგდე! — ხელი ჩაიქნია ქეთომ და ხორაგით სავსე კალათა მიაწოდა. — გამომართვი, გამომართვი!

— არ მინდა მე არც შენი გამომცხვარი პური, არც შენი მოხარშული შეჭამადი! მომწყდი თავიდან შენი მოსაკითხიანად! — იორდანემ კალათას დაავლო ხელი, ჰიშკარს იქით გაიტანა, მშვიდად შემობრუნდა, გახევებულ ქეთოს გვერდით ისე გაუარა, თითქოს ვერ ხედავსო და შინ ბუზღუნით შევიდა.

ქეთო გზაზე გავიდა, აიღო კალათა, შემოვიდა ეზოში და აივნისაკენ გაეშურა. მამა კიბესთან დახვდა და ახლა შარიც მოსდო:

— ვიცი, კარგად ვიცი, შენ აქ რატომაც დაცუნცულობ. ძროხა ბერწად დავირჩა და ჩემი ძროხის რძე მიგაქვს. ღლეტაზე ხართ გადასული ყველა!

ქეთო, როცა აქ მოვიდოდა, მართლაც წველიდა ძროხას და რძე შინ მიჰქონდა, მაგრამ ამას ადრე თვითონ მამა აძალებდა: მე ამდენი არც რძე მჭირდება და არც ყველიო, იმ დღეს კი ესეც წამოსძახა, იქნებ ასე უფრო ილლად მოვიშოროო.

— მამა, არ მჯერა! ეს შენა ხარ, თუ?!

— კი, მე ვარ! ვერ მიყურებ, რომ მე ვარ?

— ველარა გცნობ, ღმერთმანი. რძეს მამადლი, რძეს?!

— თქვენ არაფერს მამადლით?

— მე რას გამადლი? რაც შემიძლია...

— შენ თუ არა, სხვები ხომ მამადლიან?

— ვინ სხვები?

— ვინც არიან! ვითომ არ იცი!

— მერე, სხვებზე გულმოსული მე მიწყრები?

— ჰო, შენც გიწყრები, ყველას ვუწყრები! არაფერი არ ვიცი მე... მომშორდი, მომასვენე ადამიანი! აქ შენ რომ გიყურებ და სხვას ვერავის, გულზე შემომდის. კი, დასტურ, ასეა. მე

შენთან საქმე არა მაქვს, არა! ჰოდა, გამეცალე, სანამ...

— რა სანამ? რა სანამ?

— არ ვიცი მე... ალბათ, სანამ ქვეყნის საარაკო საქმეს ვიზამდე. გამეცალე-მეთქი! გინდა, მაინცდამაინც, თავი მომაკვლევინო?

ქეთო ბავშვივით აზლუქუნებული გაბრუნდა შინ.

შეუძლებელია, შვილებს ეს ამბავიც არ გაეგოთ, მაგრამ არც ახლა გააბარტყუნეს ყურები.

უფრო გაბრაზდა იორდანე და ახალი ეშმაკობა იხმარა: გაზაფხულის დამდეგს დეპეშები აფრინა შვილებთან, იორდანე უკანასკნელ დღეშია და ჩამოუსწარითო.

დანამუსდნენ შვილები, იკადრეს დაფაცურება, სასწრაფოდ მოგრიალდნენ საქორიაში საკუთარი მსუბუქი მანქანებით და ახმაურდა იორდანეს ეზო.

ერთად თავშეყრილ შვილებს მამამ მიუკიბავ-მოუკიბავად განუცხადა:

— დედათქვენს კიდევ ეცოცხლა, ეცოცხლეთ, ჩემთვისაც კარგი იყო და თქვენთვისაც. მარა, ვის რას ეკითხება სიკვდილი, ჩემთვის რომ ეკითხა. გამექცა ცხონებული საიქიოს და კენტად დამტოვა, მარტო დამტოვა. რა ხანია ცარიელ კედლებს ველაპარაკები, მეტი აღარ შემიძლია ასე გაძლება, ხმის გამცემი მინდა შინ. ჰოდა, ქალი უნდა მოვიყვანო...

ნაძლევივით შეშფოთდნენ შვილები და ერთმანეთს პირიდან აცლიდნენ სატყვას: შვილებს თავს ნუ მოგვჭრი და დედის სულსაც ნუ შეგვიწუხებო, რადა დროს შენი ცოლია, ჩვენ მოგივლით რიგრიგობითო.

— რამდენი წელიწადია ასე მპირდებით და მატყუებთ. ჯერ დედათქვენს და მე ერთად გვატყუებდით, ახლა მე მიყოლიებთ ტყუილებით, დაკენტებულს. რას ჰქვია რიგრიგობით მოვლა? მონაცვლეობით მოხვალთ სოფელში? — ჩაეკითხა იორდანემ. შვილებმა პირში წყალი ჩაიგუბეს. — არ იცით, ხომ? აპა, ქალაქში წამომსვლელი მე ხომ ვარ.

— ნუ ხარ ჯიუტი, მამა, კერპი და ჯიუტი! — შეჰკადრა უფროსმა შვილმა ლუკამ.

— კერპები და ჯიუტები თქვენა ხართ... მე სოფელს შევაბერდი და სასიკვდილოდ ქალაქში წამოვიდე?

— რატომ სასიკვდილოდ? — კითხვა შეუბრუნა გერონტიმ, რომელიც ფეიქარ ინჟინრად მუშაობდა რომელიღაც არტელში. — სასიკვდილოდ რატომ-მეთქი?

— რატომ და... თუ არაფერი გავაკეთე და ხელები გულზე დავიკრიფე, ეს სიკვდილზე უარესია ჩემთვის. მე ქალაქში რა მინდა? ვის ვჭირდები იქ? და თუ არავის სჭირდები, მკვდარი ხარ, აპა, რა ჭირი გქვია? მე იქ ყველასთვის ზედმეტი ვიქნები, სოფელში კი სხვას თუ არავის, მიწას მაინც ვჭირდები ჯერ, ვილაცას მაინც ვჭირდები, მტერს და მოყვარეს. აქ რაღაცნაირად მაინც ვარგივარ ჯერ. ამ სახლში დავიბადე, გავიზარდე, ვიქორწილე, დაგზარდეთ თქვენ, ჰოდა, მოისხით მადლი, აქვე მომამთავრებინეთ სიცოცხლე. წლები რომ მემატება, ჯან-ღონე მაკლდება. მე მართლა ის კი არა ვარ, მათუსალა. რკინა ცვდება, ქვა ცვდება, მე ადამიანი რამდენ რამეს გავუძლებ?

— ჰოდა, უნდა დაისვენო, მამა, — მხარზე ხელი მოხვია გერონტიმ. — ჩვენ შენი სიკეთე გვინდა. სოფელში რაც არ უნდა ეცადო, ვერ დაისვენებ... ქალაქში უნდა წამოხვიდე. ყველანი იქა გყავართ...

— რამდენჯერ გაგიმეოროთ, ყურს სულ არ მიგდებთ? გაიგეთ, ადამიანებო, მე რომ დავისვენო, თქვენებურად რომ დავისვენო, მაშინვე მოვკვდები, მოვკვდები მაშინვე! უუუ, არ გეყურებათ?

— არ მოკვდები, მამა, არა!

— შენ დაუდგები ჩემს სიკვდილს თავდებად?

— ყველა დავუდგებით.

— ტყუილია ეგ, სიკვდილს თავდებად ვერავინ დაუდგება. ყველა ყველა

და, მეც რომ ქალაქში წამოვგრიალდე, აქაურობას ვინ მოუვლის? ყანა-ვენახს ვინ უპატრონებს?

— ერთი ეს მითხარი, მამაჩემო, რაც იმ შენს ვენახში ღვინო მოდის და ყანაში სიმინდი, სულ რა ეღირება?

— მე ღვინოს არ ვყიდი, არც ჭირნახულს.

— მაინც, მაინც რა ეღირება?

— არ ვიცი, ჩემს ნაოფლარს ფულზე არ ვახურდავებ, არ ვიცი!

— თუ შენ არ იცი, მე გიანგარიშებ. ორმოციოდე ფუთი ღვინო მოგდის, მეტი ხომ არა? დიდი-დიდი, ფუთი ღვინო აქ ოც მანეთად გაიყიდოს. ორმოცჯერ ოცი იქნება რვაასი. ამისთვის ჯახირობ მთელი წელიწადი? სულ ეს არის შენი ავლადიდება? მე სამიოდე დღეში ისე, უგეგმოდ, შინაურულად მოვაქსოვინებ ორმოციოდე გადასაფარებელს და რაც შენ მამულში დოვლათი მოგდის, იმ საქონლით ვიყიდი. ა, ეს ხარ სულ! ამისთვის იჭაჭები?

— კი, იყიდი... თქვენ ყველაფერს ყიდულობთ და ამასაც იყიდით... მერე ექნება იმ ნაყიდს ეს გემო?

— უფრო ტკბილი იქნება.

— გააჩნია ვისთვის. მე, მაგალითად, გემოს ვერ ჩავატან, არც შემერგება.

— რატომ? რაკი თაკარა სიცხეში კისერწაწვდილი არ გათოხნი სიმინდს და შენი ხელით არ უწამლებ ვენახს?

— აპა, არ იცი? თითოეული ვაზი, იცით, ჩემთვის რა არის? აი, თქვენ გამექეცით და მიმატოვეთ. ეს ჩემი ნაამაგარი ვაზები გამექცევიან სადმე? არსად. ვენახში რომ დავდივარ, ვესაუბრები და მისმენენ, ჩემს ჭირსა და ლხინს იზიარებენ. იცით, ეს რას ნიშნავს?

— ვიცით. ჩვენ ჩვენი ჭირისა და ლხინის მოზიარეები იქა გვყავს. ამაზედაც უნდა იფიქრო, მამაჩემო.

— შვილო, რას გეტყვი იცი? ყველამ რომ თქვენსავით იფიქროს, მალე ჩვენი სოფლის სახსენებელი აღარ იქნება, არც სხვა სოფლის, ასე მითქვამს მე.

— ნუ გეშინია, მამა, არ წაიქცევა სოფელი, როგორც არ უნდა მოაკლდეს ხალხი, არ წაიქცევა. შენ როგორ გგონია, ქალაქში არ არის საჭირო ხალხი? ქალაქი არ სჭირდება სოფელს?

— აგრე უგუნური ვარ, ეგ სისულელე ვიფიქრო? კი სჭირდება, შვილო, რავა არ სჭირდება, მარა, თუ სოფელი დაიშრიტა, რით იცხოვრებს ქალაქი. მარტო თავისი თავით? მე იმას კი არ გეჩიჩინებით, ქალაქიდან ყველამ ბარგი-ბარხანა აიკარით და ერთიანად სოფელში გადმობარგდით-მეთქი! სხვა რამეს გიჩივით, სხვა რამეს. რავა დავიჯერო, ყველა იქა ხართ საჭირო და აქ — აღარავინ? მოხუცებს და დედაბრებს რომ შეგვატოვეთ მიწა ხელში, აქ სათქვენო საქმე სულ გამოილია? აქ ცოტაა სათქვენო საქმე? ვინაიდან მე არ შემიძლია ქალაქში ცხოვრება, მარტოობაში უნდა ამომხადოთ სული? იცით თქვენ, რა არის მარტოობა? მე ჭამა-სმა არ მაკლია, თქვე ულმერთოებო, შინ ხმის გამცემი მინდა, თვარა, თავის მოვლა-პატრონობა კი მეხერხება, პირუტყვი ხმას არა მცემს, თუ შევსძახებ, შემომბღავლებს, ეგ არის და ეგ, არც წიწილა მცემს ხმას, არც ხე, არც ყორე, არც სახლი, ადამიანი მინდა ხმის გამცემად, თქვე რჯულდაკარგულებო. ჰოდა, თუ რომელიმე არ დამიბრუნდებით, ავდგები და ქალს მოვიყვან, აპა, რას ვიზამ? დამძრახეთ, გამამტყუნეთ! მე მაინც მოვიყვან!..

ახლა ქეთომაც ამოიღო ხმა:

— მამა, აბა, რას ჰგავს ეს შენი ახირება? რამ შეგცვალა? რამ გადაგრია? რა სიგიჟე შეგეყარა? ჯერ დედაჩემის საფლავზე რიგიანად მიწა არ შემშრალა, შენ კი დაგიჟინია, სხვა ქალს მოვიყვანო!

— კი, მოვიყვან, უეჭველად! — ჯიუტად შეეპასუხა იორდანე.

— რას იტყვის სოფელ-ქვეყანა?

— რაც უნდა, ისა თქვას, ჩემთვის სულერთია.

— არ გიყვარდა დედაჩემი?

— აპა, არ მიყვარდა! უკეთესი ცოლქმრობა ვის ჰქონდა? დიახაც მიყვარდა და სიკვდილამდეც მეყვარება, მარა, ცოლს მაინც მოვიყვან კიდევ, დედაჩემის საფლავს და ალათის სულს გეფიცები! თუ ეს ცოდვაა, ღმერთზე ადრე ალათის სული შემინდობს. იქ რომ მივუვალ, ისევ იმისი ვიქნები... ძველი ჯვრისწერა თუ არ გამოგვადგება, ხელახლა დავიწერთ ჯვარს, აპა!

— ქეთო, შენც გემდურის? — ჩაერია საუბარში შუათანა ძმა, დიომიდე. — არ უვლი, არ პატრონობ?

— ვუვლი და კიდევაც მოვუვლი, — დაბეჯითებით მიუგო ქეთომ, — მარა, ჩემს მოვლა-პატრონობას რომ არ სჯერდება?

— შორიდან გამოშვერილი ხელი ვერ მშველის და ვერც მათბობს მე. ასე დაყრუვდით ყველა, რომ ჩემი არც ერთი სიტყვა აღარ გესმით? ხმის გამცემი მინდა შინ, ხმის გამცემი, უუუ! — ყვიროდა იორდანე. — უუუ! არ გეყურებათ? ერთ ყურში რომ შეგდით ჩემი ნათქვამი, მეორედან — გაგირბით? კიდევ კარგი, ღვთის მადლით და ჩემი მეცადინეობით, ჯერ ჯანზე ვარ. ავად რომ გავხდე, წყლის მომწოდებელი არავინ მყავს. ესაა სიცოცხლე?

— რაკი ქალაქში გეზარება წასვლა, მე ხომ სოფელში ვცხოვრობ, — დაყვავებით უთხრა ქეთომ, — ჩემთან გადმოდი. რავარც გინდა, ისე მოიქეცი, შენს ნებაზე, რაც გინდა, ის აკეთე.

— მერე ეს ჩემი ნალოლიავები კარმიდამო ვის მივუტოვო? ღმერთს თუ ეშმაკს? კერია სულ გავაციო? რა პირით მივუვიდე მამაჩემს საიქიოში?

ლუკამ გულისწყრომა ველარ დამალა:

— მამა, ხომ მოჭამე შენ შენი წუთისოფელი? შენს გემოზე ხომ მოჭამე? გაიხედ-გამოიხედე, შეიცვალა ცხოვრება. ჰოდა, ახლა გვაცალე ჩვენ.

— რა გაცალოთ? ჰა, რა გაცალოთ?

— ჩვენებურად ცხოვრება. ნუ გვექაჩები უკან.

— მე გექაჩებით უკან?

— დიახ, უკან გვექაჩები. ქალაქში ყველას ჩვენ-ჩვენი სახლი გვაქვს, ეს კი — საზიაროა. ჰოდა, ვერიდებით აქ მოსვლას. საზიარო სახლმა ძმების წაჩხუბება იცის. ამ სახლისათვის მოვშალოთ ჩვენი ძმობა? სადაო სახლში ცხოვრება, ვის უნდა?

— ა, გამონახა ამანაც მიზეზი! — თავი გადააქნია იორდანემ, — ესე იგი, გინდათ ახლა ეს სახლი რამდენიმე წილად დაჩეხოთ, ჩემთვის პატარა ოთახი მოვაქოხმახო და დანარჩენი თქვენ დაგინაწილოთ, ხომ? კარგ ჭკუაზე ხართ. რჯულის მადლმა! ასე არა სწირავს იორდანეს ღმერთი. ვინც დამიბრუნდება, იმას დავუმტკიცებ სულ. სანამ პირში სული მიდგას, ამ სახლს ჩემი სახელი ჰქვია და ვისაც მინდა, იმას დავუმტკიცებ, აპა!

— ეს უკვე მარტო შენი ნება არ არის, მამა! — ნიშნის მოგებასავით ესროლა გერონტიმ.

— რატომ არ არის მარტო ჩემი ნება? მე ამ სახლში ახლა მარტო ვცხოვრობ, ეს ერთი. მეორეც, ეს სახლი მამაჩემმა მე დამიტოვა, სიკვდილის შემდეგ დამიტოვა, მანამდე კი არ წამირთმევია! მერე, მამაჩემის დატოვებული სახლი ჩემი ხელით გავაახლე და გავადიდე. ახლა იმის ნებაც წამერთვა, ჩემი მარჯვენით აშენებულ-გაკეთებული სახლის ბატონ-პატრონი ვიყო?

— კი, აშენება შენი ნება იყო... დამტკიცებით კი — შენს ნებაზე ვერავის დაუმტკიცებ, ვერც შინაურს, ვერც გარეულს.

— უყურე შენ ამას?! ვნახოთ, ვნახოთ, თუ ვერ დავუმტკიცებ! იორდანე არ ვყოფილვარ, თუ!..

მამის ამ მუქარამ შეაფიქრიანა შვილები. ზარგულაში დაბრუნება არც ერთს არ უნდოდა, მაგრამ ამ სახლის შელევაც ეძნელებოდათ: ღმერთი რომ გაწყრეს და ისეთი რამ მოხდეს, ქალაქში აღარ გვეცხოვრებოდეს, სად-

ლაც ფეხის დასადგმელი ადგილი ხომ უნდა გვეგულებოდეს, თავი ხომ ისევ სოფელს უნდა შემოვაფაროთ და მამისეული სახლისა და ეზოს სულ დაკარგვა როგორ იქნებაო. ამას მარტოოდენ გულში როდი ფიქრობდნენ, მოარაკებით ამბობდნენ კიდეც.

ბევრი იკამათეს ასეც, ისეც. ბოლოს შვილებმა პირობა დაუდეს მამას; დავბრუნდებითო, მოვილაპარაკებთ და ერთ-ერთი დავბრუნდებითო.

მერე, თურმე, მართლაც ითათბირეს: მამაჩვენი ისე ჯიუტი, თავნება და ახირებული კაცია, თავის სიტყვას არ გადავა და იქნებ სულაც დაგვიკარგოს სოფელში მოსვლის გზაო. ვინ იცის, ვინ მოათრიოს შინ, ეგების ვინმე შვილიანი დედაკაციო, მერე ჩვენს ჯიბრზე ყველაფერი იმ გერს დაუმტკიცოს, ჩვენ და ჩვენი შვილები კი ხახამშრალები დაგვტოვოს, ჭირის დღისათვის თავშესაფარი მოგვისპოს და... ეს ჩვენი საქორია, ღვთის მადლით, არც საავარაკოდაა ურიგოო. სანამ ბერიკაცი ცოცხალია, რიგრიგობით შევიყოლიოთო.

კენჭი ყარეს და ეს რიგიც გაარიგეს, მაგრამ არც ერთს ცოლმა არ აუბა მხარი საქორიაში თუნდაც დროებით წასასვლელად: ვინც სოფელშია, ახლა ისიც კი ქალაქში გამორბის და ჩვენ იქ რა დაგვკარგვიაო? წინდაწინ რაიმეს შიშით სოფლის ტალახში ხომ არ ჩავიხრჩობითო. იქ შვილებს მუსიკასა და უცხო ენებს ხომ ვერ ვასწავლითო. ესეც რომ არ იყოს, იორდანე ისეთი კერპჯიუტა კაცია, ჩვენც და ჩვენს შვილებსაც მიწაზე მუშაობასაც მოგვთხოვს და ამის წელი ვისა აქვსო! ოჯახებს ხომ ვერ დაანგრევდნენ შვილები, ჰოდა, მალე გადაივიწყეს მამისათვის მიცემული სიტყვა, იძულებით დათქმული პირობის სიტყვა.

იორდანე მთელი ზაფხული ელოდა რომელიმე შვილის გამოჩენას. ითმინა, ითმინა და შემოდგომის ერთ მზიანდრუბლიან დღეს უცებ საქორიას გორაკიდან ქეთოს წივილ-კივილი ფერდობზე დაგორდა, აავსო ღელის ხევი, ტყეში გაძვრა-გამოძვრა და ძველი ციხის სათოფურებიდან გამოსცა ექო.

— ხალხო, მეზობლებო! დავიღუპეთ! დღეს მეორედ მომიკვდა დედაჩემი, მეორედ! მამაჩემს წუხელ ქალი მოუყვანია... დედა! დედა! ამას რას მოვესწარი, ღმერთო, ამას რას შემასწარი! ვაი, სირცხვილო, ვაი, სირცხვილო!

ჭირისუფალივით იგლეჯდა თმას ქეთო და აქეთ-იქით გარბოდ-გამორბოდა.

მესამე დღეს მსუბუქი მანქანებით მოგრიალდნენ საქორიაში იორდანეს შვილები. მანქანები ორღობეში დააყენეს და ჰიშკარი შეშფოთებულებმა შეაღეს. ეზოში შესვლა მოასწრეს მხოლოდ. მამამ ნაჯახი დაიჭირა და წინ გადაუდგა:

— გაბრუნდით, ახლავე გაბრუნდით უკან და მეორედ აქ გამოჩენა აღარ გაბედოთ, თავი თუ არ მოგძულებიათ! მოვიყვანე ქალი, აპა, თქვენი შემყურე დავრჩებოდი! მიმატოვეთ ყველამ სიბერეში, ხომ? მე აღარა მყავს შვილები, არა! ეს ეზო-ყურე თქვენი აღარაა! სხვას ვიშვილებ, ვინც მე მომივლის და აქაურობასაც უპატრონებს! შინ ხმის გამცემი მყავს უკვე, ახლა აქაურობის პატრონის გამონახვაც არ გამიჭირდება! მომშორდით, მომშორდით-მეთქი!

— ის შენი მზეთუნახავი ერთი მაინც მიჩვენე! — შებედა გურონტიმ.

— მზეთუნახავს მოგცემ მე შენ... წადით, წადით, თქვენს მზეთუნახავებს მოუარეთ, თვარა!.. — შემართა ნაჯახი იორდანემ.

შვილებმა იფიქრეს: გამძვინვარებულ ბერიკაცთან ლაპარაკი უკვე შეუძლებელია,ვაითუ გაცეცხლებულმა ხელი ვერ მოზომოს და ავი ამბავი დაატრიალოს, ჯერჯერობით ვუტიოთ, თავის ნებაზე მივუშვათ და, იმედია, თვითონვე მოვა გონს და დაშოშმინდება, მერე კი რამეს მოვუხერხებთო.

ჩასხდნენ მანქანებში და წაგრიალდნენ.

იორდანე კარგა ხანს ეზოდან არ გამოსულა, მის ახლადმოყვანილ ცოლს კი ფანჯრიდანაც არ გამოუხედავს გარეთ. თვითონ სურდა ასე, თუ იორდანე უშლიდა, ძნელია დაბეჯითებით რაიმეს თქმა.

— იორდანეს გიჟი დედაკაცი მოუყვანია, მთას იქითელი, — თქვა სოფლის დალაქმა მიტუშამ. — კი, ნამდვილი გიჟი ყოფილა, ჭკუაფრაკი.

— აბა, ჭკუადაწყობილი ვინ გამოჰყვებოდა მაგ ბებერს? — ჩაიქირქილა მაღაზიის გამგემ, სამაჰრე ულვაშებიანმა გრამიტონამ.

— გიჟი გიჟთან უფრო გამონახავს საერთო ენას! — კვერი დაუკრა ცალფეხა ხარაზმა სერაპიონმა.

მალე მეც დავრწმუნდი, რომ იორდანეს მოყვანილი ქალი ვერ იყო მთლად დალაგებული ჭკუის. შარა-შარა არ დარბოდა და ყველა გამვლელ-გამომვლელს ქვას არ ესროდა, ხშირად კი ურევდა. ერთხელ კინაღამ სახლ-კარი გადაუწვა იორდანეს: აივანზე მოინდომა ცეცხლის დანთება, გარეთ რომ გამოვდივარ მცივაო. გაზაფხულამდე უჯდა თბილ ბუხარს, მერე მოულოდნელად დაჰკრა ფეხი და გადაიკარგა. არა, იორდანეს არ გაუგდია, თვითონ გაიქცა და აღარ მობრუნებულა. ბერიკაცი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა თავის შეცდომას და ხელახლა ძებნა აღარ დაუწყია.

დაწყვილებული ბერიკაცი ისევ დაკენტდა, კვლავ მარტო დარჩა. თითქოს თავისი საქციელის შერცხვაო, ხალხშიც კი იშვიათად გამოდიოდა. ორიოდეჯერ ქეთომ მოაკითხა, მაგრამ მოხუცმა შინ არ შეუშვა: მე შვილები აღარ მყავს, კარგა ხანია გამოვიტირეო. აღარც ერთის დანახვა აღარ უნდოდა. მოკლედ, მოიძულა ყველა შვილი. დღისით ყანავენახებს არ შორდებოდა, შებინდებისას წაიძინებდა, ღამით ადგებოდა, აივანზე საკარცხულს გამოიტანდა და გარიჟრაჟამდე ისმოდა მისი ღიღინა ლოცვა და მწყრალი შეძახილები, ალერსიანი ჩურჩული და ბრაზიანი ქაქანი.

— ე, ჰე, ჰეი, სანდრო! ღრუბლებმა არ შეგაშინოს, ხვალ კეთილი დარი იქნება, წადი მთაში! სანდრო, არ გესმის, კაცო?

სანდროს სახლი დიდი გზის გადაღმა იდგა, იორდანემ თვითონაც კარგად იცოდა, საქორიას გორაკიდან იქამდე ხმას რომ ვერ მიუწვდენდა და მაინც გასძახოდა.

ერთ ღამეში ზარგულას თითქმის ყველა ოჯახს შეეხმიანებოდა ხოლმე იორდანე. არავინ ეპასუხებოდა. მოხუცი გაუბზარავ დუმილს აინუნშიც არ აგდებდა. ვინმეს გამოპასუხებას ის არც ელოდა. როგორც მოგვიანებით გავიგე, თურმე არც ეწადა, ვინმეს ხმის გაცემით მისთვის ღამის მყუდროება დაერღვია.

ერთხელ მე რომ გადმომძახა, ხვალ მთაში ერთად წავიდეთო, შევეხმიანე: კი, ბატონო-მეთქი, ეწყინა და საყვედურიც მესროლა:

— შენ, ნოშრევან, რატომ არ გძინავს აქამდე? დაიძინე, დაიძინე! ჩემსავით ჰოტად ხომ არ უნდა იქცე შენც! ღამის სოფელს ერთი ფხიზელი თვალიც ეყოფა! მეორედ ამ დროს ფხიზელი არ გნახო, გაიგე?

ის იყო და ის, იორდანეს ძახილისთვის ხმა აღარ გამიცია.

ზამთრის ყინვა-ყიამეთშიც კი არ იშლიდა თავისას იორდანე. დარი იყო, თუ ავდარი, ებრძოდა ღამეს ყვირილით ან ჩურჩულით. ხშირად ნატრობდა: გაზაფხულო, გაზაფხულო, როდის მობრძანდებიო!

და იმ წელს გაზაფხულმა მოსვლა არ დაუგვიანა ბერიკაცს. როგორც კი ჩამოთბა, სამი ტკეჩის გიდელი წელამდე თივა-ბზით ამოტენა, შიგ კვერცხები ჩააწყო და სამი დედალი დასვა კრუხად. დღეში ცხრაჯერ დახედავდა ხოლმე საბუდრებს, სული ელეოდა, ვიდრე გაიგებდა, რომელი კვერცხი გაიმგუნებდა და რომლიდან გამოიჩეკებოდა ბაიასავით ყვითელი წიწილა. ცოტამ უღალატა. კრუხები წიწილებს ქოთქოთით საბუდრებიდან რომ გამო-

უძლვებოდნენ, მთელი ეზო გადაყვითლდებოდა. მაშინ უნდა გენახათ, როგორ ახარებდა იორდანეს წიწილების წიაქი და გაფოფრილი კრუხების დედობრივი ქოთქოთი. სათრთხობელების ლაშქარი გამოჰკიდა ეზოს გარშემო: ქორი არ შემომეჩვიოსო და წიწილები არ წამართვასო. ეს სულ სხვა საზრუნავი გაიჩინა, ვიდრე ყანა-ვენახში ფუსფუსი იყო მისთვის. ყველა წიწილა თავისი სახელით მონათლა, თითოეულს რიგრიგობით ესიყვარულებოდა, ზოგს ენასაც კი უჩლიქავდა, როგორც აკვანში მწოლარე ჩვილს, აიყვანდა ხელში ფრთხილად, გულზე მიიხუტებდა და და საუბარს: თავის ადამიანურ ეს ანდობდა წიწილას, რომელსაც ჯერ ფეტვის კენკვაც არ იცოდა რიგიანად. წიწილებით მოჩითულ ეზოს ხალხმრავალი ოჯახის იერი ჰქონდა, ეს კი იორდანეს ყველაფრად ჰყოფნიდა. თვითონაც კრუხივით დაჰქოთქოთებდა წიწილებს და პირისახე მუდამ ქულა-ღრუბელს მიუგავდა. უცებ გამოიცვალა და გახალისდა ბერიკაცი. სამიოდე წიწილა თრითინამ რომ მოუკლა, რამდენიმე დღეს ჰირისუფალივით დალასლასებდა — პირქუში და ჩაფიქრებული.

აპრილის მიწურულში, წვიმიან საღამოს თავზე ჯვალოს ტომარაწამოხურული იორდანე კარს მომადგა და მთხოვა წამომყევიო.

ბუხრის წინ გაშალა სუფრა და ცეცხლის შუქი ათამაშდა ღვინოში.

დავლიეთ ერთი სადღეგრძელო, ორი, სამი, ოთხი... შვილები ადღეგრძელა კი არა, ერთხელაც არ ახსენა. მერე სავსე ჰიქას ჩააშტერდა, გაირინდა და ანაზდად ასწია თავი:

— იიჰ, რავა არის ის ლექსი? შენს გახარებას, ერთი მომაგონე!

— რომელი ლექსი?

— ჰო, მომაგონდა! დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამიტომ წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსაო. ვიიღომ ოდითგან ასეა გარიგებული? მარტო ამ უბეღურების გზით მოდის [illegible] სული ნუ წამიწყდება, [illegible] გეფიცები, მე დედაც ძალიან მიყვარდა და მამაც. არც ერთისთვის არ მიღალატნია და, მამაშვილობას, მითხარი. რატომ ვისჯები? ჩემი შვილები უნდა დაისაჯონ და მე რატომ ვისჯები? რატომ დავრჩი... დავრჩი კი არა, დამტოვეს ჩემი ჩრდილის ამარა? არა, ჩემი შვილები აქ მომსვლელლები აღარ არიან. არა! არც ერთს არ უნდა ეს სახლ-კარი. თუნდაც მთლიანად მარტო ერთს დავუმტკიცო გროშგაუღებლად, მუქთად და ტყუილად. აღარ შემიძლია მე ასე ცხოვრება, არა! სანამ თვალში ჩინი შემრჩენია და რაიმეს დანახვა შემიძლია, სანამ გონება არ წამრთმევია, უნდა გავიგო, ვინ მოუვლის აქაურობას... კი, უნდა გავიგო.

— მოუვლიან, გამოჩნდება პატრონი.

— მართლა?

— უეჭველად.

— მაინც ვინ გამოჩნდება?

— ეგ არ ვიცი.

— არ იცი, ხომ? აპა, ვინ იცის?

— არ ვიცი.

— ნოშრევან, მოდი, იცი, რას გეტყვი? შორს ნუ წამიყვან, ბარემ შენ მეშვილე. ჯობია, შენ დაეპატრონო ამ მიდამოს. სანამ ცოცხალი ვიქნები, ვიყოთ ერთად, შენი ცოლშვილიც აქ გადმოიყვანე, მერე, მე რომ წავალ... იქ... შენ იცი და შენმა ვაჟკაცურმა სინდის-პატიოსნებამ, თუ ამ კერას არ მოშლი, ბუხარს არ გამიცივებ. შენზე უკეთ აქაურობას ვინ უპატრონებს? მიწა გიყვარს და ყველაფერი.

— მე?! მე, ბიძია! იორდანე, შენც მოგეხსენება, ჩემი სახლ-კარი მაზარია, ჩემი კერია მაქვს მოსავლელი... — დავღეჭე სიტყვა.

— კი, ეს მეც ვიცი, ოღონდ, რა უშავს... ჩემს ეზო-მიდამოსაც და კერიასაც ისე მოუარე, რავარც შენსას უვლი. არ მინდა, საფლავში ისე ჩავწვე, იორდანეს მიწას საიმედო მომვლელპატრონი არ დავუტოვო. ვილაც ვიგინ-

დარები თუ დაეპატრონენ, გაახრებენ და გაავერანებენ, ვიცი მე, ცოტა მინახავს! ამბობენ, კაცის სული არ კვდება, ჰოდა, ჩემი სულის თვალით აქაურობა გავერანებული რომ დავინახო, რა მომასვენებს საფლავში? მოუარე ჩემს დარგულ ვაზს, იმ ღელეს, იმ წისქვილს, იმ ტყეს, ყველაფერს მოუარე!.. მე შენზე სანდო ქვეყანაზე არავინ მეგულება.

— მოვუვლი, ბიძია იორდანე, მოვუვლი!..

— ვიცი შენი ამბავი, მოვლით კი მოუვლი, მარა, ასე დაგანებებენ?

— ასე რას ჰქვია?

— აი, მე თუ არ დაგიმტკიცე.

— ეგ აღარ ვიცი.

— ვაითუ, არ დაგანებონ! ვერც თვითონ მოიხმარონ, არც შენ დაგანებონ. ჰოდა, იმიტომ გეუბნები. შვილად აგიყვან-მეთქი. მერე ვეღარავინ შეგედავება. მამაშენის ბუხარი შენს უმცროს ძმას დაუტოვე, ნამდვილად მოუვლის, ისიც კარგი ბიჭია, გარე-გარე სიარული არ უყვარს, ქალაქისაკენ არ უჭირავს თვალი...

რასაც იორდანე ფიქრობდა, ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. მისთვის წითელი ტყუილის თქმაც კი მომერიდა და თავიდანვე მტკიცედ განვუცხადე უარი: მე ამ ასაკში შენს შვილობილად არავინ დამამტკიცებს-მეთქი.

— ეჰ! — ამოიხვნეშა თვალში ნაღველჩამდგარმა იორდანემ და პირისახე საავდრო ღრუბლივით მოექუფრა. — რა შენი ბრალია, მარა, ბევრი რაღაცა არ მომწონს მე. ჩემი მოკლე ჭკუით, წუთისოფლის ბორბალს რაღაცა აქვს მოშლილი... დავიჯერო, ვერ ხედავენ? წინათ ათასში ერთი იყო ნასწავლი, ახლა ათასში ერთია უსწავლელი. ჰოდა, ბრმაა ეს ნასწავლი ხალხი, თუ... აგერ, ჩვენი მეზობელი სოფელი რომაა, რუბოძალი, იქიდან ყველა ქალაქში გაიხვეტა, კაციშვილი არ დარჩა შინ. თურმე მგლები სოფელში ჩამოდიან და მიტოვებულ სახლებში ათევენ ღამეებს, ბუნაგებად გაიხადეს. მალე, ალბათ, ჩვენს სოფელშიც ასე იქნება [illegible] ბა, ყველა სოფელი [illegible] დგას და თავს ძლივს იკავებს, ერთ წკიპურტიც და წაიქცევა.

— არც ასეა, ბიძია იორდანე, საქმე. ზოგი სოფელი, პირიქით, ისე გაძლიერდა, ავი თვალით არ ინახვება.

— ღმერთმა ქნას! აბა, ამ ჩვენს მეზობელ სოფლებს რა ღმერთი გაუწყრა! მთის ბრალია ვითომ? ღმერთმაც ქნას, არ წაიქცეს სოფელი! თუ სოფელი წაიქცა, ქალაქსაც არ დაადგება კარგი დღე, იცოდე ეს შენ. ეკლიან-ტალახიანი სოფლის შუკა თუ არ იქნა, ასფალტიანი გზაც ცარიელი დარჩება, აჰა! აღარაფერი არ მინდა, ერთი ნატვრაღა დამრჩა, სიკვდილის წინ ღმერთი დამანახვა. საიქიოში კი არა, სააქაოში, იქ მისვლამდე.

— მერე, რას ეტყვი, ბიძია იორდანე?

— ის მე ვიცი.

— მაინც?

— ეჰ, საღლაა ღმერთი, თვარა!.. — ღმერთსაც ჩაუქნია ხელი იორდანემ და კვლავ მე მომიბრუნდა: — აჰა, უარს მეუბნები შენ, ჰა?

— მე კი არ გეუბნები უარს, ბიძია იორდანე, შეუძლებელია, თორემ... მე სულაც არ მეთაკილება. ეს მარტო მე და შენი ნება არაა... მარტო ჩვენს სურვილზე არაა დამოკიდებული.

— ჰო, ეგეც მართალია. ყველაფერი ჩვენს ნება-სურვილზე კი არაა მოწყობილ-გარიგებული. ოღონდ, იცი, რას გეტყვი? რაკი ეს შეუძლებელია, იქნებ ახლო-მახლო გეგულება ვინმე, ვინც მეშვილება, ჰა? არ გეგულება?

— თუ პატარაობიდანვე არ იშვილე და შენს გუნებაზე არ გაზარდე, მერე ძნელია... ვერც შენ შეეგუები, ვერც ის შეგეთვისება, ასე რომ... რა ვიცი.. მაინც გავიკითხ-გამოვიკითხავ.

— კაი, კაი, შენ ნუ შეწუხდები, მე თვითონ გავიკითხ-გამოვიკითხავ.

გაიგეს შვილებმა ეს ამბავი და ხელ ახლა გამოფხიზლდნენ, აქედან შემოუარეს, იქიდან მოუდგნენ, მოეფერნენ,

დაუყვავეს და შეირიგეს მამა. რაკი შეირიგეს, მერე ჩუმ-ჩუმად ისიც შეაპარეს: ხომ ხედავ, დაგვიძველდა ეს შენი ნახელოსნები სახლი, ახალი ავაშენოთ, ექვსთვალიანი, რომ ყველა ოთახს ცალ-ცალკე ჩვენი სახელი ერქვასო! ამ ძველ სახლში მოსვლა გვიჭირს, იმ ახალში კი დაბრუნება გაგვიადვილდება, ისედაც ეს სახლი ნამეტანი დაძველდაო.

— ეჰ, შვილებო, მომასვენეთ, თუ ღმერთი გწამთ, მომათავებინეთ ჩემი წუთისოფელი აქ. ეს ძველი სახლი მე მეყოფა, გადამრჩება კიდეც, ხოლო როცა მე აღარ ვიქნები, რაც გინდათ, ის უქენით, ასე მითქვამს მე.

ამჟამად სხვა ფანდი იხმარეს შვილებმა, თითქოს უკან დაიხიეს, მერე მამას ტყიბულში წასვლა ურჩიეს: სამიოდე კვირას შვილიშვილებს გაეთამაშ-გამოეთამაშე, შეიჩვიე და იქნებ რომელიმე წამოგვყვეს კიდეცო. ტყიბული ისეთი ადგილია, იოლად შეელევიანო.

ჭკუაში დაუჯდა იორდანეს მორიდებით ნათქვამი ეს ვარაუდი, შვილიშვილებს თუ არ გაუშინაურდი, მუდამ უცხო ეგონები და შენკენ პირს რომელი იზამსო, აიკიდა ხურჯინი და გასწია ტყიბულისაკენ.

სანამ ბერიკაცი იქ შვილიშვილებს ეთამაშებოდა გულის მოსაგებად და გადმოსაბირებლად, შვილებმა ძველი სახლი სასწრაფოდ დაანგრიეს და უმალვე მოზიდეს ახალი სახლის მასალა: რიყის ქვა, ხე-ტყე, აგური, რკინა, შიფერი, კირი და ცემენტი. მე შენ გეტყვი, ფულს იშურებდნენ — ფეტვივით ფანტავდნენ. მუშახელიც ქალაქიდან მოიყვანეს საგანგებოდ დაქირავებული ძარადახურული მანქანით. ეს მანქანა საქორიას უბანში, პატარა მოედანზე დააყენეს და მუშების საცხოვრებელ ოთახად აქციეს.

ახალი სახლის ფუძე-საძირკველი ფართოდ მოზომეს და რაკი კაკლის ხე იმ საძირკვლის ფარგალში მოჰყვა, მოჭრეს და ამოძირკვეს. აივანზე შემშვენებული ორი ვაზი თავისთავად მოისრისა.

ყველაფერი სწრაფად კეთდებოდა, როგორც ზღაპარში. ეს — ფული იქცეოდა ზღაპრის გმირივით. ქვითკირის დიდ პალატზე ექვსთვალიანი ხის სახლი წამოჭიმეს, დახურვაც მოასწრეს და... ქალაქიდან მოულოდნელად ჩამოაკითხეს იორდანეს უფროს ვაჟს, ამ საქმის პირველმოთავე ლუკას. რაღაც დიდი გაფლანგვა ბრალდებოდა და პატარა სარკმლიანი დახურული მანქანით წაიყვანეს.

იორდანეს ტყიბულში სამი შვილიშვილი ჰყავდა, რძალმა ზარგულაში არც ერთი არ გამოატანა. მარტო დაბრუნდა შინ ბერიკაცი. აქაც არც ერთი შვილი აღარ დახვდა. მოტყუებული და კვლავ მარტოხელად დარჩენილი იორდანე მოუთავებელ სახლში შევიდა.

— კაკალი, ჩემი კაკალი მაინც არ მოეჭრათ! კითხვის ღირსიც კი არ გამხადეს, კითხვის ღირსიც! — ახლა ამასღა ჩიოდა იორდანე.

მალე ერთბაშად ულალატა იორდანეს ჯან-ღონემ, სამიოდე თვეში მოტყდა და დაძაბუნდა. თითქოს ის ძველი სახლი და მისი კბილა კაკლის ხე დარაჯობდნენ იორდანეს ჯან-ღონეს. ერთი მოუჭრეს დაუკითხავად, მეორე მოტყუებით დაუნგრიეს...

ერთ საღამოს იორდანეს სანახავად გავწიე, როგორ არის-მეთქი. ვხედავ, იორდანე კაკლის მორთან წევს შიშველ მიწაზე. წამოიწევს, ვერ დგება, წამოიწევს, ვერ დგება. ამაოდ ქანაობს.

— იორდანე ბიძია, რა მოგივიდა? — იღლიებში ამოვდე მკლავები, წამოვაყენე და კაკლის კუნძის ბოკონაზე დავსვი. — დაეცი?

— აჰ, არა, ჩემით დავწექი. ეჰ, ჩემო ნიშრევან, ცუდად წამივიდა საქმე. — შემომჩივლა ბერიკაცმა, — ნამეტანი უცებ გამომელია თვალში სინათლე, აღარც მუხლი მომდევს, აღარც მარჯვენა მიჭრის. ჩემებურად და ძველებურად მიწაზე წამოწოლა მენატრება, მაგრამ დავწვები თუ არა ძირს, ყურში

ჩამგუგუნებს რაღაც, თითქოს მიწის გული ხმაურობს გაანჩხლებული, არ სიამოვნებს ჩემი წოლა და დედამიწა ხელსა მკრავს, ადექიო, მე კი ვეღარ ვდგები... თურმე რა მიწა, რის მიწა, ჩემი გული ხმაურობს, გეგონებათ ვიღაცას შიგ დიდი სამჭედლო გაუმართავს, გრდემლი დაუდგამს და რაც შეუძლია, უროს უბაგუნებს. მაჯაც ისე მიფეთქავს ხოლმე... კეფაში რაღაც მაწვება შიგნიდან, ლამის თავი გამიხეთქოს და სარქველი ამხადოს. მიწა კი არა, მატყლის სქელი ლეიბიც აღარ მეჩვენება რბილი, მგონია, ეკლებზე ვწევარ. ჩემს ნებაზე ვეღარც ვდგები, ვეღარც ვწვები...

იორდანეს კიდეც რომ არ ეთქვა, ისედაც ვამჩნევდი, რომ ძალიან უჭირდა. ვიდრე სათქმელს ჩამოათავებდა, შუბლზე პირის ოფლმა დაასხა სამიოდეჯერ და სახელოთი მოიწმინდა, ცოტა ხნით სული მოითქვა, გაიხედ-გამოიხედა და ისევ ალაპარაკდა.

— რა მიქნეს, რა მიქნეს იმ ნამუსგარეცხილებმა! მოუთავებელ სახლს რომ ვუყურებ, გული მიკვდება. იმ ჩემი კაკლის ხის მორივით მიწაზე გაწოლა შემიძლია და ფეხზე დადგომა — აღარ. ალბათ, მოდის უკვე ის ჩემი სულთამხუთავი. მოვიდეს! აღარაფრის მეშინია, ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია. ვიცი, ვეღარაფერს შევცვლი. რაც თავი მახსოვს, სიცოცხლეც ბევრი მინახავს და სიკვდილიც. ახალგაზრდობისას რომ ვუყურებდი, სიკვდილი სხვანაირი იყო. მერე თანდათან გადასხვაფერდა. შენ მაშინ ამ ქვეყანაზე არც იყავი და საიდან მოესწრებოდი, მარა, იქნებ მამაშენისგან გქონდეს გაგონილი, მე რომ მამა მომიკვდა, მწარედ ვიგლოვე. მამის სიკვდილი ვის არ სწყინს. არა, ამას სხვა რამისთვის ვამბობ. სიმართლე გითხრა, მწარედ ვიგლოვე მარა, გულზე არ დამბეჭდვია. აი, დედულეთის ბიძის, მალაქიას, სიკვდილი კი, ღმერთმანი, არ ვიცი, რატომ, აქამდე ცხელი შამფურივით მაქვს გულში გაყრილი. იმ შემოდგომაზე დედულეთს ვიყავი. ბიძაჩემი მალაქიაც ისე მხიარულად მისდევდა არც მინახავს. სიმინდსა ჭრიდა თუ სართვლოდ ქვევრსა რეცხავდა, განუწყვეტლივ ღიღინებდა. მიკვირდა კიდეც ამდენი სალაღინო რა აქვს-მეთქი. სიმღერით მიაკარა პირნახული, წელში გაზნიქა ნალია და ბეღელი, აავსო მარანი. სახვალიო საქმეს აწყობდა, ახლა კი ოდა-სახლს მივხედავო — მოუთავებელი ჰქონდა. ერთ სახურავქვეშ მოაქცია თითქმის ყველა შრამელი — ბეღელი, სამზადი და მარანიც კი. მერე, ერთ ღამეს გარეთ გამოვიდა თურმე, კოჭებზე დაუჭედავად დადებულმა ფიცრებმა უღალატეს, მოულოდნელად აყირავდნენ ფეხებქვეშ და კაცი სახლიდან მარანში გადაეშვა კისრით. ყველას ეძინა და მხოლოდ დილით ნახეს ქვევრის თავთან სულდალეული. მისი გასვენების დღეს ცა მოკრიალებული იყო, გვიანი შემოდგომისათვის უჩვეულოდ თბილი მზე დაგვყურებდა. პირველად მაშინ ვიგრძენი, რა საშინელია სიკვდილი. ადამიანმა ყველაფერი ღიღინით მიაკარ-მოაკარა, მოიპირნახულა, მოირთვლიანა, მერე დაუჭედავმა ფიცარმა უმუხთლა და კაცი ისე წავიდა იმქვეყნად, თან კვნიტი და ფიორი არაფერი წაუღია, ყველაფერი აქ დარჩა — სავსე ქვევრები, დიდი კაკალი ეზოში, პატარა კაკალზე შეზვინული ჩალა, ძველი ვაზი და ახალშენი ვენახი, ორიოდე კვირის წინ ნაყიდი ძროხა და მოუმთავრებელი სახლი... ყველაზე უფრო კი რამ ჩამწყვიტა გული, იცი? იმ ღამეს, ბიძაჩემის კუბო რომ ესვენა მოუმთავრებელ სახლში, ოჯახს ხბო დაეკარგა და იმასაც დარდობდნენ. ხან სად დაეძებდნენ და ხან — სად. ამ დანაკარგმა, მგონი, ახლა უფრო შეაწუხა პირისუფლები. დიდი უბედურება რომ დაევიწყებინათ, ვითომ იმიტომ? იქნებ, რაკი ბიძაჩემს აღარაფერი ეშველებოდა, ხბოს ნახვის იმედი კი გადაწურული არ ჰქონდათ, ამიტომ ეძებდნენ გამწარებით? ხბო მკვდარი რომ ენახათ და მერე გოჭი დაჰკარგვოდათ, მაშინ,

ალბათ გოჭზე იდარდებდნენ უფრო, ვიდრე ხბოს სიკვდილზე და ეგების მართლებიც იქნებოდნენ, ჰა? რასაც აღარაფერი ეშველება, იმაზე დარდი რას შველის? ასეა? ჰოდა, მგონი, საჭიროც არაა, ხომ?

— ეს, ერთობ რთული ამბავია, ბიძია იორდანე.

— ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი, წინათ თითქოს უფრო მარტივი იყო ცხოვრება.

— მოისვენე, ბიძია იორდანე, მოისვენე. წამო, დაწექი, იქნებ დაგეძინოს. მე აქვე დავრჩები.

— დარჩები, აპა? თუ დარჩები, ცეცხლი დამინთე, კარგი?

— გამცივნებს?

— არა. მინდა ჩემი ბუხრიდანაც ავიდეს ბოლი. ცას გაეხარდება.

ბუხარი ავაგუზგუზე.

იორდანემ ბალიში აიმაღლა და ხელები საბანზე დააწყო.

— ნოშრევან, ერთი სათხოვარი მაქვს და არ გამაწბილო.

— თუ შემიძლია, კი, ბატონო.

— შენ სხვებს ნუ აჰყვები და დიდ გზასთან ნუ გადასახლდები. დიდი გზისპირი ნამეტანი აცუღლუტებს ადამიანს.

— მე გადასახლება არც მიფიქრია.

— ნურც შენს ძმას დაანებებ აქედან აყრას.

— არ დავანებებ.

— ნუ გააუკაცურებთ საქორიას უბანს.

უხმოდ დავუქნიე თავი.

— დაიძინე, იორდანე ბიძია, დაიძინე!

— ეჰ, ჩემი ძილი... ბავშვობისას კალოს ვლეწავდით. კევრზე ვიდექი. რაღაცამ დააფრთხო ხარები და გაიქცნენ. შემეშინდა. კევრზე დავწექი და თვალები დავხუჭე. თავბრუ დამესხა. მაშინდელი არ იყოს, ახლაც მეჩვენება ხოლმე, კევრზე ვწევარ, კევრი კალოს უტრიალებს სირბილით. მე თავბრუ მესხმის და შეშინებული ვიღვიძებ. არც კალოა სადმე, არც — კევრი. ტახტზე ვწევარ. ჰოდა, ახლა დაძინებისაც მეშინია. უტრიალებს და უტრიალებს კალოს კევრი, მე კი თავს მაკარგვინებს... კევრს შავთეთრი ხარები უბია... მე ასეთი ხარები არასოდეს არ მყოლია... ვისია ეს ხარები: ვფიქრობ და ვერ მომიგონებია.

ერთი კვირაც არ გასულა, იორდანეს ბიძამისივით მოუვიდა, ღამით აივანზე გამოსულს დაუჭედავად დალაგებული ფიცრები აუყირავდა, კიბეზე დაგორდა და ეზოში, საწვეთელთან დაგდებულ კაკლის ხის კუნძს დაეჯახა თავით.

ძილში ჩამესმა მისი ბღავილი: მიშველეთო!

უმალვე იორდანესთან გავჩნდი. დარეტიანებული კაცი შინ შევიყვანე. ფრთხილად დავაწვინე ლოგინში და თავზე დავადექი.

— იორდანე ბიძია, ცივ ტილოს დაგადებ!

— არ მინდა, არაფერი არ მინდა. ოღონდ ნუ მომშორდები, ბიჭო. შეურცხვეს თავი ჩემს შვილებს, მომატყუეს, ალუა ბავშვივით მომატყუეს. ხომ ვუთხარი, შევეხვეწე კიდეც, ახალი სახლი არ მინდა-მეთქი. მომემთავრებია ჩემი წუთისოფელი იმ ძველ ბუდეში, რა იქნებოდა! დამილაგეს აქ ფიცრები და ფრრრრ! გაფრინდნენ. ნაშძინარევს დამავიწყდა ძველი სახლი რომ აღარ მქონდა, თამამად გავედი აივანზე... ფიცრები რომ დაუჭედავი იყო, ვილას ახსოვდა. ჰოდა, მიმტყუნა... ხომ შევეხვეწე, შევემუდარე, არა-მეთქი! ვინ დაგიჯერა!

— ნუ გეშინია, იორდანე ბიძია! — ვცადე მისი დაიმედება. — მარცხი ვის არ მოსვლია, ხიფათს თვალი არ უჩანს.

— რატომ, რატომ, თვარა კაი შენ! შვილო, ერთი აქეთ მათხოვე ყური! გეხვეწები, ექიმი არ მომიყვანო, გამაწამებს. ვერაფერს მიშველის, გამაწამებს კი. თუ გადასარჩენი ვარ, უექიმოდაც გადავრჩები. თუ სასიკვდილო ვარ, უექიმოდაც მოვკვდები. დოქით ღვინო მომიტანე და დამიდგი აგერ. ღვინოზე უკეთესი ექიმი მე დუნიაზე არ მეგუ-

ლება. ან მომარჩენს, ან — მომკლავს ერთსაც გთხოვ: სანამ პირში სული მიდგას, ჩემს მუტრუკებს ნურაფერს შეატყობინებ. ვაითუ, იმათ დანახვაზე წყევლა წამომცდეს. არ მინდა, სიკვდილის წინ შვილები დავწყევლო... რაც არ უნდა იყოს, ჩემი სისხლხორცეულნი არიან. რა ვქნა, მე ჩემი ვეცადე და ვერაფერს გავხდი. ამიერიდან კი გზა ხსნილი აქვთ, რავარც უნდათ, ისე მოიქცნენ, ისე იარონ და იცხოვრონ... რა ვქნა, რა ვქნა!..

— იორდანე ბიძია, ტირი? შენ და ცრემლი?

— არ არის ჩემი ამბავი სატირელი, თუ?.. ეჰ! ცეცხლი დამინთე, შენს გახარებას, ცეცხლი! ეგეც ჩემი წამალია!

დილამდე იბორგა. მერე ღვინო კიდევ დალია და ჩაეძინა. დაფეთებული გამოეღვიძა და აყვირდა:

— გააგდეთ! გააგდეთ!

მიმოვიხედე. ოთახში ჩემს გარდა არავინ იყო, არც — აივანზე.

— საიდან მოეხეტა ეს ტიალი?! გააგდეთ, გააგდეთ!

— იორდანე ბიძია, დაწყნარდი. რამ აგაფორიაქა? ვის უწყრები? აქ მხოლოდ მე ვარ. დამაკვირდი, მხოლოდ მე ვარ...

— ჰო, შენ ხარ... ის წავიდა. შეეშინდა და წავიდა.

ალბათ, სიკვდილი ელანდება-მეთქი, ვივარაუდე. ცნობისმოყვარეობით განგებ შევეკითხე კიდეც:

— ვინ? ვინ წავიდა, ბიძია იორდანე?

— ვინ და... შენთვის, მგონი, არასოდეს მომიყოლია. წინათ ზამთრობით სადურგლოდ კარგა შორს დავდიოდი ხოლმე. ერთხელ გვიან გაზაფხულამდე დავრჩი. ჯიბეები ფულით გავიტენე და ხურჯინი — ნავაჭრით. შევჯექი ცხენზე და გამოვწიე შინ. ტყის ბილიკზე ყაბალახით პირშეხვეული ყაჩაღი გადამიდგა და დამბაჩა დამიმიზნა: ან ფული, ან სულიო. ყველაფრის წართმევა დამიპირა იმ უნამუსომ. არ შევეპუე: ცოცხალი თავით არც ფულს გაგატან, არც სულს-მეთქი. ხელი დამბაჩაზე ავუკარი. ტყვიამ ყურთან გამწივლა. ხელმოცარული ყაჩაღი დაფრთხა და გაიქცა. ეჰ, მაშინ რომ მოვმკვდარიყავი, იქნებ ჯობდა. თუმცა, არა, არა ჯობდა. რამდენ რამეს ველარ ვნახავდი. აი, სწორედ ის ყაჩაღი მომელანდა ისევ. რაკი მაშინ ვერაფერი წამართვა, ახლა მემუქრება: ყველაფერს წაგართმევო. სიკვდილს, ალბათ, იმდენნაირი სახე აქვს, რამდენ კაცსაც უნდა წაუძღვეს მოუსავლეთისაკენ. მავანთან ცელიანი მიდის, რავარც წიგნებში ხატავენ, მავანთან — ლამაზი ქალი, ერთთან — მგელი, მეორესთან — ათასი ჯანაბ-ჯალხანა. მე კი იმ პირახვეულ ყაჩაღად გამომეცხადა, პირძალლი, ტყის ბილიკზე გაძარცვა რომ დამიპირა და არაფერი გავატანე. ალბათ, ეგ იყო თავიდან ჩემი სიკვდილი, მაგრამ რაკი მაშინ არ შევეპუე, შეშინებული გამშორდა, ამჟამად კი დაუძლურებული დამიგულა და, ა, ისევ გამოჩნდა, რომ მიყელოს... ვაზივით დამეღვლარჭნა ფეხები. ამ ფეხებით, იცის, სიკვდილს რომ ველარ გავექცევი და დიდგულზეა. ბალიში ამიწიე, შენს გახარებას. ჰო, ასე.

აიწია და ბალიშზე მხრებმიყრდნობილი ერთხანს გარინდებული გაჰყურებდა ფანჯრის მიღმა.

— ნოშრევან, კონცხზე დაყუდებულ ციხეს ხედავ? თანდათან დაბლდება. ძირიც გაუშიშვლდა, ჩამოეფხიკა და ჩამოერეცხა. შიგ ამოსული მუხა კი გაიზარდა. თვალისჩინი თითქოს დამეკარგა, ამას კი ვხედავ. ხომ არ მელანდება ნეტავი? შენ ხედავ?

— კი, ვხედავ.

— ინგრევა ჩვენი ძველისძველი ციხე, აღარავის სჭირდება და ინგრევა. ალბათ, იმ ციხეს ოდესლაც ეგონა, მე რომ აქ არ ვიდგე, ქვეყანა დაიღუპებაო, ეს რწმენა სჭირდებოდა კიდეც, ამხნევებდა და აძლებინებდა. მეც მეგონა, უჩემოდ სოფელ-ქვეყანას რა ეშველება-მეთქი და ამ ფიქრით ვინარჩუნებდი ადრინდელ ჯან-ღონეს, ვინახავდი

სულს. თურმე, რა დაგკარგვია, რას ეძებ. ბოლოს გავიგე: აღარავის ვჭირდები, არც შინაურს, არც — სხვას.

— კი სჭირდები, ბიძია იორდანე, სოფელ-ქვეყანასაც სჭირდები, შინაურებსაც და სხვასაც! — არ გადავუწურე იმედი ბერიკაცს.

— ტყუილია ეგ, საამო ტყუილი. ჩემმა გაჭირვებამ გათქმევინა შენ ეგ ტყუილი. მიპატიებია. სადღა მყავს, ბიჭო, შენს გარდა, ვინმე შინაური? ჰოდა, თუ შინაურს არ სჭირდები, დანარჩენი, ყველაფერი მოგონილია. აღარავის სჭირდება იორდანე, არც მისი გაშენებული ვენახი, არც მისი გამოყვანილი წყარო, არც მისი დადგმული ოდა-სახლი, არც მისი ნაკალატოზები ბუხარი, არც მისი გაჭრილი გზა და... აღარც მისი რჩევა-დარიგება. არაფერი, არაფერი. ყველას თავისი ჭკუით უნდა სიარული. ამ ქვეყანაზე იორდანე უკვე ზედმეტია. ეს კი, ეს — სიკვდილზე უარესია. ცოცხლეულად სიკვდილია, სხვა არაფერი.

— ღვინო მოსვი, იორდანე ბიძია!

— აგაშენა ღმერთმა! სანამ შენი დანახვა შემეძლება, მე არ მოვკვდები. ვაცი, შინ ათასი საქმე მელოდება, მარა. თუ კაცი ხარ, ნუ გამექცევი. რამდენიმე დღეც დამახარჯე. უფალი თუ სადმეა, ან ცაში ან მიწაზე, გაცემულ სიკეთეს ასმაგად დაგიბრუნებს. — იორდანემ წამოიწია და ბალიში ჩაუცურდა. ისევ გავუსწორე. — გმადლობ, შვილო, გმადლობ! ეჰ, ძნელია, ამის მეშინოდა, სხვა — არაფრის. ღმერთმა ხომ იცის, არ ვიყავი ამისი ღირსი. უსამართლოდ კაცისშვილს არ მოვქცევივარ, ჩიტიც კი არასდროს გამინაწყენებია, ჭიანჭველასთვის ფეხი არ დამიდგამს და მაინც დავისაჯე. რატომ? რატომ? — მე კი არა, ვიღაც უხილავს ელაპარაკებოდა იორდანე, უფრო სწორად, ალსარებას ანდობდა. — ჩემი აშენებული ბუხრები დიდხანს უნდა იდგეს დაუნგრევლად, ჩემი ნადურგლარი სახლებიც. მერე რა, რომ მე ვინგრევი? იმ წყაროებმაც მუდამ უნდა იჩუხჩუხონ, მე რომ აუზი გავუკეთე და პირისქვა მოვუჩუქურთმე. — ჩემი დარგული ვაზები კარგა ხანს არ უნდა გახმენ. — ამას უკვე წამღერებით ამბობს იორდანე, ლოცვასავით. — სხვამ თუ არავინ, შენ მაინც მომიგონე ხოლმე, ნოშრევან. გამიგონია, კაცი მანამდე ცოცხლობს, სანამ თუნდაც ერთი ადამიანს ახსოვსო. მე ეს მჯერა. ა, შემოიტუზა ისევ ის პირახვეული ყაჩაღი. ძალიან მომეჩვია ეგ მამაძაღლი! გააგდე, ნოშრევან, გააგდე? მომეშველე, ბიჭო! ხომ ხედავ, მარტო ველარ ვუმკლავდები! ჰეი, ადამიანებო, მომეშველეთ!..

როგორც იქნა, დავაწყნარე და დავაძინე. ძილში წამდაუწუმ ბორგავდა. იმ ყაჩაღის ლანდმა ისევ მალე გამოაღვიძა. თითქმის მთელი კვირა ებრძოდა და იგერიებდა დაუპატიჟებელ სტუმარს. მერე მოგონებებს აედევნა:

— ნოშრევან, წისქვილთან, თხმელებში დიდი გუბე იყო, თავკომბალები იცოდა შიგ. მივუახლოვდებოდი თუ არა, გაიქც-გამოიქცეოდნენ. გემუდარები, ჩამიყვანე იმ გუბესთან, ერთხელაც ვნახავ, კიდევ დაცურავენ?

მე ვიცი, იქ გუბე იორდანეს ბავშვობის შემდეგ აღარ ყოფილა. მაინც ვპირდები: უეჭველად ჩაგიყვან-მეთქი ეს ტყუილია, მაგრამ კეთილი ტყუილი. ბერიკაცს ბავშვობის დღეების გახსენება სიამოვნებს. ზოგჯერ სხვას ველარც იგონებს რამეს და ამის წართმევაც ახლა დიდ ცოდვად მიმაჩნია.

— ამ დღეებში თუ გაგივლია იქით, ნოშრევან?

— კი, გამივლია.

— მერე? დაბუქლაობენ კიდევ თავკომბალები?

— კი. ზოგჯერ. ერთი შეხედვით ლიფსიტებს ჰგვანან. მერე, თანდათან, ბაყაყებად იქცევიან.

— ჰო, მაშინაც ასე იყო. ჟუჟუე შენ?!

ერთხანს დაუჭედავ ჭერს მიშტერებია და თავს აქნევს, მერე ისევ მე მიყურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რისი თქმა მინდოდა, რისი თქმა მინდოდა?.. ჰო! რუხ კლდესთან დბთავიმსხალა რომ არის, ალბათ, დამწიფდა უკვე; სუნი მცემს. თაფლივით გემრიელია ის დალოცვილი. კლდის თავზე შავი კუნელია, ისიც ტკბილია, ოღონდ — დართვილულო. ეჰ, როდის მოვა გაზაფხული, ქალას ჭამა მიყვარს უმად. ახლა რომ მომცა, იქნებ მოვერჩინე.

რუხ კლდესთან მდგარი დათვისმსხალა მე არც მინახავს, იორდანეს კი ახლა იმ მწიფე ტყის ხილის საამო სურნელება ელანდება.

მოგონებებად იქცა კაცი, თან ყველა მოგონება ამქამინდელ სინამდვილედ ეჩვენება, თითქოს ხელჩასაჭიდი სხვა არაფერი დარჩენიაო. იგონებს ბავშვობას, ხოლო სიჭარმაგისა და სიბერის ამბები, მგონი, სულაც გადაავიწყდა. ახლა მისი სიცოცხლე ეს მოგონებებილაა.

— ნოშრევან, დააკვირდი, დააკვირდი, რა ყოჩაღია ჩემი ნიგოზი. ჩამოუხოლავს ვილაცას, ტოტებიც კი დაუმტვრევია... რამდენიმე კაკალი მაინც შერჩენია. ჩუტეა თუ გულსავსე, სულერთია, იმედივითაა... რა შეუპოვარია, ჰკვიანურად შეუპოვარი ჩემი ნიგოზი. ტოტებდალეწილიც კი იმედს არ კარგავს: ხედავ?

— იორდანე ბიძია, შენი ნიგოზი ხომ მოჭრეს? — მინდა სინამდვილეს დავუბრუნო ადამიანი.

— ჰო, ჰო, მოჭრეს! მომელანდა. მომელანდა. რატომ მოჭრეს, რატომ? ჩემი ნიგოზი რომ არ მოეჭრათ, მეც კარგად ვიქნებოდი ახლა... იქნებ იმ კაკლის ხეს ებარა ჩემი სული? მამაჩემი ყველას უშლიდა კაკლის მოჭრას, არ ვარგაო, სიკვდილი იცისო... ჩემმა შვილებმა კი მომიჭრეს. მოტყუებით სხვაგან გამაგზავნეს და მომიჭრეს... ჩემს ეზოშივე წამიქციეს... ვაზებიც მომითხარეს და გამითელეს... ნოშრევან, რა არის სიკვდილი? არ იცი, ხომ? ღმერთმა დიდხანს ნურც გაცოდინოს. ადამიანს სიკვდილის მხოლოდ სიკვდილამდე ეშინია... ნოშრევან, მიშველე, ვილაც ჩამიწვა ლოგინში, უხსენებელივით ცივი! მიშველე!

იორდანეს ფეხები უცივდება. მე თბილ ხელებს ვუსვამ გალიგვებულ წვივებზე და ისევე ვუთბობ, როგორც ის მამაჩემს უთბობდა ფეხებს.

— შენს გახარებას, ნუ დამზარდები, კეცი გამიხურე, შალის ნაჭერში გამიხვიე და ფეხებშუა ჩამიდე.

— ადვილი სამსახურია, ახლავე, იორდანე ბიძია!

კეცი მალე გახურდა. შალის ნაჭერიც მაშინვე ვიპოვე, ორკეცად გავახვიე და ფეხებშუა ჩავუდე.

— ო, შენ გაიხარე შენი ცოლშვილით. საბანსაც თუ ამომიკეცავ!..

ამოვუკეცე, ჩავათბუნე და ცოტა ხნის შემდეგ ვკითხე:

— გესიამოვნა?

— ეჰ, მეგონა, მარა... მომაშორე! კეცი მაინც ქვაა, შენი ხელი უფრო მათბობდა. ქვა, რაც არ უნდა გააცხელო, ეტყობა, ადამიანის ხელი მაინც უფრო თბილია.

იორდანეს ცივ ფეხებზე რომ ვუსვამდი ხელს, მთელ ტანში მაჟრჟოლებდა და მბურძგლავდა. თავს მოვერიე და ბერიკაცს ეს არ შევამჩნევინე.

— ნოშრევან, სადა ხარ? ხმა გამეცი, ბიჭო!

— აგერ ვარ, ბიძია იორდანე! ბუხარს ვუვლი.

— ბუხარს? სადაა ბუხარი? ჰო, ჰო, მოუარე, მოუარე! — იორდანემ თავი ასწია, თითქოს სადღაც შორს გაიხედაო. — ნოშრევან, ბუხარს მოეშვი: ჩემი კარის ვენახში ჩაირბინე და ვაზის ლერწი მომიტანე. ნუ მკითხავ, რად მინდა, მომიტანე!

ვენახიდან დაბრუნებულს იორდანე თავზე საბანწახურული დამხვდა. მხოლოდ საწოლიდან ჩამოკიდებული ხელი უჩანდა, ოდესღაც ნიჩაბივით ფართო ხელი, ახლა მოხრუკული, როგორც ცეცხლში შეგდებული ტყავის ნაჭერი.

მივხვდი, რატომაც გამაგზავნა ვენახში. მომიშორა. მერე, ეტყობა, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება.

თავზე წაიფარა საბანი, სულთმობრძავს არ შემომისწროს და ჩემი სიკვდილი არ ნახოსო.

ვაზის ლერწით გადავწიე საბანი.

საშინელმა სიცარიელემ დაისადგურა ჩემს ირგვლივ.

„ეს იორდანეა, თუ?..“

თვალები ღია დარჩენია, პირსახეზე მიწისფერი დასდებია და ამით იგი უფრო საცნაური გამხდარა — გეგონებოდნებათ, უსწორ-მასწორო მინდორი ახალ ხნულივით დაუხნავთო. უამრავი ნაოჭი დაჰყრია ზიგზაგ ღარებად. ტუჩებმოკუმულს შუბლი თითქოს უფრო გასდიდებია. სქელი წარბები მკაცრად შეუკრავს და გაბანჯგლული წვერი ისე ასწეწვია, თითქოს კი არ წევს, ქარში შეუპოვრად მიდისო. უხილავ ქარს ებრძოდა კაცი.

* * *

ყველა ჭირს თავისებური დახვედრა სჭირდება, თავისი წესითა და რიგით, თავისი საზრუნავითა და დავიდარაბით. ზოგჯერ მიცვალებული ვიღას ახსოვს, მთავარია სხვა რამ, ნამდვილი თუ მოჩვენებითი სხვა რამ.

შვილებზე დამდურებული მოკვდა იორდანე, მოკვდა მარტოხელა. ოღონდ განდეგილივით არა. თვითონ არავის განდგომია, სხვები განუდგნენ.

ვიდრე შვილები მამის უბედურებას შეიტყობდნენ, რომ არავის ეფიქრა, საქორიაში უპატრონობააო, მეზობელი უბნის რამდენიმე კაცი მოვიყვანე და ჯარასავით დავტრიალდით. უმალვე კარმიდამო მივალაგ-მოვალაგეთ. სარკეს ზეწარი ჩამოვაფარეთ და მიცვალებულის გაპატიოსნებას შევუდექით. იორდანეს თავისი საუკეთესო ტანსაცმელი ჩავაცვით და ნოხდაფენილ ტახტზე დავასვენეთ.

ასე რომ, მისი პატრონიცა და პირველი ჭირისუფლებიც ჩვენ ვიყავით — მეზობლები.

მერე, იორდანე დანგრეული ეკლესიისაკენ წავასვენეთ.

შემოდგომის მზე ულიმღამოდ დაგვყურებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკრეფილი ვაზები სევდიანად იდგნენ და ყვითელი ფოთლები უთრთოდათ. ზოგი ფოთოლი ჩვენს თვალწინ წყდებოდა და ნელი ფარფატით ეშვებოდა ძირს.

კონცხზე მდგარ კედელჩამონგრეულ და კარშეხსნილ ციხეს ფიქრმორეული კაცის იერი ჰქონდა. ციხეში ამოსულ მუხას ოდნავ სიყვითლემორეული შტოები მედიდურად გაეშალა ქონგურების თავზე.

შვილები თავჩაქინდრულები მიაცილებდნენ მამას უკანასკნელ გზაზე. ვერ გაიგებდით რამ ჩააქინდვრინათ თავი: უბედურებამ, დანაშაულმა თუ სირცხვილმა? იქნებ სამივემ ერთად?

აი, ნამეხარი მუხაც გამოჩნდა. გეგონებათ პირი დასაყვირებლად მოუღია, მაგრამ კარგა ხანია ხმა დაჰკარგვია და თავის ხვაშიადს ვერავის აგებინებსო.

იორდანეს ხელით პირმოკეთებული წყარო წინანდებურად ჩუხჩუხებს. ოღონდ ახლა მეჩვენება, რომ ამ წყაროს ცრემლის ფერი დაჰკრავს.

ვიღაცამ სკოლის ზარი მძიმე-მძიმედ ჩამორეკა ცხრაჯერ.

გზას გაჰყურებენ იორდანეს აშენებული ოდა-სახლები და იორდანესავით სდუმან ახლა.

უცებ ცაში გუგუნი გაისმა. გუგუნმა გადაირბინა ჯერ მინდორ-ველი, მერე — მთა. თვითმფრინავის ხმის ექოთი გაივსო ხეობა. თვითონ თვითმფრინავმა კი მთებისკენ გაიქროლა და ცის დასალიერში წერტილად იქცა. გუგუნი თანდათან მინელდა და ბოლოს მთლად მიწყდა, თითქოს იმ წერტილთან ერთად ცამ ჩაყლაპაო.

ისევ დაყრუვდა ირგვლივ მიდამო მერე, ამ სამარისებურ სიჩუმეში ჩემი ყურით გავიგონე იორდანეს კუბოსთვის მხარშედგმულმა უცნობმა ჭაბუკმა მეორე ასევე უცნობ ჭაბუკს რომ გადაუჩურჩულა: კაცი წევს თუ ქვა დევს, რა მძიმეაო. მეორემ მოურიდებლად

ასმახა ზევით: იორდანე, ცოტა ეიმჩატე, თორემ წელში გავწყდითო. ვილაცას გაეცინა. მე კი ცეცხლი წამეკიდა გულზე. ასეთ დროს შეიძლება ლაზღანდარობა?! უმალვე ხელი ვკარი იმ ბიჭს და ჩემი მხარი შევუდგი იორდანეს სამუდამო სასახლეს.

* * *

ჩემს მეზობლად, საქორიის გორაკზე, განცალკევებით ახლაც დგას უპატრონოდ მიტოვებული სახლი. იგი დღესაც მოუმთავრებელია და კვლავ მრისხანედ გადაჰყურებს ქალაქისაკენ მიმავალ დიდ გზასთან ორივე მხრიდან მიმდგარ სოფელს.

კარგა ხანია იმ სახლის ბუხრიდან კვამლი აღარ ამოსულა. სახურავმა აქაიქ დალპობაც კი მოასწრო უკვე და ხავსიც მოიკიდა. თანდათან დანგრეულ ტაძარს დაემსგავსა. შემაძრწუნებელი სიჩუმით სავსე ეზო გავერანდა და შამბით დაიფარა. შამბში ლპება კაკლის ხის მორი და კუნძები. შამბში დაიკარგა იორდანეს ვენახისაკენ მიმავალი ფართო ბილიკიც. ახლა სახლში მიიპარება ეზოში თავმოწონებული შამბი— ანწლი, ჭინჭარი, ბირკა, ძაღლყურძენა. რატომღაც ყველა ერიდება იმ ეზოში გავლას, როგორც თურმე წინათ შერისხულ და ნაძრახ, გაპარტახებულ ადგილს უფრთხოდნენ.

აღარ ისმის მთვარიანი ღამის სიმყუდროვეში იორდანეს ხვაშიადი — წყევლა და ლოცვა, ალერსი და მუქარა, ყვირილი და გალობა.

სამაგიეროდ ,კვლავ შესცქერიან მზიან თუ ღრუბლიან ცას იორდანეს აშენებული ბუხრები. აქა-იქ კვამლი კვლავ ამოდის.

ისევ ჩუხჩუხებენ იორდანეს ხელით მოპირკეთებული წყაროები. ერთ ლამაზ წყაროსთან კი კვლავ დგას ნამეხარი მუხა.

ამ მუხას რომ შევხედავ ხოლმე. ქვეყნად დარჩენილი იორდანე მგონია.

ჯაალ ებანოიძე

## დეკემბერი. გაზაფხულის მონატრება

1.

რატომღაც ახლა
მომინდი უფრო,
და წყურვილივით
მტანჯავს სიშორე...

სადღაც ანთიხარ
ამ დაღლილ ქარშიც;
ფერმკრთალ ბალახად..
ვის თვალში გაშრი?
ვის სმენაში
გაწელდი ექოდ?!

ვიცი:
ვედრებით მომაგონებ
რაღაც ახლობელს
და ამატირებ
ქალებთან ერთად...
თუ ბალახები ჩემშიც სახლობენ
და დღემდე
შენი მლოცველი მერქვა,
მარადის უნდა იშრიალო
ღია თვალებში...

2.

კვირტივით ფრთხილად
მოწვერავს დარი,
მზე ესიზმრებათ
როცა ფერდობებს;
ტყეების თავზე ქედანის ჩრდილს
გაარჩენს ქარი
და გაამძაფრებს
გაზაფხულის მონატრებას.
უფრო მაწუხებს ამ დროს
ყველა სამარის ლოდი
და აბორცვილი მიწის სიცივე...
დღეს გახუნებულ მინდვრებით მოდი
და თვალზე
ობოლ ცრემლად ციმციმებ.

მზე მინდა ახლა
და ტყემლის თავბრუ, —
მთენთავი რული და შენი ემხი, —
ეს მოლოდინი,
ყინულივით მიჭირავს ხელში
და მჯერა შენი მჩატე დარების.

* * *

ზოგჯერ
მიმწუხრით მიმატოვებ
და ქალწულებრივ
სიმარტოვეს
ინათებ გზაზე.
რა ხარ ასე მოჩუმარი?
რა მოღვიძარი
ზარები თვლემენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შორეულ ლაჟვარდებს იქეთ?
გაგიძლებს ჩემი
ოცნების სხვენი?
— შენ გეკითხები
და ჩემს ორეულს,
რომელიც
დაღლილ ყანაში შედის,
რომ მოიტაცოს
ყანის სიგრილე, —
იჭვიანი გამოხედვით
მივაცილებ.

* * *

ომში დაცემული ძმის ხსოვნას

გამომზირალი ღრუბლის ტოტიდან,
ალისფერ სითხედ
ჩემს ქედებზე ჩამოდის მთვარე
და ხეზე ჰკიდებს მწუხარ მოტივად
ქარის ფრთას, —
შენი სიმღერის ექოს
და სველ მზერაში იძირება
მომკილი ფერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

## წიგნიდან: „მკურნალი მიწა“

ჩემი სიზმრების ქვიშიან ველებს,
ბევრჯერ გატკეპნილთ მოლოდინის ცივი ქუსლებით,
კვლავ მოვუყვები სხვა ნაპირთა შუქის მძებნელი.

და ერთგულების ტვირთი მომაქვს,
წელმოხრილი
მოვდივარ შენი დაბინდული სერებისაკენ.

ჯიუტად ვათრევ მე ჩემს საგზალს,
მზემ რომ მიბოძა,
გულუხვმა ზღვამ რომ გამორიყა ჩემს ნაპირებზე...

ამოხდების და ჩახდების მზე...
კიდევ და კიდევ...
მე შენკენ ვივლი, ერთგულების პურის მზიდველი.

* * *

მიწა ზამთრების სიმკაცრეზე გვესაუბრება
ბალახის ენით,
ყვავილების ანბანით,
უხმოდ...

ჰოი, საგანთა გულთმისანო,
ფორმების ღმერთო,
ააყირავე ეს ხმა ქვეყნად ყველა სულდგმულის
ყურის მღვიმეში,
მოაოქროვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხმით მოკვდავის გულის უფსკრული,
ამ ყვავილების ანბანით დაწან
კაცთა იმედის გვირგვინები
და გამოკიდე ჩვენს ღამეებში...

ჰოი, საგანთა გულთმისანო,
ფორმების ღმერთო...

## მ ე ს ა მ ე

მივეშურები სახეტიალოდ და ვკეტავ მწუხრის
გამოქვაბულებს...
მაგრამ შენ ვინ ხარ, ხელებს რომ მიქნევ, საით მეძახი,
რატომ მაბრუნებ?

ვინ მომდევ, ხოლმე, ვინ იარები, შუაღამეში ჩემს გზას
თვალთვალით
რომ მოუყვები, ჰოი, მდევარო, ვინ ხარ, რომ გფარვენ ღამის
კალთანი,
საით მაბრუნებს შენი ძახილი, რას მევედრები? — მამცნე
მართალი.

* * *

მთვარის ტოტიდან ჩამოფრინდა მწვანე ფრინველი...
შენ,
მარადიულ სიშორეთა მხილველო მგზავრო,
ამ ბალახთა და ტყეთა გარდა,
ვის, ვის მოლოდინს განკურნავ, ნეტავ,
ოდეს პირქუში ქალაქის თავზე
გადაიქროლებ ფრთების შრიალით?
ვის გამოიხმობ ამ ბეტონის უდაბნოდან,
ვის დაუჩოქებ,
ვის წყლულს უწამლებს შენი მწვანე
საჩრდილობელი...
ო, მარადიულ სიშორეთა მხილველო მგზავრო...

ირაკლი გოგოლაური

## დილა არაგვზე

ჩემი ბინაა სხივთა ჩქერალი,
ჭრელი მინდვრები,
ჭრელი ფერდები,
მზე ასე რიგად გადმომცქირალი
არ შემხვედრია, ისე ვბერდები!

ვდგევარ ციცაბოს დაჭიდებული,
რიხით, რწმენით და
ალაყერდებით,...
მიწა ამგვარად აკივლებული,..
არ მომსწრებია, კაცი ვბერდები!
კვამლი ბოლქვების თაიგულებით
მთებზე ალევა, —
ნუ ამღერდები!
მე შენზე კარგი რა მეგულება, —
არ დავმუხლილვარ, ისე ვბერდები!
მზის თვალი დგას და ცა მოწმენდილა,
ლაღი სუნთქვაა,
სადაც ვჩერდები,
და მე მამულის ასეთი დილა,
არ მომსწრებია, ლამის ვბერდები!
მაშ წინ, წინ ლაღო, დილის ცისკარო,
ვინ გაიტანა
ლელო ვედრებით,
თუ დღე წამია, უნდა ვიჩქაროთ, —
არ გაგვიხსენონ წლებმა ყვედრებით!
ნიაღვარი თუ გინახავთ მთაში,
ან ჭიუხში გადამფრთხალი არჩვი,
ნაწვიმარზე მზედამდგარი ველი —
უნაზესი ოცნებათა მგვრელი,
და თუ არა, აბა ნახე ერთი!
მერე მითხარ, შენ და შენი ღმერთი,
ღრუბლის ჩადრში გახვეული მთვარე
ჩემზე მეტად თუ არ შეიყვარე,
მხოლოდ მაშინ მიმიხვდები მალე,
ზოგჯერ ცრემლი რად მინამავს თვალებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ გაგაონი

# აივნიანი ქალაქი

რომანი

## კარი მესამე

ეს ქალი ამაღამ წყნარად ვერ დაიძინებს.
**ონორე დე ბალზაკი, „ფერაგუსი“.**

### 1. უძილო ღამე

ძველებურ ქართულ დარბაზში ძილქუში ჩამოწვა. დედაბოძზე ჭრაქი საცოდავად ბჟუტავდა და ხრჩოლავდა. ბნელოდა. ფირუზა მაღალი ხმით ხვრინავდა განიერმოაჯირებიან კაკლის ტახტზე. მის გვერდით, კედელთან, მისი ცოლი მოკუნტულიყო. გლახა იატაკზე, ქურასთან დაგლეჯილი ნაბდის ქვეშ ეგდო და ქვასავით ეძინა.

მხოლოდ მეწვრილმანის ცოლი ფხიზლობდა. ძილგამკრთალი უსიხარულო წარსულს იგონებდა. თვალწინ ედგა თავისი გაჭირვებული ცხოვრების უღიმღამო დღეები. მწარედ აგონდებოდა ლოთი, მოჩხუბარი და ავსიტყვა ქმრის ხელში გამოვლილი დამცირება და შეურაცხყოფა. ქმრის ლოთობის მიზეზად ცოლი სიღარიბეს თვლიდა. „ჩემი ქმარი ლოთობას მოიშლის და ხასიათებსაც ადვილად გამოიცვლის, რომ ქარვასლაში დუქანი დაიქირავოს. ჩვენს საწვრილმანოში ხელმოკლე მუშტარი თუ შემოიხედავს. ქარვასლებში კი ქვეყანა დადისო“ — ფიქრობდა მეწვრილმანის ძილგამოკრთალი ცოლი.

წამდაუწუმ მდიდარი ლატაკის (ასე უწოდებდა იგი თავისი ქმრის უცნაურ სტუმარს) ოქროები ელანდებოდა. რაღაცნაირად ხვდებოდა, რომ ამ ოქროს ფულებში მის ქმარსაც ედო წილი. გულში იმედმა გაუფაჩუნა. ალელდა, აწრიალდა, აფორიაქდა, მის თვალებს ძილი აღარ მიეკარა, მთელ ღამეს გულმხურვალედ ლოცულობდა და წარამარა პირჯვარს იწერდა.

ცოლს ქმარი უყვარდა, მაგრამ მისი ეშინოდა კიდეც, თუმცა ჩხუბში ტოლს არ უდებდა. ყოველდღე ჩხუბობდნენ, თავისი კი მაინც ქმარს გაჰქონდა. გარეთ მუდამ ხუმარა და ოხუნჯი ფირუზა შინ ყოველთვის გაჯავრებული და დაბღვერილი იჯდა, ბუზღუნებდა, ილანძღებოდა და იგინებოდა. „ცხოვრებამ დაჩაგრა და ჯავრს ჩემზე იყრისო“, — ამართლებდა ცოლი ქმარს. — ფირუზას სხვები ასმევენ და აჭმევენ, თორემ თვითონ გროშიც არა აქვს შუბლზე

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 11.

მიიკრასო“. რა ქნას საწყალმა? არც გლეხობაში ჰქონია იღბალი, არც ხელოსნობაში და არც ვაჭრობაშიო.

ფიროუზაც სოფლიდან გამოქცეული გლეხი იყო. დიდხანს იმალებოდა ქალაქში და უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა, რათა ბატონი თავზე არ დასდგომოდა. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ იგი ერთი მიყრუებული ქუჩის რიგში თერძის დუქანში შევიდა და ოსტატს შეგირდობა შეეხვეწა. ოსტატმა გულდასმით ათვალ-ჩაათვალიერა და რაკი შეზარხოშებული კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა, უარი არ უთხრა, შეგირდად აიყვანა და ღამის გასათევად დუქნის კუთხე მიუჩინა. პირობის ქაღალდი იქვე დაწერეს. ფიროუზამ დაწერილს სიამოვნებით დაადო გამურული თითი და იმ დღიდან თერძის ხელობის შესწავლას შეუდგა.

ასე გახდა ლამისყანიდან გადმოვარდნილი ღვთისო ლეგაშვილის შეგირდად გრაკლიდან გამოქცეული გიორგა ზანდარაშვილი.

ახალ შეგირდს პირველ წელიწადს დუქანი უნდა დაეგავა და დაესუფთავებინა, მეორე წელიწადს უთო გაეჩაღებინა, მესამე წელიწადს ნემსსა და ძაფს მისცემდნენ, მეოთხე წელიწადს მაკრატელს ჩააბარებდნენ და ღუგმების დაკერებას ასწავლიდნენ, მეხუთე წელიწადს ქარგლად იმუშავებდა და ბოლოს, თუ გროშებს მოაგროვებდა, ოსტატი ბაღში წაიყვანდა, ამქრის ხალხს შეჰყრიდა, მღვდელს დაუძახებდა, უსტაბაში ქარგალს ლოყაზე სამჯერ სილას შემოჰკრავდა და ოსტატად დალოცავდა.

ფიროუზა-გიორგა გახარებული იყო. ქალაქში შეგირდობდა და ცხოვრობდა. ქუდი თავზე ეხურა. და რადგანაც ბატონის კაცების ეშინოდა, გადაწყვიტა დუქნიდან ცხვირი კარში არ გაეყო, შვიდ წელიწადს პატიოსნად ემუშავნა, მერე კი, ვახტანგ სჯულისმდებელის კანონების ძალით, თავისუფალი იქნებოდა და, როგორც თვითონ ფიქრობდა, ბატონი ბუზსაც ვერ აუფრენდა ცხვირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიროუზა მამლის ყივილზე დგებოდა. დუქანს აკრიალებდა, „ენით ლოკავდა“. ყველაფერი კოხტად ჰქონდა დალაგებული და სუფთად შენახული. დაუზარებლად მუშაობდა და ირჯებოდა. მუდამ უკმეხ, დაღვრემილ, გაუცინარ და სიტყვაძუნწ ოსტატს თვალებში ძაღლივით შეჰყურებდა და მის ღიმილს და ყურადღებას ისე მოელოდა, როგორც ძაღლი გადაგდებულ ლუკმას.

მისი საჭმელი ხმელი პური, ლობიო და ცივი წყალი იყო. უფულოს მარაქაში არავინ რევდა. ამიტომ თერძის შეგირდი გულისფანცქალით მოელოდა ხოლმე გაზაფხულის დღესასწაულს, როდესაც მათი ამქარი გაშლილი დროშების ფრიალით მიდიოდა ვერის ბაღებში სალხინოდ, „რიგის პურისათვის“ და „არიფანასათვის“.

ფიროუზა წელზე ფეხს იდგამდა, რათა ოსტატის ყურადღება დაემსახურებინა. ოსტატი ათასში ერთხელ ხელს უქებდა და თუ გუნებაზე იყო, გროშსაც გადაუგდებდა ხოლმე. ასე მისდევდა დღე დღეს, კვირა კვირას, თვე თვეს, წელიწადი წელიწადს, სანამ ფიროუზა ოსტატის გოგოს მოჰკრავდა თვალს. იმ დღიდან ფიროუზა თავის ქერქში აღარ იყო. თერძის სახლის აივანს თვალს არ აშორებდა და იმ გოგოს გამოჩენას მოუთმენლად უცდიდა.

უძილობით დაღლილ მეწვრილმანის ცოლს თავისი და ფიროუზას თავგადასავალი ახსენდებოდა და გულამომჯდარს თვალზე ცრემლი ერეოდა.

## 2. თეთრი ლიზა

ეს ბებერი იყო გამხმარი, როგორც ჩაჩხი, შავი, როგორც მუგუზალი.

**ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.**

თერძის გოგო იმ დროს თოთხმეტი წლის იყო, ტანმორჩილი და გამხდარი. სახელად ლიზა ერქვა. ისეთნაირი შავი

იყო, ისეთნაირად ყარაჩი, რომ ტოლები მეტსახელად თეთრ ლიზას ეძახდნენ. ულამაზო და უსახური ლიზა თავისებურად კეკლუცობდა და იპრანჭებოდა. ქალი ქალობას არ იშლიდა. თვითონ მიჭვრიტინა ეჯავრებოდა, მაგრამ უბნის ლამაზ გოგოებს ათასნაირ ნაკლს ამჩნევდა, მათზე ჭორაობდა და ენამოსწრებული ვინმე ამოჩემებულს ისეთ სასაცილო სახელს შეარქმევდა ხოლმე, რომ ყველა ცდილობდა თეთრი ლიზა არ გაეჯავრებინა და მას პირში არ ჩავარდნოდა. სამაგიეროდ, ამ ულამაზო გოგოს მშვენიერი ხმა ჰქონდა, ათასნაირი სიმღერა იცოდა, ხუმრობა, სიცილი და ლაპარაკი უყვარდა. მეზობლებში სიარული, ქალალდის თამაში და გართობა. ყოველ ლხინში მას აკვრევინებდნენ ხოლმე დაირას. თეთრმა ლიზამ ცეკვაც კარგი იცოდა, სიმღერაც, დაკვრაც და ჭრა-კერვაც.

თეთრი ლიზა თერძის პატარა ქონების და დუქნის ერთადერთი მემკვიდრე იყო. დუქანი იმას დარჩებოდა, ვინც თერძის სიძე გახდებოდა. ფირუზამ სწორედ ამას მიაქცია ყურადღება და გუნებაში თერძის ქალის ცოლად შერთვა გადაწყვიტა. ის უკვე მაკრატლით მუშაობდა და ახლა თვითონაც თავში უფაჩუნებდა უთოს გამჩაღებელ შეგირდს, რომელიც ყოველ დილით ციხის უბნიდან დუქნის დასაგველად მოდიოდა.

ყოველ ცისმარე დღეს ფირუზა ოსტატის ადგილის დაჭერას და მისი დუქნის დაპატრონებას ოცნებობდა. მოსვენება დაჰკარგა. თავის განზრახვას ყოველნაირად სწონიდა და თადარიგს იჭერდა.

თერძის გოგოს ხან წინ უდგებოდა და მდაბლად თავს უკრავდა, ხან შორიდან უყურებდა და თვალს არ აშორებდა. და რაკი თეთრმა ლიზამაც შეამჩნია და მიხვდა, რომ ის მასხრული გარეგნობის ბიჭი შორიდან მეარშიყებაო, გუნებაში გაეცინა: „ალხანას თავის ჩალხანა არ დაელევაო". გაიპრანჭა, წარბები უარესად დაიშავა, სახეზე ფერ-უმარილი წაიცხო, მაინც ვერ გათეთრდა, მაგრამ გული არ გაიტეხა, შეირთო და მოიკაზმა. ხან აივანზე იდგა, ხან ფანჯრიდან იყურებოდა, ხან კიბის მოაჯირზე იყო გადმოყუდებული, რომ იმ მწითურ ბიჭს დაენახა, თვითონ კი მისთვის ჩუმად ხელი დაექნია.

თეთრ ჩადრში კოხტად გახვეული თეთრი ლიზა თავის მამის დუქანს წინ ისე ჩაუვლიდა ხოლმე, რომ სულ წელში იმტვრეოდა და თავისი უშნო სახის ერთადერთ სამკაულს — შავს თვალებს, თერძის შეგირდს ისეთნაირად უეუეუნებდა, რომ ფირუზა სიცილს ძლივს იმაგრებდა და გაოცებული ფიქრობდა: „ეგ ქალი რომ ლამაზი ყოფილიყო, ნამდვილად ქვეყანას არშიყობით ამოაგდებდაო". ფირუზა და თეთრი ლიზა ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და პირველი მუსაიფის შემდეგ სადაც მოახელთებდნენ, იქ ხვდებოდნენ ერთმანეთს და გულის ხვაშიადს უმხელდნენ.

თეთრი ლიზა თავის მიჯნურს უფრთხილდებოდა, მის შენარჩუნებას ცდილობდა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებთან გალაზღანდარებული იყო, როგორც ქალს, ზედ არავინ უყურებდა. გათხოვება კი თეთრ ლიზასაც ისევე სწყუროდა, როგორც ყველა მის ტოლ გოგოს.

თეთრი ლიზას „ბაიათები" და „მუხამბაზები" უფრო ეშხიანი და მომხიბლავი გახდა, ხოლო მისი ხმა ვერცხლის ზარივით წკრიალა და სუფთა. ფირუზა გამარჯვებას ზეიმობდა, ოსტატი უკვე სიმამრად მიაჩნდა და გაყოყლოჩინებული თვით ქარგლებს მედიდურად უყურებდა, რის გამოც ერთმა მათგანმა დრო უხელთა, დუქნის იაქთალთან მიაგდო და „ჭკუა ასწავლა".

ფირუზა მაჭანკალს დაეძებდა, რათა ოსტატთან მიეგზავნა და ქალის ხელი ეთხოვნა, მაგრამ ბედმა უმუხთლა და თავი ციხეში ამოაყოფინა.

ერთ ღამეს ოჩხუბებმა ძალზე მთვრალი ოსტატი მოიყვანეს. თერძი გაჭირვეულდა და დუქანში მოინდომა

ღამის გათენება. დუქანში ლამლამობით ახლაც ფირუზას ეძინა. მან მთვრალი ოსტატი თავის ლოგინში მოასვენა, თვითონ კი გათენებამდე ფხიზლობდა. დილით, გამოღვიძებისთანავე, ოსტატმა ჯიბეები მოიჩხრიკა, ფერმა გადაჰკრა და ყვირილი მორთო: „თეთრით გატენილი ქისა დავკარგეო". „სად დაკარგეთო?" — მიამიტად ჰკითხა ფირუზამ. „წუხელ აქ რომ ვწვებოდი, კარგად მახსოვს, ჯიბეში მედო, ახლა კი არსად ჩანსო". ყვიროდა ოსტატი და თან იჭვნეულად ათვალიერებდა ფირუზას, რომელსაც ფერ-ფური მისდიოდა და გულუბრყვილოდ იძახდა: „წუხელის პირში ენა არ გედგათ, ისეთნაირად იყავით მთვრალი და ალბათ ჯიბგირებმა ამოგაცალესო". ოსტატმა პოლიციას დაუძახა და ფირუზა დააჭერინა.

თეთრ ლიზას მეხი დაეცა. ატირდა და აქვითინდა. დღედაღამ ცრემლშეუშრობლად ტიროდა. გამწარებული ქალი ღვიძლ მამას გულქვას და ცილისმწამებელს უწოდებდა. თეთრი ლიზა დარწმუნებული იყო, რომ მისი მიჯნური უდანაშაულოდ იტანჯებოდა მეტეხის ციხეში. მეზობლებში სულ ალალმართალ ფირუზაზე ლაპარაკობდა. მამას აწყევლიდა, ტიროდა და მოთქვამდა. მეზობელი გოგოები აშოშმინებდნენ და არიგებდნენ, მაგრამ მის გულს ნუგეში არ ეკარებოდა. ყოველ დღე ციხის წინ იდგა, რათა რკინისგისოსიან სარკმელში როგორმე ფირუზასთვის მოეკრა თვალი.

თეთრმა ლიზამ იცოდა, რომ გაბოროტებული მამა ადვილად დაამტკიცებდა ფირუზას დანაშაულს. მოსამართლეები დაუჯერებდნენ, ფირუზას ქისის მომპარავად ჩასთვლიდნენ და დიდი ხნით ციხეში გამოამწყვდევდნენ. ამ შერცხვენის შემდეგ ფირუზა როგორღა გამოჩნდებოდა ხალხში, ან თეთრი ლიზა რა პირითღა გაჰყვებოდა მას ცოლად? თერძის ქალმა ბევრი იფიქრა და ბოლოს ერთი ოინი მოიგონა.

მან მეტეხის ციხესთან კლდეზე მდგარი სახლის მრგვალ აივანს დაადგა თვალი. სახლის პატრონთან შევიდა და შეეხვეწა: „აგრემც [illegible]ლის, ფულს მოგცემ და შენმა გახარებამ, ნება მომეცი ყოველ საღამოს აქ მოვიდე და დაირით ხელში ვიმღეროო". „რაღა ჩემი აივანი ამოირჩიე, გოგო?" — ჰკითხა გაკვირვებულმა სახლის პატრონმა, — განა სასიმღეროდ უკეთესი ალაგები არ არის?" თეთრ ლიზას ტირილი წასკდა და ტირილით უთხრა: „მინდა ჩემი სიმღერით ჩემი საწყალი ტუსაღი გავართოო".

ყოველდღე, ქუჩებში და აივნებზე ხმაური და ღრიანცელი მიწყდებოდა თუ არა, თეთრი ლიზა დაქირავებულ აივანზე ადიოდა დაირით ხელში და გულისმომკვლელ სიმღერებს მღეროდა. ქუჩაში გამვლელები ცნობისმოყვარეობით ჩერდებოდნენ და აივანზე გადმომდგარი ქალის სიმღერების მოსასმენად გროვდებოდნენ. ციხის რკინის გისოსზე მომდგარი ტუსაღებიც ქალის სიმღერით გულს ირთობდნენ და იოხებდნენ. მათ შორის ფირუზაც იყო. ისიც ჟავრიანი გულით ისმენდა აშუღის სიმღერას, რომელშიაც უიღბლო სატრფო ცხარედ მოსთქვამდა თავის უნუგეშო სიყვარულს. ეს ამბავი თერძს მიუტანეს. თერძი საშინლად განრისხდა. შინაურები მილანძღ-მოლანძღა „ქალს თავი ვერ დაუჭირეთო", შინ დაბრუნებულ ქალს სცემა და დაემუქრა: „კარგად ვიცი ვისთვისაც მღერიხარ და თუ შენსას არ დაიშლი, მოვიცლი, მოგივარდები და იმ აივნიდან თმებით ჩამოგათრევო". მამა ქალს ოთახის კარს უკეტავდა, მაგრამ მოხერხებული თეთრი ლიზა ფანჯრიდან გადმოდიოდა და ფოსტლების ფრიალით თევზის აღმართისკენ გარბოდა. თერძს გაკვირვებისაგან პირი ღია რჩებოდა: „ეგ ალქაჯი დაკეტილი ოთახიდან როგორ გამოდისო". ხელებს ასავსავებდა, ლანძღვაგინებით თვითონაც ციხისკენ გარბოდა და როცა ის მრგვალაივნიანი სახლის კიბეებზე ჩვენშით ადიოდა, გაფრთხილებული თეთრი ლიზა ავლაბრისკენ მირბოდა.

თეთრმა ლიზამ ყველგან, ახლომახლო ქუჩებში სახელი გაითქვა. ყველას მოსწონდა მისი სევდიანი სიმღერები. გულდამწვარი ქალი მხოლოდ სიყვარულს და ტრფიალს უმღეროდა. მრგვალი აივნის ქვეშ გამოფენილი შეყვარებულნი სიმღერის თითოეულ სიტყვას ოხვრით ხვდებოდნენ და წამწამები ცრემლით ენამებოდათ. თერძის ქალს კი თავისი დარდი ჰქონდა. ის სიმღერებში ისეთ სიტყვებს აპარებდა, რომლის აზრი მხოლოდ ფირუზას უნდა გაეგო. აშუღურ სიმღერებში მომღერალი ქალი ზოგჯერ ასეთ რამეს გაურევდა ხოლმე: „ჩემს სიმღერას ყური კარგად დაუგდე, საყვარელო! გესმის რასაც გეუბნები? გაიგონე რა გთხარი? ჩემი სიტყვა შენს საშველად არის ნათქვამი. ჩემმა სიმღერამ შენ ციხის კარები უნდა გაგიღოს“. ფირუზა მალე მიხვდა, თუ რისთვის ადიოდა მისი სატრფო მრგვალ აივანზე. მიხვდა და მის ყოველ სიტყვას ბუერთივით იჭერდა. ხან ამ სტრიქონში, ხან იმ სტრიქონში, ხან სიმღერის დასაწყისში, ხან შუაში და ხან ბოლოში გადაკრულად დამღერებული სიტყვებიდან მან შემდეგი უსტარი შეადგინა: „საყვარელო! მსაჯულებთან ასე თქვი: იმ ღამეს, როცა ქისა დაიკარგა, მე ქისის პატრონის ქალის ოთახში ვიყავი, იმის ალერსით გართული. მრცხვენიან რასაც ვამბობ, მაგრამ რა ვქნა? ქურდობას მაბრალებთ და ციხეში დალპობით მემუქრებითთქო. ქისას როგორ მოვიპარავდი, როცა ღამე სიყვარულში შემომათენდათქო. ამას მეც დაგიმოწმებ და მაგ ტანჯვისაგან დაგიხსნი“.

სასამართლოში ფირუზამ სწორედ ისე ილაპარაკა, როგორც თეთრმა ლიზამ დაარიგა. თეთრმა ლიზამაც დაუმოწმა და სახეზე სირცხვილის ალმური აუვიდა. თერძი სახტად დარჩა. მოსამართლეებმა და სასამართლოში მყოფმა მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. თერძი რაღას იზამდა? სასამართლომ ფირუზა უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა. თავგზადაკარგული თერძი უწმაწურად იგინებოდა, ქალი ლანძღვით სახლიდან გააგდო. თავის დუქნიდან კარში [illegible] გამოდიოდა და წუწუნებდა: „საკუთარმა ქალმა საქვეყნოდ შემარცხვინა და ქუდი მომხადაო“.

ფირუზამ და თეთრმა ლიზამ ქალაქგარეთ, წმ. ბარბარეს ეკლესიაში იქორწინეს, კუკიაზე, წისქვილებთან ოთახი დაიქირავეს და ერთად ცხოვრებას შეუდგნენ.

### 3. სამნაირი პირჯვრის წერა

> კაცის ენაზედ ვერ ვპოებ სიტყვასა,
> რომ გამოვთქო, როგორ შამიყვარდა ის ოქრო!
>
> ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

ფირუზა ქორვაჭრობით ცხოვრობდა. თერძის ქისას მან საკუთარი ნაშოვარიც დაუმატა. თაბახი იყიდა, თავზე დაიდგა და კინტოურად ჩაცმული ქუჩაში მწვანილის გასასყიდლად გამოვიდა.

დილ-დილობით მწვანილს ჰყიდდა, შუადღისას ბაზარში ქორვაჭრობდა, ღამე პატარა კალათაში ხრამულს ალაგებდა, ქუჩა-ქუჩა დადიოდა და მხიარულად გაჰყვიროდა: „ხრამული, აბა კარგი ხრამული“. თეთრი ლიზა ზამთარში წინდებს ქსოვდა, შეძლებულ მეზობლებს სარეცხს ურეცხავდა, ზაფხულობით პატარა ბოსტანში მწვანილი მოჰყავდა, ქათმებს უვლიდა და კვერცხით ვაჭრობდა. ამით ისიც ორიოდე გროშს შოულობდა, მაგრამ ფულს მხოლოდ ფირუზა იბარებდა, ცოლს გროშს არ უტოვებდა, ხარბსა და ძუნწს ზოგჯერ პურის ყიდვაც „ავიწყდებოდა“.

მალე ფირუზამ ვირი იყიდა. გოდრები აჰკიდა და ხილით ვაჭრობა დაიწყო. მხიარულსა და ხუმარას მუშტრები ბლომად ჰყავდა. გაზაფხულიდან შემოდგომამდე გრძელი სასწორით ათასნაირ ხილს სწონიდა, თან მუშტარს აცინებდა. მუდამ პირმომცინარე და ენაწყლიანი ფირუზა ყველას უყვარდა.

ბიბლიოთეკა

მარტო სახლში თეთრ ლიზასთან იჯდა ცხვირჩამოშვებული; ჩხუბობდა, ბუზღუნებდა, ილრინებოდა ან წუწუნებდა და დღენიადაგ სიძვირესა და უფულობას უჩიოდა. გათხოვების შემდეგ თეთრმა ლიზამ მხოლოდ რამდენჯერმე დაამღერა, გაჭირვებულმა ცხოვრებამ სიმღერები სულ მთლად დაავიწყა. შიმშილით გაბეზრებული ქალი ან ქმარს ეჩხუბებოდა ან მეზობლებს ლანძღავდა. ფირუზა კი არავის არც ნათლობას, არც ქორწილს და არც ქელეხს არ აკლდებოდა. პურს ყველგან მუქთად სჭამდა, ყველგან სუფრის თავში იჯდა, დროსტარება ყველაფერს ერჩივნა და მალე მთელმა უბანმა მეტსახელად „ლხინის პაპა“ დაარქვა. თეთრი ლიზა კი ოთხ კედელს შუა იყო გამომწყვდეული და, წინათ მეზობლებში ტუნტულს ჩვეული, ახლა მარტო ქათმებს ელაპარაკებოდა, რადგან ყველა მეზობელთან წაჩხუბებული იყო და ყველა მომდურებული ჰყავდა. ფირუზა მისი გულის გასახეთქად სწორედ ასეთ მეზობლებში დადიოდა მოსალხენად და დროს გასატარებლად. გაქნილმა ქორვაჭარმა კარგად იცოდა, რომ თუ ვინმეს არ აამებდა და კვერს არ დაუკრავდა, მუქთად პურს არავინ აჭმევდა.

ერთ დღეს ხარფუხში, აბანოების აღმართზე, ფირუზა სურფ-სარქისის ეკლესიის მნათეს შეხვდა. მნათემ ფირუზა გააჩერა, სალამ-ქალამით მოიკითხა და ბოლოს უთხრა:

— ფირუზ, გინდა ფული იშოვნო?

— ჰარუნ გეურქ! — მხიარულად შესძახა ფირუზამ, — მე ჯერ სიფთა არ ამიღია, შენ კი უკვე გადაკრულში ხარ? ვაჰ! ეკლესიას ამისთანა ლოთი მნათე უნდა ჰყავდეს?

— ტუტუცო! გაიგონე რა გითხარი? მე შენ გეუბნევი, გინდა თუ არა ფული აიღო?

ფირუზა მნათეს თვალებში მიაცქეროდა და გაუცინა:

— განა ვირს ამისთვის არ დავდევ?

— ჰამე? ვირი რა შუაშია? თუ შენ ფული გინდა, ერთი რამე უნდა ქნა.

— რა უნდა ვქნა? — დაინტერესდა ფირუზა.

— სულ უბრალო რამე. თავზე წყალი უნდა დაისხა, ბლომად ფულს აიღებ.

ფირუზას უკვირდა, რომ მნათეს არც ეღიმებოდა, არც ეცინებოდა, არც ხუმრობის გუნებაზე იყო. ასე ეგონა მთვრალია და მასხრად მიგდებსო. მნათეს ენა გამოუყო და ვირს სახრე გადაჰკრა:

— წადი, წადი! გაიარე! ვისთვისაც არ მიგიყიდია, ისევ იმას მიჰყიდე. ალალი იყოს იმაზე!

მნათემ ფირუზას საყელოში ხელი სტაცა, გააჩერა და სხაპა-სხუპით მიაყარა:

— მოიცა, სად გარბიხარ? აკი გითხარი, მარტო ერთი რამე უნდა ქნა.

— რა უნდა ვქნა? სოვდაგარ ფერშანგოვს შეუვარდე?

— არა, მაგას ვინ ამბობს? შენ მარტო ერთი რამე უნდა ქნა. — მნათემ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ფირუზას ყურში ჩასჩურჩულა: — ჩვენს ეკლესიაში მოინათლე და ქისას ფულით გაგივსებთ.

ფირუზამ თვალები დააჭყიტა. ვერაფერი გაიგო.

— რჯული გამოიცვალე, ისე ვაჭარი ვერ გახდები, ვერ გამდიდრდები. — ეუბნებოდა მას მნათე.

ამ დროს ეკლესიებში წირვა გამოვიდა. ყველგან ზარების რეკა გაისმა. ფირუზამ ქუდი გაისწორა და იკითხა:

— მაშ, სომხურად რომ პირჯვარი დავიწერო, ტერტერები ფულს მომცემენ?

— მოგცემენ, მაშ! მეც მაგას არ გეუბნევი?

— რამდენს მომცემენ, ჰარუნ გეურქ?

— ხუთ თუმანს. ხუთი თუმანი ცოტა ხომ არ არის?!

ფირუზა ჩაფიქრდა.

— ცოლიც რომ მოვნათლო?

— იმაშიც ხუთ თუმანს მიიღებ, მაშ! — გაუხარდა მნათეს.

ერთი კვირის შემდეგ ფირუზა და თეთრი ლიზა სუფ-სარქისის ეკლესიაში მოინათლნენ. ტერტერებმა მათ გრძელი თეთრი პერანგები ჩააცვეს, ხელში ანთებული სანთლები დააჭერინეს, შუბლზე მირონი სცხეს და თვითნებურად დააწერინეს პირჯვარი. რამდენიმე დღის განმავლობაში თეთრი ლიზა ხიზილალიან პურსა სჭამდა, ზედ ღვინოს აყოლებდა და ნასიამოვნები ქმარს უცინოდა. ფირუზას ულვაშებში ეღიმებოდა. მალე ცოლი ისევ ხმელ პურზე დასვა და თავისი მონათვლაც დაავიწყდა. ღვთისმოშიში თეთრი ლიზა ახლა ქართველების და სომხების ეკლესიებში დადიოდა სალოცავად. ფირუზას კი არც ღმერთი აგონდებოდა და არც იმის ეკლესია.

ცოტა ხნის შემდეგ ფრანგის ქუჩაზე, კათოლიკეთა საყდართან ფირუზას კათოლიკე პატრმა გზა გადაუჭრა და ჰკითხა:

— ქართველი ხარ, ყმაწვილო?

— ჰა? — ფირუზას თავის მონათვლა გაახსენდა, მაგრამ არაფერი თქვა და პატრს სწრაფად უპასუხა — ჰო, ქართველი ვარ.

— რომელ ეკლესიაში დადიხარ?

ფირუზას ფერი ეცვალა, ენა დაება. პატრმა კითხვა გაუმეორა.

— ქართველების... — ცალი ყბით მიუგო ფირუზამ.

— ჩვენს ეკლესიაში რომ იარო, ფულიანი გახდები.

ფირუზამ ახლაც ისე დააჭყიტა თვალები, როგორც სუფ-სარქისის მნათესთან.

— მაშ, ბატონო, თქვენნებურად პირჯვარი რომ დავიწერო, ამაში ფული მერგება?

— გერგება. ოღონდ ფრანგი უნდა გახდე.

ფირუზამ კეფა მოიფხანა, ჩაფიქრდა.

— იფიქრე და პასუხი აგერ იმ წითელ სახლში მომიტანე. თოკზე ჩაქუჩია ჩამოკიდებული. სამჯერ დაჰკარ და კარს მაშინვე გაგიღებენ.



როდესაც ფირუზამ ცოლს კათოლიკების ეკლესიაში მონათვლა შესთავაზა, თეთრმა ლიზამ ერთი ალიაქოთი ატეხა:

— შე ღმერთგამწყრალო, შენა! ეხლა გინდა სამ ეკლესიაში მატარო და დავთრები სულ დამიბნიო?! თქვენი ჭირიმეთ, სად გაგონილა?! ეს კაცი ღმერთით ვაჭრობს და ღმერთსა ჰყიდის. ქა, პირჯვარს არასოდეს არ იწერს, არ ლოცულობს, ჯერ სანთელი არ დაუნთია და ორნაირად ვითომც პირჯვრის დაწერაში ორგან ფულს იღებს. არა, არა, მე მაგის გამკეთებელი აღარა ვარ, შენ კი როგორც გინდა ისე მოიქეცი. ქა, გაგონილა ქრისტიანი კაცი სამნაირ სახელს ატარებდეს? მაშ მეც ორი ქმარი მყოლია: გიორგა და გეურქა, მესამეც ის მეყოლება, რასაც ფრანგები დაგარქმევენ.

— შენც ხომ ორი სახელი გქვიან? — სიცილით ეუბნებოდა ფირუზა.

— მაშ, მაშ! ლიზა დამიწუნეთ და რიფსიმე დამარქვით. მესამე სახელად რაღას მარქმევთ?

— პატრმა ასე თქვა შენს ცოლს სახელად ლუჩია მოუხდებაო.

— ქა, ეგ ლუჩი რაღა არის, ფრანგებს ქრისტიანული სახელი აღარა აქვთ?

ფირუზა ვერც ხვეწნით, ვერც მუქარით ვერაფერს გახდა. ცოლი ვერ დაიყოლია. ვერც ხიზილალიანი პურით მოხიბლა. ცოლმა წინ მყისვე ამასწინანდელი ხანმოკლე გამასპინძლება დაუხვედრა. ამიტომ ფირუზა იძულებული გახდა მარტო წასულიყო კათოლიკების ეკლესიაში და იქ მესამედ მონათლულიყო.

ქორვაჭარი ფირუზა პატრმა ფილიპე ფორენელმა და ბარლამო განდილიმ პაპა პიო VII-ის სამწყსოში შეიყვანეს, რამდენიმე ოქრო აჩუქეს და კათოლიკურად გადააწერინეს პირჯვარი. მაგრამ ფირუზა არც ქართველების, არც სომხების და არც ფრანგების ეკლესიაში არ დადიოდა. ოღონდ ეს იყო, ქართველებთან ქართულად იწერდა პირ-

ჯვარს, სომხებთან — სომხურად, ფრანგებთან — ფრანგულად.

ფირუზას მეზობლები დღიური ქირით და ხელოსნობით მცხოვრები მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ, ვაჭრობით კი უპირატესად სომხები და ფრანგები ვაჭრობდნენ. ისინი ერთმანეთს ქიშპობდნენ, მტრობდნენ, არ ინდობდნენ და თუ სადმე სომხურად ან კათოლიკურად მონათლულ მართლმადიდებელს მოახელებდნენ, რუსეთის ხელისუფლებასთან აბეზღებდნენ. მეჩვიდმეტე საუკუნეში დაწყებული ეს ბრძოლა ახლაც გრძელდებოდა.

ფირუზა არხეინად იყო, რადგან მისი მონათვლის გამო კრინტს არც სომხის ტერტერები სძრავდნენ, არც კათოლიკე პატრები. მან იცოდა, რომ ძალა სომეხი ვაჭრების ხელთ იყო, კათოლიკე პატრებს კი რუსეთის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა, ავიწროებდა და სდევნიდა. ამიტომ ფირუზა უფრო ხშირად სომეხ ვაჭრებში ტრიალებდა, კათოლიკეებთან კი წყალობის მისაღებად დადიოდა.

#### 4. საწვრილმანო

შენს სახლში ათი წელიწადი არის
ალი არა მიჭამია რა, ყველისა და პურის მეტი.

გიორგი ერისთავი, „ძუნწი“.

ძილგამკრთალ თეთრ ლიზას სხვა ამბებიც გაახსენდა. მისმა ქმარმა ბოლოს პატარა სახლი აიშენა და კიდევ უფრო პატარა საწვრილმანო გახსნა. მაგრამ საწვრილმანოს ცოტა მუშტარი ჰყავდა. ფირუზა უფრო ქორვაჭრობით ცხოვრობდა, ვიდრე საწვრილმანოს შემოსავლით. ცოლს მოგებულს უმალავდა და გამდიდრებაზე ოცნებობდა.

თეთრი ლიზა ფიქრით, დარდით, შიმშილით და ლოცვით მოიღალა. ლანდს დაემსგავსა. ისედაც უშნო, კიდევ უფრო დაუშნოვდა. სამაგიეროდ ფირუზა დამშვენდა, კისერი გაისქელა, საუკეთესო ქუდი დაიხურა, ქვირფასი კაბა ჩაიცვა და წელზე გომბაკიბიანი ვერცხლის მძიმე ქამარი შემოირტყა, რათა ხალხში გამოჩენილიყო.

საწვრილმანო ფირუზას ცოლის ანაბარად ჰქონდა მიგდებული, თვითონ მთელ დღეს ბაზრებსა და ქარვასლებში ატარებდა, ღამ-ღამობით კი სხვისი სუფრის თავში იჯდა და გათენებამდე ქეიფობდა.

წმ. შიოს დღეს, როდესაც დიასახლისები განჯინებიდან და თაროებიდან თაგვებს წკეპლებით ერეკებოდნენ, მეწვრილმანის ცოლი გულხელდაკრეფილი იჯდა და თავისთვის ფიქრობდა: „რა მაბადია მე საწყალს, რომ თაგვები შემომეჩვიონო“. ამიტომ წმ. შიოს ბიჭი არასოდეს არ ჩერდებოდა პურის გამოსართმევად მის კართან.

წინათ ენაჭარტალა თეთრი ლიზა ახლა ხმაჩაკმენდილი ფუსფუსებდა სახლის ეზო-კარმიდამოში და თავის ბედზე მწარედ მოსთქვამდა.

— კაცო, ღმერთი იწამე! მეც მომხედე, შემიბრალე. შიმშილით ლამის სული გამძვრეს, ლამის ხამი კაბა ტანიდან გამვარდეს, გადაფლეთილს აღარ ვიცი სად დავადო საკერებელი. სამნაირად პირჯვარს გაწერინებენ და შენ თვითონ ერთხელ მაინც ქრისტიანულად დაიწერე პირჯვარი. ჰოვსილა აღარა მაქვს, ფეხზე ველარ ვდგები. შენ რომ ლოთობ, მე ცხელი კერძი მაინც მაჭამე.

ქმარი დინჯად, დაწყნარებული ხმით ეუბნებოდა და არიგებდა:

— რა ვქნა, ლიზაჯან? ღარიბი მეწვრილმანე ვარ. აბა, მეწვრილმანობით ვინ გამდიდრებულა რომ მე გავმდიდრდე. ჩვენ კიდევ რა გვიჭირს? ხმელ პურს მაინცა ვჭამთ. აბა, ერთი უბანში მიიხედ-მოიხედე, რა ქრისტეს ტირილი დგას ღარიბების სახლებში!

ცოლი ქმრის საყვედურს გარეთ არასოდეს არ ამბობდა. პირიქით, აივანზე გამოსული ან ეზოში მოფუსფუსე მეზობლების გასაგონად ქმარს ხმამაღლა კურკურით ეუბნებოდა:

— ქა, ფირუზჯან! ეს რამდენი თევზი მოგიტანია? სიცხეა და მეშინიან არ აგვიყროლდეს. ხიზილალას ჯანი გავარდეს, გელაქნურსა და ორაგულს რა უნდა ვუყო?

ფირუზას ეცინებოდა და უნებლიედ მრგვალ აივანზე დაირით ხელში გადმომდგარი ქალი აგონდებოდა. ცოლი არ უყვარდა, მაგრამ ჭკვიან და გამრჯე დედაკაცად თვლიდა და მხოლოდ ამ მხრივ სდებდა მას ფასს, თუმცა ცოლის გარჯა და ფუსფუსი აინუნშიც არ მოსდიოდა.

თეთრი ლიზა ჩიოდა და ტიროდა, მაგრამ არავინ იყო მისი გამკითხავი. ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო და მობეზრებულმა ქმარს გადაწყვეტით უთხრა:

— კაცო, მაგ გულში ქვა ხომ არ გიდევს? ჰხედავ დავსნეულდი, სახეზე ადამიანის ფერი აღარ მადევს, დავიქანცე, დავილალე, მეტი აღარ შემიძლიან. კაცის საქმეს მე მაინც ნუ მაკეთებინებ. ბიჭი დაიჭირე. ხელსაფქვავი იმას დაატრიალებინე, შეშა დააჭრევინე, სახურავზე აყრილი კრამიტი გაასწორებინე, წისქვილშიც ის გაგზავნე, დახლთანაც ის დააყენე. მე კი დამეხსენ და დამასვენე. ჩემი საქმე მარტო ცოცხი და აქანდაზია!

ფირუზამ ცოლს შეხედა. მან მხოლოდ ახლა დაინახა საშინლად გამხდარი, დალეული, გაძვალტყავებული, უარესად გაშავებული და საფრთხობელად გადაქცეული თეთრი ლიზა. შეფიქრიანდა, კეფა მოიფხანა და ცოლს მოჯამაგირის დაქირავებას შეპირდა. იმ დღიდან ფირუზა გაფაციცებით დაეძებდა ისეთ ბიჭს, რომელიც ცოტას მოითხოვდა და ბევრს იმუშავებდა.

მალხაზას მეიხანაში ფირუზა ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე გლახას წააწყდა. ის მას მთაწმინდაში ბევრჯერ ჰყავდა ნანახი და ყოველთვის გაკვირვებული უყურებდა. წუხელ ერთხელ კიდევ მოუვიდა თვალში, ვინაობა გამოჰკითხა, ალერსიანი სიტყვით გაიამხანაგა და თავისთან შინ წამოიყვანა, რათა ის თეთრ ლიზას შეშველებოდა. მაგრამ გზაში ყველაფერი სწრაფად შეიცვალა. გლახამ თავის ვაჟკაცობით ოქროთი სავსე ქისა მოიპოვა. ამან ფირუზას თავდაპირველი განზრახვა შეაცვლევინა. განუწყვეტლივ ოქროს ფულების მფლობელზე ფიქრობდა და თავში ათასგვარი აზრი და ფიქრი უტრიალებდა.

თეთრ ლიზას კი ასე ეგონა, ეს უცნაური, გლახურად ჩაცმული მდიდარი ყმაწვილი გამოვლილ ტანჯვა-წვალებას დაავიწყებინებდა და ბედნიერ ცხოვრებას აგემებინებდა.

დატანჯული დედაკაცის დაღლილ გულში იმედი ხმიანდებოდა და გულმხურვალედ მლოცველს თვალზე თანდათან რული ეკიდებოდა.

## 5. მდიდარი გლახა

> მე დავტრიალდი ქალაქში, რომ მომეყვანა მოქმედებაში ერთი აზრი, რომელიც ვზარდე ჩემს გონებაში.
>
> ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

თეთრი ლიზა უთენია ადგა.

არა ბნელოდა, მაგრამ ჯერ ისევ მკრთალი, მტრედისფერი სინათლე იდგა.

ცოცხით დარბაზის ტალახიანი ფილაქანი დაჰგავა, ნაგავი აქანდაზზე შეაქუჩა, იქაურობა მიალაგ-მოალაგა, დაასუფთავა და მოაკრიალა. გარეთ თავის ქნევით გადახედა ავდრისაგან აოხრებულ ბაღჩას. ქარიშხლიან ღამეში ტოტებდალეწილი თუთა, ფშატი, უნაბი და ბროწეული გაძარცული მგზავრებივით იდგნენ. დიდი წვიმით დასველებული ფოთლებიდან ჯერ ისევ მარგალიტებივით ცვიოდნენ მსხვილ-მსხვილი წვეთები. თეთრმა ლიზამ წუწუნით მოათვალიერა კარ-მიდამო, ლაფში და გუბეებში დიდრონი ქვები ჩაჰყარა, რათა საწვრილმანოს მუშტრებს ფეხი არ დასველებოდათ. მერე სამოვარი დადგა. დარბაზის კარის ზღურბლზე ჩამო-

ჯდა, ნიკაპქვეშ ხელი ამოიდო და ჩაფიქრდა.

— ლიზა! — დაუძახა ქმარმა.

მეწვრილმანეს ტანისამოსი ჩაეცვა, ქურასთან სამფეხა სკამზე ჩამომჯდარიყო და მუხლის თავზე ჩიბუხს აწყობდა. დარბაზში მის ძახილზე შემოსულ ცოლს ჩიბუხის ტარით ანიშნა მასთან მისულიყო, საღათას ძილით მძინარე გლახას ცალი თვალით გადახედა და თქვა:

— ჰა, ძაან ქისა არ მოგვიტანა ამან!

დედაკაცს გამხდარ სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა და თავი ოდნავ დაუქნია.

— ჰოდა, უნდა გავუფრთხილდეთ, ტკბილი სიტყვა გავაგონოთ, — განაგრძო მეწვრილმანემ, — შენ თვითონ ნახე მაგის ოქროები. ჩვენი საწვრილმანოსათვის ურიგო არ იქნება. შენ კი წუხელ რა ღმერთი გაგიწყრა? რაზე აუშვი იალქნები? ჯერ მე გამაპატიოსნე, მერე მაგას მოსდექი. ახი არ იქნებოდა თავის ოქროებით მოეკურცხლა.

— რა ვიცოდი, ფირუზჯან. აბა რა ვიცოდი, მე თვალდამდგარმა. — ვიშვიშით წარმოთქვა თეთრმა ლიზამ.

— ეხლა ხომ იცი ვინც არის?

— ვიცი, გლახურად აცვია, მაგრამ მდიდარი არის. ფირუზჯან, განა მაგის ვინაობას არ მეტყვი?

— რატომაც არა. ეგ ბიჭი ჩემი ძმისწულია.

— რას ამბობ, ქა! — წამოიძახა თეთრმა ლიზამ და გაკვირვების ნიშნად თითი ტუჩზე დაიდო.

— ჰო. დაკარგული იყო და ვიპოვნე.

— შენ ძმა რომ არა გყავდა...

— წადი, უბანშიცა თქვი, რასაც ეხლა ამბობ, — თვალების ბრიალით შეაწყვეტინა ცოლს ფირუზამ, — რატომ მიხვედრა არა გაქვს, დედაკაცო? მთელმა უბანმა უნდა იცოდეს, რომ ეგ ჩემი ახლო ნათესავია, სულერთია ძმისწულია თუ ბიძაშვილი. გაიგე? მე ეგ ნათესავად მერგება, ზანდარაშვილია. ყურები კარგად გამოიბერტყე და კარგად დაიხსომე.

ბიბლიოთეკა

— გავიგე, ფირუზჯან, გავიგე. რათა ჯავრობ? გაუგებარი რა არის? — უკმაყოფილოდ წაიდუდღუნა თეთრმა ლიზამ და წუწუნს მოჰყვა, — ეჰ, ქმარი თუ ცოლს არ ენდობა, ის რაღა ცოლქმრობა არის?

— მაგით რა გინდა სთქვა?

— ფირუზ, თუ ამ კაცის სადაურობა არ შევიტყე, ველარ მოვისვენებ. ეგ ან ქურდი მეგონება, ან დიდი ყაჩაღი და შიშით გავთავდები.

— თქმით გეტყოდი, მაგრამ მეშინიან არსად არაფერი წამოგცდეს.

— მითხარი და ენა მომჭერი.

— რა სამბობ, დედაკაცო? განა თქვენი ამბავი არ ვიცი? ქალი ყბედობისათვის არი გაჩენილი.

— შენ თუ ქალები არ გათათხე, ისე ვერ მოისვენებ. — უსაყვედურა ქმარს თეთრმა ლიზამ და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა ერთხელ კიდევ შესთხოვა — მითხარი და ჩემს სალოცავებს გეფიცები, კრინტს არსად დავძრავ.

— გეტყვი, რა გაეწყობა. — ფირუზამ ცოლს დაკვირვებით შეხედა. მრგვალ აივანზე გადმომდგარი ქალი მოაგონდა, მაგრამ საიდუმლო მაინც ვაანდო: — ეგ მდიდარი გლახა გამოქცეული ყმა არის.

— გამოქცეული? — შესძახა თეთრმა ლიზამ და ფერი წაუვიდა, — ხიფათს არ გადავეყაროთ... მაგის ოქროებს რა თავში ვიხლით, თუ...

— არ გითხარი ნურაფერს მკითხავმეთქი! — დაუყვირა შეშინებულ ცოლს გაჯავრებულმა ფირუზამ და მაშინვე ხმას დაუდაბლა, რადგან ნაბადში გახვეული გლახა კვნესით გადაბრუნდა. — სუ! რაც შენი საკითხავი არ არის, იქ ცხვირს ნუ ჰყოფ. არაფერიც არ იქნება, თუ წინდახედულად მოვიქცევით. თუ გინდა წმ. ნიკოლოზში გაიქეცი, ილოცე, ჩვენი ციდან ჩამოვარდნილი შვილობილი ღმერთს შეავედრე. მართლა, გზაზე კუსპარას და-

ლაქხანას ჩაუვლი და ბარემ უთხარი თავისი იარაღით აქ ამოვიდეს. ჩემი დახლიდარი უნდა მოვაქრისტიანო. ეგრე გაუკრეჭავი და გაუპარსავი ხომ არ ივლის?

— მერე განა მარტო ეგ არის საჭირო? ეგ რომ გაიღვიძებს, მშიერი უნდა დავსვათ?

— მაგის ხასიათი ჯერ არ ვიცი, არც ის ვიცი ყაირათიანია თუ მუცელღმერთა. მაგასაც ვნახავთ, ჩვენთან იცხოვრებს და გავიგებთ. მშიერი რომ ადგება, ამას კი თქმა არ უნდა. — ფირუზამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, იქიდან წვრილი ფული ამოიღო და თეთრ ლიზას გაუწოდა. — გზაზე არაყი იყიდე, ცოტა ყველი, ცოტა თევზი. ჩაიც შაქრით დავალევინოთ. ერთი ნატეხი შაქარი საწვრილმანოდან გამოიტანე. ეხლა უჯრაში, იცოდე, ოცი ნატეხი შაქარია. ჩვენ კი ჩვენებურად იოლად წავალთ.

თეთრ ლიზას ცათაფრენა შეუდგა. მის სახლში არაყი, ღვინო და თევზი ჯერ არავის ენახა. უშვილო ცოლქმრის ოჯახმა არც სტუმარი იცოდა, არც სტუმრის დახვედრა და გამასპინძლება. ფირუზას მუდამ სხვები ჰპატიჟებდნენ, თვითონ კი არასდროს არავის არ პატიჟებდა.

## 6. ალალი ბიძაშვილი

ხალხის საშუალო კლასი და ღარიბ-ღატაკნი ერთმანეთის გვერდით იმდენად მჭიდროდ ცხოვრობენ, რომ არ შეიძლება არ იცოდნენ ერთმანეთის ურთიერთობანი და მეზობლების ვინაობა, მათი კოვზი და ციცხვი.

ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, „მოლა-ნური“.

გლახას დიდხანს ეძინა.

ფირუზას შეებრალა და არ გააღვიძა.

ეკლესიიდან მობრუნებული თეთრი ლიზა თითო-ოროლა მუშტარს საწვრილმანოში ხვდებოდა.

მეწვრილმანე და დალაქი ქურასთან ისხდნენ და მასლაათობდნენ. ტანმორჩილი, მაგრამ მკვირცხლი დალაქი სხაპა-სხუპით უყვებოდა ფირუზას წუხანდელ ამბებს: ჯერ სეტყვამ და [illegible] კოკისპირულმა წვიმამ ბევრ სახლში ფანჯრის შუშები ჩაამტვრია, — ამბობდა ენად გაკრეჭილი დალაქი, სამგორთან მეხმა კაცი მოკლა, ანჩისხატთან თავგახეთქილი, მძიმედ დაჭრილი და ერთიც მოკლული კაცი ნახეს, ადიდებულ მტკვარს აკვნიანი ძუძუმწოვრები მოჰქონდა, ერთი მათგანი მეჩანგლე ლოპიანამ ჩანგლით ნაპირზე გამოათრია, აკვნიდან ცოცხალი ბავშვი ამოიყვანა და გულში ჩაიხუტაო.

ფირუზა დალაქს ნიაზით უსმენდა, თან „ნტს... ნტს...“ იძახდა და ამასობაში გლახის თავგადასავალი ისეთნაირად ჩამოქნა, რომ თვითონაც დაიჯერა და სხვებიც ადვილად დააჯერა.

— მაშ ეგ შენი ალალი ბიძაშვილია? — ეკითხებოდა დალაქი.

— მაშ, მაშ, ჩემი ბიძაშვილია. ბიძაჩემსაც გიორგა ერქვა, მეც იმისი სახელი მქვიან.

— ვაჰ, ეგ კი არ ვიცოდი, ფირუზჯან! მაშ, შენ გიორგა ხარ?

— არ იცი, ტუტუცო, რომ ფირუზას სახელით კაცს არც ერთ ეკლესიაში არ მონათლავენ? ფირუზა ქალაქელებმა დამარქვეს.

— უჰ, გენაცვალე მაგ ფირუზ თვალებში! — წამოიძახა დალაქმა, რომელსაც ენის ტარტალთან ერთად მლიქვნელობაც ეხერხებოდა.

— დიდი ხანია გასული, მაგრამ კარგად მახსოვს, — განაგრძო მეწვრილმანემ, — როცა ეს ბიჭი — გიგა ზანდარაშვილი მამაჩემმა, კარგი კაცი იყო ცხონებული, და მამიჩემის უმცროსმა ძმებმა, ისინიც ძაან კარგები იყვნენ, ერთ მდიდარ სოვდაგარს მიაბარეს სოვდაგრობაში გასაწვრთნელად. იმ სოვდაგარსაც, სახელი აღარ მახსოვს, ეგ ძალიან ჰყვარებია. ალერსით ზრდიდა და შვილივით უვლიდა თურმე. ამას ქალაქელი ვაჭრები გვატყობინებდნენ ხოლმე, მაგალითად ოჰანეზა. შენ არ გეხსომება, ბასრაში მოკვდა, კიდევ ოსეფა, ის საწყალიც სტამ-

ბოლში დამარხეს, აგრეთვე ცალთვალა მიკირტიჩა, კარგი ვაჟკაცი იყო, აშტრახანში მოკლეს. ერთი სიტყვით, შინაურებმა ვიცოდით, რომ ჩვენი გიგა ხან სპარსეთში იყო, ხან ოსმალეთში, ხან მისრის ქვეყანაში. ყველგან ქარავნებს დასდევდა და მდიდრდებოდა. მერე მაგის ამბის მთხრობელი აღარავინ გამოჩნდა, ვინ რას გვეტყოდა, როცა მაგის ასავალ-დასავალი სულმთლად დავკარგეთ. დანარჩენი, სწორედ წუხელ, თითონ მაგისგან შევიტყე. ეჰ, რა მუხთალია ჩვენი წუთისოფელი! მოდი თითოც დავლიოთ, თორემ ლამის არის ცრემლებმა დამახრჩონ. გაამოს კუსპარჯან! ერთხელაც, რაღა ბევრი გავაგრძელო, სპარსეთიდან ქარავნებით მოდენილან, დღის ბოლოს დასასვენებლად აქლემებიდან ჩამომხტარან, პური უჭამიათ და დაუძინიათ. ახლოს თურმე ყაჩაღები ყოფილან ჩასაფრებული, თავს დასხმიან, ქარავანი გაუძარცვავთ, მსახურები ამოუხოციათ და ის კეთილი სოვდაგარიც მოუკლავთ. ჩემს ბიძაშვილს არეულობით და ღამის სიბნელით უსარგებლია, აქლემებს ფეხებს შუა გასძრომია, გაქცეულა, უდაბნოში უვლია და ამით უშველია თავის თავისთვის. სად არ უხეტიალია, სად არ ყოფილა, სად არ მისულა, რა ქალაქი არ უნახავს, ვის კარზე არ დაუკაკუნებია, მაგრამ გამკითხავი არსად შეხვედრია. ნაცნობი ვაჭრები თურმე პირს არიდებდნენ და ვითომც ვერა სცნობდნენ, რადგანაც იმათ იმ სოვდაგრის ვალი მართებიათ. რას იზამდა ან რა უნდა ექნა? უფულოდ ვინ სად ცხოვრობს? ქუჩაში მათხოვრობდა და ამით ირჩენდა თურმე თავს. ბოლოს, როგორც იყო, ქალაქამდე მოუღწევია. მაგრამ რათ გინდა? არც ნაცნობი, არც ნათესავი, არც ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. მე მეძებდა და ვერ მპოულობდა. გიორგა ზანდარაშვილს შენ არ იცნობ და ქუჩაში გამვლელებს საიდან ეცოდინებოდათ? („შენ ეგა სთქვი ფირუზჯან და!“ — თავი დაუქნია დალაქმა, რომელიც სულგანაბული უსმენდა მეწვრილმანეს). სადმე ფირუზა რომ ეხსენებინა, მაშინვე მიპოვიდა, მაგრამ რას მოიფიქრებდა? გუშინ მალხაზას მეიხანაში ალალბედად წავაწყდით ერთმანეთს, გულმა რაღაცნაირად გამაგებინა, რაღაცნაირად შემომკვნესა, მივედი, გამოველაპარაკე, გამოვკითხე, გამოვემცნაურე და აკი ჩემი ღვიძლი ბიძაშვილი აღმოჩნდა! დანარჩენი, ვინც გუშინ იქ იყო, ყველამ იცის.

— ვაჰ, ფირუზჯან, აზირ რა იღბალზე შესულხარ იმ მეიხანაში! — ხმაჩახლეჩით წამოიძახა დალაქმა და შუა თითით თვალებიდან ცრემლი მოიწმინდა.

ფირუზამ სახე ფართოდ გაშლილ ბაღდადში ჩამალა და ცოტა ხნის შემდეგ ცრემლებით დასველებული პირისახე დალაქს დაანახვა. თეთრ ქუთუთოებზე მსხვილი ცრემლები ეკიდა და ისეთი სათნო სახე ჰქონდა, რომ გაკვირვებულმა თეთრმა ლიზამ პირჯვარი გადაიწერა.

## 7. გასამრჯელო

საზოგადოების ნახევარი თავის ცხოვრებას სხვის თვალთვალში ატარებს.

**ონორე დე ბალზაკი, „დეიდაშვილი ბეტტი“.**

ვერც მეწვრილმანემ და ვერც დალაქმა ვერ შეამჩნიეს, როგორ ამოჰყო თავი ნაბდიდან გლახამ.

გაოცებული აქეთ-იქით იხედებოდა და ვერ მიმხვდარიყო, სად იმყოფებოდა.

დიდი ხნის შემდეგ ჰერქვეშ მოხვედრილი გონზე ვერ მოსულიყო, თვალებს იფშვნეტდა და იქ მყოფთ გაკვირვებით აცქერდებოდა. მას გვიან მოაგონდა წუხანდელი თავგადასავალი და როცა ფირუზა იცნო, შორიდან საწყლად გაუღიმა. სწორედ ამ დროს დალაქმა გრძელთმიან გლახას მოჰკრა თვალი და შეჰყვირა:

— ვაჰ, ეგ ხომ ბერია?!

— შენმა მაკრატელმა და სამართებელმა ისევ სოვდაგრად უნდა აქციონ. — დინჯად მიუგო ფირუზამ.

— ვაჰ, თავზე თმა კი არა, მუხრან-ბატონის ყანა ამოსვლია. ამ ყანის მომკაში, — სიცილით ამბობდა დალაქი, — აბაზიანზე ნაკლებს არ ავიღებ.

ფირუზამ არც თავი დაუქნია, არც არაფერი თქვა. დალაქი გლახას მიუბრუნდა:

— აბა, ჩასპანდო! ადე, მოემზადე. ისეთნაირად გაგალამაზო, ქუჩაში რომ გაიარო, გოგოები ბანებიდან და აივნებიდან გადმოცვივდნენ.

დალაქმა ხელში მაკრატელი აათამაშა. გლახას თავზარი დაეცა. მკვირცხლ დალაქს თავისი უცნაური მუშტრის ზოზინი არ მოეწონა, მასთან მიირბინა, ნაბადი გადააძრო, წამოსწია, ქვემოდან საჩქაროდ სამფეხა მიაშველა, ზედ ბავშვივით დასვა და მის გრძელ თმას ხელი ჩასჭიდა. იოსებს ტანში გააჟრჟოლა.

— ამიხდა, ამიხდა! — დაიყვირა დალაქმა და მისი ნაყვავილარი, შავგვრემანი სახე მქუხარე ხარხარმა გაანათა, — წუხელ... წუხელ... სიზმარში... ეპისკოპოსს ვკრეჭდი... ისეთი გრძელი ნაწნავები ჰქონდა, როგორც ამასა... ხა, ხა, ხა... სად ეპისკოპოსი და სად გლახა?! ამიხდა, ამიხდა... ღვთის წინაშე, სიზმრის ცოტა მეშინოდა, ეხლა კი ფიქრი არ არის...

კიროუზა თაღლითურად იღიმებოდა. ნიაზით უყურებდა პატარა, ბზრიალავით მოძრავი დალაქის „იმ საფრთხობელას" გარშემო სირბილს, მისი მაკრატლის გარდი-გარდმო სრიალს იმის საცოდავად ჩამოკანტურებულ თავზე. უყურებდა და ძლივს იმაგრებდა სიცილს. მაგრამ არ უნდოდა დალაქს აჰყოლოდა და ისედაც დამფრთხალი ნაგლეხარი თუ ნაგლახარი უარესად დაეფრთხო. ამიტომ ჩიბუხის ტარს, კბილებით აწვალებდა და თან თავისთვის ფიქრობდა: „მაგ მწვანე ბიჭის გახედნას დიდი ჯაფა და მოთმინება დასჭირდება, თორემ რასა ჰგავს? ეკლესიაში ხატები დაეკარგება. მაგისთანა ტეტია დიდიხანია არსად შემხვედრია".

ფანდურაანთ იოსები იმ დასჯილ მღვდელსა ჰგავდა, რომელსაც მოედანზე ძალით კრეჭენ. დალაქი მის გარშემო ციბრუტივით ტრიალებდა, ხარხარებდა და თან ყვირილით ეუბნებოდა:

— თავი სწორედ დაიჭირე. ეგრე... ნუ ინძრევი... ვაჰ, რა გაწუხებს? რატომ ერთ ადგილზე ვერ გაჩერებულხარ? ბიჭო! ეგ ნაწნავები ხომ არ გენანება? მეორედ ესე აღარ გაიზარდო თმები, თორემ აბაზს აღარ დავყაბულდები... ხედავ, როგორ გალამაზებ? აბა, ეხლა ამ სარკეში ჩაიხედე. მოგწონს შენი თავი? მაიცა, მაიცა, ცოტაც დამაცადე... იცი რა უნდა გითხრა? ეგ დევის ბეჭები და ეგ თვალ-წარბი ჩემი რომ იყოს, მედუქნე შაქროს ლამაზი ცოლი ღამ-ღამობით ფანჯრიდან თოკს ჩამომიგდებდა, ვითომ თოკს ამოჰყევი და ჩემთან ამოდიო. შენ რას იტყვი, ფირუზჯან?

ფირუზამ მრუში კაციკით გაიცინა, მაგრამ ბრძენივით წარმოთქვა:

— რას იზამ? ლამაზი ცოლის პატრონს ოთხი თვალი და ოთხი ყური უნდა ჰქონდეს. ათადან-ბაბადან ესე ყოფილა.

— მაშ, მაშ... მერე ის ქალი რა ლამაზი რამ არის, — იძახდა ლირფი ღიმილით ღნიოში დალაქი, — იმის დიდრონი თვალები კაკლის მურაბებია... იმის ტუჩ-კბილი... ალუბალი და მარგალიტი...

— ზოგმა ლამაზმა ქალმა, — ამბობდა საღერღელაშლილი ფირუზა, — ზედადგარზე ქვაბის შედგმა არ იცის, ლოგინში ნახე რაც არის!

— იფ! გენაცვალე სიტყვაში!

თეთრმა ლიზამ ხელები გაშალა და ორთავეს ქოქოლა დააყარა.

— აი, გაგიწყრეთ ქალების მადლი. ქა, ეს ჩათუქესანიც რომ ქალებზე ლაპარაკობს, რატომ ღმერთს არ გაეცინება?!

— მე ვარ ჩათუქესანი, ლიზაჯან? განა პატარა და ჟუშნო რო ვარ, თვალი ლამაზებზე არა მრჩება?

— კარგი, გეყოფა, გაათავე. ეგ ბიჭი არ გადარიოთ, ისედაც თავის ქერქში არ არის.

დალაქმა ფირუზას ახლო ნათესავს მაკრატლით სწრაფად შემოაჭრა წვერები და როცა სამართებელს ქამრის ღვედზე ფხა გაუსინჯა, იოსებს შიშმა სახე მოუღრიცა, მაგრამ მისი შეშინებული გამომეტყველება მყისვე საპნის სქელმა ქაფმა დაფარა. მას მხოლოდ დიდრონი, უაზროდ მაცქერალი თვალები და შუბლზე გაბმულად დამსხდარი ოფლის მსხვილი კოკრები მოუჩანდა. დალაქი აჩქარებით ხსნიდა მას ნიღაბს, რომლითაც იგი, მისი გულუბრყვილო აზრით, დავით გერმანოზიშვილის მდევრებს მოხერხებულად ემალებოდა. მის გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, თავს დაღუპულად თვლიდა და იმ საათს წყევლიდა, რა საათსაც ამ ყბედ მეწვრილმანეს გადაეყარა.

დალაქმა მას წვერი სუფთად მოპარსა, სარკეში ჩაახედა და ჰკითხა:

— რას იტყვი? ხედავ, როგორ გამოგცვალე?

იოსები დუმდა, ხმას არ იღებდა. ფირუზამ ფულის ქისა გახსნა, იქიდან ორი თითით ორი კაპიკი ამოიღო და დალაქს გაუწოდა. დალაქი შეყოყმანდა.

— სულ ეს არი, პაპაჯან?

— მეტი რომ მქონდეს, დაგიჭერდი? აიღე, ეგეც ხელმწიფის მოჭრილია. ალალი იყოს შენზე.

დალაქმა ხმა აღარ ამოიღო. უსიტყვოდ აკრიფა თავისი იარაღი, ფირუზას და მის ნათესავს თავი უხმოდ დაუკრა და დაძმარებული გავიდა ოთახიდან. მაგრამ ქუჩაში ისევ გამხიარულდა, ჯერ ბაზარში გავარდა, მერე დიდ სასწორთან სალაყბოში ხალხში გაერია და ფირუზა ზანდარაშვილის დაკარგული ნათესავის პოვნის ამბავი ყველას გააგებინა.

## 8. ტეტია და მეწვრილმანე

ბიბლიოთეკა

ქარიშხალმა გადაიარა.

ონორე დე ბალზაკი, „ჰერცოგის ცოლი ლანჟე".

ფირუზამ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა წუხანდელი გლახა, ახლა სავსებით რომ გამოცვლილიყო. მის წინ ძალზე გამხდარი, ფერმიხდილი, ლოყებჩავარდნილი, მაგრამ საოცრად ლამაზი ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა. ფირუზა თვალებს არ უჯეროდა და როგორც ეს გაკვირვების დროს იცოდა ხოლმე, უნებლიედ კეფა მოიფხანა.

— კარგად გაგალამაზა, სულერთიანად გამოგცვალა, — თქვა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, — კუსპარა ფახიფუხა და ყბედია, თორემ ისე საწყალი და საცოდავი კაცია. არა უშავს, ცხოვრება ჭკუას ასწავლის. ვერა ნახე, რანაირად ჩამოუშვა ცხვირი გასამრჯელოდ ორი კაპიკი რომ მივაჩეჩე?

ოთახში გაიარ-გამოიარა და ისევ გიგას მიუბრუნდა:

— ვაჭრობის თავი და თავი ის არის, აბაზიანი ორ კაპიკად იყიდო და ხუთშაურად გაყიდო. ეგრე რათ მიყურებ? ლაპარაკით დაგღალე? კარგი, გვეყოფა. დანარჩენი სხვა დროს იყოს. ლიზას ტახტზე სუფრა გაუშლია. დროა მოვუსხდეთ.

ფირუზამ გიგას ტაშტში ხელ-პირი დააბანინა და როცა ლიტრიდან წყალს უსხამდა და თან მის მხარბეჭს ალტაცებით უყურებდა, გუნებაში ფიქრობდა: „აქედანვე ეტყობა, რომ უბნის თვალი იქნება. შენ ეგა თქვი, რამდენ მდიდარსა და მზითვიან ქალს დარჩება მაგაზე თვალი! არა, საწვრილმანო მაგის საქმე არ არის, ეგ ქარვასლის პატრონი უნდა გახდეს, მაგრამ ჩემს წინ არასოდეს არ გავუშვებ, უსტაბაშად ყველგან და ყოველთვის მე უნდა ვიყო, მარტო მე, მე, ფირუზა ზანდაროვი".

მეწვრილმანემ ფეხებიდან ქოშები გაიძრო, წინდის ამარა ტახტზე ავიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლთ მოიკეცა, პატარა ლურჯ ჭიქებში არაყი დაასხა, დაილოცა, გადაჰკრა და გიგასაც გადააკვრევინა. მერე პური გაგლიჯა, თევზი კუდით დაითრია და ისე მადიანად შეექცა, რომ დამშეულმა იოსებმა („გიგას" წარამარა ძახილი მეწვრილმანის ოჯახში მას ჯერ არ ესმოდა და ეუცხოებოდა) სირცხვილი დათმო და პურის ჭამაში თავის ჯერ ისევ უცნობ და უცხო მწყალობელს აჰყვა. თან ის უკვირდა და უხაროდა, რომ ოთახში იჯდა, თავზე ჭერი ეხურა და თვალების ცეცებით კი არ იღმურძლებოდა, როგორც წინათ, მათხოვრობის დროს, არამედ ადამიანურად იღებდა და ჭამდა იმას, რაც სუფრაზე ელაგა. ახლა ის მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ რას მოუტანდა ხვალინდელი დღე.

თეთრმა ლიზამ მესამედ ადუღებული სამოვარი შემოიტანა. გიგამ თვალები დააჭყიტა, რადგან წინათ სამოვარი არსად ენახა. ფირუზამ ტეტიას გაოცება შეამჩნია და განუმარტა:

— ეს რუსების ერთი რამ მანქანა არის. შიგ წყალს ასხამენ, ადუღებენ და შარბათივით ცხელ წყალს ისე სვამენ, როგორც ჩვენებური კაცი ღვინოს.

ტეტიამ ცხელი წყლით პირი გამოიფუფქა, სახე საწყლად დაეღრიჯა. ფირუზამ არ გაიცინა, ისე უთხრა:

— არა უშავს, შეეჩვევი. — ცოლს გაჯავრებული მიუბრუნდა, დაუყვირა და დაუტატანა: — დედაკაცო, საწვრიმალო უპატრონოდ გაუშვი?

კართან ატუზული თეთრი ლიზა თმადავარცხნილი და სუფთად წვერგაპარსული ყმაწვილი კაცის ყურებით სტკბებოდა. მის ლამაზ პირისახეს თვალს ვერ აშორებდა. მან ქმრის გაჯავრებას ყურადღება არ მიაქცია, აღტაცებულმა წამოიძახა:

— ქა, ფირუზჯან! ეგ რა კარგი ვაჟკაცი რამ არის, მაგისთანა ჩვენს უბანში სხვა არავინ დადის.

— ვაჟკაცია, მაშ! ისევ ჩემი თაოსნობით არის, რომ ჩვენს სახლში ამისთანა ვაჟკაცი გაჩნდა. შენ ხომ შვილი არ მალირსე! აბანოში რომ არ დავდიოდე, უბანში არ გამევლებოდა.

— უი, დამიდგეს თვალები! — შეჰყვირა თეთრმა ლიზამ და ეს შავი სახის დედაკაცი ჭარხალივით გაწითლდა, ვერაფერი მოახერხა, ვერაფერი თქვა და დარეტიანებული ოთახიდან ისე გავარდა, თითქოს ფეხის ქუსლებზე ნაკვერჩხლები დააყარესო.

— საწვრიმალოს, საწვრიმალოს მიხედე, ჩვენც მალე გამოვალთ! — მიაყოლა ცოლს ფირუზამ, ჩიბუხის თავი ხითხითით გადმობერტყა ფილაქანზე და ლუკმებით ლოყებგამოტენილ გიგას დაკვირვებით მიაცქერდა. მის წინ პირწავარდნილი ტეტია იჯდა.

## 9. სასწორთან

> ვიყავი აბანოში, გავლამაზდი, ისე გამოვიცვალე, რომ ვერავინ მიცნობდა.
>
> **ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი".**

როდესაც გიგა დანაყრდა და ჩაისაც გემო გაუსინჯა, ფირუზამ იგი დიდი ამბით შეიყვანა თავის საწვრილმანოში. ცოლი მაშინვე დაითხოვა: „სახლს მიხედეო". დახლიდარს ხელში გირები მისცა და აწონვა ასწავლა. ეს იყო პირველი გაკვეთილი რომელსაც მეწვრილმანე ფირუზა ზანდაროვი იარალ გერმანოზიშვილის ნაყმევს, იოსებ ფანდურაშვილს აძლევდა.

საწვრილმანო პატარა იყო, ღარიბული. დახლის უკან სართულებად დაწყობილ ყავისფერ უჯრებში შაქარი, ბრინჯი, მიხაკ-დარიჩინი და ხმელი ხილი ეყარა. დახლის წინ მარილით, სისირით და ლობიოთი ნახევრად გავსებული ტომრები ეწყო. იქვე ქვამარილის რამდენიმე ნატეხი ეგდო. შავად შეჭვრატლულ ჭერში ნივრის თეთრი ასხმულები, ხახვის გრძელი ფოჩები და წითელი წიწაკის ჯაგნები ეკიდა. ჭერიდან ეშვებოდა ოთხ გრძელსა და წვრილ, ბუზების ჯდომისაგან გაშავებულ, ჯაჭვზე ჩამოკიდებული მოთეთრო ფერის აბაჟურიანი ლამპარი. ეს

ეროვნული

ლამპარი მხოლოდ ზამთარში ინთებოდა, როცა ადრე ბნელდებოდა და მედუქნეებს ჯერ კიდევ ვაჭრობის ნება ჰქონდათ.

— შენი სარბიელი აქედან უნდა დაიწყოს, — უთხრა თავის გამოუცდელ დახლიდარს ფირუზამ. თვითონ დახლის წინ დაჯდა, იდაყვით დაზგის კიდეს დაეყრდნო, ჩიბუხი გააბოლა და ენა აღარ გააჩერა. განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და თან დახლიდარის შეკრთალი სახის მოძრაობას აკვირდებოდა. საწვრილმანოში მუშტარი იშვიათად შემოდიოდა, ამიტომ ფირუზას ლაპარაკს ხელს არავინ უშლიდა.

— შენ ჭირნახული კაცი ხარ, განსაცდელი გინახავს, — ეუბნებოდა მეწვრილმანე პირდაღებულ ტეტიას, — კაცი გაჭირვებაში იწრთვნება, ცხოვრებისთვის მუხლი უმაგრდება. მაგრამ დადექ, ნურც ნურავის მოერიდები, ნურც ნურავის შეგეშინდება. თუ შენ მუშტი არ მოუქნიე, იცოდე, სხვები მოგიქნევენ. ოღონდა თავს უნდა გაუფრთხილდე. კაცს თავი ჰქონდეს, თორემ ქუდს რამდენიც უნდა იმდენს იშოვნის. რაც გითხარი, დაიხსომე, გამოგადგება.

მეწვრილმანე ფირუზა დაულალავად ლაპარაკობდა, მაგრამ იმ დღის დახლთან გატრუნულმა ფანდურაანთ იოსებმა ბევრი ვერაფერი გაუგო თავის ჭკუის დამრიგებელს.

საწვრილმანოში რამდენჯერმე თეთრმა ლიზამ შემოიხედა, უნდოდა გიგასთვის ალერსიანი სიტყვა ეთქვა, მაგრამ გამწყრალმა ფირუზამ უკანვე გააგდო: „აქ რას ტრიალებ, სადაც არის ზარბაზანი გავარდება, სადილის თადარიგი დაიჭირეო“. საწყალ დედაკაცს ჭირის ოფლმა დაასხა, რადგან წელიწადი წელიწადს ისე მისდევდა, რომ ცხელი კერძის გემო რა იყო, არ იცოდა და სადილების კეთებაც დიდიხნის დავიწყებული ჰქონდა. სახტად დარჩენილმა ერთბაშად ვერ მოისაზრა როგორ მოქცეულიყო, რა გაეკეთებინა სიხარულისაგან თვალგაშტერებული თავგზააბნეული დაფართხატებდა და ხან რას აწყდებოდა, ხან რას. მეწვრილმანის ცოლი შეუმცდარი გუმანით გრძნობდა, რომ მის ოჯახში რაღაც იცვლებოდა, გამოვლილი ტანჯვა-წვალება წარსულს ბარდებოდა და მისთვისაც ახალი ცხოვრება იწყებოდა.

საღამოთი ფირუზამ გიგა აბანოში წაიყვანა. პირდაპირ აქაფქაფებულ აუზში შეაგდო. გერმანოზიშვილის ნათრევ-ნაწამებმა ნაყმევმა გოგირდიანი ცხელი წყლით ძვალი, ასკეცად დადებული, დანით ასაფხეკი ჭუჭყი ჩამოირეცხა და აუზიდან ახლად დაბადებულივით ამოვიდა.

კუკიის უბანმა ნელ-ნელა შეაჩვია თვალი მეწვრილმანე ფირუზა ზანდაროვის ნათესავს, ლამაზსა და ბრგე, მაგრამ გულჩახვეულ და მორიდებულ ჭაბუკს, რომელიც მუდამ თავჩაღუნული დადიოდა და არავის არც უყურებდა, არც ესალმებოდა.

## პარი მეოთხე

### 1. შიში

რა კარგი ვაჟკაცი იყო,
ზეზეურ ჩამომხმარი.

არხეზნახ ლექსი.

ფირუზამ ძლივს გამოიყვანა თავისი დახლიდარი საწვრილმანოდან. ჯერ ახლომახლო ქუჩები შემოატარა და უბნის მედუქნეები გააცნო, მერე ბაზარში წაიყვანა.

საყდარი, ბაზარი და აბანო ის ადგილები იყო, სადაც ქალაქელები თავს იყრიდნენ, ერთმანეთს ხვდებოდნენ, ჰკვნესოდნენ და ახალ ამბებს გებუ-

ლობდნენ. ბაზარში ხალხის ზიმზიმმა დახლიდარს თვალები აუჭრელა და დააფრთხო. ფირუზა გაუჯავრდა.

— რა გემართება, ბიჭო? რისი გეშინიან? რატო მაგ ტანის მაინც არა გრცხვენიან?

— რა ვქნა, ფირუზჯან? ვერა ხედავ, ქალაქელებთან ერთად ბაზარში რამდენი სოფლელია?

— სოფლელებს შენთან რა ხელი აქვთ?

— მეშინიან ჩვენებურ ვინმეს არსად გადავეყარო, ან დავით გერმანოზიშვილი არსად გამოჩნდეს.

— ტუტუცო, განა არ იცი, რომ ქართველი თავადები და აზნაურები ბაზარში არ დადიან, თუ გზა არ შეეშალათ?

— აბა, ეგ მე საიდან ვიცი.

— ეხლა ხომ იცი! სოფლელების კი ფიქრი ნუ გაქვს. თუ სოფლელი ძალიან მურტალი არ არის, არ დაგაბეზღებს. გლეხები გლეხებს უდგანან, რადგან ყველანი ერთ უღელში არიან შებმულნი.

— ეგ მეც ვიცი, განა! მაგით გადავრჩი, თორემა უკვე დაჭერილი ვიყავი.

— ტეტიურად ნუ უქცევ. — ისევ გაჯავრდა ფირუზა. — ქალაქურად ილაპარაკე.

დახლიდარიც ცდილობდა ქალაქურად ელაპარაკა, რადგან ხვდებოდა, რომ ეს უფრო დაიცავდა მას დავით გერმანოზიშვილისა და მისი მდევრებისაგან, ვიდრე ბერის სამოსი და გლახის ძონძები. მაინც წამდაუწუმ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— რომ მიცნონ, მაშინ რა ვქნა?

— ბიჭო! მაგ ქალაქურ კარტუზს ქვეშ ვინ გიცნობს, მე ძლივს გცნობილობ.

დახლიდარი თავისას არ იშლიდა, მეწვრილმანეს ეხვეწებოდა:

— საწვრიმალოში მირჩევნია, ფირუზჯან, აქ როგორც გინდა, ისე მომსახურე.

— ქაჩლის თავზე თალაქობას ვერ ისწავლი, საწვრილმანოში სოვდაგრობას. ადე, წავიდეთ. საწვრიმალოს ლიზაც მოუვლის.

დახლიდარი ბუზღუნით და ბურტყუნით მისდევდა მეწვრილმანეს, მაგრამ ქუჩის მოსახვევებსა და შუკაბანდებში ეკარგებოდა და ისევ საწვრილმანოსკენ გარბოდა. დამფრთხალი და შეშინებული ადამიანებს ერიდებოდა, ხალხს გაურბოდა. ფირუზა ხან უყვავებდა, ხან უჯავრდებოდა, ხანაც მოთმინებიდან გამოსული დასცინოდა და მასხრად იგდებდა:

— ეი, ქედან! ეგრე უშნოდ ნუ იზლაზნები, სახლის იაქთალებს ნუ ეფარები, ნუ გეშინიან, თავზე კრამიტი არ დაგეცემა.

ზამთარმა თოვლი ჩამოჰყარა. ახლა მეწვრილმანე და მისი დახლიდარი უფრო ხშირად შინ ისხდნენ და გარეთ იშვიათად გადიოდნენ. ჩაფიქრებულ გიგას ფირუზა ათასგვარ მომხდარსა და გაგონილ ამბებს უყვებოდა მდიდარსა და განთქმულ სოვდაგრებზე, რომელთაც თავიანთი ქონება ავკაცობით შეეძინათ. „თუ ვაჭარი თაღლითი არ არის, სჯობიან მონასტერში ბერად აღიკვეცოს, ვიდრე დახლში ჩადგეს და გაუქლიბავი გირით სწონიდესო" — სერიოზული სახით ამბობდა ფირუზა.

დახლიდარი გაოცებით და სიტყვის შეუბრუნებლად უსმენდა თავის ავკაცობის მასწავლებელს, რომლის თქმით, ვერაგობით და ორგულობით შეიძლება ლატაკნი გამდიდრებულიყვნენ, ხოლო მდიდარნი გალატაკებულიყვნენ. უსმენდა და ყურებს არ უჯერებდა: „ეს სად მოვხვდი, ვის ხელში ჩავვარდიო".

ახალ წელიწადს თეთრმა ლიზამ გიგას სახელზე „ბედის პური" გამოაცხო. პურის ცომი კარგად გაფუვდა, არ დავარდა და საუცხოოდ გამოცხვა. გახარებული თეთრი ლიზა ფეხზე აღარ იდგა, გიგას ტიტინით ეუბნებოდა:

— კარგი ნიშანია, შენმა მზემ, ყველათერი აგისრულდება, რასაც ინატრებ.

— აუსრულდება, თუ მარაქაში გაერევა და საწვრიმალოდან გარეთ ცხვირს გაჰყოფს, — დასძინა ფირუზამ.

გაზაფხულზე მეწვრილმანემ დახლიდარს ბაზარში წაყვანა მოუნდომა. დახლიდარი ისევ გაჯიუტდა. ფირუზა გაჯავრდა.

— შენ მე როგორ მიყურებ?! მუქთად პურს ვის აჭმევენ, რომ შენ გაჭამო? უნდა გავისარჯნეთ, ხელი უნდა გავანძრიოთ, ისე ლუკმას ვერ ვიშოვნით.

— ფირუზჯან, საწვრიმალოში ცოტა რამეს მეც ხომ ვაკეთებ? — გაუბედა დახლიდარმა.

— საწვრიმალო ხელს არ მოგვცემს, ქარვასლებშია ჩვენი ადგილი. რამდენჯერ უნდა გითხრა? ადე, წელში გაიმართე, ჯიჯინისთვის სადა მცალიან?!

ფირუზას სადარდებელი არა ჰქონდა რა. თუ გიგას დაიჭერდნენ, ოქროს ქისა მას დარჩებოდა, თუ გადარჩებოდა, მის ოქროს ფულებს მაინც როგორც სურდა, ისე მოიხმარდა.

## 2. ბაწვრთნა

> ფული უნდა იყოს მოძრაობაში. ფულმა ფული უნდა მოიგოს.
>
> **ლავრენტი არდაზიანი, „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“.**

ყოველ ცისმარე დღეს ისინი საწვრილმანოს თეთრ ლიზას აბარებდნენ, თვითონ კი იქითკენ მიდიოდნენ, სადაც ხალხი მრავლად ირეოდა და ზიმზიმი გაჰქონდა.

დუქან-ბაზრებში სიარულით დაღლილნი ნაშუადღევს დასასვენებლად მეიხანაში ან ყავახანაში შედიოდნენ. ყავახანის სპარსულად მოხატულ კედელზე ჩამოკიდებულ ქირმანშალზე გამოცანას კითხულობდნენ, გამოცანის გამომცნობს სხვებთან ერთად ტაშს უკრავდნენ და ყავახანის ნაირ-ნაირი სტუმრების გონების გამწვრთნელ მუსაიფს ყურს უგდებდნენ.

ფირუზას მიამიტ დახლიდარს ყველაზე მეტად ყარაგოზას თეატრი უყვარდა, სადაც ჭკვიანი ყავჭირ ჩრდილებით მაყურებლებს თეატრალურ მისტერიებს უჩვენებდა. ჩრდილების თეატრში იგი გონივრულ დიალოგებს გატაცებით უსმენდა, მოსწრებულად ნათქვამს იხსომებდა და ადამიანების ოინბაზობაზე გულიანად იცინოდა.

ვის არ იცნობდა მეწვრილმანე ფირუზა? თავის დახლიდარს ის დიდი ამბით უჩვენებდა, აცნობდა და უხასიათებდა: ქარვასლების მფლობელებს, დიდვაჭრებს, მდიდარ და შეძლებულ სოვდაგრებს, გამდიდრებულ მედუქნეებს, სირაჯებს, მიკიტნებს, ამქრების უსტაბაშებს, ჩარჩებს, ქორვაჭრებს, სახელმოხვეჭილ ხელოსნებს, განთქმულ მოკრივეებს, აშუღებს, ჯიბგირებს, თაღლითებს, სამიკიტნოების როსკიპებს და ავლაბრის კახპებს.

თბილისის ბაზრები, ქარვასლები, მოედნები, აღმართ-დაღმართები და ხელოსნების გრძელი რიგები ათასნაირი გარეგნობის, ჩაცმულობის და ხელობის ადამიანებით იყო სავსე. ფირუზა ყველას იცნობდა, ყველა ფირუზას სცნობდა. მეწვრილმანე სალმის მიცემას ვერ ასწრებდა.

— ლხინის პაპას გაუმარჯოს! — ეძახდნენ მას აქეთ-იქიდან.

— გაგიმარჯოთ.

— ეგ დადა ჯეელი ვინ არის?

— ჩემი ნათესავია, ბიძაშვილი.

— ჰოო! — აგონდებოდათ გიგას მაყურებლებს კუსპარა დალაქის ნაამბობი.

თვითონ ფირუზა თავისი „ალალი ბიძაშვილის“ გამო ლაპარაკს ერიდებოდა, ფრთხილობდა და ჭკვიანურად დუმდა, რადგან „სოვდაგრის ნაშეგირდალმა“ არც სომხური იცოდა, არც სპარსული და არც თურქული. ამ ენებზე თითქმის ყველა ქალაქელი ვაჭარი ლაპარაკობდა, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის ქალაქებში ნავალი სოვდაგრები.

ერთ დღეს ფირუზამ თავის დახლიდარს კოხტაობა შეატყო. მის წინ ქალაქურად გაწკიპული ყმაწვილი იდგა.

კარტუზიანი ქუდი გვერდზე კოხტად ჰქონდა ჩატეხილი, კინტოური წითელ-წინწკლებიანი პერანგის საყელო დარდიმანდულად გადაღეღილი, წელზე ღვედის უბრალო ქამარი მაგრად შემოჭერილი, ლურჯი, მოკლე ხალათის ბოლოები მრავალკეცად გადაფენილი, ხოლო განიერ შარვალზე დაბალყელიანი, გარმონივით დაკეცილი, კარგა მაგრაც გაცვეთილი, მაგრამ გულმოდგინედ გაპრიალებული ჩექმები ეცვა. წინათ ჩაცმა-დახურვაში დაუდევარ გიგას ახლა შნო და ლაზათი ეტყობოდა. ფირუზამ სულერთიანად გამოცვლილ დახლიდარს ჩუმად ახედ-დახედა, გაეღიმა, არაფერი თქვა, გაჩუმდა და პირველი გამარჯვებით გახარებულს, მისი გაწვრთნის ხალისი უფრო მოემატა.

კარგ ვაჭარს წერა-კითხვაც უნდა სცოდნოდა. ფირუზამ ამასაც მიაქცია ყურადღება. დახლიდარს წერა-კითხვის მასწავლებლად დიაკვანი დაუქირავა. გიგას ხელში ძროხის ბეჭი მისცეს ასოების გამოსაყვანად.

— შენთვის განა არ მითქვია, რომ წინათ მე ხელოსანი ვიყავი? — ტრაბახობდა ფირუზა. — ხელოსანმა წერა-კითხვა უსათუოდ უნდა იცოდეს. ამხანაგობის წიგნის წასაკითხად, ამქარში გასარევად. ვაჭარზე ხომ ნურაფერს იტყვი. უწიგნურ ვაჭარს, იცოდე, ანგარიში დაეკარგება. ყველა ჭკვიანი ვაჭარი ყოველდღე თავის დავთარში წერს თავნსაც და სარგებელსაც, მოგებასაც და წაგებასაც. საწვრიმალოს დუქნად რომ გადავაკეთებ, მეც დავთარს დავიჭერ.

ფირუზა დახლიდარს მტკვარში ცურვასაც ასწავლიდა. ქალაქელმა ცურვა უნდა იცოდეს, ამბობდა ცხოვრების ავან-ჩავანს გაცნობილი მეწვრილმანე, თუ ვინიცობაა ნავიდან ან ტივიდან წყალში გადავარდა ან გადააგდეს, ნაპირს მშვიდობით მიაღწიოსო.

ახალგაზრდა და ღონიერი დახლიდარი მას ახლომახლო გორაკებზე კრივის საჩვენებლად დაჰყავდა. ყველა ქველს, თუ სულმთლად დავრდომილი არ იყო და ხელ-ფეხი დახუთული არ ჰქონდა, უბნის სახელი უნდა დაეცვა, რადგან უბანი უბანს ებრძოდა და ყველა უბანი თავს თავისი ფალავნით იწონებდა. ამიტომ ფირუზა თავის ბრგე დახლიდარს აქეზებდა კრივი კარგად ესწავლა: „სახელს დავიგდებთ, უბანში პირველები ვიქნებით, პირველს ყველა თავს უკრავდა, მეორეს კი მხოლოდ სხვისი ქუდი და ქოშები უჭირავს ხელშიო“. გიგა მალე კარგი მოკრივე დადგა და კუკიის მთელ უბანს სახელი გაუთქვა. ჭირიანთ ხევიდან ავჭალის ხევამდე მუშტს ისე იქნევდა, დაღლა არ ეტყობოდა. ჩუღურეთში, ავლაბარში, ხარფუხში და გარეთუბანში ახლა ყველამ იცოდა მოკრივე გიგა ზანდაროვის სახელი. ფირუზასაც სწორედ ეს უნდოდა, რადგან სადაც გიგას სახელს ახსენებდნენ ხოლმე, იქ ფირუზაზეც ლაპარაკობდნენ.

მეწვრილმანემ თავის დახლიდარს მხოლოდ ერთი რამ დაუმალა: თუ ქართველი თავადები და აზნაურები ბაზარში მართლაც იშვიათად დადიოდნენ, სამაგიეროდ კრივს დიდი ხალისით და ინტერესით ესწრებოდნენ.

ფანდურაანთ იოსები თანდათან გაიწაფა დახლიდარობაში, ქალაქური ცხოვრების ავან-ჩავანსაც ალღო აუღო.

მეწვრილმანე და დახლიდარი ხან სად იყვნენ, ხან სად. ობებსა და „პურის რიგს“, ნადლსა და ყეენობას არ აკლდებოდნენ. ხელოსნების და წვრილი ვაჭრების ძეობებს, ნათლობებს, ქორწილებს, დასაფლავებას და ქელეხებს არ უშვებდნენ. ფირუზასთან ერთად ნაიოსებარი გიგა ქალაქელებში ტრიალებდა და მათ წეს-ჩვეულებებს, ლაპარაკის კილოს და მიხვრა-მოხვრას ითვისებდა. ამასობაში ნაგლეხკაცარი თუ ნაგლახარი ისე გამოიცვალა, რომ თავის თავს თვითონ ველარ სცნობდა.

□ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შალვა ამისულაშვილი**

# გრეხილი კიბე

მოთხრობა

ძილში ჩემი სახელი შემომესმა: „არჩილ!.. არჩილ!..“ მოგეჩვენათ, მითხრა მეუღლემ. დიახ მომეჩვენა კიდეც, ჯიბო ჯალიაურის ხმასა ჰგავდა-მეთქი, წავიბურტყუნე ჯიბრით... წადი, წადი, იქნებ ახლა შენ ამოგათხრევინოს ორმო და შენვე ჩაგმარხოსო ყელამდე შიგ... თან ისიც დაუმატა, ნურც მაჩხაანის გზას დაივიწყებო...

ვილაც-ვილაცეების თქმით მსგავსი რამ მართლაც ჩაედინა ჩვენს უფროს თანამშრომელს თავის მხედრულ სიჭაბუკეში, მხოლოდ საბრძოლო მეცადინეობის დროს, რათა ახალწვეული ჯარისკაცის შეუპოვრობასა და გამძლეობაში დარწმუნებულიყო.

ეს ამბავი მომხდარა ცხრაასორმოცდაერთი წლის ოცდაერთი ივნისის საღამოს, დასავლეთ უკრაინაში, პოლონეთის მახლობლად.

გაძლებით კი, ვიცი, კარგა ხანს გაუძლებდა იმ გაჭირვებას ახალწვეული ქართველი ჯარისკაცი, მაგრამ ისიც ვიცი, ომის პირველმა მეხმა სწორედ იმ ადგილებში რომ დაიჭექა...

ჩემი სახელი კვლავ შემომესმა, ყელგანიერ ჩექმებში ორივე ფეხი თითქმის ერთდროულად ჩავდგი, ფრონტული ფარაჯა სწრაფად წამოვისხი და გარეთ გავედი. თებერვლის გაცრეცილ მთვარეს უსწორმასწორო შუბლზე ღრუბელი წაეკრა ყაბალახურად. ფარასტაანთ ნაბოსლარზე ლანდი დაბორიალებდა კაცისა, ცდილობდა პალტოს აწეულ საყელოში ჩამალულიყო, ჩამძვრალიყო მთლიანად. ჯიბო შენა ხარ? — შევეხმაურე შორიდანვე. მე ვარო, ძლივს მომიგო სიცივისაგან გათანგულმა.

ჯალიაური ნასვამი აღმოჩნდა, გზა არეოდა სამელიოსაკენ მიმავალს, დიახ, სამელიოსაკენ, არის ასეთი უბანი ჩვენს დაბა-ქალაქში. უშნოდ ჩამოფხატული (ასე სჩვეოდა ჯიბოს) ფართოფარფლებიანი შლიაპა ჩვენი უბნის ბიჭებს მოეტაცნათ და ქივილ-ხივილით იქვე ბაღში შეცვივნულიყვნენ. თვითონ კი შერცხვენილსა და შეშინებულს, თავი ჩვენი ეზოსათვის შემოეფარებინა...

ბევრი ვეხვეწე, ვემუდარე, შინ შემყოლოდა გასათბობად, მაგრამ გაქირზე დადგა. არა და, მისი მარტო გაშვება, ისიც სამელიოსაკენ, არასგზით არ შეიძლებოდა. შინ ისევ მარტო მე შევედი. ჩავიცვი თბილად, დავიხურე ჩემი საყვარელი „შაპკა-უშანკა“, მისთვის კიდევ ძაბრულა ქუდი — ლეგენდარული „ბუდიონოვკა“ გავიტანე და შევუდექით სამელიოსაკენ მიმავალ აღმართს.

რკინიგზის ხიდამდე ხმა არ ამოგვიღია, თითქოს სამხედრო დაზვერვაზე მივდიოდით... ალბათ ხმას არც ამოვიღებდით, რომ ცისტერნების ეშელონს არ გაევლო ხიდქვეშ და მის გაბმულ გუგუნზე ომის დღეები არ გაგვხსენებოდა. ჯიბოსი რა მოგახსენოთ და. მე კი სულ პირველად ორმოში ჩაფლული ის ჩვენებური ბიჭი დამიდგა თვალწინ. საწყალს ნეტავ რა დაემართებოდა?! — ვთქვი ოდნავ გასაგონად. ვისაო? ვისა და, ორმოში რომ ბიჭი დაგრჩათ-მეთქი ცხრაასორმოცდაერთში.. ნუ გამაგონებ მაგ სიტყვასო, მომიგო სწრაფად და ნერვიულად.

პასუხზე მივხვდი, რომ ჯიბო იმდენად მთვრალი აღარ იყო, რამდენადაც საგონებელს მიცემული. ნამდვილად ოცდათხუთმეტი წლის წინათ მომხდარი „შემთხვევა" მას შეუბრალებლად უფორიაქებდა სულს. იქნებ წელან ბაღთან ფართოფართფლებიანი შლიაპა რომ მოსტაცეს ჩვენი უბნის ბიჭებმა, ერთი იმათგანი იმ შორეულ ბიჭად წარმოიდგინა და ახლაც ყურში ესმის მისი გულსაკლავი სიტყვები: რად გამიმეტე ასე ულვთოდ, რად გამიმეტე, გეგონა შეგრჩებოდა, ნამუსის ქუდი ხომ მოგტაცეს ჩემმა ტოლებმაო...

თითქოს ნაფიქრალს მიმიხვდა, უცბად ჯიბომ ხელი იტაცა „ბუდიონოვკაზე". მე გამეცინა. რა გაცინებსო. მეგონა, მაგ ძაბრულა ქუდსაც გტაცებდა-მეთქი ვინმე... შენ რაღაც სხვანაირად იჩხვლიტები, იმ ბიჭის მამამ იცოდა ასე, იცოდა და ცხრაასოცდაჩვიდმეტში აკი იმან მოინელა საწყალი მამაჩემი. უსაქმოდ მავალი — ან უხსენებელს. ან უხსენებლის ფხასაო, ხომ გაგიგია, თუ ჩემს გაცილებას საქმედ არ სთვლი, შეგიძლია უკან დაბრუნდე...

— შარიანმა კაცმა შარის გულისათვის შარა მოხნა-მეთქი, არც მე დავუთმე...

არც მე დავუთმე, მაგრამ მის კილოდაბმულ ჭროლა თვალებს რომ შევხედე, ყინულის ეკალმა გამკაწრა. ახლა ცას გავუსწორე თვალი და მთვარის გაცრეცილ შუქზე ვარსკვლავებიც მეუცნაურა, მეგონა გაქვავებული ხვლიკის თვალები დამცქეროდნენ თავზე. კინაღამ მართლა უკან დავბრუნდი... სამაგიეროს გადახდასავით რომ არ გამომსვლოდა, განზრახული გადავიფიქრე და ხსოვნაში მაჩხაანის გზამ გაიელვა კიდეც...

მაშინაც მთვარიანი ღამე იყო, თებერვლის მთვარიანი ღამე. ბოდბის სარძეო ფერმები დავათვალიერეთ. ერთ-ერთმა ფერმის გამგემ სახლში მიგვიპატიჟა. ქეიფს დასასრული რომ არ უჩანდა, ჯიბოსა ვთხოვე, როგორმე თავი გაგვეღწია. არაო, ამაღამ აქ დავრჩეთო .მე კი ტელეფონზე შეკვეთა მქონდა მიცემული, ღამის პირველ საათზე თბილისს უნდა დავლაპარაკებოდი სიღნაღიდან. იძულებული გავხდი, მარტო წავსულიყავი, მაგრამ ჭიშკარში ვიღაც ახალგაზრდა მწყემსი გადამიდგა, სად მიდიხარო. ნარევად ნასვამ სასმელს ჩემზე უარესად გადაერივნა იგი. გულზე ორპირი ცალღარიანი დანა დამანათა, ფეხს ვერსადაც ვერ გასდგამო. დავბრუნდი უკან, ჯიბომ გულიანად გადაიხარხარა, ალბათ მისი მოწყობილი თუ იყო ეს ამბავი. მე იქ გამჩერებელი რომ აღარ ვიყავი, შემატყო და ცივად მითხრა, რაკი ეგრეა საქმე, წავიდეთო.

იმ იმედით, რომ გზაზე ვისიმე მანქანა წამოგვეწეოდა, ნელი ნაბიჯით გავწიეთ სიღნაღის მიმართულებით. გავჩერდით წარაფის დასაწყისთან. ცისა და მიწის შავ ფონზე შტოებგაფარჩხული ხეები ჰაერში ფესვებადაკიდებულებს ჰგავდნენ, ღამე სიჭარმაგეში შედიოდა. სიღნაღისაკენ მიმავალი მანქანები მაინც არ ჩანდნენ. თავის დაიმედება ზედმეტად მივიჩნიეთ. ჯიბომ უკან დაბრუნება მირჩია. მე უხერხულად ჩავთვალე მასპინძლის ხელმეორედ შეწუხება.

წარაფის თავზე თებერვლის მთვარემ ცივად გაღმიაანათა. შტოებგაფარჩხული შიშველი ხეები ახლა ცალ ფეხზე შემდგარ უცნაურ ფრინველთა ჩონჩხებს დაემსგავსნენ. ჯიბო ჯადოშეკრუ-

ლივით გაყვითლდა და უცბად უარი მტკიცა თანამგზავრობაზე. ჯერ არ დავიჯერე, მაგრამ ზურგი რომ შემაქცია და ისევ ბოდბისაკენ დაიძრა, არც მაშინ დამეჯერა?!. იმ ვარაუდით, რომ გზას შევიმოკლებდი სიღნაღისაკენ, წარაფი შუაზე გადავჭერ და ჩემს წინ მოხნულ ხოდაბუნების უზარმაზარი შავი წრე შემოიხაზა. დავიბენი, ორიენტაცია დავკარგე და ბრმად მივენდე წარაფის მარცხენა მხარეზე მიმავალ საურმე გზას. როგორც იყო, გზატკეცილზედაც გავედი. ვიფიქრე, ახლა კი მართლა მეშველა-მეთქი...

წარაფი უკან მოვიტოვე, ხოდაბუნების შავი წრე უფრო გაფართოვდა. უფრო გაგანიერდა. გზის მარჯვენა მხარეზე ორმოციოდე ნაბიჯის დაშორებით ლანდი ამედევნა ძუნძულით. ვიფიქრე, ჯიბო იქნება ოთხზე მავალი, მგლად მაჩვენებს თავს, რომ შემაშინოს-მეთქი. ბოლოს, ჯიბო კი არა, მგელი აღმოჩნდა მართლა. ეს მაშინ ვიგრძენი, დასასვენებლად რომ ჩავიმუხლე მცირე ხანს. შავ ბელტებზე დასკუპებულს დრუნჩი აეწია ცისაკენ და მთვარესა თუ ვარსკვლავებს შეჰყმუვლა... წამოვდექ, წამოდგა; დავიძარ, დაიძრა; ავჩქარდი, აჩქარდა. ცოტა არ იყოს, გული შემიქანდა, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, მარტოხელა თავდასხმას ვერ გამიბედავდა, თუ არ ჩამთვლემდა სადმე.

ვინ იცის, რამდენი კილომეტრი გავიარე (მე ყოველ შემთხვევაში მებევრებოდა), არა და, არ ჩამომცილდა ის ოხერი. დავიღალე, ერთხელ კიდევ დავისვენე, იმანაც დაისვენა, მაგრამ ცოტა სხვანაირად შეჰყმუვლა უკვე. გამახსენდა, ამძუვნების პერიოდი რომ იყო, ემანდ მგლების მთელ ჯოგს არ მოუხმოს-მეთქი, წამოვდექ და სწრაფად გავუდექ გზას, მხოლოდ ჩუმად კი არა, სიმღერით. წამდაუწუმ ასანთს ვავკრავდი ხოლმე. იქნება როგორმე დამფრთხალიყო და გამცლოდა. მივდიოდი და ვმღეროდი, თუმცა რას ვამბობ, შიში და სიმღერა ვის გაუგია ერთდროულად. კი არ ვმღეროდი, ალბათ მაჩხაანური მაჩვივით ვჩხაოდი. მგელსაც ეს უნდოდა, მაჩვს ხომ ჩხავილის გაგონებაზე იჭერს ხოლმე.

მოულოდნელად რომელიღაც ხევს მივადექი, ზიგზაგურად დაბლა დაშვებული გზა მთლად ჩაიჩრდილა. მგელმა დრო იხელთა, დაწინაურდა. მივხვდი, სადმე ვიწრო ადგილას ჩამისაფრდებოდა და პატარა უყურადღებობის შემთხვევაში მისი ულუფა გავხდებოდი, მაგრამ რა იცოდა იმ ოხერმა, რომ უკვე ბედმა გამიღიმა. იარაღი რად მინდოდა, როცა იმდენი ქვა და ლორღო ეყარა ირგვლივ. დავავლე ერთ-ორ ქვას ხელი და ვესროლე თუ არა, სულ კისრისტეხვით დაეშვა თავქვე. ხევს რომ გავცდი, ოდნავ ირიჟრაჟა და მოღლილ-მოქანცული პირქვე დავემხე ნაზამთრალ ფერდობზე. გაცივებას აღარ ვჩიოდი, ოღონდ გული საგულეში ჩამდგომოდა. სიღნაღში მოსახვედრი, სოფელ მაჩხაანში მოვხვედრილიყავი. რაკი ცოცხალი გადავრჩი, ამას როგორღა ვიდარდებდი...

ამ ამბის მომსწრე ახლა სამელიოსაკენ რომ მივაცილებდი ჯიბო ჯალიაურს. გულში ძველ სიბრძნეს ვიმეორებდი: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“. მან ერთი-ორჯერ იჭვნეულად შემომხედა, ალბათ გამიგო, რასაც ვფიქრობდი და მკითხა, შაბათკვირას თუ გეცლებაო. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მაშინ ერთ ადგილას საქეიფოდ ერთად წავსულვართო და ეგ არის... რატომღაც უარი ვერ ვუთხარი...

სმა-ჭამაში სვავს კი ჰგავდა, მაგრამ მუცელი შევარდნაზე ჰქონდა მუდამ. ახლა ჯვარედინად რომ დაიწყობდა გულზე ხელებს ,მთლად უცოდველ ასკეტს ემსგავსებოდა. ყველგან და ყველასთან კეთილი და მოკრძალებული კაცის სახელით სარგებლობდა. თუ კიდევ თავსაც დახრიდა დაბლა და ქოჩორში ნახევარი მთვარის მსგავსი მელოტი ადგილი გამოუჩნდებოდა, მაშინ ხომ სიბრალულის გრძნობასაც იწვევდა ნამდვილად... რა იცოდნენ, ჭამა-

სმით გულს რომ იჯერებდა ხოლმე, რას ამბობდა. მე კი ვიცოდი: მუცელი თუ ამოიყორე და ჯიბე ცარიელი მიიტანე სახლში, აგიშენდებათ ოჯახი... ვაი, შე უბედურომეთქი, გავივლებდი გულში. მაგრამ იმ წუთში მისივე სიტყვები მახსენდებოდა ყოველთვის: უბედური ის არის, ვინც უბედურებას ვერ უძლებს. ის მართლაც უძლებდა. მე მის ადგილას თავს მოვიკლავდი... თუმცა თავს მორიელიც იკლავს, როცა განსაცდელშია...

იმ ღამეს მშვიდობით მივაცილე შინამდე. ლეგენდარული „ბუდიონნოვკა“ უკანვე გადმომცა. ბეჭზე ინათა კიდეც და სიხარულით დავეშვი დაღმართზე., მაგრამ საქეიფოდ გამიზნული მომავალი შაბათ-კვირა რომ გამახსენდა, ცივმა ჟრუანტელმა დამიარა.

შაბათ-კვირამდე რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს სამსახურებრივ საქმეზე. მისი ერთი საყვედური გველის ნაკბენივით ჩამრჩა გულში: ხშირად ავადმყოფობ, თუ ვიკადრე, მაგნაირ ბიულეტენებს მეც გავაკეთებინებო. ჩემი გასაჭირი მეუღლეს შევჩივლე, ცეცხლი მოიდო, იმ ციმბირის მელას ეგ რა უთქვამსო. მერე შეამკო და შეამკო ათასნაირი ეპითეტებით: თვალები ყვლიპარია კატას მიუგავს, კაპიტანი როგორ გახდაო ომის დროს. დათვრება და სულელივით აქანქარებს იმ ცარიელ თავს შხამიანი უხსენებლები წვრილებიც არიან და მსხვილებიც. ეგ პირველ ჯგუფს ეკუთვნის. შარშან, შარშანწინ ჩვენსა რომ მოდიოდა ხოლმე სტუმრად, ფანჯრებსა ვხსნიდი, ჰაერი არ მოწამლულიყო. თუ მასთან საქეიფოდ წასულხარ, შენი ხმის გამცემი აღარ ვიქნებიო.

სიტყვა მკურნალიც არის და დამჯოდავიც. შაბათ-საღამოს ჯიბო ჯალიაურმა ისეთი ტკბილი საუბარი გამიბა, ხელდახელ გადამავიწყდა მისი ყოველი ცუდი .გადამავიწყდა მეუღლის მუქარაც და სამსახურის დამთავრების შემდეგ (იმ დღეს რატომღაც ვმუშაობდით) სოფელ არაშენდისაკენ ავიღეთ გეზი და ჯიბოს დეიდაშვილის ქორწილში ამოვყავით თავი.

ქორწილის აღწერას აღარ შევუდგები და იმას კი ვიტყვი, ჯიბოზე — მაგრამ მე დავითვერი... იმ ორ დღეს იგი სულ ჩემს პატივისცემაში იყო. ბოლოს, მეგზურობაც იმან იკისრა. ვფიქრობდი, ჩვენსა მივდიოდით, მოხდა პირიქით, ნეტავ არ მომხდარიყო. სადარბაზო კარი არავინ გაგვიღო. მაშინ სახლს მეორე მხრიდან მოვუარეთ და გრეხილი კიბის საფეხურებს ავყევით ნელ-ნელა. წინ ჯიბო მიდიოდა... მიდიოდა და ჩემზე ადრე მოექცა კიდეც ზემოდან გრეხილ კიბეს. მერე ისე უცბად გაქრა. თითქოს ცაში გაუჩინარდაო...

როგორც იყო, მეც ავედი, მივაწექ კარს და კარი არ გაიღო. „ჯიბო! „ჯიბო!“ — შევყვირე რამდენჯერმე. ხმა რომ არ გამცა, შემოვტრიალდი და საფეხურზე ჩამოვჯექ, რათა თავბრუ არ დამხვეოდა. შუბლით რკინის მოაჯირს მივეყრდენ, თითქოს მესიამოვნა მისი სიგრილე. ვამბობდი: ჯიბო ან ეხლა გამოიხედავს, ან ეხლა-მეთქი. იმედი არ გამიმართლდა, წამოვდექ, მაგრამ ვაი იმ წამოდგომას, კარუსელივით დამიტრიალდა მთვარიანი ღამე. დიდხანს, ძალიან დიდხანს შევრჩი იმ ადგილს. ამასობაში დამათენდა კიდეც...

მოვიკრიბე უკანასკნელი ძალ-ღონე და ნერვიულობისაგან აკანკალებულმა ძლივს ჩავათავე გრეხილი კიბის საფეხურები. მეგონა, იმ კიბის მაღლა უჰაერო სივრცე დავტოვე, თავისუფლად ამოვისუნთქე და შინისაკენ გავეშურე მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა. რაც მოხდა. „არჩილ!.. არჩილ!..“ — შემომესმა ჩემი სახელი. შევტრიალდი, გრეხილი კიბის თავზე ჯიბო ჯალიაური გამოსულიყო, ხელით მანიშნებდა გავჩერებულიყავი. ვფიქრე, ჩამოირბენდა, მოვიდოდა ჩემთან და ბოდიშს მომიხდიდა. მოვტყუვდი, ის ადგილიდანაც არ დაძრულა. სამაგიეროდ, თვითონაც იმ კიბესავით დაიგრიხა და გადმომძახა: „სამსახურში დროზე მოდი, არ დაიგვიანო!“.. გაწბილებულმა ზურგი შევაქციე იქაურობას...

6. „მნათობი“, № 12.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შოტლანდიელი პოეტები

შოტლანდიური პოეზია რამოდენიმე ენაზე იქმნებოდა ოდითგან: ძველ შოტლანდიურ ენაზე დაწერილი პოეტური ძეგლები შემორჩენილია მეთოთხმეტე საუკუნიდან.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, შოტლანდიის ინგლისთან შეერთების შემდეგ ამ ენამ დაჰკარგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და დიალექტად იქცა. იმავე საუკუნის ბოლოს იგი აალორძინა რობერტ ბერნსმა თავის პოეზიაში.

მეოცე საუკუნეში შოტლანდიური დიალექტის თავგამოდებული მოსარჩლეა მსოფლიოში სახელმოხვეჭილი დიდი პოეტი ჰიუ მაკდაიერმიდი. მისი შემოქმედების ორი ნაკადი, — პატრიოტული და ფილოსოფიური, — პარალელურად იქმნება ინგლისურ ენაზე და შოტლანდიურ დიალექტზე.

მეთვრამეტე საუკუნის სახელგანთქმული მონადირე ბარდი — დუნკან ბენ მაკინტაიერი იმ პოეტთა წარმომადგენელია, რომლებიც გელურ ენაზე თხზავდნენ და წერდნენ. ეს ნაკადი არ შეწყვეტილა დღესაც.

მეცხრამეტე საუკუნეში მომძლავრდა ინგლისურ ენაზე მწერალ პოეტთა პლეადა. ბედთან შეურიგებელი, ბობოქარი პოეტი ჯონ დევიდსონი ამ ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მეოცე საუკუნის პოეტი რონალდ კემბელ მაკფაიც ინგლისურად წერს.

### დუნკან ბენ მაკინტაიერი
(1724 — 1808)

### ბენ-დორიანის ქება
*(ნაწყვეტი)*

მთების გადაღმა მხარეს,
სადაც ირმების არვეს
გადაუვლია ფრენით
მანანიანი ველი,
სადაც სინათლის ჩქერი
მოჰგავს ალმასის ღვარებს,
სადაც ირმების არვეს
გადაუვლია ფრენით, —
მთების გადაღმა მხარეს
ბენ-დორიანი შვენის.

მე არ მინახავს არსად
მხარე ამისი მსგავსი,
მისი ბალახის ხასხასს
მისდევს ირემი ასი;
არის ელვაზე ჩქარი
მათი ჩლიქების ელვა,
როცა ჰაერის ღელვას
სუნით შეამღვრევს ქარი.

ბალან-სლიპინა ტყავი
შემოჭიმვია ტახზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაგიქროლებს და იტყვი
ან მთვარეა და ან მზე.
ხან ჰგავს ბაირაღს გაშლილს
და ქარს ცეცხლივით მიაქვს,
თუ ბიჭი ხარ და მაშინ
წამოაწიე ტყვია...

თოფი გჭირდება ცქაფი,
ნაღდი მარჯვენა ვაჟის,
ამუშავება სწრაფი
ჩახმახისა და კაჟის.

ერთი დასხლეტა ხელის,
ან დაყოვნება მცირე...
და მერე სდიე ველის
ფრთიან ქარსა და ირემს.

* * *

გადაქცეული ყნოსვად,
გადაქცეული სმენად,
გამზადებული ფრენად
ფოთლის შრიალის დროსაც, —
მოცახცახე და ნაზი
დგას ფურ-ირემი მთაზე;
უჩინარდება იმ წამს,
ფეხს რომ აკარებს მიწას.

მისი მწვერვალზე დგომა,
უცებ გაქრობა მისი,
როგორც შიში და კრთომა.
როგორც დამფრთხალი ნისლი,
განერიდება ნიავს,
სადაც სისინა ტყვიას
გული ფართხალით მიაქვს
და ეღონება სისხლი.

მისი შიშით და ღელვით,
სწრაფი ნახტომის ელვით
იგი შეერთვის ნათელს
და ელვარებას მატებს
მზის მონაშუქთა იმ წილს,
რაიც ხვედრია მიწის.

ზოგჯერ გაიწვდის კისერს
და ხმას დაძაბავს ისე,
მისი ბღავილის ექო
ტყეში შეარხევს ცირცელს,
გადმოსცილდება ბექობს,
გადმოსცილდება მთის წვერს,
უხმობს ხარ-ირემს გაბმით
და სალაღობოდ იწვევს.

ეს, მყვირალობის დროა
და ქარს შორიდან მოაქვს
ხართან ძახილი ფურის,
მისი თვალი და ყური,
მისი არსება მთელი
ამ დაძახებას ელის.

დაიძაგრება მყისვე,
პასუხს ბღავილით მისცემს.
გადაეშვება ტყეში,
თავაღერილი მირბის;
გრძელი ფეხები ირმის
მანძილს ადვილად დასძლევს,
არ ეკარგება გეში
ბენ-დორიანის მთებში
და სიყვარულის ეშხით
ბეწვიც უბრწყინავს ტანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონ დევიდსონი
(1857 — 1909)

## გრინოკი

თვალსაწიერად არ მჭირდება სხვა რამ ქვეყანა,
უფრო ვრცელი და უნაპირო, ვიდრე ეს მხარე: —
ქაფით ნაქარგი ყურე ზღვისა, გზა მეწამული,
სადაც გემები რკინის ცხვირით და კიდურების
გლუვი სრიალით აღელვებულ წყალს მიარღვევენ
და ფრთოსნებივით ზღვათა სივრცეს მიუყვებიან;
დაფერდებული ნაპირები, — ტალღების ხავერდს
მოუსვენარი კენჭების და ქვიშის ზარნაშით
რომ მოავლებენ მოლივლივე ოქროს არშიას.
და ეს სოფლები, ზამთრის ძილში ჩაძირულები,
რომ ფხიზლდებიან გაზაფხულის მოსვლისთანავე
და მერე ზაფხულ-შემოდგომის ლხინს ეძლევიან.
რუხი ქალაქი, უამრავი ქარხნის მილებით
რომ შესდგომია ცას ჭვარტლიანს და შავად ხრჩოლავს;
ორთქლის კივილით ტოროლების ხმაზე უადრეს
რომ უხმობს დილას; რომ ეხლება რკინის კორპუსებს
რკინის ჩაქუჩით. ამწეები — ნავსადგურებში
რომ რახრახებენ, ჭრიალებენ და ირწევიან
და გრძელ კისრებზე ვებერთელა ტვირთი ჰკიდიათ.
და ეს კაცები, მატლებივით შეუმჩნეველნი,
რომ მიმოდიან ამ ქალაქის ვიწრო ქუჩებში
და მათ ნაოფლარ ოქროს სხვები ეუფლებიან.
რუხი ქალაქი, ეს ყურე და ეს სანაპირო,
ეს ქოხმახები და ტყიანი ფერდები მთათა,
კლდოვან ქიმებით ერთმანეთზე ახირხლულები, —
ზეცის ღრუბლიან დარბაზებში გამოკიდებულ
ანტიკურ დროთა მუზარადებს ასე რომ ჰგვანან, —
ეს არის ჩემთვის საკმარისი თვალსაწიერი
და ამის გარდა არ მჭირდება სხვა რამ ქვეყანა.

აქ განთიადი შებოლილი აღმოსავლეთის
კვამლში იწვება; მზე გადმოდის ცის კაბადონზე
და მოაბიჯებს მთიდან მთაზე ცეცხლის ტერფებით,
ვიდრე თავდაღმა წავიდოდეს დასავლეთისკენ,
სადაც მის ცხოველ სინათლეს და ცხოველ სიფხიზლეს
ღამე ჩაქრობით ემუქრება... თავის ხელობას
ბეჯითად მისდევს აქ ზამთარი და წლებს ყინულით
შეადუღაბებს ერთმანეთთან... აქ გაზაფხული
ფოთოლგაძარცვულ ბუჩქნარებში გაეხლართება,
ჩამოეშლება გვირგვინი და განცვიფრებისგან
სულს ძლივს იბრუნებს; თან ლოყები მოვარდისფერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლით სველი აქვს... აქ ანაზდად მოდის ზაფხული
და თავის ვნებებს მართლაც მეფურ სიუხვით ფლანგავს.
თავის მონაგარ ოქროს ფანტავს აქ შემოდგომა
ისე გულუხვად და ხელგაშლით, ვით ქუჩის კახპა.
აქა ცხოვრობენ კაცნი — ღირსნი პატივისცემის,
ქალნი — ღირსნი სიყვარულისა.

რონალდ კემპბელ მაკფაი
(XX საუკუნე)

## მოსაგონარი—ჯონ დევიდსონს

ო, სული შენი სიბნელეში ციმციმით ჰგავდა
მთვარეზე ლანდად
მოფარფატე ტოროლას ფრენას,
შენი ამბოხი და გატაცება —
ჩანგის სიმებზე ელვის დაცემას
და გაზაფხულის მკრთალ ბაგეზე ქუხილის ღრენას.

და გულისჯავრი, —
ქარიანი ცეცხლის ალმური,
ფერად წითელი და მეწამული
შერეული ნახშირის ფერთან,
იმ კოცონს ჰგავდა, —
დიდს და ამაზრზენს,
რომელზეც სწვავენ ქვრივ სილამაზეს
სიხარულის ცხედართან ერთად.

დაშნით მოცელე შენ ვარდები პარნასის მთაზე
და მოიტაცე მათი სინაზე;
შენ პოეზიას გაუკაწრე შუბლი ნათელი,
როცა მის გვირგვინს ჩამოჰკაფე ბლუჯა დაფნების.

ასეთი ნაზი, ელვარე და მრავალფერადი
ენთე, იწვოდი, ქრებოდი და ისევ ღელავდი;
იყო მრისხანე, მძვინვარე და შეურიგალი
შენი სიმღერა, შენი ხმა და სულის გრიგალი.

ტკბილ-მწარე იყო შენი ყოფნა
და ბნელ-ნათელი, —
გალაღებული გამარჯვებით,
მარცხით ნათელი,
სილამაზისგან ფრთაშესხმული,
ტანჯვით ნაფლეთი,
ვნებით დამწვარი,
გაყინული სასოწარკვეთით.
ვერ შეაჩერეს შენი ვნება და შენი ლექსი,
როგორც მიწაში ამოსვლა თესლის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც მწიფობა ყანების ტევრის,
ბედის კალოზე ტრიალი კევრის.

რადგან მართალთან მრუდიც ამოდის,
ქვეყნიერების შეცვლას ლამობდი,
და სიმღერების გრძნეული მადლით
მრუდის მოქცევა გინდოდა მართლით.

მაგრამ ამ ქვეყნის ბალავერი ისევ მყარია,
— მიწაზე კაცთა ნატერფალი ბევრჯერ მოშალეს,
ჩვენი ცრემლები შეეფრქვევა ღამეს მთვარიანს,
ააშრიალებს ცაზე შროშანებს,
და რაც დავთესეთ,
        ჩვენი სული მოიმკის, ალბათ,
        მარადიული ველების გაღმა.

ღვთის განგებისა ან რა ვიცით, ან რა ვიცოდით,
მიუწვდომია ჩვენთვის არსი მარადისობის
და მის წინაშე შენი რისხვის მთელი ნამქერი
აბლაბუდების ქსელი იყო, სხვა არაფერი.
დიდი მიზანი გულში მაინც ღამეებს ათევს,
ტანჯვით სიხარულს მოგვიპოვებს და მწუხრით ნათელს.

გამეხებული თავს დაესხი ღმერთის ციტადელს, —
ციხის ალაყაფს ვარსკვლავები ხმლებით იცავდნენ;
შეეჯაჯგურე რკინის კარებს მხრებით, მკლავებით
და მოურყიე ხრახნები და სარაზავები,
რისხვით უტევდი ულმობელი, ღმერთის ციტადელს,
უკანდახევა ვარსკვლავებმა წამით იკადრეს,
ცა შეტორტმანდა არნახული აურ-ზაურით,
გაიმეორა ზღვამაც ზათქით
        შენი ხმაური.

და მაინც ლანდად
მთავრეზე ჩანდა
პაწია ჩიტი
ფრთების ციმციმით,
და უზარმაზარ
ქვეყნის წინაშე
მწერს მიაგავდა
თავის სიმცირით;

ეხეთქებოდა
რკინის გალიას,
გააფთრებული
ამაო რისხვით,
ეთეთქვებოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრთების ძირები, —
სდიოდა სისხლი.

სიცოცხლემ პეშვით აიღო მტვერი —
ძირს გაბნეული,
მისცა სმენა და მხედველობა
კაცისეული;
ხელი ჩაგავლო სიყვარულმა
მაშინვე ხელში,
გადაგატარა ზღვა და ხმელი
შეუმცდარ გეშით
და დაგანახა მწვერვალები მარადისობის.
მაინც მტვერი ხარ მყრალი,
სათამაშო ხარ ბედის,
მაინც ვნებით ხარ მთვრალი,
მაინც სიკვდილით კვდები;
ხარ მზის ქურიდან ცეცხლად
ამონთხეული ხენჯი,
რა გესაქმება ღმერთთან
ამბოხის დროშით ხელში!
ვინ მოგაშავებს უნარს
მისი განგების შეცვლის,
მიწა ვისითაც ბრუნავს,
ვისითაც ხარობს თესლი.

ცას რომ სწვდებოდე ამბოხით მკაცრით,
ადრე თუ გვიან სიკვდილი დაგცლის
და დაგინელებს სულის ქარიშხალს,
თუნდაც დროებით თავი ავიშვათ
და დავივიწყოთ, რომ ბნელში გვიცდის
ჩასაფრებული სისხლიან ბრჭყალით,
დამბრმავებელი ორივე თვალის,
დამშრეტი გრძნობის,
დამშრეტი სისხლის,
ის მაინც მოდის,
ის მაინც გვიცდის.
გინდ ვიყოთ ბრიყვი და გინდა ბრძენი,
სიკვდილი მაინც ბოლოა ჩვენი;
ეს არის სინჯი
ცეცხლის და ნაცრის,
ტკბილის და მწარის
ძლევის და მარცხის;
შიკრიკი — ღმერთის,
მსაჯული — კაცთა,
გარდუვალია შეხვედრა მასთან.

ალბათ, ეს ფიქრი შემოგენთო ცეცხლივით ირგვლივ,
როცა გადგამდნენ ეკლების გვირგვინს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა გმოსავდნენ მწვანე დაფნებით
გავსებდნენ ზიზღით და გააფთრებით.
როცა გეჩვენა აუტანელ ტანჯვა-წამებად
ქება-დიდების და სირცხვილის ერთად ტარება,
როცა ჯერ მხოლოდ შუა გზაზე იყავ გასული,
როცა ჯერ კიდევ აწმყო იყო შენი წარსული,
ეძახდი სიკვდილს, უგზავნიდი კრულვას და წყევლას,
ეძახდი, ჰგმობდი და სთხოვდი შველას,
ვიდრე მოვიდა და მოზღვავდა ზათქით და ზვირთით,
        ტალღის დუღილით,
მხრებიდან მოგხსნა მძიმე ტვირთი
        დიდი წუხილის,
ღრმად ჩააძინა მწარე სევდა —
        ჩვილი ბალღივით
და თან წაიღო შენი სული —
        ბრძოლით დაღლილი.

ვინ დაგაყვედრის, თუ გაგიტყდა ხმალი ვადაში,
ან თუ ყოველთვის ვერ აჟღერე ხმატკბილად ჩანგი,
შენ ღმერთმა ცეცხლი გაგიღვივა გულის ღადარში
რომ არ დაგეცხრო გრძნეული ჰანგი;
გულგრილი ქვეყნის ახირებას რომ ვერ გადარჩი
        საკვირველი რა არის ან კი!
ვინღა ახსენებს შენს სისუსტეს, ცოდვებს მიწიერს,
ჩვენ დავივიწყეთ თუ კი რამე მარცხი იწვნიე.
ჩვენ დავივიწყეთ, თუკი სადმე წაიფორხილე,
ის გვახსოვს მხოლოდ, რომ ლეწავდი სულის ბორკილებს,
და რომ სიმღერას დაუტოვე გულს რაც ებადა, —
სიტკბო, სიმწვავე და სიშმაგე მტანჯველ ვნებათა.

**ჰიუ მაკდაიერმიდი**
**(1892 — 1973)**

## ერთი წამი მარადისობის

*(ნაწყვეტი)*

შეწყდა სიმღერა დიდებული,
ისე, თითქოს ჩადგაო ქარი,
და გულებმა დაიშოშმინეს
როგორც ფოთლებმა
ქარის შემდეგ,
როცა ფოთოლი არ ტოკავს და ცეცხლივით იწვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ვნებები, — მიყუჩებული
ამ მოულოდნელ სიმშვიდეში წამობრიალდნენ
როგორც ფოთლები,
უამრავი მწვანე ფოთლები,
რომლებსაც ძარღვში
უკვდავების წვენი დაუდით.

და გარდავიქმენ
უთვალავი ფოთლის სიმრავლედ,
სინათლის სხივებს
ხან ვიწოვდი, ხან ვირეკლავდი;
ბუჩქი ვიყავი ალმოდებული,
ცეცხლის ალში არ ვინთქებოდი;
მე ვმრავლდებოდი ფოთლებად და სინათლეებად,
სინათლეებად და ფოთლებად ვიკვირტებოდი.
ოქროვან სუნთქვად ვერეოდი
ჰაერის ნაკადს,
ათას სიამედ,
აღტაცებად განვიბნეოდი;
და გარდაქმნილი
უამრავი ფოთლის სიმრავლედ,
მარადისობის მუქი სიმწვანით,
ზეციურ ნათლის ოქროვანობით
ისე ვბრწყინავდი და ვსხივოსნობდი,
თითქოს ცხოვრების უუტკბესი მოგონებები
ამოჰყვნენ სუნთქვას,
და სინათლედ გადაქცეული
დაციმციმებდნენ ამ უსაზღვრო ჰაერში მანამ,
ვიდრემდე ბრწყინვად,
სუნთქვად, სინათლედ,
სამარადისოდ და განუყრელად
დაბრუნდებოდნენ ისევ ჩემში,
ჩემად ქცეული.
სუნთქვა, — ჰაერში განბნეული,
არდაკარგული,
ისევ ჩემთან დაბრუნებული,
მარადიული შეფოთვლა სულის, —
წამით ხილული,
როგორც მრავალზე უმრავლესი ცეცხლის ალმური
ერთ ალმურში შეზავებული
და მაინც ცალკე, სათითაოდ გამორჩეული
განსხვავებულად მოელვარე ნათელ ჩრდილებით.
და ღმერთზე ფიქრი უეცარი,
ვით დროდადრო
მოვარდნა ქარის,
ამ ალთა მარად ელვარებას, —
ცაში განფენილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალივლივება, ვით მდინარეს ვარსკვლავთა ზედა,
ხან ერთი მძლავრი წამობერვით ქრქოლას მოჰგვრიდა,
აფოფინებდა, ზეაწევდა,
სტყორცნიდა ქვევით;
საოცარ წესით დალაგებულ უამრავ ხლართად
იხლართებოდა ფერების და
სინათლის შერწყმით;
დაყოვნებით და აჩქარებით,
დაცხრომით და აბრიალებით
ერეოდა ქარბორბალაში.
მოიხვეტავდა სინათლის ჩქერებს
მოვარდისფერო რტოების ბადით,
ან ხმიანობდა ექოიან სიმაღლეებთან
ფერადი ცეცხლის რიტმულ შხეფებით
და ქიმერული მწვერვალების აციალებით.
და მერე ისევ დაცხრებოდა
ხელახალი ვარვარის და
ზეაღსვლისათვის.
და ქარი ისევ მოდიოდა
და მიმაფრენდა
ფანტასტურ ცეცხლთა სიელვარეში,
სად მთის ბაღებში
სპილოს ძვლის ღობეს გადათქერავდნენ
ზამბახები და უსურვაზები;
სად მშვიდი ტბების მშვიდ ნაპირებთან
გვირგვინს იდგამდნენ გვირილები წითელ ბალახში
და გამჭვირვალე მინდორ-მდელოზე
ცეკვავდნენ ლურჯი მაჩიტელები;
სად საოცარი ვერცხლის ჰანგები,
ბინდიან მთებში დარხეულები
ბროლის ზარებად წკრიალებდნენ
ხმით გამჭვირვალით,
და თრთოდნენ ხმების
ამ ჯადოსნურ მიმოფრენაში:
უმანკო სიზმრის ხეივნებში
გაისმოდა ფრთხიალი ფრთების
და სპეტაკი საკურთხევლები
ყვავილთა ცეკვის და სინათლის
ორომტრიალით
იყვნენ სავსენი.
და სერაფიმის მშვიდი თვალები —
მარადიული ყინულის ველზე მზის სხივივით მოციალენი,
აღეპყრნენ მაღლა, —
სამოთხის ჯერეთ ფეხშეუდგამ მწვერვალებისკენ.
და ჩადგა ქარი.
სამარადისოდ დაუნჯებულმა
დაივანა სინათლემ ჩემში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდრიხ დიურენმატი

# მოსამართლე და მისი ჯალათი

რომანი

ალფონს კლენენმა, ტვანელმა პოლიციელმა, ათასცხრაასორმოცდარვა წლის სამ ნოემბერს, დილით, იმ ადგილას, სადაც ტვანის ტყიანი ხეობიდან ლამბუენისაკენ (ტესენბერგის ერთ-ერთი სოფელთაგანია) მიმავალი გზა გამოდის, გზის პირას გაჩერებული ცისფერი მერსედესი შეამჩნია. ირგვლივ ნისლი იწვა, გვიან შემოდგომას ასეთი ნისლიანობა ხშირად სჩვევია და კლენენმა, სიმართლე რომ ითქვას, მანქანას გვერდით ჩაუარა, მაგრამ შემდეგ მაინც უკან დაბრუნება არჩია. როცა მანქანას მიუახლოვდა და გაორთქლილ შუშაში ნაჩქარევად შეიხედა, დაინახა, მძღოლს საჭეზე თავი ჩამოედო. კლენენმა იფიქრა: კაცი ნამდვილად მთვრალია: მან, როგორც პატიოსანმა ადამიანმა, სასწრაფოდ მოისაზრა თავდაპირველად რაც უნდა ეღონა. გადაწყვიტა, უცნობს ოფიციალურად კი არა, — უბრალოდ, ადამიანურად მოპყრობოდა. იგი მანქანას იმ განზრახვით მიუახლოვდა, მძინარე გაეღვიძებინა, ტვანში ჩაეყვანა და იქ სასტუმრო „ბერენში“ შავი ყავითა და ფაფით გამოეფხიზლებინა; რადგანაც ნამდვილად აკრძალული იყო მთვრალს მანქანა ეტარებინა, თუმცა ის კი არ იყო აკრძალული, მთვრალს გზის პირას გაჩერებულ მანქანაში სძინებოდა. კლენენმა მანქანის კარი გამოაღო და უცნობს მამობრივად მხარზე ხელი დაადო. მაგრამ იმავე წამში იგრძნო, რომ კაცი მკვდარი იყო. საფეთქლები ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი. კლენენმა ახლა ისიც შენიშნა, რომ მანქანის მარჯვენა კარი ღია იყო. მანქანას სისხლი ოდნავ ეჩნეოდა. მუქი ნაცრისფერი პალტოც კი, რომელიც მკვდარს ეცვა, დასვრილი არ ჩანდა. პალტოს ჯიბიდან ამოწვერილი ყვითელი საფულის კიდე პრიალებდა. კლენენმა პალტოს ჯიბიდან საფულე ამოაძრო და ძალიან იოლად დაადგინა, რომ მკვდარი ულრიხ შმიდი იყო, ქალაქ ბერნის პოლიციის ლეიტენანტი.

კლენენმა კარგად არც კი იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. სოფლის პოლიციელი ასეთი სისხლიანი შემთხვევის მოწმე ჯერ არასოდეს გამხდარიყო. იგი გზის პირას ბოლთას სცემდა, როდესაც ამომავალმა მზემ ღრუბლებიდან გამოიხედა და მკვდარი გაანათა, კლენენს უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა. იგი მანქანასთან დაბრუნდა, მკვდრის ფეხებთან დაგდებული ფეტრის ქუდი აიღო და მიცვალებულს თავზე ისე ჩამოაფხატა, საფეთქლებზე ჭრილობა რომ ვერ დაენახა; ამის შემდეგ კლენენს ცოტათი გულს მოეშვა.

პოლიციელი კვლავ ტვანისაკენ მიმავალ გზის პირს მიადგა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. შემდეგ მან რაღაცა გადაწყვიტა. მკვდარი გვერდით საჯდომზე გასწია, მზრუნველობით გაასწორა, უსიცოცხლო სხეული მანქანაში ნაპოვნი ტყავის ქამრით დაამაგრა და საჭეს თვითონ მიუჯდა.

ძრავა არ ამუშავდა, მაგრამ კლენენმა ტვანისაკენ მიმავალ თავდაღმართიან გზაზე სასტუმრო „ბერენამდე“ მანქანა გაუჭირვებლად მიიყვანა. იქ ბენზინი ისე ჩაასხა, რომ კეთილშობილური და უმოძრაო ფიგურა არავის მკვდრად არ მიუჩნევია. კლენენისთვის ეს ხელსაყრელი იყო, გულში უხაროდა კიდეც. რადგან აურზაური სძაგდა.

როდესაც კლენენი ტბის გაყოლებით ბილისაკენ მიდიოდა, ნისლი უფრო გახშირდა და მზეც აღარ ჩანდა. დილით ისე ჩამობნელდა, როგორც განკითხვის დღეს. კლენენი მანქანების გრძელი ჯაჭვის შუაგულში აღმოჩნდა, მანქანა მანქანას მისდევდა და რაღაც გაურკვეველი მიზეზის გამო უფრო ნელა მიდიოდნენ, ვიდრე ეს ნისლიან ამინდში იყო საჭირო. თითქოსდა სამგლოვიარო პროცესია მიდისო, მისდა უნებურად გაიფიქრა კლენენმა. მკვდარი მის გვერ-

დით გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ ზოგჯერ, როცა ოღროჩოღრო გზა შეხვდებოდათ, მიცვალებული ბრძენი მოხუცი ჩინელივით თავს დააქნევდა, ისე, რომ კლენენს სხვა მანქანების გასწრების ხალისი სულ უფრო და უფრო წაუხდა. ბილს კარგა გვიან მიაღწიეს.

ვიდრე ბილში საქმის გამოძიებას შეუდგებოდნენ, ბერნში ეს სამწუხარო შემთხვევა გამოძიებისათვის კომისარ ბერლახს გადასცეს, რომელიც, ამავე დროს, მოკლულის უფროსი გახლდათ.

ბერლახი დიდხანს იყო საზღვარგარეთ ნაცხოვრები, ჯერ კონსტანტინოპოლში, ხოლო შემდეგ გერმანიაში ცნობილი კრიმინალისტის სახელი დაიმკვიდრა. უკანასკნელად მაინის ფრანკფურტის სისხლის სამართლის პოლიციას ედგა სათავეში, მშობლიურ ქალაქს ჯერ კიდევ ოცდაცამეტში დაუბრუნდა. სამშობლოში დაბრუნების მიზეზი იმდენად ბერნის სიყვარული არ გახლდათ (ბერნს იგი თავის ოქროს სამარეს უწოდებდა), რამდენადაც ერთი სილა, რომელიც ბერლახმა მაშინდელი, ახალი გერმანიის მთავრობის მაღალი ჩინის მოხელეს უთავაზა. მაშინ ფრანკფურტში ამ აქტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ხოლო ბერნში, ევროპის პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ეს საქციელი თავდაპირველად აღმაშფოთებლად მიიჩნიეს, შემდეგ გაკიცხვის ღირსად ჩათვალეს, მაგრამ ამასთანავე ამბობდნენ — მიტევება შეიძლებაო, და ბოლოს თქვეს, შვეიცარიელი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდაო, ეს უკანასკნელი აზრი მხოლოდ ორმოცდახუთის შემდეგ აღიარეს.

პირველი, რაც ბერლახმა შმიდის საქმესთან დაკავშირებით მოიმოქმედა, ის იყო რომ, განკარგულება გასცა, მკვლელობის ამბავი პირველ დღეებში საიდუმლოდ შეენახათ — განკარგულება, რომლის შესრულებას მთელი თავისი ძალები შეალია. „მკვლელობაზე შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი, ხოლო გაზეთები, რაც კი ამ უკანასკნელი ორი ათასი წლის მანძილზე გამოუგონიათ, სრულიად ზედმეტია“, დაასკვნა ბერლახმა.

ბერლახი საქმის ასეთი საიდუმლო წარმოებისაგან, როგორც ჩანს ძალიან ბევრს ელოდა, ხოლო მისი „შეფი“, დოქტორი ლუციუს ლუტცი, რომელიც ამასთანავე უნივერსიტეტში კრიმინალისტიკას კითხულობდა, საწინააღმდეგო აზრისა იყო. ეს მოხელე, რომლის წმინდა ბერნულ წარმომავლობაზე ბაზელურმა სისხლმა კეთილისმყოფელი გავლენა იქონია, ის-ის იყო ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს პოლიციებში სტუმრობის შემდეგ ბერნში დაბრუნებულიყო და შეძრწუნებული იყო „შვეიცარიის კავშირის დედაქალაქში დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის პირველყოფილი მეთოდებით“, რის თაობაზეც მან გულახდილად უთხრა პოლიციის დირექტორ ფრაიბერგს, — როცა ტრამვაით შინ ერთად ბრუნდებოდნენ.

მას შემდეგ, რაც ბერლახი ტელეფონით ელაპარაკა ბილს, იმავე დილითვე შიონლერების ოჯახში ბანტიგერშტრასეზე გაემგზავრა, სადაც შმიდი ცხოვრობდა. ბერლახმა ფეხით გაიარა ძველი ქალაქი, ნიუდეკის ხიდზე გადავიდა ისე, როგორც ყოველთვის სჩვეოდა, რადგან ბერნი — მისი აზრით „ტრამვაისა და მისთანებისათვის“ ძალიან პატარა ქალაქი იყო.

ჰაშპელის კიბეებზე ბერლახი მძიმე-მძიმედ ადიოდა, რადგან იგი უკვე სამოცს იყო გადაცილებული და მსგავს შემთხვევებში წლების სიმძიმეს განსაკუთრებით გრძნობდა, თუმცა შიონლერების სახლი მან მალე იპოვა და ზარი დარეკა.

კარი თვითონ ქალბატონმა შიონლერმა გაუღო, პატარა, მსუქანმა, არც თუ უსიმპათიურო ქალმა, რომელიც ბერლახს იცნობდა და იმავე წუთს სახლში შეუშვა.

„შმიდს ღამით სამსახურის საქმეებზე მოუხდა გამგზავრება“, უთხრა ბერლახმა. „სრულიად მოულოდნელად წავიდა და მთხოვა, რაღაცეები გავუგზავნო. ქალბატონო შიონლერ, ეთხოვთ შმიდის ოთახში შემიშვათ“.

ქალმა თავი დაუქნია. და მათ დერეფანი გაიარეს, სადაც ერთი დიდი, მძიმე, ოქროს ჩარჩოიანი სურათი ეკიდა. ბერლახმა სურათს ახედა. ეს იყო მკვდართა კუნძული.

„მერედა ბატონი შმიდი სად არის?“ იკითხა მსუქანმა ქალმა და თან ოთახის კარი გააღო.

„საზღვარგარეთ“, თქვა ბერლახმა და ჭერს ახედა.

ოთახი პირველ სართულზე იყო და ბაღში გამავალი კარებიდან ძველი, მრეში ნაძვის ხეები მოჩანდა. ხეები, ეტყობოდა, რაღაც დაავადებისაგან ხმებოდა, რადგან მიწა წიწვით იყო დაფარული. როგორც ჩანდა, ეს ოთახი სახლში ყველაზე საუკეთესო იყო.

ბერლახი საწერ მაგიდასთან მივიდა და კვლავ ირგვლივ მიმოიხედა. დივანზე მიცვალებულის პალსტუხი იდო.

„ბატონი შმიდი, ნამდვილად, ტროპიკულ ქვეყანაშია, ხომ მართალია, ბატონო ბერლახ?“ ცნობისმოყვარეობით იკითხა ქალბატონმა შიონლერმა. ბერლახი ოდნავ შეკრთა: „არა, ტროპიკებში არა, მთიანეთშია“.

ქალბატონმა შიონლერმა თვალები მოწკურა, ხელები მაღლა ასწია და ტაში შემოჰკრა: „ღმერთო ჩემო, ჰიმალაიში?“

„დაახლოებით აგრეა“, თქვა ბერლახმა, „თითქმის გამოიცანით“. ბერლახმა ერთი საქაღალდე გახსნა, რომელიც საწერ მაგიდაზე იდო და იმავე წუთს იღლიაში ამოიდო.

„იპოვეთ ის, რაც ბატონ შმიდს უნდა გაუგზავნოთ?“

„ზუსტად მივაგენი".

ბერლახმა ერთხელ კიდევ მიმოიხედა ირგვლივ, მაგრამ მოერიდა ჰალსტუხისათვის მეორეჯერ შეეხედა.

„ბატონი შმიდი ყველაზე უკეთესი მდგმური მათ შორის, ვინც კი გვყავს, არავითარი ისტორიები ქალებთან და მისთანები", ირწმუნებოდა ქალბატონი შიონლერი.

ბერლახი კარისკენ წავიდა: „ხანდახან მოხელეს გამოვგზავნი, ანდა მე თვითონვე შემოვივლი. შმიდს აქ კიდევ აქვს მნიშვნელოვანი საბუთები, რომლებიც ჩვენ ალბათ დაგვჭირდება".

„ბატონი შმიდისაგან საზღვარგარეთიდან ღია ბარათს ხომ არ მივიღებთ?" დაინტერესდა ქალბატონი შიონლერი. „ჩემი ვაჟი მარკებს აგროვებს".

მაგრამ ბერლახმა შუბლი შეჭმუხნა და სინანულით წარმოთქვა. თან ქალბატონ შიონლერს დაფიქრებული უყურებდა: „არა მგონი, რადგან ამგვარი შვებულებებიდან, ჩვეულებრივ, არავითარ ღია ბარათს არ გზავნიან. ეს აკრძალულია".

განცვიფრებულმა ქალბატონმა შიონლერმა კვლავ ტაში შემოჰკრა და დაექვებულმა წარმოთქვა: „პოლიცია ყოველთვის ყველაფერს კრძალავს".

ბერლახი სახლიდან გამოვიდა და გახარებული იყო იქაურობას რომ სცილდებოდა.

ღრმა ფიქრებში ჩაფლულმა ბერლახმა ჩვეულებისამებრ შმიდშტუბეში კი არ ისადილა, არამედ თეატრალურში, თან შმიდის ოთახიდან წამოღებულ საქაღალდეს ყურადღებით ფურცლავდა და კითხულობდა; შემდეგ ბერლახმა ბუნდესტერასეზე ცოტა გაისეირნა და თავის კაბინეტში მხოლოდ ორ საათზე დაბრუნდა, სადაც მას ამბავი დაახვედრეს, რომ მკვდარი შმიდი ბილიდან ეს-ესაა ჩამოასვენესო. ბერლახმა უარი თქვა თავისი ყოფილი ხელქვეითი ენახა, რადგან მას მკვდრები არ უყვარდა და ამიტომაც არ აწუხებდა მათ. ლუტცთან აუდიენციაზეც სიამოვნებით იტყოდა უარს, მაგრამ აქ იგი ბედს უნდა დამორჩილებოდა. ბერლახმა შმიდის საქაღალდე თავის საწერ მაგიდაში მზრუნველობით ჩაკეტა, სიგარას მოუკიდა და ლუტცის კაბინეტისაკენ გასწია, თან სიამოვნებას განიცდიდა, იცოდა, რომ ლუტცი ყოველთვის ბრაზდებოდა, რადგან მოხუცი სიგარის წევით თავის თავს მეტისმეტ უფლებას აძლევდა. ლუტცმა მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე წლის წინ, შებედა შენიშვნა მიეცა მოხუცისათვის; მაგრამ ბერლახმა ხელის მოძრაობით ზიზღნარევად უპასუხა, ათი წელი თურქეთში ვიმსახურე და კონსტანტინოპოლში ჩემი უფროსის ოთახში ყოველთვის ვეწეოდიო; პასუხი იმდენად საფუძვლიანი იყო, რამდენადაც მისი შემოწმება საერთოდ შეუძლებელი გახლდათ.

ბიბლიოთეკა

დოქტორი ლუციუს ლუტცი ბერლახს განერვიულებული დაუხვდა; იგი განერვიულებული გახლდათ, იმიტომ, რომ მისი აზრით, მკვლელობის საქმეში ჯერ კიდევ ვერაფერ ზომებს ვერ ვიღებთო. ლუტცმა ბერლახს საწერი მაგიდის ახლოს მოხერხებულ სავარძელზე მიუთითა.

„ბილიდან კიდევ არაფერი მიგიღიათ?" იკითხა ბერლახმა.

„ჯერ არაფერი", უპასუხა ლუტცმა.

„გასაკვირია", თქვა ბერლახმა, „ცოფიანებივით კი მუშაობენ".

ბერლახი დაჯდა და კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს სწრაფად მოავლო თვალი. ესენი კალმით ნახატი ფერადი სურათები იყო: სურათებზე დიდი, გაშლილი დროშის ქვეშ მწყობრად მოვარჯიშე ჯარისკაცები იყო გამოსახული; ზოგ სურათზე ისინი გენერლის მეთაურობით ვარჯიშობდნენ, ზოგზე — უგენეროლოდ, ერთ სურათზე ჯარისკაცები მარცხნიდან მარჯვნივ მწყობრად დააბიჯებდნენ, მეორეზე კი — მარჯვნიდან მარცხნივ.

„სულ ერთი და იგივე მაფიქრებს", დაიწყო ლუტცმა, „შიშატანილი შევცქერი, ჩვენს ქვეყანაში კრიმინალისტიკა ჯერ კიდევ როგორ ძლიერაა ჩამორჩენილი; ღმერთია მოწამე, კანტონებში ბევრ რაიმეს შევეჩვიე, მაგრამ საშუალებები, რითაც აქ პოლიციის ლეიტენანტის მკვლელობას იძიებენ, რაც, როგორც ჩანს, ბუნებრივად ითვლება, ჩვენი სოფლის პოლიციის პროფესიონალური შესაძლებლობის ისეთ საშინელ სურათს წარმოგვიდგენს, რომ ერთთავად შეძრწუნებული ვარ".

„დაწყნარდით, დოქტორო ლუტც", უპასუხა ბერლახმა, „ჩვენი სოფლის პოლიცია ისევე კარგად გაართმევს თავს ამოცანას, როგორც ჩიკაგოს პოლიცია, და შმიდის მკვლელს რამენაირად ვიპოვით".

„ვინმეზე ეჭვი გაქვთ, კომისარო ბერლახ?"

ბერლახი დიდხანს უყურებდა ლუტცს და ბოლოს თქვა: „დიახ, ვიღაცაზე მაქვს ეჭვი, დოქტორო ლუტც".

„ვისზე?"

„ამას ჯერ ვერ გეტყვით".

„რა გაეწყობა, საინტერესოა", თქვა ლუტცმა, „მე ვიცი, რომ თქვენ ყოველთვის მზად ხართ, კომისარო ბერლახ, თანამედროვე მეცნიერული კრიმინალისტიკის დიდი შემეცნებით, რომლის წინააღმდეგ უოველგვარი შეცდომა დაიცვათ. მაგრამ არც ის დაგავიწყდეთ, რომ დრო წინ მიდის და თვით განთქმულ კრიმინალისტებსაც არ შეუძლიათ მისი შეჩერება. ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში ისეთ დანაშაულებათა მოწმე გავხდი, რაზედაც ჩვენს ძვირფას ბერნში თქვენ ჯერ კიდევ წარმოდგენაც არ გაქვთ.

მაგრამ პოლიციის ლეიტენანტის მოკვლა იმის უტყუარი ნიშანია, რომ საზოგადოებრივი უშიშროების შენობა რღვევას იწყებს, ხოლო ეს კი გვავალებს, დაუნდობელი ზომები მივიღოთ".

ცხადია, ასეც ვიქცევით, უპასუხა ბერლახმა.

მაშინ ძალიან კარგი, შეაგება ლუტცმა და ჩაახველა.

კედელზე საათი წიკწიკებდა.

ბერლახმა მარცხენა ხელი მზრუნველობით დაიდო კუჭზე, ხოლო მარჯვენათი ლუტცის მიერ მიწოდებულ საფერფლეში სიგარა ჩააქრო. კარგა ხანია, თქვა ბერლახმა, არცთუ მაინცადამაინც ჯანმრთელად ვარ, ყოველ შემთხვევაში, ექიმი ცხვირჩამოშვებული მხვდება. ხშირად კუჭის ტკივილი მაწუხებს და ამიტომ, დოქტორო ლუტც, გთხოვთ, შმიდის მკვლელობის საქმეში მოადგილე დამინიშნოთ, რომელიც ძირითადი საქმის წარმოებას შეძლებს. მე მსურს საქმის წარმოებას საწერი მაგიდიდან ვუხელმძღვანელო. ლუტცი დაეთანხმა. „ვის ისურვებდით თქვენს მოადგილედ?" ჰკითხა ლუტცმა.

„ტშანცს", უთხრა ბერლახმა. „მართალია, იგი ახლა მაღალმთიანეთში ისვენებს, მაგრამ მისი გამოძახება შეიძლება".

ლუტცმა თავის მხრივ დაუმატა: „ტშანცით მე კმაყოფილი ვარ. ტშანცი ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის ცდილობს, კრიმინალისტიკაში მოწოდების სიმაღლეზე იდგეს".

შემდეგ მან ბერლახს ზურგი შეაქცია და ფანჯრიდან უპატრონო ბავშვთა სახლის მოედანს გახედა: მოედანი ბავშვებით იყო სავსე.

ანაზდად ლუტცს დაუოკებელი სურვილი დაებადა, ბერლახთან თანამედროვე მეცნიერული კრიმინალისტიკის მნიშვნელობაზე ეკამათა. ლუტცი შემობრუნდა, მაგრამ ბერლახი უკვე წასულიყო.

ხუთი საათი სრულდებოდა, მაგრამ ბერლახმა გადაწყვიტა ტვანში მკვლელობის ადგილას დღესვე, ნასადილევს წასულიყო. მან თან მაღალი, მსუქანი პოლიციელი ბლატერი წაიყვანა, რომელიც თავის დღეში ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა და ბერლახს იგი ამიტომაც უყვარდა, თანაც მანქანას მართავდა. ტვანში მათ კლენენი შეხვდათ, პოლიციელს სახეზე შეუპოვრობა აღბეჭდოდა, რადგან საყვედურებს ელოდა. მაგრამ კომისარი მეგობრულად შეხვდა კლენენს, ხელიც ჩამოართვა და უთხრა, მიხარია ისეთი ადამიანის გაცნობა, რომელსაც დამოუკიდებლად მოქმედება შეუძლიაო. კლენენი ამ სიტყვებზე სიამაყის გრძნობით აღივსო, თუმცა კარგად ვერც მიხვდა, მოხუცი ნათქვამში რას გულისხმობდა. მან ბერლახი ტესენბერგისაკენ მიმავალ გზაზე მკვლელობის ადგილისაკენ წაიყვანა. ბლატერი უკან მიჩანჩალებდა და დაღვრემილი იყო, რადგან ფეხით სიარული უხდებოდა.

ბერლახი სახელწოდება ლამბოინგმა გააკვირვა. „ლამლინგენი ჰქვია გერმანულად", აუხსნა კლენენმა.

„ჰო", წარმოთქვა ბერლახმა, ასე უფრო ლამაზია".

ისინი მკვლელობის ადგილს მიუახლოვდნენ. მარჯვენა ხელის მხარეს ქუჩა ტვანისაკენ მიემართებოდა და მას გასწვრივ კედელი მიუყვებოდა.

„მანქანა სად იდგა, კლენენ?"

„აქ", უპასუხა პოლიციელმა და ქუჩაზე მიუთითა, „მანქანა თითქმის შუა ქუჩაში იდგა". და როცა ბერლახმა გზას ძლივს გახედა, კლენენმა განაგრძო: „იქნებ, უკეთესი იყო მანქანა მოკლულიანად ჯერ ისევ ადგილზე დამეტოვებინა".

„რატომ?" წარმოთქვა ბერლახმა და იურას კლდეს ახედა. „მკვდარი რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოაცილო იქაურობას, მათი ადგილი ჩვენ შორის აღარ არის. თქვენ სწორად მოიქეცით, შმიდი ბილში რომ ჩაიყვანეთ".

ბერლახი გზის პირას გამოვიდა და ქვევით ტვანს დახედა. მათსა და ძველ დასახლებას შორის მხოლოდ ზვრები გადაჭიმულიყო. მზე უკვე ჩასულიყო. გზა სახლებს შორის გველავით მიიკლაკნებოდა, ხოლო ვოგზალზე გრძელი სატვირთო მატარებელი იდგა.

„ნუთუ ქვევით არავის არაფერი გაუგია, კლენენ?" ჰკითხა ბერლახმა. „პატარა ქალაქი ხომ სულ ახლოსაა, იქ ყოველი სროლის ხმა უნდა გაიგონონ".

„მთელი ღამე თურმე ძრავა მუშაობდა და სხვა ხმა არაფერი გაუგონიათ, ძრავის გუგუნი კი ცუდად არ ენიშნათ".

„რასაკვირველია, სხვაგვარად არც შეიძლება".

ბერლახმა კვლავ ზვრებს გახედა. „წელს ღვინო როგორია, კლენენ?"

„კარგი. შეგვიძლია შემდეგ გავსინჯოთ".

„კეთილი და პატიოსანი, ერთ ჭიქა მაჭარს ახლა სიამოვნებით დავლევდი".

და ბერლახმა მარჯვენა ფეხი რაღაც მკვრივს დაადგა. იგი დაიხარა და გამხდარი თითებით გაჭყლეტილ, მოგრძო, პატარა ლითონის ნაჭერს დაწვდა.

კლენენი და ბლატერი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ.

„რევოლვერის ტყვიაა", თქვა ბლატერმა.

„კვლავ ბედმა გაგიღიმათ, ბატონო კომისარო!" გაიკვირვა კლენენმა.

„ეს მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევის საქმეა", თქვა ბერლახმა და ისინი ქვევით, ტვანისაკენ დაადგნენ გზას.

ტვანის მაჭარმა, ეტყობა, ბერლახზე კარგად არ იმოქმედა, რადგან მეორე დილით თქვა, მთელი ღამე გული მერეოდაო.

ლუტცი, რომელიც კომისარს კიბეზე შეხვ-

და, ამ ამბავმა გულწრფელად შეაწუხა და ბერლახს ურჩია ექიმისთვის მიემართა.

„კეთილი, კეთილი“, ჩაიბუზღუნა ბერლახმა და თან დააყოლა, ექიმები უფრო ნაკლებ მიყვარს, ვიდრე თანამედროვე მეცნიერული კრიმინალისტიკაო.

ბერლახმა საკუთარ კაბინეტში თავი უკეთ იგრძნო, საწერ მაგიდას მიუჯდა და უჯრაში ჩაკეტილი, მოკლულის საქაღალდე ამოიღო.

ბერლახი ჯერ ისევ საქაღალდეს ჩაჰკირკიტებდა, როცა ათ საათზე მასთან ტშანცი შემოვიდა, იგი გვიან ღამით შვებულებიდან დაბრუნებულიყო.

ბერლახი შეკრთა, რადგან თავდაპირველად ეგონა მკვდარი შმიდი გამომეცხადაო. ტშანციც ისეთივე პალტოს იცვამდა და ისეთსავე ფეტრის ქუდს იხურავდა, როგორსაც შმიდი. მხოლოდ სახე ჰქონდა სხვაგვარი; ეს იყო ერთი გულკეთილი, სახემსუქანი კაცი.

„კარგია, რომ აქა ხართ, ტშანც“, უთხრა ბერლახმა. „ჩვენ შმიდის მკვლელობის თაობაზე უნდა მოვილაპარაკოთ. საქმე ძირითადად თქვენ უნდა აწარმოოთ, მე არცთუ ძალიან ჯანმრთელად ვარ“.

„დიახ“, უპასუხა ტშანცმა, „ვიცი, რაც მოხდა“.

ტშანცმა ბერლახის საწერ მაგიდასთან სკამი მისწია, ჩამოჯდა და მარცხენა ხელი საწერ მაგიდაზე ჩამოდო. საწერ მაგიდაზე შმიდის საქაღალდე იყო გაშლილი.

ბერლახი სავარძელში გადაწვა. „თქვენ, შემიძლია გითხრათ“, დაიწყო ბერლახმა, „კონსტანტინოპოლსა და ბერნს შორის პოლიციის ათასი მოხელე შემხვედრია, კარგებიც და ცუდებიც. ბევრი იმათგანი, იმ საცოდავ არამზადებზე უკეთესები როდი იყვნენ, რომლებითაც ჩვენ ციხეებს გამოვტენით ხოლმე; პოლიციის მოხელეები მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდნენ კანონის მეორე მხარეს. მაგრამ შმიდს მე აქ არ ვგულისხმობ, იგი ყველაზე ნიჭიერი იყო. იგი ჩვენ სუყველას ჯიბეში ჩაგვისვამდა. ნათელი გონება ჰქონდა, რაც სურდა. ისიც იცოდა, დუმდა იმაზე, რაც იცოდა, რათა მხოლოდ მაშინ ალაპარაკებულიყო, როცა საჭიროება მოითხოვდა. ამიტომაც მაგალითი მისგან უნდა აგვეღოთ, ტშანც, იგი ჩვენზე მაღლა იდგა“.

ტშანცმა, რომელიც ფანჯარაში იყურებოდა, ნელა მოაბრუნა თავი ბერლახისაკენ, და წარმოთქვა: „შესაძლებელია“.

ბერლახი ტშანცს დააცქერდა, რადგან მისი ხმა დამაჯერებლად არ ჟღერდა.

„ჩვენ მისი სიკვდილის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით“, განაგრძო კომისარმა, „ეს ტყვიაა, ეს არის და ეს“, და ამ სიტყვებზე ბერლახმა ტვანში ნაპოვნი ტყვია მაგიდაზე დადო.

ტშანცმა ტყვია აიღო და გასინჯა.

„ეს ჯარის სახეობის რევოლვერისაა“, თქვა ტშანცმა და ტყვია ბერლახს უკანვე დაუბრუნა.

ბერლახმა საწერ მაგიდაზე გაშლილი საქაღალდე დახურა: „უპირველეს ყოვლისა, ჩვენ არ ვიცით რას ეძებდა შმიდი ტვანში, ანდა ლამლინგენში. ბილის ტბაზე რომ სამსახურის საქმე ჰქონოდა, მაშინ ამ მოგზაურობის შესახებ მე შეცოდინებოდა. ჩვენ კი არავითარი მიზეზი არ გაგვაჩნია, რომელიც ოდნავ მაინც შუქს მოჰფენდა შმიდის ამ მოგზაურობას“.

ის, რაც ბერლახმა თქვა, ტშანცს სანახევროდ არც გაუგონია, ფეხი ფეხზე გადაიდო და შენიშნა: „ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, როგორ მოკლეს შმიდი“.

„მერედა საიდან იცით ეს?“ ჰკითხა გაკვირვებულმა კომისარმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

„შმიდის მანქანას საჭე მარცხნივ აქვს და თქვენც ტყვია ქუჩის მარცხენა მხარეს იპოვეთ, თუკი მანქანიდან გადმოვიხედავთ; შემდეგ, ტვანში მთელი ღამე ესმოდათ ძრავის ხმა. მკვლელმა შმიდი გააჩერა, როცა იგი ლამბოენიდან ტვანისაკენ ეშვებოდა. საფიქრებელია, შმიდი მკვლელს იცნობდა, რადგან სხვაგვარად იგი მანქანას არ გააჩერებდა. შმიდმა მანქანის მარჯვენა კარი გააღო, რათა მკვლელი ჩაესვა და კვლავ საჭეს მიუჯდა. ამ დროს ესროლეს მას. შმიდს ვერც კი წარმოედგინა, თუ ის კაცი მას მოკლავდა“.

ბერლახმა ერთხელ კიდევ რაღაცა აწონ-დაწონა და შემდეგ წარმოთქვა: „ახლა მე ერთ სიგარას მოვუკიდებ“, ხოლო როცა სიგარა პირში გაირჭო, განაგრძო: „თქვენ მართალი ხართ, ტშანც. შმიდსა და მის მკვლელს შორის ასეთი რამ მართლაც უნდა მომხდარიყო, ამას გიჯერებთ. მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ ამიხსნია, რას ეძებდა შმიდი ტვანიდან ლამლინგენისაკენ მიმავალ გზაზე“.

ტშანცმა მოაგონა, რომ შმიდს პალტოს ქვეშ საღამოს კოსტუმი ეცვა.

„ამის შესახებ არაფერი ვიცოდი“, თქვა ბერლახმა.

„თქვენ რა, მიცვალებული არ გინახავთ?“

„არა, მიცვალებულები არ მიყვარს“.

„მაგრამ ეს ხომ ოქმშიც ეწერა“.

„ოქმები უფრო ნაკლებად მიყვარს“.

ტშანცი გაჩუმდა.

ბერლახი კი უდასტურებდა. „ეს გარემოება საქმეს უფრო ართულებს. რა უნდოდა საღამოს კოსტუმში გამოწყობილ შმიდს ტვანის ხეობაში?“

ეს გარემოება საქმეს, ალბათ, უფრო აადვილებს, უპასუხა ტშანცმა, ლამბოენის შემოგარენში არცთუ ბევრი ხალხი ცხოვრობს, რომლებსაც უნარი შესწევს ბალ-მასკარადები მოაწყოს, სადაც საჭირო იქნება ფრაკით გამოცხადება.

ტშანცმა ჯიბიდან კალენდარი ამოიღო და განმარტა, რომ ეს შმიდის კალენდარიაო.

„ვიცი“, თავი დაუქნია ბერლახმა, „ის, რაც მნიშვნელოვანია, მანდ არ სწერია“.

ტშანცი შეელაპარაკა: „შმიდს ოთხშაბათი დღე, ორი ნოემბერი „გ“-თი აქვს აღნიშნული. იგი სწორედ ამ დღეს, შუაღამისას მოკლეს, როგორც ამას სასამართლო ექიმი ფიქრობს. შემდეგი „გ“ კვლავ ოთხშაბათს, ოცდაექვს რიცხვში წერია და კიდევ სამშაბათს — ათ ოქტომბერს“.

„გ“ შეიძლება ყველაფერს ერქვას“, თქვა ბერლახმა, „ქალის სახელიც იყოს და ვინ იცის, კიდევ რა“.

„ქალის სახელი საეჭვოა“, შებედა ტშანცმა, „შმიდის მეგობარ ქალს ანა ჰქვია, თანაც შმიდი წესიერი კაცი იყო“.

„ამის შესახებაც არაფერი ვიცი“, გამოტყდა ბერლახი; ხოლო, როცა დაინახა, რომ ტშანცი განცვიფრებული იყო მისი საქმეში ჩაუხედაობით, წარმოთქვა: „მე მხოლოდ მაინტერესებს შმიდის მკვლელი ვინაა, ტშანც“.

ტშანცმა თავაზიანად მიუგო: „ცხადია, გაინტერესებთ“, თავი გააქნია და გაიცინა: „როგორი ადამიანი ბრძანდებით, კომისარო ბერლახ“.

ბერლახმა სრულიად გულწრფელად უპასუხა: „მე ვარ ერთი დიდი, ბებერი, შავი კატა, რომელიც სიამოვნებით მიირთმევს თაგვებს“.

ტშანცმა ნამდვილად არ იცოდა ამ სიტყვებზე რა ეპასუხა; ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა: „იმ დღეებში, რომლებიც ასო „გ“-თი არის აღნიშნული, შმიდი ყოველთვის ფრაკს იცვამდა და თავისი მერსედესით სადღაც მიემგზავრებოდა“.

„ეს საიდანღა იცით?“

„ქალბატონმა შიონლერმა მითხრა“.

„მაშ, ასეა საქმე“, უპასუხა ბერლახმა და გაჩუმდა. მაგრამ შემდეგ თქვა: „დიახ, ეს უკვე ფაქტებია“.

ტშანცი კომისარს ყურადღებით შესცქეროდა სახეში, სიგარეტს მოუკიდა და ყოყმანით თქვა: „ბატონმა დოქტორმა ლუტცმა მითხრა, თქვენ ვიღაცაზე ეჭვი მიგიტანიათ“.

„დიახ, ეჭვი მაქვს, ტშანც“.

„რადგან მე შმიდის მკვლელობის საქმეში თქვენი მოადგილე ვარ, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, კომისარო ბერლახ, ჩემთვისაც გაგენდოთ, ვისზე გაქვთ ეჭვი?“

„თქვენ ხედავთ“, ნელა უპასუხა ბერლახმა; იგი ისეთივე მზრუნველობით წონიდა ყოველ სიტყვას, როგორც ტშანცი. „ჩემი ეჭვი არ არის კრიმინალისტურ-მეცნიერული ეჭვი. მე არავითარი საფუძველი არა მაქვს ამ ეჭვის გასამაგრებლად. თვითონვე ხედავთ, რა ცოტა რამ ვიცი. მე ჩვეულებრივ მხოლოდ იდეა მაქვს, თუ ვინ შეიძლება იყოს მკვლელი, მაგრამ იმან, ვისაც ეს ეხება, უნდა დაამტკიცოს, რომ იგი ამის ჩამდენია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორ უნდა გავიგოთ ეს, კომისარო?“ ჰკითხა ტშანცმა.

ბერლახმა გაიღიმა: „ესე იგი, მე უნდა დაველოდო, ვიდრე არაპირდაპირი საბუთი არ მექნება ხელთ, რაც მის დაპატიმრებას გაამართლებდა“.

„თუკი მე თქვენთან ერთად უნდა ვიმუშაო, მაშინ უნდა ვიცოდე კიდეც, ვის წინააღმდეგ წარვმართო გამოძიება“, თავაზიანად განმარტა ტშანცმა.

„უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ობიექტურები უნდა დავრჩეთ. ეს მეხება მე, რომელსაც ეჭვი მაქვს და თქვენც, რომელიც შემთხვევის მთავარ არსს გამოიძიებთ. ჩემი ეჭვი გამართლდება თუ არა, არ ვიცი. მე თქვენ გამოძიებას დაველოდები. თქვენ შმიდის მკვლელი უნდა იპოვოთ, მიუხედავად იმისა, რომ მე გარკვეული ეჭვი მაქვს. თუკი მკვლელია ის, ვისზედაც მე ვეჭვობ, თქვენ თვითონვე წააწყდებით მას, თანაც ამას მიაღწევთ ჩემგან განსხვავებით უზადო მეცნიერული ხერხებით; და თუკი მკვლელი ის არაა, მაშინ ნამდვილ დამნაშავეს მოძებნით და აღარ იქნება საჭირო იმ ადამიანის სახელის ცოდნა, რომელზედაც მე ეჭვი ტყუილუბრალოდ მივიტანე“.

ისინი რამდენიმე ხანს დუმდნენ. შემდეგ მოხუცმა იკითხა: „ჩვენს სამუშაო მეთოდებზე თანახმა ხართ?“

ტშანცი წუთით შეყოყმანდა, ვიდრე პასუხს გასცემდა: „კეთილი, თანახმა ვარ“.

„რის გაკეთებას აპირებთ, ტშანც?“

ტშანცი ფანჯარასთან მივიდა: „დღევანდელი დღე შმიდს „გ“-თი აქვს აღნიშნული. ლამბუენში უნდა გავემგზავრო და ვნახავ, იქნებ რაიმეს მივაკვლიო. შვიდ საათზე წავალ, ზუსტად იმავე დროს, როცა შმიდი ტესენბერგში მიდიოდა ხოლმე“.

ტშანცი კვლავ შემობრუნდა და თავაზიანად იკითხა, თანაც თითქოს ოხუნჯობსო: „ჩემთან ერთად ხომ არ წამოხვალთ, კომისარო?“

„დიახ, ტშანც, თქვენთან ერთად წამოვალ“, მოულოდნელად უპასუხა კომისარმა.

„კეთილი“, წარმოთქვა რამდენადმე დაბნეულმა ტშანცმა, რადგან ასეთ პასუხს არ მოელოდა, „შვიდზე“.

კარებთან ტშანცი ერთხელ კიდევ მობრუნდა: „ქალბატონ შიონლერთან თქვენც ბრძანდებოდით, კომისარო ბერლახ. იქ რაიმე ხომ არ გიპოვიათ?“

მოხუცმა უცებ არ უპასუხა, ჯერ საქაღალდე საწერ მაგიდაში შეინახა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

„არა, ტშანც“, როგორც იქნა ხმა გაიღო ბერლახმა, „არაფერი მიპოვია. შეგიძლიათ წახვიდეთ“.

შვიდ საათზე ტშანცმა ბერლახს შეუარა

ალტენბერგზე, სადაც კომისარი ოცდაცამეტი წლიდან მოყოლებული მდინარე აარეს პირას ერთ სახლში ცხოვრობდა. წვიმდა და პოლიციის სწრაფი მანქანა ნიუდეკის ხიდთან მოცურდა. ტშანცი ადვილად გადაურჩა ხიფათს. ალტენბერგშტრასეზე ტშანცს მანქანა ნელა მიჰყავდა, რადგან იგი ბერლახთან ნამყოფი არ იყო და მანქანის სველი შუშიდან ძლივს არჩევდა სახლის ნომრებს; ბოლოს მოძებნა ნომერი, რომელიც მას სჭირდებოდა. განმეორებით სიგნალზეც სახლიდან არავინ გამოხედა. ტშანცი მანქანიდან გადმოვიდა და წვიმაში სახლის კარებს მიაშურა. ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ იგი სახელურს წაეტანა, რადგან სიბნელეში ზარი ვერ მოძებნა. კარი ღია იყო, და ტშანცი წინა ოთახში შევიდა. მან პირდაპირ, ნახევრად ღია კარი დაინახა, საიდანაც სინათლის სხივი გამოდიოდა. ტშანცი კარს მიადგა და დააკაკუნა, რადგან პასუხი არავინ გასცა, კარი სულ მთლიანად გამოაღო. იგი დიდ დარბაზში აღმოჩნდა. ირგვლივ, თაროებზე წიგნები ეწყო, ხოლო დივანზე ბერლახი იწვა. კომისარს ეძინა, თუმცა ჩანდა, ბილის ტბაზე გასამგზავრებლად მზად იყო, რადგან ზამთრის პალტო ჩაეცვა. ხელში წიგნი ეჭირა. ტშანცს ესმოდა ბერლახის წყნარი სუნთქვა და დაბნეულს არ იცოდა რა მოემოქმედა. მოხუცის ძილი და უამრავი წიგნები შემზარავად ეჩვენა. ტშანცმა მზრუნველობით მიმოიხედა ირგვლივ. ოთახი უფანჯრო იყო, სამაგიეროდ, ყოველ კედელს კარი ჰქონდა, რომლებიც, როგორც ჩანდა, სხვა ოთახებში გადიოდა. შუა ოთახში დიდი საწერი მაგიდა იდგა. ტშანცი შეკრთა, როცა მაგიდაზე დიდი, ბრინჯაოს გველი დაინახა.

„ეს მე კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიტანე“, მოისმა დივანიდან წყნარი ხმა, და ბერლახი წამოდგა. „ხედავთ, ტშანც, მე უკვე პალტო მაცვია. შეგვიძლია წავიდეთ“.

„ბოდიშს ვიხდი“, თქვა ჯერ ისევ შეცბუნებულმა ტშანცმა, „თქვენ გეძინათ და ჩემი შემოსვლა არ გაგიგიათ. სახლის კარზე ზარს ვერსად მივაგენი“.

„მე ზარი არ მაქვს. არ მჭირდება, სახლის კარს არასოდეს არ ვკეტავ“.

„მაშინაც, როცა სადმე მიდიხართ?“

„მაშინაც, როცა სადმე მივდივარ. ყოველთვის მიმზიდველია დაბრუნდე შინ და ნახო, მოგპარეს თუ არა რაიმე“.

ტშანცმა გაიცინა და კონსტანტინოპოლიდან ჩამოტანილი გველი ხელში აიღო.

„მაგითი ერთხელ კინაღამ მომკლეს“, ოდნავ ირონიით შენიშნა კომისარმა; ტშანცი ახლალა მიხვდა, რომ ქვეწარმავლის თავი სახელურად შეიძლებოდა გამოგვეყენებინათ, ხოლო ტანი ხანჯალივით მჭრელი ჰქონდა. სახტადდარჩენილი ტშანცი საშინელ იარაღზე მოციმციმე იშვიათ ორნამენტებს ათვალიერებდა. ბერლახი ტშანცის გვერდით იდგა.

„იყავ ბრძენი, ვითარცა გველი“, — წარმოთქვა ბერლახმა და დაფიქრებული — დიდხანს ათვალიერებდა ტშანცს. შემდეგ ბერლახმა გაიღიმა: „და ნაზი, ვითარცა მტრედი“ და ტშანცს მხარზე ხელი მოუთათუნა. „მეძინა. უკანასკნელი დღეების მანძილზე პირველად მეძინა. დაწყევლილი კუჭი“.

„ასე გაწუხებთ?“ ჰკითხა ტშანცმა.

„კი, ძალიან მაწუხებს“, ცივად შეაგება კომისარმა.

„სჯობს სახლში დარჩეთ, ბატონო ბერლახ, გარეთ ცივა და წვიმს“.

ბერლახმა კვლავ ტშანცს შეხედა და გაიცინა: „სისულელეა, საჭიროა მკვლელი ვიპოვოთ. თქვენთვის სწორედ ხელსაყრელი იქნება, მე რომ სახლში დავრჩე“.

როცა ისინი უკვე მანქანაში ისხდნენ და ნიუდეკის ხიდზე გადადიოდნენ, ბერლახმა დაიწყო: „ტშანც, რატომ ცოლიკოფენით არ მიდიხართ, ასე ხომ უფრო ახლოსაა, ვიდრე ქალაქზე გავლით?“

„რადგან ტვანში ცოლიკოფენ-ბილის გავლით კი არ მინდა მივიდე, არამედ კერცერ-ერლახით“.

„უჩვეულო მარშრუტია, ტშანც“.

„არცთუ ისე უჩვეულო, კომისარო“.

ისინი კვლავ გაჩუმდნენ. ქალაქის ჩირაღდნები ციალით რჩებოდნენ უკან.

მაგრამ, როცა ისინი ბეთლეემში შევიდნენ, ტშანცმა ჰკითხა:

„ერთხელ მაინც გიმგზავრიათ შმიდთან ერთად?“

„კი, ძალიან ხშირად, უზომოდ ფრთხილი მძღოლი იყო“. და ბერლახმა ფიქრიანად დახედა სპიდომეტრს, რომელიც თითქმის ასათს უჩვენებდა.

ტშანცმა ოდნავ უკლო სიჩქარეს. „მე ერთხელ ვიმგზავრე შმიდთან ერთად, საშინლად ნელა მივდიოდით; და მახსენდება, რომ შმიდი თავის მანქანას რაღაც უცნაური სახელი უწოდა. მან მანქანის სახელი მაშინ თქვა, როცა ბენზინს ასხამდა. ხომ არ შეგიძლიათ ეს სახელი მოიგონოთ? სულ ამომივარდა თავიდან“.

„შმიდი თავის მანქანას ცისფერ ქარონს ეძახდა“, უპასუხა ბერლახმა.

„სახელი ქარონი ბერძნული თქმულებებიდანაა, ხომ მართალია?“

„ქარონს მკვდრები ჯოჯოხეთში გადაჰყავდა, ტშანც“.

„შმიდს მდიდარი მშობლები ჰყავდა და გიმნაზიაში დადიოდა. ჩვენნაირებს ამის წილი არ ჰქონდათ. ამიტომაც იცოდა შმიდმა, ვინ იყო ქარონი, ჩვენ კი არ ვიცით“.

ბერლახმა ხელები პალტოს ჯიბეებში ჩაიწყო და კვლავ სპიდომეტრს დახედა. „დიახ, ტშანც“, თქვა მან, „შმიდი განათლებული იყო,

ბერძნული და ლათინური იცოდა და როგორც ყველა განათლებულს, მასაც დიდი მომავალი ელოდა. მიუხედავად ამისა, მე ას კილომეტრზე მეტი სისწრაფით მაინც არ ვივლიდი".

მალე, გიუმენენის გავლის შემდეგ, ბენზინის ერთ წერტთან უცებ შეჩერდნენ. ვიღაც კაცი მივიდა მათთან, სურდა მომსახურებოდა.

„პოლიცია", უთხრა ტშანცმა, „ჩვენ გვსურს ზოგიერთი რამ შევიტყოთ".

ბერლახმა და ტშანცმა დაინახეს, რომ ცნობისმოყვარე და რამდენადმე შეშინებული სახე მანქანისაკენ დაიხარა.

„ორი დღის წინ თქვენთან ხომ არ შეჩერებულა მძღოლი, რომელიც თავის მანქანას ცისფერ ქარონს უწოდებდა?"

გაკვირვებულმა კაცმა თავი გააქნია და ტშანცმა გზა განაგრძო. „ბენზინის შემდეგ წერტში ვიკითხოთ".

არც კერცერის ბენზინის წერტში იცოდნენ რაიმე.

ბერლახმა ჩაიბურტყუნა: „რასაც თქვენ აკეთებთ, არავითარი აზრი არა აქვს".

ერლახში ტშანცს ბედმა გაუღიმა. ასეთი ვინმე ჩვენთან ოთხშაბათს საღამოს იყოო, უთხრეს მას.

„ხედავთ", თქვა ტშანცმა, როცა მათ ლანდერონთან ნოიენბურგ-ბილის გზაზე შეუხვიეს. „ახლა ჩვენ ვიცით, რომ შმიდს ოთხშაბათ საღამოს კერცერინსი გაუვლია".

„დარწმუნებული ხართ?" ჰკითხა კომისარმა.

„წყალი რომ არ გაუვა, ისეთი საბუთი მოგეცით".

„საბუთს მართლაც არ გაუვა წყალი. მაგრამ რაში გჭირდებათ ეს ტშანც?" შეეკითხა ბერლახი.

„ისე, უბრალოდ. ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით, შემდგომში გამოგვადგება", უპასუხა ტშანცმა.

„თქვენ კვლავ მართალი ხართ", წარმოთქვა მოხუცმა და ბილის ტბას მიაცქერდა. აღარ წვიმდა. ნოივევილის შემდეგ მიმოფანტული ნისლიდან ტბა გამოჩნდა. ისინი ლიგერცში შედიოდნენ. ტშანცს მანქანა ნელა მიჰყავდა, ლამბუენისაკენ გადასახვევ გზაჯვარედინს ეძებდა.

ახლა მანქანა ზვრების გასწვრივ შეღმართზე მიბობღავდა. ბერლახმა ფანჯარა გააღო და ტბას ზევიდან დახედა. პეტრეს კუნძულის თავზე რამდენიმე ვარსკვლავი მოჩანდა. წყალზე სინათლეები ირეკლებოდა და ტბა[illegible] ძრავიანი ნავი მისრიალებდა. წლის ამ დროისათვის ნავით სეირნობა გვიანიაო, გაიფიქრა ბერლახმა. მათ წინ სიღრმეში ტვანი მოჩანდა, ხოლო ზურგს უკან ლიგერცი.

მათ შეუხვიეს და ტყეს გაუყვნენ; სიბნელეში ტყეს ისინი გუმანით გრძნობდნენ. ჩანდა, ტშანცი რაღაცას ეჭვობდა, ფიქრობდა, ამ გზით ალბათ მხოლოდ შერნელცში მივალთო. როცა მათ კაცი შემოხვდათ, ტშანცმა მანქანა გააჩერა. „ამ გზით ლამბუენში მივალთ?"

„სულ პირდაპირ იარეთ, ტყის პირას, თეთრ სახლებთან მარჯვნივ ტყეში შეუხვიეთ", უპასუხა კაცმა, რომელსაც ტყავის ქურთუკი ეცვა. კაცმა პატარა ძაღლს დაუსტვინა; ძაღლი თეთრი იყო. მხოლოდ თავი ჰქონდა შავი — ძაღლი მანქანის ფარების შუქზე ცმუკავდა.

„წამოდი, პინგ-პინგ!"

მათ ზვრები უკან მოიტოვეს და მალე ტყეში აღმოჩნდნენ. მანქანის სინათლის სხივზე ნაძვები უზარმაზარი ბოძებივით დაყუდებულიყვნენ. გზა ვიწრო და ცუდი იყო, ხამუშხამუშ ფანჯარაზე ხის ტოტი გაიტყლაშუნებდა. მარჯვნივ უფსკრული იყო. ტშანცს მანქანა ისე ნელა მიჰყავდა, რომ ქვევიდან წყლის ხმაური ისმოდა.

„ტვანის ხეობაა", განმარტა ტშანცმა. „მეორე მხარეს ტვანისაკენ მიმავალი გზა იწყება".

მარცხნივ, ღამის სიბნელეში აღმართული კლდეები თეთრად ანათებდნენ. სხვა ყველაფერი სიბნელეს მოეცვა, რადგან ახალი მთვარე იყო. გზა უკვე ზევით აღარ მიემართებოდა, ხოლო ნაკადული სადღაც სულ ახლოს, მათ გვერდით ხმაურობდა. მარცხნივ შეუხვიეს და ხიდზე გადავიდნენ. მათ წინ ქუჩა გაწოლილიყო. ეს იყო ტვანიდან ლამბუენისაკენ მიმავალი გზა. მანქანა გაჩერდა.

ტშანცმა ფარები გამორთო და ისინი უკუნ სიბნელეში აღმოჩნდნენ.

„ახლა რაღა ვქნათ?" ჰკითხა ბერლახმა.

„ახლა დავიცადოთ. რვას ოცი წუთი აკლია".

ისინი იცდიდნენ; როცა რვა საათიც შესრულდა და არც არაფერი მოხდა, ბერლახმა ტშანცს მიმართა, უკვე დროა, მითხრა, რას გაკეთებას აპირებო.

„გარკვეულს ისეთს არაფერს, კომისარო. შმიდის საქმეში ჯერჯერობით არაფერი გამეგება, მაგრამ თქვენც სიბნელეში უნდა დაბორიალებდეთ, თუმცა ვიღაცაზე ეჭვი გაქვთ მიტანილი. ყველა იმედს დღევანდელ დღეზე ვამყარებ, რომ ამ საღამოს იქ, სადაც შმიდი ოთხშაბათს იყო, საზოგადოება მოიყრის თავს; რასაკვირველია, ზოგიერთები მანქანებითაც მივლენ; ამიტომ ვფიქრობ, საზოგადოება, სადაც ჩვენს დროში ფრაკია საჭირო, საკმაოდ მოზრდილი უნდა იყოს. ეს ცხადია, მხოლოდ ვარაუდია, კომისარო ბერლახ, მაგრამ ჩვენს საქმეში ვარაუდი სწორედ იმიტომ არსებობს, რათა მათ კვალდაკვალ მივყვეთ".

შმიდის ტესენბერგში ყოფნის თაობაზე გამოძიებამ, რაც ბილის, ნოიენშტადტის, ტვანისა და ლამბუენის პოლიციამ ჩაატარა, არავითარი შედეგი არ გამოიღო, ოდნავ სკეპტიკურად ჩა-

ერთი კომისარმა თავისი ხელქვეითის მსჯელობის გამო.

გამოდის, რომ შმიდი ისეთი მკვლელის მსხვერპლი გახდა, რომელიც შესაძლებელია ბილისა და ნოიენშტადტის პოლიციაზე უფრო მოხერხებულიცაა, შეაგება ტშანცმა.

ბერლახმა ბუზღუნით მიუგო, ასე რატომ ფიქრობთო?

„მე ეჭვი არავიზე არ მაქვს“, თქვა ტშანცმა. „მაგრამ პატივს ვცემ მას, ვინც შმიდი მოკლა; ამ შემთხვევაში სიტყვა პატივისცემა აქ მართებულადაა ნახმარი“.

ბერლახი გაუნძრევლად უსმენდა, ოდნავ მობუზულიყო: „და თქვენ გსურთ, ტშანც, ის კაცის დაჭერა, ვისაც პატივს სცემთ?“

„ვიმედოვნებ, კომისარო“.

ისინი კვლავ გაჩუმდნენ და დაელოდნენ: უცებ ტვანის მხრიდან ტყე განათდა. მანქანის ფარების სინათლემ თვალი მოსჭრა მათ. ლამბუენის მიმართულებით მიმავალმა ერთმა ლიმუზინმა ბერლახსა და ტშანცის მანქანას გვერდით ჩაუარა და ღამის სიბნელეში შთაინთქა.

ტშანცმა ძრავა აამუშავა. ხალხით სავსე კიდევ ორი დიდი, შავი მანქანა გამოჩნდა. ტშანცი მათ მიჰყვა.

ტყე დასრულდა. ტშანცის მანქანამ ერთ რესტორანს ჩაუარა, რომლის აბრა ღია კარებიდან გამოსულ სინათლეზე მოჩანდა, ჩაუარა გლეხების სახლებს, წინ კი ბოლოს მიმავალი მანქანის უკანა ფარი ანათებდა.

ბერლახმა და ტშანცმა ტენესბერგის გაშლილ ვაკეს მიაღწიეს. ცა სავსებით მოიწმინდა, ცაზე გამოკვეთილად ბრწყინავდა ჩამავალი ვეგა, ამომავალი ალდებარანი და ცეცხლმოდებული იუპიტერი.

გზამ ჩრდილოეთისაკენ გაუხვია, მათ წინ შპიცბერგერისა და ხასერალის ბნელი ხაზები გამოკრთა, რომლის ძირას, აქა-იქ სინათლე ციმციმებდა, ეს იყო ლამბუენის სოფლები, დიესე და ნოდსი.

ბერლახისა და ტშანცის წინ მიმავალმა მანქანებმა მარცხნივ, სასოფლო გზაზე გადაუხვიეს; ტშანცმა მანქანა შეაჩერა, შუშა ჩამოწია, რათა თავის გაყოფა შესძლებოდა. მინდორზე მან ძლივძლივობით გაარჩია ალვის ხეებით გარშემორტყმული სახლი, ხოლო ჭიშკარი, რომლის წინაც მანქანები ჩერდებოდნენ, განათებული იყო. ბერლახისა და ტშანცის ყურამდე მათი ხმებიც კი აღწევდა, მაგრამ შემდეგ ყველანი სახლში შეიკეტნენ და სიჩუმემ დაისადგურა. ჭიშკრის თავზე სინათლე ჩაქრა.

„ისინი უკვე აღარავის ელოდებიან“, წარმოთქვა ტშანცმა.

ბერლახი მანქანიდან გადმოვიდა და ღამის ცივი ჰაერი ჩაისუნთქა. სუფთა ჰაერი ესიამოვნა; ბერლახი შესცქეროდა, ტშანცმა მანქანა ქუჩის მარჯვენა მხრიდან სანახევროდ როგორ გადააყენა მწვანეზე, რადგან ლამბუენისაკენ მიმავალი გზა ვიწრო იყო. შემდეგ ტშანციც გადმოვიდა მანქანიდან და კომისართან მივიდა. მათ მინდორი გადაჭრეს და სახლისაკენ წავიდნენ. მიწა სველი იყო, გუბეებიც გაჩენილიყო, აქაც ეწვიმა.

ცოტა ხნის შემდეგ ისინი დაბალ კედელს მიადგნენ, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდათ. კედელზე დაჟანგული რკინის მავთულიანი ღობე იყო აღმართული; ისინი სახლს ათვალიერებდნენ.

ბაღი განძარცვული იყო, ხოლო ალვის ხეებს შორის ლიმუზინები უზარმაზარი მხეცებივით გაწოლილიყვნენ; არსაიდან სინათლე არ ანათებდა. ირგვლივ ყველაფერი პირქუშ შთაბეჭდილებას ახდენდა.

სიბნელეში ძლივძლივობით გაარჩიეს, რომ გისოსებიანი კარის შუაში აბრა იყო მიმაგრებული. აბრა ერთ ადგილას მოწყვეტილი იყო: დამრეცად ეკიდა. ტშანცმა აბრას ჯიბის ფანარი მიანათა, რომელიც მან მანქანიდან წამოიღო: აბრაზე ერთი დიდი ასო „გ“ იყო გამოსახული.

ისინი კვლავ სიბნელეში იდგნენ.

„ხედავთ თქვენ“, თქვა ტშანცმა, „ჩემი ვარაუდი გამართლდა. თვალდახუჭული ვისროლე და მიზანში მაინც მოვახვედრე“. შემდეგ კმაყოფილმა ტშანცმა თხოვნით მიმართა ბერლახს:

„ახლა კი ერთი სიგარა მომეცით, კომისარო, მე ის დავიმსახურე“.

ბერლახმა სიგარა გაუწოდა. „ახლა საჭიროა გავიგოთ, რას ნიშნავს „გ“.

„ეს არაა პრობლემა: გასტმანი“.

„ეს როგორ?“

„ტელეფონების წიგნში მოვძებნე. ლამბუენში „გ“-ზე მხოლოდ ტელეფონის ორი ნომერია.

გაშტერებულმა ბერლახმა გაიცინა, მაგრამ შემდეგ თქვა:

„ხომ შეიძლება მეორე „გ“ იყოს?“

„არა, მეორე „გ“ ჟანდარმერიაა.[1] იქნებ თქვენ ფიქრობთ, რომ ჟანდარმერიას მკვლელობასთან კავშირი აქვს?“

„ყველაფერი შესაძლებელია, ტშანც“, უპასუხა მოხუცმა.

და ტშანცმა ასანთს გაჰკრა, დიდი ჯაფით დაადგა, ვიდრე ძლიერ ქარში, რომელიც ალვის ხეებს გააფთრებით არწევდა, სიგარას მოუკიდა.

გერმანულიდან თარგმნა
**ნოდარ რუხაძემ**

[1] die Gendarmerie — ჟანდარმერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ხორგუაშვილი

# მთებსაც სწყურიათ სიცოცხლე

## IV.

ამ ნარკვევის დაწერის წინ ერთხელ კიდევ მოვინახულე ჩვენი ტყეები. და გუნება გამიმშვიანა უფრო იმან, რომ საქმე უკეთესობისკენ მიდის. ტყე ისე აღარ არის გაბეზრებული ხარბი ადამიანების შემოსევებისაგან. ბევრგან დამჩნევია მზრუნველი კაცის ხელი. გაუმჯობესებულა ტყის ექსპლოატაციის ორგანიზაცია. უნებართვო ჭრები შემცირებულა, ახლა ისე აღარ მოხვდება თვალში ადამიანს გულსაკლავი ხურ...ენი, უდანაშაულო, საცოცხლის ღირსი ხეები რომ მოეხსნათ, ტყის დაცვის მუშაკებსაც სიტყვა განავრცეთ და გასთამამებიათ.

ვათვალიერებ ნაცნობ ადგილებს და მალმალე შემომცინცინებს ჩემი მეგზური ლევან გუმბერიძე, კასპის რაიონის სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინჟინერი, რომელიც დიდიხანია ამ საქმიანობაში ტრიალებს და კარგად იცის აქაური ტყეების ავან-ჩავანი.

— რას იტყვი? — კმაყოფილების ღიმილს არ ილევს ლევანი.

— ნაადრევად ნუ დამაქნევინებ-მეთქი თავსა.

— ხომ შენი თვალით გინახავს, რა მდგომარეობა იყო ადრე... შეხედე მაინც ფერდობებს ნათმარხს! — და ტყისპირებს გვახედებს გზისპირას გაშიშვლებული კორომები, ერთ დროს მზერაუღწეველი ადგილები, ახლა რომ საძოვრებს მიმატებია.

— ახლა კი... რა შედარებაა! — კვლავ ხალისობს ჩემი მეგზური.

რა შედარებაა, მაგრამ. ამ უამურ „მაგრამას" მერე მოვუყოლებ შესაფერის სიტყვებს, ახლა კი გულს მიამებს ის ამბავი, რომ მინდვრისპირა ტყეებისთვის ბევრგან შემოუვლიათ ღობეები, რომ ფეხი აღარ შეაკარონ არც დამშეულმა პირუტყვმა და არც ავხელმა პირმეტყველმა. საგანგებო მავთულხლართებს მართლაც შეუკავებია ერთიც და მეორეც. შეუოკებია და სასიხარულო სურათიც დახატულა. მიწასაც მოუსვენია და ხესაც. ხეს გვერდით აღარ წაქცევია ძმასავით მხარმიდებული ხე, მიწა აღარ გადათხრილა ტრაქტორით, მანქანით და სხვა ნათრევით. ულორტები აღარ გადაკორტნილა, თანაბრივ წამოსულა ნარევი ბალახი და თან წამოყოლია ახალი ხემცენარე — მომავალი ტყე.

ნეტავაც ყველგან ასე იყოს, ეგრე გახარებულიყვეს მომავალი ტყეც და კაცის გულიც.

ტყეს რომ უკეთურება შემცირებია და სიკეთე მომატებია, სხვადასხვა პირობის წყალობა ყოფილა. პირველ რიგში ის, რომ მეტისმეტად დიდი მოთხოვნილება შემცირებია, სხვა საწვავი უშოვიათ და შეღავათი მისცემია ბოლო წლებში ბევრ ოჯახს, დიდად აღარ შეუწუხებია ტყე. ეს, პირველ რიგში, ითქმის რაიონის ცენტრის მაცხოვრებლებზე.

ამ რამდენიმე წლის წინ კასპშიაც შემოიჭრა კიდევ ერთი სიკეთე — შემოყვანილი იქნა ბუნებრივი გაზი, რამაც დიდი შეღავათი მისცა საწვავს და, პირველ რიგში, ტყეს. წარმოებადაწესებულებანი უმთავრესად გადავიდა გაზით გათბობაზე. მოსახლეობასაც ჭკუაში დაუჯდათ და გაზით გაათბეს ბინები. ბევრი აღარ მოითვლება მოსახლე, რომელნიც შეშის ღუ-

დასასრული. იხ. „მნათობი", № 11.

მელს ალულუნებენ: ან საქმე ვერ მოუმარჯვებიათ, რომ ისინიც გადავიდნენ გაზით გათბობაზე, ანდა მამაპაპურ სათბობსა რჩეობენ. მაგრამ იმედია, იმათაც მალე შეეცვლებათ მდგომარეობაც და შეგნებაც და კასპში შეშა აღარ დაიწვის გასათბობად.

ასე რომ, 14 ათასიანი ქალაქი დღესდღეობით თითქმის შეეშვა ტყეს.

ცისფერი ალი აგიზგიზდა ქართლის ერთ-ერთ დიდ სოფელში — ქვემოჭალაშიც. აქაურებმა ზოგმა უკვე მოიგვარა საქმე, უმრავლესობა კი ახლა დარბიან, რომ გაზით ასამუშავებელი ქვაბი „ემჩე" იშოვონ და ერთხელ და სამუდამოდ მორჩნენ შეშაზე წვალებას.

ბალონებით მიაქვთ გაზი თითქმის ყველა სოფელში, თუმცა ბალონით მოწოდებულ გაზს ვერ ძალუძს შეშის ღუმელის გაძევება გლეხი კაცის ოჯახიდან.

აქაურ ტყეებს შეღავათს აძლევს, აგრეთვე, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ რუსეთიდან და სხვა მხარეებიდან შემოზიდული შეშა.

მოსახლეობის მცირე ნაწილი იოლად გადის ქვანახშირითაც.

მოთხოვნილება საგრძნობლად შემცირდა სარზეც. რადგანაც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახები თითქმის მთლიანად გადაიყვანეს შპალებზე. კერძო სექტორში არსებული ვენახები კი... ამაზე ზემოთაც ვთქვით და ქვემოთაც მოგვიხდება მოხსენება.

ყურადსაღებია ერთი გარემოებაც. სოფლებში ძალზე შემცირდა თონეების რაოდენობა. ძირითადად „ფურნის პურზე" გადავიდნენ. ბარის სოფლებში იშვიათადღა ცხვება „დედას პური", რომელსაც სულ სხვა გემო, სურნელება და მაწიერობა ჰქონდა. ეგრე რიგად აღარ ხურდება თონე და ფიჩხზე მოთხოვნილებამაც იკლო.

დიახ, სწორედ ზემოჩამოთვლილი პირობების გამოც მიეცა ტყეს შეღავათი და უწინდებურად ისე ძალუმად აღარ ეძალება გაავებული ხელი.

ტყის სიკეთე დაეტყო იმიტომაც, რომ კიდევ უფრო გაძლიერდა საზოგადოებრივი ყურადღება, რასაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვუმადლოდეთ პარტიისა და მთავრობის მიერ ბოლო წლებში ბუნების დასაცავად მიღებულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს. ამის საფუძველზე ამაღლდა რაიონის ტყის დაცვის მუშაკების პასუხისმგებლობის გრძნობაც. რაიონში არსებულ 25 ათასამდე ჰექტარ ტყეს შედარებით მცირე ჯგუფი იცავს. სულ რაღაც 70-მდე კაცი. მაგრამ მათ იციან, რომ დიდი საპასუხისმგებლო, საპატიო და საშვილიშვილო საქმე აკისრიათ. ვისაც უნდა გაესაუბროთ, სატყეოს თავკაცს, დიდხანს ნამუშევარსა და გამოცდილ მეტყევე-მეთაურს ტიტე რუხაძეს თუ ახალგაზრდა სპეციალისტს, უფროს მეტყევეს ზაურ თელიას, ტყის დაცვის ინჟინერს, პარტორგანიზაციის მდივანს ლევან გუმბერიძეს თუ მშრალ ციფრებთან დამეგობრებულ მთავარ ბუღალტერს კოწო აბუაშვილს, უბნის უფროსებს: ტყის ვეტერანს ზაქრო კენჭოშვილს, თუ ახალგაზრდა ენთუზიასტს ვლადიმერ ხეჩიკაშვილს (ახალქალაქისა და კავთისხევის უბნები), რკონისა თუ ხოვლის უბნების „ბატონპატრონებს" ზაურ გოგოლაძეს თუ იოსებ კოშაძეს, ტყის ინჟინერ შალვა მაღრაძეს თუ სერგო რაზმაძეს, ყველას სიტყვებში, შუბლსა და თვალებში ამოიკითხავთ პასუხისმგებლობის გრძნობასაც, მომავალზე ფიქრსაც და გაუბედავ სიყვარულსაც. ეს გრძნობა გადაუდვიათ მცველებისთვისაც. მათაც შეჰყვარებიათ სიმღერა „ტყე შევუნახოთ შვილებსაო". და შეცდილან კიდეც ამ ადვილად სათქმელი სიტყვისათვის ძნელად განსახორციელებელი საქმითაც მიეცათ ფასი. აკი ზემოთაც ვთქვით, ბოლო წლებში ტყეზე დატყობილი სიკეთე მათ ღვაწლადაც ჩაითვლება. მოვალეობის პასუხისმგებლობის გრძნობა მოსძალებიათ, ავხელს არ დარიდებიან, დაუჭერიათ, სამართალში მისაცემადაც გაუმეტებიათ. სხვაც ბევრი რამ ულონიათ, მაგრამ დასამშვიდებლად და ქერში ქუდის სასროლად მაინც ვერ მოქცევიათ საქმე, ისე, როგორც მთელ საზოგადოებას არ დაემშვიდება და დაელხინება ტყის მხრივაც.

ხომ გაჩნდა საშეღავათო საშუალებანი, მაგრამ მოთხოვნილება აქაურ ტყეებზე მაინც დიდია, დაკმაყოფილების საშუალებანი კი მცირე. კასპის რაიონში, ქალაქის გამოკლებით, ცხოვრობს ამჟამად 12.596 კომლი. აქედან ნახევარზე მეტი ხომ ისევ შეშით თბება. გნებავთ, კიდევ დავუთმოთ სატყეო დარგის მუშაკებს და მხოლოდ 5 ათასი კომლი ჩავთვალოთ შეშის მომხმარებლად. მარტო მოსახლეობას, თვითეულ ღუმელზე რომ ერთ სეზონზე მხოლოდ 5 კუბური მეტრი ვიანგარიშოთ, დასჭირდება 25 000 კუბური მეტრი. ამას ემატება წარმოება-დაწესებულებანი, სკოლები, კულტურის კერები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ჯერ კიდევ შეშას ხმარობენ. მაგალითად, მიმდინარე წელს წარმოება-დაწესებულებებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე უნდა გაიცეს 3 500-მდე კუბური მეტრი. ასე რომ, ერთი გამოზამთრებისათვის რაიონის მოსახლეობას სჭირდება სულ ცოტა 29 000-მდე კუბური მეტრი. სავაჭრო ორგანიზაციების საშუალებით ერთი ზამთრის სეზონზე, მაგალითად, გასულ წელს შემოიზიდა 1 000-მდე კუბური მეტრი შეშა. უმნიშვნელო ნაწილმა ხელი გაიმართა მეზობელი რაიონების სავაჭრო ორგანიზაციებიდან შემოზიდული შეშით. რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი რაიონის შეშის რაოდენობას ვერ ალემა-

ტება. სულ ასეთი გზით შეღავათი 2 000 კუბური მეტრიც რომ ვიანგარიშოთ, და სავარაუდო მოსახმარებელს გამოვაკლოთ, რაიონის ტყეებიდან ჩვენი ანგარიშით უნდა გამოიზიდოს 27 000-მდე კუბური მეტრი შეშა. გეგმის მიხედვით ყველა სახის ჭრებით უნდა გაიცეს 10 000 კუბური მეტრი შეშა, ანუ დაკმაყოფილდეს 2 000 კომლი. რა ქნას 3 000 ოჯახმა? რა თქმა უნდა, სიცივით არ მოიკლავს თავს. ისევ ტყეს უნდა მიაშუროს, კანონიერი გზით სარგებლობის საშუალება ამოწურულია. იძულებული ხდება ისევ უკანონობის გზას დაადგეს... და კვლავ იჩეხება ტყე.

ამას ერთი გარემოებაც ემატება. კასპის რაიონის ტყეებს „ევალებათ“ უტყეო მხარის — წალკის რაიონის მოსახლეობის გამოზამთრება. წალკელი „თათრები“ და „ბერძნები“ თანდათან ღალატობენ თავიანთ ტრადიციას — წივას რომ ხმარობენ შეშის მაგიერ, იმ ბინძურსა და სუნიან საწვავს ამჯობინებენ წიფლისა და რცხილის შეშას. კარგა ხანია ისწავლეს შეშის ყადრი. მიტანის საშუალებაც გაუიოლდათ და სამხრეთის მხრიდან ეძალებიან ჩვენს ტყეებს. კლდეკარის ვიწროებში, სადაც სამალ მიმდგარ ცხენოსანსა და ფეხოსანსაც კი ეპნელებოდა შეღწევა, ახლა ადვილად შედიგადიან მანქანები, ტრაქტორები და ეზიდებიან დამორილ ხეებსა თუ ძირფესვიანად ამოგლეჯილ ძირებს. ცხადია ნებართვით, მაგრამ არც უნებართვო მრევლი მოაკლდება „ზურგთუკანა“ ტყეებს, მით უმეტეს, კონტროლი ძნელდება, რადგან კასპის სატყეო მეურნეობის ადმინისტრაციას, რომლის ცენტრი სოფ. გარიყულაზეა, უჭირს კლდეკარის მიდამოებში სისტემატური სიარული, — მანქანით რომ მიაღწიოს, შორიდან უნდა მოუაროს, გარიყულა — კასპი — მცხეთა — თბილისი — მანგლისი — წალკის მარშრუტით, ერთ მიმოსვლაზე უნდა დაკეცოს 500 კილომეტრამდე გზა. ხოლო ცხენითა და ფეხით პირდაპირი გზით გადაღწევა იმ აღმართ-დაღმართებსა და ულრანებში არც ისე იოლია, რომ ყოველი აუცილებლობის დროს მივიდნენ. ჰოდა „უკანა ტყეების“ დაცვა უმთავრესად არის იქაური მცველების ჯუანშერ-ნაგიევის და დ. ქარქუზაშვილის ამარა. და ზოგიერთებს, თუ მოინდომეს, არ დასჭირდებათ თარჯიმანი, რომ საერთო ენა გამონახონ მათთან.

რაც უფრო იზრდება წალკელთა მატერიალური კეთილდღეობა და გემოვნება, მით უფრო მატულობს ჩვენს ტყეებზე მათი მოთხოვნილება.

მოსახლეობა, როგორც უკვე ვთქვით, ტყისაკენ მიიწევს სარისთვისაც. მართალია, საზოგადოებრივი მეურნეობების ზვრები თითქმის ტყეს აღარ საჭიროებენ, მაგრამ კერძო სექტორის ვენახები ისევ მამაპაპეული წესით — სარვით მუშავდება. საკარმიდამო ნაკვეთების ვენახებში დათვლილია 8,5 მილიონი ვაზი. ჩვენი წელანდელი ანგარიშით, ყოველწლიურად უნდა დამზადდეს 2 მილიონამდე სარი მაინც. მაინცდამაინც დიდი შეღავათი არ არის ფიცრის ჩამონაჭრების სარი, აქა-იქ რომ წააწყდებიან ხოლმე. სამაგიეროდ, სარს ახმარებენ პამიდორსაც. მოსახლეობამ სად იშოვოს დანარჩენი სარი. ჭალაში? ჭალის ტყეებიც აღარ არის ჩვენი მდინარეების პირას. თითო-ოროლას, განსაკუთრებით იმას, ვისაც მდინარის ან არხის პირას აქვს ვენახი, სახარე ტირიფი უდგას, მაგრამ ეს მეტად უმნიშვნელოა. მაშასადამე, ისევ ტყეს უნდა მიეპაროს.

ტყეს კვლავაც მიაკითხავენ სამასალე ხის დასამზადებლადაც, ფიჩხის მოსაჭრელადაც.

ასე რომ, ჩვენს ტყეებზე მოთხოვნილება ჯერ კიდევ დიდია, კანონიერი გზით დაკმაყოფილების საშუალება კი გაცილებით ნაკლებია და კიდევაც მთელის დიდი საშიშროება გაჩეხვისა.

ხომ ასე ამაღლდა მეტყევეების ყურადღება და პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ არა იშვიათია ტყის გაჩეხვის შემთხვევები. თვითონ ტყის დაცვის მუშაკებს არაერთგზის გამოუვლენიათ უნებართვო ჭრის შემთხვევები. დავასახელებთ რამდენიმე ბრაკონიერს, რომელსაც წაასწრეს უნებართვო ჭრაზე ორი-სამი წლის განმავლობაში. მთიულთუბნელი ალექსანდრე ზოტოვი უნებართვო ჭრისთვის დაჯარიმდა 144 მანეთით, ახალქალაქელი არტაშ და სულიკო მამასახლისოვები დაჯარიმდნენ 320-320 მანეთით. ერთაწმინდის აგარაკში სარის მოჭრისთვის. ნოსტელმა შალვა სიდამონიძემ და გიორგი გაბიდაურმა გაჩეხეს სალატანე შეშა, თვითეული 8-12 სანტიმეტრის დიამეტრისა და დაჯარიმდნენ 415-415 მანეთით. ახალციხელმა მირიან სოზიაშვილმა და აკაკი ხარატიშვილმა სიცოცხლე მოუსწრაფეს 500 ძირ ნორჩ წიფელსა და რცხილას, რაზედაც დაჯარიმდნენ 2 000 მანეთით ხოლო მამასახლისოვმა არსენამ წააქცია 10 ძირი ნაძვისხე.

ბრაკონიერობაში მხილებულნი არიან თვითონ ტყისმცველებიც. მეტყევე-ტექნიკოსი რობერტ კოშაძე ტყის დაცვის ნაცვლად ბრაკონიერებს ხელს უწყობდა ტყის განადგურებაში, როგორც იტყვიან, ხახვივით შერჩა უამრავი უცოდველი ხის მოსპობა. მრავალგზის გაფრთხილება ყურად არ იღო. და რაკი თავისას არ იშლიდა, იძულებულნი გახდნენ სამართალში მიეცათ. სასამართლომ იგი დააჯარიმა 425 მანეთით და თავისუფლება აღუკვეთა ერთი წლით. ასევე ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას ავკეთელი ზურაბ ფილიშვილი. ტყის დაცვის მუშაკი, რომელიც ორჯერ არის ნასამართლევი უნებართვო ჭრების გამო, მაინც ვერ ისწავლა ჭკუა და ახლა ტყეს

ჩეხვა დაუწყო თავისი ხელით, რისთვისაც კვლავ მისცეს სამართალში და ამჯერად დაჯარიმდა.

ასეთი მხილებული ბრაკონიერები ბევრი მოითვლება, ვერმხილებულნი უფრო მეტი გვეგულება ეს მწარე საიდუმლოება მხოლოდ უტყვმა ტყემ იცის. სატყეო მეურნეობის მუშაკებმა ასევე თამამად დაგვისახელეს ორგანიზაციები, რომლებმაც დააზიანეს ტყე. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თბილისის სარემონტო სამშენებლო სამმართველოს მუშაკებს წყალი გაჰყავდათ სოფელ წინარეხში. ეს თავისთავად კარგი საქმეა, სოფლის კეთილდღეობაზე ზრუნვის გამოხატულებაა, მაგრამ გააფუჭეს მეორე საქმე, დააზიანეს ტყე. მოსჭრეს 57 ძირი მუხა, 16 ძირი წიფელი, 81 ძირი რცხილა ისეთ ასაკში მყოფნი, რომ მართლა საცოდაობა იყო მათი მოჭრა. ეს ზარალი შეფასებულია 2 228 მანეთად. განა აქ ფულზე და ზარალზეა საქმე? აქ მთავარია სამუშაოს მწარმოებელთა ტყისადმი დამოკიდებულება. ხომ შეიძლებოდა გვერდი ავლოდა იმ მოსაჭრელ ძირებს?! რა თქმა უნდა, კი, მით უმეტეს გაუვალი ტყე არ იყო იმ ადგილებში, სადაც ეს ცოდვა დატრიალდა. ასე დახანანი და გადარჩენის ღირსი რომ არ ყოფილიყო, სატყეო მეურნეობის დირექცია საჩივარს არ აღძრავდა სასამართლოში და იმავე წინარეხელებსაც ასე არ დასწყდებოდათ გული.

უარეს დღეშია საკოლმეურნეო ტყეები, რომლებიც სოფლებთან ახლოს მდებარეობენ და ადვილად სწვდება კაცის ხელი. მით უმეტეს, აქ სუსტია დაცვა.

ასე რომ, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და დაუფარავად ვთქვათ, რომ კვლავ იჩეხება ჩვენი ტყეები. დიდ მზრუნველობას, დაცვასა და მოვლა-პატრონობას თხოულობს.

V.

ჩვენც, როგორც ერთერთ გულშემატკივარს ტყისას, გვიჩნდება კითხვები, თუ როგორ დავიცვათ და როგორ მოვუაროთ უკეთ ჩვენს ტყეებს და ამავე დროს გვებადებიან საამისო მოსაზრებანი.

ბუნებრივია, უნდა ამაღლდეს ტყის დაცვის მუშაკების პასუხისმგებლობის გრძნობა, მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება და კონტროლი, არ დავინდოთ ბრაკონიერები, მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარია გაუმჯობესდეს ტყისათვის ხელსაყრელი ობიექტური გარემო პირობები, რომელშიც ვგულისხმობთ შემდეგს:

1. შემცირდეს მოთხოვნილება ტყეზე.

ზემდგომ ორგანოებს გეზი აქვთ აღებული ტყით სარგებლობის შემცირებისაკენ, და უკანასკნელ წლებში პრაქტიკულადაც ანხორციელებენ ამას. საქართველოში თუ 1966 წელს ტყით სარგებლობის ოდენობა შეადგენდა — 1 მილიონ კუბურ მეტრს, 1975 წლისათვის 1 მილიონ სამას ათასამდე დავიდა. ამის შესაბამისად კასპის რაიონის ტყეებსაც შეუმცირდა ჭრის გეგმა. 1965 წლის გეგმის მიხედვით რაიონის ტყით სარგებლობის ოდენობა იყო 7 600 კუბური მეტრი, 1975 წლისათვის კი 6 300 კუბურ მეტრამდე დავიდა. მომავალში გათვალისწინებულია კიდევ უფრო შემცირდეს ეს რიცხვი. ვშიშობ, ამ ორიენტაციამ უფრო არ გააუარესოს საქმე, თუ ტყეს არ გაეზარდა სხვა საშეღავათო საშუალებანი.

საქმე იმაშია, რომ, როცა ადამიანისათვის აუცილებელი იქნება ტყე, ის მაინც გაიწევს მისკენ. კანონიერი გზით თუ ვერ შეიხვედრა, ზოგიერთი შეეცდება უკანონო გზები ეძიოს და ბევრ შემთხვევაში მიზანსაც მიაღწევს. გაჭირვებული კაცი შორს აღარ იხედება. იგი მაინც პატივისმცემელია ძველი ანდაზისა: დღევანდელი კვერცხი მირჩევნიან ხვალინდელ ქათამსაო. თუ პატრიოტიზმის და ჰუმანიზმის კუთხით დავუწყებთ საუბარს, ტყის მომხმარებელი გლეხიკაცი, თუნდა სხვა სოციალური ფენისა, გიპასუხებთ: როგორ, სახლი არ ავაშენო?! ვაზს სარი არ მივუდგა?! სოფლისთვის ურიგო საქმეა ან ერთი და ან მეორე?! როგორ, ტყე შევინახოთ, ხე გადარჩეს და ჩემი ბალღები სიცივით დაიხოცნონ?! ეს სადაური პატრიოტიზმია! მომავალზე ვიფიქრო და აწმყოში სული ამოვირთვა?! ეს სადაური ჰუმანიზმია?! ამჯერადაც მთელი სიგრძე-სიგანით მოქმედებს მარქსის გენიალური ნათქვამი: ყოფიერება განსაზღვრავსო ცნობიერებას. ჰოდა, თავისი მდგომარეობა აიძულებს იმ გლეხკაცს, ასე თქვას, თორემ მისი მთქმელი ბუნებით პატრიოტიც არის და ჰუმანისტიც. აბა, ვისით ხარობს ეს მამული, თუ არა პირველ რიგში გლეხკაცითა. ვისით ბარაქიანობს და მშვენიერობს ეს მიწა, თუ არა გლეხის ოფლითა. ვისით მრავლდება ერი, თუ არა პირველ რიგში გლეხი კაცის ჯალაბობითა. სად ფეთქავს ქართული სიტყვა ისე ძალუმად და შნოიანად, თუ არა სოფელში, სადაც იწვის ქართულივე ტყე.

ასე რომ, თუ აუცილებლად ესაჭიროება, კაცი მაინც მიეძალება ტყეს.

და მით უმეტეს, თუ ტყით სარგებლობის რაოდენობა შემცირდება, უფრო გართულდება საქმე, საშიშროება შეექმნება წესრიგს. სწორედ გაჭირვების დროს იციან ხოლმე ხელის ფათური ხელმრუდეებმა. ჰოდა, ტყით სარგებლობის დროსაც ნუ გავუჭირვებთ მოსახლეობას. ტყეს სხვა გზით მივცეთ შეღავათი.

ტყეს რომ ნაწილობრივ მაინც შეეშვას ჩვეულებრივი კაცი, გათბობის სხვა საშუალებანი უნდა მიეცეს. ამის უებარი საშუალებაა დალოცვილი გაზი, ბუნებრივი გაზი უნდა შევი-

დეს დიდ სოფლებში მაინც. აკი სოფლებისაკენაც ჰქნა პირი ამ სიკეთემ. მაგრამ ერთის დაკვრით როდის აშენებულა ქვეყანა, რომ ეს საქმე ესე მალე მოგვარდეს. ვიდრე ეს განხორციელდებოდეს, ტყისთვის უმჯობესი იქნებოდა სავაჭრო ორგანიზაციებს გაეფართოვებინათ სხვა მხარეებიდან შეშისა და სხვა მასალების შემოზიდვა და მოსახლეობაზე მიყიდვა. აქ იგულისხმება ის რაიონები, და მხარეები, თუნდაც კავკასიის მიღმა, სადაც ჭარბად არის საშეშე და დასახერხი ხეები, რომელთა გამოცლითაც არ ევნება იქაურ ტყეებს.

აქვე უნდა ვინატროთ, რომ ხე-ტყის სავაჭრო ბაზებშიც ლონივრად მოიკიდოს ფეხი სინდის-პატიოსნებამ, რომ მყიდველ-მომხმარებელს აღარ ეშინოდეს მოტყუებისა, ხარისხიანი მასალაც დაეღირსოს და იქ საყიდელი მიეზომოს არსენას არშინით თუ არა, ნამუსიანი კაცის მტკაველით მაინცა. თორემ, თუ უწინდებურად „ოთუს ბირი“ დაუსვეს საყიდელი ხე და შეშა, ისევ ტყეს მიეძალება.

ტყის სიკეთე თუ გვინდა, მთელი კერძო ვენახებიც უნდა გადავიდეს შპალერზე. ეს ხელსაყრელი იქნება თავად ვენახის პატრონებისთვისაც, რაკი ერთხელ ჩაიყრება ბეტონის ბოძები და გაიჭიმება ვაზის მხარის მიმცემი მავთულები, მერე დიდი წვალება აღარ დასჭირდება. პირიქით, შრომა შეუმსუბუქდება, ყოველწლიურად აღარ დასჭირდება სარის შოვნა-მოტანის გაწა-მაწია, ჩეკნა და სარვა, რაც საკმაო ოფლსა თხოულობს. და, რაც აგრეთვე უმთავრესია, ტყე მოისვენებს სარის მაძებარი კაცისაგან. პატარა შეღავათი ხომ არ იქნება, ყოველწლიურად რომ აღარ მოიჭრას უამრავი სარე ნორჩი ხე.

2. ჩვენი ტყეების შენახვისა და მოვლა-პატრონობის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია ტყის თანაზომიერი და მოხერხებული ექსპლოატაცია.

აქაურ ტყეებშიც დიდი მარაგია, მაგრამ ხელმიუწვდომელია. ზოგ უბანში ყმაწვილივით ხესაც ემუქრება გაბასრული ნაჯახი, ზოგან კი იგივე ცული მონატრებია სიკვდილის პირას მისულ ხეებს. დაბერებული ხის თავისთავად წაქცევა ისეთივე ცოდვად მიგვაჩნია, როგორც ახალგაზრდა ხის სიცოცხლის მოსწრაფება. ასეთი ცულის ღირსი ხეები უამრავია გზაჩაუღწეველ ღელეებში და ანაზდად აზიდულ საქოჩრეებზე. ასეთი ვერუწიო ტყეების მთელი მასივებია თავკავთისაკენ, გოგოთის გადასახედებში, საბოლიას მისახედ-მოსახედში. ბოტისის და რუსის ტყეებში უთვალავი ხეები ისე დაბერებულან, ათეული წლობით, ზოგს საუკუნობით ისე უცხოვრიათ და დაცემულან, ადამიანის თვალი არ შევლებიათ. არა და რა მადლი იქნებოდა მათი თავის დროზე მოჭრა, ტყეც გასუფთავდებოდა, გამოიხშირებოდა და ადამიანიც გაიხარებდა.

ტყეების თვალიერებისას მთებში გადაკარგულ ნასოფლარ გოგოთს რომ გავცდით, მწვანიან ბექობზე ჩამოვსხედით და მდიდარი თვალით ვუცქეროდით უზარმაზარ ტაფობებსა და ფერდობებზე აყრილ ტყეებს და ერთმანეთს ვახარებდით ჯერ კიდევ რამხელა რეზერვი გვქონიათ. სწორედ ამ დროს მოგვიახლოვდნენ ცულებითა და წალდებით შეიარაღებული მწყესები, რომლებიც მოგვესალმნენ, გამოგვემცნაურნენ და გვერდით ჩამოგვისხდნენ. ეს ის „თათრები“ არიან (ასე ეძახიან წალკელ მუსულმანებს), რომლებსაც ადრე გათავისებული საცხოვრებელი დაუწუნიათ, წამოსულან და ქართლის გულზე დაუდგამთ ქალაქიანი ფეხი. მაშინდელ კოლმეურნეობის თავკაცებს (კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქისა) ორწილად გაუხარიათ, მუშა-ხელის მნატვრელებს მწყემსები უშოვიათ და საუკეთესო საკარმიდამო ნაკვეთებიც მალე გამოუნახავთ. ამ ნაკვეთებში სახლები ჩაუდგამთ, ლონივრად მოუკიდიათ ფეხი, ღრმად გაუდგამთ ფესვები, სწრაფად გამრავლებულან და გალაღებულან, კაი ბაღ-ბოსტანიც გაუშენებიათ, კარგი ვენახებიცა, ქართულ წესზე დაუყენებიათ ღვინო და ალაჰის მაგიერ ამ სიკეთეზე ხელის გამმართველი უდღეგრძელებიათ. ეს მწყემსები არც ზამთარში შორდებიან კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობის პირუტყვს და არც ზაფხულში. ამჯერადაც მთაში ყოფილიყვნენ, პირუტყვი დედაკაცების ამარად მიეტოვებინათ და თვითონ შეშისათვის დაწოწიალობდნენ.

— ბილეთები ხომ გაქვთ? — სახხვათაშორისოდ შეეკითხა ტყის დაცვის ინჟინერი ლევან გუმბერიძე.

— გვააქ, როგორ არა! — და ოფლიან უბეზე წაივლო ხელი მამედამ.

— გვააქ, მაგრამ რო არა გვქონდეს, ის გვირჩევნიან! — წაიბუზღუნა მირზალამ.

— რათა, მირზალა?

— რათა, ჩემო ძმაო, და ჩვენი მოსაჭრელი ხეები ისეთ ადგილებშია დანუმრული, რომ ფეხითაც გაჭირვებით მივა კაცი და წამოღებით როგორ უნდა წამოვიღოთ.

მათი საუბრიდან ისიც გამოირკვა, რომ იმ მიუდგომელ ტყე-კაფში ზოგ ხეს 5-6 დამღა აქვს დასმული, აი ბედიც იმათა ჰქონიათ! ამდენჯერ გაუმეტებიათ სასიკვდილოდ და უგზოობის წყალობით გადარჩენილან. მეტყევეები დაასვამდნენ დამღას, ბილეთებსაც გამოწერდნენ მოსაჭრელად მიზანში ამოღებულ ხეზე, მაგრამ პატრონები ნახავდნენ, ვერ მიუდგებოდნენ და იძულებული ხდებოდნენ სულაც მიეტოვებინათ კუთვნილი ხე. სამაგიეროს ეძებდნენ მისადგომ ადგილებში.

— აქეთ სადმე მოგვაჭრევინე, შენი ჭირიმე! — იხვეწებოდნენ მწყემსები და ხელს იშვერდნენ ახლო კორომებისაკენ, რომლებსაც ადვილად მიუდგება ტრანსპორტი და საკმაოდ გამოთხელებულიც არის.

ეს მიუდგომელი ტყე-კაფი არის „რუსის ტყეში“, რომელიც აგერ თითქმის 10 წელია გამოყოფილია მთავარ ტყე-კაფად და ათი ძირი ვერ მოუჭრიათ. ასეთივე უგზოუკვლო ტყე-კაფებია უმზეურას ტყეებში. ყოველწლიურად იგეგმება ამ ადგილებში ხის მოჭრა, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ ხორციელდება მათი გამოყენება უგზოობის გამო. ამიტომაც. სისტემატურად ვერ სრულდება მთავარი სარგებლობის ტყე-კაფების გეგმები. 1965 წლიდან მოყოლებული არცერთი წლის გეგმა არ არის შესრულებული მთავარი სარგებლობას ტყე-კაფებში. 1965 წელს 7 600 კუბური მეტრის ნაცვლად მოჭრილია 5 500 კუბური მეტრი. 1970 წელში იგივე რაოდენობის მაგიერ მოჭრილია 3 800 კუბური მეტრი. ხოლო 1974 წელს 6 800 კუბური მეტრის ნაცვლად ასეთ ტყე-კაფებში მოიჭრა 4 000 კუბური მეტრი.

რაკი მთავარი სარგებლობის ტყე-კაფების ათვისება ვერ ხერხდება, სატყეო მეურნეობის მუშაკები იძულებული ხდებიან სანიტარული თუ მოვლითი ჭრები გააფართოვონ ისეთ ადგილებში, სადაც ტრანსპორტი ან გამწევი მანქანები უდგება. და საშიშროება ექმნება ასეთ უბნებს. გამოდის, რომ მიუდგომელ ტყეებში ხელუხლებელია და უსარგებლოდ იღუპება ტყის სიმდიდრის დიდი ნაწილი, ხოლო მისადგომელი ადგილები იჩეხება.

ტყის არათანაბარი და არასწორი ექსპლოატაცია უგზოობის მიზეზით ხდება.

ეს რა უმხრო ტყეები ყოფილაო, იტყვის მკითხველი. მაგრამ აქვე მოვახსენებ, რომ უშველებელი არა არის-რა. ამ ადგილებში ახლაც მოიძიება ნაგზაურები. ერთერთ გზაყოფილს თამარის გზას უძახიან. აქ გადიოდა ყველაზე მოკლე გზა ვარძიიდან თბილისამდე. გადმოცემის თანახმად, თამარ მეფე ამ მხრით მოდიოდა ვარძიიდან თბილისამდე. კლდექალაქიდან დაჰყვებოდა ცხენდაცხენა. რა თქმა უნდა, მცველებითა, წალკის მიდამოს მიმოხედავდა, კლდეკარს გამოივლიდა, რუსის ტყეს, ბოტისისა და შუბათის მთას ქეჩოზე გაეცლებოდა, დიდგორზე გადავიდოდა და დედათბილისს მიადგებოდა. ის გზა მოკლეც ყოფილა და საიმედოც, რადგან კლდიანეთსა და ტყიანეთზე გადიოდა და გაქნილი მზვერავებიც ვერ ტყობილობდნენ, როდის თბილისში იყო მეფეთამეფე და როდის ვარძიაში.

ჰოდა, თუ მაშინ, რვა საუკუნის წინათ ითვლებოდა სამხრო ადგილებად, ახლა რატომ გვექცა უმხროდ და გამოუსადეგარად? რად ვალპობთ ამხელა სიმდიდრეს ამ ტყეებში?! ამ საკითხს ბოლო წლებში მაინც [illegible] სატყეო დარგის მუშაკები და ტყის [illegible]ში გზის გაყვანაზე უზრუნიათ.

პირველ რიგში მიზნად დაუსახავთ პარატისბოტისის ტყიანი მხარის გაგზიანება.

ადრე, ამ მთიან ადგილებშიც მიმოფანტულიყვნენ პატარ-პატარა სოფლები, მერე ბარად ჩასვლა ურჩევიათ. ისინიც დაჰყოლიან ნებას და რუსთავსა თუ სამგორში დამკვიდრებულან. სოფელი უგზოდ სადა თქმულა და იმ სოფლებშიც მიღწეულა საცხენე მისასვლელი მაინც. ყველაზე დიდი გზა ყოფილა პარატას-ბოტისისა, რომელიც წინარეხ-ქვათახევის გზიდან იტოტება. სხვებთან შედარებით დილობდა, თორემ წარაფებსა, ქარაფებსა და ღრანტეებზე ღერძკალასაც უჭირდა გავლა. ახლა სწორედ ამ ნაგზაურს მიჰყვებიან უმთავრესად და კარგა განიერს და მკვიდრ გზას აკეთებენ მკვიდრ ნიადაგზე. ეგ არის ხშირად იკლაკნება და უცხო თვალისთვის შესაძრწუნებელ გადასახედებზე გაჰყვება, თორემ ყოველმხრივ სანდო და საიმედოა. ნურც ქყანტობისა შეეშინდება ფრთხილ მძღოლსა და ნურც მოხაცური ლიპყისა. მთელ კვირას რომ კოკისპირულად იავდროს, არსად არ აქალახდება ეს კლდოვან-ქვიშნარი გზა. ძნელი და რთული სამუშაო კი ყოფილა. ზოგგან ისეთ ფრიალოს მისდგომიან, რომ კლდის წვეროკინებზე მხტუნავ ჯიხვსაც შეუშინდება თვალი. მაგრამ გზის მკეთებელნი ამ სიძნელეებს არ უშინდებიან და გულდაგულ მიიწევენ წინ. ესენი გახლავან მბურღავი იოსებ ბარდაძე, ამფეთქებლები აბელი აბულაძე და ანზორ ნონიკაშვილი, ტრაქტორისტი ავთანდილ ბატკუაშვილი, შოფერი ვანო დარბიაშვილი, მუშა ამირან ლაცაბიძე. აი, ის შესანიშნავი შვიდეული, რომელიც ებრძვის კლდესა და ღრეს და მიუსავლეთში მიჰყავთ გზა. მათ კი სათავეში უდგას რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე, ინჟინერი კოტე იმნაძე, რომელმაც თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე და ძალ-ღონე-გონება ტყის სამსახურს შეახარჯა. მშობლიურ მხარეშიც ულვრია ოფლი და კავკასიის მიღმაც უმოღვაწნია, მოზრდილი თანამდებობაც ჰქონია და მომცრომსაც დახჯერებია, ყველგან უგულმოდგინებია და ვალმოხდილი გადასულა საპენსიო ასაკში. მას მერეც ვერ შელევია ტყეს და ხსენებული გზის გაყვანას ჩასდგომია სათავეში. მის გულახდილ საუბარშიც და მოქმედებაშიც ამოიცნობა საქმისადმი სიყვარული, მოუღლელობა და წინსვლის ჟინი. ერთი სული აქვს, როდის გაიყვანს მიჩენილ გზას ბოლომდის.

— ჰაი, დედასა! მეორე ბულდოზერიც მომცა, სხვა საჭირო ტექნიკაც მომაშველა და

ეხეთი გულიანი ბიჭებიცა და ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყეფს! — ნატრულობს კოტე.

— რას იზამდი?

— საკურთხისისაკენ გავიჭრებოდი, ბოტისს უკან მოვექცეოდი და მეორე მხრიდან მოვადგებოდი ამ მთას! — ხელს იშვერს იქითკენ, სადაც უნდა გადავიდეს გზა.

და ეს სანატრელ-საოცნებო კი არა, რეალობა უნდა იყოს, რადგან ამ გზის მშენებლობისათვის თვით ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებს 2 ბულდოზერს, თითო საჭანდრავს (სატკეპნს), ამომძირკველს, გამაფხვიერებელს და ორ სატვირთო მანქანას. ფაქტიურად კი თითო ბულდოზერს და სატვირთო მანქანას ამუშავებენ. დიახ, ხელი ეშლებათ მექანიზმებითაც, მაგრამ გასაყვან გზას მაინც არ ღალატობენ. მათ მოქმედებაში ამოიკითხება აგრეთვე ყაირათიანობა და პატიოსნება. ამ ექვსკილომეტრიანი გზის მოსამზადებელი სამუშაოები ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უნდა დამჯდარიყო 3 800 მანეთი, ფაქტიურად კი 900 მანეთი ამყოფინეს. მომჭირნეობენ სხვა სამუშაოებზეც. უკვე გაკეთებული გზის გაყვანაზე 56 ათასი მანეთის მაგივრად დაიხარჯა 25 ათასი მანეთი. ასეთი მომჭირნეობა დიახაღაც მისაბაძია, მით უმეტეს, როცა საქმეს არ აზარალებს.

გზის მკეთებლები კვლავაც ერთგულად და თავდადებით იშრომებენ. თავიანთი ოფლით ამოიღებენ იმ 100 ათას კუბურ მეტრ მიწას, ააფეთქებენ 40 000 კუბურ მეტრ კლდეს და უგზოობაზე გამარჯვების დროშას მიიტანენ უმზეურაში.

ჩავა გზა და ადამიანის სამსახური-მოვალეობა ერთიორად გაეზრდება საუკუნეების განმავლობაში ხელუხლებელ ტყეს. რა ვუყოთ, რომ ეშვებიანი ტახები დაფრთხებიან, უმზეურაში რომ დაღრუტუნებენ, დათვებიც უკმაყოფილოდ აბურდღუნდებიან, მგლებიც ალაგალაგ ამოიძუებენ კუდსა, სხვა ნადირსა და ფრინველსაც დაერღვევა მყუდრო ცხოვრება, მაგრამ არც იმათ მოეშლებათ იმედი, ერთბაშად ხომ არ შეიჭრება ადამიანი იმ ულრანებში. თუ საშიშროებას იგრძნობენ, საცხოვრებელს გამოიცვლიან. ეგეც არ იყოს, ადამიანის შეღწევა საფრთხეს არ შეუქმნის მათს ამოწყვეტას. თუ ჟინიანმა მონადირემ წამდაუწუმ არ ამოუკაკუა თვალი საბედისწერო იარაღს. და თუ კაცმა თავზე ხელი აიღო. ნადირ-ფრინველს კი არა, თანამოძმესაც არ დაინდობს...

დიახ, უსიერ ტყეშიც მიაღწევს გზა და ამჯერადაც გვმართებს ზომიერება. სატყეო მეურნეობის მუშაკებს ჩვენი შეხსენება არა სჭირდებათ ,მაგრამ მაინც გვავალებს გული ვთქვათ, რომ ამ ტყეს ექსპლუატაციამ კი არ უნდა აწყინოს, უნდა არგოს, ჩატარდეს ტყის გამაჯანსაღებელი ჭრები, მიყრუებული მხოლოდ უკან მავალი, მობერებული ხეები და ბერბი კაცის ნაჯახი ასცდეს ხიცოცხლის ღირს მუხებსა თუ ნაძვებს, წიფელსა თუ რცხილას. მით უმეტეს, მოჭრის ღირსი მერქანი აქაც ბევრზე ბევრია, და დიდ სარგებელს მიცემს ადამიანს მარტო რაოდენობით კი არა, ხარისხითაც და მრავალფეროვნებითაც. ეს ტყე მოგვცემს შეშასაც, ფიჩხსაც, სამშენებლო მასალასაც. ძვირფასი მერქანი მოიჭრება პარკეტისათვის, ავეჯისა და ბევრი სხვა საჭიროებისათვის.

უნდა ვისურვოთ, რომ გზები შევიდეს „რუსის ტყეშიც" და სხვა ხელუხლებელ მასივებშიც, რათა მათი სიმდიდრისა და სიკეთის ნაწილიც აღარ დაილუპოს უბრალოდ. დროზე იგემოს ადამიანმა, შეეშველოს თანამოძმე ტყეს, რომელთაც საფრთხე ემუქრებათ.

* * *

მაგრამ ისევ იმ პარატის-ბიტოსის გზისკენ მომიბრუნდა ფიქრი.

ეს გზა, რომელიც წინარეხ-ქვათახევის გზიდან ინშტოება და სამხრეთისაკენ მიემართება, სატყეო-სამეურნეო დანიშნულებისთვის არის გამიზნული. ეს თავისთავად კარგია, მაგრამ ცოტა მეტი სახსრები და ოფლი რომ დახარჯულიყო, უფრო ამაღლდებოდა მისი ღირსება, სარაიონთაშორისო გზად იქცეოდა. იგი ხომ უმზეურას ტაფობამდე მიდის, იმის მერე ერთი ლონიერი აღმართია ასათავებელი და გზიან ველებზე გადაიხედება; იმ აღმართზე რომ გაგრძელდებოდეს პარატის-ბოტისის გზა, იმ საულელტეხილო ქედზე რომ ავიდოდეს, მერე ადვილია სხვა გზებთან მიერთება. სამხრეთით, იქვე ახლო, ღელეში ჩავა მანგლისამდე, ასფალტოვანი გზით რომ ემარჯვება თბილისს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით გაუყვება ქსილისი ქეჩოზე გამავალ თამარის ნაგზაურს, გაივლის კლდეკარს და იქიდან გაემართება წალკისაკენ. ამით ძალიან მოკლეზე მოიჭრება გზა კასპისა და თეთრიწყარო-წალკის რაიონებს შორის. გაადვილდება მიმოსვლაც. ახლა კასპელი კაცი წალკაში რომ მივიდეს, თბილისზე მოვლით უნდა გაიაროს ორას კილომეტრამდე გზა, ხოლო ამ მოსაჭრელი გზით კი მისი მესამედი მანძილიც არ დასჭირდება. ახლა თუ დასახელებული რაიონები ერთმანეთის ზურგშექცევით არიან უგზოობის გამო, მერე გაცხოველდება ურთიერთობა მათ შორის. შიდა ქართლი უფრო მოხერხებულად დაუკავშირდება ქვემო ქართლს. თეთრიწყაროსა და წალკის რაიონებს დაუახლოვდება რკინიგზაც. ამ გზას მიეცემა ტურისტული მნიშვნელობაც. მე შენ გეტყვი, სატურისტო მხარე არ არის! თავად

ადგილებიც ხომ თვალსახარბია და ისტორიული სანახებიც უხვად არის. ნატახტარ-გორის გზატკეცილიდან ჩამოხვეულ მგზავრს შეუძლია ნახოს მე-5 საუკუნის კლდემაღალას ციხე, სადაც ვახტანგ გორგასალს შეუფარებია თავი, გიორგი სააკაძის ძეგლი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი კასპში, ახალქალაქის გზას აუყვეს, მოინახულოს მეტეხისა და ერთაწმინდის ტაძრები, ქართლის მეფეთა რეზიდენცია ცხირეთი, ახალციხის ციხე და სააკაძის კოშკი ნოსტეში, საკავთისხევში გადავიდეს, ნახოს ლავრის მონასტერი, მაღალაანთ ეკლესია და კოშკი, დატკბეს და დაფიქრდეს ქვათახევის ხილვით, ცოტახნობით გამობრუნდეს უკან, შეუხვიოს — პარატის-ბოტისის გზაზე ,გაიხაროს იქაურობის ხილვით, თვალი მოავლოს თავკავთასა და შუბათს, ავიდეს ქსილისზე, თუ ინებებს, გადმოხედოს დიდებულ დიდგორს, იქიდან ალმა ქნას პირი, დაათვალიეროს გოროზი კლდეკარი, და გადაუყვეს თრიალეთის სანახებს, სადაც შეხვდება მრავალ ღირსშესანიშნაობებს, რომელსაც იშვიათად ევლება იმ მხარისთვის უცხო კაცის თვალი.

დაბოლოს, ამ გზას მიეცემა საკურორტო მნიშვნელობაც. ის ადგილები ხომ საუკეთესოთაგანია დასვენების მხრითაც. ბუნების სილამაზეს იკითხავთ თუ სიმყუდროვეს, წყალსა თუ ჰაერს — ყოველმხრივ მისწრებაა. მით უმეტეს დედაქალაქთან ახლოსაა და დასვენების ღირსმა ადამიანმა შაბათ-კვირასაც რომ გაინიავოს გუნება, ეგეც დიდი ჭილდო იქნება მისთვის.

ჰოდა, ჩვენ მიგვაჩნია, გაგრძელდეს და გაიზარდოს ზრუნვა პარატის-ბოტისის გზაზე, კიდევ უფრო გაფართოვდეს და გადაუერთდეს თეთრიწყაროს რაიონის გზებს. იგი ღირსია მეტი ყურადღებისა და გულდადებისა და შეუწონავი სიკეთით მოგვიზღავს სამაგიეროს.

* * *

შ. ჩვენი ტყეების სწორი ექსპლოატაციისა და უვნებლობის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჭრის ორგანიზაციის გაუმჯობესება. კასპის რაიონის ტყეებში ჭრა მიმდინარეობს ორგვარად: ე. წ. კოლექტიური მეურნეობის წესით და ინდივიდუალური წესით. კოლექტიურად ამზადებს თვით სატყეო მეურნეობა. ტყე-კაფებში ჭრის ხეებს, მითრევით მოაქვთ სამანქანო მისასვლელ ველამდე, სადაც მორავენ და იქიდან დანიშნულ ადგილამდე ან თვითონ ეზიდებიან, ანდა მომხმარებლები. ორივე შემთხვევაში ასეთი წესით დამზადებული ხე-ტყით სარგებლობენ უმთავრესად წარმოებადაწესებულებანი, ხოლო ინდივიდუალური წესით: გამოყოფილ ტყე-კაფებში წინასწარ იდამღება მოსაჭრელი ხე. ხე-ტყის მსურველ მოსახლეზე სატყეო მეურნეობისაგან გაიცემა ბილეთი, სადაც მინიშნებულია ადგილის — ხის ნომერი და მისმა პატრონმა თვითონ უნდა მოუაროს თავის საქმეს — მოსჭრას, გამოათრიოს, დამოროს და წაიღოს.

ჩვენი აზრით, ინდივიდუალური წესით დამზადება ხე-ტყისა არც მომხმარებლისთვის არის ხელსაყრელი და არც ტყისთვის, რადგან მარტოხელა მომხმარებელს უჭირს იმ უგზო და ძნელად მისადგომი ტყე-კაფიდან მოჭრილი ხის გამოტანა. არც ცოცხალი გამწევი ძალა ჰყავს და არც ტექნიკაზე მიუწვდება ხელი. ამიტომ იძულებული ხდება ან სულაც მიატოვოს კუთვნილი ხე, როგორც ეს ხშირად ხდება, ანდა დიდი წვალებით მიაღწიოს მიზანს. ორივე შემთხვევაში მომხმარებელს თვალი გაურბის უცოდველი ხეებისაკენ, რომლებსაც იოლად მიუყენებს ტრაქტორს. კოლექტიური წესით დამზადება უფრო იოლია, რადგან დიდია კოლექტივის ძალა და ტექნიკასაც იმსახურებს, თუ დასჭირდა მარქაფა გზებსაც მიიყვანს ტყე-კაფამდე, და ყოველივე ამის გამო, ტყეებს ნაკლები საშიშროება მოელის.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ტყე-კაფში ტრაქტორის შესვლა მაინცდამაინც არ არის გასახარი ტყისათვის, რადგან იგი უმოწყალოდ ბლუნაობს, თხრის იქაურობას თავისი მუხლუხებითაც და საპალნის ტარებითაც, მიწასაც აოხრებს და იმათზე ამოსულ ნორჩ ხეებს თუ მობიბინე ბალახბულახსაც. ჰოდა, ამის დამნახავს მეოცნებება: ისეთ მთიანსა და ტაფობებში, როგორიც ჩვენი ტყეებია, მოჭრილი ხე სამანქანო ადგილამდე აზიდოს მძლავრმა შვეულმფრენმა, მაგრამ რაკი ეს ჯერჯერობით საოცნებოა, სინამდვილეს დავუბრუნდეთ და ტყე-კაფებიდან გამეტებული ხეები ვზიდოთ კოლექტიურად, მოსახერხებელი ტექნიკით, მაგრამ მაქსიმალური სიფრთხილით.

დიახ, ჩვენ ვამჯობინებთ ხე-ტყის კოლექტიური წესით დამზადებას, მაგრამ ამჯერადაც თავს წამოყოფს მალული წინააღმდეგობა: საქმე ის არის, რომ კოლექტიური წესით ორგანიზაციის დამზადებულ ხე-ტყეს ძვირობს ინდივიდუალური მომხმარებელი. კალკულიატორები, რა თქმა უნდა, რეალობიდან გამოდიან, მაგრამ ამავე დროს შიში აქვთ, ორგანიზაციამ არ იზარალოსო, ცდილობენ, პირიქით, მოგება ნახოს დამამზადებელმა დაწესებულებამ, და მეც ვშიშობ, ამ ცალკეული ორგანიზაციების მოგებიანობა-მანიამ საერთო ეროვნული და საზოგადოებრივი საქმე არ წაგვიგოს — კვლავ არ ავნოს ჩვენს საუნჯეს — ტყეს.

სხვადასხვა ორგანიზაციას სხვადასხვა ნიხრი აქვს სხვადასხვა პირობებისთვის. მაგალითად, კასპის სატყეო მეურნეობის მიერ დამზადებული ერთი კუბური მეტრი ტყეშივე სამანქანომდე გამოზიდული ჯდება 8 მანეთი და 40 კაპი-

კი, ხოლო ადგილზე მიტანით 10 მანეთი და 40 კაპიკი, ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მიერ დამზადებული შეშა კუბმეტრი ადის 16 მანეთამდე. შედარებით პირიანი ორგანიზაცია — სატყეო მეურნეობა წარმოება-დაწესებულებებსაც ვერ აუდის და უარით ისტუმრებს კერძო პირებს. საყოფაცხოვრებო სამმართველოს კარს მიადგეს და ფეხები უკან რჩება. 5 კუბური მეტრი შეშა რომ შეიძინოს, სულ 80 მანეთი უნდა დაუჯდეს. თანაც ჯერ კიდევ ვერ დაუთრგუნია შიში იმისა, რომ მტკაველის მაგიერ ციდით არ მიუზომონ. იმაზეც ყოყმანობს, ეყოფა თუ არა ერთ ზამთარს ის 5 კუბური მეტრი შეშა.

და ამის გამო მეოფლე მოსახლეს ეძნელება ორგანიზაციაში ამდენი ფულის მითვლა და ისევ თავის ხელით დამზადებას რჩეობს. თავისი ხელით მოსაჭრელი ხე კი 1-დან 2 მანეთამდე ღირს 1 კუბური მეტრი (ადგილსა და ჯიშს გააჩნია). აქაც ორი გზაა: ან უნდა გარჯითა და წვალებით გამოიტანოს სამანქანო გზაზე კუთვნილი ხე, ანდა, აკი წეღანაც ვთქვით, სულაც მიატოვოს ის და უცოდველ ხეს დაუქნიოს ცული. იცის, შეიძლება ძვირად დაუჯდეს ეს თვითნებობა, მაგრამ სხვა დროს შერჩენია და რისკზე მიდის. ანდა პასუხისმომთხოვნთან საერთო ენის გამონახვის იმედი აქვს. ჰოდა, ის ჩვენი ანგარიშიანი მოსახლე ამ რისკსა და წვალებას ამჯობინებს ორგანიზაციიდან შეძენილ ხე-ტყის სიძვირეს. თან ისიც ახალისებს, რომ ტყეში თავის გემოზე დატვირთავს მანქანას, ორგანიზაციაში კი ახმა ვიწრო თვალმა უნდა შეხედოს.

ალბათ, იმიტომაც ეჩოთირებათ თიანეთელებს ხე-ტყის კოლექტიურად დამზადების წესი, როგორც ეს მწერალ მირონ ხერგიანის ნარკვევიდან შევიტყე, რომ ძვირი ჯდება, მით უმეტეს, იქაური ტყეები უფრო სამხრო მგონია და ინდივიდუალური წესით დამზადება ეიოლებათ.

ამრიგად, ტყის სიკეთისათვის, მისი სწორი ექსპლოატაციისა და მომავლისათვის ერთერთ პირობად მიგვაჩნია გამოყოფილ ტყე-კაფეებში ხე-ტყის დამზადება მთლიანად კოლექტიური წესით. უნდა განიდევნოს ინდივიდუალური წესით დამზადება, მაგრამ ფასების დადგენის დროსაც დავიცვათ ზომიერება და სამართლიანობა, არც ორგანიზაციამ იზარალოს და არც მომხმარებელი გაფრთხეს.

## VI.

ადამიანი ტყეს უტევს მეორე მხრიდანაც, პირუტყვის საშუალებით და ეს უფრო საშიში და მაოხრებელია.

კასპის რაიონის მთიანი მხარე დიდი ხანია გაუკაცრიელდა. ტყიან მთებში გაფანტული სოფლები: რკონი, სამოქალო, დევნამუხლარი, იკვი, კაბერი, ზემო და ქვემო გოსტიბეები, გოგოთი, გავაზური, ვარჯაანი, ზვარი-კარტმანი, პარატისი, ბოტისი, გომიჯვარი, შუბათი, ერთ დროს რომ თამამად სოფლობდნენ, ახლა ნასოფლარებადღა ითქმის. ეს „ქართლელი მთიელებიც“ დაჰყოლიან ნებას, გულისტკივილით გამომშვიდობებიან თავიანთი ადგილის დედას და ბარად ჩასახლებულან. ზოგს თვით კასპის რაიონის ბარის სოფლები და რაიონული ცენტრი ხვდომია წილად, ზოგი კი რუსთავსა და სამგორში ჩასახლებულა. ნასახლარების ირგვლივ მდებარე პატარ-პატარა სახნავ-სათესი მინდვრები ახლა გადაქცეულა საძოვრად. რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის დიდი ნაწილი ზაფხულობით იალალობენ ამ ნასოფლარებსა და სხვა საძოვრებზე, რომლებიც შუაგულ ტყეში ან ტყისპირებში მოიძიება. ტყეებში არ არის დარჩენილი ერთი პატარა ველობიც, რომ პირუტყვს არ ჰქონდეს დაჩემებული. მაძოვარი ბევრია, საძოვარი ცოტა. ბალახოვანი შიშველობები უანგარიშოდ აქვთ გადაკორტნილი. დაუკმაყოფილებელ მეტყველს ვერ მოათმენინებს კაცი და მადა-გამგელებულ პირუტყვს რა შეაოკებს. შიგნით ტყეში მიიწევს იქამდის, სანამდისაც დრუნჩი მიუწვდება. აყრილ ხეებს ბევრს ვერას აკლებს, ტოტებს თუ დაუკვნეტავს, მაგრამ იქვე, იმ ხეების პირში რომ ახალი ამონაზარდია, იმის სინსილასა სწყვეტავს. ბალახივით სძოვს და აუჩინარებს. ბალახი, თუ შეეშვნენ, მერე ამოიყრის მაინცა, ხის ჯილაგის ნაშიერი კი სამუდამოდ ისპობა. მეორის აღმოცენებაცა ჭირს პირუტყვისაგან გაზერგნილ ნიადაგზე.

და თუ ის დიდი ხე წაიქცევა, მის ძირზე ახალი ყლორტი ამოიყრება, სულს არ მოათქმევინებს პირუტყვი. უმოწყალოდ ჰკორტნის. თუ რომელიმე ღეროძ აასწრო, იმასაც შავ დღეს აყენებს, სადამდეც კბილები მიუწვდება, ტოტებს აკორტნის. ასეთი გაჩეხილი ადგილები და მერე ამოყრილი ცოტა როდია მაღალ ტყეებში. უფრო კი საძოვრების ნაპირას, მაგრამ წელში ველარ გამართულა. ამ მხრივ დამახასიათებელია გოსტიბის მისახედ-მოსახედი. შუაში საბალახო ველია. სამხრეთისაკენ მშვენიერი ხეებია აყრილი, ჩრდილოეთის მხრივ მზვარეზე მთელი კორომია გამინდვრებული. აქ ერთ დროს მაღალი ტყე ყოფილა, მერე გაჩეხილა, ახალი ამოყრილა, მაგრამ იქვე დაბანაკებულ პირუტყვს აღარა და აღარ მიუცია საშველი. მცენარე მაინც ძალაღობს, ერთგან მოკვნეტავენ, მეორეგან ამოიყრის, მაგრამ საქონელი გასაქანს არ აძლევს. კიდევ კარგი, მზვარის ძირში უკვე აყრილი ხეები დარაჯობენ, თორემ გამგელებული პირუტყვი მთელ ღელეს ჩაკორტნიდა.

პირუტყვისაგან უარეს დღეშია ჩაგდებული დაბალი ტყეები, რომლებიც რაიონის ტყეების დიდ ნაწილს შეადგენს. აღარ ინახვის მინდვრისპირა ტყის ზოლები. მთელი მინდორი ტყეებამდე იხვნება და ითესება. სახნავ-სათესში ვინ გააჭაჭანებს საქონელს, სოფელი იძულებული ხდება ტყისპირებში გარეკოს პირუტყვი, რომელსაც არა ჰყოფნის ის პატარპატარა ბორცვები და სახნავ-სათესად გამოუსადეგარი ადგილები და კვლავ ტყეში მიიწევს. რა თქმა უნდა, ვერც ტყის ბალახს აკმარებს, ხის ფოთოლს ეტანება. ხე დაბალია, ტყე ბუჩქნარია, მაღალი ფოთოლი გამოაქვს და გემრიელი სახრამუნებელია. თუ მუცელი ვერ გაიძღო, ხეშეშ ფოთოლსაც კარგად მიაყოლებს. კიდევ თუ გაჭირდა, ახალ წანაზარდებსაც დაკვნეტავს. ყველა სახის საქონელი „კადრულობს" ამას, მაგრამ ცხვარი, და განსაკუთრებით თხა, მეტისმეტსა შვრება. მსხვილფეხას თუ უჭირს შეუცბათებულ ფერდობებზე ასვლა, ცხვარი და თხა ადვილად მიიწევს მაღლა. ხარი და ძროხა თუ ეგრე ადვილად ვერ აილერებს თავსა, წვერცანცარა თხა იმსიმაღლეზე აიბოტება, მეცხვარის ჩომბახიც ვერ ასწვდება. მერე, რა ხასიათი აქვს, ლორთქო ბალახს ნეკერი ურჩევნიან. ხევს გადაღმა რომ დაინახოს, ანგარიშს არ გაუწევს სიღრმესიგანესა და მაინც ისკუპებს. ტყუილად კი არ უთქვამთ: თხამ სანეკრი კი ნახა, მაგრამ სახტომი ვერ მოზომაო. და ასეთი პირუტყვი გაბუჩქნარებულ ტყეს დაინდობს?!

თხა კი ბევრი ჰყავთ ტყისპირა სოფლებში. სწორედ იმიტომ, რომ ტყის იმედით ეიოლებათ შენახვა. თანაც ხელს აძლევს პატრონს. მუშტარი ბევრი ეტანება. პატრონმა კარგად იცის ეს და ერთ საშუალო ციკანზე 50-40 მანეთს ფეხს არ მოუცვლის. ზოგი ციკნის მწვადის მოყვარული საძოვრიდანვე დაითრევს ამ ანც სადანეს და გახარებული პატრონი იქვე იქადნის ერთის მაგიერ ხუთის გამრავლებას.

**თხას** დავადგით თვალი, თორემ რომელი სახის პირუტყვი არა ფასობს.

**დიახ,** პირუტყვი ტყისპირებში გასაქანს არ აძლევს ნორჩ, ბუჩქნარ ხეებს, რომ სული მოითქვას. გასაქანს კი არა დამდაბლებული ბუჩქნარი ფესვებამდე დაყავთ. მერე ხმება და მთლიანად ისპობა. ასე რომ, მინდვრის პირებში ერთ დროს რომ მაღალი ხეები აყრილიყვნენ, ჯერ ადამიანის მარჯვენამ აქცია ბუჩქნარად, მერე იმ ბუჩქნარს პირუტყვმა მოუღო ბოლო, არც იმ ნატყეურ ადგილებს ეყრება ეთილი. ერთხელ და ორჯერ ხომ არ გაივლის ნახირი, ჯოგი და ფარა. უთვალავჯერ ხვდება პირუტყვის ჩლიქი, რომელიც თანდათანობით თხრის მიწას, ფერდობის მიწა ადვილი ჩამოსათხრელია, მერე ჩვენთან, ქართლში, ფერდობის მიწა ხირხატიანია, იოლად იშლება. პირუტყვის ჩლიქისაგან სანახევროდ დაშლილ[illegible] რღვეულს ემატება წვიმას ძალა[illegible] ადგილას მოიშლება და ჩამოირღვევა თუნდაც მცირედი, მერე მას უფრო დიდი ჩამონაშალი მოსდევს და ჩნდება უსარგებლო ფლატე. მიწის ფენა თხელი აქვს ჩვენს ფერდობებს, გადატყავდება და კლდეზე და კირქვაზე დადის, ხოლო კლდე და კირქვა — ეს უკვე სიკვდილია.

რა თქმა უნდა, პირწმინდად ყველა ადგილი არ არის ასეთი, მაგრამ არც ღრმა ნიადაგებში გაუხარია ტყისპირა ბუჩქნარებს. ისიც მართალია, რომ ერთბაშად, ერთ წელიწადს არ ისპობა ასეთი დაბალი მცენარეები, ისინიც გულდაგულ იბრძვიან სიცოცხლისათვის, ზოგჯერ ფესვებიდანაც კი ამოიყრიან ყლორტებს, მაგრამ თუ მიეძალა პირუტყვი, საბოლოოდ მაინც მარცხდება მცენარე. ასეთი ნაპირა ტყეები, რომლებიც სულს დაფავენ პირუტყვის გამოისობით, ბევრია ჩვენს მხარეში. აი, თუნდაც ძლევის ქედის კალთები ავიღოთ, რომელიც კასპის მახლობლად მდებარეობს. აქ ერთ დროს აყრილი ტყე ყოფილა, არც კლდოვანი ფერდობები მოსჩანდა და არც ხრიოკი ბორცვები. ის დიდი ტყე ადრევე გაჩეხილა, ახლა გულსაკლავად გამოიყურება შიშველი კლდეები და ჩამორეცხილი ბორცვები. ალაგ-ალაგ ბუჩქნარი ტყეა, რაც უფრო ჩრდილოეთით მოვდივართ, უფრო და უფრო ხშირდება ბუჩქნარი. სწორედ მის ძირშია შეფენილი ოსების სოფელი მრგვალიჭალა. მრგვალიჭალელებს ბლომად ჰყავთ პირუტყვი, უფრო თხა გაუხშირებიათ. რომელი დღე დაღამდება, რომ კაცის თვალმა არ დაინახოს მთაზე შეფენილი ნახირი თუ ფარა, თხები და ციკნები დაცანცარებენ მიუვალ ფერდობებზეც კი. ბალახის ფესვებამდეა გაძოვილი, მისდგომიან და ბუჩქნარებს კვნეტენ. თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში მთლიანად გადაიკორტნება ეს ფერდობები, ეროზიად იქცევა და პირუტყვი ავა მთის ქეჩოზე, სადაც ძლივს წამოიზარდა ტყე. ასეთი ადგილები უხვად მოითვლება მარტო ჩვენს რაიონში კი არა, სხვა მხარეშიც, განსაკუთრებით ქართლის რაიონებში, საქართველოში არ მეგულება არც ერთი რაიონი, სადაც ვინმე დაიკვეხნის, - ჩვენს ტყეებში პირუტყვს არ ვაკარებთო. ასეთ დღეშია მთელი საქართველოს მინდვრისპირა ტყეების დიდი უმრავლესობა.

პირუტყვი რომ მოვაშოროთ მინდვრისპირა ტყეებს, იმ დაბალ ხეებსა და ჯაგნარებს საშუალება მიეცეს ბუნებრივი განახლებისა, უამრავი მთა გაგვიტყიანდება ისე, რომ მხოლოდ თვალის საამო და ჰაერის გამაჯანსაღებელ-გამამდიდრებელი კი არ იყოს, [illegible]მედ საშრეწველო და სამეურნეო დანიშნულებითაც გამოიყენებოდეს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა,

დაცვა უნდა გაძლიერდეს. პირუტყვი ისე უნდა ავარიდოთ ტყეს, როგორც ვენახსა და ბოსტანს.

ამ მხრივ ბევრი რამ გაუკეთებიათ კასპის სატყეო მეურნეობის მუშაკებს. ტყეების გარკვეული ნაწილი მავთულხლართებით შემოუღობიათ. ასეთი რამ ვნახეთ გოსტიბეში, სამხრეთ-დასავლეთით ტყისპირას გაუვლიათ მავთული. ასევე თეძმის ხეობაში ჩაჩუბეთიდან რკონამდე ბარე 6 კილომეტრის მანძილზე ეკლიანი მავთული გაუვლიათ და სასურველი შედეგებისათვისაც მიუღწევიათ. იმ ადგილებში პირუტყვი აღარ შედის. თავისი მრავალრიცხოვანი ნახირი ერთხელ შეურეკია საყავრელ ოხგრაფა გაზაშვილს. სატყეო მეურნეობის მუშაკებს წაუსწრიათ და იმდენი ჯარიმა გადაუხდევინებიათ, ქუდი რომ შეუგდოთ, აღარ შეაკარებს ფეხსა. სამაგიეროდ, თეძმის მეორე მარცხენა მხარეს ნავარდობს ბრაკონიერობით განთქმული გრაფა. დასავლეთის ფერდობებზე აძოვებს პირუტყვსა. მარტო ის კი არა, სხვებიც. მდინარის ორივე მხარის ტყეები თავდაპირველად ერთნაირი იყო. ორივე მხარე ნადგურდებოდა პირუტყვისაგან. მარჯვენა მხარე რომ დაიცვეს, ტყე კარგად წამოვიდა. რომ შეხედოთ უფრო მეტი გემიდებათ და გესიამოვნებათ. მარცხენა მხარე კი გადაკორტნილია და სავალალო მდგომარეობაში. ის მარცხენა მხარე უკვე გორის რაიონის ტერიტორიაზაა, ამბობენ. სატყეო-საკვლევ ინსტიტუტს ეკუთვნისო. ჩვენ გაღმა აღარ გაველავებით. მაგრამ ეამოღმის ტყე აშკარად სჯობია, და ეს პირუტყვისაგან დაცვის შედეგია.

მაგრამ ეს ცოტაა ამხელა და ამდენი ტყეებისათვის. აი, ასე რომ შეიღობებოდეს და შეიკრებოდეს, ტყე გადაურჩება პირუტყვს. ამის გაკეთება ერთბაშად წარმოუდგენელიც არის, მაგრამ იმ ადგილების შემოღობვა მაინც მიგვაჩნია აუცილებლად, რომლებსაც მეტისმეტად იძალებს პირუტყვი.

სატყეო მეურნეობის მუშაკები სხვა ტყეებშიც თვალყურს ადევნებენ. ბევრი მწყემსი, თუ პირუტყვის პატრონი სასამართლოშიც კი მიუციათ იმის გამო, რომ ტყეები გაუოხრებიათ პირუტყვისათვის, მაგრამ მაინც ვერ შეუოკებიათ.

განსაკუთრებით დაუცველია საკოლმეურნეო ტყეები, რომელთა ფართობი შეადგენს 2 ათასამდე ჰექტარს. ისინი სულ დაბალ ტყეებსა ფლობენ. ტყის პატრონებიც ისინი არიან და პირუტყვისაც. დამშლელი არავინა ჰყავთ, ვერც კერძო პირთა პირუტყვს იგერიებენ, ვერც თვით ადამიანებს იოკებენ, საერთოდ ტყის დაცვისათვის ნაკლებად იცლიან და ამიტომაც ვერ მოიწონებთ მათს განკარგულებაში არსებულ ტყეებს ვერც დაცვის მხრივ და ვერც მოვლა-პატრონობის მხრივ, თითო-ოროლა ადგილების გარდა.

ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მთელი საკოლმეურნეო ტყეები გადავიდეს სატყეო სახელმწიფო მეურნეობის განკარგულებაში. ის უფრო მოუვლის.

და მაინც გვაფიქრებს ტყისა და პირუტყვის ურთიერთობა. ერთიც მეტად საჭიროა საზოგადოებისათვის და მეორეც. არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, დღევანდელი კაცი პირუტყვს დააუმჯობინებს. მაგრამ ტყეც რომ აუცილებელია, ტყისთვის რომ სიცოცხლე გვიწოდებია? შევძლებთ ურთიერთმორიგებას ისე, რომ არცერთი დაზარალდეს?! ეს მეტად რთული და ძნელი საქმეა. დავუშვათ, რომ, მართლაც სულ შეიღობოს მთელი ტყეები, დამშეულ პირუტყვს მაინც ვერ შევიოკებთ. ამიტომ, პირუტყვი არ უნდა დავამშიოთ. ამის შესაძლებლობა კი მეგულება. ჩვენი მინდვრები განა ცოტა საკვებს მოგვცემენ პირუტყვისათვის? მაგრამ ეს სოფლელი კაცის დიდ ძალას თხოულობს. ეგეც ხომ საფიქრალია და ისიც სათქმელია, რომ ზაფხულობით პირუტყვისათვის მაინც აუცილებელია მინდორი და იალაღი, ძოვებას სულ სხვა მადლი და ბარაქა აქვს. იალაღები მაინცდამაინც მოსაყირჭებელი არა გვაქვს და რაც ბუნებას მოუცია, იმას უნდა დავჯერდეთ. თუ პირდაპირი ძოვებით ვერ გაიძლია კუჭი, პირუტყვს მოთიბული მწვანე მასა უნდა მივაშველოთ. სათიბები გაჩნდება იმ ადგილებშიც, შემოღობილი ტყის შიგნით რომ მოექცევა. მანამდე თუ პირუტყვი სძოვდა ბალახს და ტყესაც აოხრებდა, ამიერიდან კაცი მოთიბავს და ისე მიაწვდის პირუტყვს. ამ გზით ტყესაც მოევლება და არც საქონელი დარჩება მომდურებული. ესეც ადამიანის დიდ ძალას მოითხოვს და ჩვენც ვიმყოფინოთ ამაზე საუბარი.

მანამდე კი ტყის № 1 მტერი პირუტყვი — თხა უნდა მოვაშოროთ ტყეს. ძნელი შესალევია, გაწყვეტა დაგვიმძიმდება, მაგრამ ის მაინც უნდა შემცირდეს. რომ შეგვეძლოს მისი დამორჩილება-შეოკება. საერთოდ, პირუტყვი კი ჩემი ფიქრით, უმჯობესი იქნება იმდენი ვიყოლიოთ, რამდენსაც აიტანს ჩვენი მინდვრები და საძოვრები, ჩვენებური კაცის ძალა, რომ არც ტყეს ევნოს, არც ვენახებს, არც ბაღებს, არც მინდვრებს და არც სხვას.

## VII

ტყის მოვლა-პატრონობისათვის ხომ დიდი საზრუნავი აქვთ და გაშენებაზეც დიდი შემართება და სიყვარული მართებთ სატყეო დარგის მუშაკებ-მოამაგეებსაც და მთელ საზოგადოებასაც. ამ მხრივაც გაულიათ თავიანთი წვლილი კასპის სატყეო მეურნეობის მუშაკებს. უკანასკნელ წლებში გაუტყიანებიათ კარ-

გა რაოდენობის ფართობები. 1974 წელს გაუშენებიათ 256 ჰექტარი, დიდი ნაწილი დარგვით გაუშენებიათ, მცირე — დათესვით. ქარსაცავი ზოლები გაუშენებიათ, ეროდირებულ ადგილებშიც შეუბედიათ. ასეთი ადგილები გაუტყიანებიათ გასულ წელს 148 ჰექტარი. ახალშენი ტყეების შევსებასა და განახლებაზეც უზრუნვიათ, მათ მოვლაზეც.

დავათვალიერეთ ახალშენები. რა თქმა უნდა, პირწმინდად ყველა ძირი ვერ გაიხარებდა, მით უმეტეს ასეთ ძნელად გასახარებელ ადგილებში ,მაგრამ დიდ უმრავლესობას გაუხარია, ზოგ ადგილებში — იდლეთში, აშურიანში, კალოუბანში, 80 პროცენტამდე გახარებულა, ზოგან კი — ქვემო გომის, დოესის და ზემოხანდაკის ფერდობებში — სანახევროდაც ვერ გაუხარებიათ ნარგავები. საერთო ჯამში კი ნორმისათვის (65 პროცენტი) მიუღწევიათ. თითქოს კმაყოფილება ამოიკითხება ტყის პატრონების საუბრის ტონში, გეგმა ხომ შევასრულეთო, იმდენი პროცენტით გახარება შევძელით, რაც ნორმით იყო გათვალისწინებულიო, მაგრამ ჩვენ გული გვეთანაღრება. თვალსა და გულს ეუკმარისება მომავალი ტყის რაოდენობაც, ხარისხიც. გახარებულების გვერდით ბევრია გაუხარებელიც. იმ პაწია ჭერამს თუ იფანს დიდი ძალა აღმოჩენია, ამხელა გვალვისთვის გაუძლია და ფოთლისთვის გახუნებული სიმწვანე მაინც შეუნარჩუნებია, რახან ახლა გადარჩენილა, საგაისოდ ლამის მისი უკვდავებაც იწამოს კაცმა, მაგრამ თითქოს თოთო ბავშვივით შემოგფათფათებს ადამიანს, მოფერებას თხოულობს. თითქოს ემდურება კიდეც პატრონს, რომ იშვიათად მიაკითხავს.

უფრო მეტი დასამდური აქვთ ქარსაცავი ზონების ახალშენებს, რომლებსაც პატრონობენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ერთაწმინდის მინდვრებში ვნახეთ შარშანდელი გაშენებული ქარსაცავი ზოლები, რომლებსაც ადამიანის მზრუნველი ხელი აკლია. გვერდით ნათესებისათვის ოფლი გაუმეტებიათ, კულტივაცია ჩაუტარებიათ, ძირები გამოუთოხნიათ, წყალიც მიუშველებიათ. შუაში მოქცეული ახალშენ ტყეს კი დედინაცვალივით მოჰკიდებიან. არც კულტივაციაზე უფიქრიათ, არც გამოთოხნაზე, არც წყალი ულირსებიათ ასე მწყურვალთათვის. მართალია სარწყავი წყალი უხვად არ არის იმ მინდვრებისაკენ, მაგრამ აჯობებდა ის ანდაზა გახსენებოდათ, ერთი თხილის გული რომ ცხრა ძმამ გაიყო.

საერთოდ, იშვიათი არ არის ის ამბავი, რომ გააშენებენ ტყეს და მიაგდებენ ბუნების ამარად. ახალგაშენებულ ტყეებს ისეთივე მოვლა უნდა და სიყვარული, როგორც ვენახსა და ბაღს. დიდი ხნის გაშენებულებიც თხოულობენ ზრუნვას. რკინიგზისპირა ტყის ზოლი ისეთ დღეში ჩააგდო ულმერთოდ დიდმა გვალვამ, რომ მომაკვდავი ადამიანივით სულს ღაფავს, რა მადლი იქნებოდა, როგორც აქაურები იტყვიან ხოლმე, ერთი ჯიგრიანად მორწყულიყო მიგდებითა და ცხელ მიწასაც ეჯერებინა გული და მისავათებულ იფანსა თუ ფშატსაც. ზოგან თუ თავად გვერდით მყოფი ნათესი მიწებისათვის ენატრებათ წყალი, ზოგან თამამად სწვდება ბარაქიანი არხი. რეალობას ძნელად არ უნდა იყოს დაშორებული ის ფიქრი, რომ მდინარის პირას დაიდგას საქაჩი და გაჭირვების დროს მოესხურებინათ ახალნაშენ ტყეებისთვის. რა ურიგო იქნებოდა სოფელ თეძმისხევზე სულ ახალ გაშენებულ ნორჩ ხეებს მისხურებოდათ მდინარე თეძმის წყალი, ასიოდე მეტრზე რომ ჩაუდის, ან სადგურ გრაკლის გაღმა — აშურიანამდე რომ ახალშენი მონამულიყო. მტკვარი კი ძირში ჩაუდის. მტკვრისპირსავე ქვემო გომის მახლობლად შარშან გაშენებული 27 ჰექტარი ფართობი რომ მორწყულიყო, ისეთ საცოდავ მდგომარეობაში ხომ არ იქნებოდა, რომ ნახევარზე მეტი ნარგავი გახმა! ასე რომ, ქართლში სადაც მშრალი ჰავაა და წვიმა სანატრელია, მეტისმეტი გაჭირვების ჟამს რომ მაინც მიაშველოს ადამიანმა წყალი, როგორც იტყვიან, მადლს მოისხამს. ამაზეც გვმართებს დაფიქრება.

ახალი ტყეების გაშენების დიდი ხნის გამოცდილება აქვთ კასპელ მეტყევეებს. თავად სატყეო მეურნეობასაც გამოჰყავს სანერგე მასალა და თუ საჭიროა, მოიშველიებენ ხოლმე მონათესავე მეურნეობიდან — კასპის სახელმწიფო სატყეო სანერგე და სამონადირეო მეურნეობიდან, რომელიც ძირითადად ამზადებს ტყის კულტურების ნერგებს და აწვდის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებს.

ახალშენებში რგავენ აქაური პირობებისათვის შესაგუებელ სხვადასხვა ჯიშს — იფანი, აკაცია, ფიჭვი, ვერხვი, კვიპაროსი, ნეკერჩხალი, ტუია, კვიდო, გრაკლა, კურდღლისცოცხა, ტყემალი, ჭერამი, ქლიავი, მაყალო, კაკალი, ფშატი და სხვა. ამ ჯიშთა უმრავლესობა გვალვისამტანია და ამავე დროს ეგუება მწირ ნიადაგებს. როგორც სჩანს, ნაყოფისმომცემი ჯიშებიც უხვადაა, და ეს მისასალმებელია.

დიდი პატივის ღირსია კაკალი, რომელიც ამ მეურნეობის განკარგულებაშია 25 ჰექტარამდე. კაკლის გაშენება და გამრავლება რომ ყოველმხრივ ხელსაყრელია, ეს არ ესწავლებათ ტყის გამშენებლებს. მის თვალადობასა და ტანადობას რომ თავი გავანებოთ, რა ძვირფას ნაყოფს იძლევა, მისი ფასი განსაკუთრებით იციან ბაზარზე გამტანებმა, კილოგრამ ნიგოზს რომ 10-15 მანეთს არქმევენ, და მუშტარიც არ ელევათ. რაიონის ტყეებში ძველთაგანვე მთელი კორომები იყო გაშენებული ამ ძვირფასი კულტურისა. ქვათახევისა

და რკონის მიდამოებში ეხლაც გალაღებულან ვეება კაკლის ხეები, რომლებიც უხვად ისხამენ ხანაქებო ნაყოფს. ადრე კი ხალისით გაუშენებიათ ეს ძვირფასი ხე, მაგრამ ბოლო წლებში ისე აღარ დაუდვიათ გული. ღრმა ნიადაგსა თხოულობსო... გასაშენებელი ღრმა ნიადაგები ჯერ კიდევ უხვად მოიძიება ხეობებსა და ღელეებში, თუ იქ, მთაში ვერ მოემარჯვებოდათ საქმე ,ბარადაც ბევრგან შეიძლება ადგილის შოვნა. საამისოდ უფრო უპრიანი იქნება ვაკის გზისპირები. თვალსა და გულს ახარებს ნატახტარ-გორის გზატკეცილის ორივე მხარეს ჩამწკრივებული კაკლის ხეები, რომლებიც უკვე კარგად დავაჟკაცებულან და სადაცაა გადაეჩარდახებიან გზას. ისინი უკვე იძლევიან ნაყოფს. ქართლის საკონსერვო ქარხნებს იმითი იმედიც არ მოშლიათ. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ათეული კილომეტრის სიგრძეზე ჩამწკრივებულნი რომ რიგიანად აიყრიან ტანსა, რამდენი კაკალი ჩამოიბერტყება. და განა ურიგო იქნება, რომ რაიონის შიგნითა გზის პირებზეც დაირგას? აქ ხომ ღრმა ნიადაგიც არის და სარწყავი წყალიც თითქმის ყველგანა ხვდება. სულ კაკალი ნუ იქნება, სხვა ხეხილიც დავრგოთ, ბალი იყოს, ალუბალი იყოს, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, გარგარი, ჟერამი. რომელი არ მოგვიტანს სიკეთესა და არ მოგვცემს ღოვლათს. არც გასახარებად უნდა იყოს ძნელი და არც მოსავლელად. გარჯას მოითხოვს, მაგრამ გარჯის გარეშე რა სიკეთე მოიწევა, რომ ეგ მოვიდეს თავისთავად. შიდასარაიონო და სასოფლო გზების საერთო სიგრძე 400 კილომეტრამდეა, ნახევარზე მეტი ამ მინდვრებისა ამ გზებზე გადის. 200 კილომეტრის სიგრძეზე რომ აქეთ იქიდან ჩამწკრივდეს სხვადასხვა ხეხილი, ცოტა ნაყოფს და სიმდიდრეს მოგვცემს? ვინ უპატრონოს? გზის პატრონმა.

ბოლო ხანებში ყურადღება მიექცა ჭალის ტყეების გაშენებას. ნაჭალარები თუ საჭალეები უხვად არის მტკვრის ნაპირებზე. მეტეხის გაღმა და გამოღმა, ქვემო გომთან, კავთისხევთან ამ ბოლო ათ წელიწადს ისეთი დიდებული ჭალის ტყეები გაშენდა, რომ მამა-პაპეული, დამჯდარი ტყე გეგონებათ. კაცმა რომ შეხედოს, ქუდი გადმოუვარდება. მაგრამ ეს ცოტაა. თვით მტკვრის სანავარდოშიც, თეძმის, ლეხურის, ქსნის ნაპირებზე, კასპოტშივე უამრავი ადგილებია რიყიანი, ჭაობიანი, არც იხვნება და არც ითესება. ამ ადგილებშიც რომ გაშენდებოდეს ტყეები, ადამიანს შეემატება სიმწვანეც. შეიქმნებოდა მერქნის მარაგიც და გაკეთდებოდა ნიადაგებიც. ისე, რომ თუ მომავალი თაობა დაისაჭიროვებდა, ტყეს გაჩეხავდა და კულტურულ მცენარეს გაახარებდა.

ჭალების გაშენებისას უმთავრესად მისძალებიან ჭადარს. სხვა ჯიშებიც უნდა ვამრავლოთ, არ დავივიწყოთ მამაპაპეული ტირიფი, ისიც კარგად გვარობს ჭალებში და გამოსადეგიც არის. მისი ყადრი კარგად იცის ქართლელმა გლეხმა.

მუხა?! ქართველი კაცის ეს სათაყვანებელი ხე?!

მუხაზე რატომღაც დუმან ჩვენი მეტყევეები. გაშენების გეგმაში რატომღაც არა სჩანს. და არც ახალშენებში იხილება. **რატომ?** სამუხე ადგილები არა გვაქვს? როგორ არა! ძნელი გასახარებელი რომ არის, იმიტომ თუ აურიდებიათ თვალი. სამაგიეროდ, რამდენ სიკეთეს მოგვცემს. ამაზე ჩემი გახსენება არა სჭირდებათ არც მეტყევეებს და არც მკითხველებს.

ვსაუბრობ ტყის მოვლა-პატრონობასა და გაშენებაზე და ჩემი მასპინძლები ხან ფიქრიანად შემომხედავენ, და ხანაც ქვეშ-ქვეშ იღიმებიან.

— ეგ ყველაფერი კარგია, რეალურიც არის, ჩვენც აუცილებლადაც გვეჩვენება, მაგრამ... — ბოლომდე თქმა უჭირს სატყეო მეურნეობის დირექტორს.

— მაგარი რაღაა?

— მუშა-ხელი გვიჭირს.

— ტექნიკა ხომ თქვენთანაც...

— კი, ჩვენთანაც გამოიყენება და დიდ შეღავათსაც გვაძლევს. მაგრამ ტექნიკას ადამიანები მართავენ. თანაც ყველგან ვერ მიუყენებთ. რა მექანიზაცია მიუდგება ა იმ ეროდირებულ მთებსა! — გვახედებს კალოუბნის ქედებისაკენ, სადაც სწორედ წელს დარგეს ტყის კულტურები. ასეთი რთული მიუდგომელი ადგილები ცოტა როდია.

— ?!

— მუშა-ხელია საჭირო, მუშა-ხელი! სასოფლო საბჭოებს და კოლმეურნეობებს ევალებათ მუშა-ხელის მოშველიება, მაგრამ ისინი ჩვენზე გაჭირვებულები არიან. ცოდვით ვერ მოითხოვება. შარშან გაზაფხულზე ძაან გამიჭირდა, ახალქალაქის კოლმეურნეობის კანტორისაკენ გავწიე, მივდიოდი და ღედამიწა მენგრეოდა...

— ბუნებისმოყვარულნი არ გეხმარებიან?

— როგორ არა, უმთავრესად მოსწავლეები ხალისობენ ხოლმე, დარგვაზე. მაგრამ ეს თითო-ოროლა შაბათობები მაინც ვერ ამოგვიყვანს გაჭირვებიდან. მუშა-ხელი რომ სამყოფი მომცა...

ისევ მუშა-ხელი, ისევ კაცის ძალა.

ჩვენი ქარხნების დირექტორები ცალკე წუწუნებენ, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ცალკე. საბჭოთა მეურნეობის დირექტორები ცალკე და სატყეო დარგის მუშაკებიც ასე ჩივიან.

მუშა-ხელი კი უფრო და უფრო კლებულობს, ხნიერნი და ჭარმაგები თანდათან თხელ-

დებიან, ახალგაზრდობა მიდის და მიდის სოფლიდან, კიდევ კარგი, დალოცვილი მექანიზაცია პირველობს, თორემ...

აქ შევჩერდეთ, თორემ შორს გაგვექცევა სათქმელი.

მანამდე კი: მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული სატყეო მეურნეობის მუშაკთა ძალა და ენერგია ძველი ტყეების მოვლა-პატრონობისთვისაც და ახალი ტყეების გაშენება-გახარებისთვისაც.

რაკი ძველი ტყეებიც დიდ ზრუნვას თხოულობს და ახლებიც, სამუშაოები იზრდება ორივე მხრიდან, საქმე თანდათან მრავალფეროვნდება და რთულდება, ჩვენ ვფიქრობთ, ერთის ნაცვლად შეიქმნას ორი ორგანიზაცია — ძველი ტყის დამცველ-მომვლელი ორგანიზაცია ეხლანდელი სატყეო მეურნეობის სახით და ახალი ტყეების გამშენებელი და მომვლელი ორგანიზაცია. ამით უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ერთ საქმესაც და მეორესაც, უფრო კონკრეტული, მოხერხებული და მიზანშეწონილი იქნება მეურნეობის გაძღოლა.

მე მაინც იმ გრძელ აშურიანის, კატაულის და მისთანად გადახრიოკებულ მთებს გავცქერი, საუკუნოობით მიძინებულებს, მიმქვდარებულებს, მხოლოდ გაზაფხულზე, შვიდმაისის წვიმა რომ გამოაცოცხლებთ, ალაგ-ალაგ მაინც ამწვანდებიან, მაგრამ უმალვე მოუკუპრავენ პირსა პირუტყვი და გვალვა. რამდენი მთებია ასეთი, და უსარგებლონი არიან! ნუთუ არ შეიძლება მათი გაცოცხლება, გამოყენება და გავარგისიანება?!

— შეიძლება, როგორ არ შეიძლება! — მიპასუხებენ მეტყევეები. რამდენიმე წელიწადს მაინც შეეშვას პირუტყვი და ადამიანის ხელიც, და ვნახოთ, როგორ წამოვა და გამრავლდება ის ბუჩქნარი ტყეები, ხოლო სადაც შიშველი ადგილებია, ყველგან შეიძლება ტყის კულტურების გახარება.

გაუჭირდება ახლად გაშენებულს ნერგსაც, თუ დათესვის შედეგად აღმოცენებულს. მაგრამ თუ ერთი ფეხი მოიკიდა, მერე გათავდა, თვითონ იცის, როგორ იბრძოლებს სიცოცხლისათვის. თუ ზოგიერთი ჯიშის ხე-მცენარეები გაგვინაზდებიან, გაჭირვებისა და გვალვის ამტანნიც ხომ ბევრნაირი მოგვეპოვება. მე ხომ კლდეებზე დასახლებული ხეები მინახავს, მჯერა, რომ ყველგან შეიძლება მათი ბინადრობა.

გოსტიბის კაპნების თავზე კლდოვანი ქედია, რომელზეც ფიჭვნარი ხარობს. გზისპირასვე გდია უზარმაზარი კლდე. რომლის თავზე იდგა კარგა მოზრდილი ფიჭვი. მეტყევეები ფიქრობენ, რომ იგი აღმოცენებული იყო კლდის თავზე შემორჩენილ ორიოდე მუჭა მიწაში. ნორჩი ფიჭვი დიდი ბრძოლისუნარიანი გამოდგა. არა და არ დაემორჩილა სიკვდილს. პირიქით, იზრდებოდა და სხვა ფიჭვების მსგავსად ხარობდა. გამვლელ-გამომვლელი ჰკვირობდა. რითი ცოცხლობსო. მეც მრავალჯერ მინახავს და გაოცებული ვიყავი. რატომ ხუთი-ექვსი მეტრის სიმაღლეზე არ შეეყარა ტანი. ბოლოს იმდენი ებრძოლა, გაებზარა პიტალო კლდე. ასეთ პირობებში ხეს უმუშავდება წინააღმდეგობის უნარი. ფესვს გამოუყვია ისეთი ნივთიერება, რომელიც დაშლიდა კლდეს. დიახ, ჯერ გაუბზარია, მერე შუაზე გადაუხეთქია ეს უზარმაზარი კლდე და აქეთ-იქით გადაუყრია. მერე თვითონაც ველარ შეუკავებია თავი და გადაჩეხილა. ასეთ მდგომარეობაში მყოფსაც არ დაუთმია სიცოცხლე. ვინ იცის ეგრე ხეიბრადაც ეცოცხლა, ადამიანის ხელს რომ არ დაეხსნა წამებისაგან.

ასეთი მებრძოლი და გაჭირვების ამტანი ჯიშები სხვაც მოითვლება.

ჰოდა, შესაძლებელი ყოფილა იმ შიშველ მთებზე გავაშენოთ და ვახაროთ ასეთი ჯიშები. რაკი ერთი მოიკიდებს ფესვსა ნარგავები, რაკი ერთი გაიხარებს ნორჩი ტყე, მერე თვითონ მოუვლის თავის თავსა, ნიადაგსაც გაიჩენს და გაიუკეთესებს, საკვებსაც იშოვის და სასმელსაც. ეს სასიკეთო საშვილიშვილო საქმე, სახსრების გარდა, დიდ ჯაფასა და სიყვარულსა თხოულობს. მაგრამ უამპირობებოდ რომელი დიდი საქმე გაკეთებულა და ჩვენც ნუ დავერიდებით.

დიახ, სიცოცხლე სწყურია ამ მიძინებულ და მისავათებულ მთებსაც და, ადამიანო, მოუკალი ეს წყურვილი. მიეცი სიცოცხლე და მერე ის გაგიხანგრძლივებს და გაგიკეთილშობილებს სიცოცხლეს.

ვფიქრობ ჩვენი ტყეების მომავალზე და ასე მეოცნებება: ის ძველი, აყრილი ტყეებიც კარგად იქნება დაცული, ყველგან თანაბრივ მისწვდება ადამიანის მზრუნველი ხელი, გონივრულად იქნება გამოყენებული, ის დაბალი ტყეებიც წელში აიმართებიან და ძველებურად აიყრებიან, ის მიძინებული მთებიც გაიღვიძებენ, მწვანით შეიმოსებიან, ულეველი სიმდიდრე შეიქნება, სიკეთესა და სიხარულს არ გამოულევს მის მზრუნველ ადამიანს, სიკეთეს მიაფრქვევს მაღლიან მიწას ქართლისას. სინოტივეს არ გამოულევს, წყაროებს გააუხვებს, მდინარეებს მოუმატებს ლალასა და ბარაქასა. ჰაერს გაამსუყებს, სიცოცხლის წყაროდ იქცევიან. მათი სიკეთე ჩაალწევს მათს აღმოსავლეთით მდებარე დედა თბილისამდე. რომელიც სულ რაღაც 30-40 კმ არის მოშორებული. ეს მხარე ხომ სწორედ იმ ზონაშია მოქცეული. ქალაქ თბილისის გარეუბნების გამწვანების ზონა რომ ჰქვია. ამ სიცოცხლის წყაროობისა და სიკეთის გამო მოემადლიერებიან მისი კალთების დაბლა მყოფი სოფლელებიც, მოშორებით მცხოვრები ქალაქელებიც და მომავალი თაობებიც.

# 100 შალვა დადიანი 100

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა დადიანი

## ჩემი დღიური

16 წ.

1890 წ.

### 6 ივნისი, ოთხშაბათი.

რაღაც არის... დაღვრემილობა ჩვენს ოჯახს ჩვევია. მეც ჩემი ხასიათები ვერ გამომირკვევია და ცხოვრების მიზანიც არ მაქვს წარმოდგენილი. ბევრი კაი მინდა, მაგრამ ავს რომ უძახიან, იმასაც არ ვერიდები. არ ვიცი სწორეთ, ესრეთწოდებული „ბედისწერა“ სით იბრუნებს პირს. მინდა ავწერო: რა და რა მჭირს? რა მინდა? რა მიყვარს? რა მძულს? ერთი სიტყვით, მთელი ჩემი სურათი დავხატო, მაგრამ ვერ მომიხერხებია. ვეცდები კი, რადგან ვიცი, რომ ჩემთვის მაინც უხარგებლო შრომა არ იქნება. მინდა, რომ, რაკი გულითადი არავინა მყავს, ამხანაგად ეს ქაღალდი და საწერ-კალამი გავიხადო, რომ მაგის ჩახედვით ყოველისფერი წარსულისა წარმოვიდგინო და წვრიმალებიც ჩავიწერო, როგორც „სამახსოვრო რვეულში“. ამას რომ ვწერ, თითქოს გულზე მეშვება. რუსთველის არ იყოს, ჩემთვის „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“, თუ კი ამხანაგს ვიშოვი. სალამოთი მარტო ყოფნა დავიწყე. ეს მომაგონებს განვლილ დღეებს ბეთლემში,[1] რომელსაც ისე, გართობაში ვატარებდი. ოხ, ნეტავი იმისთანა ამხანაგი ვაჟი მყავდეს, შემეძლოს და შეეძლოს დაუფარავად ჩვენი ამბების თქმა. მსურს... ჰმ, რა არ მსურს... მაგრამ ვინ და სად?

### 8 ივნისი. პარასკევი.

გუშინ ახალი მასწავლებელი ქალი მოვიდა, დარჩა სულ სალამომდინ: შუა ვერისკენ ჩვენ სამნი: ის, მამა[2] და მე წავედით. მერე მე თეატრში წაველი, ბილეთები მოვიკავე. მერე ვიყიდე, დავბრუნდი და წავედით. მართლა რომ ძალიან თამაშობს როსიმ და ქალი პიერიც. პაშა ვიტგენშტეინი გავიცანით, ქვეშ, ლიტერის ლოჟაში იჯდა...

დილას მამას ვაწყენინე... საზოგადოდ გლახათ ვიყავი, იმიტომ რომ, კონკას მივეწევი მეთქი და ისე კი გავირბინე, რომ ჩვენი სახლიდან ვერამდე სულ რბენით მივედი. ამიტომ რაღაც გული მტკიოდა...

### 9 ივნისი. შაბათი.

დღეს წიგნები ვიყიდე: ერთი «Азбука» ტიხომიროვისა და მეორე „ისტორიული ნარკვევი“ ჭყონიასი...

გულით მინდა სწავლა. აი, დღეს ჩვენმა მასწავლებელმა მირჩია გამნაზიაში კურსის დაჭერა, მაგრამ რა? მამა რაღაც სულ სხვას ფიქრობს. კარგი, ბატონო, ვიცი კარგია, მაგრამ მომზადებული რომ არ ვარ არც იმისათვის, რასაც ის ფიქრობს, და მომზადებასაც სხვა ენაზე რომ მიშლის. არ ვიცი. როგორ ავხსნა! უნდა ქართულად შეისწავლოო. კარგი, მაგრამ ამ დროებით რომ არც ის არის?.. გასაკვირია... როდისთვის... ოჰ, მარტო მე ვიყო... თავისუფალი... ამ ჭკუით...

---

* შ. დადიანის „ჩემი დღიურის“ ტექსტი მოამზადა სათეატრო მუზეუმის თანამშრომელმა ლელი კაპანაძემ.

10 ივნისი. კვირა.

ნასადილევს მუშტაიდს წავედით. მამა მერე მოვიდა. მე სულ ქალებს ვაკვირდებოდი... მგონი კუპცოვა შევხვდა. რა კაი ყოფილა... ამ საღამოს მომაფიქრდა, რომ „სამგზავრო ტომარი“ გავიკეთო, რომელშიაც უნდა ჩავწერო სამგზავრო შენიშვნები. აგრეთვე, დიდი ხანია განზრახვა მაქვს შევკრიბო ყველაფერი, რაც კი, ცოტათი მაინც არის, შესანიშნავი იქნება. ამის გარდა, მინდა ყველა ჩემი ნაწერები გადავწერო და გავხადო შეკრულ რვეულებად, რომ მერე აღარ მამძიმებდეს იმდენი ტყუილ-უბრალო ქაღალდები. ხვალ განარკვს მოგვცემს მასწავლებელი. დასწავლილი სულ გამჭდარად ვიცი. ნეტავი ასე კარგად ვიცოდე საგიმნაზიო ყველაფერი. მასწავლებლის გუშინდელმა სიტყვებმა მაინც ძალიან შემაგულიანეს...

16 ივნისი. შაბათი.

დღეს ცხაკაია მღვდელი იყო, შვილით მიხათი... ხასეირნოდაც ვიყავით. დღეს ქართლის ცხოვრებიდან გადმოვწერე, ე. ი. დავიწყე გადმოწერა ვახტანგ გორგასლანისა ახლანდელ ენაზე და მერე მინდა პოემად დავწერო, თუ კი მოვახერხე... ამ საღამოს ფელეტონები წავიკითხეთ — „მწირი ბერი“ და „საიდუმლო მოვლენა“.

28 ოქტომბერი.

მზე გადაიწვერა და ბეთლემიდან გადმოსულ ბანძას მივატანეთ. დაიწყო ვაკე ადგილები. გამოჩნდნენ მშვენიერი ღელეები, დატეხილი ჰალები და გრძელი გზა, რომელიც ჩვენ წინ მიიღვლაკნებოდა და რომლითაც გვინდა სოფ. საწულუკიძეოს მივაღწიოთ. მალე ცხენისწყალმა მისი შხუილით გვაცნობა, რომ ახლოს არის. გავედით კიდეც და მზეც ჩავიდა. გავწიეთ კიდევ და ცოტა ხნის იქით გამოჩნდა ქვის გალავნები, ოდები, გაჰედილი ფიცრის ბჰის-კარები. კაცი შენიშნავ. რომ, ცოტაც არის. განსხვავებაა. უკან დატოვებულს. ცხენისწყლის გაღმელს მოსახლეობას აქაური, წინ მდებარე სჯობნის. რაღაც ეტყობა, რომ უფრო შრომით, უფრო გარჯით ცხოვრობს აქაური გლეხიც და ყველაც. ვინემ საშეგრელოში, რომელიც ზედვე ატყვია მოსახლეობას იქაც და აქაც...

ქუთაისის ბანკის კენჭისყრა მოახლოებულია. ს. საწულუკიძეოდან ბევრი წასულა და ბევრი კიდევ მიდის ახლა. ყველა ელის, რომ ამ ხსდომებზე კარგი არა იქმნება-რა, თითქო წინასწარი გრძნობა უკელას შეძენოდეს.

5 ნოემბერი. ორშაბათი.

გათავდა კრებები. გაზეთებში დაწვრილებით წერია ბანკის ამბები. მამაც მოვიდა და მეორე დღეს ბეთლემს წავიდა. ჩვენ ჯიხაიშში მივდივართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 ნოემბერი. ხუთშაბათი.

დღესაც აქ ვართ, ჯიხაიშში... აქ კარგად ვატარებთ დროს. ჩვენი სიძე, საშას ქმარი, მხიარულია, ხუმარა და, როგორც ეტყობა, არც ცუდი ხასიათის. კარგად სახლობს და ჭკუიანადაც ცხოვრობს, თუმცა ხან-და-ხან, არ ვიცი რატომ, ფულს უბრალოდაც კი ფანტავს.

ერთ ღამეს მან სვანს ათქმევინა ზღაპარი და იმანაც გვითხრა ორი. ერთი „ას-მამა“ და მეორე „კულა და პურის ნატეხი“... სხვათა შორის, სვანმა თქვა, რომ უწინდელ დროებაში, როდესაც სვანეთში მღვდლები არ იყვნენ, ქორწილი ამნაირი ვიცოდითო: მეფეს და დედოფალს მოვიყვანდით; მერე დედოფალი, ვითომც არ უნდოდეს ისე, გაიქცეოდა და ჩვენ კი დავიჭერდით, ძალად დავადგამდით თავზე კანაფის გვირგვინს და უჩხვლეტდით ნემსს. შემდეგ ამისა ქალ-ვაჟი კანონიერი ცოლ-ქმარი იყვნენო. ამას გარდა, როდესაც ქალი ორსულად არის, წისქვილში ვაგზავნითო...

თბილისი. 4 დეკემბერი. სამშაბათი.

შაბათ ღამეს მოვედით აქ, ე. ი. 1 დეკემბერს, მოვედით ქუთაისიდან...

მასწავლებელი ისევ რუსულისა დადის. დღეს კიდევ განარკვი იყო. მუზიკის მასწავლებელი მოვიდა, მაგრამ პიანინო რაკი არ არის, ე. ი. არ გვაქვს, ამიტომ არ დაუწყია მაშასთვის განარკვები. პიანინო ვერსად ვერ ვიშოვეთ, ყველგან მოკავებულია. მანზე (მუსიკის მასწავლებელი) ამბობს, რატომ წინ-და-წინ არ შემატყობინეთ, რომ საჭირო იყოო...

მასწავლებელმა ქალმა, კვიატკოვსკაიამ, მითხრა, რომ აქაური ახალგაზრდობა მართავს საღამოებს და უნდათ, რომ თითო მეცნიერულ-ლიტერატურული მიმართულების მქონე წიგნაკები ჟურნალსავით გამოსცენო, რისთვისაც ამ საღამოების მართვით და ამგვარებით ფული უნდათ შეაგროვონო, მაგრამ საკმაო შემოსავალი ჯერ არ ქონიათო და არ ვიცი ვისი მეთაურობით არისო... ჩემთვის საინტერესოა, მაგრამ რა? ვინ გაგვიშვებს დასასწრებად იქ. აქ, სახლში უნდა იყო გამოკეტილი. არ ვიცი, რისი მიზეზია ეს, რომ ჯერ კიდევ ვერა ვარ თავისუფალი. უთუოდ რაღაც ჩემგან მიუწვდომელი მიზეზია, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი... მე, ჩემის ფიქრით, რაც ვარ, ის ვარ და მეტი ცვლილებების აწი არა დამეტყობა-რა... ისიც ცხოვრების შხეფი თუ იქნება. ამგვარი კაცი ვარ: მაქვს კეთილი აზრები, შევწირავ კიდეც იმათ თავს და მინდა აგრეც ვქნა, მაგრამ მჭირს ბევრი გლახაც. მაგ., მონა ვარ ვნებათ-ღელვისა. აი, ეს არის უდიდესი ცოდვა ჩემს ცხოვრებაში, სხვა კი მე თვითონ ვიცი (გამოტეხილად ვამბობ), ასეთი შესამჩნევი

ცოდვა არ მჭირს, თუმცა ბევრი კი, მაგრამ ყველას გავისწორებ და ამას კი, მგონი, რომ ვერა. ჰოდა, იმას ვამბობ: რაკი ასეთი ვარ, ამიტომ ეხლაც შემიძლია ასე დაბმულმა გლახა ვქნა და ისეც შემიძლია — გაშვებულმა, რაზედაც ბევრი მაგალითები კიდეც გვიმოწმებს. ამიტომ მიკვირს თუ მამასთანა სწავლული (და რომ სწავლულია ეს ცხადია) კაცი როგორა ცდება. მაგრამ მოვიცადოთ, უთუოდ დრო მოვა, როდესაც მე თავისუფალი ვიქნები, მაგრამ ამდენ მოცდასაც ვერ აუვედი... ვორჭოფობ იმაშიც ახლა, რომ კორესპონდენცია დავაბეჭდინე. რავარი ვქენი? მე კი მგონია, რომ არაფერი უჭირს. ის კი არა, ახლა კიდევ მინდა რამე, სტატიასავით, გავაგზავნო, ან საოხუნჯოსავით. დიაღ, მინდა, მაგრამ არ ვიცი, რავა ვქმნა. შეიძლება მამას ეწყინოს, არ მოეწონოს ეს ჩემი ქცევა... ბევრი რამე მინდა დავწერო დღიურში, სულ ბევრი, მაგრამ რა ვქნა, ვერ ამოვტიე და ბევრი დამრჩა უთქმელი. აზრთა სიჩქარის გამო ვწერ ასე ჩქარა და გლახათ... ძალიან გულით მინდა წრის შედგენა, წიგნაკების გამოცემა, მაგრამ რანაირად!...

1891 წელი 17 წლის

### თებერვლის 14, ქ. თბილისი.

ვერ შევასრულე თქმული და ნაფიქრი. აგერ თითქმის ორი თვე გადის და ჩემს დღიურში ორი ხაზიც არ მომისვამს... ცვლილებები თითქმის არაფერი მომხდარა, იმის მეტი, რომ ერთი ახალი გიმნაზისტი გავიცანი... მარია ალექსანდროვნა კვიატკოვსკაიამ ჩემი „მოზარდებიდან" ვიღაც გიმნაზისტს, მეორე კლასიკურის, აჩვენა, მგონი, ჩიტაძეს და, როგორც ამბობს, იმას ზოგიერთი სტატიები მოწონებია, განსაკუთრებით კრიტიკული და მოწინავე. მაინც ეგენი არიან წარსული წლის „მოზარდებში" უკეთესები. მარია დიდ მონაწილეობას იღებს ამ ჩემს საქმეში... ფრანგულის ახალი მასწავლებელი სამი დღეა რაც დავიყენეთ. იგი ყმაწვილია, კარგი გულის. ქართველია, გვარად ფალიევი და ხასიათითაც არა უჭირს რა, თუმცა ბევრად ნასწავლი ვერ არის... მე ამას წინად გავგზავნე „ივერიაში" სამეგრელოდან წერილი, ელიზბარ დადიანის სიკვდილის შესახებ, მაგრამ არ დაბეჭდეს, არ ვიცი კი რა მიზეზია. ეხლა ვწერ „ივერიისათვის" „საგბოლისს" — საოხუნჯო გაზეთს და ამასთან გავლექსავ ჩემსავე თარგმანს, კიდევ „ივერიისთვის", შექსპირის სონატას. მოვაწერ, პირველს (არ ვიცი რას) და მეორეს — პირდაპირ „შალვას". ამ უკანასკნელად მაინც მოვინდომე, რომ ჩემი ფსევდონიმი სულ აგრე იქმნეს მიწერილი ბელეტრისტულ და ლირიულ თხზულებებში... მამამ გვითხრა ამას წინად: შენ და მაშას სასწავლებელში ეგზამენებზე მიგიშვებთო, მაგრამ არ ვიცი, რადგან ვერ მოვასწრებ სექტემბრისათვის მომზადებას და ჯერ კი არ ვიცი იმდენი.

გუნიას[7] გავუგზავნე მისალოცი ლექსი მის ბენიფესტზე.[8] ლექსი სუსტია და არ შეეფერება ახლაც კი ჩემს კალამს, მაგრამ „არა უჭირს" ზღაპრებს კიდევ ვადგენ... ერთი სიტყვით, მინდა წრეულს ვიჩინო თავი რამეთი... მე ჯერ კიდევ არ მიშვებენ კარში. თუთუნს ვეწევი გუშინ დავლიე, მალულად.

### 10 მარტი, კვირა. ქ. თბილისი.

...საღამოს, მთვარიანში, მე და მაშამ ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენს მომავალ ყოფაზე... ჯერჯერობით არ ვიცი რა ვქმნა და ბევრი აზრები კი მიტრიალებს თავში.. .ახლა ყველა დაწოლილია, მე კი ჟიულ ვერნის რომანს «Между небом и землею»-ს ვკითხულობთ.

### 16 მარტი. შაბათი. ქ. თბილისი.

...სიზარმაცის გამო ვერ დავწერე დღიური... დღეს რუსულის განარჩევი იყო. მაშას არ უსწავლია, რადგან ეს მესამე დღეა, რაც მამა ავად არის და სულ ღამეს უთევს. ჩვენი ფრანგულის მასწავლებელი — გიორგი ფალიევი — ავად გამხდარა ყვავილით.. .გუშინწინისწინ „ჯეჯილის" რედაქციაში კიდევ მივიტანე სტატიები, გადმოკეთებული: 1. რომელი უფრო ბედნიერია, 2. რა შეემთხვა სვლეპია-ტვლეპიას დათვს, და 3. ჩემი შეთხზული — შარადები. დამიბარეს კიდევ ერთი კვირის შემდეგ. მივალ, ვნახავ რა იქმნება. დღეს ვიყავი გიმნაზისტების კრებაზე ზოგი რამ და ზოგი ვინმე მომეწონა. აწი უნდა ხვედრი შევიტანო, ამ შაბათისთვის 2 ეკზ. „სამის თავგადასავალი".

### 18 მარტი. ორშაბათი. ქ. თბილისი.

...ახლა ასე მაქვს გადაწყვეტილი, რომ მამას ვთხოვო და დავითანხმო, მასწავლებელი ვიშოვო და კორპუსში შევიდე, ან ოდესაში წავიდე და იქ ცალკე, კერძო გიმნაზიის საშუალებით „უნივერსიტეტისათვის" მოვემზადო.. ვნახოთ რა იქნება. გაბედულებაა საჭირო, გაბედულება!.. გუშინ განვიზრახე ლიუბკეს თხზულების „ხელოვნების ისტორიის" თარგმნა რუსულიდან. რომელიც უცხო ენიდან არის გადმოღებული თ. ბულგაკოვისაგან. ამასთან დაწერა რამე წერილისა „ივერიისათვის". მამა დღეს უკეთ არის. ხვალ რუსულის განარჩევია ახ ღმერთო! როდის იქნება ის დრო ნეტარი, როდესაც მე ეგზამენდაჭერილი უნივერსიტეტისაკენ გავეშურები!...

### 21 მარტი. ხუთშაბათი. ქ. თბილისი.

...ამ საღამოს იონა მეუნარგია იყო ჩვენთან. ბევრი ილაპარაკა. მერე მამამ მისი ზოგიერთი ნაწერები წამაკითხა...

### 26 მარტი. სამშაბათი, ქ. თბილისი.

გლახა გუნებაზედა ვარ. არაფერი მინდა. არაფერი... მეშინია ჭკუიდან არ შევცდე... მიხა ცხაკაიას ამბავი გავიგე: დაუჭერიათ და მოსკოვში უპირებენ წაყვანას და, მგონი, დახრჩობასაც... მაგრამ ამაზე მერე. როდისმე...

### 7 აპრილი. კვირა. ქ. თბილისი.

მე მინდა დავწერო „კრიტიკული მიმოხილვები“ ჩვენს ქართველ მწერლებზე, რომლებზედაც ხელი მიმწვდება და შემიძლია მართლა გულ-დასმით, უხუმრად, ნამდვილი აზრი შევადგინო, მქონდეს... ახლა ა. ორბელიანის ნაწერებს ვკითხულობ...

...იქითა კვირაში ვიყავი ზ(აქარია) ჭ(იჭინაძესთან) და ვთხოვე გამოეცა ჩემი კრებული „კერა“. მან მითხრა „კარგი, მაჩვენეო“. მიუტანე. ნახა და მითხრა: „კარგიაო, მაგრამ მე არ შემიძლია (გამოცემა), ნამეტანი ხარჯი მაქვსო“. რას ვიზამდი, მაგრამ წყენით მაინც არ მწყენია. „გიმნაზისტების“ კრებები შეწყდა, მათის ეგზამენების გამო. მას მერე მე მხოლოდ ერთს კრებაზე ვიყავი, როდესაც ა. ფურცელაძის „სამის თავგადასავალი“ გაარჩიეს. მართლა, „დიდ-მოურავიანი“ წარმოადგინეს ქართველმა აქტიორებმა პარასკევს...[9]

ამ ახლო ხანში დავწერე სურათი „აღდგომას“ და მინდა დავაბეჭვდინო. კიდევ ბევრი მინდა დავაბეჭვდინო, მაგრამ არ ვიცი როგორ იქმნება. არც ჩემი მომავლის ვიცი რამე...

### 8 აპრილი. ორშაბათი. ქ. თბილისი.

...მინდა რაღაც ახალი, დიალ ახალი, მგონი ჩვენი ცხოვრებაც ახლა მაგას თხოულობს...

### 10 აპრილი. ოთხშაბათი. ქ. თბილისი.

...საღამოს სასეირნოდ წავედით... იქიდან დაბრუნებისას, ერის ხიდთან რომ მივედით, ვიღაც ქალი ვნახეთ, ცხენით მიდიოდა. თავიდან რქის „შპილკა“ დაუვარდა, მე ავიღე და მივართვი. მან დიდი მადლობა მითხრა და წავიდა. მარტო იყო. მე მაშინვე გამახსენდა გოგოლის «мертвые души» რომელშიდაც სწერია, რომ ჩიჩიკოვს გზაზე, ნოზდრიოვიდან რომ მიდიოდა, ვიღაც ქალი რომ შეხვდა და მხოლოდ მოეწონა.

### 12 აპრილი. პარასკევი. ქ. თბილისი.

...გიმნაზისტებისაგან მათი სალიტერატურო ჟურნალი „შრომა“ მომსვლოდა, სამი ნომერი. ამ საღამოს სამსონ სახოკია მოვიდა და ექვთ. თაყაიშვილი, რომელმაც ბევრი ისაუბრა მის სპეციალურ საქმეზე.

### 16 აპრილი. სამშაბათი. ქ. თბილისი.

... ამ უკანასკნელ ხანებში რაღაც ამღვრეულ გუნებაზე ვარ და არ ვიცი რას ვიზამ. ეს უსწავლელობა მაწუხებს... მამა კაი კაცია, ყველაფერი კარგია, მაგრამ ეს ვერ გამიგია — ეს რა აზრია, რომ მე ასე უსწავლელი დამტოვა, ასე უნიადაგო. თვითონ კი უკვირს, როდესაც რამე არ ვიცი: როგორ თუ არ იციო? მიკვირს. დიაღ, ყველაფერი მიკვირს და ამ საგანზე ათასი რამ მიფუსფუსებს თავში...

1892 წ. 18 წლის

### კვირა, 12 იანვარი.

თოვლია. დღეს რა კი კვირაა, ამიტომ მინდოდა ამ წარსულ კვირის ყოველივე ჩამენიშნა. დღეს არ შემიძლია. მინდა მხოლოდ დავიწყო და მერე ყოველ კვირაში ერთჯერ მივცე ჩემს თავს ანგარიში. ეს, რასაკვირველია, ბევრნაირად სასარგებლოა. მე ხომ მწერლობაც მინდა და სხვა არა იყოს რა, რომანის, მოთხრობის მასალადაც გამომადგება ზოგიერთი.

### 28 იანვარი

დღეს გავათავე ემილ ზოლას კითხვა — «в мире Художников». როგორც მახსოვს, ეს პირველია, რომ მაგის რომანს ვკითხულობდე და მაგისაგან კი არ ვიცი რა გამოვიტანე, რა უნდა იყოს? არა, ვიცი. როგორ არა, მაგრამ თითქო სიტყვაც ვერ მიშოვია მაგაზე აზრის სათქმელად. ეს რაღაც სხვანაირი ნაწერია, არა იმ ყალიბზე გამოჭრილი, როგორადაც საზოგადოდ წერდნენ და წერენ ყველა მწერლები სხვადასხვა ქვეყნისა. ეგ რომანი ცხადი·რეალიზმის ნაყოფია, ყოველგვარ ფანტასტიურ ადგილებს მოკლებული, მაგრამ მაინც რაღაც საერთო არაფერია და ნაწყვეტი სცენები უამრავთა უამრავლესია, რომელშიაც, მართალია, ბევრი ცხოვრების ცოდნა ეტყობა, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რის გამოსახატავად არის. უთუოდ მე ვერ გამიგია, თორემ ეს ახალი შკოლაა მთელს ქვეყანაში, ახალი შემოღებული სწავლა და მაგის ავტორიც უდიდესი დამაარსებელ-წარმომადგენელია რეალიზმისა, რისთვისაც გაუგებარობა ჩემს თავს უნდა დავწამო და ეგ კი ალვამალლო. რადგან ყოლიფერი, რაც ახალია, უფრო შემუშავებული ჭკუის ნაყოფი უნდა იყოს და, რასაკვირველია, კაცმა უკეთესს უნდა დაუჯეროს... ტიპები რომანში ნამდვილნი არიან და მართლაც ღირსი ავტორისა. საზოგადოდ მეც

ხომ რეალიზმის თაყვანისმცემელი ვარ. ჩემი აზრია: ჯერ რეალიზმით თხზულებებში გამოვხატო ის, რაც არის, და მერე იდეალურად დავხატო, რაც ნანატრი არის...

გუშინ დავიწყე ვიქტორ ჰიუგოს სურათის გადახატვა. მგონი, რომ გვარიანი გამოვიდეს...

### თებერვლის 6. ხუთშაბათი.

ქარია.

აწი მინდა ყოველ დღე, რაც მოხდეს მოხდეს, მაინც დავწერო და აღვნიშნო თუ ნააზრევი არა, ცნობები მაინც.

მე ეხლა შექსპირსაც ვკითხულობ. „კერას" კიდევ ვამზადებ დასაბეჭდად, რომელსაც კ. თავართქილაძე გურიაში ბეჭდავს. წერით კი ამ მოკლე ხანში ერთი ლექსის მეტი არაფერი დამიწერია. მეც მიკვირს, მაგრამ ჰო, ეს ხომ გუნება და გარემოებაზეა დამოკიდებული.

### 18 თებერვალი. სამშაბათი.

დადგა დიდმარხვა... გუშინ აქ, ს. ბეთლემს, მოვიდა გიორგი ფალიევი. მე დღიურის წერა თითქო მივატოვე, მაგრამ არ მინდა და არ ვიცი რა მიშლის, სიზარმაცე თუ მოუცლელობა. მგონი უფრო პირველი. ამ კვირაში წავიკითხე „ესხილი" და გავიცანი მაშინდელი ყოფა და თეატრი... „კერას" წერაც დღეს გავათავე და აწი ავტორობის ნებართვაა საჭირო, რომ დაჩქარებით გავგზავნო. ვეჰვობ დაბეჭვდას. მაგრამ ვცდი კი და ეგ ხომ ბედის მონახევრეა... მე დღეს ბევრი ვბარე ჩემი საყვარელი, რომელშიაც გამოდის მამას ვენზელი. ამას გარდა, მინდა ბაღის გაკეთებაც... ახლა ვკითხულობ „მინერალოგიას". მინდა ყველა სახელმძღვანელოები მაინც გადავიკითხო, ვიცოდე მაინც, მქონდეს მაინც «Общее понятие»

დღეს დღე ნისლიანია და ამაღამ წვიმს... ახლა პოემას ვწერ, ისტორიულს.

### 20 თებერვალი. ხუთშაბათი.

გუშინ ჩვენს „სულიერ მამებზე"[10] დავწერე სტატია „სამოზარდოდ" (მე ხომ ხელნაწერი ჟურნალი „მოზარდი" გამომდის ყოველ ორ თვეში ერთჯერ.[11] სადაც ვწერ ბევრს და ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებს ჩემსას და სხვისას, გარდა პოლიტიკისა, რაშიდაც ჩემს აზრებს უფარავად გამოვსთქვამ). „მინარალოგია" ცოტა წავიკითხე. ამას გარდა „დავით V"-ს ცოტა წავუმატე. ამას გარდა წავიკითხე «Курс русской литературы» კიდევ ვბარე საყვავილე, ასე რომ, მთლად ფუჭად არ ჩამიტარებია დღე.. ფიქრი რასაკვირველია, მაქვს მომავალზე, მაგრამ არ ვიცი კი რა. რაც გადავწყვიტე, ის მინდა შევასრულო. აი, რომ მითხრეს დერგაჩის აგრონომიულ სასწავლებელზე, მაგრამ... მაგრამ ხანი (18 წელი), ფული, ნება:.. ესენი ყველა მიშლის ხელს... ასე რომ, მაინცდამაინც ხსნუგეში არა არის რა... მართალი უნდა ვთქვა — გული გატეხილი მაქვს... თუ კი ჩემით ჰო, შემიძლია გავხდე ეხლავე „კარგი აქტიორიც", მწერალიც, მაგრამ ერთი ან ესენი საქართველოში მისცემს კაცს ლუკმას უზრუნველს...

პროზით ვთარგმნე ტურგენევის ლექსი...

### თებერვლის 27. ხუთშაბათი.

დღეს გვარიანი დღე იყო. არც დღესა ვარ გუნებაზე და საღამოს ხომ სულ გლახაზე დავდექი, რადგან მამა და მე რაღაც ლაპარაკს შევყევით და საქმე იქამდის მივიდა, რომ სიტყვამ მოიტანა და ჩემი «Жалкая подготовка» მითხრა. ეს მე მამასაგან ცრუ ამაყობით კი არ მწყენია, არა. მე წარმომიდგა ის, რაც მართალია და იმან უფრო დამითუთქა გული, ისე, რომ ველარ მოვითმინე და ეზოში ბევრი ცხელი კურცხალი ვყარე. ეს წუთი არასოდეს არ უნდა დამავიწყდეს. რაღაც ჩემთვის გაუგებარი გრძნობით ვიყავი მოპყრობილი. თავის მოკვლა არ მინდოდა, ღმერთს არ ვგმობდი, მაგრამ მაინც უმყოფობა მერჩივნა და როდესაც ერთმანეთის შესახალს აზრებს ერთად შევყრიდი, მაშინ უფრო მერეოდა ყოველივე, ამხანაგი რომ მოეცა ჩემთვის ღმერთს! რუსთაველი ხომ ამბობს: „დიდი ლხინია ჭირთა თქმაო", მაგრამ ეჰ...

### 7 მარტი. შაბათი.

...ჩემი „კერა" მზად არის ყველაფრით. „დავით V" ვწერ კიდევ. დღეს კითხვითაც ვიკითხე ცოტა რამ. ყოფნით სულ მანსარდში ვიყავი, რომ სხვებს ვერ შეეშალათ ხელი...

### 8 მარტი. კვირა.

დღეს ცოტა წვიმდა. გრიგოლი წავიდა ხენაკს და წაიღო გაზეთები და წერილი. შეიძლება როლი მომიტანოს. სამ. ყიფიანს ვთხოვე მათი წარმოდგენისათვის... დღეს დავწერე წესი გამრიგე წიგნების კითხვისა და სხვა ჩემი მოქმედებისა, რომ ზედაპირული წარმოდგენა მაინც მქონდეს ყველაზე და მერე დაწვრილებითაც გამიადვილდეს შესწავლა. დღეს ასე გავატარე რაღაც... არც მე ვიცი, რატომ და როგორ? უფრო ვითომ ვიკითხე მეტი, თუმც წერითაც წავამატე „ბოთლის" თარგმანს ცოტა. „კერა"-სათვის ქაღალდი არა მაქვს, თორემ მინდოდა კი გადამეწერა მხოლოდ „საბრალო მოხუცი" და ბარემაც გამეგზავნა... ამაღამ კიდევ წავიკითხე «Царь Колокол»-ში «В мире искусства» არაფერი უჭირს, კარგი მოთხრობაა

### 9 მარტი. ორშაბათი.

გრიგოლი მოვიდა და მოიტანა ამბავი, რომ სამ. ყიფიანს მომავალი ხარების წარმოდგენაში

ჩვენი მონაწილეობა უსურვებია, რომელიც მეც წინეთაც მივწერე. ის ახლა მაშასაც თხოვს და არ ვიცი კი როგორ იქმნება. მამას, თუმცა საუარო არა უთქვამს რა, მე კი მგონი, რაც უნდა იყოს, მივიღებ მონაწილეობას. მიხარია კი, მაგრამ მწყინს თუ როლი ვერ იქნა კარგი. დღეს დავიწყე სისტემატური კითხვა წიგნების.

11 მარტი. ოთხშაბათი

დღეს საძაგელი დღე იყო. მამამ დაგვიშალა სამსონ ყიფიანის წარმოდგენაში მონაწილეობა და, რასაკვირველია, გვეწყინა. მაგრამ რას ვიზამდით... ნატამ ქუთაისში წასვლა მირჩია და სთხოვა მამას. მე ეს კიდევ შემოურიე ლაპარაკში, მამაც დამეთანხმა და ბოლოს კი, სულ გადაწყდა წასვლა... სულ მომავალზე ვფიქრობ, თუმცა მაშას დატოვებაც მაწუხებს.

20 მარტი პარასკევი.

...დღეს საშინლად მოვწყინდი... მამამ გადმოთარგმნა კოლცოვის ლექსი „უკანასკნელი ბრძოლა“. თარგმანი კარგია, მხოლოდ არქაიზმს არ არის მოკლებული. გავათავე „კერას“ გადათვალიერება...

...შინაურების ამბავი მაწუხებს. ვიცი იქაური ამბავი, ვერ იქნებიან კარგად და ვწუხვარ. მე კარგადა ვარ და ვინ იცის, ჩემი და როგორ არის?... სწორედ არ მიყვარს სხვის უბედურებაზე, მწუხარებაზე შემდგარი ცოტა ხნის მომტყუებული ბედნიერება... მაშო შეწუხებულია და მე კი არა, ეს მაწუხებს. სასწავლებლად რომ ვიყო, მაშინ კიდე პო, სხვას ვიფიქრებდი, ეხლა კი რაღაც უხერხულად ვარ...

1893 წ. 19 წლის

24 დეკემბერი. პარასკევი.

მე ახლა ცხრამეტი წლისა ვარ... ქუთაისში ვცხოვრობ მამასთან. სცენაზე ვთამაშობ.12 დიდი აქტიორი ვარ... მაგრამ, რასაკვირველია, არც დიდი როლები მეძლევა და არც გამოჩენილი არტისტი ვარ. თავს არ ვიქებ და ისე როლს არ წავახდენ თავის დღეში, თუ კი შესადარი ჩემი ღონის მექნება — ჯერ-ჯერობით. წლევანდელ სეზონში, გარდა ერთი სპექტაკლისა, ყველაში ვერიე და არც ერთში არ მახსოვს, რომ მაინცდამაინც რამე განსაკუთრებული შეცდომა მქონოდეს.მაგრამ ეგეც არის ხომ — არც როლები იყო ეგეთი, რომ ბევრი რამე დაჩენოდათ... ვგრძნობ კი, რომ თამაში სწორედ შემიძლია და ცოტა კიდევ მეტი სითამამე და ჩვენს სცენას ერთი ნამუსიანი აქტიორი შეეძინება. დიაღ, ცოტა კიდევ მაკლია, ჩემის ფიქრით, სცენაზე თავისუფლება. ეგ რომ არ იყოს, ჩემი ხმისა და ცოტა ნაპერწკლის პატრონს შემეძლება ეხლავე ვითამაშო უფრო დიდი და კარგი როლები. ეხლ[illegible] განსვენებულ ყაზბეგის როლებში მომდის ხოლმე გამოსვლა. აი, ამ კვირასაც, 19 დეკემბერს „ხანუმაში“ მიკიჩ ტყუილ-კოტრიანცის როლი მქონდა. ცოტა მეშინია კი... რაღაც მსგავსება არის... ყაზბეგიც მწერალი იყო და მეც ხომ დავიწყე კიდევ ვარჯიში ლიტერატურული (რასიკვირველია, თავს არ ვადარებ, ისე ვამბობ მსგავსებაზე, თორემ). ისიც ხომ სცენაზე თამაშობდა და მერე კიდევ უფრო კარგად ბებრებს. მეც ისრე გამომდის. ჯერჯერობით ბებრების როლებს უკეთესად ვასრულებ.. ისიც ხომ დიდი კაცის შვილი იყო, მიატოვა ყველაფერი და მხოლოდ ორ საქმეს — სცენას და მწერლობას შესწირა მისი თავი და ლიტერატურაში დასდო კიდეც ღვაწლი, მართლაც რომ ღირსეული; მეც ხომ დიდი კაცის შვილი ვარ და მეც ხომ, რაკი ვაქტიორობ, ნათესაობა მიბღვერის. მართლაც, რომ ყველა ესენი ერთიმეორეს მეტად წააგავს და მეშინია ბოლოც არ დაემგვანოს, რადგან ბოლო არაფერი სასურველია. მაგრამ ეჰ, ერთი მეც!.. დავიწყე ფატალისტობა. ტურგენევის ერთი გმირის არ იყოს, რომელიც, მაშინდელი დროის მოდას აყოლილი, ნაპოლეონს უდარებს თავის თავს ყველაფრით. და ნუსხაც კი აქვს შედგენილი ციფრების მისი და ნაპოლეონის დაბადებისა და ნათლობის, რომლებიც ერთად შეერთებულნი ჯამში ერთნაირივე ციფრებით გამოდის... დიაღ... ეხლა, მისი არ იყოს, მეც მოვყევ მსგავსებას... ოღონდ ყაზბეგის ოდენი რამე მხრით მაინც შევძინო ჩემს კეკლუც და დატანჯულ ქვეყანას, როთაც და როგორც უნდა იყვეს ჩემი თავი, ჩემი სიცოცხლე, რითაც უნდა იქმნეს, რა ვუყოთ. აქ კერძობია არაფერი მოსატანია. ყველამ საერთო, „ჩვენი“ უნდა ვცადოთ ამ გლოვის დროზედ, როდესაც დაწყურებულია ქვეყანა, როდესაც სხნა უნდა პირისაგან კაცს, თორემ დაგვიანებულზე არც ლხინში ვარგა მოხმარება და ჭირში ხომ სულ სიგლახეა და სიგლახე. — „ოდეს კაცსა დაეპიროვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“...

ქუთაისში თეატრი კ. მესხსა და ნ. გამრეკელს აქვს აღებული ქალაქის ბაღში, ქალაქისავე სახლში, ხელმწიფე რომ 88 წელს მოვიდა და გაუკეთა თავად-აზნაურობამ ჩაის სახმელად. თეატრი კოხტაა, ლამაზი და პატარა, მაგრამ თანავე შიგნით ბევრი «Неудобство»ებიც არის. ჯერ-ჯერობით ზამთარში ცეცხლი არ ანთია, ისე რომ, მაყურებელი შუბებ-ქურქებში გახვეული შემოგვცქერის. ამასთან, არც „კარიდორია“ იმხელა, რომ ოთხი-ხუთი კაცის მეტი მოთავსდეს და ეგეც ხომ თეატრში ერთი დიდი ნაკლოვანებათაგანია. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არც ბუფეტია... თეატრის სილამაზე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შიგნით ლამაზად მოხატული, კოხტა მოჩუქურთმებული, სვეტებ-გამონაკვთული და დახატულია. თვი-

თონ ლოჟებიც გვარიანად კარგად არის მოწყობილი ქუთაისის შესადარად და სხვა... შიგნით სცენა კი, ღმერთმა დაიფაროს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ევროპაში ბევრს „შებალაგნეს“ უკეთესი დეკორაციები ექნება... სცენაც შესადარად პატარაა, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი, რომ დეკორაციების სიღარიბე არ იყვეს. მართალია, ჩვენ მეტად ყოჩაღადა ვართ. რა გინდათ, რომელი პიესა გინდათ, რომ არ დავდგათ, მაგრამ დეკორაციებსა და კოსტიუმებზედ ნურას უკაცრავად, მაგრამ (კიდევ მაგრამ) რა ვუყოთ, ქუთაისია, მიეტევება — — დიაღ, იმერეთია, ჩვენში ყველაფერი მიგვეტევება...

თატრის დასს წლევანდელს სეზონში არა უჭირს რა. მსახიობებიც კარგნი არიან, განსაკუთრებით ეფ. მესხი, მაშო ჩხეიძე[13] და დ. ივანიძე. ეს სამნი სწორედ რომ აქაური სცენის ბურჯნი არიან... რასაკვირველია, ეფ. მესხი ყველასა სჯობს მისი ჭკვიანური თამაშობით. იგი სწორედ ნიჭია, თითქმის რომ განხორციელებული ნიჭი და მაგითი გააქვს, თორემ სკოლა, ეგზომ ნაქები წრეულს „კვალი“-საგან,[14] იმდენად ვერას შველის. იმას მართლაც აქვს შემოქმედებითი, სცენიური უნარი, და ძლიერ ხშირად, მართლაც რომ, თუ მთლად სწორად არა, ძლიერ დაახლოებით მაინც დაგისურათებს აღებულ ტიპს. ეგეც კმარა ქართველი მსახიობისაგან, რომელსაც თითქმის არც ერთი ხეირიანი მსახიობი არ უნახავს სცენაზე, და მხოლოდ მისი ძმის, კ. მესხის, წყალობით, რომელსაც უსაცილოდ ესმის სცენა და უსაცილოდვე კარგი რეჟისორია, გაეგება მაგდენიც. მაშო ჩხეიძეც, თუმც ჯერ გამოუცდელია და ხმაც სუსტი აქვს, თუკი განაგრძო სცენის სამსახური, სწორედ რომ კარგი მსახიობთაგანი გამოვა. მაგას ეხლავე ეტყობა როლის ჩაკვირვება და შეგნებული, გზიანი თამაში. ეტყობა ესმის ტიპის ხასიათი და ეტყობა, გულისყურს აღევნებს სულის ვითარებას გამოსახატავი პირისას. ეს ნიშნები მეტად საიმედოა. ამას დაუმატეთ სახეც, ეშხიანი მოხდენილობაც... ივანიძის ქალი — ეს ამ ორზე უფრო დაბლა დგას განათლებითაც და ამის გამო, ხომ სხვაფრივაც ჩამოქვეითდება მეტად ნიჭიერიც... ივანიძეს აქვს ის ბუნებითად თანდაყოლილი საქციელი, რომ ჩვენებური, უფრო სომხის სოვდაგრის კაპასი ცოლები, ან ბებრის კომიკური როლები, ან მაჭანკლებ-ცოცხლად თვალწინ დაგვიყენოს და ამითომაც ქუთაისის სცენისათვის ესეც საჭიროებას შეადგენს. ავი ხანუმა[15] ურიგო არ არის გადმონათარგმნ პიესებშიც მაგ.. წელს ზუდერმანის პიესა „პატიოსნებაში“ — „ხეინეკე“. დედის როლი. სხვა ქალები ურიგისი ჯერ არავინ არის...

კაცების „პერსონალი“ უფრო მდიდარია: კ. მესხი, ლ. მესხი, ვ. ბალანჩივაძე, მ. ბოლქვაძე, კ. ბადრიძე, ხანდისხან ვრ. აბაშიძე და მე — ქუჯი. წელს იყო ხარაზოვი კიდევ, გვარიანი კომიკი, მბაძავი ვ. აბაშიძის, მაგრამ რაღაც გაუგებრობის გამო წავიდა. ეს ხომ მსახიობებში, ჩვეულებრივი შემთხვევაა: «Актеры, это погибший народ».

— აი, საზოგადო ფრაზა, მაგრამ მე მაინც მომწონს სიტყვები ერთი რუსი აქტიორის კომიკის დავიდოვისა: «Большое счастье быть актером — только не русским» მეც გავიმეორებდი, მაგრამ არა, ღმერთმა დამიფაროს ქართველი არ ვიყო. არ მინდა სხვად ყოფნა, არა, რადაც ღმერთმა გამაჩინა, ის ვიყო, იმად მოვკვდე...

კ. მესხი, გუნიას არ იყოს, ჭკუიანი აქტორია. და ეს სიტყვა სწორედ რომ ზედგამოჭრილია. ჭკუიანი. ეს შეიძლება ასედაც ავხსნათ: კ. მესხი ჭკუიანად თამაშობს მაშინაც, ე. ი. დინჯად, როდესაც გაბურძგნული ალი სიყვარულისა მოსდებია ჭაბუკს, და ჭკუიანად თამაშობს მაშინაც, როდესაც შუახნის რეზონიორის როლებს ასრულებს, რომელიც სწორედ, რომ უფრო შეჰფერის და რომელიც ჩემის ფიქრით მისი ამპლუა უნდა იყოს. კ. მესხი შეუდარებელი არცერთ როლში არ არის (მე არ მინახავს იგი პიესაში „შეშლილი“ რომელშიც აქებენ), მაგრამ ზოგიერთ როლებს სწორედ ღირსეულად ასრულებს. ხმა არა აქვს კარგი და მკაფიო გამოთქმაც იმდენად არ ემარჯვება, მაგრამ სცენის საფუძვლიანად ცოდნით, ყოველთვის მარდად გაუხტეს ხოლმე გასაჭირს. როლის უცოდინარობა ხშირად იცის, რაც თავის დღეში არ შემინიშნავს ეფ. მესხისა და, განსაკუთრებით, მ ჩხეიძისათვის.

მ. ჩხეიძემ ყოველთვის ზეპირად იცის, სიტყვა-სიტყვით თავით-ბოლომდე მთელი როლი, რასაც ზოგიერთი აქაურები მის სიახლეს წამოებენ... კ. მესხი, როგორც რეჟისორი, თუ მოინდომა, ეტყობა, კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, რაც უფრო გულით მსურდა — შესწორება მისი გასწორებით სცენისა, ამ ბოლო დროს აღარ შემხვდა, რადგან ჯიბის კულისათვის უფრო კომედიებს და პეპიტროლეებს თბილისიდან უხშირეს, სადაც, რასაკვირველია, რეჟისორობა იმდენად აღარ არის საჭირო.

კ. მესხის შემდეგ მეორე ადგილი უთუოდ ჩემს გულითად მეგობარს ვ. ბალანჩივაძეს უნდა დავუთმო. იგი ნიჭიერი არტისტია: მისი საუკეთესო ღირსებებია: ხმა. მანერა, ტანის ასხმულობაც, თავისუფლება სცენაზე რა როლიც გინდა დაავალე (რასაკვირველია, კლასიკურ პიესებში ჰამლეტისა და დონ კარლოსის ან ფრანც მოორის როლებში დაიკოჭლებს. მაგზე როლი ვამბობ). არსად არ შეგარცხვენს ყველგან პირნათლად გამოვა. ეგ ბევრი ხანი არ არის, რაც თამაშობს და მე დარწმუნებული ვიცი, რომ მაყურებელში დიდ სიმპატიას იმსახურებს... კარგი საქმეა, როდესაც მსახიობი

გრძნობ, რომ მაყურებლისათვის არაფერი დაგიშავებია, პირიქით, დააკმაყოფილე კიდეც. და ვასიკოს ამისთანა მომენტი ბევრჯერ შეხვდა მის მცირე ხნის სცენის სამსახურში. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მე არ ვიყავი შესული აქაურ დასში, ნათლად მახსოვს ვასიკოსაგან შექმნილი მეფე ბაგრატის შვილის, დავითის როლი „ლანგთემერში“...[15]

მ. ბოლქვაძე არც ერთს არ ჩამოურჩება უკან. ჩამორჩება კი არა, გვერდი გვერდს მისდევს ჩვენი სცენის პრემიერებს და ხანდახან უსწრებს კიდეც. ბოლქვაძე უფრო კომიკია, მაგრამ წელს ერთჯერ კიდევ დაამტკიცა „დაძმაში“,[16] რომ ხურამზულ დრამაშიც პური ლელოს გადაქვს... ბოლქვაძის დიდი იმედი მაქვს და უთუოდ გაამართლებს კიდეც იგი ამ იმედს... საამოვნოა, სასიამოვნო, რომ ბედმა ამისთანა ნიჭიერ ამხანაგებთან მარგუნა მეც სცენაზე თამაში...

...თეატრი, სცენა, მსახიობი — ეს სიტყვები, რაი თავის ცნობიერებას მოვეგე, მას აქეთ იტაცებდა ჩემს სულსა და გულს, და, როდესაც თბილისში უფრო დაახლოებით გავიკანი იგი, ხომ უფრო მოძედო „ალი ტროფობისა“. ეხლა მეც ერთი მისი მომსახურეთაგანი ვარ. მე დადიანი, ნიკოს შვილი... ოჰ, რამდენჯერ მინატრია ეს დრო გულში და ეხლა, აი, ვარ კიდეც. ეხლა ვარ, მაგრამ განა აწიც დავიჩაგები? — სირცხვილი, ქვეყანა?.. მაგისათვის რომ მეყურებინა, ახლაც არ ვიქნებოდი მანდ. არც მამას მოსწონს მაინცდამაინც ეს ჩემი კარიერა, მაგრამ რა ვქნათ... „ეს სოფელი ასეთია... მოეთია, მიეთია“ მამა მიტამ იწუხებს, რომ შენგან ქვეყანა მეტს მოელოდა და მოვალე ხარ კიდეც მეტი მისცე. შენ ჩვენს ტანჯულს სამშობლოს სცენაზე გრძნობით და მანჭვით კი ვერ დაუამებ წყლულს, არამედ უფრო ხელმოსაკიდი, სისხლის, ოფლ-მონაფური ღვაწლი უნდა დაუდო. ეს შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ ერთი, რომ ლიტერატურის და ხელოვნების წინ წაწევა განა ხალხსაც წინ არ წასწევს?.. უფრო მეტ ღვაწლს რომ მთხოვს, საიდან მთხოვს, მაგისი თავი მე არ მაბია... მე ჩემი ღონის შესაფერისად ვცდილობ, რომ მთლად არ დავუკარგო უნაყოფოდ ერთი ახალგაზრდა ძალი, რომელიც მე ბუნებამ ჩამაბარა... ხანამ პირში სული მიდგია.

აქ არის ერთი ახალგაზრდა კაცი, სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელი ივ. რატიშვილი, სწორედ რომ კეთილშობილი აზრების მქონე და კარგი სურვილების განხორციელების გულით მდომელი, ყოველი გაჭირვებულის დამრიგებელი და შემწე, ახალგაზრდების რჩევის მომცემი... აი, ამ კაცმა ერთს ღამეს დ. ხოშტარიადან (ლუტუ მეგრელი) მომავალმა გზაზე დამიჭირა და ჩვენს აწმყოსა და მომავალზე დამიწყო ლაპარაკი. მელაპარაკა ისე გულშემატკივრად, რომ გული მოხიბლა, მალამო კი მაინც ვერ დასდო. მირჩია გამოვცდის დაჭერა რეალურ გიმნაზიაში და მერე საინჟინრო, ან სატეხნიკო ინსტიტუტში წასვლა. მითხრა, რომ ოთხ წელიწადში მშვენივრად მოვემზადები... მერე თუნდა ყველაფერი ეგ იქნეს, განა ის სწავლა მომიტანს უკეთეს რამეს, რომ ჩემს ქვეყანას უფრო მეტად გამოვადგე? — ვერა მგონია. თუკი ვიმარჯვე და იმ საქმეში გამოვედი კარგი, რაც განმიზრახავს, მეტი არა მინდა რა. შეიძლება მაგ დიპლომიანმა მეცნიერებამაც პირადად მე მეტი სიკეთე მომაყენოს მატერიალურის მხრით, ზოგიერთ საზოგადოებაში პატივცემულებს შემახვედროს, შემახვედროს კარგ ქალს და განცხრომით ცხოვრებას, მაგრამ ვერ შევიქმნები მოღვაწე მართალი, მშრომელი, რიგიანი მაგიდი... მე შეიძლება მაგის უმისოდაც ვიქნე უკეთესი ვინმე და ღმერთმა ხელი მომიმართოს...

1899 წ. 25 წლის

18 მარტი. შაბათი. სოხუმი.

კნ. ლ. შ-ძეს ნამდვილად მოვწონვარ. ეს ის მოწონებაა, რომელიც უხუმარ საგნად იქცევა ხოლმე... რა კარგია! მეტად კარგი არსებაა, მგონი! მაგრამ „მგონი“ აქ არაფერი საჭიროა, რადგან იგი ეგეთი გულუბრყვილო ქმნილებაა, მაშასადამე, მისი გამოცნობაც, მასდა სასახელოდ, არც ისე ძნელია... ნუთუ, ბედო, აქ არის ჩემი ნავ-საყუდელი? ნუთუ აქ შევჩერდე? ან კი რა ჯობია დამშვიდებულ, სიყვარულიან ცხოვრებას... მაგრამ ჯერ ვინ იცის!...

14 მარტი. კვირა.

კიდევ ერთად მთელი დღე. ეს თვალები აგრე მჭერმეტყველებენ. ისეთის წმინდა ნაპერწკალით იგზნებიან ხოლმე, ისე მადლიანად იხედებიან. ჩემი სახე გრძნობს მათს ალერსიან ხნივს. ეს უმანკოება, ეს გულუბრყვილობა, ღმერთმანი, წარმტაცია, გამაბრუებელი... რას ნიშნავს ეს მოკრძალება, ეს რიდი ჩემი? მგონი თვით ამათშია მშვენიერებაც, რომ გინდა და არ ამბობ, გსურს და ჯერ არ ასრულებ. ან შეიძლება შიშია — ისარი მშვილდს ცუდად არ წასცდესო? ანდა თამაში კატის გვარი!.. მერე რა ვუყოთ, ეს შედარება განა დამცირებაა საგნის? ამ კატისგვარ თამაშშიც ხომ არის თავისებური სიამოვნება!.. როგორც უნდა იყოს, მე კი, ღმერთმანი, ნეტარებასა ვგრძნობ... რათ მინდა ეს სიტყვა — „ღმერთმანი“? უთუოდ მისთვის, რომ კაცი ხშირად ამ გვარებში თავის თავსაც ეცრუება და მის გულის პასუხშიც ტყუილს ურევს, რომ „ეფექტი“ იყვეს, მაგრამ განა ისედაც არ ვიცი, რომ, რასაც ვამბობ, გულიდან წარმონადენია.. ეხლა როდისღა შევიყრებით? რა კარგი იქნება როგორმე მალე!

13 აპრილი. ქ. სოხუმი.

რით ვარ ბედნიერი? რა ქვეყნის შვილი მე ვარ, რომ ბედნიერი ვიყო? დაჩაგრული მხარე, უმეცრებაში ჩაღრმავებული, სავის თავს ვერ მცნობი, ფრთა დაგლეჯილი, წელ უმაგრო!.. უმოძრაო, შეზარმაცებული, მძინარე ქვეყანა!.. აქ, ამ მხარეში დაბადებული კაცი განა ბედნიერი იქნება? მაგრამ სიტყვა ბედნიერი მეტად დიდი სიტყვაა. არა, აქ გაჩენილი ადამიანი კმაყოფილიც ვერ არის... მე კი სრული გამოხატულება ვარ თვით მთელი ჩვენი ქვეყნისა. გულით და სურვილებით კეთილშობილი, საუკეთესო გრძნობათა სულში მზრდელი. ჩვენს ქვეყანას ვგევარ მისი მშვენიერი ბუნებით და თანდაყოლილი ხასიათითა, მაგრამ ზარმაცი და თითქმის ყოველმხრივ ბედმოცარული. მისი სამწუხარო თვისებების გამომხატველი ვარ. უმიზნოდ მყოფი. შინ და გარეთ დაუწყობელი, საქმეებაწეწილი და მათზე არ მზრუნავი — პირდაპირ მისი წარმომადგენელი ვარ. გულ-აფურჩხული. ორ-ლობე შუა მდგარი, ბევრი რამის მცოდნე, მაგრამ უნაყოფო, თვალ-ახელით მცქერალი, მაგრამ უსაქმო. ჩემს ტანჯულ ქვეყანას მივემსგავსები! დიაღ, დიდი მსგავსებაა ჩემი ქვეყნისა და ჩემს შორის!.. ორნივ დაჩაგრულნი, ორნივ წელ-გაუმართავნი... კიდევ მეტყვით — ბედნიერი ვარ? ჩემი სული კმაყოფილი არ არის! ჩემს გონებას კამარის შეფრთქიალება აკლია, ჩემს გულს დაუმშვიდებელნი გრძნობანი შემოჭიდვიან...

რაო მერე? ამით ჩემი ზნეობრივი გაკოტრება გამოვაცხადე თუ ჩემი ქვეყნისაც?.. არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ეს ანალიზი მართალია, ეს თავის თავის გამოწვლილვა შაუმცდარია!..

მაშ რა? როგორი ნაბიჯი წინ? ან გვაქვს მე და შენ, ჩემო სასურვო მხარევ, კიდევ ნიჭი ნაბიჯის გადადგმისა?.. მაგრამ შეიძლება გწყინს ეს შედარებაც, შენი ერთის გამგებიანის, მაგრამ ულონო შთამომავლის!.. ნუ გეწყინება, ეს მართალია, შენც მე მგევხარ, სამწუხაროდ!.. ეს არ რის ცილისწამება და ეს არ არის შენს თავზე კიდევ ერთი უმიზეზოდ, ჩვეულებისამებრ, უდანაშაულოდ მოხვეული ბრალი.

მაგრამ ის კითხვა მაინც კითხვად დარჩა: ნაბიჯი წინ თუ არა? აი, აქ კი განვეყოფებით მე და შენ ერთმეორეს „ჩემო კარგო ქვეყანავ“! ამ ჯვარედინზე მე უკან ვრჩები, შენ კი, მჯერა, რომ სასანთლო გზისკენ გადაუხვევ და გადადგამ მტკიცე და უტყუარ ნაბიჯს. მაშინ გარს გეხვევა შენი რჩეული შვილები, რომელთაც შენი ძვირფასი ბუნება სიმხნეს და კეთილშობილებას ჩაუნერგავს. შენი მამაცი, ძველი, უკვე მაშინ გამოღვიძებული სული უტყუარს თავის ცნობიერებაზე მოაეღებს და ქართულად დაპურებული, ევროპის ხნიერ ჩაშუქებული ქართველი ქალი გარდასცემს მათ ზნეობის სისპეტაკეს, ნამდვილს ღრმა სიყვარულს სამშობლოსას (რომელსაც, აქვე ვიტყვი, ვერც მე დამაყვედრი, მაგრამ... „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს“) და წმინდა და ნაზ გრძნობებს ნამდვილ კაცისას. აი, ეგ ძეები, მხარ-ბეჭ მტკიცენი, წელმაგარნი იქნებიან. ეგენი ბურთს ლელოზე გადაიტანენ... მე ეს მჯერა ასე იქნება და ამიტომაც, თუ კი ვცხოვრობ, თუ კი მოვკვდები, ორივეგან სანუგეშოდ ეგა მაქვს... მე კი აქ გაგეყრები, ამ გზაჯვარედინეზე-მეთქი, რადგან ვერ მოგყვები მანდეთკენ... მოსეც ხომ ვერ შევიდა „აღთქმის ქვეყანაში“.. სანუგეშო შედარებაა, მაგრამ პატარა მოსეობა მაინც გამეწია სადმე, ჩვენი ქვეყნის რომელიმე პატარა საქმეში... ეეჰ, რა მოვდუნდი, რა დავლაჩრდი!.. როდესაც „მოზარდს“ ვწერდი რა მხნე ვიყავ, რა ბევრს მოველოდი ჩემი თავისაგან!.. მაგრამ განა მარტო მე?.. ბევრი, ბევრი მოელოდა ჩემგან ბევრ კარგს. აკი ჩემი სიყმაწვილის მცნობს, მისა ცხაკაიას უთქვამს ერთხელ: მიკვირს მისგან საუკეთესო პუბლიცისტი და საზოგადო სალიტერატურო მოღვაწე არ დადგა აქამდის კიდევ, ჩვენ მისგან დიდი იმედი ვქონდაო... ესეა, იმედები ცრუვდებიან ხოლმე!... ვისგანაც და რისგანაც მოელი, ის არ იქნება უფრო ხშირად, მხოლოდ სადაც არ ელი, იქ კი ნახავ სანახავს.

არ ვიცი... არ ვიცი...

ვიცი... ვიცი...

შეიძლება ესეც ნამეტანი მომივიდა, ქალალდს რომ ვანდე ჩემი კოტრობა, მაგრამ ვითომ დამალული ჭირი რა ხეირის დამყრელია!...

16 აპრილი. ქ. სოხუმი.

რათა ხარ ასე დამყოლიო?.. მკითხეს ერთხელ. მე ვუპასუხე, სუსტი ხასიათის გამომეთქი. მაგრამ, რომ ჩავფიქრდი, კარგა ჩავუკვირდი, გამოდგა, ეს მხოლოდ კაცთ სიყვარულის გამო მომდის, მათი მეტისმეტი პატივისცემითა და, დავიჯეროთ, მეტი ზრდილობითაც (ეს კი, რომ სიტყვა „მეტი“ აქ ტყუილა არ ურევია). ასე რომ არ იყოს, მე რომ თავისთავადი შევიქნე და ჩემი საკუთარი შეხედულებანი სხვებსაც მოვახვიო, ბევრს დავკარგავდი!.. რათა? ჩემი აზრები შეიძლება მათთვის მეტად მიუწვდომელნი, მეტად შორეულნი არიან... მე კი მეგობრები მინდანან, ე. ი. მეგობრები კი არა, ეს დიდი სიტყვაა, ახლო ნაცნობები. მათი გაცნობა, მათი დაახლოვება ჩემთვის საჭირო მასალაა. რისთვის?.. ამას მომავალში ვნახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები

1 იგივე ბერთეში.

2 შ. დადიანის და, მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძისა.

3 ერნესტო როსი — მსოფლიოში სახელ-განთქმული ტრაგიკოსი, შექსპირის ტრაგედიების შესანიშნავი შემსრულებელი.

4 გაკვეთილი.

5 ხელნაწერი ჟურნალი, რომელსაც შ. დადიანი სცემდა (შ ო თ ა გ ა გ ო შ ი ძ ე. „შალვა დადიანის ადრინდელი ლიტერატურული და თეატრალური მოღვაწეობა“, თბილისი, 1971 წ.)

6 შიო ჩიტაძე.

7 შ. დადიანი თავის მემუარებში იგონებს რა ბავშვობის შთაბეჭდილებებს ქართველ მსახიობებზე, ვ. გუნიას შესახებ წერს, რომ ძალიან მოეწონა „ვალ. გუნია, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, მშვენიერი შესახედი, მომხიბლავი ბარიტონალური ხმის პატრონი და ძალიან მომინდა მეც მეთამაშნა და გუნიასთანა მსახიობი გავმხდარიყავი“ (შ. დადიანი, „რაც გამახსენდა“, თბილისი, 1959 წ. გვ 126).

8 საქართველოს სარ სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში დაცულ შ. დადიანის არქივში შემონახულია ოთხსტროფიანი ლექსი, მიძღვნილი ვ. გუნიასადმი, დათარიღებული 1891 წ. 11 იანვრით.

9 „დიდი მოურავი“, ისტ. დრამა ა. ფურცელაძისა, წარმოდგენილ იქნა 1891 წ. 5 აპრილს ქართულ თეატრში.

10 შ. დადიანის პირად არქივში ინახება 1892 წლის № 5 „მოზარდის“ მხოლოდ ერთი ფურცელი. წერილში „სულიერი მამანი“, რომლის მხოლოდ დასაწყისია შემორჩენილი, ლაპარაკია სამღვდელოებაზე. სადაც ავტორი წერს: „ეხლანდელი მღვდელი, რასაკვირველია, ზოგიერთის გამოკლებით, რომლების გვარიც ერს ყოველთვის ყოლია, ჰყავს და ეყოლება, მხოლოდ ანაფორაში გახვეული მგელია“... საქართველოს სათეატრო მუზეუმი, ფ. I, საქ. 11, № 11276/9

11 შ. დადიანი აქ შეცდომას უშვებს. „მოზარდი“ გამოდიოდა ჯერ თვეში ერთხელ (1888)—, შემდგომ წლებში კი თვეში — ორჯერ

12 შ. დადიანი სცენაზე პირველად გამოვიდა 1893 წლის 2 თებერვალს — კ. მესხის ხელმძღვანელობით, ეფემია მესხის ბენეფისზე, ა. დიუმას „მარგარიტა გოტიეში“ გრაფ დე ჟირეის ეპიზოდურ როლში. გაზ. „ივერიამ“ (1893 წ. 9 თებერ: № 27) აღინიშნა მის შესახებ: „ამ არტისტს პირველად ვხედავთ ჩვენს სცენაზე: სცენის ნიჭი ეტყობა და შეუძლია კარგი არტისტი დადგესო“.

13 ნუცა ჩხეიძის უფროსი და, აწ გარდაცვლილი. სწორედ ამ ხსენებულ სეზონში ერთსა და იმავე წარმოდგენაზე „რუსთველზე“ თამაშის დროს გავცივდით მეც და ისიც და მძიმედ ავად გავხდით. მან ავადმყოფობა ვერ გადაიტანა (შენიშვნა შ. დადიანის მიერ არის გაკეთებული).

14 შ. დადიანი გულისხმობს გ. წერეთლის რეცენზიას, გამოქვეყნებულს გაზეთ „კვალში“ (1893 წ. მარტის 14, №11), სათაურით „ქართული თეატრი. ეფემია მესხი, როგორც მარგარიტა გოტიეს გამომსახველი“.

15 პიესის ავტორია კოტე მესხი.

16 ვ. გუნიას პიესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# შალვა დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“

ქართველი საბჭოთა მწერლის 100 წლის საიუბილეო თარიღს პირველად აღვნიშნავთ. ეს პირველობა შალვა დადიანს ერგო წილად. დიახ, ქართველ რევოლუციამდელ თაობის მწერალთა შორის შალვა დადიანი პირველია, რომელსაც დაბადების 100 წელი შეუსრულდა. ის მეცხრამეტე საუკუნიდან მოსული კაცია, ბიოგრაფიითაც და საზოგადო მოღვაწის მოღვაწეობითაც. შალვა დადიანი იყო ცოცხალი და მოქმედი ხიდი, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა შორის გადებული.

შალვა დადიანის პირველი მოთხრობა 1896 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“. ახალგაზრდა კაცს ეს მოთხრობა „ივერიის“ რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ დაუბეჭდა. შალვას მამა, ნიკო დადიანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, ისეთი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ილიასეული გამოცემის კომისიის წევრი იყო, გრიგოლ ორბელიანთან ერთად. სწორედ მამამ და ილია ჭავჭავაძემ დაანათლეს შალვა დადიანს XIX საუკუნის საქართველოს საზოგადო მოღვაწეთა ეროვნული მადლი. შალვა დადიანმა, ვიდრე მწერალთა ოჯახში შეაღწევდა, უფრო ადრე, 1893 წელს, ქუთაისში დაარსებულ ქართულ თეატრს დაუკავშირა თავისი ბედი.

რევოლუციამდელ საქართველოში მხოლოდ ორი ადგილი იყო, ქართული მწერლობა და ქართული თეატრი, სადაც არ იყო აკრძალული ქართული ენა, ქართული სიტყვა. მეფის რუსეთის ორ გუბერნიად დანაწილებულ საქართველოში ქართველი ერის ეროვნული მეობა მწერლობამ და ხელოვნებამ დაიცვა, შეინახა და განამტკიცა. შალვა დადიანმა ქართველი ერის სულიერი კულტურის ამ ორ დარგს გაუნაწილა თავისი ნიჭი და ღვაწლი. შალვა დადიანის მოღვაწეობა ქუთაისში დაიწყო. და არა მარტო შალვა დადიანი, არამედ ქართული საბჭოთა მწერლობისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეთა უმრავლესობამ — გალაკტიონ ტაბიძემ, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ, გიორგი ახვლედიანმა, შალვა აფხაიძემ, სერგო კლდიაშვილმა, ნიკო ლორთქიფანიძემ, აკაკი შანიძემ, ალექსანდრე ჯანელიძემ, შალვა ნუცუბიძემ... ქუთაისში დაიწყეს სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობა.

ამ წლებში აქ უფრო მეტი გაზეთი და ჟურნალი გამოდიოდა, ვიდრე თბილისში, ყალიბდებოდა ახალი ლიტერატურული, თეატრალური ჯგუფები და სკოლები. და ეს ჩვენი „კარგი ცხოვრებით“ როდი აიხსნებოდა: რუსეთის მეფის მიერ ორ გუბერნიად გაყოფილ საქართველოში, ქართველი ხალხის ყველა ჯურის მტრები თბილისს, ჩვენს თბილისს ხელიდან აცლიდნენ ერთიანი საქართველოს დედაქალაქის ძალას და ენერგიას; ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ცხრაასიან წლებში. ყველა ეკონომიური ბერკეტი თბილისისა, და არა მარტო თბილისისა, არამედ მთელი საქართველოს ეკონომიური სიმდიდრე უცხოელ კაპიტალისტთა ხელში გადადიოდა. ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა საქართველო ეკონომიური და კულტურული გაჩანაგებისაგან. ამიტომ იყო, რომ ძველი ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა და მათ შორის შალვა დადიანმა, ერთმა პირველთაგანმა ხელი გაუწოდა საბჭოთა საქართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტნე დადიანის შთამომავალი, დადიანების ტახტის პირდაპირი მემკვიდრე, რევოლუციური საქართველოს გარიჟრაჟზე, ჯერ კიდევ ცხრაასიან წლებში, რევოლუციური საქართველოს მხარეზე დადგა, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე უყოყმანოდ საბჭოთა საქართველოს მიაშურა, როგორც მწერალმა და როგორც საზოგადო მოღვაწემ, და მის სამსახურში ჩადგა. გარეგნულად ბრგე და გოლიათი, სულითაც მხნე და გაუტეხელი, კოლორიტული აღნაგობის ტიპიური ქართველი, ცოტნესავით პირმტკიცე, გვერდში ამოუდგა რევოლუციურ საქართველოს, და არც არაფერი დაუშურებია მისი გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის. თავს ევლებოდა თავის საფიცარ სამშობლოს ყოველნაირად, იღვწოდა მისი კეთილდღეობისათვის: გონებით, ჭკუით, მხნეობით, შრომით, გარჯით საწერ მაგიდას თუ მიუჯდებოდა, თეთრად ათენებდა ღამეებს და წერდა „გიორგი რუსს“ თუ „გუშინდელნს“, „ა. თ. ე.“-ს, თუ „კაკალ გულში“, „გეგეჭკორს“ თუ „თეთნულდს“... დილით უძილო და ღამენათევი თეატრს მიაშურებდა რეპეტიციებზე, პიესებს დგამდა, ან თვით ასრულებდა რომელიმე როლს; საღამოს ისევ თეატრში იყო და მაყურებლის წინაშე წარსდგებოდა, რეჟისორის ან არტისტის როლში. ასე გაატარა ათეული წლები — მწერლობასა და თეატრში, ხალხსა და მოღვაწეობაში.

ძველი თაობის ბევრი სახელოვანი მოღვაწე წავიდა ჩვენგან. დიდად გვაკლია ისინი ყველაფერში, მაგრამ შალვა დადიანი მაინც სხვა იყო, სხვა ეშხი და სხვა დიდება ჰქონდა მის მონაწილეობას თეატრსა თუ მწერლობაში, სხდომებსა თუ საზოგადოებრივ შეკრებაში. მისი გამოჩენა მთელი ზეიმი იყო, ერთბაშად შეგვაკავშირებდა, თავის ხმაზეააწყობდა საუბარს თუ კამათს, გართობას თუ მოლხენას. მას ყველგან ნახავდით დიდ საზოგადოებაში, მაღალ შეკრებულობაში თუ რიგით ადამიანებში. არავისთან საქმიან ურთიერთობას თუ მოლხენას არ თაკილობდა. და ყველგან „თავადიშვილად“ რჩებოდა იგი, არა იმდენად წოდებით — დადიანობით, რამდენადაც სულით, მაღალი ზნეობით. ახლა ღიმილი იკითხეთ? მისი ღიმილი და ტკბილი ქართული, მომხიბვლელი, ყველას დამმორჩილებელი. დარბაისლური ღრმა ქართულით საუბრობდა. სადაც გამოჩნდებოდა, ყველგან შეჰქონდა თავისი ეშხი, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომებს ესწრებოდა იგი თუ თეატრალური საზოგადოების კრებას თავმჯდომარეობდა, სარეპერტუარო კომიტეტს ხელმძღვანელობდა თუ თეატრში ატარებდა რეპეტიციებს — მას მოწიწებით ყურს უგდებდნენ.

არა, შალვა დადიანი ჩვენი დროის დიდი საზოგადო მოღვაწე იყო და დიდი მოქალაქეც... მისი საღოლცავი ხატი მაინც მწერლობა იყო. შალვა დადიანი კლასიკური რეალიზმის ტიპიური განმგრძელებელი იყო XX საუკუნეში. დეკადენტობის შხამი არასოდეს მიკარებია მის ბრგე და ვაჟკაცურ სულს. 80 წლისა შეუდგა „გვირგვილიანების ოჯახის“ წერას. ეს იყო მისი შემოქმედებისა და გონიერების ნამდვილი გვირგვინი. და ჩვენც ამ რომანის დახასიათებით გვინდა წარვუდგინოთ იგი მკითხველებს, როგორც პროზაიკოსი.

ვისაც ჩვენს სოფლებში და ქალაქებში დიდხანს უცხოვრია ან ხანგრძლივად უმოგზაურია, უთუოდ ყოველ კუთხეში შეხვდებოდა თითო-ოროლა ღრმად მოხუცებულ ადამიანს, საგანგებოდ რომ გამოირჩევიან თავიანთი გარეგნული ჩაცმულობით, საუბრის მანერითა და კილოთი. თუ მათ დავუახლოვდებით და გავეცნობით, ისინი დიდი ინტერესითა და სიამტკბილობით მოგიყვებიან ლენინგრადის, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ნასაკირალის რევოლუციური ქარიშხლიანი დღეების, გაფიცვებისა და დემონსტრაციების შესახებ. მათ საუბარში ბევრი რამ არის რომანტიკული და მიმზიდველი. მაგრამ ჩვენ იშვიათად წაგვიკითხავს ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულის შესახებ უფრო საინტერესო და რომანტიკული ამბავი, ვიდრე ეს „გვირგვილიანების ოჯახშია“ მოთხრობილი, და ეს იმიტომ, რომ აქ ერთმანეთს შეხვდა დიდი ბელეტრისტი და ამ ძველი ამბების უშუალოდ მომსწრე და მონაწილე, მუხასავით ჯანმაგარი კაცი, ქართული მწერლობის „მწიგნობართუხუცესი“ — შალვა დადიანი. აქედან წარმოდგება ის რომანტიკა და მიმზიდველობა, რომელიც თან ახლავს ამ რომანის ყოველ ფურცელს, ყოველ ფრაზას.

შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი“ გაღრმავება და განვითარებაა კლასიკური მწერლობის იმ ტრადიციებისა, რომლებიც XIX საუკუნეში შეიქმნა სოციალურ პრობლემათა დამუშავებით, ენობრივი ფაქტურით, დიდი ჰუმანიზმითა და ხალხურობით. ეს რომანი უშუალოდ ეხმაურება ილიასა და აკაკის პროზას. ამავე დროს, მასში თავისებურად გამოვლინებულია ის ახალი, ორიგინალური, რაც, საზოგადოდ, შალვა დადიანის სტილს ახასიათებს. ეს არის სოციალური პრობლემების გამახვილებულად დაყენება მეოცე საუკუნის საზოგადოებრივ და სოციალურ მოვლენათა ვითარების ფონზე, ეს არის რევოლუციური ძალების, მისი უმთავრესი ფესვების — გლეხკაცობისა და მუშათა კლასის მისწრაფებათა ერთიანობის გამოხატვა, მეოცე საუკუნის იმ პერიოდის აღწერა, როცა მუშათა კლასის რევოლუციურმა ზეგავლენამ სოფელში შეაღწია და შეიქმნა სრულიად ახალი ვითარება. რევოლუციური იდეების გავრცელება მუშათა წრეში

და იმ იდეების შეღწევა სოფელში შ. დადიანის მხატვრული პალიტრის საგანი იყო ჯერ კიდევ 900-იან წლებში (მოვიგონოთ მისი რევოლუციური მინიატურები). ამ კონცეფციის პირველი მძლავრი დასაბუთება კი წარმოდგენილია პიესაში „ნაპერწკლიდან". ეს ელემენტები უფრო დამახასიათებლად და უფრო ამაღლებულადაც არის მოცემული „გვირგვილიანების ოჯახში". XX საუკუნის რევოლუციური განთიადის პირველი სურათები ამ რომანში გამოხატულია ღრმა ემოციურობითა და პოეტური გზნებით: აქ მძლავრად ჩქეფს ახალი ეპოქის რევოლუციური სული, ეს არის 1905 წლის ქარბუქიანი ეპოქის წინადღე.

1905 წლის რევოლუციური დღეები და მისი მომდევნო რეაქციის შავბნელი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში მრავალგზის აისახა. საკმარისია აქ მოვიგონოთ ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" და „სისხლი", ნ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგზე", დ. შულიაშვილის „ჩიკორი" და სხვ. მაგრამ 1905 წლის რევოლუციის წინა ეპოქა, რევოლუციისათვის მზადების პერიოდი, 900-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟი ქართულ ლიტერატურაში არ ყოფილა ისე სრულად გამოხატული, როგორც თვით რევოლუციის ეპოქა. შ. დადიანის „გვირგვილიანების ოჯახი" ერთგვარად ავსებს ქართული ლიტერატურის ამ ხარვეზს. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალი ჯერ კიდევ არ შეჭრილიყო სოფელში, მაგრამ შორეული ქროლვა ამ ქარიშხლისა უკვე სოფელშიაც იგრძნობოდა. რევოლუციის თესლი უკვე ჩათესილი იყო. ახლა იგი გაღვივებას, ცეცხლის გაჩაღებას მოელოდა. აი, ეს პერიოდია გამოხატული „გვირგვილიანების ოჯახში". დიდი სიყვარულით, ცოდნით, მხატვრული მრავალფეროვნებით დახატა შ. დადიანმა სოფლის ახლად დაბადებული რევოლუციის ძალები, მისი მოწინავე წარმომადგენლები. სწორედ ეს არის ამ რომანის უპირველესი ღირსება. მაგრამ ნაწარმოებში არა მარტო ხალხის ეს მოწინავე წარმომადგენლებია გამოყვანილი, არა მარტო ეს რევოლუციის ძალებია გამოხატული, არამედ — მისი საწინააღმდეგო ძალაც და, ამის მიხედვით, სხვა სოციალური ძალები და საზოგადოებრივი ჯგუფები.

საზოგადოებრივი ცხოვრების გამოხატვის მხრივ ეს რომანი ორი პლანით იშლება: ძველი საქართველო, ბატონყმური სოციალური ძალების ნარჩენები და მათ გარშემო თავმოყრილი ადამიანები. ეს წრე ნაჩვენებია ფეოდალური ოჯახის, გვირგვილიანების ოჯახის ფონზე. მეორე მხრივ, დახატულია სოფლის გლეხკაცობა, სოფლის რევოლუციური ძალები. ობიშხიას, ფარნა ბუალავას, ჩელას, ფანთას და ხხვათა სახით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ეს მაღალი არისტოკრატია, „გვირგვილიანების ოჯახი, წარმოდგენილია რევოლუციურ პროცესში. თუ აქ, ერთი მხრივ, ნაჩვენებია ძველი ცხოვრების, არქაული სოციალური ვნებებისა და მისწრაფებების გამომხატველი ნექტარინა და მის გარშემო თავმოყრილი მაღალი არისტოკრატია, მეორე მხრივ, ამავე არისტოკრატიის წრეში დაიბადა ის ინტელიგენტური ლიბერალური თუ პროგრესული განწყობილებაც, რომელიც რევოლუციური ძალების ზეგავლენით მოექცა. რომანის დასაწყისშივე მწერალმა რევოლუციურად განწყობილი, სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები გარკვეული იდეური მისწრაფებით წარმოადგინა. ესენი არიან ახალგაზრდა მებრძოლი, ბათუმის რევოლუციური მუშათა გაფიცვების მონაწილე და მომსწრე, ტაია გვირგვილიანი, ნაციმბირალი ვამეხი, ყაჩაღი მანჩა და მოწინავე გლეხი ფარნა ბუალავა. ფარნას ოჯახში თავმოყრილი რევოლუციურად განწყობილი ადამიანები გულდასმით უსმენდნენ 1902 წელს ბათუმში ლენინური რევოლუციური ჯგუფის მიერ ახალგაზრდა იოსებ ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი დიდი დემონსტრაციებისა და მებრძოლების ამბებს, რასაც ტაია ჰყვებოდა: „ვამეხი ისეე ღრმა ფიქრში იყო წასული, თითქოს ტაიასაგან ნაამბობ 1902 წლის ამბებს კარგად სინჯავს, კარგად უკვირდებაო. ეს ამბავი მისთვის უცხო იყო. გაზეთებში ამაზე არაფერი ეწერა, გარდა ოფიციალური ქრონიკისა, და ისე კი, ბერთემში მიღწეული, ჭორებშემოსილი ერთგვარი „საზოგადოებრივი აზრი" უარყოფითად აშუქებდა ბათუმის მუშების საქციელს. აქ კი, ტაიას ნაამბობში, სულ სხვაგვარად მოჩანდა საქმის ვითარება და ერთგან, ტაიას მოთხრობის დროს, ეს წამოცდა კიდეც მის ბაგეს.

— დიდი გრგვინვა მოისმის, დიდი, — და დაჩუმდა. მეტი აღარა უთქვამს რა.

აი, ტაიას მოთხრობამ იქამდე მიაღწია, როცა ბათუმის მუშები პირდაპირ შეებრძოლნენ თვითმპყრობელების ჯარსა და პოლიციას. მაშინ კი აქამდე გაქვავებული მჯდომარე მანჩა ზეზე წამოიჭრა და თითქოს გულიდან ამოსკდა:

— ვაი დედასა, სად ვიყავი? ჩემსობას არაფერი მაგის მსგავსი არ ყოფილა ბათუმში. მე არავის არ ვაცლიდი, ჩავუსაფრდებოდი სადმე ცალკე და იმ გენერალ დრიაგინს სულს გავაფრთხობინებდი.

— ჰა, ჰა, შენ ისევ ტერორის მომხრე ხარ, — ჩაიცინა ტაიამ, — მაგრამ ეგრე აღარ არის საქმე. ახლა უკვე ჩვენ ვიცით, რომ ტერორით საქმე არ კეთდება და არაფერი არ სწორდება, რადგან მოკლულის ალაგას მეორე ჩნდება და ხშირად უფრო უარესი. მთავარი მაინც არ კეთდება, ჩაგვრა არ ისპობა, თანასწორობა არ

მყარდება და დიდი უმრავლესობა ისევ უუფლებო, უხმო და დაჩაგრული რჩება“.

ასე სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევენ ბათუმის რევოლუციურ ამბებს ყაჩაღი მანჩა, ნაციმბირალი ვამეხი და გლეხების წარმომადგენლები — ფარნა და ფანთა. ისინი გადაწყვეტენ სოფელ ბერთეში შეადგინონ ერთობის, „რევოლუციის საქმისათვის ერთგული და თავდადებული“ მომხრეების წრე. თანდათანობით განამტკიცონ ეს წრე და ემზადონ რევოლუციის საქმისათვის. რომანში ნაჩვენებია სოფლის ეს პირველი რევოლუციური წრე, ახალგაზრდობისა თუ ხნიერი გლეხკაცობისაგან შემდგარი, რომელსაც ტაია ხელმძღვანელობს და შემდეგ ქუთაისიდან ამარაგებს პროკლამაციებითა და პოლიტიკური ლიტერატურით. ვამეხმა, რომელმაც თავისი ბედი ამ რევოლუციურ ძალებს დაუკავშირა, გვირგვილიანების ოჯახის წილზე უარი თქვა და აღიარა „შრომა ყოფილა ყოველგვარი სიდუხჭირის დამძლევი ამქვეყნადო“. მებრძოლი გლეხკაცობა მაინც ერთგვარი უნდობლობით ეკიდება მას, რაც საფსებით გასაგებია. ეს უნდობლობა ისტორიულად დაიმსახურა იმ კლასმა, რომლის შვილია ვამეხი და გლეხები მას ასე ადვილად ვერ ენდობიან. სამაგიეროდ, ახალგაზრდა ტაიას, დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით ეპყრობიან. გლეხი მიქე ასე ახასიათებს ტაიას: „ტაია ჩვენ ყველას მიგვაჩნია, როგორც თაყვანსაცემი კაცი, და ის სხვა კნიაზებს არცა ჰგავს. ტაია ჩემი ძმაა, გულისგული და მე და ჩელას კი არა, მთელი სოფლის გლეხობას თვალში რომ ჩაგვივარდეს, ხელს არ მოვისვამთ“. ამგვარი ურთიერთობითა და დამოკიდებულებით დახატა შ. დადიანმა სოფლის სოციალური ძალები — რევოლუციის, მომავლის ძალები. მათი გამახვილებული სოციალური ინსტინქტი, მათი უტყუარი, პრაქტიკული გამჭრიახობა, მათი მისწრაფება თავისუფლების საქმისათვის რომანში გამოხატულია დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამავე ცხოვრების მიხედვით გამოხატა მან საქართველოს ძველი ძალების, დროგადასული და ფერგადასული ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები, მათ ცენტრში მწერალმა გვირგვილიანების ოჯახის რძალი ნექტარინა დააყენა.

ეს სახე შორეულად გვაგონებს ანასტასია ერისთავის მაკინეს („მოლიპულ გზაზე“). ისე, როგორც მაკინე, ნექტარინა დღედალამ იმაზე ოცნებობს, რომ შეინარჩუნოს მთლობლობა მამულისა, მაიორატისა და მოდერნიზაციის გზით მოახერხოს, განამტკიცოს ოდესღაც ქებული გვირგვილიანების ოჯახი; ეს ქვრივი არწივი გვირგვილიანების ფეოდალურ დიდებას ფრთებით გადაფარებია, არავის უშვებს ახლო და შეუპოვრად ებრძვის ყველა მის მოწინააღმდეგეს. ისტორიულად განწირული ფეოდალური კლასის უკანასკნელი მოჰიკანია ნექტარინა, ამავე დროს ვნებააშლილი, ავხორცი ქალია. იგი ჯერ კიდევ სიცოცხლეში ღალატობს ქმარს, ამ მჭლე კაცს, დაქვრივებული კი მთლად მიეცემა ვნებათა ღელვას. ავხორცობა კნეინა ნექტარინასი რომანში გამოხატულია გაშიშვლებულად. მისი ვნებააშლილი რომანი მოურავ გუტატისთან, ხოლო მას შემდეგ, რაც გუტატის — ამ ცინიკოსსა და მრისხანე მოურავს — ზედ წააკლავენ თავის უსინდისობას, ნექტარინა ჯერ თავის მოკვლაზე ოცნებობს, მაგრამ უმალვე გაიღვიძებს მასში ავხორცი ვნება და ის ახლა ერთბაშად გადაწყვეტს გუტატის მაგივრობა მღვდელ თევდორეს გააწევინოს.

გვირგვილიანების ოჯახის სხვა წევრები მწერალმა ასევე განსხვავებული თვისებებით გამოხატა. ვამეხი, რომელიც რევოლუციას გაუტაცია და რომელსაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ციმბირში გაუტარებია, კვლავ რევოლუციის საქმითაა გართული, მაგრამ ვერ ახერხებს თანმიმდევარი იყოს რევოლუციის საქმესა. ეს ნახევრად ლიბერალი, ნახევრად რევოლუციონერი, ნახევრად მწიგნობარი ინტელიგენტია, რომელსაც რევოლუციონერის ცეცხლი, შემართება და სიმტკიცე აკლია. ერთი მხრივ, გლეხებთან ტრიალებს იგი, მათ ანდობს თავის ფიქრებსა და გრძნობებს, მათ უმტკიცებს ერთგულებას; მაგრამ მისი დატირება გლეხი იასესი, მისი საუბარი გლეხობასთან, რომ მშრომელმა გამარჯვება უნდა მოიპოვოს ბრძოლით, გლეხობაში როდი იწვევს დიდ თანაგრძნობას. ამიტომაც მისი სახე რომანში, როგორც რევოლუციონურად განწყობილი ნაციმბირალი კაცისა, არ არის დამამახსოვრებელი. იგი უნიათო, უფრო ფრაზიორი რევოლუციონერია, ვიდრე პრაქტიკული მოღვაწე. შედარებით თანმიმდევარია ამ მხრივ გვირგვილიანების ოჯახის მეორე წევრი ტაია. როგორც ზემოთაც ვთქვით, მას უფრო ენდობიან რევოლუციურად განწყობილი გლეხები. მწერალმა, სავსებით სამართლიანად, ეს მოწინავე ინტელიგენტი შემდეგ გაისტუმრა ქუთაისში, სადაც მას იცკა რიჟინაშვილის მარქსისტულ წრეში ვხვდებით. ის იმდენად თავდადებულია რევოლუციისათვის, რომ უარს იტყვის საკუთარ გრძნობაზე, თოლისკვამის სიყვარულზე და მასთან ყოველგვარ რომანულ კავშირს გაწყვეტს. ეს ხელს შემიშლისო რევოლუციურ მუშაობაში. ლიბერალური, უნიათო არისტოკრატის სახე გამოსახა მწერალმა გვირგვილიანების ოჯახის სხვა წევრების — ბარამის, ეკოციმილისა და ბეგის სახით. გვირგვილიანების ოჯახის მრავალრიცხოვანი წარმომადგენელნი გამოსახულია ამ რომანში, როგორც რევოლუციამდელი საქართველოს ძველი ფეოდალური ყოფის მეტად ტიპიური და დამახასიათებელი

სურათი. გმირთა ეს მრავალრიცხოვნობა არ უშლის მწერალს ხელს, დახატოს ისინი თავიანთი დამოუკიდებელი თვისებებით, მიდრეკილებებით, მისწრაფებებითა და სულიერი ინტერესებით.

რომანში ახევე ნაჩვენებია ვაჭართა კლასის წარმომადგენლები, რომელთა ხელში გროვდება სიმდიდრე, დოვლათი და რომლებსაც ანგარიშს უწევს მაღალი არისტოკრატია. ისინი ნექტარინას სალონების მონაწილენი არიან.

ნექტარინა იმდენად ანგარიშს უწევს ლევარსი კვიზინიას, ფოთელ ვაჭარს, რომ სიამოვნებით მიათხოვებს თავის ოჯახში გაზრდილ ლამაზ გოგონას — თოლისკვამს. მწერალმა კარგად იცის, თუ რა მძიმე ტვირთად აწვებიან გლეხკაცობას ეს ახალი დროის ბატონები, ჩარჩ-ვაჭრები. ამ მხრივ სრულყოფილად არის გამოხატული რომანში სოფლის მევახშე ბანძლის სახე. გლეხკაცობას ბანძლი ჭირის დღესავით სძულს. იგი ისევე ემუქრება გლეხკაცობას, როგორც წინათ ბატონი — ყმას. ბანძლი ერთ გლეხს, რომელსაც მისი ფული მართებს, მუქარით მიმართავს, თუ თავის დროზე არ გადაუხდია ეს ფული, მის ქალიშვილს წაიყვანს მოსამსახურედ ვალის პროცენტში. ამ დეტალში კარგად არის ხაზგასმული ახალი მჩაგვრელის ბუნება.

განსაკუთრებული სიყვარულით დახატა მწერალმა ხალხის წარმომადგენლები — იქნება ეს მუდამ მშრომელი და ფხიზელი, რევოლუციურად განწყობილი ფარნა ბჟალავა, ობიშხია თუ ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხები — ჩელა და მიქე. მწერალმა ამ წრეში მოძებნა ის ნაძირალები, რომელთაც რევოლუციის მტრები იყენებენ. ამ მხრივ საინტერესოა გლეხი ანტოს სახე. იგი სოფლის ლუმპენპროლეტარია, რომელიც ყველაფერს ლუკმა პურზე ყიდის: გვირგვილიანების ოჯახის მოურავს — გუტატის ის გამოყენებული ჰყავს „როგორც თავის კაცი გლეხკაცების წრეში", მისგან ღებულობს საჭირო ცნობებს და აჯილდოებს გლეხკაცობის ამ გამყიდველს ძველმანებითა და გვირგვილიანების ოჯახის ნასუფრალით. ეს გაბზარული კაცია, რომელიც თავისი სოციალური ბედით გლეხკაცობასთანაა, მაგრამ ხელთ ჩაუგდია რეაქციის ძალებს.

რომანში საინტერესოდ არის გამოხატული 900-იანი წლების ქუთაისი. ერთი მხრივ, მარქსისტების, რევოლუციურად განწყობილი მუშების, რევოლუციონერების ქუთაისი — არალეგალური კრებებით, მანიფესტებით, დემონსტრაციებით, პროკლამაციებითა და საიდუმლო კრებებით, მეორე მხრივ, ქუთაისი თავად-აზნაურთა წინამძღოლით, გუბერნატორით, მაღალი არისტოკრატიით, უქნარა ძველი ფეოდალებით, რომელნიც გარეგნული ბრწყინვალებით ტიპიურად გამოხატავენ ძველი საქართველოს ცხოვრების სურათს.

აი, ამგვარი სტილის ადამიანებს შორის მწერალმა განსაკუთრებით გამოკვეთილად დახატა ორი სახე; მაღალფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, ჩხუბის, სკანდალის, ფართაფურთისა და ქალების მოყვარული კნიაზი მიტო გავლენიშვილი და სტუდენტის ფორმით მოვლენილი ინტელიგენტი კონსტანტინე ხვიტია, კარიერის, დიდკაცობის მოტრფიალე, გაზეპირებული ფრაზებით გარეგნულ ყურადღებას რომ იპყრობს, შინაგანად კი რევოლუციისა და პროგრესის მტერია. ამიტომაც სძულთ იგი მოწინავე ახალგაზრდებს, რევოლუციონერებს. სამაგიეროდ, მოსწონთ, უყვართ და ანგარიშს უწევენ ქუთათური არისტოკრატები და დაქირავებული მეფის მოხელენი.

ცალკე უნდა აღინიშნოს არისტოკრატ ქალთა სახეები. აქ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ლიბერალურად განწყობილი მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსული საკმაო განათლებამიღებული ქალები, რომლებიც ფულსაც კი აგროვებენ ღარიბთა და რევოლუციონერთა დასახმარებლად; განსაკუთრებით აღსანიშნავია მარიამ გავლენიშვილისა, რომელიც ერთ დროს რევოლუციური საქმით იყო გატაცებული და ვამეხის მიჯნური გახლდათ. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ნექტარინას წრესთან დაკავშირებული ქალები — ბარონესა მინადორა, მისი ქალიშვილი დაგმარა, მათი ახლო ნათესავი მარინა რიაბინინა. დიდი სიყვარულით დახატა მწერალმა მარინა რიაბინინას სახე, ეს განათლებული მოწინავე რუსი გოგონა, ყოველთვე პროგრესულის და რევოლუციის მომხრე, დიდი მოყვარული ქართული კულტურისა. მისი დიდი წარსულისა და მისი მომავლის მორწმუნე. ასეთივე დიდი სიყვარულით დახატა მწერალმა რუსი რევოლუციონერის, სლავსკის სახე. სლავსკი და რიაბინინა ისეთივე მტრები არიან ცარიზმისა, როგორც რიჟინაშვილის რევოლუციონურ წრეში გაერთიანებული სხვა წევრები. ამ მოწინავე რუსთა სახეებს მწერალმა დაუპირისპირა შავრაზმელი ვოლკოვი, რომელიც დასცინის და აბუჩად იგდებს ყოველივე მოწინავეს და რევოლუციურს; დასცინის და აბუჩად იგდებს ქართველ ხალხს, მის კულტურას და მის წარსულს. ასე დაუპირდაპირა მწერალმა ერთმანეთს 900-იანი წლების ორი რუსეთი: პროგრესული, რევოლუციური, რუსი ხალხის მოწინავე ადამიანები — რიაბინინისა და სლავსკის სახით — რეაქციული, ცარისტული რუსეთის ძალებს — ვოლკოვის სახით.

რომანის დიდი ღირსებაა მისი მხატვრული ფაქტურა. გამოკვეთილი, დამთავრებული ხასიათები და სახეები (ნექტარინა, გუტატი, ანტო). მისი შესანიშნავი მდიდარი ქართული ენა. როდესაც შ. ლალიანის ამ რომანს კითხულობთ,

თქვენში ახალი ძალით ცოცხლდება ილიასა და აკაკის დიდებული ქართული. როგორც ცნობილია, ქართველმა დეკადენტებმა, სიმბოლისტებმა, იმპრესიონისტებმა, ფუტურისტებმა ერთხანს სცადეს ილიასა და აკაკის ენა შეეცვალათ დეკადენტური, გაუგებარი, ბურუსიანი სიტყვებითა და სტილით. აქ საქმეს არ სცვლის ის გარემოება, რომ ხშირად მათს ლექსიკაში ძველი ქართულის სიტყვები გვხვდება, ისინი მეტყველების საერთო იერით, საერთო სტილით უპირისპირდებოდნენ კლასიკურ ქართულ სტილსა და ენას. შ. დადიანმა კი ქართულ ენას ბოლომდე შეუნარჩუნა თავისი დარბაისლური სტილი. საზოგადოდ, შალვა დადიანის სტილი უაღრესად რეალისტურია, ლექსიკურად მდიდარი, ბუნებრივი ქართული სინტაქსით. ოღონდ ხანდისხან ზეაწეული სტილი და თეატრალობა გეცემათ თვალში. ამასაც შეგნებულად ჩადის მწერალი. თეატრალობა აღწერის მანერად იქცა შალვა დადიანის შემოქმედებაში. შალვა გასაოცრად ნათლად ხედავს და ხატავს საგნებს. მაგრამ ამ სიზუსტით დანახული საგნების განლაგებასა და აღწერაში თეატრალური ხერხები შეაქვს. ასეა ეს, კერძოდ, მის უბრწყინვალეს რომანში — „გიორგი რუსში“. აქ დასაწყისიდანვე გიპყრობს ხედვა მწერლისა, მაგრამ შესავალშივე გვაგრძნობინებს მწერალი ხედვისა და აღწერის თეატრალობას. ეს მანერა ბოლომდე გასდევს შალვას ბელეტრისტიკას. ეს იგრძნობა „გვირგვილიანების ოჯახშიც“.

როგორც ვთქვით, მთლიანად ეს რომანი თანამედროვე ქართული ლიტერატურის უთუოდ კარგი შენაძენია, მაგრამ მას აქვს ზოგიერთი ნაკლი.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის პუბლიცისტური შენაკადების შესახებ რომანში რომ გვხვდება. ეს ახალი ორიგინალური ხერხია, მწერლის მიერ გამოგონებული, თითქოს იმისათვის, რომ რამდენადმე შეასვენოს მკითხველი ლოგიკური გადახვევებით გრძელი თხრობისაგან. და, მართლაც, ამ ორიგინალურ ხერხს უთუოდ აქვს მხატვრული გამართლება, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც ბევრია ეს შენაკადები და გადახვევანი, იმდენად ბევრი, რომ ზოგჯერ უკვე ხელს უშლიან თხრობის საერთო განვითარებას. თუ, ერთი მხრით, პოლიტიკური ლიტერატურიდან ამოღებული ციტატები ეხმარება ავტორს მრავალრიცხოვან გმირთა მისწრაფებებისა და ხასიათების გამოხატვაში, ერთგვარად ზედმეტია ის პუბლიცისტური პასაჟები, რომელთა საშუალებით ცდილობს ავტორი დახატოს თავისი თანამედროვე ცნობილი საზოგადო მოღვაწენი და ისტორიული პირები. მაგრამ ეს მაინც რომანის ცალკეული ნაკლია.

„გვირგვილიანების ოჯახი“ გამთბარია პატრიოტული სულით, თავისი ხალხისა და ქვეყნისადმი დიდი სიყვარულით. პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი და ხალხურობა ამ რომანს ახალი ძალით ანათებს. ჰუმანიზმის ეს დიდი ძალა ჩანს რომანის საერთო სულში, მწერლის ჰუმანიზმი ჩანს გმირების დახასიათებაშიც. ავტორი როდი ხატავს ადამიანებს ცივად, ვნებათა გარეშე. დიდი ჰუმანიზმით, დიდი სიყვარულითაა დახატული მოწინავე ადამიანები, ხალხის წარმომადგენლები. ჰუმანიზმის ეს მონაბერი თან ახლავს უარყოფითი გმირების გამოსახვასაც. შ. დადიანი არ იშურებს საღებავებს ამ ისტორიულად ფერგადასული ადამიანების გამოსახატავად. რომანის გმირები სქემები კი არ არიან, არამედ ადამიანები, სისხლსავსე ადამიანები. ამაში გამოჩნდა მწერლის დიდი ჰუმანიზმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სიგუა

# შალვა დადიანთან ერთად

ის კაცი იყო, ვით შეფერის
კაცსა კაცობა.

შექსპირი

1925 წელს, როდესაც მშობლებმა სასწავლებლად თბილისში ჩამომიყვანეს, ბესარიონ დადიანმა პატარა სარეკომენდაციო ბარათი გამომატანა შალვა დადიანთან, აი, მაშინ გავაცნე მას, რომ ნანახი მყავდა სოფელ ბერთეშში, ბესარიონ დადიანის სახლში.

— საიდან, ყმაწვილო?! — გაიკვირვა შალვამ.

— ბატონო, ბერთეშელი ბესარიონ დადიანი ჩემი ძმის ნათლიაა, მან სოფელ ნახუნაოდან ჩამომიყვანა და 1919 წლიდან 1923 წლამდე ბერთეშის დაწყებით სკოლაში ვსწავლობდი.

— ოო, თქვენ, ყმაწვილო, დადიანი ყოფილხართ, დადიანი, — თავისებური მიმზიდველი ღიმილით მითხრა მწერალმა. — ბესარიონ დადიანი კარგი და დემოკრატი კაცია. ამიტომ მამა მას დიდ პატივს სცემდა. ბესარიონს საკმაო მამულები ჰქონდა ბერთეშში, ნოქალაქევში, ბანძაში, მარტვილსა და ნახუნაოში, მაგრამ თითქმის ყველა გლეხებს დაურიგა, ამიტომ მიყვარს და მისი ოჯახის ხშირი სტუმარი ვარ. ამავე დროს, — დაუმატა მწერალმა, — ის განათლებული კაცია. მეგობრობდა ქართველ მწერლებს, ილიას, აკაკის, ალექსანდრე ყაზბეგს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს. ნიკო ნიკოლაძე და იონა მეუნარგია ხშირად მინახავს ბერთეშში, მის სახლში. ვალიკო ხომ მისი მეზობელი იყო სოფელ ეკიდან. მეც დიდი ფეოდალის შვილი ვიყავი,— ამბობდა შალვა, — მაგრამ ჩემი წრისთვის უჩვეულო ხელობას — არტისტობას მოვკიდე ხელი, აგრეთვე, მოთხრობებსა და პიესებსა ვწერ, პირველად ილიამ გამაბედნიერა „ივერიის" ფურცლებზე, 1896 წელს.

მოწაფეობისა და სტუდენტობის პერიოდში შალვას ძალიან დავუახლოვდი და კოტე ყიფიანის ქუჩაზე, სადაც მწერალი ცხოვრობდა, მისი ხშირი სტუმარი ვიყავი. მასთან ვხვდებოდი ქართველ მწერლებსა და მსახიობებს. მწერლებიდამ შალვასთან გავიცანი ლეო ქიაჩელი, იოსებ გრიშაშვილი, საშა აბაშელი, ტერენტი გრანელი, იოსებ იმედაშვილი და ბასილ მელიქიშვილი, რომელსაც ავადმყოფური, მოწყენილი და სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა.

— ეს კაცი, — მითხრა შალვამ, — მომავალი ჩვენი ალექსანდრე ყაზბეგია.

რამდენიმე წლის შემდეგ მწერალმა მაჩუქა ალმანახი „არიფიონი" და მირჩია: წაიკითხე „მკერდშებოლილი მერცხალიო".

შალვასთან ბევრი მსახიობი მოდიოდა, კაცებიც და ქალებიც, მაგრამ ყველაზე ხშირი სტუმარი შალვასი იყო ვალერიან გუნია, რომელსაც შალვა ვალიკოს ეძახდა.

ერთხელ, შალვამ თავის ბინაზე ეტლით ორი კაცი მოიყვანა, ერთი ვიცანი, ვალერიან გუნია იყო, მეორე კი — ვერა. უცნობი დაბალი, უფერული, გამხდარი კაცი იყო; სახე დაპატარავებოდა და მარტო ცხვირიღა შერჩენოდა. სავარძელში მოწყენით იჯდა. ხანდახან თეატრზე წამოიწყებდა ლაპარაკს, მაგრამ ძალა არ ყოფნიდა და თვალები ცრემლებით ენამებოდა. ყველა დიდი ყურადღებით უსმენდა მის ლაპარაკს, რასაც ხშირად სიცილი მოჰყვებოდა ხოლმე. კამათი და ბაასი რომ დამთავრდა,

შალვამ მთხოვა ეტლი მომეყვანა; შალვამ და ვალერიან გუნიამ მოხუცი ძირს ჩამოიყვანეს, სამივენი ეტლში ჩასხდნენ და წავიდნენ. მეორე დღეს შალვას ვკითხე: — ბატონო შალვა, გუშინ თქვენთან მოხუცი კაცი რომ იყო, ის მინახავს რუსთაველის პროსპექტზე ვასილ ბარნოვსა და დავით კლდიაშვილთან მოსიარულე და დღემდე არ ვიცი ვინ არის-მეთქი.

— პოო, ის დიდი, ძალიან დიდი კაცია, ქაბუკო, ვასო აბაშიძე იყო. ეხ, რა ხარ სიბერევ. — ოხვრით სთქვა შალვამ. რამდენიმე თვის შემდეგ ვასო აბაშიძე გარდაიცვალა და მთაწმინდაზე დაასაფლავეს. მისი დასაფლავება რაღაც სასწაული იყო, ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა; სანამდის მიცვალებულს მთაწმინდაზე ასვენებდნენ, მანამდის ხალხით გავსებული იყო მთაწმინდის მიდამოები. ზოგი ხეზე იყო ასული, ზოგი მაღლობზე იდგა და იქიდან უყურებდნენ დიდი მსახიობის მთაწმინდის მიწისთვის მიბარებას. შალვამ უბრწყინვალესი გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა განსვენებულს.

ტერენტი გრანელი, როდესაც შალვასთან მივიდოდა, მწერალს უსათუოდ ლექსებს წაუკითხავდა.

— ლექსები კარგია, ჩემო ტერენტი, — ეტყოდა შალვა პოეტს, — მაგრამ ცხოვრებას არ უნდა გაემიჯნო, ის უნდა გიყვარდეს. ტირილი, გოდება და ნაღველი არ არის პოეზიის საგანი. აბა, რას დაემსგავსებოდა ჩვენი სამყარო, რომ ყოველდღე გლოვის ზარი გაგვემართა, იმის გამო, რომ ადამიანი არ არის ფიზიკურად მარადიული და კვდება. გახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონები — „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს?“ პოეზიამ უნდა იზრუნოს ცხოვრების უკეთ მოსაწყობად, მაგრამ ეს პრიმიტიულად არ უნდა გავიგოთ. პოეზიას აქვს თავისი საიდუმლოება, როგორც ამას ფილოსოფოსები ამბობენ. ტერენტი სულგანაბული უსმენდა შალვას მსჯელობას და ხმას არ იღებდა. ერთხელ, როდესაც პოეტი წავიდა, შალვამ მითხრა: უსათუოდ ნიჭიერი პოეტია, მაგრამ მის ლექსებს ერთფეროვნება გადაჰკრავსო. დღეს მარტო ნიჭი არ კმარა, საჭიროა იცნობდე მსოფლიო ლიტერატურას, იცნობდე ცხოვრებას მთელი თავისი რთული მხარეებითო.

დილაა. შალვასთან ვარ. მწერალი ჩოხა-ახალუხშია გამოწყობილი და წასვლას აპირებს. ამ დროს მის სახლს ეტლი მოადგა და სამი კაცი გადმოვიდა. ერთი ტერენტი გრანელი იყო, ორი კი არსად მენახა, მაგრამ იქვე გამაცნეს, პოეტი ლადო მაჭავარიანი და პოეტი შალვა კაშმაძე იყვნენ. შალვა კაშმაძე, როგორც შემდეგ გავიგე, ლექსებს წერდა სილუეტ-რეანის ფსევდონიმით, შემდეგში კი გახდა ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი და მკვლევარი. ახალგაზრდა პოეტებმა შალვას სთხოვეს წაყოლოდა მათ საპურმარილოდ და [illegible] ყოლიეს. ტერენტი გრანელი თუ შალვასთან ქეიფობდა და დროს ატარებდა, ძალიან თავდაჭერილი და მორიდებული იყო. მაგრამ თუ სხვასთან ქეიფობდა, მეორე დღეს იშვიათად, რომ პოეტი მილიციის სამორიგეოში არ აღმოჩენილიყო.

1934 წლის ერთ დღეს ნიკოლო მიწიშვილმა მწერალთა კავშირიდან დამირეკა, რომ მასთან მივსულიყავი. „სახელგამი“ მაშინ ახლანდელ კიროვის ქუჩაზე იყო მოთავსებული და მწერალთა კავშირიც ხომ იქვეა, ახლოს; რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკოლოსთან ვიყავი. კაბინეტში რომ შევედი, მასთან შალვა დადიანი და კალისტრატე ფირცხალაიშვილი ისხდნენ.

— იცი, საშა, რაზე დაგიძახეთ, — მითხრა ნიკოლომ, — ბატონი შალვა ხვალ ბერთუმში აპირებს წასვლას, რამდენიმე დღით გაგათავისუფლებ, უნდა წაჰყვე.

მე სიამოვნებით დავთანხმდი.

მეორე დღეს გავემგზავრეთ სენაკში, იქიდან კი ბერთუმში. ბერთუმში შალვამ მამის საფლავი მოინახულა. შემდეგ შეხვდა იქაურ კოლმეურნეებს. მათ შორის გაიმართა ასეთი საუბარი:

კოლმეურნე — ბატონო შალვა, ისევ მწერლობას ეწევით?

შალვა — დიახ, მწერლობას ვემსახურები.

კოლმეურნე — რაზე წერთ?

შალვა — თანამედროვე ცხოვრებაზე. ლამაზ ქალებზე.

კოლმეურნე — ოჰ, ლამაზ ქალებზე წერა კარგია. განა კოლმეურნეობაზე არა წერთ?

შალვა — სპეციალურად არაფერი მაქვს დაწერილი, მაგრამ ზოგიერთ ნოველაში შევეხებივარ კოლმეურნეთა ცხოვრებას.

კოლმეურნე — ბატონო შალვა, მოგწონთ კოლმეურნეთა ცხოვრება?

შალვა — მე მგონია, ცუდად არ უნდა ცხოვრობდნენ.

საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა. ღამდებოდა, ჩვენ კი თბილისში მოვეჩქარებოდა. მოვდიოდით ტეხურის ლამაზი და წარმტაცი ჭალებით, საიდანაც ოდესღაც მოტაცებული ულონი ხვიჩას კვნესა ისმოდა.

— აი, აქ, ამ ტეხურის ნაპირზე, — თქვა შალვამ, — დიდი ძეგლი უნდა დაუდგან კონდრატე თათარიშვილს, რომელმაც მთელი ქართველი ხალხის გული აატირა თავისი პატარა მოთხრობა „მამელუკით“. კონდრატე ჩემი კარგი მეგობარი იყო, უდროოდ გამოეთხოვა ქართულ მწერლობას და ქართულ მეცნიერებას. მინახავს ატირებული ადამიანები, როდესაც ბიჩერ-სტოუს „ბიძია თომას ქოხს“ კითხულო-

ბდნენ, ასევე მინახავს „მამელუკის“ მკითხველები აცრემლებული თვალებით.

შალვა დადიანი ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციას, როგორც მისი კოლეგიის წევრი.

1939 წლის შემოდგომა იდგა. სამუშაო დღე მთავრდებოდა, როცა რედაქციაში შალვა დადიანი შემოვიდა, ყველას ხელი ჩამოგვართვა და შემდეგ შალვა ალხაზიშვილს მიმართა: მომეწონა შენი წერილი „ელეონორა დუზე“.[1] ერთხანს რედაქციაში ვისაუბრეთ და როცა გამოვედით, გზაში შალვამ მითხრა, ახლა ვეჯინელ ფიდოსთან წავიდეთ, ვნახოთ ჩემი კასრი სავსეა თუ არაო. ვეჯინელ ფიდოს მეც ვიცნობდი, შალვასთან ერთად დავდიოდი მის ღვინის სარდაფში. სარდაფი ჰქონდა ახლანდელ კოლმეურნეობის მოედანზე, ძნელაძის ქუჩის დასაწყისში. ფიდო, როგორც მას შალვა ეძახდა, დინჯი და დარბაისელი კაცი იყო. მწერლები ძლიერ უყვარდა და საუკეთესო ღვინო მათთვის მუდამ ჰქონდა გადანახული. ფიდოს სარდაფში ან, როგორც ჩვენ ვეძახდით, შალვას სარდაფში დადიოდნენ ქართველი მწერლები, მხატვრები, მსახიობები: ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი, ლადო გუდიაშვილი (ლადო გუდიაშვილმა ჩანახატიც კი გადმომცა ჩვენი ერთი შეხვედრისა), წყნარი და მშვიდი შალვა აფხაიძე, აქვე ზოგჯერ შემოგვიერთდებოდა მოხუცი ვალერიან გუნია, ხელჯოხს კედელზე მიაყუდებდა და ჩვენთან ერთად შემოუჯდებოდა კასრის თავზე გაშლილ სუფრას. მაგრამ ის უფრო არაყს ეტანებოდა. ფიდოს მუდამ ჰქონდა განთქმული კახური ჭაჭის არაყი.

ერთხელ შალვა დადიანი, ლადო გუდიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი ნელი ნაბიჯით მივდიოდით ფიდოს სარდაფში. გზაზე გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და არნო ონელი შემოგვხვდნენ და ისინიც შემოგვიერთდნენ.

— ბატონო შალვა, — უთხრა გალაკტიონმა შალვას, — აი, აქვე, მილიციის ქუჩაზე, მშვენიერი სასაუზმეა და იქ წავიდეთ.

შალვა შეყოყმანდა.

— არა, ჩემო გალაკტიონ, აგერ ფიდოს სარდაფში მივდივართ და თქვენც ჩვენთან წამოდით. — გალაკტიონიც დათანხმდა და ვეჯინელი ფიდოს სარდაფში ჩავედით.

მშვენიერი სუფრა გაიშალა დიდი კასრის თავზე. ერთ-ერთ მათგანს ღვინო მოეკიდა და ჩუმ-ჩუმად მიწაზე ღვრიდა. ეს შენიშნა შალვამ და თქვა: მე არავის ვაძალებ ღვინოს, ვის რამდენიც უნდა, იმდენი დალიოსო. როცა დავიშალეთ, შალვა და მე გავუყევით რუსთაველის ხეივანს და ჩემს ბინაში აღმოვჩნდით, რუსთაველის პროსპექტზე.

შალვა დადიანთან ყოფნა და საუბარი მუდამ სიცოცხლისა და სიხარულის მომგვრელი იყო. მასთან ერთი საათით ყოფნაც კი საკმარისი იყო, რომ სიცოცხლე და სიხალისე მოგმატებოდა.

ასეთი იყო შალვა, როცა თავის მიერ შექმნილ და დაარსებულ მოძრავ თეატრს დაჰყვებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთი იყო იგი, როცა „გიორგი რუსსა“ და „გუშინდელნს“ წერდა და როცა ღრმად მოხუცებული „გვირგვილიანების ოჯახს“ ჰქმნიდა.

არაერთხელ მიმგზავრია მწერალთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მრავალ მის შემოქმედებით საღამოს დავსწრებივარ, მომისმენია მისი შესანიშნავი, ტკბილი, დარბაისლური ქართული, სადაც მწერლისთვის ნადიმი გაუმართავთ, თითქმის ყველგან შალვა ყოფილა სუფრის ხელმძღვანელი, ღვინოც დაულევია და, როგორც თვითონ იტყოდა, „თეთრიც“, მაგრამ მთვრალი და გონებადაკარგული არასოდეს მინახავს. არასოდეს მინახავს, ენა რომ წაბორძიკებოდა. რა მდგომარეობაშიც უნდა ეთქვა სიტყვა, მისი პირიდან მუდამ ქართული ენის მარგალიტები ცვიოდა.

მასთან თითქმის ორმოცი წლის მეგობრობა მაკავშირებდა. შემოგვივლია საქართველოს მთა და ბარი, ვყოფილვართ მრავალ მივარდნილ სოფელში, მაგრამ არასოდეს არ მიგრძვნია თავი მოწყენილად, ანდა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მოშვებულად, მასთან ყოფნა მუდამ სიცოცხლეს მანიჭებდა, ენერგიას მმატებდა.

შალვა დადიანს ყველაფერი შვენოდა, მეგობრობა, ამხანაგობა, ქეიფი და დროსტარება. ის ყველასგან გამოირჩეოდა თავისი განუმეორებელი ხასიათით და უბრალოებით. მაგრამ, რაც უნდა ახლოს ყოფილიყავი მასთან, ბუნებრივად იქმნებოდა ისეთი სიტუაცია, ასე ვთქვათ, ისეთი ვაკუუმი, რომ შალვასთან მაინც დისტანცია უნდა დაგეჭირა და შენს თავს არ მისცემდი უფლებას, რომ ეს ვაკუუმი მთლიანად ამოგევსო მასთან ურთიერთობით.

1957 წელს შალვამ მომანდო საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მოამბის“ ხელმძღვანელობა. შალვა დადიანთან მუშაობა, ეს იყო შემოქმედებითი პროცესი. ის მუდამ ახლის ძიებაში იყო, მუდამ საქვეყნო საკითხებით იყო დაინტერესებული. მისი ვაჟკაცური ალნაგობა, მომღიმარე და სიყვარულით ალსავსე თვალები ადამიანს დაავიწყებდა სევდასა და დარდს, მწუხარებას და ვარამს.

[1] მწერალს მხედველობაში ჰქონდა 1939 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ № 10-ში დაბეჭდილი შ. ალხაზიშვილის წერილი — „ელეონორა დუზე“.

„ეს ადამიანი რომ არ იყოს ამ ქვეყანაზე,— მითხრა ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ, — მე შემზარდებოდა ცხოვრება. შალვა არის ჩვენი იმედი და ჩვენი სინდისი. მიკვირს, პირდაპირ მიკვირს, საიდან აქვს მას ამდენი ულეველი ცოდნა. ის ხომ ცოდნის ნამდვილი სიძველეთა მუზეუმია. მას ბოლომდე შემორჩა ვაჟკაცობა და სულიერი თავადობა. როგორც მახსოვს, მას მაისში უსრულდება დაბადებიდან 85 წლისთავი და ჩვენ მას უნდა გადავუხადოთ იუბილე. მე წარმოვსთქვამ ისეთ სიტყვას, რომელიც არ წარმოუთქვამთ არცერთ იუბილარის შესახებ". ეს სტრიქონები ჩავიწერე კონსტანტინე გამსახურდიას ბინაზე 1959 წლის 15 თებერვალს, როდესაც შალვამ რაღაც საქმის გამო გამგზავნა კონსტანტინე გამსახურდიასთან. მაგრამ მაისამდე შალვას არ უცოცხლია. ერთი თვის შემდეგ, 15 მარტს გარდაიცვალა.

1941 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის თავზე, შალვა დადიანს განუზრახავს ალმანახი „წელიწდეულის" გამოცემა და შინაარსიც კი შეუდგენია, მაგრამ ომმა ხელი შეუშალა ამ საქმის განხორციელებაში.

მხცოვან მწერალს კი ორი ათეული წლის შემდეგაც არ დავიწყებია „წელიწდეულის" გამოცემა და, აი, 1958 წლის დასაწყისში თეატრალურ საზოგადოებაში მითხრა: ჩემო საშა, ჩვენ უნდა გამოვცეთ ალმანახი „წელიწდეული", გამოცემის ავან-ჩავანი ჩვენ ვიქნებით, — მე რედაქტორი და შენ კი — მოადგილე, ვფიქრობ, მოხუცს არ დატვირთავო და კეთილად გამილიმა . „წელიწდეულის" ხარჯთაღრიცხვა შეადგინე, იგი 15 თაბახამდე იყოსო. მეც არ დამიყოვნებია და ხარჯთაღრიცხვა შევადგინე. თეატრალური საზოგადოების სტამბაში ალმანახის ყდაც ავაწყობინე, მაკეტი გავამზადე და ორი დღის შემდეგ შალვას წარვუდგინე. მწერალი ნასიამოვნები დარჩა. „წელიწდეულის" შინაარსიც შევადგინეთ, ავტორებიც შევარჩიეთ, მაგრამ შალვამ ავადმყოფობას მოუხშირა და „წელიწდეული" ვეღარ გამოვეცით.

ერთხელ თეატრალური საზოგადოების ერთმა თანამშრომელმა „სტელაში" ვახშამი გამართა შალვას პატივსაცემად და მთხოვა მწერლისთვის მე მეთქვა. შალვამ თანხმობა მომცა, მაგრამ არ მითქვამს, თუ ვინ პატიჟებდა. მწერალმა წინასწარ გამაფრთხილა, ბანკეტზე ყველა ჩვენი თანამშრომელი და აგრეთვე პავლე ფრანგიშვილი და კოლია გოძიაშვილი წამოიყვანეო.

კარგი სუფრა გაიშალა, რაღა თქმა უნდა, შალვა თამადობდა. სუფრაზე შალვამ თქვა: თეატრალური საზოგადოება ძალიან ვიწროდაა, შეხიზნულია ხელოვნების მუშაკთა კლუბში — და თითქმის ისეთივე მდგომარეობაშია... როდესაც პირველად ჩამოყალიბდა თეატრალური საზოგადოება, რომელსაც დიდი ილია ხელმძღვანელობდა. არავინ არ იფიქროს, რომ ილიას მისი გაფართოება არ უნდოდა, მაგრამ ამაში მას ხელს უშლიდა მეფის ხელისუფლება. დღეს კი თეატრალურ მოღვაწეთა რიცხვი ძალიან დიდია და ამიტომ აქ, სადაც დღეს ჩვენ ვზივართ, უნდა აშენდეს მსახიობთა სახლი. ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებში მქონდა ლაპარაკი და ყველანი თანახმანი არიან. ახალ სახლში ჩვენ გვექნება საკუთარი გამომცემლობა, გაზეთი და ჟურნალიო. აგრეთვე, ჩამოვაყალიბებთ მოძრავ თეატრსო. და, მართლაც, მეორე დღეს მან გამოიძახა პროფესორი გ. ლვინიაშვილი და პროფესორი შ. ალსაბაძე და სთხოვა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმისათვის წარედგინათ მოძრავი თეატრის პროექტი.

დამთავრდა ბანკეტი. შალვამ ოფიციანტს ანგარიში მოსთხოვა.

— ბატონო შალვა, ანგარიში გასწორებულია-მეთქი, — ვუთხარი მე.

შალვას გაეცინა: — იქ, სადაც დადიანი ზის, სიგუა ფულს არ იხდისო.

ძალიან უხერხული მდგომარეობა შეიქნა, ფული უკვე მართლაც გადახდილი იყო იმ პირის მიერ, რომელმაც დაგვპატიჟა. რა გაეწყობოდა, მან გადახდილი ფული დაიბრუნა.

ერთ დღეს შალვამ თავის კაბინეტში დამიძახა და მითხრა: ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ექვს ტომად გამოდის ჩემი მხატვრული ნაწერები, მე მოხუცებული ვარ და ჩემთვის ძნელია ამ მძიმე სამუშაოს შესრულება, ამ საქმეს შენ უნდა მოკიდო ხელი და გამოსაცემად მოამზადოო. მან წერილი მისწერა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორს: „ზემდგომი ორგანოების დადგენილებით თქვენთან გამოდის ჩემ თხზულებათა ტომეული. ხანდაზმულობის გამო მე მოკლებული ვიყავი საშუალებას, შემეგროვებინა ჩემი ნაწერები, მომეყვანა სისტემაში და გადამეცა გამომცემლობისათვის. მთელი ეს სამუშაო შეასრულა ალექსანდრე კონდრატეს-ძე სიგუამ, ამიტომ გთხოვთ, არსებული წესის მიხედვით, მას მისცეთ ჰონორარი, როგორც შემდგენელს ყველა ტომებზე, რომელიც გამოვა თქვენთან".

ერთ დილით, შალვა სამსახურში ადრე მოვიდა, თან ალექსანდრე თაყაიშვილი მოჰყვა, რაღაცა საბუთებზე შალვამ ხელი მოუწერა, შემდეგ მე მომიბრუნდა: „სახელგამის" დირექტორთან წავიდეთო. დირექტორის მისაღებ ოთახში შევედით. მდივან ქალს შალვამ ჰკითხა — დირექტორი აქ არის თუ არაო, — დიახ, აქ არის, ბატონო შალვა, — უპასუხა გოგონამ.

შალვამ დირექტორის კაბინეტი შეაღო და მეც თან შევყევი. ვხედავდი, დირექტორი შალვას როგორღაც გულცივად იღებდა. შალვამ ცოტა შეიცადა და შემდეგ მიმართა, როგორაა ჩემი ტომების გამოცემის საქმეო. — თქვენ ვინ ბრძანდებით და რა წიგნები გამოდის თქვენი, — უპასუხა დირექტორმა. შალვამ გადმომხედა — ჩემი ადგილი აქ არ არისო, უცებ ადგა და წამოვიდა.

სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში შალვა დადიანს მოუსვენრობა ეტყობოდა, ერთ ადგილს ვერ ჩერდებოდა, ხშირად ამბობდა — ბერთეშში უნდა წავიდე და მამის საფლავი უნდა ვნახოო. და, აი, ერთ დღეს დამიძახა და მითხრა: — ჩემო საშა, სამეგრელოს რაიონებში უნდა წავიდეთ და მოემზადეო. 1958 წლის 24 აგვისტოს შალვა მატარებლით გაემგზავრა ცხაკაიას რაიონში, მე კი დამავალა, რომ მისი მანქანით ჩავსულიყავი და ჩამეტანა მისი ცხაკაიას ბიუსტი, რომელიც მან რაიონის მშრომელებს უსახსოვრა. ბიუსტი კარგად შევფუთეთ და მანქანაში უვნებელ ადგილს მოვათავსეთ. მეორე დღეს, 25 აგვისტოს, დღის ორ საათზე, ჩავედით ცხაკაიაში და პირდაპირ მივადექით სახტუმროს, სადაც მწერალი ისვენებდა, თან ავიტანეთ მისი ცხაკაიას ბიუსტი. როდესაც შალვამ ბიუსტი უვნებელი ნახა, ძლიერ გაუხარდა, თვალები გაუბრწყინდა და თავისებური შემპარავი ირონიით თქვა: კარგია, 25 წლის მისა არ დაგიმტვრევიათო.

შალვას სახტუმროში ორი ოთახი ეკავა.

— დღეს ცოტა შეუძლოდ ვარ, — მითხრა მან, — ამიტომ ერთ ოთახში შენ მოიხვენე, ხომ იცი, მოხუცს მიხედვა უნდა, — და რაღაც არაჩვეულებრივად ნატიფად გაიღიმა. მართლაც, შალვა ცუდად იყო, მთელი ღამე ბორგავდა, არ ეძინებოდა, განუწყვეტლივ ახველებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გათენებისას, მიეძინა. დილით, როცა გაიღვიძა, მთხოვა ბაზრიდან მისი საყვარელი ნესვი მომეტანა; თუ კარგი ატამი იქნეს, ისიც წამოიღეო, დაუმატა.

— ჰო, ბატონო შალვა, ატმის ხსენებაზე მომაგონდა ერთი ამბავი: თქვენ ერთხელ, თურმე, სოფლად ყოფილხართ წვეულებაზე, ქალებს თქვენთვის მოურთმევიათ ატამი და უკითხავთ, რომელი გირჩევნიათ, სახლეჩი თუ სათალიო. თქვენ გიპასუხიათ, იყო დრო, როდესაც სახლეჩს ვეტანებოდი, მაგრამ ეხლა სათალითაც დავკმაყოფილდებიო. ამაზე შალვას ოდნავ გაეღიმა და თავი ჩაღუნა.

შალვა ცხაკაიას თეატრის მშენებლობით დიდად იყო დაინტერესებული და ყოველნაირად ცდილობდა, რომ ადრე დამთავრებულიყო. კარგი თეატრი გამომივა და კარგი მსახიობებიც უნდა შევურჩიოო, ამბობდა. მიუხედავად იმისა, რომ ავად იყო, თეატრის მშენებლობა მაინც დაათვალიერა და რაიკომის პირველ მდივანს, ამხ. ი. ურუშაძეს, სთხოვა, თეატრის მშენებლობა დაეჩქარებინათ.

28 აგვისტოს ბერთეშში წავედით შალვას მამის, ნიკო დადიანის, საფლავზე. ჩვენთან ერთად ბერთეშში ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანიც წამოვიდა. შემოდგომის ნანატრი დღე იყო. ბერთეშში თანასოფლელებმა შალვას დიდებული შეხვედრა მოუწყეს. მხცოვანი მწერალი დიდი თაიგულებით და ლამაზი სიტყვებით დააჯილდოვეს. გზადაგზა შალვა ყველაფერს ისე გვიხსნიდა, თითქოს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ცხაკაიას რაიონში გაეტარებინოს. შეხედეთ, — გვითხრა შალვამ, — მთაზე რომ ციხე-სიმაგრე მოჩანს, ის ქუჯის ციხეა; ქუჯის ფსევდონიმით ჩემი სიყმაწვილის დროს, გაზეთ „ივერიაში“ 1896 წელს პირველად დავიბეჭდე: დაუდეგარო წლებო! სად გაფრინდით, სადღესაც მიკვირს, თუ როგორ გავბედე ილიას გაზეთში მინიატურის მიტანა. მეორე დღეს როდესაც გაზეთში წავიკითხე ჩემი ნაწერი და ისიც „ივერიაში“ დაბეჭდილი — სიხარულით ცრემლები წამომცვივდა თვალებიდან. ერთი წლის შემდეგ, უკვე მოთხრობა დავბეჭდე „ივერიაში“ — „არ მოვმკვდარვარ“, რომლისათვის რედაქციას ასეთი შენიშვნა გაეკეთებინა: „ვტოვებთ ამ მოთხრობის იმ კილოს, რა კილოთიც იგი ავტორს აქვს დაწერილი“. ამ შენიშვნამ უფრო გამახარა, ვინემ ჩემი მოთხრობის დაბეჭდვამ, ვინაიდან მამისგან ვიცოდი, რომ გაზეთის ყველა მასალას ილია კითხულობდა, მით უმეტეს, მოთხრობებსა და ლექსებს, ამიტომ შენიშვნაც უხათუოდ ილიას კალამს ეკუთვნოდა.

ძალიან ცხელოდა, გზაზე, ნოქალაქევში, ცოტა შევისვენეთ და სასადილოში შევედით. შემდეგ ისევ განვაგრძეთ გზა ბერთეშისაკენ. მავდივართ „მიკოტახირის“ გზით. — შეხედეთ ქვემოთ, უფსკრულში მიმავალ ტეხურს, აი, როგორი ვიწრო კალაპოტი აქვს, — გვიხსნის შალვა, — ამას „დედამოკას“ ეძახიან. ხალხში დედამოკაზე ასეთი თქმულება არსებობს: როდესაც ურჯულოები ქართველებს იტაცებდნენ, დასაჭერად გამოკიდებიან ერთ ორსულ (მეგრულად — მოკათუს) ქალს, ქალი გაქცეულა, და, როცა ტეხურს მოადგა თურმე, მისი ნაპირი შევიწროებულა და ქალისათვის საშუალება მიუცია მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადამხტარიყო. აი, ამიტომ ეძახიან „დედამოკას“.

შალვა ძალიან გამხიარულდა ულამაზესი ტეხურის სანაპიროების ხილვით და ღიღინი მორთო:

ჩემო ბიძინა, ღმერთმა გიცონა,
ტურფა მარიკა გვერდს მოგიწვინა.

— ეხ, ბატონო შალვა, ხულ ლამაზები და ტურფები გაგონდებათ, მაგრამ რა ეშველება იმას, ვინც ტურფა არ არის, ვინც ლამაზი არ არის და ბედმა დაჩაგრა?!

შალვამ თავისებური მოსიყვარულე თვალებით შემომხედა და თავისთვის გაიმეორა ნ. ბარათაშვილის სტრიქონები:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელებას
და, ვით ყვავილი, თავის დროზე.
მსწრაფლად დაჭკნების".

ჩავედით ბერთემში, მანქანა ტეხურის ნაპირზე გავაჩერეთ. ჰქროდა სასიამო, კავკასიის მთებიდან მონაბერი ნიავი. შრიალებდნენ ტყეები და სიმინდის ყანები, ანკარა ტეხური ისე მირაკრაკებდა, თითქოს თავისთვის რაღაცას საუბრობსო. შალვამ ტეხურში ხელი ჩაჰყო. ეხ, რამდენი ჩემი ბავშვობის მოგონებაა დაკავშირებული ტეხურთან! მამა ხელს მომკიდებდა და ტეხურის შრიალა ნაპირებზე შემომარბენინებდა. „გვირგვილიანების ოჯახში" ყველაფერი ეს მე გავიხსენე, მაგრამ მაინც უნდა დავწერო ახალი ნოველა „ტეხურიო", თქვა შალვამ. შემდეგ აქეთ-იქით მიმოავლო თვალი და დაბალ ხმაზე წაიღუღუნა:

ტეხურო, ჩემო ტეხურო,
ანკარავ, ლაჟვარდოვანო!
ნაპირზე ზოგან ტყიანო,
და ზოგან კიდევ კლდოვანო!
როგორ მიყვარდი ყმაწვილსა,
ბერთემს გაშლილი ჭალითა,
მშფოთვარე, დაუდგომელი
გმირს ჰგავდი ღონით, ძალითა...

შიგ კალმახები რომ ხტოდნენ,
ტობი და წვერა ცბიერი...
აროდეს დამავიწყდება
შენი შნო, შენი იერი!..

ნელი ნაბიჯით მივუახლოვდით ნიკოს, შალვას მამის, საფლავს, თვალცრემლიანი ეამბორა შალვა მამის საფლავს: — მამა, უკანასკნელად მოვედი შენთან. მე მგონია ვალმოხდილი ვარ, როგორც შენი, ისე ერის წინაშე, დიდია თუ პატარა, რასაც ვაკეთებდი, მაინც ჩემი სამშობლოს სიყვარულით ვაკეთებდი. მეუბნებოდი, გიყვარდეს შენი სამშობლოო:

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე,
არ შემიძლია მეც, განა?

ასე დაამთავრა შალვამ თავისი სიტყვა მამის საფლავზე და ისევ დავუყევით ტეხურის ნაპირებს.

შალვას განსაკუთრებით უყვარდა ბერთემი და მისი თვალწარმტაცი, მომხიბვლელი ბუნება; ტეხურის ნაპირიც, გამუდმებით რომ ისმოდა ფრინველთა გალობა და ყიჟინ-ხივილი. მოვუსმინოთ თვითონ მწერალს:

„სოფელი ბერთემი!

შეიძლება სხვებისთვის დიდი არაფერი იყოს, რადგან ამისთანა მშვენების სოფელი ბევრია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით დასავლეთ მხარეს, მაგრამ მისთვის სულ სხვაა თითქოს პირქუშად აყუდებული ნოქალაქევის მთა, რომლის წვეროკანაზე გაშლილი მოედანი, ხასხასა ჰყორის ბუჩქნარით ალადლადებული, ფიჭვისა და ნაძვის ზეასხლეტილი ხეებით დამშვენებული, ტანწერწეტა მეგრელებივით რომ შესევიან ამ მთის მაღლობებს და თითქოს მტკიცე გუშაგებად გადმოჰყურებენ არე-მარეს. ამ მიდამოს ცოტა ზევით ქუჯის ციხის დიდი ნანგრევია, ჰალარა არქეოპოლისი. რომლის კალთებზე ძველ-ოდესმე ყოფილა გაშენებული „აია" ქალაქი, და არგონავტები აქ მოსულან მედეას გასატაცებლად, ან კოლხეთის მეფის გუბაზის ტრაგედია, რომელიც აქვე გაუთამაშნია ისტორიას, ან კიდევ სპასთა ურდოების ვინმე სარდალი მერმეროე, რომელიც ცდილა ამ კალთების ძირას გადაეწყვიტა კოლხეთის ბედი. ამ არემარეშივე მომხდარა გლეხთა და თავადთა „ბურხაფი" მჭედელ მიქავას მეთაურობით, და სხვა და სხვა...

ან სად არის ამისთანა მთვარის სინათლე, ბერთემში რომ იცის, ისეთი?.. მიმქრალ ხელთნაწერსაც რომ წაიკითხავ ესეთ მთვარის შუქზე!

ან რა საოცარი მყუდროება იცის ღამით ბერთემმა: მხოლოდ ქვევით, ჭალიდან მოისმის მდინარე ტეხურის მძლავრი ქშუილი და მარადიული მოძრაობისა და მოქმედების ხალისს განერგავს..."

ბერთემიდან ისევ ცხაკაიაში დავბრუნდით. მეორე დღეს კი გავემგზავრეთ გეგეჭკორში, სადაც ეწყობოდა შალვა დადიანთან შეხვედრა. მაგრამ, სანამ გეგეჭკორში ჩავიდოდით, სოფელ ბანძაში გავიარეთ. ბანძაში გათხოვილი იყო შალვას მამიდა მარო დადიანი, რომელიც ცოლად ჰყავდა ფარნა ფალავას. აი, ამ ფარნა ფალავას სახლში ჩამოვიდა ერთხელ ილია ჭავჭავაძე, იონა მეუნარგიასა და მექი ფალავას თანხლებით, სადაც მაშინ შალვას მამა, ნიკო დადიანი, დროებით ცხოვრობდა. რასაკვირველია, ისინი დღეს არცერთი ცოცხალი აღარ არიან, მაგრამ ფარნას შვილს, ალექსანდრე ფალავას, ჰყოლია ქალიშვილი, რომელსაც ზედსიძედ შეუყვანია ტარასი ეჯიბია. დიდი ძებნის შემდეგ მოვნახეთ ეჯიბიას სახლი, სადაც ამჟამად ცხო-

ვრობს ფარნას შვილიშვილი ჰუტა ფაღავა. დილის 11 საათზე ვიყავით იმ ეზოში, სადაც ერთ დროს ილია ჭავჭავაძესა და ნიკო დადიანს ესაუბრიათ საქართველოს ბედ-იღბალზე.

შეხვედრას რაღაც არაჩვეულებრივი ხასიათი ჰქონდა. ახლომახლო სოფლებიდან დიდძალი ხალხი მოვიდა მხცოვანი მწერლის სანახავად. სასიამოვნო ქარი ქროდა. შალვას ძველებური ჰილობი გამოუტანეს და მსხლის ძირას, ამწვანებულ ბალახზე გაუშალეს. მწერალს უცებ ჩაეძინა, მაგრამ მსხალმა აღარ მოასვენა — ცვიოდა და ცვიოდა მწიფე მსხალი. მწერალმა გამოიღვიძა. — ეხ, რა მდიდარია ჩვენი ქვეყანა, ხეზე არც კი გინდა ასვლა, ხილი პირდაპირ კალთაში გიცვივა, — ღიმილით თქვა და ერთი მსხალი აიღო.

საღამოზე გაიმართა დიდი ნადიმი და თოფის სროლა. ერთ მოხუცებულს კაჟიანი დამბაჩა მოეტანა. დამბაჩა ლამაზად იყო მოსევადებული ვერცხლითა და სპილოს ძვლით. მწერალმა მოხუცებულს დამბაჩა გამოართვა. — აი, ამითი იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები სამშობლო მიწის დასაცავად, და დღეს კი ეს დამბაჩა სამუზეუმო იშვიათობას წარმოადგენს, ატომის ეპოქაში ვცხოვრობთო. — თქვა მწერალმა.

სუფრას შალვა თამადობდა. — აქ, ამ ეზოში, ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები გამიტარებია. აქ პირველად ვნახე დიდი ილია ჭავჭავაძე, მამასთან მოსაუბრე, და განა ეს ეზო ისტორიული ეზო არ არის! ეს სახლი მე ყოველ წელიწადს უნდა მენახა, მაგრამ რა ვქნა, ასეა თუ ისე, ჩაბმული ვარ საზოგადოებრივ სამუშაოებში და ვერ ვიხელთე დრო. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ვლხინობ იმ სახლში, სადაც 70 წლის წინათ ვტიკტიკებდი. ბედნიერი ვარ, ბედნიერი.

ბანძაში სხვადასხვა სოფლებიდან ბევრი ხალხი მოვიდა შალვას სანახავად. მეტწილი კოლმეურნეები იყვნენ. მათ მწერალთან ტკბილი საუბარი გამართეს. ზოგი ხანდაზმული იგონებდა ძველ დროს და შალვასთან გატარებულ ბავშვობას.

მეორე დღეს, დილით, ბანძიდან გეგეჭკორში გავემგზავრეთ და სასტუმრო „გეგეჭკორში" მოვთავსდით. შალვას ჩამოსვლის მოლოდინში დიდძალი ხალხი მოსულიყო სასტუმროს წინ. გამოჩნდა შალვა, თეთრ ხუჭუჭ თმას ქარი ურხევდა, მოდიოდა მხნედ, ჭაბუკურად, ესროდნენ ვარდ-ყვავილების თაიგულებს, გზებიც მოფენილი იყო ვარდებით. მხცოვან მწერალს გრძნობით სავსე ლექსით მიმართა ახალგაზრდა პოეტმა სერგო ფაცაციამ:

ჩამოხველ და აღმაფრენით
გეგებება შენი მხარე,
როგორც ყველა გაგვახარე —
აგრემც ისე შენ იხარე!..
გავლენ დრონი და შენს სახელს
კვლავ დიდებით უმღერებენ, —
თეთნულდივით გოლიათს და
უშბასავით უბერებელს,
ანდა როგორ დაგაბერებს,
ფოლადივით გაუღუნელს,
ასეული წელი არა,
ასეული საუკუნე...
მოხველ, დაგხვდა შენი ბუდე
ლალი, განა დარდიანი;
სიოს ხმაზე ალტაცებით
აჩურჩულდა ვარდიანიც:
— ჩვენი ღვიძლი, ჩვენი შვილი,
ჩვენი შალვა დადიანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი როცა დაიშალა, ჩვენ სასტუმროში ჩავედით დასასვენებლად. ცხელოდა, შალვას დაღლილობა დაეტყო. მალე რაიკომის პირველი მდივანი ამხ. კ. ხუბულავა მოვიდა და მარტვილის მონასტერში წაგვიყვანა. მონასტერი მაღალ გორაზეა აშენებული. გრილოდა, მონასტერში საღამომდე დავრჩით. შალვა ცოტა გამოკეთდა. გახალისდა. მარტვილის მონასტრიდან მთელი იმერეთი და გურია-სამეგრელო ხელისგულივით მოჩანს.

— სად არიან ჩვენი მხატვრები, ამაზე უკეთეს ბუნებას სად დახატავენ, — თქვა შალვამ და ხელი გაიშვირა ჩვენს წინ აღმართული ლამაზი მთებისაკენ, — მარტვილის მონასტერი ჩვენი ხელოვნების დიდებული ძეგლია, აი, აქ, მონასტრის მიდამოებში, სისხლიანი ბრძოლა იყო წარმართობასა და ქრისტიანობას შორის, და ამიტომ ამ მონასტერს მარტვილის ანუ წამების მონასტერი დაერქვა.

საღამოს რაიონის ცენტრში — გეგეჭკორში ჩამოვედით; აქაც შალვას შემოქმედებით საღამოს უწყობდნენ. საღამოზე მომხსენებელმა განაცხადა, რომ შალვა დადიანი ხანდაზმულია — 85 წლისაა, მაგრამ ჭაბუკურად გრძნობს თავსო. ამაზე შალვამ რეპლიკა ესროლა — ქალების წინაშე მაინც ნუ გამიმხელ წლოვანებასო. ხალხი ახმაურდა და ტაში დაუკრეს მწერლის მოსწრებულ რეპლიკას.

მეორე დღეს ცხაკაიაში დავბრუნდით. საღამოს შალვამ მიკარნახა გეგეჭკორის რაიონულ გაზეთში დასაბეჭდი წერილი, სადაც წერდა:

„ამ ზაფხულს განვიზრახე ერთხელ კიდევ შემომევლო, შეიძლება უკანასკნელად, ჩემი მშობლიური კუთხე — სამეგრელო, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც ჩემს ბავშვობაში მიბურთავნია, მიჭიდავნია ტოლ-ამხანაგებთან და სადაც გამიტარებია ჩემი სიჭაბუკე. ამგვარად მოვხვდი სამეგრელოს უძველეს კუთხეში — მარტვილის ყოფილ მონასტერთან — დაბა გეგეჭკორში. მარტვილის ისტორიულმა არემა-

რემ ერთხელ კიდევ აღმაფრთოვანა თავისი დიდებული მდებარეობით, საოცარი პანორამით". წერილი თავდებოდა, რომ გეგეჭკორს ჰყოლია საუკეთესო ინტელიგენციაო და სხვა, მაგრამ, აი, უკვე ღამის სამი საათია და მწერალი მალვიძებს. საშა, წერილი ხომ არ გადაგიცია რედაქციისათვისო. არა, ბატონო შალვა-მეთქი. მაშინ ჩემი წერილი ასე დაამთავრეო და მომცა ხუთსტრიქონიანი ლექსი:

„და მე ვნახე, რომ ეს კუთხე
სწორთა შორის არის სწორი,
მაშ, ერთად ვთქვათ,
ყველამ ერთად
სულ ჰყვაოდეს გეგეჭკორი".

პირველი ტომი, რომელშიც შევიდა ნოველები, მოთხრობები, ესკიზები და ეტიუდები, გამომცემლობას ჩავაბარე „ჩამოკრულების" სათაურით და **1958** წელს გამოიცა. ერთ დილით ავტორს ეს წიგნი შინ მივუტანე. შალვა ლოგინში იწვა. ბოლო ხანებში ხშირად ავადმყოფობდა. ძალიან გაუხარდა, გადაფურცლა და რატომღაც ჩუმად ჩაიცინა.

მეორე დღეს, როცა მივედი, ისევ ლოგინში დამხვდა. ოდნავ დაღონებული იყო, მაგრამ მაინც გაიღიმა და მითხრა: — შეხედე მამის ბიუსტს, ხომ კარგია?! ჩემსკენ მოაბრუნეო; ბიუსტი ფანჯარასთან იდგა და ეზოს გადაჰყურებდა.

— წუხელ ორიოდე საათი ვიმუშავე, — მითხრა მწერალმა და მანიშნა საწერი მაგიდიდან აეღო ნაწერი და წამეკითხა. ნაწერი სულ ორგვერდნახევრიანი იყო და ერქვა „უბის წიგნაკიდან". ესკიზი წავიკითხე. — ბრწყინვალედაა დაწერილი, ბატონო შალვა, მე მგონია, გუშინ რომ პირველი ტომი მოგიტანეთ, იმას ეხება-მეთქი.

პირველი ტომის, სადაც მოთავსებულია „ჩამოკრულები", ენა კარგი უნდა იყოსო, თქვა და დაუმატა: დაე, მკითხველმა თითონ განსაჯოსო.

## უბის წიგნაკიდან

„ჰოი, ქალაღდო!
რადა ხარ ასეთი მიმზიდველი?

და ისიც მარტო სპეციალისტების — მწერლებისა და მხატვრებისათვის, ხუროთმოძღვრებისა და ტექნიკოსებისათვის... ბუხჰალტერიისათვისაც კი არა, არამედ უბრალო მორიგ ადამიანებისათვის, კალმის ხელში დაჭერაც რომ კარგად არ შეუძლიათ, ძლივს რომ აბამენ ერთი მეორეს სიტყვებს, ისინიც, გენიოს რუსთაველთან ერთად, მაინც შენ რომ მოგმართავენ...

ახე არის ათადან-ბაბადან.

ჰო, შენ! შენ, ქაღალდო! მხოლოდ სანამ შენ გაჩნდებოდი, შენებრ მოსაფხაჭნი რამე [illegible]განს: ქვას — კლდეებში, ხეს — ტყეებში, ტყავს — გატყავულ მხეცებისას თუ „საქონლისას" და კიდევაც სხვა მრავალ რასმე.

ესეთებს რომ მოგმართავდნენ!

მხოლოდ შენ რას იზამდი, შენ და შენი წინაპრები, თქვენის გამტკიცებული თეთრი პირით, რომ უძველეს დროიდან ვინმე ერთ „უხევიროს" (ასეთ სიტყვას ხმარობენ კახეთში „უხეიროს" მაგიერ) არ გამოეძებნა რაიმე წამწყვეტილი, პირველ ხანებში უთუოდ რაიმე მაგარი ეკალი და არ დაეწყოთ ჯირითი შენს უმანკო „ლიანდაგზე"... მერმე ხომ გაჩნდა ხალგისი, ბატის ფრთა და დღეს ამაღლდა ფოლადის და ოქროს კალმამდე, ბეწვის ყალამთხა და ფუნჯის მოხმარებამდე.

შენკენ კალამი და მისი წინაპრები მოისწრაფოდნენ... შენ კი ნეიტრალი იყავ თითქო, იმერლები რომ იტყვიან — „გაბუსუნებული" — იყავ, ჩვენ გავუკეთოთ ყდა ჩვენ წიგნებს. თხელი, უყდო გარეკანიანი წიგნი ხომ ბაზარზე თითქმის აღარც კი გამოდის.

ნახატი, ჩუქურთმა, მურდახილი და მრავალნაირი, ვითომ უფრო ქართულ იერის და ხშირად მოვარაყებული, მოოქვრილი „ბზინავს", ელავს ოქროს ფერად".

თვალებში მეტევება!

მე არ მაკადრეს ჩემი ტომების ესეთი გამოცემა. მეტად უბრალოდაა, ვითომდა „არისტოკრატიულად?!"

და არ შეიძლება ასეთი მორთული წიგნის წაკითხვა არ დაიწყო.

მხოლოდ ბოლომდე? ხალისით ჩაათავებ თუ არა... ეს სხვა საკითხია და ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ...

ესეც სათქმელია, რომ შენ თვითონ, ქაღალდო, დიდი გამძლე არა ხარ, მაგრამ ჩვენი მწერლების გამაუკვდავებელი კი შენა ხარ. შენზე ალაპარაკებული ჩვენი სიტყვები ჩვენი უკვდავების მომნიჭებელი, უკეთუ ამ სიტყვებს უკვდავების შესდგამთ რამე".

სიკვდილის წინა დღეებში ავადმყოფმა მწერალმა დაწერა პატარა ესკიზი „უკანასკნელი სიყვარული". ეს ესკიზი ეხება შალვას ბინის გვერდზე, ლაფარესთან, ამოსულ აკაციის ხეს, რომელიც მართლაც გასაოცრად შემოყოფდა ტოტებს გაღებულ ფანჯარაში. ავადმყოფი მწერალი ხელით ეთამაშებოდა და კოცნიდა, ეალერსებოდა მას. აკაციის ეს ხე იყო მწერლის უკანასკნელი სიყვარული და მას მიუძღვნა მცირე ნოველა.

## უკანასკნელი სიყვარული

„ახალი გამოხული ვარ საავადმყოფოდან, მაგრამ მაინც ვერა ვარ კარგად. ძალიან სუსტად ვარ. ამიტომ სულ მეწოლება.

ჩემი ლოგინი დგას ფანჯარასთან.

ფანჯრის იქით კი, ქვაფენილის გადაღმა, ლიდი ხეა ამოსული თუ დარგული, ეს სულერთია მოთხრობისათვის. მრავალშტოებიანია და ერთი მისი, ჩემთვის „უზრდელი" შტო ისე გათავხედებულა, რომ ღამის ჩემ ფანჯარას მიეხახუნოს.

თვითონ შტო კი ლამაზია, თითქმის ლორთქო ფოთლებით, მწვანით შემოსილი.

და აი ეს ფოთლები, განსაკუთრებით ამ შტოს უფრო პატარა შტო, სულ ახლოს მოსულან ჩემ ფანჯარასთან და მინებს ელამუნებიან. ისე კი გამოდის, თითქოს ადამიანისებურად. მე, პირადად, მე, მიქნევენ ხელს და მეძახიან — ჩვენთან მოდით! ზოგიერთი ფოთოლი თითქო ადამიანის თვალების მაგივრობას ეწევა და თავის ქუთუთოებს, იმერულად რომ ვთქვა, მე „მიპაჭუნებს", თან თითქო მთელ პირისახეზე მზაკვრული ღიმი დაჰქრის და ვითომ ამით ერთობა, მაგრამ ეს მისი თვალების ხამხამი არ არის ბოროტი და მაცდუნებელი.

პირუკუ! მოსიყვარულეა, მოალერსე.

ჯერ კარგა ხანს ასეთი თრთოლვით მიზადავს თავისკენ ეს შტო, შემდეგ უეცრად მთლიანად უკან დაიხევს, წელში ჩაიკეცება და თითქო „რევერანსს" მიკეთებს.

არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციო.

მაგრამ მე რაკი არაფრით არ ვეხმარები, თითქო გაჯავრდება და, გულმოსული, ახლა მთელი შტო დაიწევს უკან და ხან მარცხნივ ეხეთქება თავის დედის კალთას, ხან მარჯვნივ, თან ტანში ისე იმლება, თითქო მეუბნება: აი, შემომხედე, რა კარგი ტანადი ვარ, რა ხალუქი, მწვანე ქსოვილის კაბა მაცვია!.. ვერა ხედავ, შენი ეშხით რა გაგიჟებული ვარ?!

მიყვარხარ, შალვა, მიყვარხარ!..

გამოვტეხილვარ, მეც გამტეხა ამ შტომ თავის საცვიფრელი მოპყრობით.

და...

მეც შემიყვარდა.

— შენ ჩემი უკანასკნელი საყვარელი ხარ, ჩემ ფანჯარასთან მოლამუნე ლამაზო ხის შტოვ!

1958 წ."

თვენახევრის შემდეგ, 1959 წლის 15 მარტს. შალვა დადიანი გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ღვინჯილია

# ბედიას საგონებელი

## 1. სავსე კალათი

„დილით, როცა ნავებს ზღვისაკენ მიაჩოჩიალებდნენ, ბედიას ზღვა ეშორა, ზურგი გაეოფლა და გაუკვირდა, მაგრამ მაშინ ხმა არ ამოუღია, იფიქრა ალბათ, მომეჩვენა, ანდა მართლა დავბერდი და იმის ბრალიაო, მაგრამ, ეტყობა, ბოლომდე მაინც ვერ ამოეფხვრა ეჭვის ჭია, რადგან ახლაც, როგორც კი ხალხი დაიშალა და ნავები ცხელ ხილაზე ყელგამოჭრილი კამეჩებივით ახრიალდნენ, ისევ წამოუარა დილანდელმა შეშფოთებამ“.

ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ციტირებული ადგილის ჩათვლით თითქმის ყველა ეპიზოდი იკითხება როგორც ცხოვრების შინაარსის სიმბოლო. ამ შემთხვევაში არჩეულია ანტიკური ვანის ცხოვრების შინაარსი.

არსებითი სათქმელის ლოგიკას ხშირდებოდა. და რომანში უამრავი წახნაგით არის ნაჩვენები ანტიკური ვანის ცხოვრება. იგი — მხატვრულად მოტივირებული — ურიცხვი ცხოვრებისეული წახნაგით შემოდის ჩვენს სულში და გარდასული დროის ტკივილებზე დაფიქრების წყურვილით გვავსებს. ამდენად არსებითი სათქმელის ლოგიკას ნაწარმოების სტრუქტურის წარმმართველი ფუნქცია აკისრია, მუდამ გულისხმობს მაღალმხატვრულ ფორმას, ერთი წამითაც ვერ ითმენს მისგან გათიშვას, მაგრამ არც წარმმართველის როლს თმობს. მწერლის სურვილია ასეთი, ხოლო სურვილის შინაარსი მკაცრად არის განსაზღვრული: ჩვენი დამოკიდებულება წარსულისადმი არ შეიძლება ინდიფერენტული იყოს. იქ, წარსულში, მარადგანმეორებადი ცხოვრებისეული კანონები მოქმედებდნენ, ფორმები კვდებოდნენ, მაგრამ იმ კანონების შინაარსი რჩებოდა უცვლელი. იმ კანონების „წყალობით“ ჩვენს ქვეყანას შემდგომ, საუკუნეების განმავლობაში უზარმაზარი ენერგიის დახარჯვა უხდებოდა დაკარგულის დასაბრუნებლად ; და როგორც კი დაიბრუნებდა, მთელი ღირსებით იმართებოდა წელში.

რომანის მთავარი გმირის არსი იშლება ანტიკური ვანის ცხოვრების ყოველ წვრილმანში, ქვეყნის საერთო განწყობილებასა და ამ განწყობილებით აღქმულ ბუნების ფერებში.

• ბედია ქვეყნის ფხიზელი სულია.

ოთარ ჭილაძემ, ცხადია, მშვენივრად იცის, რომ ხორცშეუსხმელად თვით უმშვენიერესი იდეაც კი, ზემოქმედების უნარს არის მოკლებული. ამიტომ ბედიას უცნაური დაკვირვება მაშინვე გიჟის მოჩვენებად „მონათლა“, მეთევზეების გუშინდელი ბრძენი მეთაური მკუაზე მცდარ ადამიანად შემოიყვანა. გიჟის მოქმედებად აირეკლა რიგითი ადამიანების შეგნებაში ბედიას ქცევა, მისი ეჭვები. მისი ხიფხიზლე. მაგრამ ამ გარეგნული მოჩვენებითობის იქით ჩაუმქრალი კოცონივით ღვივის შორსმჭვრეტელი ადამიანის მისნური წინათგრძნობა თუ წინასწარხედვა, ღვივის გრძნობა რაღაც გარდუვალ უბედურებასთან დაპირისპირებისა. ბედია ქვეყნის ის ნერვია, რომელიც პირველი გრძნობს ჯერ კიდევ შორს მყოფ, მაგრამ ხვალ-ზეგ თავზე დასატეხ საშინელებას.

ზღვა რომანში გაიგივებულია ანტიკური ვანის სისხლსავსე ცხოვრებასთან, მის ძლევამოსილებასთან. ზღვის გარეშე წარმოუდგენელია ნამდვილი ვანი, წარმოუდგენელია საერთოდ ღირსეული არსებობა და ბედიას შეშფოთება

სწორედ ქვეყნის ყველაზე ფხიზელი სიმის საგანგაშოდ შერხევას მოასწავებს.

მისთვის წარმოუდგენელია შეგუება იმ აზრთან, რომ ზღვა მიიპარებოდა, ტოვებდა ქალაქს, ზღვა ურომლისოდაც ვანს არ გაეძლებოდა. მშვენიერი ფორმა მოუძებნა მწერალმა ბედიას ხასიათს, ამ შეშფოთებისადმი რეაგირების ფორმა: „ალბათ, ყველაზე სწორი გამოსავალი იყო ის, რაც ბედიამ აირჩია, მან თოკით რამდენჯერმე გადაზომა მანძილი ნავების სადგომიდან ზღვამდე, მერე თოკი დაახვია და კისერზე გადაიცვა, ყოველთვის რომ ხელთა ჰქონოდა, თუკი დასჭირდებოდა. გადაიცვა თუ არა კისერზე თოკი, მაშინვე დამშვიდდა, თითქოს ამ გაბურძგნული თოკით ამოდენა ზღვა დაება და ახლა უიმისოდ ფეხსაც ვერ მოიცვლიდა“. რომანში ბედიას სულიერი წიაღსვლები ვანის ცხოვრების შინაარსს სდევს თან, შესაბამისად იცვლება. ბედიას მისია ხერხემალივით გაჰყვება ანტიკური ვანის ცხოვრებას ბოლომდე და რომანის ანალიზისას აუცილებელი ხდება ამ ხასიათისაკენ დროგამოშვებით მიბრუნება. მაგრამ ამთავითვე უნდა შევნიშნო ერთი ნიშანდობლივი გარემოება: მწერალს იმდენად ბედიას ფხიზელი სულის წარმოჩენა კი არ აინტერესებს, რამდენადაც თვით ხალხისა და ქვეყნის მზადყოფნა ფხიზელი სულის განგაშისადმი. არც ის, რომ გარდუვალს ამ განგაშით მაინც ვერაფერი შეაკავებს, არამედ ისევ და ისევ ხალხის შინაგანი შეუმზადებლობა გონიერი გაფრთხილების მოსასმენად. მისი გულისხმა წვრილ საქმეებში ისე ღრმად არის ჩაფლული, ვერც კი გრძნობს, როგორ ჩამოქვეითდა ბოჩიასა და ფოთოლას ღვთაებრივი ნაყოფიერება კუსასა და პატუს, კუსასა და ზიარას უნაყოფო ურთიერთობამდე, როგორ დაიწრიტა უხეიროს მასშტაბური გმირობის ვნებათაღელვა ფარნაოზის უგერგილო ხასიათად, როგორ დაიჟირა მძვინვარე აიეტის სახელგანთქმული ტახტი უშინაარსო, რეგვენმა ბრტყელსახიანმა ოყაჯადომ...

ოთარ ჭილაძე ქვეყნის დაკნინების პროცესს ხატავს, ხოლო ამ პროცესს თავისი შეუვალი ლოგიკა აქვს. მას წინ ვერაფერი ვერ აღუდგება. თვით ბედიას სულიერი განგაშიც, კიდევაც რომ შეეძლოს მთელ ქვეყანას გადაუწვდინოს განგაშის ხმები და დააჯეროს იმ ხმების სინამდვილეში.

მწერალი ანტიკური ვანის წინა ისტორიას არ გვიჩვენებს, მას არ აინტერესებს ის გზა, რაც გამოიარა ქვეყანამ ამ ბრწყინვალე მწვერვალამდე მისასვლელად. ყურადღება მიჯაჭვულია იმ მოვლენაზე, რისი „წყალობითაც“ ქვეყანა თავდაღმართზე დაეშვა. რომანი იწყება ზღვის გაპარვით, იგი კი ემთხვევა ფრიქსის მოვლინებას უცხო ქვეყნიდან და მასთან დაკავშირებულ „უცნაურობებს“.

ნაწარმოების სტრუქტურისათვის ეს არის პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა. მალე მის სათავესთან უამრავი მსგავსი „უცნაურობანი“ მოქუჩდება და ისეთ კომპლექსად შეიკვრება, რისი დაშლაც აქამდე ძლევამოსილი ქვეყნის შინაგან ენერგიას აღარ ძალუძს. რომანში გამოხატული დაკნინების რთული და შეუწყვეტელი პროცესი ნიაღვარივით წამოხვეტს ქვეყნის დიდსა და პატარა ღირსებებს.

პირველი უჩვეულო ამბავი ანტიკური ვანისათვის იმის შეტყობა იყო, რომ უცხო ქვეყნიდან ათიოდე წლის ბიჭი მოფრინდა... ვერძით. მითის ფანტაზია ამ შემთხვევაში გაღრმავებულია სხვა შინაარსით: უცხო ქვეყნის სულმა ჩამოიხედა ვანის ცხოვრებაში, თანაც დამთრგუნავი ფორმით — ვანელებს დღემდე არ გაეგონათ მფრინავი ვერძი და მათ თავზარი დასცა მომხდარმა ფაქტმა. ფანტასტიკური შინაარსის მოვლენამ ააფორიაქა ვანის ცხოვრების ზღაზე მონავარდე ბედიას სული — ააფორიაქა და აგრძნობინა, რომ ზღვა მარადიულად როდი ეკუთვნოდა სამშობლოს, რომ ზღვა ამ დღიდან მოყოლებული თანდათან დაშორდებოდა ვანს, გაიპარებოდა, როგორი სიფხიზლითაც არ უნდა ედარაჯნა.

ბედიას ღვთაებრივი წინათგრძნობა შემდგომ საბერძნეთის კოლონისტურ სტრატეგიაში გამოიხატა კოლხეთის მიმართ. მაგრამ მანამდე ყოველმხრივ მზადდება საფუძველი ვანის დაცემისათვის.

მფრინავი ვერძის ილუზიამ გონება დაუბანგა ვანელ ბავშვებს. მათ სურვილში, თავადაც გაფრენილიყვნენ ვერძით, გამოიხატა პირველი ქედის მოხრა უცხოელის ფარული ძალისადმი.

მართალია, ვანის ოქროს ხანას არ აღადგენს მწერალი, მაგრამ გულისშემძვრელი უბედურების ტალღების უკან ივარაუდება აქამდე არსებული ქვეყნის დიდებაც და ხალხის სულიერი ცხოვრების წონასწორობაც. აიეტის ხამფლობელოში ძალადობაც არის, შუღლიც, ბოროტებაც, უმიზეზო მრისხანებაც და უხამართლო ჩაგვრაც, მაგრამ ქვეყნის სულიერი წონასწორობა მაინც შენარჩუნებულია, მაინც მზით სავსე განწყობილება ფარავს ღრუბელს. ხალხის ცხოვრება სდუღს, ჯანსაღი სისხლი მიედინება მის ძარღვებში, გალაღებული სუნთქვა ავსებს ვანის ქუჩებს. ღარიაჩანგის ბალის ბრწყინვალება, აიეტის ტახტის ძალმოსილება და ორმოცსაფეხურიანი სარდაფის მფეთქავი ნერვი დიდებული წარსულის არსებობაზე მიანიშნებს:

„განა რამე შეედრებოდა იმ თამამ ხმებს, მარადიული ნესტითა და წყვდიადით დარბილებულ თაღებში რომ გუგუნებდნენ, ბობოქრობდნენ და ჟღრიალ-ჟღრიალით ჩამოდიოდნენ ძირს, ერთმანეთში არეული სიმღერისა, ფიცისა, და-

პირებისა თუ დაქალდნების ნამსხვრევებად? ღვინის ვაჭარი ბახა ბედნიერი იყო, სიცოცხლე რომ გრძელდებოდა, მის ორმოცსაფეხურიან კიბეზე ყოველ დილით რომ მოცოცავდა სინათლე, სარდაფის იდუმალი წიაღიდან ამომავალ ხმებსა და სურნელს საღამომდე რომ უჭუტავდა თვალებს, ოქროსბეწვიან კატასავით ნებიერი .ასე უნდა ყოფილიყო სულ, რადგან სულ ასე იყო, რაც ამ სარდაფის პატრონი გამხდარიყო და თითქოს სამუდამოდ მოკალათებულიყო შიგ, როგორც კერპი ტაძარში".

ციტირებული ადგილის ბოლო სიტყვები კარგად გამოხატავს იმ მაცდუნებელ სიმშვიდეს, რომელიც ანტიკური ვანის ცხოვრებაში დამკვიდრებულა და მარადიულ ფენომენად მოსჩვენებია მის მცხოვრებთ. თვით სექსუალური ფუქსავატობაც ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან განუყრელ ფორმად აღუქვამთ — შავთვალება მალალოს სახლი ექვსი ქალიშვილითურთ ახეთი განცხრომის სიმბოლოდ არის შემოტანილი რომანში. ვანის მიწიერ ცხოვრებას არცერთი ფერი არ აკლია, მისი ვნებათაღელვა ყველა კალაპოტში შეუფერხებლივ მიედინება. შემდეგ, როდესაც ხელთ ამ ცხოვრების ნამსხვრევები გვრჩება, წარმოსახვით შეგვიძლია აღვადგინოთ ის მთლიანი სურათი, რასაც ანტიკური ვანის ოქროს ხანა ერქვა, რიხი დასასრულის დასაწყისადაც ფრიქსეს მოვლენა იქცა.

შინაგანი წონასწორობის რღვევა მამისაგან შვილის გალახვაში გამჟღავნდა. ცნობადაკარგული ვანელი კაცი გადავიდა რწმენას, რომლის შთაგონებითაც ბავშვის გამლახავ მამას უთუოდ შეახმებოდა მარჯვენა... საინტერესო წერილში, რომელიც ამ რომანს მიეძღვნა (რევაზ თვარაძე) უკვე ციტირებული იყო ეს დიდებული ადგილი. მაგრამ ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ არსობრივ დეტალზე: არა მარტო ის არის მნიშვნელოვანი, რომ მამის უბედურება ასეთი მხატვრული სრულყოფილებით გამოიხატა. საგულისხმოა ისიც, რომ ბავშვისათვის შემოკრული სილა მთელი ქალაქის, მთელი ქვეყნის მიერ წონასწორობის რღვევად განიცდება: ცვივა კარ-ფანჯრები, იმსხვრევა ჭურჭელი, იბზარება ქვევრები, ბოსლებსა და ფარეხებში საქონელი აზმუვლდება, ყველაზე მძიმე საგნებიც კი თავისით ინაცვლებენ ადგილს, ხოლო მოედანზე ყველა იხილავს, რომ შვილის გამლახავ მამას გამხმარი მარჯვენა „ჩამოხლეჩილი ტოტივით" დაჰკიდებია მხარზე. მართლაც გაიბზარა მშვიდი ცხოვრების ჭურჭელი. სასურველი სიმშვიდის მდგომარეობიდან გამოყვანილი ვანელი ხალხი სამწუხარო დასასრულისკენ მიმავალ ცვლილებებს განიცდის. დასასრულის ფილოსოფია ყოველ წვრილმანში უსაფრდება დღეიდან, რადგან საგნებსა და მოვლენებთან გონივრული დამოკიდებულების საფუძველი მოიშალა.

რომანის პირველი ნაწილის დასასრულს იქნებ ზედმეტი იყოს მწერლის მიერ ფრიქსეს მისიის გაანალიზება, რამდენადაც ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი მანამდე დიდებულად და სრულად გვიცხადებს ამ ანალიზის შინაარსს, გვიცხადებს ფრიქსეს, როგორც ბერძენთა დიდი მეფის იარაღის ფუნქციას. ყოველ შთამბეჭდავ ეპიზოდს, თვალნათლივ მიჰყავს მკითხველი ამ დასკვნამდე. ფრიქსე უცხო თესლია, საგანგებოდ შემოპარებული, მოკრძალებულად შემოჩეჩებული, რომელიც მისხალ-მისხალ, ნაბიჯ-ნაბიჯ გამოავლენს უცხო თესლის ყველა თვისებას და გამოავლენს ისე ბუნებრივად, რომ ერთხელაც არ იფეთქებს მასზე განრისხების გრძნობა, — მუდამ შესაბრალისი უცხოელის პოზაში მოევლინება ქვეყანას. მეფის კარზე გაზრდილმა ფრიქსემ აიეტის ქალიშვილი, მხიარული, მოკისკისე ქარისა შეირთო ცოლად. თითქოს სამარადისოდ მადლიერი უნდა ყოფილიყო შემფარებლის, მაგრამ ნოსტალგიამ ყველაფერს დაუკარგა წონა. ვერაფრით ვერ უმკურნალეს დასევდიანებულ ფრიქსეს, ერთადერთი მისი წამალი სამშობლოში დაბრუნება იყო. მაგრამ ფრიქსეს პიროვნული განცდები დიდ მეფეს ნაკლებ აწუხებს. რაც მთავარია, მას „ბუდე აქვს გაჩენილი" — ოთხი ვაჟი ჰყავს და ოთხივეს ჩააგონა მათი ნამდვილი სამშობლოს სიყვარული. ჩააგონა იმდენად, რომ ბავშვებს არც დედა ახსოვთ, არც ის ქვეყანა, სადაც დაიბადნენ. ასე გაჩნდა პირველი მტრული ბანაკი შიგ აიეტის სასახლეში. იგი ტახტის სიმტკიცეს ბზარავს.

ფრიქსემ ვერ აღისრულა ნატვრა, ვერ დაბრუნდა სამშობლოში. გარდაიცვალა და აქვევანში დაკრძალეს. მაგრამ მის ვაჟებს უკვე ძარღვებში აქვთ გამჯდარი მამისაგან დახატული სამშობლო ქვეყნის ძახილი. ჯაჭვით ეწევა იგი ოთხივეს საბერძნეთისაკენ. მამა კი, მეფის შვილად გამოცხადებული ფრიქსე, ვანის მიწაში მარხია. „ვერავინ ვერ დაუშლის ბერძნებს ამ კაცის საფლავთან ჩამოჯდომასო", შენიშნავს მწერალი ერთი პერსონაჟის ფიქრში.

სულ მალე მოხდა კიდევ ერთი უცნაური ამბავი: ფრიქსეს ვაჟები, რომლებსაც დედა და ბაბუა აქ ჰყავდათ, ერთ მშვენიერ დღეს გაიპარნენ მამის ქვეყანაში. ეს იყო არა მხოლოდ დედის მკერდის უპატივცემულობა, არამედ ყველაფრის გადამჯეგავი უცხო თესლის უმადურობა და სამტროდ მზადყოფნა. მათ ხომალდიც გაიტაცეს და მთელი ვანი აფორიაქდა.

ბედიას თავზარს სცემს ყოველი უცნაური ამბავი, რადგან იცის, რა მოხდევს მას. მან ერთხელ კიდევ უნდა დაინახოს, რომ ზღვას უკან დაუხევია, განიცადოს და გაჩუმდეს, რადგან საქვეყნოდ თქმას არავითარი აზრი არა აქვს:

არ დაუჭერებენ და უარესად კი შეშფოთდებიან, და ის ზღვა სულ დაიკარგება თვალთაგან. ბედიამ იცის მთავარია სულიერი წონასწორობის შენარჩუნება, ზღვა რომ ადგილზე დამაგრდეს. ამიტომ სხვის სიმშვიდეს უნდა მოუფრთხილდეს საკუთარი ნერვების დაწყვის ფასად. საოცარი შინაარსი აქვს ბედიას სევდას, ფორმაც უჩვეულო.

შემთხვევითობად აღქმული უცნაური ამბავი თანდათან გამრავლდა, თანდათან გამოჩნდა, რა შორს მიდიოდა მისი ტოტები, აშკარად გამოიკვეთა გარდუვალი უბედურება. იგი ღრუბლივით მოიწევდა კოლხეთისაკენ. ძლევამოსილი მეფე აიეტი დაფიქრა უცნაური ამბების ჭავვმა. მეფემ გუმანით იგრძნო საფრთხის სუნთქვაც და მზადყოფნის აუცილებლობაც. რომანში საფრთხე გარდუვალ მოვლენად არის წაკითხული. მითოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენი — ბედისწერა მწერალმა შებრუნებული შინაარსით წამოგვიდგინა: ბედისწერა რეალური ისტორიული მოვლენების ლოგიკურ ფინალად იგულისხმება. აიეტის დაეჭვება ყოველმხრივ საფუძვლიანია.

აიეტის დაეჭვება საფუძვლიანია, მაგრამ დაგვიანებულია. საკუთარ ბუნაგში მიზეიმე მეფის დიპლომატია აქამდე წვრილმანებად აირეკლავდა ფაქტებს, რომლის უკან ფხიზელი სტრატეგია იდგა. აიეტს არც გონიერება აკლია, არც ძალა, არც მხედართმთავრული ნიჭი, მაგრამ იგი დიდებას გაუზანტებია. რაკი სიფხიზლე დაუკარგავს, აიეტი თვითვე აშმვიდებს თავის დემონს. შესანიშნავად არის ნაჩვენები აიეტის მთვლემარე სიმკაცრე იასონთან პირისპირ შეყრის ეპიზოდში. ოთარ ჭილაძე — პოეტი ხშირად შეგვახსენებს ხოლმე ამ რომანში თავის თავს. უმეტესწილად თანაფარდობა დაცულია, ხოლო ზოგჯერ პოეტური ისე ეთავსება დასახატავ საგანს, რომ ფესვებამდე წარმოაჩენს მის არსებას. მეტაფორულმა აზროვნებამ ქვემოთ მოტანილ ეპიზოდში ამომწურავად გაგვაცნო აიეტის სულიერი ცხოვრება, მისი ბუნების მთავარი ნიშნები. ეპიზოდში ისიც ნათლად ჩანს, რომ კოლხეთის ერთ დროს მდიდარი მეფე შინაგანად მოშვებულია, იგი ამ ძლევამოსილების ილუზიით ნეტარებს, ნაცვლად იმისა, რომ საფუძველი გაუმაგროს ძლევამოსილებას, ნაცვლად იმისა, რომ მზად იყოს ვერაგულ სტრატეგიასთან დასაპირისპირებლად. სულის სიღრმიდან დროდადრო წამომართულ სიფხიზლის სიმბოლოს — ლომს თავის თავში დარწმუნებული აიეტის მთვლემარე დიდება გადაუსვამს ხელს და ნააწყნარებს:

„აიეტმა უცებ ლოყაზე ლომის ხაოიანი, მშრალი ენის შეხება იგრძნო და გვერდზე გადაქანდა: „კიდევ ცოცხალი ყოფილხარ“, გაუკვირდა და „რაგინდა!? — ჰკითხა. — შენ თვითონ რა გინდა? — შეუბრუნა ლომმა კითხვა. დაამთქნარა, მკლავის სიგრძე წითელი ენა შავ ნესტოებზე გადაისვა და გააგრძელა: მაგათ კიდევ ვეყოფით.

ლომი აშკარად საბრძოლველად იყო განწყობილი, მარტო წაქეზებაღა აკლდა. „ხომ არ მივუქსიოთო“ — ერთი კი გაიფიქრა აიეტმაც და თვალები ისე გადაატრიალა, ყველანი გაისუსნენ. მეულლემ გამაფრთხილებლად გაუღიმა და აიეტი ამ ღიმილს ისე ჩააფრინდა, როგორც გაძარცული კაცი ქამარს, რომელიც აღარც კი იცის რაში გამოიყენოს. „არა, — გადაუჩურჩულა აიეტმა ლომს, — ჯერ უნდა გამოვცადოთ. ვნახოთ, რა ბიჭები არიან, იქნებ ჩიტი ბდღვნად არ ღირდესო“

—„შენ იცი შენი საქმისაო“ — ჩაიბურდღუნა ლომმა და აიეტის სულის გადაყვითლებულ ბალახში ჩაწვა“.

აიეტის სული მართლაც გადაყვითლებული ბალახივით არის. მისი ძლიერება, როგორც ანტიკური ვაზის ოქროს ხანის გვირგვინი, იმავე დროს სრულ სიმწიფეს განასახიერებდა. ყველა საუკეთესო თვისება ვაზელობისა აქამდე გამოვლენილიყო და ცხოვრების დამდგარი დონე არსაით არ მიიწევდა, აიეტის დიდებაც ერთ ადგილს ტკეპნიდა. შემართება თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო. ნიშანდობლივია, რომ აიეტი ლმობიერი ხდება მაშინ, როდესაც ფრიქსეს მოვლინებისას ეჭვებზა და ვარაუდებს უნდა გაუხსნას კარი. ეჭვობს მაშინ, როდესაც გადაჭრით უნდა მოქმედებდეს და მოქმედებს მაშინ, როდესაც არავითარი აზრი არა აქვს ბობოქრობას, როდესაც ყველაფერი დაღუპულია. მეფური ძლევამოსილების შინაარსი მოშვებული რიტმის თანამდევი გამხდარა და სულ მალე გამჟღავნდა კიდეც მისი შინაგანი სიცარიელე: „აიეტი უკვე გრძნობდა, დიდი შეცდომა რომ ჩაიდინა, როცა მშობლებისაგან განწირული ფრიქსე შინაური კაცივით მიიღო სასახლეში და მერე დაინათესავა კიდეც. ახლა ფრიქსეს კვალზე ხომალდი მოსულიყო, ხვალ კი, შეიძლება მთელი საბერძნეთი მოსდგომოდა კარს“.

მწერალმა, რომლის ესთეტიკური პრინციპი თანამედროვე პროზის კანონებს ეყრდნობა მთლიანად, საგანგებოდ გააძლიერა რეალიზმის სუნთქვა ნახევრადმითიური ამბების გადმოცემისას. ვერძს და მასთან დაკავშირებულ ამბებს მისტიკური საბურველი ჩამოაცალა და თავისი ნამდვილი სახით წარმოგვიდგინა. ამიტომ დასჭირდა ფრიქსეს ბავშვობისა და მისი ოჯახური წრის დახატვა. მკაცრია ხაღებავები: არავითარი მეფური ჩამომავლობა, ოჯახის სიდუხჭირისა და უპერსპექტივო ცხოვრებისაგან აწრიალებული ფრიქსე საბერძნეთის დიდი მეფისათვის მშვენიერი იარაღი იყო სტრატეგიის განსახორციელებლად. მფრინავი ვერძის ილუ-

ზია დამთრგუნავ ფორმად გამოიყენა, პირველი მოძრაობითვე მოწუსხა კოლხეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხი და ფსიქოლოგიურად შეამზადა მონობისათვის. „შავფრჩხილება კაცი" ამ პოლიტიკის ცბიერ არსს განასახიერებს. იგი უშეცდომოდ წარმართავს დიდი გეგმის დეტალებს.

ფრიქსეს „ბუდე და საფლავი" განუსაზღვრელი მნიშვნელობის საგნად იქცევა ამის შემდეგ აიეტისათვის. მისი გონება გამალებით მუშაობს და ამ შემთხვევაში ერთი რამ არის ნიშანდობლივი: რაც უფრო ღრმად შეტოპავს ფიქრებში აიეტი, რაც უფრო ღრმად უკვირდება მოვლენებს, რაც უფრო ნათლად წარმოიდგენს მის გარშემო დატრიალებული ამბების ლოგიკას, მით უფრო უნელდება მოქმედების სურვილი. მასში ბატონდება გარდუვალის განცდა.

რომანში აღვილშესამჩნევია ერთი ნიშანიც: მწერალი თანმიმდევრულად წარმოაჩენს, როგორ გამოიხმობს ერთი ფიქრი მეორეს, როგორ ჯაჭვისებურად იკრებს გარშემო ბუნებრივი ასოციაციების მთელ წყებას. ფრიქსეს ბუდესა და ხაფლავზე განსჯამ დაბადა აუცილებლობა ხიზანზე დაფიქრებისა. აიეტის გონებაში ეს საგანი დაშვებული შეცდომის ტრაგიკულ შედეგს დაუკავშირდა. შეფარებული კაცის ფილოსოფია რომანისათვის არსებითი სათქმელია, მასში შემფარებელი ქვეყნისა და ხალხის ხასიათი იმალება, ამ ხასიათის შიგნიდანვე დამანგრეველი თვისებაც იკითხება. თურმე დამოკიდებულება შეფარებული კაცისადმი, ხიზნისადმი არ ყოფილა მხოლოდ კეთილშობილების უტყუარი ნიშანი. კეთილშობილება, ლმობიერება, რომელიც ამ დამოკიდებულებაში ვლინდება, შინაგანი სისუსტის თავისებური ფორმა აღმოჩნდა. მოვლენებმა ასე დაუდასტურეს ანტიკურ ვანს, მის ძლევამოსილ მეფეს.

სწორედ შინაგანი კეთილშობილების კარიბჭიდან შეიჭრა აიეტის პიროვნებაში მტერი და უძლეველი მეფე თოჯინასავით ჩამოაგდო ტახტიდან. შინაგანი კეთილშობილების კარიბჭიდან შეიჭრა ანტიკური ვანელების ხასიათში მონობა და მზისკენ მაცქერალი სახეები უფსკრულისაკენ მიაქცია.

აიეტის არ შეეძლო თავისი ბუნებისათვის ეღალატნა. მას ამ ბუნებისადმი სამსახური მოვალეობად მიაჩნდა, — ამბობს მწერალი. საბერძნეთის დიდი მეფე კი კეთილშობილებას დიპლომატიურ სვლად იყენებს — ამაშია ხასიათების რადიკალური განსხვავება. ფრიქსესთან დამოკიდებულებაში მარტო სასახლის კარის კი არა, მთელი ქვეყნის (კოლხეთის) ხასიათი განათდა. ხიზნის ფილოსოფია ამიტომაც თვით ანტიკური ვანის კაცთმოყვარეობის ფილოსოფიას გულისხმობს. იგი სახელმწიფოს შინაგანი ძლიერების პრინციპს არ ეთანხმება, პირიქით, მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

დრომ დაუმტკიცა აიეტსა და მის ქვეყანას, რომ შინაგანი კეთილშობილება ციხე-სიმაგრის ერთ-ერთი სუსტი კედელი იყო და არა კაცთმოყვარული ხელგაშლილობის გამოხატულება.

## 2. ᲛᲔᲓᲔᲐᲡ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ

სამი ათეული საუკუნეა კაცობრიობის სულში განგაშის ზარებს რეკს წონასწორობა დაკარგული, ქვესკნელის სიღრმის ვნებათა ღელვით სავსე მედეას პიროვნება. გენიალური ევრიპიდეს მხატვრულ სინამდვილეში მოქცეულმა მისმა ძლიერმა ხასიათმა მიიტაცა მილიონობით მკითხველის ყურადღება და ამ ყურადღებამ ფაქტიურად მთლიანად დაფარა სატკივარი, მედეას სამშობლოსი, რომელსაც დღეს ანტიკურ კოლხეთს ვუწოდებთ. და თუ ვინმე დაინტერესდებოდა კოლხეთის ავან-ჩავანით, ისევ და ისევ ცნობისმოყვარეობის გამო (რათა სცოდნოდა, საიდან იყო მედეა წარმოშობით). მედეას სამშობლოს ტკივილი არავის აწუხებდა, ერთობ გულგრილად უყურებდნენ ყველაფერ იმას, რაც მედეას გატაცების ფაქტს იქით ივარაუდებოდა. იქით კი, მედეას ზურგს უკან, ერთ დროს ძლიერი და სახელოვანი ანტიკური კოლხეთის მზე ბნელდებოდა. ოთარ ჭილაძემ ფაქტიურად პირველად „დაგვიბრუნა" გაძარცული ქვეყნის ვნებათაღელვა, მისი ტკივილით. ეს იყო იმავ დროს მედეას სულიერი ცხოვრების მეორე მხარე, რომელიც თვითონ, დიდი სიყვარულის მსხვერპლს, არასოდეს დავიწყნია და რამაც ფსიქოლოგიურად ზუსტი გადაწყვეტილება გამოატანინა შემდეგ. სიყვარულის კერპისათვის სამშობლოს: და ძმის გამწირველს ისიც დაამტკიცებინა, რომ შვილების გაწირვაც შეუძლია. და რაც არ უნდა მომხდარიყო საბერძნეთში, როგორი ძალითაც არ უნდა აესახა მედეას პიროვნება ევრიპიდეს, ანტიკური კოლხეთის შთამომავალთათვის მაინც მოუშუშებელ იარად რჩებოდა ერთ დროს დაშვებული დიდი შეცდომა. დაუვიწყარ სულიერ ტრავმად აღიქმებოდა ქვეყნის მიერ გადატანილი უბედურება და უსაშველოდ დამამცირებელი ხელის მოცარვა. დაუვიწყარ ტკივილად იკითხებოდა სწორედ ის, რაც მედეას აქ დარჩა — გოდებით გასენილი სამშობლოს ძარღვები, მონობის თალქვეშ თავდადრეკილი სიამაყე და თავმოყვარეობა. ოთარ ჭილაძემ უკანდარჩენილი ქვეყნის მწუხარება აქცია მხატვრულ სინამდვილედ.

ზემოთ საგანგებოდ აღვნიშნე, რომანის მთავარი გმირი დამოუკიდებლობის ფენომენიამეთქი. ნაწარმოების დედააზრი ამ ფენომენში განსხეულდება. ნიჭიერი მწერლის მიერ წარმოსახული არქაული სურნელი კოლხეთისა, ფართო ქუჩებით, მაღალი სასახლით, საცალფეხო ბილიკებითა და ღარიბთა უბნებით ავ-

ხებს დაკნინების ხანგრძლივ, მაგრამ შეუფერხებელ პროცესს.

რომანის ორ დანარჩენ ნაწილში ჩვენს თვალწინ იბადება და ზეიმობს დაკნინების შემზარავი აზრი. ანტიკური ვანი საბერძნეთის კოლონია გახდა და პირველი უბედურებაც მოშვა კოლონიად ქცევას. ეს გახლდათ ქვეყნის მეომრული სულის დაცემა, შემართების უნარის ჩახშობა. შემთხვევით არ დაურქმევია ავტორს მეორე ნაწილისათვის „უხეირო“. მეომრის ბუნებაში არსებითი ნიშანი შეიცვალა უპირველეს ყოვლისა, პირველად მას გადაემტვრა ხერხემალი, პირველად მას მოეკვეთა ფეხები და სარეცელზე მიეკრა, რათა ხანგრძლივად გაჭიანურებულად, დამქანცველად შეგვევრძნო უმოქმედობის საშინელება. საცნაურია ის ფაქტიც, რომ, ერთი შეხედვით, ბრმა შემთხვევის შედეგად გამოეთიშა ძალა ქვეყნის ბობოქარ მაჯისცემას. ამ შემთხვევითობის უკან დგას სწორედ ის წლობით შემზადებული გარდუვალობა, რომელმაც შეუდარებელი მხედარი კუტად აქცია. ამ შემთხვევის უკან წამოიმართება ხოლმე ის აზრი, რომ არხეინად სიარული წუთისოფლის გზებზე უბრალოდ არ შეიძლება, დაარხეინებულ ხასიათს არ გაპატიებს სინამდვილის მკაცრი დინება. უხეიროს, რომელსაც ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, უპატრონო ცხენებმა საომარი ეტლის ხელნა წამკრეს კეფაში და დაცემულს ფეხებზე მძიმე ეტლი გადაუტარეს. და პირველი მეომარი ქვეყნისა წელმოწყვეტილი შერჩა ცისქვეშეთს. ნიშანდობლივია ტრაგედიის დასაწყისშივე უხეიროს შუბის მდგომარეობის ალქმა მწერლის მიერ. შუბი თითქოს ჩვენს თვალწინ ცოცხალი ადამიანივით განიცდის მომხდარი ფაქტის უსიამოვნო გაგრძელებას, თითქოს წინათგრძნობა ეუბნება, რომ მისია დაუმთავრდა:

„შუბი ბავშვს აწვალებდა, გეგონებოდათ, მახში ჩასახლებულ ხულს გაულვიძია და გართობა მოსდომებია. ბავშვის სუსტსა და გამოუცდელ ხელებში თავს ლაღად გრძნობდა. პატრონს ამდენს ვერ გაუბედავდა. უხეირომ იცოდა, სად ჩაევლო და როგორ ჩაევლო ხელი. ამ ხელის დაუდევარი, მტკივნეული და ამავე დროს სასიამოვნო ჟრუანტელის მომგვრელი შეხება შუბს საბრძოლველად აღაგზნებდა ხოლმე, ახლა კი პამპულობის გუნებაზე დამდგარიყო“.

შეიცვალა ცხოვრების აზრთან მეომრული სულის დამოკიდებულება — შუბი პამპულობის „გუნებაზე“ დგება, ეს პამპულობა მალე ცხოვრების ნიუანსშიც გამოჟონავს.

რომანში თითქმის ყოველ გვერდზე შეხვდებით წმინდა პოეტური ალქმის ადგილებს, განწყობილების პოეტურ საწყისს მუდამ გრძნობთ, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდი აშკარად განსხვავდება ზემოქმედების ხარისხით დანარჩენებისაგან. ერთ-ერთი მათგანი უხეიროს ბუნების გარდასახვას გულისხმობს. ბრძოლებისთვის უვარგისი უხეირო „აფრისხელა ტილოზე“ მის მიერვე განგმირულ მტრებს ქარგავს. პოეტურია, მაგრამ შემაძრწუნებელიცაა ეს დეტალი. უხეიროს სახე თითქოს სისპეტაკის შარავანდედით არის გარემოსილი, რაღაც უჩვეულო და მომხიბლავი ნათელი ჩაღვრია მის არსებას. სურათი ფანტაზიის სიცხოველით გვიზიდავს. სანამ სილამაზის იქით დაფარულ საშინელ აზრს ამოვიკითხავდეთ.

უხეიროს შუბი უქმად აყუდია კუთხეში. მაგრამ ჯერ კიდევ თვლემს იმედის სულ მცირე ნაპერწკალი. უფრო მკვდრეთით აღდგომის მოლოდინს ჰგავს იგი, მაგრამ მაინც მოლოდინია, ცხოვრებას შინაარსსა და გემოს რომ აძლევს ერთდროულად. ბოლოს მოლოდინსაც დაეკარგა აზრი, ისიც დამთავრდა. მწერალმა შესანიშნავი ლოგიკური დასასრული მოუძებნა უხეიროს შუბის სარბიელს: ლოგინს მიჯაჭვული უპირველესი მეომარი ცხოვრებამ შეურაცხყო კიდეც — მოსამსახურემ ქალიშვილი გაუუპატიურა და გაიქცა. ჭირმა თავი არ დამალა და სახლეულნი იძულებული გახდნენ უხეიროსთვის ეთქვათ ყველაფერი. წამით ამოხეთქა უხეიროს სულში მრისხანებამ, მაგრამ შუბის სამიზნე სამუდამოდ გამქრალა ჰორიზონტიდან, თვალწინ მხოლოდ ყრუ კედელია და უკანასკნელად ნატყორცნი შუბი ამ ყრუ კედელში ქავდება, რათა ვერასოდეს ვერ გააპოს ამიერიდან ჰაერი, მტრის რისხვით და ულმობელობით გაალმასებულმა. ამ დღიდან უმოქმედოდ იქნება სივრცეში გაჩრილი, რათა, როგორც ერთ უბრალო ტოტზე, სარეცხი გადაფინონ და ამითაც აგრძნობინონ ბედმა დამცირება.

ანტიკურ კოლხეთს მრავალი საუკუნის განმავლობაში გასდევდა ამ უმოქმედო შუბის სევდა. ცხოვრების რეალიზმი გაურღვეველი კალაპოტივით იქვემდებარებდა შემართების სურვილს და ენერგიასაც. ზნეს უცვლიდა იმავე სურვილს და თავდალმართში მიაქანებდა. მისხალ-მისხალ იპყრობდა უხეიროს სულს ეს ფერისცვალება. გაარაფრების მომქანცველი, მაგრამ შეუფერხებელი პროცესი მივიდა ბოლო წერტილამდე და ერთ დროს დამთრგუნავი სახელის გმირისაგან ფიტულიღა დატოვა.

მწარე განცდა უგუნდება თითქოს ქვეყანას პირში, უმოქმედობის განცდა. ზანტი სიტკბოება ეღვრება სხეულში უხეიროს დამკარგავს: კოლონიას არ ჭირდება გოლიათური სული და სხეული. საბერძნეთის იმპერია ღონიერ მკლავში იმწყვდევდა დამარცხებულ ქვეყანას და თრგუნავდა მის მებრძოლ სულისკვეთებას. ეს იყო ყველაზე შედეგიანი საშუალება ბატონობის შესანარჩუნებლად. თანაც პირველი რგოლი დამმონებლის ტოტალური პოლიტიკისა.

დაპყრობილ ქვეყანაში იმპერიის ყოველი მბრძანებელი თავის კანდიდატურას სვამდა მეფედ, თვითვე ზრდიდა ამ კანდიდატურებს, ცდილობდა, არ შემცდარიყო არჩევანში.

ოყაჯადოს პიროვნება, რომელმაც აიეტი შეცვალა, სავსებით აწყობს დიდი მეფეს. ოყაჯადოს ბრტყელი და უძრავი სახე კარგად ავლენს აზრის იმ უძრაობას, რაც მისსავე სამეფოს გადაელო შემდეგ. და თუ ქვეყანა ამიერიდან ამოძრავდება, მხოლოდდა ბერძნული ბუკის ძახილზე — როგორც კი „ყველაზე დიდი მეფე“ შემოთვლის, ოყაჯადოც უმალ უგზავნის მეომრებით „გაძიძგულ“ხომალდებს. იმ მეომრების უმრავლესობა უცხო მიწისთვის ღვრიდა სისხლსა და ოფლს, იმ უცხო მიწაში იმარხებოდა, ხოლო მცირე ნაწილი განახევრებული ჯანმრთელობით ბრუნდებოდა უკან. ხეიბრებით გაივსო ვანი. მათგან მოთხრობილი საგმირო ამბები არავის არ აღელვებს, რადგან არავის არ ხვდება გულზე სხვისთვის ჩადენილი გმირობა. ძარღვი მხოლოდ სამშობლოსათვის გაწეული სამსახურით ტოკავს, დანარჩენ შემთხვევაში ამომშრალი არხივით უპასუხოა.

ოყაჯადო დამმონებლის სურვილისამებრ ებრძვის თავისი ხალხის მამაკაცურ საწყისს. რომანში გვხვდება მეტად აზრიანი ეპიზოდი. მეფეს როხროხა მეჯინიბე წარუდგინეს. და აი, ოყაჯადოს ერთი შეხედვით უცნაური აზრი მოუვიდა თავში,მან მეჯინიბის დაკოდვა ბრძანა. მეჯინიბის დასაჭურისებით ედება სათავე მთელი ქვეყნის გონებრივი და ფიზიკური ნაყოფიერების წინააღმდეგ ბრძოლას. თითქოს ყველაფერი ხდება წინასწარი განზრახვის გარეშე, მაგრამ როდესაც ავადმყოფობა მთელ სხეულს მოედება, „მოწამლული თევზის თავი“ უმალ მთავარ მიზეზად აირეკლება. სულ მალე მეჯინიბემ მათხოვრობას მიჰყო ხელი — იგი იყო პირველი მათხოვარი ვანში. მსგავსი რამ მანამდე ვანს არ გაეგონა, ვერც წარმოედგინა ადამიანის ასე დაცემა. არა მარტო იმიტომ, თითქოს ხალხს აღრე პური არ უჭირდა, უფრო იმიტომ, რომ ფიქრადაც ვერ წარმოიდგინებოდა ადამიანის ასე გადაგვარება. შემაძრწუნებელმა სევდამ ხალხის სულში მოირთხა ფეხი და გაცლაზე აღარ ფიქრობდა. უფრო საშინელი ის იყო, რომ პირველი გაოცების შემდეგ ცხენებიც და ვანის მოქალაქეებიც შეეჩვივნენ დაკოდილი კაცისა და მათხოვრის გვერდით სუნთქვას. მთავარი საშინელება ხწორედ შეგუების გრძნობა იყო. ხალხი თანდათან ყველაფერს ეგუებოდა და ღირსეული კვარცხლბეკიდან არხეინად ეშვებოდა.

„ახალ კალაპოტში გადაგდებული ცხოვრება თანდათან მშვიდდებოდა, ნაპირებს ეჩვეოდა და თავქვე მიქროდა. ღვინის ვაჭარი ბახა ისევ ღვინის ვაჭარ ბახად დარჩენილიყო, მაგრამ ახალი საგონებელი გასჩენოდა: მისი ღვინო ხალხს კი აღარა ათრობდა, აყეყეჩებდა. დარწმუნებული იყო, იმანო რაღაცას ეშმაკობდა, ღვინოს აფუჭებდა,მაგრამ ჯერ ჩუმად იყო. იმედი ჰქონდა, საქმეზე წაასწრებდა და პასუხსაც მაშინ მოსთხოვდა. ხალხსაც ველარ სცნობდა ღვინის ვაჭარი ბახა, მის ორმოცსაფეხურიან სარდაფში სხვა ხალხი იროდა, ღვინოსაც სხვანაირად სვამდა, ზეზეულად, ფაცა-ფუცით და ყინწიც მალე სწყდებოდა“.



ბახას ორმოცსაფეხურიანი სარდაფის წინანდელი ჯანსაღი ქეიფი შეიცვალა. სიდარბაისლე და ვაჟკაცური იერი დაჰკარგა. კიბეებზე სხვა ცხოვრება ჩამოდიოდა და ადიოდა, ჭიქების ირგვლივ სხვა სულისკვეთება ტრიალებდა და ერთ დღეს იმანომ აშკარად დღისით, მზისით, ბახას თვალწინ ჩაასხა ღვინოში წყალ. როდესაც გაოცებულმა ბახამ წყრომით შენიშნა, იმანომ ისეთი ტონით უპასუხა. თითქოს ღვინოში წყლის გარევა კი არ იყო გათახსირება, არამედ წყლის გაურევლობა. ცხოვრების ლოგიკა შეიცვალა და იმანო ფსიქოლოგიურად მყარად გრძნობდა თავს.

გათავისუფლების ფენომენზე და ქვეყნის დაკნინების პროცესზე მეტყველი დეტალების სიუხვე თავისთავად გულისხმობს, რომ ნაწარმოების ანალიზში არსებითი ეს ორი ცნებაა, მის გამოვლენას ვგრძნობთ რომანის ყოველ ნიუანსში.

სულ უფრო უაზრო ხდება ბედიას სიფხიზლე. მას არც ყურის მგდებელი ჰყავს და არც თვითონ შეუძლია მარტოკა შეებას მოსალოდნელს. უჩვეულოა ბედიას სახე, მიუხედავად იმისა, რომ გიჟის პერანგი გადააცვა მწერალმა, რომ უფრო მიწიერი და რეალური გამხდარიყო. უჩვეულოა, მაგრამ მთელი გულისყური ამ უჩვეულოსაკენ არის მიბრუნებული, თითქოს რაც თავისმა დრომ ვერ უწილო ქვეყნის გუშაგს, მკითხველმა უნდა უზღოს დღეს, რათა კვლავ გაცოცხლდეს წარმოდგენებში იმ გუშაგის ძლიერი სული, ისტორიის ფერდაკარგულ მოსახვევებს რომ მიჰფარებია.

საგულისხმოა და სახიამოვნო ისიც, რომ თავის დიდტანიან რომანში ოთარ ჭილაძე უურადღების მაქსიმუმს ახარჯავს ყოველ ნიუანსს, ფერები მკაცრი სიზუსტით არის განლაგებული და მაინც არსად არ იგრძნობა ფანტაზიის ისეთი სიუხვე, რამდენიც ბედიას ხაზთან არის მოქუჩებული. აქ სიტყვა სიტყვას ებრძვის, უკუაგდებს, რომ თვითონ უკეთ გამოთქვას ჩანაფიქრი. ბედიას სიმბოლურმა სახემ, როგორც ჩანს, თავისი მონუმენტურობით სხვაზე მეტი ენერგია გამოსთხოვა მწერლის ფანტაზიას და მწერალმაც დაუზოგავად გასცა იგი.

მწერალი მხოლოდ მაშინ შეგვახსენებს ბედიას არსებობას, როდესაც მოვლენები ფო-

კუზში უნდა ჩაეშვას. ბედის ხელში გადატუდება მათი არსი, ახალ სივრცეზე სანამ გაიშლებოდეს. ბედის ვნებათაღელვა მძაფრდება, ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში ინაცვლებს. ზოგჯერ ეს ვნებათაღელვა სურათივით, ქვავდება, იმ სურათივით, ყველაზე მძაფრ სულიერ წვას რომ „იჭერს". ქვეყნის გუშაგს სხვა საფიქრალი ჩამოშორებია. სისხლჭარბი ცხოვრების ზღვა ატოტებია მის მთრთოლვარე სულს და სამუდამოდ წასვლის აუცილებლობას უმჟღავნებს. ბედის შფოთვამ მთელი მისი ქოხი აწრიალა, ცოლიც გოუს დაამსგავსა, ისიც აჰყვა ქმრის ძარღვების ძიგძიგს და ზღვისპირას მდგარი ქვეყანას ჰფენს გოდებისა და გლოვის ხმებს. მწერალი სრულ გასაქანს აძლევს პირობითობას, მხოლოდ ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობასაც უნარჩუნებს ცხოველმყოფელ ძალას.

მეომარ უზეირის ირგვლივ უგერგილო მთამომავლობა დაგროვდა: თვით უზეირის ვაჟიშვილი უდგას თავში ამ უგერგილოთა არმიას. ფარნაოზის გაჩენას ცოდვა სდევს თან — დედამისი მშობიარობას გადაჰყვა. აქედან მოყოლებული ფარნაოზის სულიერი სიბერწის ხვედრითი წონა იზრდება, იგი ესწრაფვის ქვეყნის საერთო სულისკვეთებას დაეპატრონოს, მაგრამ ჯერჯერობით, რომანის მეორე ნაწილში, ყველაფერი მაინც უზეირის პიროვნებასთან შეპირისპირებით იზომება. მის ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანების ფუნქცია მზის სინათლეზე აშკარად გამოსვლას ვერ ბედავს. მეომრის სანთელივით გალეული, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი სუნთქვა აკავებს მათი ბუნების ძახილს.

უგერგილობა, სულიერი სიბერწე ერთი საშინელებაა. არაკაცობის მომასწავებელი მეორე სახის ტიპიც ჩნდება. იგი უზეირის ქალიშვილს, პოპინას, მეჯინიბე ფილამონესაგან ეყოლა — კუსა. კუსა „სხვა კალაპოტში გადაგდებული ცხოვრების" ღვიძლი შვილია. უბედურება არ შეჩერდა ერთ დიდ ფაქტზე. ბრძოლის ველზე დამარცხება თითქოს არ კმაროდა, მან გადმოლახა ყველა ზღურბლი და ანტიკური ვანის ცხოვრების კუნჭულებიც დაიპყრო. გაჩნდა კუსას ტიპის ადამიანი — თაღლითობით მოამაყე, რომელიც თავის წვირიან ბრჭყალებს ბოროტებასავით კი არ მალავს ღამეში, არამედ დღისით, ყველას თვალწინ გამოუსვამს ყელში პატრონებს. მწერლის ჰუმანიზმი აქ კიდევ უფრო მძაფრად შეგვახსენებს თავს. მას სწორედ ამგვარი ტიპი ეცოდება, ეცოდება სწორედ მისი გალაყებული ბუნება, რომელშიც ფერებს თავ-თავის ადგილს ვერასოდეს ვერ დაუბრუნებს მზით გამთბარი წონასწორობა. უბედურება არც ამ ზღურბლზე ოკდება, ახალი სივრცეების დაპყრობას ცდილობს. კუსას არსებობის ფაქტი არ არის იმოდენა უბედურება, უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ ვანის ნირშეცვლილ ცხოვრებაში კუსა უსათუოდ უნდა დაიბადოს. ამღვრეული სისხლის მიმართულება მისთვის ხელსაყრელ ფორმაში მჟღავნდება. „კუსა ბედისწერასავით გარდუვალი იყოო" — ამის შეგრძნება თრგუნავს იმედს.

ახალმა ცხოვრებამ თავზე გადაუარა ბაზას ორმოცსაფეხურიან სარდაფს, ღვინოც გადაასხვაფერა და მოქეიფეებიც. დასასრული ყოველმხრივ ლოგიკური ჩანს და ისიც მოვიდა. შეუმჩნევლად გადაიყვანა ბაზა საიქიოში. ორმოცსაფეხურიანი სარდაფის მშვენიერი არსი გაყალბდა ,ახლა იგი ხალხის ღლეტვის ადგილად იქცა. ორმოცი საფეხური მონუმენტურობის დეტალებად განიცდება ბაზას დროს, იმანოს დროს კი გამოლენჩებული ხალხის დამქანცველ აღმართად აღიქვება.

ქვეყნის თავზე დატეხილი უბედურების ჯაჭვში ყველაზე დიდი რგოლი მაინც დარიაჩანგის ბალის გაქრობა იყო. სიმდიდრის, ლამაზი ოცნებების, ბედნიერების განსხეულების სიმბოლო მანამდე შეიძლებოდა არსებულიყო, სანამ ხალხი ხალხს ჰგავდა, სამეფო სამეფოს, სანამ შინაგანი ჰარმონია საკუთარ ღერძს ეყრდნობოდა და ღირსებები მისგან განიტოტებოდა. ხალხი, რომელიც საბერძნეთის მეფისნაცვალმა ოყაჯალომ მოაჯადოვა, გაათახსირა და გალაავგვარა, დარიაჩანგის ბალის პატრონად ვერ გამოდგებოდა. უბრალოდ იმიტომ, რომ ამ ბალს მისი არსებიდან, როგორც ნიადაგიდან, მაცოცხლებელი წვენი არ შეეძლო ესრუტა.

ერთ დღეს ქვეყანას შემზარავმა ხმამ გადაუარა თავზე — დარიაჩანგის ბალი გამქრალაო. ერთბაშად ყველამ იგრძნო, რომ უძვირფასესი განძი დაჰკარგეს. რომანში განსაკუთრებული შთამბეჭდაობით გამოირჩევა ეს ეპიზოდიც. ძალზე გამოკვეთილია ის განწყობილება, რომელიც სასწაულის სანახავად გამოფენილ ხალხს დაუფლებია. არაადამიანური სახეები თითქოს ერთ მორევად აგუბებენ შეძრწუნებას, თითოეულის გულის ძარღვებს რომ ფლეთს. ხალხი ზღურბლზე გადმოსულ ნიაღვარს დაემგვანა. ოთარ ჭილაძეს უყვარს განცდის გამძაფრება. ზოგჯერ იგი შეიძლება ასეთი გამძაფრებით კიდეც აუფასურებდეს განცდას, მაგრამ ნაგულისხმევ ეპიზოდში საქვეყნო ზარი მოითხოვდა კიდეც თავბრუდამხვევ რიტმს, როგორც სრულყოფილ ფორმას. ბევრი მიმართულებით აშლის ფიქრებს გამქრალი ბალის ბჭესთან გულჩამკვდარი ხალხის სურათი.

დარიაჩანგის ბალის გაქრობა სხვას ვის შეაკრთობდა, თუ არა პირველ რიგში ბედიას. კუსას, ბიძამისს რომ ჩასდგომია კვალში თოკი დასჭირდა ფარნაოზის შესაკონად და ბედიას თოკს მიეტანა, წაართვა და ფარნაოზს გამო-

უდგა. გასაცოდავებული გუშაგი, დაწყლულებული სხეული საზარლად რომ მოუჩანს, ხულ ბოლოს მილასლასდა გამქრალ ბაღთან და იქ დაეცა. ვიღაცამ „დაბურდული თოკი აიღო და კი არ მიაწოდა, მიუგდო, თითქოს გვამს ძონძები წააფარაო“.

„სხვა კალაპოტში გადაგდებული ცხოვრება“ გულმოდგინედ ძერწავს შეხაფერის სახეებს. ბედიას პიროვნებას მან თავის სტრუქტურაში ასეთი დამამცირებელი ადგილი და ფორმა მიუჩინა.

უნაყოფობის ფსიქოზმა სასახლიდან გამოუონა პირველად. ცხენებმაც კი იგრძნეს მეჯინიბის დასაჭურისება; მაგრამ ერთ ფაქტზე უბედურება იშვიათად შეჩერებულა. ოთარ ჭილაძე ამ ჭირის გავრცელებას გვიხატავს დამაფიქრებელ ხინამდვილედ. ნიშანდობლივია ოყაჯადოს მეუღლის კამახ არსებობს სიღრმიდან დაძრული უხაშველო სიცივე, რომელმაც დაამძიმა სასახლის ცხოვრება. მეტაფორულად გადმოსცემს მწერალი უნაყოფო სიცივის დეხანწაულს — სასახლეს ლოლუები დაეკიდა, გაიყინა სისხლი, ფიქრი, ვნებათაღელვა. დამპყრობლის ინტერესს სრულიად ეთანხმება ოყაჯადოს „მეფური“ მოდელი, დავრდომილი დედა რომ აუტატებია და მის ქალურ გონებას დანდობია სახელმწიფოს მართვაში. სასახლის ქალურად დაწვრილმანებული დიპლომატია შესაბამისად აწვრილმანებს ხალხის ხულისკვეთებას. სიმკაცრე პირადი კაპრიზების სამსახურში დამოგარა და აზირებად ქცეულა. „ოყაჯადო პირველ რიგში თავის ხალხს სჯისო“ — გაცნაურდა ერთ მშვენიერ დღეს ხალხში აზრი და ::ველამ აშკარად დაინახა ეს მწარე ხინამდვილე. მისი მოტივირებული აუცილებლობა დამორგუნავ ბედისწერასავით დატრიალდა მოქალაქეთა გონებაში. დამონებულის ხაშინაო პოლიტიკაა ასეთი, ხალხის ამაყი სულის ხიღრმიდან დროდადრო ამოიმართება ხოლმე პროტესტის ტალღა, რომელიც არ ცნობს ხაბერძნეთის დიდი მეფის სურვილებს, მაგრამ ყურმოჭრილო ყმა — ოყაჯადო საკუთარ ხალხს ებრძვის, აჩვევს ქედის წახრას; აშინებს სახჯელის ათასგვარი ფორმით და დაღლილ—დაქანცული ადამიანის ნერვებიდან ადვილად ძერწავს უხიხხლო თოჯინებს. ასე იქმნება ცხოვრების უხახო სტილი, როცა ძნელი დასადგენია, რას რა ჰქვია, ან რა უნდა ერქვას. ამ სტილის ობიექტური ნაყოფია კუხა. იგი არ შეიძლება იყოს აიეტის ქვეყნის სისხლისმიერი შთამომავალი. თვითონ მწერალი უკეთ გვეუბნება ამის შეხახებ.

„ვკვდები, არ მომეკარო, სიკვდილი მაინც მაცალეთ ჩემს ნებაზეო“ — კუთავდა, კვნესოდა, თხრავდა კუხა, თითქოს მართლა კვდებოდა, არა, უკვე მომკვდარიყო და გემბანისხელა საწოლში, როგორც საგვარეულო სამარხში, თავის მკვდრადშობილ შთამომავლობასთან ერთად დაემარხათ. სინამდვილეში კუხა იბადებოდა, ხელმეორედ იბადებოდა, არა ხულელი და მხდალი დედაკაცის საშოდან, არამედ საკუთარი გონებიდან, გამობრძმედილი, ჭირნახული, ჭკუანასწავლი და დაბრძენებული“.

კუხას ხიბრძნე ავისმომასწავებელია, რადგან იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ესწრაფვის თვითგამოხატვას, სივრცეს, დროს. კუხას ხიბრძნის დამკვიდრება ხალხის ცხოვრების ახალი სტილის ნიშანია ამავე დროს და ამიტომ არის დამაფიქრებელი, დამაღონებელი. იგი მხოლოდ ზედაპირზე არ რჩება ლაქასავით, რკინის ფესვებივით მტკიცე საწყისებს ჟანგავს.

ამ დროს მეომრის გენი თვლემს. ფარნაოზი კეთილშობილი ძლიერი მამის „განსახიერებაა,“ მაგრამ მებრძოლის შთამომავალს არაფერს სთხოვს ასპარეზი, ენერგია ოცნებაში ტრიალებს მორევივით და ბოლოს უნიათო ხასიათში ქვავდება. ფარნაოზის ბედოვლათობა თავის ფილოსოფიას ეფუძნება, თავისი ლოგიკა აქვს ამ ხასიათის არსებობას. „ფარნაოზს მშრომელი კაცის ხელები ჰქონდა, ლოდის ნამტვრევებს უგავდა, მძიმე და წახნაგოვან ნამტვრევებს. გაჭირვების ჟამს იარაღის მაგივრობის გაწევა რომ შეუძლიათ, ძალას რომ ასხივებენ, თუმცა ეს ძალა კი არა აფრთხობს მნახველს, არამედ რაღაცნაირი ხევდანარევი სიმშვიდით ავსებს და აბრუებს, როგორც ცეცხლი ანდა წვიმა, რადგან საშრომლად არის გამიზნული და არა ვინმეს მოსაკლავად“.

ასე თანდათან, ბუნებივად უახლოვდება მწერალი მთავარ სათქმელს. საშრომლად იყო გამიზნული ანტიკური ვანელების ბუნება და არა სხვათა დასაპყრობად. ეს ბუნება აიეტის ხელში, ხანამ ის შეცდომას შეცდომაზე დაუშვებდა, ცისქვეშეთივით ლაღად იყო მხრებში გაშლილი, სიცოცხლე პარმონიულ ხმებს გამოსცემდა; ეს ბუნება ოყაჯადოს ხელში, დამმონებლის ჯადოთი მონუსხული, უმოქმედო გამხდარა. ყოველი ღირსება სიმახინჯისაკენ მიბრუნებულა და ასე ნახევრად გადაგვარებულ ფორმაში გაყინულა.

## Ვ ᲜᲘᲚᲒᲘᲓᲐᲜ ᲜᲘᲚᲑᲐᲛᲓᲔ

განთავისუფლების ფენომენი თავისი ლოგიკის ამოწურვას ესწრაფვის რომანის მესამე ნაწილში. ნაწარმოების სტრუქტურა მკაცრად თანმიმდევრულია: კანონზომიერების რომელ რგოლს რომელი რგოლი შეიძლება მოსდევდეს! სასწაული გამორიცხულია. მწერალი სინამდვილისათვის თვალის გამართვას ავალებს თავის გმირებს. რომანის უთვალავი ფენიდან მოფონავს ულმობელი, მაგრამ ჭეშმარიტი აზრი დაძინებულ ქვეყნის შვილებზე: ისინი აჩრდილსლა წარმოადგენენ სვებედნიერი წინაპრებისა, რომ მათი სახის ძნელად შესამჩნევი უჯ-

რედებიც კი მონის ფილოსოფიას ახხივებს. მონის ფილოსოფიას გაუუცხოებულებს ღიმილი და სიცილიც კი, რომ არაფერი ვთქვათ მწუხარებაზე. ნაცოდაობის ნიშანი მთავარსარდალივით მიუძღვება შთამომავალთა ფიქრებს. მოძრაობა, უბრალო შემობრუნებაც კი, მუხლჩაკეცილია, ხმა ავადმყოფურად გაბზარული და დასასრულ ნიღაბი — მხოლოდ კომიკური.

აიეტის ვანში სიხარულიც და მწუხარებაც თავისუფლად იმართება წელში. უბედურება ბუნების კანონის გამოვლინებად იკითხება და მას ჯანსაღი სტოიციზმით ეგებება ყოველი მოქალაქე. სიხარული უთუოდ გულისხმობს გალაღებას და ცის კამარამდე აწეული სიმღერის შადრევანი ერთხელაც არ გამოსცემს დაღლილობის მაუწყებელ ჩქამს. ტრაგიკული ბედისწერის სურვილი იყო, რომ უხეიროს ოყაჯადოს მხარეზე მოუხდა ბრძოლა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს მეომართა პოზიციებს, მთავარია, როგორი იყო აიეტის დროის გმირი:

„უხეირო ნამდვილი მეომარი იყო, იარაღით არჩენდა ოჯახს და აღარც კი ახსოვდა, როდის მოხდა თივით გატენილ ტიკინაზე ხელმიჩვეულმა ნამდვილ ადამიანს რომ აძგება შუბი და პირველად ჩახედა მომაკვდავს თვალებში; მომაკვდავს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ საცოდავად დამანჭული პირიდან სიტყვის ნაცვლად სისხლი ამოსდიოდა. იმის მერე უხეიროს ხელიდან აღარ გაუგდია შუბი. ის კი არა, ქალთან რომ წვებოდა შუბსაც იქვე, საწოლის გვერდით დებდა, ადვილად რომ მიწვდენოდა".

თავისუფალ გენს არასოდეს არ დასცემია შიშის დამთრგუნავი ძალა. იგი მშვიდად მიედინებოდა თავის ღრმა, ფართო და შეუზღუდველ კალაპოტში. მისი რიტმი არაფერს დაურღვევია. შთამომავლიდან შთამომავალში იგი ეძებდა და პოულობდა შესატყვის ფორმას, თვითვე ქმნიდა ახალ ფორმას და ყოველი მათგანი მეტნაკლებად ერთმანეთისაგან განსხვავებული ამაყი და ფრთაგაშლილი იყო.

მაგრამ დაშინდა ერთ დროს, უდარდელი კოლხეთის მკვიდრთა სისხლი, დაითრგუნა მისი რიტმი, ქვეყნის კიდეებიდან, ველებიდან და მთებიდან ერთბაშად დაძრული მონობის ფსიქოლოგიით, რომელიც წვიმის წვეთებსა, ქარის ტალღებსა და მზის სხივებს შორის მოძვრებოდა. მონობის ფსიქოლოგია თავისი წნევის ქვეშ აქცევდა ყოველი მოქალაქის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების მოდელს, ეუფლებოდა ლექსის ხვეულებს, სხეულის უჯრედებს, აფრთხობდა გენს და კალაპოტს უვიწროვებდა, ოცნებებს ფერსაც უცვლიდა და მიმართულებასაც.

უხეიროს პირველსავე შთამომავალში, ფარნაოზში იჩინა თავი მწარე სინამდვილემ: „უხეიროს თავისი გაეტანა, შვილი გადაერჩინა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც უარესი ბოროტება ჩაედინა. მის შვილს მხოლოდ და მხოლოდ უბედურების მოტანა შეეძლო, რადგან ის დამარცხებული, გაპამპულებული, დასახიჩრებული და დაშინებული მამაკაცის თესლი იყო".

თავისუფალი ქვეყნის შვილი, თუნდაც ის გამორჩეული ვაჟკაცი არ იყოს, მაინც განსხვავებულია სულიერი წყობით. თვით სუსტი ბუნების აფრასიონიც კი ფარნაოზისდროინდელი ვანელებისათვის მიუწვდომელ შინაგან ვაჟკაცობას ავლენს: „— ეს მიწა აფრასიონის სისხლმა გააწითლა ასე, რადგან ღალატით მოკლეს, — ამბობს რომანის ერთ-ერთი გმირი, — ვენაცვალე იმის გაჩენს, სხვა რომ არაფერი ჰქონდა, მკვლელს საკუთარი სისხლი შეასხა სახეში".

ფარნაოზის დიდი, ტლანქი ხელები კი უქმად უწყვია მუხლის თავებზე, ან, ხამშობლოსათვის უმაქნისი, დამპყრობლის ქვეყანაში ხაშური მუყაითობით იღწვის. დამპყრობელის მათრახი ფარნაოზის სხეულის მოშვებული ქსოვილიდან არნახულ ენერგიას გამოდენის. ქვისმთლელ მონათა შორის იგი ისე თავგამოდებით შრომობს, რომ ზედამხედველებისაგან შეწუხებულმა მონებმა (ფარნაოზს მიბაძეთო) ცემით კინაღამ მოკლეს. მძიმე და ღრმა არის ამ ფაქტში თავშეფარებული ფილოსოფია. საკუთარი ქვეყნისთვის უსარგებლო ენერგია მათრახის პატრონს სასურველ არხში მიუშვია და ამ არხში ფარნაოზის ენერგიის სიმძლავრე გაოცებასაც კი იწვევს. ვანში კი ყველა სამოქმედო არხი დავიწროვებულა და აიეტის უბადრუკი შთამომავალი სხვის კარად დაწანწალებს „საქმის" საშოვნელად. წლობით სწყდება მშობლიურ კალთას.

ფარნაოზის მუყაითობას ისევე მადლიერებით შეხვდნენ, როგორც მონის თავგამოდებას ხვდებიან საერთოდ, მას უცხო ქვეყანამ მთავარი ძალა გამოსწოვა და მკვდარი ბუზივით მიაგდო კუთხეში. ფარნაოზს ისღა დარჩენოდა თავის ქვეყანაში ჩამოეთრია ნატანჯი ძვლები როგორმე. არც ეს აღმოჩნდა იოლი საქმე, თვეობით მოუხდა ნასახლარზე გდება, ვანისაკენ მიმავალი ხომალდის ლოდინი. გამოსცადა შიმშილი და მათხოვრობა. არსებითი აქ ადამიანის თავზე დატეხილი გასაჭირი როდია, ან თავგადასავლებისათვის ჩვეულებრივი შემთხვევითობა! ფარნაოზის პიროვნებას თავგადასავლების სიმძიმე არ ჩაგრავს, საწუხაროდ, ფარნაოზში სიღრმიდან არის ამოზრდილი სიბეჩავე, სიავულახე, [illegible] ხასიათი. მას კი არ უსაფრდება სიდუხჭირე, თითონ ქმნის თავის გარშემო სიდუხჭირეს. და შეიძლება პირდაპირ ითქვას, თვითვე უდგას სათავეში ცხოვრების იმ მღვრიე ტალღებს, მის გასათელად რომ დაძრულა.

„ერთხელ, ცოტას მორჩა, მტვირთავებმა სცემეს, მაზანდას ნუ გვიგდებო: ერთხელ ვი-

ღაცის ეზოში შეშას აპობდა და ცულით ფეხის ცერა თითი შუაზე გაიპო. სისხლმა უზარმაზარი გუბე დააყენა, ის კი შეშაზე მიშხეფებულ სისხლსა წმენდდა, პატრონმა არ დაინახოსო".

ძნელია უკეთ გამოიხატოს საცოდავი მონის ფსიქოლოგია. ასეთი ჩანს ფარნაოზი, რომელსაც შეშაზე მიშხეფებულ სისხლს წმენდს, ნაცვლად იმისა, რომ საშიში ჭრილობას მიხედოს.

ფარნაოზი რის ვაი-ვაგლახით ბრუნდება ვანში. ადრეც დაბრუნებულან შორეულ ლაშქრობაში მყოფი მეომრები — ხალხი დღესასწაულით ეგებებოდა მათ. ლაშქრობაში დაღუპულზე მწუხარებას მებრძოლის სიამაყე ერია და ძლიერების განცდა კედლებშიც ჟონავდა. ფარნაოზი ქურდივით მიიპარება მშობლიური ქოხისაკენ. უსახელო მგზავრობიდან დაბრუნებულს არავინ ელის მოუთმენლად, გარდა დარდით გულგამოხრული ოჯახისა. ამიტომ შეუძლია, ისე შეუმჩნევლად გაიაროს ქალაქის ქუჩები, რომ ათი წლით გადაკარგულს განსაკუთრებული ყურადღება არავინ მიაქციოს. სიყვარულით არავინ მოიკითხოს (კარგა ხანია ვაჟკაცური საქმეების აღსასრულებლად ვანის ნავსადგურიდან არავინ წასულა. მუშა პირუტყვივით თავჩაქინდრული თუ შედგამდა ბერძნული ხომალდების გემბანზე ვინმე ფეხს). მხოლოდ მშობლიურ ქოხში ამოხეთქავს კედლებს შორის დაგუბებული მონატრება, იგი სილატაკის ნესტით არის გაჟღენთილი. პოპინასა და ფარნაოზის შეხვედრაში უფრო სილატაკისა და საცოდაობის შეყრა ილანდება, ვიდრე და-ძმის სიხარული.

მწერალი ცდილობს თვით უმცირესი დეტალიც კი ისეთ ქსოვილში მოაქციოს, რომ მხატვრული სინამდვილის ღირსეული ნაწილი იყოს. მაგრამ ფანტაზია ყველაზე ძალუმად მაინც იქ ფეთქავს, სადაც არსებითი სათქმელი მწიფდება. ერთ-ერთი რგოლი ამ სათქმელისა იმ სიცარიელის შეგრძნებაა, მამის სახლში დაბრუნებულ ფარნაოზს რომ დაეუფლა. უხეირო უკვე ხუთი წლის მკვდარია, მაგრამ მისი ოთახის დამუხტულ სუნთქვას მართლაც ყველა უწევდა ანგარიშს; და სახლსაც თითქოს სხვა წონა ჰქონდა. მხატვრულობის ლოგიკაზეა მუდამ დამოკიდებული, რამდენად მახლობელი გახდება მკითხველისათვის გმირის სულიერი ცხოვრება. თითქოს ფარნაოზთან ერთად შევაბიჯეთ უხეიროს ოთახში და მისი განცდა უცვლელად დამკვიდრდა ჩვენში, თითქოს უხეიროს ოთახის სიცარიელემ ჩვენს სულშიც ჩამოიხედა.

ვანის ცხოვრების წინახედზე კუხას პიროვნება დამდგარა. ვანელის თვისებების კომპლექსს დღეს კუსა დაატარებს. აქტიური ცხოვრების პულსი მისი მაჯისცემით იზომება. წინაპართა დაწრეტილი ენერგია ფარნაოზის პასიურ ხასიათშია შედედებული.

კუხას საქმოსნობა ეგოისტურ კალაპოტს ერთხელაც არ გასცდენია. ქვეყნისა და ხალხის ინტერესების ერთი წვეთიც არ ჩაღვრია სულში, განზოგადების იოტისოდენა სურვილსაც არ აჰაჰანებს თავის ხასიათში. მისი, ერთი შეხედვით, მოძრავი ბუნება და მოქმედების აზრით გამსჭვალული ფილოსოფია ილუზიაა, რადგან ყველაფერს პირუტყვულის ნიშანი აზლავს. ამიტომ კუსას პრაქტიციზმი ნამდვილი საქმის წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო გამჭრიახობა გონიერების ანტიპოდად წარმოგვიდგება..

ზიარა ისეთი უსახური იყო, რომ ბავშვი აჰყავდა ხშირად ხელში, ასე უფრო ნაკლებ მახინჯი გამოჩნდებოდა. ზიარასა და კუხას შემზარავ სასიყვარულო სცენებს დაეპყრო ახლა ვანის ყოველდღიური ცხოვრება, მის ქუჩებში აიეტის ეტლის გრიალის ნაცვლად კუხას სახელოსნო იარაღით სავსე ტომრის ჟღრიალი ისმის.

ერთ მშვენიერ დღეს მიყრუებულ ქუჩაში ბედიას გვამი იპოვეს ბავშვებმა. ბედიას თოკის მისია დასრულდა. პატრონის დაწყლულებულ სხეულზე დახვეული მისი რგოლები ნაწარმოების დედაარსად იკითხება. ამაოდ იყვირა ბედიამ — ზღვა გვეპარება ხალხოო; შეგუების ფსიქოზს აბატონებდა უხილავი ძალა ყველგან და ქვეყანაც ეგუებოდა დაკარგულ სიმაღლეს. მისი კალთებიდან ღირსებებს ერეკებოდა ეს ფსიქოზი და სულ სხვა თვისებებით ავსებდა იმავე კალთებს — თითქოს ბოროტებამ თავისი ჯარისკაცები ჩააყენა აღებულ ციხე-სიმაგრეებში. როდესაც იმედის უკანასკნელი სანთელიც ჩაქრა, ბედიას სუნთქვამაც დაკარგა აზრი.

ზღვაში დამარხვის რიტუალი იქნებ არ იყოს უცნობი, მაგრამ ამ ეპიზოდის გარეშე რაღაც განუსაზღვრელად დიდი დააკლდებოდა რომანს. სტრუქტურის ძალით ბედია სწორედ ზღვაში უნდა დაიმარხოს. მკითხველი შემზადებულია და აუცილებლად მოელის ასეთ გადაწყვეტილებას. მწერალი საგანგებოდ გამუქებული ფერებით ხატავს გაჭირვებულ ზღვას. ბედიას ცოლს გვამის ჩაძირვა უსაშველო ტანჯვა-წვალებად ექცა. ბედიას დამარხვა მისი ხულისაგან განუყრელი ზღვის სიღრმეში, მართლაც, ბედის მწარე დაცინვად ჩანს.

ერთ დროს მოხმაურე, ანკარა ზღვის დიდი სივრცე ჭაობად გადაიქცა. ჭაობის დახასიათება მწერლისთვის თვითმიზანი არ არის, მისი სურათის წარმოდგენას თავისი ფუნქცია აქვს. ავადმყოფური ფერი გადაკვრია ჭაობის სუნთქვით ამღვრეულ მიდამოს, თვით ავადმყოფობა ამოდის ჭაობიდან, ჭაობი ჩამდგარა ზღვასა და ვანს შორის, მთელი ქვეყნის ენერგიამ ამ ჭაობის ძარღვებში უნდა გაიაროს. ამიტომ იგულისხმება ჭაობზე თქმული ვანის ცხოვრების შინაარსზე თქმულად.

„მათი რწმენით, მარად მობუყბუყე, ავად

მბზინავი ჭაობი ქვესკნელიდან ამოშვებული ურჩხული იყო და თვითონვე ირჩევდა მსხვერპლს. ისევე ასე სჯობდა, ვიდრე ამ ურჩხულს ყველანი ერთბაშად გადაესანსლა. ყოფილი მეთევზე საღამოთი ისევ ძირგამომპალ ნავში ჩახხამდა ხოლმე თავის ცოლშვილს... ნიჩბის ნაცვლად გრძელ ჭოკს დაიჭერდა, რომლითაც ფაფახავით რბილსა და ფუყე ფსკერს აწვებოდა და ნავს ნაპირისაკენ მიაცურებდა. გეგონებოდათ, ქარონს მიცვალებულთა სულები გადაჰყავს სულეთში და ჭაობის ზედაპირზე არეკლილ მთვარის შუქში მართლაც მიცვალებულებს გავდნენ ნავში მსხდომნი. ისე გატრუნულიყვნენ, თითქოს შინ კი არა, სიკვდილის იდუმალსა და ნესტარ ქვეყანაში მიცურავდნენ".

ახე თანდათან უახლოვდება დაკნინების დამღუპველი ხენი ვანის ცხოვრების უმთავრეს არსს, თვითმყოფ ეროვნულ სულს.

ფარნაოზი გაჩენის დღიდანვე გრძნობდა, იმ თოკის მეორე ბოლო იყო, რომლითაც აიეტი გაკოჭესო, — გვეუბნება ერთ მოვლენასთან დაკავშირებით მწერალი და უფრო ცხადად გამოიკვეთება მიზეზების კომპლექსი, რომელმაც ვანს ცხოვრების ზღვა დაუშრო. რომანში ხშირად იჭრება მოვლენების მხატვრულად მოტივირებული ანალიზი. ოყაჯადო შეცნობილია, როგორც ყველაზე ხელსაყრელი კანდიდატურა საბერძნეთის დიდი მეფის ვერაგული განზრახვის აღსასრულებლად. აიეტის წინააღმდეგ ამხედრებული ვანელი მოლაშქრეები, სამშობლოს განთავისუფლების პათოსით გამსჭვალულნი, მიეშურებიან ბრძოლის ველზე, ცბიერმა დიდმა მეფემ მათივე მეშვეობით წაართვა სამშობლო ვანელებს, ისინი ისე ჩავიდნენ საფლავში, რომ მართლაც არ უგრძვნიათ სინდისის ქენჯნა შთამომავალთა წინაშე, ვისაც საუკუნო მონობა დაუტოვეს სამემკვიდრეოდ. დამპყრობელი მოჩვენებით თავისუფლებას ანიჭებდა ვანელ მოქალაქეებს, ამ ფორმით იგი აშკარად განსხვავდებოდა სახტიკი აიეტისაგან. გარეგნულად მთელ ცხოვრებას ალამაზებდა სურვილისა და მოქმედების თავისუფლება, ამის გამო შინაგანი უწესრიგობა თავისუფლებად აღიქმებოდა და მორალური გადაგვარება — კანონის ლმობიერებად. ოყაჯადოს მმართველობის დროს ქვეყანა უმწყემსო ფარას დაემგვანა, რომელიც „იქ წიწკნიდა ბალახს, სადაც მოესურვებოდა", მაგრამ ხრამშიც ისე ბრმად იჩეხებოდა, რომ გაფრთხილებას ვერავინ ასწრებდა. მეფის სასახლე ქვეყანასთან ერთად გადაგვარდა. მოვლენების დამცინავმა ნიაღვარმა ყველა სიმძიმე სასახლის თაღებს დააწყო, მისი ყველა ქვა სამიზნედ აქცია. ათასგვარი ფორმა ჰქონდა ბედის დაცინვას. დრომ აბუჩად აიგდო სასახლის ცხოვრების შინაარსი. ოყაჯადოს ხელში იგი მეფის სასახლის პაროდიად იქცა, რადგან საბერძნეთის დიდი მეფე ოყაჯადოს მეშვეობით კოლხეთის მეფის სასახლეს სახელმწიფოს პატრონობის კერიდან იმავე სახელმწიფოს დაქცევის საშუალებად აქცევდა. როდესაც სასახლის ფუნქცია ასე რადიკალურად იცვლება, იცვლება მისი თვითგამოხატვის ფორმებიც. მისი ყოველდღიური ყოფა კომიკურის ფორმას ირგებს, რა თქმა უნდა, სიღრმეში ტრაგიკულობის შემაშფოთებელი ტკივილიც ილანდება: „ოყაჯადო ზურგზე დაიწყობდა ხოლმე ხელებს და დაუყვებოდა სიჩუმისა და სიცარიელის ტალანებს, მისი ფლოსტების ხმა უფრო ჩუმსა და უკაცურს რომ ხდიდა, რადგან ეს ხმაც მათი ნაწილი იყო, მათი სიმტკიცის გუშაგი".

ოჯაყადო თავისი მისიის შესრულებისას ერთხელაც არ გამორკვეულა, ერთხელაც არ უცდია გამოფხიზლება, ერთხელაც არ ჩაუხედია სარკეში, რათა თავისი თავი დაენახა. დრომ კი, რომელმაც ხერხემალგადამტვრეული ქვეყნის სხეულზე იარა, დრომ კი, რომელმაც მონობის სიბეჩავე ატარა მხრებით, ოყაჯადოს თავისივე დამახინჯებული სამეფოს სახე მისცა და ერთ დღეს სარკეში დაანახა იგი. ამ სახეში თავი მოიყარა გადატანილმა დამცირებამ და თავის დროზე შეუმჩნეველმა ტანჯვა-წამებამ: „სარკის უსასრულო წიაღიდან ამოცოცდა და გამოიკვეთა თმაგაჩეჩილი, შიშისა და უბედობისაგან თვალებდაყვლეპილი, ჩაწვირული და ჩაბინძურებული ,მოჩვარული და მორღვეული სახე რაღაც უცნაური არსებისა, რომელიც ერთდროულად საშიშიც იყო და ამაზრზენიც, მრისხანეც და ბეჩავიც. მობოშებული პირიდან ტიტველი ღრძილები მოუჩანდა, ცხვირზე ცინგლი შეხმობოდა, თვალებს კი მრისხანედ აბრიალებდა, თითქოს ბრაზობდა, მისი შეწუხება რომ გაებედათ სარკის ფსკერიდან რომ გამოეხმო ვიღაცას; „ეს რაღა უბედურებააო" — გაიფიქრა ოყაჯადომ და გაშლილი ხელისგული უნებურად სარკეს დააფარა ,თითქოს შეეძლო, უკანვე ჩაებრუნებინა ეს უცნაური ურჩხული".

ბახას სიკვდილით ქვეყნის სიუხვის პირველი სიმბოლო დაიკარგა, დარიაჩანგის ბაღის გაქრობით ძლიერებისა და სილამაზის სიმბოლო გამოეცალა, ბედიას სიკვდილმა კი სამშობლოს ფხიზელი გუშაგის წასვლა გვამცნო, ხოლო სულ ბოლოს ბოჩიაც გამოაკლდა ვანს, მარადიულ ნაყოფიერებასა და გამრავლებას რომ განასახიერებდა.

ბოჩიას წასვლა ამა ქვეყნიდან გააზრებულია როგორც მოვლენების ლოგიკური დასასრული — გადაგვარების გზაზე დამდგარი ხალხის უსაშველოდ გამრავლებას არავითარი გამართლება არა აქვს. ამ ხალხს დაუკარგავს არსებობის სილამაზე, რომელიც მაცოცხლებელ ნექტარს აწვდიდა ბოჩიას მარადიულ გენს.

თანდათან გაუკაცურდა ვანი, გამოიკეტა სახლის კარები, ბალახით დაიფარა ქუჩები. შემ-

თხევით არ აშფოთებს ოყაჯალოს ყველაფრის დახასრულს აიეტის მოლანდება და კიდევ მოლანდება იმ კაცისა, რომელმაც ყელში შუბგაჩრილმა იყვირა „აიეტს გაუმარჯოს!“ ეს მოხდა ოყაჯალოს ვანში შემოსვლის დღეს. გარდასულმა დიდებამ (აიეტის ხანა) მეხსიერებაში ჩაქოლილი სახეებით იფეთქა, როგორც ღრმააზროვანმა პარალელმა.

უხეირობს შვილი, ფარნაოზი, ცხოვრების უკუღმა შეტრიალებულმა ლოგიკამ ქვეყნის მოღალატედ ცნო და იმავე ლოგიკამ კუხა გაამართლა. ახე შეუცვალა დრომ და ვითარებამ სახეები ყველაფერს. ფარნაოზის არსებაში განცდილია ფსკერზე ყოფნა. თავდაღმართი დამთავრდა. ცხოვრების მდინარის ყველა ტოტი ჩაიწრიტა იმ უფსკრულში, რომელშიც ისტორიამ გადაჩეხა ვანი: მხოლოდ ბუნების მარადიული კანონის ნებით ქვეყნის უზარმაზარ ორგანიზმში ისევ გროვდება ახალი განათებისათვის ძალა და ენერგია. გროვდება სურვილი ალმართთან შებმის, გროვდება ჰკუისხასწავლი ცოდნაც — განებივრებულ და გამრავლებულ შეცდომებზე ჩამოკრეფილი.

ოთარ ჭილაძის რომანის ნეგატიურ მხარეს ლექსიკის ხიმდიდრე და ფანტაზიის ზღვარდაუდებელი ხიუხვე ქმნის. ამას ემატება პოეტურის ნაკადი, რომელიც ზოგჯერ საგრძნობლად არღვევს პროზისა და პოეზიის თანაფარდობას და ავტორის სურვილის საწინააღმდეგოდ ვლინდება. ნაწარმოების დედააზრის სტრუქტურა, რაც უმეტესწილად ახე ლოგიკურია რომანში, თვითვე კარნახობს მწერალს ლაკონურობის აუცილებლობას. ამ სტრუქტურას თავისი მრავალი წახნაგით შეუძლია შეეხოს ვანის ცხოვრების ყველა კუნჭულს და ბადეში მოაქციოს მოვლენების უზარმაზარი წყება. ამ თვისებით ნაწარმოები თავისთავად ხდება მონუმენტური, რადგან არც ერთი წახნაგი არ ეხება უმნიშვნელოს, მაგრამ ზოგჯერ მწერლის თვალი და გონება დიდხანს ყოვნდება ამა თუ იმ მოვლენასთან, ამბავთან, დეტალთან. პირველი ნაწილის („აიეტი“) აზრობრივ ქსოვილში, მაგალითად, ქარისას ყოველმხრივი წარმოჩენა გაჭიანურებულია. არსებითი იქ ფრიქსეს მოვლინება და აიეტთან დამოყვრებაა. ქარისა მხოლოდ საშუალებაა ამ ჩანაფიქრის განხორციელების გზაზე. ფრიქსეს ნოსტალგიისა და ვაჟების გადმობირების წუთებიდან ხდება აუცილებელი ქარისას ხასიათის წინ წამოწევა, რათა ფსიქოლოგიურად შემზადდეს აიეტისადმი უნებური ღალატი. მანამდე კი მწერალი ძალზე ბევრს გვეუბნება ქარისაზე. რომანის იმ ადგილებში, რომელსაც ზედმეტად მივიჩნევ, ქარისას ხასიათი მეტად საინტერესოდ იკითხება, მაგრამ ეს მწერლის ოსტატობის სასარგებლოდ ლაპარაკობს მხოლოდ, რომანის სტრუქტურაში ოსტატობით თხრობა ქარისას ფუნქციას მაინც ვერ განამტკიცებს. ქარისას გარშემო თქმულსაც კი ნაგულისხმევ ნაწილში დიდი ადგილი უჭირავს.

შავთვალება მალალოს სახლი ვანის ცხოვრების მნიშვნელოვანი უჯრედია. იგი აუცილებელი ხაზია რომანში, ოღონდ ფაქტია, რომ ამ ხაზის საგრძნობ ნაწილს გაფერმკრთალებული აქვს სალებავი, იგი არსებითი დეტალებით არის განზიდული. შთამბეჭდავად გამოკვეთა კიდევ არ ამართლებს დეტალს: ამ რომანის დონე გამორიცხავს შელავათს, ალმასისებური სიმკვრივის მოთხოვნილება თავისთავად ჩნდება, თვითონ ნაწარმოების ხარისხი წარმოაჩენს მას. ქალიშვილების მიერ გამოგდებული შავთვალება მალალოს ქოხში ფარნაოზის მოხვედრა გამიზნულია სხვა სათქმელისათვის. მაგრამ თვითონ ეს ეპიზოდი კარგი მთხრობელის ხელში თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც გაწელილია. ამა ქვეყნის ამაოების ამოკითხვა მალალოს უბედურებაში, არც თავისთავადაა ახალი და არც რომანის წყობისათვის არის საჭირო მთავარი აქ ფარნაოზის შინაგანი ძალისა და მზადყოფნის გამოცდაა, შეიძლებს თუ არა მალალოს ანდერძის შესრულებას, მიეპატრონება თუ არა ინოს, შერჩა თუ არა საამისოდ ენერგია.

მწერლისთვის შეუმჩნევლად ზრიდს რომანის მთლიანობას სინონიმების სიუხვე. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მწერალი თავის თავს ცდიდეს — რამდენნაირად შეიძლებს ერთი და იგივე აზრისათვის ხორცის შესხმას: „კი არ ლაპარაკობდა, ლაყბობდა, უხალისოდ, უნდილად, გამაღიზიანებლად, თითქოს ღვინის ნაცვლად შხამი დაელია და თანდათან ერეოდა, თანდათან ართმევდა ენასაც და გონებასაც“. ამ ფრაზაში იქნებ არაფერი მოგვეჩვენოს მოჭარბებულად, მაგრამ ნაწარმოების ქსოვილში მსგავსი სიუხვის მოძალება ზედმეტობის შეგრძნებას ბადებს.

ოთარ ჭილაძემ ერთი შეხედვით, უჩვეულო რომანი დაწერა. სტილით, სტრუქტურით იგი ნაკლებ ჰგავს ქართული პროზის რომელიმე ნიმუშს. რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ სრული თვითგამოხატვაა მისი ავტორის, ოთარ ჭილაძის სულიერი წყობისა. ეს წყობა პოეტურია და ასევე მჟღავნდება რომანშიც. იგი ანალიტური პროზის ძალზე თანამედროვე ხერხებით არის შექმნილი. მაგრამ უმალ ზუსტი სახელის დარქმევის ტენდენცია კრიტიკის თავმოწონებად უფრო აღიქმება, ვიდრე თვით ლიტერატურის ცოცხალი პროცესის შინაგანი აუცილებლობის გამოხატულებად. ახალ ნაწარმოებში მით უმეტეს, თუ ის ესოდენ ტევადია, კრიტიკა დედააზრთან შეხვედრის, მშვენიერთან წილისყრის. სიხარულს უნდა ეზიარებოდეს და არა მისი ტერმინებით სახელდების სურვილს. კრიტიკის პირველი მზერა ახალი მხატვრული სინამდვილის არსზე უნდა იყოს მიბჯენილი, რათა ჩვენი სულის ნაწილად მივიღოთ იგი. ჩვენ ხშირად ვაქრობთ მხატვრული სინამდვილის ხასხასა ფერებს „შესაფერისი“ სახელების ჭურჭლით და განცდასთან ზიარების პროცესს ვცვლით კვალიფიციური დახასიათების ვნებათაღელვით (კვალიფიციურობა ზოგჯერ ახე ცალმხრივად გვესმის). ოთარ ჭილაძის რომანი აღძრავს ამ საკითხზე დაფიქრების სურვილსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. მგელაძე

# 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში

რუსეთის **1905-1907** წლების რევოლუციის დაწყების პირველ დღეებშივე მუშათა კლასსა და გლეხობას მოუხდა შეტაკება მეფის მთავრობის სამხედრო შეიარაღებულ ძალებთან: არმიასთან, პოლიციასთან, ჟანდარმერიასთან, კაზაკებთან, ჩაფრებთან და სხვა. შეუიარაღებელი და სამხედრო ბრძოლებში ნაკლებად გამოცდილი მუშები და გლეხები პირველ ბრძოლებში დამარცხდნენ, ამ დამარცხებით ისინი სწრაფად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ შეიარაღებისა და კარგად ორგანიზებული შეიარაღებული აჯანყების გარეშე თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწევდნენ. ამის შესახებ ვ. ი. ლენინი სტატიაში „რევოლუციური დღეები" წერდა: „ვერავითარი სისასტიკე, ვერავითარი აკრძალვა ვერ შეაჩერებს ქალაქის მასებს, რომლებმაც შეიგნეს, რომ უიარაღოდ ისინი ყოველთვის, ყოველი საბაბის გამო, შეიძლება მიიყვანოს მთავრობამ დახვრეტამდე. თვითეული ცალ-ცალკე მთელ ძალღონეს დაძაბავს, რომ იშოვოს თოფი ან თუნდაც რევოლვერი... და მზად იყოს წინააღმდეგობა გაუწიოს ცარიზმის სისხლმოწყურებულ მსახურებს"[1].

აქედან გამომდინარე, საქართველოს მუშები და გლეხები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რევოლუციის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეუდგნენ შეიარაღებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას; ამ მიზნით ბოლშევიკები პროპაგანდისტების, არალეგალური ბოლშევიკური პრესის, ლიტერატურის, პროკლამაციების, საბრძოლო ფურცლებისა და სხვა საშუალებებით, ეწეოდნენ მასებში შეიარაღებული აჯანყების იდეის გაძლიერებულ პროპაგანდას; ქმნიდნენ წითელ რაზმებს, ხელმძღვანელობდნენ მათი შეიარაღებისა და სამხედრო წრთობის საქმეს, აწყობდნენ საბრძოლო იარაღების დამამზადებელ და შემკეთებელ ფარულ სახელოსნო-ლაბორატორიებს, ხელმძღვანელობდნენ საზღვარგარეთ იარაღებისა და საომარი მასალების შესყიდვასა და შემოზიდვას, წითელი რაზმები ახდენდნენ შეიარაღებულ თავდასხმებს მეფის სამხედრო ნაწილებზე, ჟანდარმებზე, პოლიციელებზე, კაზაკებზე, ჩაფრებზე, ახდენდნენ მათ განიარაღებას და სხვა.

საქართველოს ბოლშევიკებმა რევოლუციის დაწყების პირველ დღეებიდანვე აქტიური რევოლუციური მუშაობა გააჩაღეს მეფის არმიაში. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ მთელ რიგ სამხედრო ნაწილებში შეიქმნა ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციები. პარტიის დავალებით ჯარისკაცებში რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ მ. ბოჭორიძე, მ. ჩოდრიშვილი, ე. სართანია, მწერალი. ი. ევდოშვილი, რ. ლოლაძე, მ. კვარაცხელია და სხვები, ისინი ურჩევდნენ ჯარისკაცებს, რომ არ შეესრულებინათ თავიანთი მეთაურების ბრძანებები, თვითნებურად დაეტოვებინათ სამხედრო სამსახური და იარაღით შეერთებოდნენ მუშებს და გლეხებს, დახმარებოდნენ წითელრაზმებს სამხედრო საქმის შესწავლაში, სამხედრო წრთობაში და გადამწყვეტ მომენტში იარაღი შეებრუნებინათ თვით მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ბოლშევიკების სისტემატურ მუშაობას ჯარის ნაწილებში გარკვეული შედეგები მოჰყვა. ჯარისკაცები ინტერესით უსმენდნენ ბოლშევიკ პროპაგანდისტების საუბრებს და იწონებდნენ მათ რჩევა-დარიგებას.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ

ჯარის ნაწილებში რევოლუციური იდეების შეჭრისა და ჯარისკაცთა პოლიტიკური განწყობილების შესახებ რსდმპ III ყრილობაზე მიხა ცხაკაია აღნიშნავდა: „კავკასიაში ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ჯარისკაცთა შორის მუშაობას. მრავალი პოლკის ჯარისკაცები თბილისსა, ბაქოსა, ბათუმსა და ქუთაისში რევოლუციური ბაცილით დაავადდნენო"[2].

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში მშრომელ ხალხში რევოლუციური შეგნების გაღვიძების, ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში ხალხთა ფართო მასების ჩაბმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში დიდ როლს თამაშობდა რევოლუციონერი მწერალი იროდიონ ევდოშვილი, პოეტი აკაკი წერეთელი და სხვები.

ი. ევდოშვილი, რომელიც რევოლუციის წლებში მეფის არმიაში მსახურობდა, სხვა ცნობილ რევოლუციონერებთან ერთად, ჯარისკაცებში ეწეოდა მგზნებარე რევოლუციურ პროპაგანდას: ის აგრეთვე დიდ როლს თამაშობდა წითელრაზმელების საბრძოლო იარაღებით მომარაგების საქმეში, რისთვისაც დაკავშირებული იყო რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებთან, სამხედრო საწყობებთან, საიდანაც ახერხებდა იარაღების ფარულად გატანას და მის გადაცემას წითელრაზმებისათვის. ამის შესახებ რუსეთის პირველი რევოლუციის ერთ-ერთი მონაწილე გიგო მალაღაშვილი მოგვითხრობს, რომ 1905 წლის ზამთრის ბოლოს გორის მაზრის სოფელ მეტეხში შევქმენით წითელი რაზმი „მე პირადად მიხდებოდა რაზმის მომარაგება იარაღით და ტანსაცმლით. წითელი რაზმისათვის ორი ცალი ბერდანის სისტემის თოფი გამოვართვი სოფელ ბარნაბიანთკარში მცხოვრებ ჩემს ბიძაშვილს მიშა ყანჩაველს. ერთ დღეს იარაღის შესაძენად ჩავედი თბილისში. ქუჩაში შემთხვევით შემხვდა მწერალი იროდიონ ევდოშვილი, რომელიც მაშინ სამხედრო სამსახურში იყო და ფარულად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. ვთხოვე დამხმარებოდა იარაღის შეძენაში. მართლაც, მეორე დღეს მან თბილისის რკინიგზის სადგურში მომიტანა ნაწილებად დაშლილი და საგანგებოდ შეხვეული ორი ცალი თოფი, რომლებიც იმავე დღეს ჩავიტანე სოფელ მეტეხში და გადავეცი წითელ რაზმს"[3].

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ხალხის მასებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ი. ევდოშვილის ისეთი ლექსები, როგორიცაა: „ბრძოლას", „ძმებო, გავშალოთ წითელი დროშა", „მაღლა ავღმართოთ წითელი დროშა!", „მეგობრებო! წინ, წინ გასწით!", „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე" და სხვ.

ი. ევდოშვილის თანამემამულე, თვითნასწავლი. გლეხი პოეტი გიო კანანელი (იგივე გიორგი ყარამანის ძე კანაშვილი), თავის ერთ-ერთ მოგონებაში მოგვითხრობს: „ქართველი პოეტებიდან მიყვარდა აგრეთვე იროდიონ ევდოშვილი... 1905 წლის განმავლობაში მთელ ქიზიყში დიდი მღელვარება იყო... ხალხის საერთო ყიჟინში ხმამაღლა გაისმოდა: „გაუმარჯოს ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, „ძირს მეფე", „ძირს ხალხის მტერი — მეფის მთავრობა!" იქვე უცბად აფრიალებდნენ წითელ დროშას და ხალხის აღტაცებას. ყიჟინას და აზობოქრებას საზღვარი არ ჰქონდა. ყველა სოფელში იყო წითელი რაზმები ჩამოყალიბებული... ერთობის კაცები — აგიტატორები, რომლებიც ხალხში გამოდიოდნენ მოხსენებებით, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, რევოლუციური შინაარსის ლექსებს და სიმღერებს. ბევრი მათგანი მეც ზეპირად ვიცოდი და მრავალჯერ წამიკითხავს ხალხში. იმ დროს ხალხში დიდი სახელი ჰქონდა ირ. ევდოშვილს. მის ლექსებს ხალხში მღეროდნენ, მიტინგებზე და კრებებზე კითხულობდნენ. ამათგან მე კარგად მახსოვს „მეგობრებო წინ, წინ გასწით!", „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე![4].

ლექსი „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე" პოეტისათვის ჩვეული მგზნებარებით მოუწოდებდა მშრომელ ხალხს იარაღით ხელში გამოსულიყვნენ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„მაღლა აღვმართოთ წითელი დროშა
და იერიშით მივიდეთ მტერზე,
ძირს მეფის ტახტი! ძირს მტარვალები!
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!
გვეყოფა ცრემლი, გვეყოფა ტანჯვა.
კმარა სიკვდილი სახრჩობელაზე".

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ხალხში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ი. ევდოშვილის მიერ რევოლუციური სიმღერის „მარსელიოზას" ქართულად შესრულებული თარგმანი. ამ რევოლუციურ ჰიმნს ხალხი დიდი აღტაცებით მღეროდა მიტინგებისა და დემონსტრაციების დროს. ამ ჰიმნით მშრომელი ხალხი იერიშზე მიდიოდა ცარიზმის ციხე-სიმაგრეების წინააღმდეგ.

„მარსელიოზას" თარგმანის ერთ-ერთ მინაწერში ი. ევდოშვილი მუშებსა და გლეხებს კვლავ მოუწოდებდა ბრძოლის ველისაკენ, ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლისაკენ:

„მოქალაქენო, ხელი ხმალსა, წინ,
წინ, მედგრად მომდგარ მტერზედა,
წინ, სისხლით მოგვცეს პასუხი
მტერმა ჩვენ ბრძოლის ველზედა".

ქართველი ხალხის სახიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი აღფრთოვანებით შეხვდა რევოლუციას. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში პოეტი თავისი მგზნებარე ლექსებით

და განწყობით ყოველთვის მხარში ედგა მშრომელ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც მეფის აგენტებმა რევოლუციის მებრძოლი ძალების დასუსტების მიზნით პროვოკაციულად გამოიწვიეს თბილისში, სომეხ-თათართა შორის სისხლისმღვრელი შეტაკება, პოეტმა ლექსში „რჩევა“ გულში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართა ამიერკავკასიის ჩაგრულ ხალხებს და მიუთითა, რომ არ აჰყოლოდნენ მეფის მთავრობის პროვოკაციას, შეეწყვიტათ ურთიერთშორის გაჩაღებული ეს უაზრო, ძმათამკვლელი ომი, მტკიცედ შეკავშირებულიყვნენ ურთიერთშორის და ერთიანი ძალით გაელაშქრათ საერთო მტრის — ცარიზმის წინააღმდეგ.

„ჩააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა...
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონყმურად...
ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომაა.
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომაა?
შეერთდით, ძმებო შეერთდით,
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა“.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში, საქართველოს ბოლშევიკები, პარტიულ კრებებზე, დისკუსიებზე, ბოლშევიკურ პრესაში და სხვა, დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდნენ ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების და კერძოდ მენშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ პროლეტარიატის ჰეგემონიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და შეიარაღებული აჯანყების ბოლშევიკურ ტაქტიკას.

მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა დარწმუნებულნი ბოლშევიკების ტაქტიკური ხაზის სისწორეში, ზურგს აქცევდნენ მენშევიკებს და მტკიცედ მიჰყვებოდნენ ბოლშევიკებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამის შესახებ გაზ. „პროლეტარის“ რედაქციაში ჭიათურიდან გაგზავნილ კორესპონდენციაში იტყობინებოდნენ, რომ „ჩვენთან ყველაზე გავლენიანი არის ბოლშევიკური ორგანიზაცია (იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის რაიონული ორგანიზაცია), რომელსაც ჭიათურის მუშების 9/10 ემხრობა, არიან მენშევიკებიც მაგრამ ისინი შედარებით ნაკლები გავლენით სარგებლობენ... ხდება აგრეთვე „სოციალსტ-რევოლუციონერების“, ფედერალისტების, ანარქისტების, პროგრესისტების და ყოველგვარი „ისტების“ თავდასხმები, მაგრამ მუშების კლასობრივი შეგნების ტალღა ყოველთვის მსწრაფით ჩამოაგდებს მათ სცენიდან“.

საქართველოს ბოლშევიკების თავდადებულმა ბრძოლამ რევოლუციური მასების შეიარაღებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის სათანადო შედეგები გამოიღო. 1905 წლის შემოდგომისათვის საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში, ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში შექმნილი იყო მუშათა და გლეხთა წითელი რაზმები და მებრძოლი ჯგუფები, წითელი ჯვრის „სანიტარული რაზმები“, რომლებიც შეიარაღებული და მომარაგებულნი იყვნენ სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღებითა და ფეთქებადი მასალებით, მედიკამენტებით, შექმნილი ჰქონდათ თავიანთი სამხედრო-რევოლუციური შტაბები და რევოლუციურად განწყობილ მასებთან ერთად სისტემატურად ეწეოდნენ სამხედრო ვარჯიშს და წვრთნას, აწყობდნენ სამხედრო პარადებს, მიტინგებს, მზად იყვნენ და ხიგნალს ელოდებოდნენ, რომ იარიშზე გადასულიყვნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მეფის თვითმპყრობელობის ადგილობრივი ხელისუფლება შეშფოთებული იყო მუშათა კლასისა და გლეხობის მზარდი შეიარაღებითა და შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებით. კავკასიის პოლიციის უფროსი შირინკინი, 1905 წლის ზაფხულის ბოლოსათვის, საქართველოში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მეფის ნაცვალს წერილებით აცნობებდა, რომ ამჟამად საქართველოში საქმე ეხება არა უბრალო არეულობას, არამედ იმას, რომ მზადდება ნამდვილი შეიარაღებული აჯანყება. სოფლებში და ქალაქებში აშკარად სწარმოებს მოსახლეობის მომზადება სროლაში, დემონსტრაციები, სამხედრო პარადები და სხვ. შირინკინი მეფის ნაცვლისაგან მოითხოვდა დამატებითი სამხედრო ძალების მობილიზაციას, აჯანყების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებას ყველგან ბოლშევიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. ისინი კონკრეტულ რჩევა-დარიგებას აძლევდნენ რევოლუციურად განწყობილ მშრომელებს თუ რა უნდა გაეკეთებინათ აჯანყების ორგანიზებულად მომზადებისა და ჩატარებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების მითითებით და ხელმძღვანელობით თითქმის ყველა სამხედრო — რევოლუციურ შტაბთან და დიდ რაზმებთან იყო შექმნილი წითელი ჯვრის სასწრაფო დახმარების „სანიტარული რაზმები“ და ჯგუფები. კერძოდ, ასეთი რაზმები და ჯგუფები 1905 წლის შემოდგომისათვის არსებობდნენ ქ. თბილისში, ქუ-

თაისში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, შორაპნის გორის, თელავის, სიღნაღის მაზრებში, რომლებიც მეცადინეობდნენ და სწავლობდნენ ბრძოლის დროს დაჭრილთათვის პირველი დახმარების წესებსა და საშუალებებს, მომარაგებულნი იყვნენ სათანადო საჭირო სამედიცინო იარაღ-ხელსაწყოებით, მედიკამენტებით, მთელ რიგ ადგილებში მოწყობილი ჰქონდათ პატარა საავადმყოფო-ლაზარეთები, ბრძოლაში დაჭრილთათვის საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და მკურნალობისათვის.

საქართველოს მშრომელი მასების მძლავრი რევოლუციური განწყობილებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა აგრეთვე წითელი რაზმებისა და რევოლუციური მშრომელი მასების მრავალრიცხოვანი შეიარაღებული სამხედრო პარადები, დემონსტრაციები, მიტინგები და კრებები, რომლებიც ეწყობოდა 1905 წლის ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომაზე საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. პარტიის ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და სამხედრო-რევოლუციური შტაბების ხელმძღვანელობით, წითელი რაზმები და რევოლუციურად განწყობილი მუშები და გლეხები, შეიარაღებულნი, მწყობრ საბრძოლო რიგებად დაწყობილნი, წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით ცხადდებოდნენ დანიშნულ ადგილებზე, სადაც ხდებოდა რევოლუციური ძალების საბრძოლო მზადყოფნის ნამდვილი სახალხო დათვალიერება. აქვე ბოლშევიკ-ორატორები წარმოთქვამდნენ მგზნებარე სიტყვებს და მოუწოდებდნენ მშრომელ ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლისაკენ.

1905 წლის 27 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის დაბა ლანჩხუთში ჩატარდა წითელი რაზმებისა და მოსახლეობის შეიარაღებული დემონსტრაცია. საეკლესიო ზარების ხმაზე, დილით ადრე, ბაზრის მოედანზე, შეიკრიბა ათასობით მამაკაცი, ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა, რომელთა შორის ბევრი იყო შეიარაღებული ბერდანის სისტემის თოფებით, შაშხანებით, რევოლვერებით და ხმლებით. 8 საათზე ჩიბათის საზოგადოებიდან მოვიდა და შეუერთდა მათ შეიარაღებული გლეხების მეორე დიდი ჯგუფი, რომლებიც ჩამწკრივდნენ სამხედრო წესების მიხედვით ოცეულებად, საიდანაც წითელი დროშებით მარსელიოზისა და სხვა რევოლუციური სიმღერებით დაიძრნენ ნიგოეთისაკენ. ლანჩხუთიდან სამი კილომეტრის გავლის შემდეგ მათ შემოუერთდნენ გლეხები რომლებიც ასევე შეიარაღებულნი, მწყობრში რიგებად დაწყობილნი, მოდიოდნენ ნიგოეთიდან. გაერთიანებული სამხედრო პარადი და მიტინგი ჩატარდა მინდორში, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა. წარმოითქვა რევოლუციური სიტყვები და გაისმოდა ლოზუნგები: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს თავისუფლებას!"[47].

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დაწყების წინადღეებში დაბა ყვირილაში (ახლა ქ. ზესტაფონი) ჩატარდა შორაპნის მაზრის წითელი რაზმების სამხედრო პარადი. პარადს ხელმძღვანელობდა ყვირილის სამხედრო-რევოლუციური შტაბი. პირველად ქუჩებში გამოვიდნენ იარაღით და წითელი დროშებით, მწყობრ საბრძოლო რიგებად დაწყობილი ყვირილისა და ჭიათურის წითელრაზმელები, რომლებმაც ყვირილის რკინიგზის სადგურზე აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყვეს ბელაგორის (ახლანდელი ხარაგაული) წითელრაზმელებს; რომლებიც ასევე შეიარაღებულნი, სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ ყვირილაში, სამხედრო პარადში მონაწილეობის მისაღებად. პარადი რამოდენიმე საათს გაგრძელდა და დამთავრდა წითელრაზმელთა და მრავალრიცხოვანი ხალხის გაერთიანებული მიტინგით. ამ სამხედრო პარადმა მოსახლეობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მშრომელი მასების ახალი მძლავრი რევოლუციური აღტაცება გამოიწვია.

1905 წლის დეკემბრის დასაწყისში თბილისში შეიქმნა ცენტრალური საგაფიცვო ბიურო (კომიტეტი), რომელშიაც შევიდნენ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. შაუმიანი, ი. კორა (ი. ხანჯური), შ. ელიავა და სხვები ბოლშევიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ქალაქებში ჩამოყალიბდა საგაფიცვო კომიტეტები, ხოლო თბილისში ხაშურში, შორაპანში, ჭიათურაში, ბორჯომში, ქუთაისში, სამტრედიაში, ბათუმში, ფოთში და სხვა ადგილებში შეიქმნა აგრეთვე რკინიგზელთა საგაფიცვო ბიუროები.

ცენტრალური საგაფიცვო ბიურო „თბილისის მუშათა კლასის, ფაქტიურად კი მთელი საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო იყო და არსებითად მუშათა დეპუტატების საბჭოს როლს ასრულებდა... ის აწესრიგებდა მატარებლების მიმოსვლას, ზრუნავდა ქალაქის მოსახლეობის მომარაგებაზე, აწესებდა ნიხრს პირველი მოთხოვნილების საგნებზე, ქმნიდა მებრძოლ რაზმებს, რომლებიც ქალაქში იცავდნენ წესრიგს და სასტიკად ებრძოდნენ მთავრობის ჯარებსა და პოლიციას"[48].

საქართველოს ბოლშევიკების, რევოლუციური მუშათა კლასისა და გლეხობის სახელოვანი ისტორიიდან უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დაწყებამდე საქართველოს მთელ რიგ ადგილებში: ბათუმში, ხოხუმში, ქუთაისში და ფოთში ნოემბრის ბოლოს ადგილი ჰქონდა თვით-

მპყრობელობის წინააღმდეგ, მეფის სამხედრო შეიარაღებულ ძალებსა და მუშებს შორის საბარიკადო ბრძოლებს.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას, როგორც რუსეთში, ისე საქართველოში წინ უძღოდა მძლავრი საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვები. ჯერ კიდევ 4 დეკემბერს რსდმპ მოსკოვის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილებაა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მოწყობის შესახებ, რომელიც გზა და გზა უნდა გაზრდილიყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ აჯანყებაში.

ეს გადაწყვეტილება 5 დეკემბერს იქნა მოწონებული მოსკოვის ბოლშევიკების საერთოდ საქალაქო კონფერენციის მიერ. 7 დეკემბერს მოსკოვში გამოცხადდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც ელვის სისწრაფით მოედო რუსეთის იმპერიის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებს და იმ თავითვე იწყო გადაზრდა შეიარაღებულ აჯანყებაში.

მოსკოვის პროლეტარიატის საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვამ და შეიარაღებულმა აჯანყებამ საქართველოს პროლეტარიატის ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა. 10 დეკემბერს გამოვიდა საქართველოს ბოლშევიკების ლეგალური გაზეთის „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ მორიგი ნომერი მოწინავე სტატიით — „უკან დაბრუნება შეუძლებელია“, სადაც მითითებული იყო: „პროლეტარიატი ყველაზე მეტად და ყველაზე ენერგიულად იბრძოდა მიმდინარე რევოლუციაში... ახლაც მან მისცა საბრძოლო შეტაკებას ნიშანი! დაე, რევოლუციური ხალხის ყველა ფენა გამოეხმაუროს თავის ხელმძღვანელის ამ სიგნალს, დაე, ყველა ის, ვინც დაინტერესებულია, რომ მეფის თვითმპყრობელობა ხალხის თვითმპყრობელობით შეიცვალოს, ემზადოს გენერალური ბრძოლისათვის ცარიზმის წინააღმდეგ. მტერი სასიკვდილოდ არის დაჭრილი პროლეტარიატის ტყვიით: მაშ ჩავქოლოთ იგი საერთო ძალღონით“[10].

დეკემბრის შეიარღებული აჯანყებისათვის გაცხოველებული მზადების დღეებში, ნაძალადევში შეიქმნა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელმაც თავის გარშემო დარაზმა აჯანყებული მუშები, უშუალოდ ხელმძღვანელობდა აჯანყების დაწყებას და მსვლელობას, წარმართავდა წითელი რაზმების მოქმედებას, დაჭრილებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევას და სხვა.

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში და რუსეთის სხვა ქალაქებში გახდა სიგნალი საქართველოში მუშებისა და გლეხებისათვის, რათა იერიშზე გადასულიყვნენ თვითმპყრობელობის ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. 1905 წლის 9 დეკემბრის რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისში საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დაწყებისა და ამ გაფიცვის შეიარაღებულ აჯანყებაში გადაზრდის შესახებ.

13 დეკემბერს უკვე გაფიცული იყვნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშები და მოსამსახურეები. მალე ეს გაფიცვა მოედო თბილისის ყველა საწარმოოს. მუშაობა შეწყვიტა თითქმის ყველა დაწესებულებამ და სავაჭრომ. საყოველთაო გაფიცვამ თბილისში თანდათანობით იწყო გადაზრდა შეიარაღებულ აჯანყებაში. ქალაქში ხდებოდა შეტაკებები მუშებსა და ჯარებს შორის, საგაფიცვო ბიურომ ხელში ჩაიგდო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და ტელეგრაფი. ამის შემდეგ მთელ საქართველოში რკინიგზის ხაზი, მოძრავი შემადგენლობა და კავშირგაბმულობა აჯანყებული მუშების ხელში აღმოჩნდა. ცენტრალური საგაფიცვო ბიურო ამ დღეებში ფაქტიურად განაგებდა ქალაქის მთელ ცხოვრებას.

საგაფიცვო ბიურომ 13 დეკემბერს გამოაქვეყნა შემდეგი დადგენილება:

1/ სადელეგატო და სასურსათო მატარებლებზე აკრძალული იქნეს კერძო პირების მგზავრობა;

2/ სურსათის ერთი სადგურიდან მეორეზე გადატან-გადმოტანა შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წინადადებით, მას შემდეგ, რაც ასეთ წინადადებას განიხილავს სასურსათო კომისია.

3/ იმის გამორკვევა, თუ რამდენად სწორია ცნობა სად. სანაინში კაცის გაგზავნის შესახებ, მუშებისათვის ხელფასის დასარიგებლად, მიენდოს საგაფიცვო ბიუროს ორ წევრს;

4/ სასურსათო კომისიამ, ყოველგვარი ღონისძიება იხმაროს თბილისში სურსათის ფარული საწყობების აღმოსაჩენად და გამოაქვეყნოს ასეთი საწყობების მისამართები;

5/ სასურსათო კომისია ნებას აძლევს სავაჭრო ფირმებს შემოიტანონ ქალაქში სხვადასხვა ხასის სურსათი[11].

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების პირველ დღეებიდანვე აჯანყებული მუშებისა და წითელი რაზმების ხელში აღმოჩნდა თბილისის მუშათა რაიონები: ნაძალადევი და დიდუბე.

აჯანყებულმა მუშებმა მთელი ნაძალადევის რაიონი ჩაიგდეს ხელში და შექმნეს ე. წ. „ნაძალადევის რესპუბლიკა“. თბილისის აჯანყებული მუშების დასახმარებლად დაიძრნენ გლეხთა წითელი რაზმები საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან.

ასე მაგალითად რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა 150 კაცისასაგან შემდგარი კარგად შეიარაღებული წითელი რაზმი გამოგზავნა თბილისის მუშების დასახმარებლად, ხოლო 800-მდე შეიარაღებული რაზმელი დაბანაკებული იქნა წიფის გვირაბთან და მზად იყვნენ, რომ სათანადო განკარ-

გულებისთანავე დაძრულიყვნენ თბილისის მიმართულებით.

ცენტრალურმა საგაფიცვო ბიურომ, რომელშიაც უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდნენ, უარი სთქვა ამ დამხმარე ძალების ბრძოლაში გამოყენების შესახებ მათ, ასევე უარი სთქვეს უკან დაებრუნებინათ თბილისიდან გაყვანილი რევოლუციურად განწყობილი მესანგრეთა ბატალიონი. ცენტრალურმა საგაფიცვო ბიურომ „მიუხედავად ბოლშევიკების კატეგორიული მოთხოვნისა, მენშევიკების ხმების უმრავლესობით... უარი თქვა გარედან რევოლუციური ჯარის ნაწილების გამოწვევაზე და 150 შეიარაღებული წითელრაზმელები უკან დააბრუნა დასავლეთ საქართველოში. ამით მენშევიკებმა აჯანყება განაიარაღეს. ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტში მოკალათებული მენშევიკები კი პრაქტიკულად ახორციელებდნენ შეიარაღებული აჯანყების საწინააღმდეგო ტაქტიკურ ხაზს“[12].

მეფის ადგილობრივი ხელისუფლება დაუყოვნებლივ შეუდგა მზადებას თბილისის მუშათა შეიარაღებული აჯანყების ჩასახშობად. მან პირველ რიგში იერიში მიიტანა ნაძალადევზე. კარგად შეიარაღებულმა სამხედრო ნაწილებმა, რომელთა რაოდენობა 1000 კაცს აღემატებოდა, 17 დეკემბერს, ღამით ალყა შემოარტყეს ნაძალადევს, რომელსაც იცავდა 500-მდე კაცისაგან შემდგარი მუშათა წითელი რაზმი. 18 დეკემბერს დილით მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება წითელრაზმელებსა და მეფის ჯარებს შორის. უთანასწორო ბრძოლაში წითელრაზმელები დამარცხდნენ. ამ შეტაკების დროს დაიღუპა 9 წითელრაზმელი: ე. დვალი, ტ. ლაზარიშვილი, გ. ელიავა, მ. კალაძე, ი. ცინცაძე, ი. ნინიძე, ვ. ხუცურაული, ვ. თვარაძე და გ. ჯაში. ბევრი მძიმედ დაიჭრა, მათ შორის კამო, რომელიც მიუხედავად მძიმე ჭრილობისა დაპატიმრებული და მოთავსებული იქნა მეტეხის ციხეში. ქალაქში გაძლიერდა ჩხრეკა და დაპატიმრებანი; შავრაზმელებისა და კაზაკების თავაშვებული თარეში.

ნაძალადევის მუშათა რაიონის დარბევასა და აჯანყების სისხლში ჩახშობასთან დაკავშირებით, ცენტრალურმა საგაფიცვო ბიურომ 19 დეკემბერს გამოსცა პროკლამაცია „ამხანაგებო და მოქალაქენო!“

პროკლამაციაში აღწერილია ნაძალადევის მუშათა აჯანყების სისხლში ჩახშობის ამბები, მოუწოდებს მუშებს ორმაგი დარტყმით უპასუხონ რეაქციის შემოტევას და კიდევ უფრო გააძლიერონ შეიარაღებული წინააღმდეგობა. პროკლამაცია მთავრდება საბრძოლო მოწოდებით: „შეტაკება აუცილებელია, რეაქცია მოდის, მას ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალები. მაშ რა დაგვრჩენია? იარაღით ხელში გამოვიდეცით პასუხი. ყველგან მზად იყავით მოქალაქეების სიცოცხლისთანავე ადამიანებისა და თავისუფლების დასაცავად. გამოდით, ვისაც შეგიძლიათ, — მიწის თხრა, დაჭრილების მოვლა. თუ თავს დაგვესხმიან ხულიგნები ან ყაზახები, იარაღით გაეცით პასუხი. ყველანი მზად იყავით მოქალაქენო და ამხანაგებო! გაუმარჯოს საერთო პოლიტიკურ გაფიცვას! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!“[13]

22 დეკემბერს სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა მეფის ჯარებსა და აჯანყებულ მუშებს შორის ქ. თბილისში, ყოფილი სალდათის ბაზრის რაიონში (ამჟამად კოლმეურნეობის მოედანი). 23 დეკემბერს მეფის დამსჯელი ჯარები თავს დაესხნენ დიდუბის მუშათა რაიონს.

აქ აჯანყებულ მუშებთან ერთად მოქმედებდა 200 კაცისაგან შემდგარი მუშათა წითელი რაზმი. პირველ შეტაკებაში მეფის ჯარები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს, მაგრამ ახალი მაშველი ძალების მოსვლის შემდეგ კვლავ განაახლეს შეტევა აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომელიც სასტიკი ბრძოლის შემდეგ დამთავრდა აჯანყებული მუშების დამარცხებით.

თბილისის აჯანყებული მუშების მიმართ მეფის ჯარების მიერ ამ ბარბაროსულმა სისხლიანი ანგარიშის გასწორებამ, მშრომელთა საშინელი აღშფოთება გამოიწვია, რამაც გამოხატულება ჰპოვა თბილისის მუშათა მებრძოლი ჯგუფების თავგანწირულ მოქმედებაში. რაზმელები 20 დეკემბერს ერთსა და იმავე დროს დაესხნენ თავს ქალაქის პოლიცმეისტერს მარტინოვს, მე-9 საპოლიციო უბნის ბოქაულს სნიტკოს, თბილისის შავრაზმული „პატრიოტული“ საზოგადოების ერთ-ერთ ხელმძღვანელ გოლოვაჩოვსკს, ჟანდარმთა ვახმისტრს ბობრუსოვს და სხვა. იმავე დღეს მებრძოლი ჯგუფის წევრებმა გოლოვინის პროსპექტზე კავკასიის ოფიცერთა საზოგადოების მაღაზიაში შეაგდეს ბომბი, რომლის აფეთქების შედეგად დაიჭრა შვიდი კაცი.

23-25 დეკემბერს თბილისში ადგილი ქონდა ბომბების აფეთქებას და წითელრაზმელების შეტაკებას მეფის სამხედრო ნაწილებთან თხინვალის, ანდრეევის, ელისაბედისა და სხვა ქუჩებზე. თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მეფის ჯარები, კაზაკები და პოლიციელები ყველგან ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდნენ სუსტად შეიარაღებულ თბილისის აჯანყებულ მუშებს.

1905 წლის დეკემბრის შუარიცხვებში შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო აგრეთვე გორისა და დუშეთის მაზრებში.

15 დეკემბერს, ღამით, აჯანყებული ოსი გლეხები, წითელრაზმელებთან ერთად თავს დაესხნენ საპოლიციო საგუშაგოებს გორის მაზრის სამხრეთ ოსეთის ცენტრში — ცხინვალში განაიარაღეს და დააპატიმრეს პოლიციელები ბოქაული და ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში.

ასევე განაიარაღებული იქნენ პოლიციელები და ჟანდარმები გორისა და დუშეთის მაზრების

ტერიტორიის რკინიგზის ხაზებზე. რკინიგზის ზოგიერთი სადგური აჯანყებულებმა ბრძოლით აიღეს და დაიკავეს.

**1905 წლის** დეკემბრის მეორე ნახევარში მუშათა შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო. ბორჯომის მუშათა რაიონში — ჩარხის წყალზე, აჯანყებულმა მუშებმა ხელში ჩაიგდეს ბორჯომის წყლისა და ხე-ტყის დამამუშავებელი საწარმოები. წითელრაზმელებს შეიარაღებული შეტაკებები მოუხდათ კაზაკთა ნაწილებისა და პოლიციის ადგილობრივ ძალებთან, რის შემდეგაც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები პარალიზებული აღმოჩნდნენ და ძალაუფლება მთლიანად გადავიდა სავაჭიცვო ბიუროს ხელში.

დეკემბრის ბოლოსათვის როგორც ქალაქ გორში, ასევე გორისა და დუშეთის მაზრების ტერიტორიის მთელ რიგ ადგილებში, ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში გადავიდა. აჯანყებულებმა ადგილებზე გააუქმეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და შექმნეს გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, სახალხო სასამართლოები, სახალხო მილიცია და თვითონ განაგებდნენ მთელ თავიანთ ცხოვრებას.

გლეხთა რევოლუციური ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები — რევოლუციური კომიტეტები, ხელისუფლების დახაცავად სახალხო მილიციის შექმნის საქმეში გამოდიოდნენ გაზ. „პროლეტარიატის“ № 9-ში მოთავსებულ სადირექტივო სტატიიდან „ქალაქის რევოლუცია“, სადაც ნათქვამია: „რევოლუციურმა მთავრობამ თავდაპირველად ხალხის შეიარაღებას უნდა მოჰკიდოს ხელი. ქალაქის მილიციის შექმნა, — აი რა უნდა იყოს მისი პირველი ამოცანა. ყველა მოქალაქე, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია (ვთქვათ 20 წლიდან 40 წლამდე). მილიციაში უნდა შედიოდეს. მაშინვე უნდა დაიყვნენ რაზმებად და თოფიარაღის ხმარებას შეუდგნენ“[14].

თბილისის, მუშათა კლასის შეიარაღებული აჯანყებების უშუალო ზეგავლენით, **1905 წლის** დეკემბერში მეფის მთავრობისა და მემამულეების წინაამდეგ მძლავრი შეიარაღებული გამოსვლები მოიწყვეს ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის მაზრებისა და სოხუმის ოლქის რევოლუციურად განწყობილმა გლეხობამ და მათ მიერ შექმნილმა გლეხთა წითელმა რაზმებმა.

აჯანყებული გლეხები წითელრაზმელებთან ერთად გაბედულად ებრძოდნენ პოლიციელებს, ჩაფრებს, ჯარის ნაწილებსა და შავრაზმელებს. მთელ რიგ მაზრებში აჯანყებულმა გლეხებმა გააუქმეს მეფის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, გარეკეს მეფის მოხელეები და გლეხობის მთელ საქმეს განაგებდნენ მათ მიერ შექმნილი გლეხთა რევოლუციური კომიტეტები.

1905 წლის დეკემბერში მთელ რიგ მაზრებში აჯანყებული მუშებისა და გლეხების მიერ ძალაუფლების ხელში აღების შედეგად ადგილებზე შეიქმნა სახალხო ხელისუფლება, ეგრეთწოდებული „სახალხო რესპუბლიკები“, როგორიც იყო მაგალითად: ნაძალადევის, გურიის, ყვირილის, ჭიათურის, გორის, ზუგდიდის, სვანეთის და სხვა.

**1905 წლის** დეკემბერში შეიარაღებულმა აჯანყებამ მოიცვა რაჭის, ლეჩხუმის მაზრები და სვანეთის საბოქაულო. ლეჩხუმის მაზრის აჯანყებულმა გლეხებმა, წითელრაზმელებთან ერთად, რომელთა მოქმედებას წარმართავდა სამხედრო-რევოლუციური შტაბი, დეკემბრის ბოლოს მასობრივი შეიარაღებული თავდასხმები მოაწყო მთავრობის ადგილობრივ დაწესებულებებზე, ჩაფართა საგუშაგოებზე, ტყის მცველებზე, განაიარაღეს მთავრობის მოხელეები, ჩაფრები, ტყისმცველები და მთელი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში.

**27** დეკემბერს ლეჩხუმის მაზრის სოფ. ლატალის აჯანყებული გლეხები და წითელრაზმელები დაესხნენ სვანეთის უბნის საბოქაულოს სამმართველოს, განაიარაღეს პოლიციელები, მთავრობის მოხელეები და ტყვედ წაიყვანეს ბოქაული უიფიანი.

ლეჩხუმის შემდეგ აჯანყების ცეცხლი მოედო რაჭის მაზრას, სადაც ამ დროს მოქმედებდა გლეხთა წითელი რაზმი. **30 და 31** დეკემბერს აჯანყებული გლეხები წითელრაზმელებთან ერთად დაესხნენ თავს სამაზრო სამმართველოს, ხაზინას, მომრიგებელი მოსამართლის კამერას, საფოსტო კანტორას, განაიარაღეს მთავრობის მოხელეები, პოლიციელები, კაზაკები, დაწვეს სამაზრო სამმართველოს საქმეები და ხაზინიდან გაიტაცეს ფული.

შეიარაღებული აჯანყება ასევე ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში. 25 ნოემბერს აჯანყებული გლეხები თავს დაესხნენ სენაკის მაზრის სოფელ ბანძის პოლიციის საგუშაგოებს და განაიარაღეს ჩაფრები.

30 ნოემბერს აჯანყებულებმა მოაწყვეს თავდასხმა სენაკის მაზრის სამმართველოზე, საიდანაც გაიტაცეს დიდძალი იარაღი.

1 და 2 დეკემბერს მოხდა აჯანყებულთა მასობრივი შეიარაღებული თავდასხმები მთავრობის დაწესებულებებზე ახალ სენაკში; განაიარაღეს პოლიციის უბნის სამმართველოები და ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში. სენაკის მაზრაში მომხდარი ამბების შესახებ გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ ამ დღეებში წერდა: „...ყველა დაწესებულება რევოლუციონერების ხელშია. წესრიგს იცავდნენ მილიციონერები.. ჩაფრების პოსტები ყველგან მოხსნილია. ბევრი ჩაფარი იარაღ აყრილია და ამ იარაღით შეიარაღებულია თვით ხალხი. მოსახლეობა არ იძლევა ახალწვეულებას“ [15].

ასევე, ქ. ფოთში 1905 წლის დეკემბრის

შუარიცხვებისათვის მთავრობის მოხელეები, პოლიციელები, ჩაფრები განიარაღებულნი და განდევნილნი იყვნენ, ხელისუფლება ფაქტიურად აჯანყებულების ხელში იყო გადასული. გაზ. „სხივი“ ამ დღეებში იუწყებოდა, რომ ფოთში ხელისუფლების ბატონ-პატრონი რევოლუციონერები არიან. ქუჩებში წითელრაზმელები დადიან, რკინიგზის სადგურს იცავს სახალხო მილიცია, მეფის სასამართლო დაწესებულებებს ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა და სასამართლო საქმეებს ხალხის მიერ არჩეული პირები არჩევენო[16]

5 და 6 დეკემბერს აჯანყებული გლეხები და წითელრაზმელები თავს დაესხნენ და განაიარაღეს მთავრობის მოხელეები და პოლიციელები დაბა ზუგდიდში და საპატიმროდან გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. ამის შემდეგ მაზრის ტერიტორიაზე ძალაუფლება ფაქტიურად აჯანყებულთა ხელში გადავიდა.

დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ სერიოზული გამოძახილი ჰპოვა სოხუმის ოლქში. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მომზადებას და ჩატარებას აფხაზეთში სათავეში ედგა რსდმ პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფი. 15 დეკემბერს აჯანყებული გლეხები და წითელრაზმელები დაესხნენ მეფის ადგილობრივ მოხელეებს და ჩაფრებს დაბა გალში და განაიარაღეს ისინი. დეკემბრის მეორე ნახევარში გუდაუთა, გაგრა, სამურზაყანოს უბანი და მთელი რიგი სხვა ადგილები აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში.

1905 წლის დეკემბრის დასაწყისიდან შორაპნის მაზრის აჯანყებულმა მუშებმა, გლეხებმა და წითელრაზმელებმა დაიწყეს შეტევაზე გადასვლა მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ დეკემბრის პირველ რიცხვებში, მაზრის ცენტრში დაბა ყვირილაში, თავი მოიყარეს საჩხერის, ჭიათურის, ბელაგორის, ჩხარის წითელრაზმელებმა და შექმნეს შორაპნის მაზრის მუშათა და გლეხთა გაერთიანებული წითელი რაზმი. რაზმების მთელ საბრძოლო მოქმედებას განაგებდა სამხედრო-რევოლუციური შტაბი, რომელშიაც შედიოდნენ: მ. დავითაშვილი, ს. ბუაჩიძე, გ. ელისაბედაშვილი, ს. ინწკირველი ვ. ყიასაშვილი და სხვები.

შორაპნის მაზრის აჯანყებული მუშები და გლეხები წითელრაზმელებთან ერთად 4 დეკემბერს დაესხნენ სამაზრო სასამართლოს, სახელმწიფო ხაზინას და ჩაფრების პოსტს დაბა ყვირილაში. განაიარაღეს ჩაფრები და გაიტაცეს დიდძალი იარაღი, ვენახები, ფული და სხვა ქონება. იმავე დღეს ისინი დაესხნენ თავს საპატიმროს, განაიარაღეს ჩაფრები და გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები. 30 დეკემბერს წითელრაზმელები შეტევაზე გადავიდნენ ყვირილაში და ბელაგორში განლაგებული ტენგინის პოლკის მე-11 და მე-12 ასეულების წინააღმდეგ. ხანმოკლე და სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს ისინი, ჯარისკაცებსა და ოფიცრებს აჰყარეს იარაღი, დაპატიმრეს და ბადრაგით გაგზავნეს ჭიათურაში, სახელდახელოდ მოწყობილ ტყვეთა ბანაკში.

ყვირილა-ბელაგორის საბრძოლო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: ოზურგეთის, სენაკის, ქუთაისის, გორის წითელრაზმელებმა, რომლებიც ამ მძიმე დღეებში ჩამოვიდნენ ყვირილაში, შეუერთდნენ შორაპნის მაზრის წითელრაზმელებს და მათთან ერთად მიიღეს მონაწილეობა ტენგინის პოლკის ასეულებთან შეჯახებაში.

ამრიგად, 1905 წლის ბოლოსათვის, როგორც შორაპნის, ასევე მთელი დასავლეთ საქართველოს, ე. ი. ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრა აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა. „ქუთაისის გუბერნია ფაქტიურად რევოლუციონერების ხელშია, — იუწყებოდა მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, — თუმცა ფოთში, ოზურგეთში და ქუთაისში გარნიზონები დგას, მაგრამ ისინი არ არიან საკმარისი, რომ აღადგინონ ხელისუფლება და უზრუნველყონ რკინიგზის ხაზის დაცვა[17].“

ვ. ი. ლენინმა, რომელიც განუწყვეტლივ ადევნებდა თვალყურს საქართველოში მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებს, სტატიაში „რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა და მუშათა პარტიის ტაქტიკა“ მაღალი შეფასება მისცა საქართველოს მშრომელთა შეიარაღებულ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ლენინი კავკასიის და კერძოდ საქართველოს მიაკუთვნებდა ისეთ მოწინავე მხარეთა რიცხვს, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული[18].

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენდა, როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც დამარცხებით დამთავრდა.

ლენინი 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას რუსეთის პირველი რევოლუციის უდიდეს რევოლუციურ მონაპოვრად თვლიდა, იქვე მიუთითებდა აჯანყების სუსტ მხარეებზე და სტატიაში „მოსკოვის აჯანყების გაკვეთილები“ მიუთითებდა: რევოლუციური ორგანიზაციები დეკემბრის აჯანყების დღეებში მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ აჯანყებისათვის, ისინი ფაქტიურად ჩამორჩნენ მოძრაობის ზრდისა და გაქანებისაგან, „ბრძოლის ობიექტური პირობების შეცვლა, რამაც მოითხოვა აჯანყებაზე გადასვლა პროლეტარიატმა უფრო ადრე იგრძო, ვიდრე მისმა ხელმძღვანელებმა“, სუსტად იყო მოწყობილი ბრძოლა

მოსკოვის სამხედრო გარნიზონის მერყევი ნაწილების აჯანყების მხარეზე გადაყვანისათვის, აჯანყების დღეებში თავდასხმის ნაცვლად გამოყენებული იყო თავდაცვის არასწორი ტაქტიკა, აჯანყებულებს აკლდათ იარაღი, არასაკმაო რაოდენობით იყო შექმნილი და გაწვრთნილი წითელი რაზმები, აჯანყება მიმდინარეობდა დაქსაქსულად და არა ორგანიზებულად.[19].

მენშევიკ-ოპორტუნისტები, რომლებიც საერთოდ უარყოფდნენ ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ბოლშევიკურ ტაქტიკას, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ დეუყოვნებლივ გამოვიდნენ ბოლშევიკების კრიტიკით. ისინი მიუტევებელ შეცდომათ სთვლიდნენ დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას და პლეხანოვის პირით განაცხადეს — „ხელი არ უნდა მოგვეკიდათ იარაღისათვისო“. პლეხანოვისა და საერთოდ რუსი მენშევიკების აზრს უსიტყვოდ იზიარებდნენ ქართველი მენშევიკებიც. მათი ერთ-ერთი ლიდერი ი. რამიშვილი მოურიდებლად აცხადებდა: „მოსკოვის ამბებმა დაგვიმტკიცეს, რომ პროლეტარისათვის საჭირო არ არის „პულიმიოტების“ და ზარბაზნების წინააღმდეგ წასვლა, რომ მან არ უნდა აიღოს ხელში იარაღი“[20].

ბოლშევიკებმა, ლენინის მეთაურობით, სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს მენშევიკების ოპორტუნისტული შეხედულებები დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შესახებ. „იმაზე ბეცური არა არის რა, — მიუთითებდა ლენინი, — როგორც პლეხანოვის შეხედულება, რომელსაც ყველა ოპორტუნისტმა ჩასჭიდა ხელი: არ უნდა დაგვეწყოთ უდროო გაფიცვა, „ხელი არ უნდა მოგვეკიდათ იარაღისათვისო“. პირიქით, საჭირო იყო უფრო გადაჭრით, ენერგიულად და მეტი შეტევით აგვეღო ხელთ იარაღი, საჭირო იყო გაგვემარტა მასებისათვის, რომ საკმარისი არ იყო მარტოოდენ მშვიდობიანი გაფიცვა, რომ აუცილებელი იყო უშიშარი და ულმობელი შეიარაღებული ბრძოლა... იმის დამალვა, რომ აუცილებელია თავგამოდებული, სისხლისმღვრელი, გამანადგურებელი ომი, როგორც მომავალი გამოსვლის უშუალო ამოცანა, — ეს იქნება საკუთარი თავისა და ხალხის მოტყუება“[21].

ამრიგად, 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლეს წერტილს, წარმოადგენდა დამარცხებით დამთავრდა. აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ დაიწყო რევოლუციის უკან დახევის პერიოდი. ჩაახშო რა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, მეფის ხელისუფლებამ მობილიზაცია უყო მთელ შეიარაღებულ ძალებს: სამხედრო ნაწილებს, კაზაკებს, პოლიციას, ჟანდარმერიას, შავრაზმელებსა და სხვა; შექმნა სპეციალური დამსჯელი ექსპედიციები და სასტიკი რეპრესიებით შეუტია მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, ბოლშევიკურ პარტიას, რევოლუციის აქტიურ მონაწილეებსა და ხელმძღვანელებს.

## შენიშვნები

1. ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 8, გვ. 114.

2 რსდმპ III რილობის ოქმები, 1937, გვ 135 (რუსულ ენაზე).

3 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 12798, ალწ. 2, საქ. 1517, ფურც. 62-63.

4. შ. გოზალიშვილი, ქართული რვოლუციური მხატვრული ლიტერატურის ისტორიისათვის, თბილისი, 1963, გვ. 34.

5 გაზ. „პროლეტარი“, 1905, № 15.

6 იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შრომები, №1, თბილისი, 1955, გვ. 45.

7. იხ. გ. ხაჭაპურიძე, 1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბილისი, 1955, გვ. 106:

8 იხ. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 12798, ალწ. 2. საქ. 296, ფურც. 67-68.

9. ნ. მახარაძე, ფილიპე მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1958, გვ. 44.

10 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, 1905, № 14.

1 იხ. გაზ. „სხივი“, 1905, № 9

12 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 57, 1955, გვ. 137-138.

13 მარქსიზმ ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 33, საქ. 785, ფურც. 21.

14 გაზ. „პროლეტარი“, 1905, №9.

15 გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, 1905, № 15.

16 გაზ. „სხივი“ 1905, № 6.

17 ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო-ისტორიული არქივი, მთავარი შტაბის ფონდი. ალწ. 5, საქ. 8, ფურც. 306-307. 1905 წ.

18 ვ. ი. ლენინ, თხზ; ტ. 10. გვ. 127.

19 ვ. ი. ლენინი, თხზ: ტ. 11, გვ. 189-193.

20 გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ 1906. № 14.

21 ვ. ი. ლენინი, თხზ; ტ. 11, გვ. 192.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აროკლე კეკელიძე

# ა. წერეთელი და რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია

ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის — აკაკი წერეთლის მრავალფეროვანი, მარად უშრეტი და მდიდარი შემოქმედება შთაგონებულია რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალებით, მებრძოლი პატრიოტიზმითა და კეთილშობილური ჰუმანიზმით. ხალხურობა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, რევოლუციური ბრძოლის პათოსი, ხალხის ძალისადმი ღრმა რწმენა, მებრძოლი ოპტიმიზმი, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ გმირული ბრძოლა, ხალხთა შორის მეგობრობა და ინტერნაციონალური სულისკვეთება წარმოადგენდა დიდი პოეტის მთელი შემოქმედების საფუძველთა საფუძველს, მისი პოეტური გენიის სულსა და გულს.

აკაკი, როგორც დიდი ეროვნული პოეტი, მთელი თავისი შემოქმედებითა და პრაქტიკული მოღვაწეობით სამშობლოს თავისუფლებისა და ხალხის კეთილი მომავლის დიდ საქმეს ემსახურებოდა. მისი პოეტური ხილვა შთაგონებული იყო ქართველი ხალხის გენიით, ღრმა სიბრძნით, სახელოვანი ტრადიციებით, საუკეთესო ფიქრებითა და მისწრაფებებით, მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობითა და ხალხური შემოქმედებით. ამასთან ერთად, მასზე დიდ სულიერ ზეგავლენას ახდენდა დიდი რუსი ხალხის რევოლუციური ლიტერატურის პროგრესული იდეალები, მსოფლიო კულტურის საგანძური. აკაკის პოეზიის მთავარი ღირსება, შეიძლება ითქვას, განსხეულებულია მის პატრიოტულსა და სოციალურ ლირიკაში, იმ თავისებურ პათოსში, რაც ხალხს ალაღებდა თავისი ქვეყნის სიყვარულით და განაწყობდა რევოლუციურად. დიდი ილიას სიტყვებით — „იგი ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას, ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. სწორედ ამიტომაც შეიყვარა იგი სრულიად საქართველომ, სწორედ ამიტომაც სცნო ქვეყნის დიდ მოქირნახულედ, საქართველოს ბულბულად, ქართული ლექსის მეტრად და შეარქვა მას „ჩვენი ქვეყნის რჩეული“ (ილია), „პატარა საქართველო“, „ქართველი ხალხის უგვირგვინო მეფე“.

აკაკის შემოქმედებაში სოციალურ პრობლემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. პოეტი ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მწვავე პოლიტიკური და სოციალური საკითხების ხალხის საკეთილდღეოდ გადაწყვეტას. მას ღრმად სწამდა, რომ ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ხალხთა მასების რევოლუციური ბრძოლა ბუნებრივად უკავშირდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ეს უკანასკნელი კი ხელს უწყობდა სოციალური ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის გაჩაღებული სისხლისმღვრელი ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებას. ამით აიხსნება, რომ ა. წერეთლის შემოქმედებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია სოციალური ჩაგვრისაგან ხალხის განთავისუფლების იდეასთან.

აღსანიშნავია, რომ ა. წერეთლის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები, მდიდარი ქართული პროგრესული მწერლობისა და ქართველი ხალხის გმირულ ტრადიციებთან ერთად,

განსაკუთრებით შთაგონებულია დიდი რუსი ხალხის, მისი მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურისა და მოწინავე რევოლუციური ბრძოლების სახელოვანი ტრადიციებით, რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებით. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის გლეხის ოჯახში აღზრდასაც. აქ შესაძლებელია გავავლოთ საინტერესო პარალელი დიდ რევოლუციონერ-დემოკრატ ნ. ჩერნიშევსკისა და აკაკის შორის. ჩერნიშევსკიც დიდ ყურადღებას აქცევდა და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იმ გარემოებას, რომ ბავშვობა ხალხის წიაღში გაატარა: მე მაქვს ჩემი თეორია, რომლის ერთ-ერთი საფუძველია ჩემი პირადი გაცნობა მასის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, ხოლო ამ ნაცნობობის საგრძნობი ნაწილი მე ჯერ კიდევ ბავშვობაში შევიძინეო, — წერდა იგი.

აკაკიმაც ყმა გლეხის ოჯახში ამოიდგა ენა, აიდგა ფეხი და პირველად იქ გაეცნო ხალხის ტანჯულ ცხოვრებას. გლეხის ოჯახში ჩაეყარა საფუძველი მის მორალს, მსოფლშეგრძნებას, იმ სპეტაკ, ჰუმანურ და დემოკრატიულ იდეალებს, ასე უხვად რომ არის დაჯილდოებული ეს ტიტანური ძალის შემოქმედი. აკაკი იმთავითვე დაუკავშირდა მშრომელ მასებს, გაიზიარა ხალხის ჭირ-ვარამი, შეისისხლხორცა მისი შემოქმედება. თვითონ ცოტა მოგვიანებით დიდი სიამოვნებისა და სიამაყის გრძნობით იგონებდა: ,,არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი".

მისი ლირიკა დაუფარავად იმდროინდელი ბოროტების ყველა კვანძის — ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი დიდი პოეტური ძალით გმობდა, ამხელდა, ამათრახებდა ბატონყმურ ჩამორჩენილ ურთიერთობას, ცარიზმს, მეფის მოხელეებს და ხალხს ტირანიის დამხობისაკენ მოუწოდებდა.

პოეტის მართებული დახასიათებით, ბატონყმური წყობილება, ცარიზმი, მემამულურ-ბიუროკრატიული რეჟიმი და მისი მოხელეები ,,საწყალ მუშას ფეხით სრესენ, როგორც ჰიას" და ,,ქურქად მიდის მისი ტყავი". შეძრწუნებული პოეტის სულში აღიძვრის სურვილი დაეხმაროს ბედისაგან დაჩაგრულს, და აკაკიც თავის ძლიერ პოეტურ ხმას მშრომელი მასების სამსახურში აყენებს:

სიმაღ ავიღე კალამი,
ჩანგით მივმართე წერასა
და შევუერთე ჩემი სვეც
გლეხების ბედისწერასა.

ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვისა და სხვა რევოლუციონერ-დემოკრატების მსგავსად, აკაკის ბრძოლის ქვაკუთხედი იყო თვითმპყრობელურ-მემამულური რეჟიმის დამხობისადმი მისწრაფება, რადგან კარგად უწყოდა, რომ ეკონომიური დათმობები სერიოზულ ცვლილებას არ გამოიწვევდა საერთო სოციალურ სისტემაში. ამასთან მას სწამდა ხალხის მომავალი და ეს რწმენა შთააგონებდა დაეწერა აშკარად მებრძოლი ლექსები. მათში იგი აქსოვდა რევოლუციურ პათოსს, ოპტიმიზმს თავისი პუბლიცისტიკური წერილებითაც ამასვე ამტკიცებდა და წერდა, რომ მშრომელთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი იყო ცარიზმის დამხობა.

სავსებით შეიძლება აკაკი წერეთელსაც მივუყენოთ ის შეფასება, რაც ლენინმა ჩერნიშევსკის, როგორც თანამიმდევრულ რევოლუციონერ-დემოკრატს მისცა — როცა აღნიშნა, რომ მის ნაწერებში კლასობრივი ბრძოლის სული ტრიალებსო. აკაკი ჯერ კიდევ 60-იან წლებში მოუწოდებდა მშობელ ქვეყანას:

გაიღვიძე, დროს ნუ კარგავ,
თუ რომ გინდა ნეტარება!..
წინა წავალთ შენი ძენი,
გვსურს ახალ დროს ვუღოთ ბჭენი
და დავსთხიოთ წმინდა სისხლი,
რომ გავბანოთ ძველი სენი!..
მზა ვართ მსხვერპლად შეგვიწირე,
აღდეგ, შემოირტყი წენი! ("სიმღერა")

აკაკის ამ მებრძოლ მიმართვაში გამოკრთის დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. დობროლიუბოვის ცნობილი მოწოდება: ,,გაიღვიძე რუსეთო! აჯანყდი, მშობელო ქვეყანავ!" აკაკიც გულმოდგინედ არწმუნებდა ხალხს, რომ მჩაგვრელებთან შეთანხმება არ შეიძლებოდა, აქ საჭირო იყო დაუნდობელი, შეუპოვარი ბრძოლა. რომ თავისუფლების მოპოვება თხოვნითა და მუდარით, ზღაპარია. ,,ვინ ნახა თავისუფლება, ტანჯვით და მოთმინებითო" — უხსნის იგი ხალხს. საჭიროა მტერს თავგანწირულად ვეკვეთოთ:

მტერს მივაგებოთ ფარ-ხმალი,
ყორანს შევსტყორცოთ ისარი,
სხვა შრომა ტყვილა ჩაივლის
მათი წამალი ის არი.
(,,არ გათეთრდება ყორანი")

აკაკის ოპტიმიზმი უსაფუძვლო არაა. მართალია, იგი ჯერჯერობით არაფერს ხედავს სამსაარულოს, მაგრამ გრძნობს, რომ მშრომელი ხალხის წიაღში მწიფდება რაღაც გრანდიოზული, ახალი, საოცარი და იმედოვნებს, რომ განახლების ქარიშხალიც მალე დაიქროლებს. ამ იმედით ფრთაშესხმული უმღერის სამართლიანობის გამარჯვებას:

უსამართლო ძლიერებას
საუკუნო არ აქვს ძალი!..
უძლეველი საბოლოოდ
არის მხოლოდ სამართალი.

მგოსანი მიესალმება ალექსანდრე II მოკვლას ლექსით „გაზაფხული" საგულისხმოა, რომ ეს ლექსი გამოქვეყნდა იმავე გაზეთში, სადაც გამოცხადებული იყო მეფის მოკვლის ცნობა და განცხადებას შავი არშია ჰქონდა შემოვლებული. ამ ლექსის დაბეჭდვის გამო პოეტი ძლივს გადაურჩა ციმბირში გადასახლებას. „გაზაფხული" ქართველი ხალხის მარსელიოზად, თავისუფლების ჰიმნად იქცა.

თვითმპყრობელურ-მემამულური ძალადობის დასამხობად პოეტი მოუწოდებდა სისხლისმღვრელი, გადამწყვეტი ბრძოლისაკენ: ეკალს ძირი ამოვუგდოთ, სისხლით ვღებოთ მთა და ველიო. აკაკი გმობდა მჩაგვრელთან მორიგების ვერაგულ, ოპორტუნისტულ პოლიტიკას. იგი უმღეროდა მტრის განადგურების იდეას, სახალხო ბრძოლის გაჩაღებას. ამიტომ ორლესულ ხანჯალს ასე მიმართავდა:

მიმოციქულე მტრის გულთან,
მიმიძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომ საწერელია,
ჩაერჭვე, როგორც კალამი!
მისი წითელი მელნითა
შემაღებინე ჭაღარა,
იმისი კვნესა იქნება
ჩემთვის დაფი და ნაღარა!

(„ხანჯალს")

ხალხის ძალებში პოეტი მუდამ იყო დარწმუნებული. ამ რწმენით განათებული მისი ლექსებიც მუდამ ინარჩუნებს ხაოცარ სიმტკიცესა და სიცხოველეს.

აკაკი ხოტბას ასხამს აზვირთებულ მაშვრალთა და უქონელთა მრისხანებას, მტარვალთა დამთრგუნველ ძალას:

მაშინ იქუხებს, იელვებს
ხალხთ ძალი მიძინებული
და მეხს დაგატეხს კერპ თავზედ,
წარსულზედ შენანებული;
გაგარონინებს ქვესკნელსა,
გინდ მაღლა იყო ცათამდე
და შეაჩვენებს შენს სახელს
უკუნით უკუნისამდე!

(„გამდიდრებულხარ ბატონო")

როგორც ლექსში „ხანჯალს", ისე „უკანასკნელ ნატვრაშიც" პოეტი სამართლიანი შურისძიების სურვილს გამოთქვამდა:

ის დანაშთენ სიცოცხლეში
არ ნატრობს მეტს აღარასა,
რომ სამშობლოს მტრის სისხლითა
ილებავდეს ჭაღარასა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარი მისწრაფებითა და განწყობილებით შეხვდა აკაკი 1905 წლის რევოლუციას. რევოლუციასთან იგა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მაშინდელმა პირობებმა დააკავშირა. ეს ისტორიული მოვლენები კლასიკური სიზუსტით დაახასიათა ვ. ი. ლენინმა: „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო. შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1. თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2. რაზნოჩინცული ან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული — დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3. პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე" (თხზ. ტ. 20, გვ. 292).

ა. წერეთლის ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობა ძირითადად მიმდინარეობდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ორ უკანასკნელ პერიოდში. პოეტი გატაცებით მიჰყვებოდა რევოლუციური მოძრაობის მეორე თაობას, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან და 1900-იან წლებში მისი მსოფლმხედველობის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მესამე თაობამ, რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის გამოსვლამ სამოქმედო ასპარეზზე. „რევოლუციის წინა ათწლეული, 1895-დან 1904 წლამდე, — წერდა ლენინი, — გვიჩვენებს პროლეტარული მასის უკვე აშკარა გამოსვლებს და შეუჩერებელ ზრდას, საგაფიცვო ბრძოლის ზრდას, სოციალ-დემოკრატიული მუშათა აგიტაციის, ორგანიზაციისა და პარტიის ზრდას. პროლეტარიატის სოციალისტური ავანგარდის კვალდაკვალ მასობრივ ბრძოლაში ებმებოდა, განსაკუთრებით 1902 წლიდან, რევოლუციურ-დემოკრატიული გლეხობაც" (თხზ. ტ. 17, გვ. 130).

1905-1907 წლების რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია იყო. იგი წარმოადგენდა რუსეთის მუშათა და გლეხთა მიერ სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ეტაპს („საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები", 1972, გვ. 182). ბუნებრივია, რომ აკაკი — ეს მებრძოლი პოეტი ამ მოვლენას გულითა და სულით მიესალმებოდა და ასეც მოხდა.

ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის იმპერიაში პროლეტარიატის მიერ გაჩაღებული ბრძოლების ანალოგიურად, მთელ ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში გაძლიერდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა. საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალურ უუფლებობას თან ერთვოდა და ამძაფრებდა ნაციონალური ჩაგვრა, რაც, თავის

მხრივ, აღრმავებდა ხალხთა უკმაყოფილებას და ამაღლებდა მათ მებრძოლ სულისკვეთებას. ეს იწვევდა გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. 1900 წელს მოეწყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშების ძლიერი გაფიცვა. 1902 წელს ბათუმში გაიფიცნენ მანთაშევისა და როტშილდის ქარხნების მუშები, ხოლო 1902 წლის 9 მარტს მოეწყო ბათუმის მუშათა გრანდიოზული პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც 6 ათასი კაცი მონაწილეობდა. ვ. ი. ლენინის შრომაში „გერცენის ხსოვნას" მითითებულია: „ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს" (თხზ. ტ. 18, გვ. 19).

1905 წლის ქარიშხლის გრიალმა დიდი პოეტის სული და გული შესძრა, ახალი ქროლვითა და რევოლუციური ენერგიით აავსო მისი შემოქმედება. პოეტი გაიტაცა თავისუფლების მოსაპოვებლად გაჩაღებულმა მასობრივმა ბრძოლამ. პოეტის ხილვა მტკიცედ გადაენასკვა მომავალში განთავისუფლებული საქართველოს ზმანებებს. მთელი იმედები ამ ბრძოლაზე დაამყარა და წარსულის დანაკლისის შევსება მთლიანად მომავალს დააკისრა: „მწამს და მოველი, რომ მეცხრამეტე საუკუნის დანაკლისს მეოცე საუკუნე შემივსებს... ამათავითვე მე მეჩურჩულება ოცნება და მომავლის იმედი დღევანდელ ჩემს წყლულს მალამოდ ედება... მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს, თუ მეცხრამეტე საუკუნე მოთმინების საუკუნე იყო, დეე, მეოცე პირდაპირობისა და შეუპოვრობის საუკუნედ გადაიქცეს". აკაკიმაც იგრძნო, რომ მთავარი ძალა ახლის ძიებასა და მოპოვებაში მუშა იყო. ამ საიმედო ძალას ამიტომაც მიმართა:

გამარჯობა ნამდვილ მუშებს-
ვაშა, ვაშა, მომავალსა!
ის ასწორებს დღევანდლობის
გამრუდებულ გზა და კვალსა.
(„საქართველოს დღევანდელი სახე")

ცხრაასიანი წლებიდან ვ. ი. ლენინის მეთაურობით რუსეთის პროლეტარიატმა იერიში მიიტანა ცარიზმის ციხე-სიმაგრეზე. 1905—1907 წლების რევოლუციას წინ უსწრებდა რუსეთში მასების მზარდი აქტივობა. მაგალითად, 1903 წელს სამხრეთ რუსეთის მუშათა საყოველთაო გაფიცვა, მოეწყო. 1904 წელს კიდევ უფრო გაძლიერდა მუშათა გაფიცვები და მღელვარებანი. მოხდა რამდენიმე შეტაკება ჟანდარმერიასა და მუშათა რაზმებს შორის. განსაკუთრებული ორგანიზაციულობით გამოირჩეოდა ბაქოელი მუშათა გაფიცვა 1904 წლის დეკემბერში. ბაქოს პროლეტარიატის გმირულ ბრძოლას აქტიურად შეუერთა თავისი ხმა საქართველოს პროლეტარიატმა: მოეწყო გაფიცვები თბილისში, ბათუმსა და სხვაგან. შეშინებული მთავრობა ათასგვარ ხრიკსა და გამოსავალს მიმართავდა. მათ შორის ე. წ. „პოლიციური სოციალიზმის" ქადაგებას („ზუბატოვშჩინას"), რაც გამოიხატებოდა ვერაგული დაპირებებით ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ამგვარ აგიტაციას — პეტიციებითა და მშვიდობიანი მანიფესტაციებით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ზუბატოვის შემდეგ მუშებში ავრცელებდა ცარიზმის დაქირავებული აგენტი, სისხლიანი მღვდელი გაპონი. ბოლშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ დემაგოგიური და ცრუ-აგიტაციის მხილებისათვის, „პოლიციური სოციალიზმის" ვერაგული არსის გამოსააშკარავებლად. მუშებისადმი მიმართვაში — „პეტერბურგის ყველა მუშისადმი" ბოლშევიკები არწმუნებდნენ ხალხს, რომ ასეთი იაფი გზით — პეტიციის გზით თავისუფლების მოპოვება უტოპია არის, რომ თავისუფლების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით.

აკაკიც გრძნობდა, რომ უმსხვერპლოდ გამარჯვება შეუძლებელი იყო და ბრძოლის გარდუვალობას აღიარებდა. იგი მოუწოდებდა: რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს — განსაცდელი — მტერს მივაგებოთ ფარხმალი, სისხლით ვლებოთ მთა და ველიო, რაც ძალადობით წაიღეს, ვინ დაგვიბრუნებს ნებითაო; და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა რევოლუციურ მღელვარებას და ზოგჯერ წინაც კი უსწრებდა მოვლენებს. როცა იგი უაღრესად ბუნტარულ და რევოლუციურ მოთხოვნებს აყენებს, სწორედ ამ ხანებში ხდება რუსეთსა და საქართველოში მთელს კავკასიაში ძლიერი გამოსვლები. 1905 წლის 3 იანვარს გიგანტური ძალით იფეთქა პუტილოველთა გაფიცვამ, რამაც 8 იანვარს საყოველთაო ხასიათი მიიღო. მუშაობა შეწყდა 585 საწარმოში, 150 ათასი მუშა უარს აცხადებდა ემუშავა კაპიტალისტისათვის. ამ გაფიცვიდან აენთო ხანძარი, რომლის წითელმა შუქმა საქართველოშიც იფეთქა. ამ ხანებში ბოლშევიკები ცდილობდნენ მკაცრი რევოლუციური მიმართულება მიეცათ გამოსვლებს, ხალხთა მთელი ენერგია წარმართონ რევოლუციურ არხებში. ახალი აღმავლობის მიზეზი გახდა „სისხლიანი კვირა". სწორედ ამ დროიდან „სისხლი ნაკადებად იღვრება, ჩაღდება სამოქალაქო ომი თავისუფლებისათვის" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 67).

საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელებიც მტკიცედ დაირაზმნენ თვითმპყრობელური წყობილების დასამსხვრევად, გასანადგურებლად. პოეტი თავიდანვე საქმის კურსში

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და მას არ გასჭირვებია ფეხის აწყობა აჩქარებული წინსვლისათვის, რევოლუციური ქარიშხლისათვის. აკაკი აღტაცებით შეეგება რევოლუციას და მრავალი ლექსი უძღვნა მას („ნატვრა“, „ძირს“, „თქვენი ჭირიმე“, „სიმღერა“, „გაზაფხული“, „ჩემი რწმენა“ და სხვ), დიდმა პოეტმა დროულად განჭვრიტა რევოლუციის მოახლოება, სოციალურ ქარტეხილთა ცისკიდურზე ზეახალი ვარსკვლავი შენიშნა:

ვხედავ ვარსკვლავს შორს, ცისკიდით...
ის არს ჩვენი მომავალი!
მივეგებოთ მას მუშებად,
მოვუმზადოთ გზა და კვალი

(„ჩვენი აწმყო“)

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის დიდი კლასიკოსებიდან, რომლებიც მოესწრნენ რუსეთის პირველ რევოლუციას, აკაკი ყველაზე უფრო აღტაცებით შეეგება ამ სახალხო მოძრაობას, რაც მის ჭეშმარიტად დემოკრატიულ ბუნებაზე მიუთითებს. 1905 წლის დასაწყისშივე პოეტმა უკვე გარკვევით შენიშნა მშრომელი მასების გრანდიოზული მზადება, მათი მტკიცე დარაზმულობა გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყებად:

აწ კმარა ასი წლის ძილი,
ყურს აღარ ვუგდებ ნანასა!
არ მინდა, რომ მეც ჩამოვრჩე
სხვა ხალხსა და ქვეყანასა!
ვტყვი ძველებურ „მზე-შინას“,
შვილებო, მოდით ბანითა,
გინდ ავვიქედონ სარკმელი,
სინათლე მოდის ბანითა...

(„სიმღერა“)

მშრომელთა საბრძოლო სამზადისი მას შთააგონებდა სუსხიანი ზამთრის — თვითმპყრობელურ-მემამულური ტირანიის უეჭველი დაცემისა და ხალხის საოცნებო გაზაფხულის — ძმობისა და თავისუფლების გამარჯვების რწმენას.

1905 წლის 9 იანვრის შემდეგ გაჩაღებულმა ბრძოლებმა აკაკი დაარწმუნა ხალხის სიმართლეში და მასების გამარჯვების გარდუვალობაში. პოეტი ხედავდა, რომ მისი მრავალწლიანი ოცნება რეალური ხდებოდა, ხორცს ისხამდა. ამ გადამწყვეტ ბრძოლებში იგი უდიდეს მნიშვნელობას ახალგაზრდებს ანიჭებდა, რადგან იცოდა, რომ ახალგაზრდობას თვალიც უკეთ უჭრის, ძალაც მეტი მოსდევს და სულისკვეთებაც უფრო რევოლუციური აქვს. პოეტმა მათ, მართლაც, რომ ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა, — „თქვენი ჭირიმე“. ახალთაობასთან სულიერად ახლო მდგარი პოეტი თავის ხილვებში ტოლობის ნიშანს ავლებს ახალგაზრდობასა და რევოლუციურ გამოსვლებს შორის. ახალგაზრდობა თავისი ბუნებით თვით რევოლუციური მოძრაობაა— ფიქრობს იგი:

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!
ვიცინი, აღარ ვსტირი მე!
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!

პირველი რევოლუციის მღელვარება პოეტს ჩვენი ხალხის მდიდარი საბრძოლო ტრადიციების გაგრძელებადაც მიაჩნდა. ძველმა თაობამ დიდი შრომა გასწია უკუღმართი წყობილების დასამხობად, მაგრამ სახელოვანმა წინაპრებმა ბრძოლა გამარჯვებამდე ვერ მიიყვანეს, ძველი შენობა, რომელშიც გამომწყვდეულ ხალხს სული ეხუთება, უნდა დაანგრიოს რევოლუციურმა ახალთაობამ, მის ნაცვლად კი ახალი, თანამედროვეობის შესაფერისი შენობა ააგოს.

1905 წელს გამოქვეყნებულ ლექსში — „ყანა“ კვლავ გარკვევით გამოიხატა პოეტის დამოკიდებულება რევოლუციისადმი. ეს ლექსი მან მიუძღვნა გამოჩენილ პედაგოგსა და მოაზროვნეს იაკობ გოგებაშვილს. ამ მიძღვნას ღრმა აზრი ჰქონდა: პოეტი ამით სამოციანელთა ყურადღებას მიაქცევდა დიდ სახალხო მოძრაობას; ამასთან, აქვე ნაგულისხმევი იყო, რომ ქართული ენისა და კულტურის მოამაგეებს კიდევ უფრო ფართო ასპარეზი გაეხსნებოდათ რევოლუციის შედეგად გათავისუფლებულ სამშობლოში.

რევოლუციური სიტუაცია უმაღლეს წერტილზე ავიდა. ნიადაგი მზადდებოდა რევოლუციური ბრძოლის ხანძრისათვის, რომელიც ნაცარტუტად აქცევდა ბორკილებს, დაამხობდა მონობას, მოსპობდა ჩაგვრას. აკაკის ლექსის სახეთა სისტემაც კიდევ უფრო დიდი ოპტიმიზმით იმსჭვალება „აგერ მუშა მხიარული ნამგალს ლესავს გუგუნითა“, ლექსში უკვე შემოდის და მკვიდრ ადგილს იკავებს შეიარაღებული მუშა. თუ ადრე იხატებოდა საბრალო და საცოდავი მშრომელი, ახლა იგი მებრძოლი და ამაყია. ამრიგად, ლექსის ფაქტურა იგივეა, მაგრამ შეიცვალა განწყობილება. ეს ძვრა სწორედ რევოლუციური სიტუაციის მიერ არის გამოწვეული. ავტორს სჯერა, რომ შრომის ნაყოფი მალე იმის იქნება, „ვინც რომ შრომობს და ვინცა მკის“, ყველაფრის ბატონ-პატრონი გახდება იგი, ვინც „უფრო მხნეა და ჭკვიანი“. ამ მოძრაობასაც წარსულში აქვს ფესვები გადგმული და ამიტომაც მომავალში ნაყოფს იძლევა. ამ ნაყოფის მომწიფებაში მრავალ პროგრესულ თაობას უმოღვაწია და უშრომია.

ანალოგიური შეხედულება განავითარა პოეტმა თავის ლექსში „ნატვრა“, სადაც აღნიშნავდა, თითქმის აღსრულდა რასაც ვნატრობდითო, ხოლო 1905 წლის 24 მარტს დაწერილ ლექსში „გაზაფხული“ აკაკი მოუწოდებდა. „მაშ გა-

ზაფხულს ჩვენც ველოდეთ, წმინდათ მივსცეთ ხელი ხელსა და გავჰკაფოთ ახალი გზა, ავუქციოთ მხარი ძველსაო". რევოლუციის მომზადებაში წინა თაობის მონაწილეობასთან ერთად პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ საქმეში ახალგაზრდობის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

1905 წლის რევოლუციის აპოგეამდე სამი თვით ადრე აკაკიმ საინტერესო წერილები გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში", სადაც მაღალი შეფასება მისცა სახალხო მოძრაობას, რამაც გაკვალა ცხოვრების ახალი გზა, ფასი დასდო შრომას, განსაკუთრებით მას მოსწონს ის, რომ დაფასდა შრომა, მუშას კი სამუშაო მოუპოვეს: „უნდა გამოვტყდეთ და სახალხოდაც აღვიაროთ, რომ ჩვენში აღძრულ მოძრაობას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა: მან გაკვალა ცხოვრების ახალი გზა, დასდვა შრომას ფასი, მუშას მოუპოვა სამუშაო და ეს დავიწყებული ჭეშმარიტება განურჩევლად წოდებისა და სქესისა მოაგონა ყველას... საუკუნის განმავლობაში ჩვენში ნარ-ეკალი ითესებოდა და ცხოვრების წყარო განზრახ შეგუბებული იყო. მართალია, ნაპირებზე, თვალის ასახვევად, ია-ვარდი ითესებოდა და თვით გუბეც შორიდან წმინდად მოჩანდა, მაგრამ მის ძირში გველბაყაყები ცუსცუსებდნენ და შმორის სუნი ჰაერს სწამლავდა. საჭირო იყო მისი გაწმენდა, ამას ესაჭიროებოდა ძალა და ეს ძალაც უნდა ყოფილიყო ხალხში. ეს შეიგნეს ჩვენში და ხალხმა მოინდომა არხის გაყვანა, რომ ის ტუმპო დაწმენდილიყო. ახლადგაყვანილ არხზე ყოველთვის მღვრიე წყალი ამოდის და, მაშასადამე, ცოტაოდნად ჩვენი ცხოვრებაც აიმღვრა. უამისობა არ მოხერხდებოდა, — მსოფლიო კანონია!.. და როცა დაწდება, მერე კი წმინდა ნაკადული იწყებს მდინარეობას. ეს შეიგნო დღეს გამოღვიძებულმა ჩვენმა ხალხმაც (გაზ. „ივერია", 1905 წ. № 186).

აკაკი დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის პირველ რევოლუციას. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ უდიდეს სახალხო მოძრაობას უნდა გადაეწყვიტა როგორც ეროვნული, ისე სოციალური პრობლემები. ამიტომ მუშათა კლასის ბრძოლაში პოეტი ხედავდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან ხალხთა განთავისუფლების იმედს.

აკაკის მხედველობის გარეშე არ რჩება ხალხთა ძმური თანამშრომლობის საკითხი, რაც ახალი შუქით გაანათა რევოლუციამ. ცნობილია, რომ მეფის რუსეთი ხალხთა დანიშნვის ნიადაგი ყოველნაირად ხელს უწყობდა სხვადასხვა ერების ურთიერთ შუღლისა და სიძულვილის გაძლიერებას. ეს მით უფრო სჭირდებოდა მას სწორედ რევოლუციის პერიოდში, რადგან კარგად ხედავდა, რომ სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარიატი მტკიცედ შეკავშირდა ერთი მიზნის მისაღწევად, გაძლიერდა ხალხთა ძმობა და მეგობრობა. პროლეტარიატმა ერთიანი ძალით შეუტია ცარიზმს. კავკასიაში, ხალხის ყურადღების სოციალურ საკითხებისაგან ჩამოშორების მიზნით, ცარიზმმა შესძლო მოსყიდული ბანდების გამოყენებით 1905 წლის 6-7 თებერვალს გამოეწვია მოძმე ხალხთა შორის სისხლიანი შეტაკება. იმავე ხანებში, კერძოდ 22 ნოემბრისათვის, თვითმპყრობელობა ცდილობდა თბილისშიც მოეწყო მსგავსი სისხლიანი პროვოკაცია, მაგრამ მან ვერ გამოიღო ის შედეგი, რასაც ცარიზმი ელოდა. ამის ერთადერთი მიზეზი იყო ის, რომ „ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ახორციელებდნენ ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პოლიტიკას... საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ მშრომელ მასებს, რომლებმაც თვითმპყრობელობის პროვოკაციას გაფიცვებით, მიტინგებითა და დემონსტრაციებით უპასუხეს" (საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 138). აკაკი წერეთელი, როგორც ერთა შორის მეგობრობის მომღერალი, დაუნდობლად იბრძოდა შოვინიზმის წინააღმდეგ და თავის წერილებსა, სიტყვიერ გამოსვლებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ნიღაბს ხდიდა თვითმპყრობელობის ვერაგულ პოლიტიკას და მოუწოდებდა ხალხს სიყვარულის, ერთობისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

აკაკის ეს ინტერნაციონალური შთაგონება წითელ ზოლად მიჰყვება მთელ მის შემოქმედებას ცნობილია, რომ პოეტი სასტიკი მტერი იყო ნაციონალისტურ-შოვინისტური სულისკვეთებისა. იგი წერდა: „შოვინისტობა, ესე იგი სამშობლოს უკუღმართი სიყვარული, როცა იმას ანაცვალებენ სხვების კეთილდღეობასა და ბედნიერებას, საძაგლობაა. ერთი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ". ამ კეთილშობილურ იდეალს დიდი პოეტი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სათუთად და ფაქიზად ინახავდა. მხცოვანი პოეტი კვლავ აღრმავებდა და ახალ სხივმოსილებით ამუქებდა მას. იგი აღვივებდა ხალხში, სხვა ხალხებთან ერთად, რუსი ხალხის დიდ სიყვარულს, მეგობრობისა და ძმობის იდეას. იგი წერდა: „ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობასა და მეგობრობას რუსეთის ერებისან... არის... ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებას, რომელსაც ეწოდება ერთობა, ძმობა, და თანასწორობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმათა შორის შუღლის თესვის საწინააღმდეგოდ აკაკი აქვეყნებს ლექსს „რჩევას“:

ღვთის მადლსა, რა დროს ეს არის:
ძმა ძმაზედ ლესავს ხანჯალსა?!
იღუპებიან ორივე,
არც ლონეს ზოგვენ, არც ძალსა...
გააგდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა!...
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონ-ყმურადა...
შეერთდით, ძმებო, შეერთდით!
ხელი ხელს მიეცთ ძმურადა
და მტერს დაუხვდეთ გარეშეს
თამამად... ვაჟკაცურადა.

1905 წელს გამოქვეყნებულ „მოხუცის გრძნობაში“ პოეტი ხატავს მშრომელთა აუტანელ მდგომარეობას, რითაც მიუთითებს, რომ ამგვარ პირობებში მყოფმა ხალხმა რომ მტერს თავგანწირულად ეკვეთოს, გასაკვირი სრულებითაც არ არის. პოეტს კარგად ესმის, რომ ძველის უარყოფა არ არის მექანიკური პროცესი, რომ ძველი მთლიანად კი არ უნდა უკუვაგდოთ, არამედ იგი უნდა დავძლიოთ; სასარგებლო ტრადიციები გამოვიყენოთ, უსარგებლო, დრომოჭმული და მავნე, დაუნდობლად უკუვაგდოთ; „ჩვენც უნდა დავაგდოთ ძველი, მიხვეულ-მოხვეული გზა და გავიყვანოთ ახალი: უფრო სწორე, პირდაპირი და თამამად გასავლელი“. ამ იდეით შთაგონებული პოეტი გულწრფელად და დიდი იმედით მიესალმა ხალხის რევოლუციურ დარაზმულობას მეფის, ბურჟუაზიისა და მემამულების წინააღმდეგ. იგი 10 ნოემბერს გამოქვეყნებულ ლექსში წერდა:

გამოიღ ჯიძა ხალხმა მძინარმა,
რომ მ იპოვოს თავისუფლება
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის
და აღასრულოს საერთო ნება!..
შრომა ხალხისა შეერთებული
ქალთა ძალია სტიქიონური;
ვე ? შეაჩერებს მას ვერაფერი,
ვინდა ბრძანებაც იყოს მეფური. („ნატვრა“)

1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების სიდიადემ, მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის თავგანწირულმა საბარიკადო ბრძოლებმა კიდევ უფრო განუმტკიცეს პოეტს ხალხის ძალებისადმი ღრმა რწმენა. მან აქაფებულ, აღელვებულ და სტიქიონურ ძალმოსილების მდინარეს შეადარა დიდი სახალხო მოძრაობა:

ხალხიც ასეა — რომ აღელდება
და თავის ქერქში ველარ ეტევა,
ვერ შეაჩერებს, როგორც სტიქიონს,
ველარც ვედრება და ველარც ...
წალეკავს ყველას, რაც ცხოვრებისთვის
არ გამოდგება... უქმი ბარგია
და გადარეცხავს სისხლით მხოლოდ მას,
რაც წარსულიდან აღარ არგია!..
სიყმაწვილიდან მოხუცებამდე
ეს მაწვა გულზე, როგორც რომ ლოდი,
და ხალხის ჩვენში გამოღვიძებას
ერთხელ, ოდესმე, მეც მოველოდი.
(„ჩემი რწმენა“)

1905 წლის რევოლუციური ბრძოლების გაჩაღებამ პოეტს აღუსრულა სანატრელი. მარსელიეზის მსგავსად ჟღერენ მისი სიტყვები:

მადლობა უფალს! მოვიდა წარღვნა,
რომ წალეკოს უსამართლობა
და დაემკვიდროს ამიერიდან
შვება, თანხმობა, ძმობა, ერთობა!
(„ნატვრა“)

რევოლუცია მარტო სიტყვები როდია. ეს არის ბარიკადებზე დაღვრილი სისხლი, ხალხის საუკეთესო შვილთა, თავდადებულ რევოლუციონერთა თავისუფლებისათვის თავგანწირვა, მაგრამ პოეტს ეს სრულებითაც არ აშინებს — ეუენი პოტიეხავით თვალხარბად ეწაფება რევოლუციურ ეპოქის სიდიადეს.

ყოველივე ამის გამო სრულიად ბუნებრივია, რომ პოეტმა გაღმოაკეთა ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი“ და იგი საბარიკადო სიმღერად მიაშველა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს. ამავე წლის 4 დეკემბერს აკაკიმ გამოაქვეყნა ლექსი „ძირს“, რომელიც გაბედულად მოუწოდებდა ხალხს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ:

„ძირს მთავრობავ, უსამართლო!
ველარ ვიტანთ გასაჭირსო“.
ყოველი მხრივ გვძახიან:
„ძირს, მთავრობავ! აწ კი ძირსო!“
ჩვენის სისხლით, ჩვენის ოფლით
უხვად რწყავდი ქვეყნის პირსო.
დღეს ეს აღარ მოხერხდება,
გეუბნებით მიტომ — „ძირსო“.

ეს ლექსი აშკარად გვაგრძნობინებს ეპოქის აჩქარებულ მაჯისცემას, მილიონთა გულების ვაჟკაცურ ძგერასა და ეპოქის აღტაცებულ რიტმს, ხალხის გმირულ ბრძოლას, თვითმპყრობელობის აუცილებელ მსხვრევას:

ბნელს ნათელმა მოაშუქა
და ერთ რამედ ესეც ღირსო!..
ძველი წესი, წყობილება
ბნელს გაჰყვება და შენ — „ძირსო“.
ხალხი იბრძვის!.. ხალხი ჰღელავს,
ველარ ასდებ აწ აღვირსო!..

ყოვლის მხრიდან გვძახიან:
„ძირს მთავრობავ, ძირს და ძირსო-“

რუსეთის პირველი რევოლუცია დამარცხდა. ბევრი რევოლუციურად განწყობილი ადამიანი ციმბირის გზას გაუყენეს, ბევრმაც პოლიტიკური რწმენა გამოიცვალა, ბევრი გასტეხა რეაქციის თარეშმა, ბევრს კი უბრალოდ გული აუცრუვდა ხალხთა გათავისუფლების ამ წმიდათაწმიდა გზაზე. აკაკი წერეთელი კი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი რწმენისა. ნათქვამია: სიცოცხლის ბოლო წლებშიც იმ დროშის ტარის ნაკვალევი გვამჩნევია მკერდზე, რაც ახალგაზრდობასა და მოწიფულობაში გვიტარებიაო. ეს სწორედ აკაკი წერეთელზეა ზედგამოჭრილი, რადგან თავისი ცხოვრების მიწურულშიც კი დიდად აფასებდა რევოლუციასა და რევოლუციურ ქარტეხილებს, საერთოდ. იგი კვლავ დაჯერებული იყო ხალხის მომავალში და კვლავ მოელოდა გამარჯვებას. ადრევე წერდა, რომ თუ ახლა ვერ გავიმარჯვებთ, მისი რწმენა უნდა ჩავინერგოთ გულში და ახალგაზრდებს ცხოვრების გზაზე საგზლად უნდა გავატანოთ, რათა მათ უეჭველად გაიმარჯვონო.

აკაკი რეაქციის მძვინვარების პერიოდშიც წერს რევოლუციურ თხზულებებს. ერთ-ერთ ნაწარმოებში — „რეაქცია“ ჟანდარმების მიერ სახლგადამწვარი გლეხი იოსებ ლაბაძე 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ გაბედულად აცხადებს: ნეტავი კვლავ დაბრუნდებოდეს რევოლუციის წლები, კვლავ ავიწევი წელში და კვლავ ამაყად ვივლი. ახლა კი ვიცი, რომ იმ ცოდვებს არ მაპატიებენ, მაგრამ მაინც იმ გზით ვივლიო. აკაკი გვეუბნება, რომ მშრომელ ხალხში არ ჩამქრალა ნაპერწკალი, საიდანაც აინთება რევოლუციის წითელ-ნარინჯისფერი ხანძარი. შავი რეაქციის წლებში დაწერა პოეტმა „ნამდვილი ამბავი“, სადაც გაბედულად იმაღლებდა ხმას დესპოტთა წინააღმდეგ.

მშრომელთა ღრმა პროტესტი გამოხატა აკაკიმ 1908 წელს დაბეჭდილ ლექსში „გლეხის ჩივილი“. განაწამები გლეხები საქვეყნოდ აცხადებენ:

ცოცხლადვე ჯოჯოხეთში ვართ,
ვემორჩილებით ყველასა,
მარჯვნივ მივდივართ, თუ მარცხნივ,
ვერსად ვპოულობთ შველას,
ზოგს გვაგზავნიდნენ, ზოგს სწვავდნენ,
ზოგს შინვე სჭრიდნენ ყელსაო
და ჩვენი ცოდვა საერთოდ
მოედვა მთა და ველსაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევოლუციის დამარცხებას თან მოჰყვა რენეგატთა და გამყიდველთა სიმრავლე. აკაკი განსაკუთრებული ზიზღით იხსენიებს მათ — ქვეყნის უბედურებით ბედნიერების მომხვეჭელთ:

ამისთანა დროს ვინც განზე დგება
და მით მართალი თავი ჰგონია,
სჩანს, ბუნებითად ეგოისტია,
გული აროდეს არა ჰქონია!..
და ფუი იმას! ვინც არად აგდებს
საერთო ვნების ამდენ სატანჯველს,
სარგებლობს მოძმის უბედურებით
და ის რომ იწვის, მაშინ ითბობს ხელს.

აკაკის არ ახასიათებს მსუბუქი ოპტიმიზმი, უადგილო სიცილ-ხარხარი საერთოდ უცხოა ხალხის მეთაურებისათვის და მით უფრო ითქმის ეს „განთიადის“ ავტორზე, სახალხო მწუხარების დროს გამოსავლის ძიება და მისი ხილვა პოეტს იმედით ალანთებს, ოპტიმიზმს უნერგავს და ეს იმედი მკითხველსაც ალაფრთოვანებს ახალი ბრძოლისათვის:

მაგრამ სულ ასე ხომ არ იქნება?
ერთხელ ის არის გასჭრის სიმართლე,
წარხოცს დღევანდელ უსამართლობას.
შემოაშუქებს ბნელში სინათლე. („ტყვეს“)

რევოლუციის ახალი აღმავლობის პერიოდში პოეტს კიდევ უფრო გაუღრმავდა მომავლის რწმენა. 71 წლის მხცოვანი სიტყვის დიდოსტატი კვლავ ჭაბუკური გატაცებით წერს:

მთელ ქვეყანაზე და კაცთა შორის
იყოს წყეული... ის იყოს კრული
ვისაც არ სწამდეს და არ უნდოდეს:
„ძმობა, ერთობა და სიყვარული“.
(„ძმობა, ერთობა და სიყვარული“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ ავსაჯანიშვილი

# ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის" ხალხური წყაროები

მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის ვაჟა-ფშაველას განსაკუთრებული ადგილი უკავია მშობლიური სიტყვიერების შესწავლის საქმეში. ვაჟა-ფშაველა სიყრმის წლებიდან ეზიარა ხალხურ შემოქმედებას. იგი ხალხური შემოქმედების დიდი მზრუნველი და ქომაგი იყო. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლის საქმეში, რითაც იგი გვერდში ამოუდგა ამ საქმის ერთ-ერთ ენთუზიაზისტს ილია ჭავჭავაძეს.

ვაჟა-ფშაველასათვის ხალხური სიტყვიერება იყო ისტორიული ცნობების მიმწოდებელი, სადაც როგორც სარკეში, ისე ჩანდა ჩვენი წარსული ცხოვრება.

ვაჟა-ფშაველამ თავის კვლევის საგნად მთის მდიდარი და უხვი ხალხური პოეზია აირჩია, რის შესახებაც თავის დროზე გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

ვაჟა-ფშაველას დაკვირვებით ძველი ფშაური პოეზია უმეტეს შემთხვევაში საგმირო ხასიათისაა. ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა თავის გმირებს, სწავლობდა მათ ზნე-ხასიათს და ათასი ფანტასტიკური ამბებითაც ამკობდა მათ, რათა უფრო მოსაწონი და მისაბაძი გაეხადა იგი ყოველმხრივ. ვაჟა-ფშაველა საგმირო პოეზიის წარმოშობას ისტორიული თვალსაზრისით ხსნიდა და წერდა:

„ძველი დრო, როგორც ზევითაცა ვსთქვით, იყო დრო გმირობისა და ვაჟკაცობისა. საგმირო საქმეებით სავსე იყო ძველი ცხოვრება. მაშ რაზე ემღერა ხალხს, თუ არა გმირობაზე? ვაჟკაცობა იყო მაშინ პირველი, თავი და თავი ღირსება კაცისა. სხვა გზით, თუ არა ვაჟკაცობითა და ვაჟკაცის გმირობის წყალობით, თემს ერთი დღე სიცოცხლეც არ შეეძლო, იგი უნდა შემუსრვილიყო და გაწყალებულიყო."[1]

ვაჟა-ფშაველას მიერ შეკრებილი და განხილული ფშაური საგმირო ლექსებიდან უმეტეს შემთხვევაში შექებულია თავის კუთხის ხალხი— ფშაველი გლეხები. ამ ლექსებში გმირი „კაი ყმად" იხსენიება, რომელიც თემის ინტერესებიდან გამოდის და თემს ემსახურება... ასეთ გმირებს თემი აიდეალებს და მისაბაძ ადამიანად სახავს.

ფშაური ხალხური ლექსით, გმირი თავის ღონეს წარამარა არ უნდა ხმარობდეს. იგი მაშინ უნდა გამოიყენოს, როდესაც მისი სამშობლო განსაცდელში ჩავარდება. ამის ნათელსაყოფად ვაჟა-ფშაველას მოჰყავს ერთი სატრფიალო ლექსი, რომელიც ფშაურ პოეზიას საგმიროდ გადაუკეთებია:

„მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი,
ბარად ჩამოველ ვაჭარი...
ძვირად გაგყიდი სიყმეო,
თუ ამიჩნდება ვაჭარი".[2]

ვაჟა-ფშაველა ბრმად, უკრიტიკოდ არ იღებს ხალხურ შემოქმედებას და თვითონვე იძლევა ხალხური ნაწარმოების გამოყენების თეორიას.

„უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალი-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, 1956 წ. გვ. 65-66
[2] ვაჟა-ფშაველა, ტომი VII, გვ. 67.

დან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი არ გამოვა. ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაიხადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება[1].

ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ ისტორიული გარკვევა სერიოზულ დაკვირვებას მოითხოვს. მის გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ისტორიული წყაროს შესწავლას, ისე პოემის კავშირს ხალხურ შემოქმედებასთან.

პოემა „ბახტრიონი“ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებია. ბევრი ქართველი მწერალი ხშირად მიმართავდა ისტორიულ თემებს, მაგრამ მათი დამოკიდებულება ამ თემებისადმი სხვადასხვა იყო.

ერთი მხრივ ისტორიულ თემებს მწერლები მიმართავდნენ იმიტომ, რომ მათთვის ეს წარსული პერიოდი სანუკვარი და საოცნებო ხანა იყო. ეს იდეალური წარსული უპირისპირდება აწმყოს. მეორეს მხრივ წარსულ თემებთან იმიტომ მიდიოდნენ მწერლები, რომ წარსულის მოწინავე ტრადიციები გამოეყენებინათ აწმყოს გარდასაქმნელად.

წარსულში აცოცხლებდნენ გმირებს, თავდადებულ მებრძოლებს და ამით ისტორიულ თემას თანადროულს ხდიდნენ.

ისტორიული თემებიდან ვაჟა-ფშაველა იღებს მას, რაც უფრო ესიტყვება მისდროინდელ საქართველოს მდგომარეობას, სადაც ქართველი ხალხის გმირობა და ვაჟკაცობა ჩანს ერისათვის.

ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“ ეხება კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას, კერძოდ სახალხო აჯანყებას კახეთში 1659 წელს. ამ ისტორიულ ამბავზე მრავალმა ქართველმა მწერალმა დაწერა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები. ასეთია აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, გიორგი ერისთავის ოსური მოთხრობა ანუ „ზარე და ყანიმათ“ და ანტონ ფურცელაძის პოემა „წყალობა“. აჯანყების მოთავე კახეთის გმირები არიან, რომელნიც არც გრიგოლ ორბელიანს ჰყავს დავიწყებული.

ვაჟა-ფშაველამ „ბახტრიონში“ გვიჩვენა ქართველ მთიელთა მონაწილეობა ისტორიულ აჯანყებაში... როგორც ცნობილია, საქართველოს ამ შავბნელ პერიოდში გადაწყდა კახეთში ჩაესახლებინათ თურქმანთა 150000 ოჯახი. შიდა და გარე კახეთის საუკეთესო მიწები მათთვის უნდა დაენაწილებინათ, რომ მომთაბარე ტომები მიწაზე მიეჯაჭვათ.

შაჰ-აბას მეორეს ძალები არ დაუზოგავს თურქმანთა ჩამოსახლებისა და მათი დაცვის ორგანიზაციის მოწყობისათვის. ამ საქმის მოვარება შაჰ-აბასს დაუვალებია [illegible] ყულარაღასისა და სარდალ ალავერდი-ხანისათვის. მასვე დაევალა კახეთში სამი ციხის აგება, რომელსაც უნდა დაეცვა თურქმანები ქართველთა თავდასხმისაგან.

ისახანმა ცნობილი ალავერდის მონასტრის გალავანი ციხე სიმაგრედ გადააქცია და შიგ ყიზილბაშთა დიდი რაზმი ჩააყენა.

ბახტრიონის ციხე, როგორც ჩანს პირველად ალავერდი ხანის ბრძანებით და მისივე ხელმძღვანელობით აშენდა ალაზნის მარცხენა ნაპირზე პატარა სოფელ ბახტრიონში. ციხის სიგრძე ას მეტრს აღემატებოდა, რასაც თავის დროზე დიდი ტრადიციული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი კონტროლს უწევდა კახეთის მთებიდან ჩამომავალ გზებს და ალაზნის წელში ჩამოსახლებულ თურქმანებს უცხო ტომის თავდასხმისაგან იფარავდა.

სახალხო მოძრაობა ყიზილბაშთა წინააღმდეგ მათი ჩამოსახლების დღიდანვე დაიწყო. შეიქმნა პარტიზანული რაზმები მთიელებისაგან, რომლებიც დრო და დრო თავს ესხმოდნენ ყიზილბაშ მცხოვრებლებს.

საისტორიო პოეზიაში დაცული ცნობების მიხედვით ამ მოძრაობის ბედალი ყოფილა ზეზვა გაფრინდაული. როგორც ჩანს შეთქმულების იდეაც სწორედ დაბალ წრეში დაბადებულა, რომელსაც შემდეგ ფეოდალებმაც დაუჭირეს მხარი. აჯანყების ხელმძღვანელობა ითავა ზაალ ერისთავმა. აჯანყების დაწყების შემდეგ მას ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. აჯანყების ხელმძღვანელები და ორგანიზატორები იყვნენ თეიმურაზ პირველის თანამებრძოლები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი. აჯანყებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა: ხევსური ნადირა ხოშარელი და ფშავლები.

სამშობლოს დასაცავად აღდგა არა მარტო მთა, არამედ ქართლ-კახეთიც. არაგვის ლაშქარი ზაალ ერისთავის ვაჟის ზურაბის სარდლობით და ქსნის საერისთავოს ჯარი შალვასა და ელიზბარის მეთაურობით თიანეთის გზით ახმეტაში ჩავიდა. კახეთის ლაშქარი კი ბიძინა ჩოლოყაშვილის მეთაურობით ალავერდს მიუახლოვდა. აჯანყებულებმა ერთდროულად ალავერდის ციხეს და ბახტრიონის ციხეს შეუტიეს.

ქართველებმა დიდი ბრძოლის მიუხედავად ბახტრიონის ციხე აიღეს და შემდეგ გაქცეულ ყიზილბაშებს ალავერდის ციხეში წამოეწიენ. აჯანყებულებმა გაიმარჯვეს და კახეთი გადარჩა გადაშენებას.

შემდეგომში მურთაზ ყული-ხანმა შეძლო აჯანყებულთა გათიშვა და დაქსაქსვა. მან მრავალი ფეოდალი მოიმხრო და შაჰს დაუმორჩილა. აჯანყების ორგანიზატორი ზაალ ერისთავი შაჰის ბრძანებით ვახტანგ მეხუთემ ზაალისავე ძმის-

[1] ვაჟა-ფშაველა, რჩეული, 1953 წელი, გვ. 353.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წულებს მოაკვლევინა (1660 წლის 13 მაისს). ამის შემდეგ აჯანყების სხვა მონაწილენიც იძულებული იყვნენ, რომ შაჰს ხლებოდნენ და პატიება ეთხოვათ მათთვის. ამ პერიოდში შაჰს ეახლა ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები და შეწყალება სთხოვეს, მაგრამ შაჰმა ისინი თურქმანთა იმ ტომს გადასცა, რომლებიც კახელებმა დახოცეს 1659 წელს. გაბრაზებულმა თურქმანებმა ეს გმირები საშინლად აწამეს და ისე დახოცეს. ევროპელ კათოლიკებს ბიძინა ჩოლოყაშვილი ფარულად დაუკრძალავთ. შალვა და ელიზბარის ცხედრები კი მათ ქვრივებს სამშობლოში ჩამოუსვენებიათ და ერისთავთა საგვარეულო მონასტერში სოფელ იკორთაში დაუკრძალავთ.

ზეზვა გაფრინდაულის შესახებ კი ისევ ქართულ ზეპირსიტყვიერებას მიმართავენ. რომლის მიხედვითაც იგი თითქოს აჯანყების დამთავრების შემდეგ პარტიზანულ ბრძოლებს აგრძელებდა კახეთში ყიზილბაშთა წინააღმდეგ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ბრძოლების მონაწილე გმირს ზეზვა გაფრინდაულსაც იგივე ბედი ეწვია, რაც დანარჩენ მოთავეებს. მართალია ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამ ეს სახალხო გმირი თავის ისტორიაში არ შეიყვანა, მაგრამ ხალხმა ზეზვას მრავალი ლექსი უძღვნა, რითაც უკვდავჰყო მისი სახელი.

ვაჟა-ფშაველა თავის პოემა „ბახტრიონის“ ხალხურობის ახსნის დროს წერდა: „ბახტრიონი“ რამ დამაწერინა? რა მასალა მქონდა ხელთა? საიდან წარმოიშვნენ პოემის გმირები? აი რაზე უნდა გესაუბროთ სიმართლით, უნაკლოდ, გადაუჭარბებლად. ხალხური თქმულება დაწვრილებით მასალას არაფერს იძლევა ბახტრიონის აღებაზე. იმ დროის მებრძოლთა სახელებიც კი დაკარგულია გარდა ზეზვასი (თუშია). ზეპირი გადმოცემა ამტკიცებს, რომ ფშავლებისათვის ამ ღვაწლისათვის ნაჩუქარი აქვთ პანკისი, ალვანი და სხვა. ეს ერთი, მეორე სახალხო ლექსები“[1]

ვაჟა-ფშაველა ამავე წერილში ჩამოთვლის მთელ რიგ ხალხურ ლექსებს, რომლებიც გადმოგვცემენ ბახტრიონის გმირების ცხოვრების ერთ მეტად მნიშვნელოვან ისტორიას. ჩამოთვლილი ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს ფშაველ გოგოლაურზე შექმნილი ხალხური ლექსი, რომელიც ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ დაწერამდე ჟურნალ ივერიაში „გამოუქვეყნებია ალ. ყაზბეგს. (1885 წ № 7 გვ 97) ხალხურ ლექსს ეს სახალხო გმირი შემდეგნაირად შეუქია:

„ბიჭი ვარ გოგოლაური,
რას მიცქერ ტარაველშია,
მოძალეს ძალას მივაყრი,
მას ჩავუდგები კვალშია,

ფეხს დავკრავ, გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანშია,
მივიტან ჩვენსა ალამსა,
დავურჭობ ციხის კარშია“.

აღნიშნული ლექსი ვაჟა-ფშაველას ჩაწერილი აქვს ფშავში შეცვლილი ვარიანტით:

წინ-წინ მე გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა.
მე მოვკლავ თარაქამასა
ზედ მივალ ფალავანზედა[1].

პოემა „ბახტრიონის“ წყარო რომ ხალხურია ამას თვითონ მწერლის სიტყვებიც ნათელჰყოფს. ამავე წერილით არც პოემის მიზანდასახულობაა საძიებელი, რასაც ვაჟა-ფშაველა დაუფარავად აცხადებს: „თუ მე ნიჭი მაქვს ჭეშმარიტი შემოქმედებისა, უეჭველად წარსულის თუ აწმყოს აღწერით უნდა რამეს ვამბობდე მომავალზე, თუ არა და ჩემი ნიჭიერება ცარიელი მცნება, უშინაარსო სიტყვები იქნება. ერთმა უსწავლელმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ წაეკითხა, მოსწონებოდა ძალიან და ყელგადაგდებული, თითქოს შეკაზმულ ცხენსა მთხოვდა საჩუქრად, შეხვეწებოდა, შეკითხებოდა: „ვაჟავ, თუ ღმერთი გწამს, ნუ დამიმალავ, სწორადა სთქვი, საქართველოს თავისუფლებას არა გულისხმობ „ბახტრიონში“, რომ ამბობ, „ელირსებათ ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომაო? იქნება ვგულისხმობდე, — ვუპასუხე, „სწორედ საქართველოს თავისუფლებაზეა ნათქვამიო“, ლაიძინა ფშაველმა და ხუთმეტი ათასი მჭერმეტყველი პროფესორი რომ მიგეყვანათ, იმას რწმენას, აზრს ვერ შეუცვლიდნენ.

თუ ჩემს მკითხველებს ამისთანა რამეს აგრძნობინებს ჩემი ნაწერები, საკმარისია. მაშასადამე, საკმარისად წარმოდგენილი მქონია საქართველოს მომავალი ხვე-ბედი... ხოლო თავისუფლება ისეთი მცნებაა, იმას ბევრი კომენტარიები არა სჭირდება“[2].

ხალხურ სიტყვიერებაში ბახტრიონის ციხის აღებაზე დაცულია ისეთი ძვირფასი ცნობები, რაც ისტორიაში დღემდე არ მოიპოვება. აღსანიშნავია ის გარემოება რომ ყველა ამ ეპიზოდზე შექმნილ ხალხურ ლექსს ახასიათებს კუთხური ტენდენცია. ასეთებია თუშური ლექსი „ბახტრიონის აღება თუშთაგან“, ხევსურული „ფშაველ ჯლანბალნიანები“ და სხვა.

როგორც მთის ხალხური პოეზია მოგვითხ-

---

[1] ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, გვ. 332.

[1] იქვე.

[2] ვაჟა-ფშაველა რჩეული, 1953 წ. გვ. 354

რობს თუშებსა და ფშაველებს ძველ დროს ერთმანეთში მტრობა ჰქონიათ. მათ შორის მტრობასა და ლაშქრობაზე არის შექმნილი ერთი ხალხური ლექსი:

დაგვლივნა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
ვიწრო-ვიწრომა ხევ-ხუვმა,
მოკლედ ფშავლების დენამა,
წოწკურაულის ისრისა
უწყალოდ გადმოდენამა,
ნაკვეთაურის ფრანგულმა,
სანათაურის ენამა,
მათურელთ ვაჟებისამა
გორის პირს ჩამოდენამა.[1]

ფშაური ლექსების განხილვის დროს, ვაჟა-ფშაველა სანათას სადაურობის შესახებ იქვე სქოლიოში შენიშნავდა: „ხიზანაშვილს მისგან შეკრებილს „ფშაურს ლექსებში“ აქვს მოხსენებული, რომ სანათაური ყოფილა წოვა-თუშის ქალიო, მაგრამ ეს შეცდომაა. სოფელ ხოშარაში ვიკითხე ამაზედ, რადგანაც ომი იქ მოხდა, და მითხრეს, რომ სანათა ფშაველი ქალი იყოვო: იმას ამ ომში შვილი ვაჟი და მერვე ქმარი მოუკლეს, მაგრამ მაინც მისძახოდა ფშაველებს: გასწყდითო“.[2]

ვაჟა-ფშაველასათვის ხალხური სიტყვიერება მრავალმხრივ იყო საინტერესო. იგი ხალხურ სიტყვიერებაში ჰპოვებდა არა მარტო ესთეტიკურ ტკბობას, არამედ მას უყურებდა, როგორც ისტორიული ცნობების მიმწოდებელს, ხალხის ზნე-ჩვეულების აღმწერს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობაზე პირველ რიგში სერიოზული გავლენა მოახდინა ქართული კულტურის მდიდარმა მონაპოვარმა, როგორც საქართველოს მატერიალური ცხოვრების ამსახველმა იდეურმა წყარომ.

მთის საგმირო საისტორიო პოეზიიდან ყურადღებას იქცევს ქალარა ზეზვა გაფრინდაულის სახე. ვაჟა-ფშაველასაც რამდენიმე ლექსი ჩაუწერია ზეზვა გაფრინდაულის შესახებ. მის მიერ ჩაწერილი ლექსების ციკლიდან ყურადღებას იპყრობს ლექსი „სად არის გაფრინდაული?“ ლექსის შინაარსიდან ირკვევა, რომ ბახტრიონის ციხის აღების დროს პირველად იერიში ყიზილბაშთა რაზმზე მიუტანიათ ფშავლებს, მათ მიხმარებიან ხევსურები და ორშაბათ დილით იერიშით აუღიათ ბახტრიონის ციხე. ამის შესახებ ლექსში ნათქვამია:

სად არის გაფრინდაული?
ხევსურნ კარავსა ჭრიანო,
ლეგ-ლეგა ფშავლის შვილები

---

[1] ვაჟა-ფშაველა, ტ VII, გვ. 49
[2] იქვე. გვ. 49

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალავანს გადმოდიანო:
თუშთ ნაქერლები ცხენები
წყლისა თავს გროვდებიანო.
— ხანია შუაღამისა
პანკისის ჭალა ხანდება,
თუშები თექიანები
გადიან ალაზანზედა:
ორშაბათს თენების ხანსა
ბახტრიონს ციხე შავდება,
კარზე გამოდი სულთანო
ბახტრიონ ცეცხლიანდება.[1]

უფრო ვრცელი ვარიანტი ამ ლექსისა ჩაწერილია მთა თუშეთში სათაურით „გაფრინდაულის ამბავი“. ეს პატრიოტული ლექსი დაწვრილებით აღწერს მთის ხალხის სამზადისს უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ლექსის მიხედვით ზეზვა გაფრინდაული ფშავ-ხევსურეთის სოფლებში დადის და კახეთის გაჭირვების ამბავს აუწყებს. ზეზვამ ამ ბრძოლაში ჩააბა მთელი მთის მაცხოვრებლები ვისაც კი იარაღის ტარების თავი ჰქონდა. ზეზვას შესახებ ლექსში ნათქვამია:

— საით მიდიხარ, ზეზვაო,
ცხენი დაგიბამს კარზედა“ —
— ფშავ-ხევსურეთში საქმე მაქვს,
ჯავრი ვიყარო მტერზედა.
უნდა შევყარო ჯარები
თათრების მუქარაზედა.
აბა ვიაროთ სალარო,
ფშავ-ხევსურეთის გზაზედა, —
ცხენზედ შეჯდება ზეზვაი,
ჩაჩქანი ხურავს თავზედა,
გულუხინძენიც გამოუყვნენ,
ნატარნი ფშავის თემზედა.
გადაივლიან ვაჟკაცნი
ბორბალოს მაღალ მთაზედა.
ლაშარს მივიდნენ თუშები,
ხალხი დგას ხატის კარზედა.
შემოეხვივნენ ფშავლები
თუშებ დაკოცნეს პირზედა.
სუფრაზედ მიიპატიჟეს
შავი ლუდების სმაზედა.
გურგენმა ჭინჭარაულმა
ზეზვას ხელ დაჰკრა მხარზედა;
— დაბერებულხარ თან თეთრი
გამოგრევია თმაზედა —
დასხდნენ და პური შეჭამეს
ლაშარ გიორგის კარზედა.[2]

---

[1] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, 1934 წელი, გვ. 123.
[2] ქს. სიხარულიძე ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956 წ. გვ. 207-208.

ფშაველებმა ზეზვასაგან გაიგეს, რომ კახეთის ველებზე თათრები დათარეშობენ. მათი საძოვრები სავსეა მტრის აქლემებას ქარავნებით. მათი შიშით კაცი გარეთ ვერ გამოსულა მარტო. ზეზვამ დაწვრილებით აუწერა მთიელებს კახეთის მდგომარეობა და თან დახმარებისაკენ მოუწოდა. ფშაველებმა ზეზვას ერთხმად შეჰფიცეს და უთხრეს:

— ჩვენაც კაცნი ვართ ზეზვაო.
ქუდები გვხურავს თავზედა.
ჩვენც სისხლი გვმართებს და-ძმების,
ხმალნი ვალეწეთ თავზედა.
თათრებს კახეთში რა უნდათ,
ქართველთა მიწა-წყალზედა.
ხევსურნიც შეიყრებიან
არდოტის ზევით მთაზედა,
ჩვენ მაცნე გამოგვიგზავნეთ,
თქვენ რომ ლადგებით გზაზედა[1].

ზეზვას მიერ დასახულ საბრძოლო გეგმით ფშავ-ხევსურები თუშების ჯარს უნდა შეერთებოდა პანკისში. ამის შემდეგ, ისინი

გამოესალმნენ ერთურთსა.
ზეზვაიც შეჯდა ცხენზედა.
ლუხუმმა დროშას შემოჰკრა,
მღვომმა დარბაზის კარზედა,
გწყალობდეთ ლაშარის ჯვარი,
ხელ მოგიმართოსთ მტერზედა.

გარდა ზემოთ მოყვანილ ხალხურ ლექსისა ბერი ლუხუმი ზეზვასთან არსად არ არის მოხსენებული .ის ვაჟა–ფშაველას მოწმობით არც ბახტრიონის ბრძოლის მონაწილე ყოფილა. მისი სახელი სრულიად სხვა ბრძოლებს უკავშირდება. იგივე ითქმის სანათასა და სუმელჯის შესახებ, რომლებიც იმ დროს ცხოვრობდნენ, როდესაც ფშავი და ხევსურეთი ერთმანეთს ლაშქრავდა.

ზეზვა გაფრინდაულის შესახებ საინტერესო გადმოცემები და ხალხური ლექსები შეკრიბა ნ. ხიზანაშვილმა. მის მიერ გამოქვეყნებულ ერთერთ ლექსში ზეზვას შესახებ ნათქვამია:

„ხმალს ზვერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოვკალ ამითა,
დიდი ალვანის მინდორი
ავავსე თათრის ძვალითა,
მგელსა დავცვითე კბილები,
ტურას ღოყები ჭამითა“.

ზეზვას სახელს უკავშირდება ის თქმულებები და გადმოცემები, რომლის მიხედვითაც მეფემ ბახტრიონის ციხის აღებისათვის თუშებსა და ფშავ-ხევსურებს აჩუქა პანკისის ხეობა და მატან-მარილისის ადგილები. თქმულების მიხედვით ნაჩუქარი მიწის ფართობი ზეზვას ცხენმა განსაზღვრა, რომელიც ამ დიდი მანძილის შემორბენის დროს მომკვდარა. იმ ადგილს, სადაც ზეზვას ცხენი მომკვდარა წმინდა ადგილად მიიჩნევენ.

როგორც ბოლო დროს ჩაწერილი ლექსებიდან ჩანს, ზეზვა მტერმა მოტყუებით ჩაიგდო ხელში და საშინელი წამებით მოკლა, თუმცა ზეზვამაც დიდი ზიანი მიაყენა მტრის რაზმს... აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილ ერთერთ თუშურ ლექსში ზეზვას დაღუპვის შესახებ ნათქვამია:

ზეზვაო გაფრინდაულო,
ცოტა მოკლეო ენითა,
გაჭირვება რომ შეიქმნეს,
ამოსარჩეო ხელითა.
კარად არ გამოგიყვანონ,
დაგაბალითონ ენითა.
გამოიყვანეს ზეზვაი,
დააბალითეს ენითა.
ცივ გომბორს გადაავლიან
ძუა-შუღებილ ცხენითა.
ქალაქჩი ჩაიყვანიან
დაფა, ზურნითა, ლხენითა.
ჩამოსმენ ქარვასლაშია,
ბაგეთ ილეჭავს კბილითა.
მოდიან თათრის აღლარნი
„ზეზვა გვიჩვენეთ თვალითა“.
„ზეზვა რად გინდათ, ძაღლებო?
მკვდარია თქვენის ხელითა,
უნდა გენახათ ბახტრიონს,
ბრუნავდა ლურჯის ცხენითა
უკან მოგდევდათ ზეზვაი,
გჩხვერევდათ შუბის წვერითა.“[1]

როდესაც ბახტრიონის ციკლის ლექსებზე ლაპარაკობს ვაჟა-ფშაველა იგი გარკვევით მიუთითებს: „ეს ზემორე მოყვანილი ლექსებიც ვილოდი და ხალხური მშრალი თქმულებაც ბახტრიონის აღებისა, რომ ხელში ჩამივარდა „კალმასობა“ (იხ. გვ, 406, 407, 408) წავიკითხე ის ადგილი, სადაც ბერი იოან ხელაშვილი შეჰხვდება ლალისყურისაკენ მიმავალ ორ ფშაველს და გაუბამს მათ საუბარს. ამან მუჯლუგუნი წაჰკრა ჩემ ფანტაზიას, გაათამამა, როგორც უტყუარმა დოკუმენტმა მთიელთა გმირობისამ და გაბედულად ამაღებინა ხელში კალამი“.[2]

იმავე წერილში ვაჟა-ფშაველა წერს: „გმირები პოემისა — ლუხუმი, ხოშარეული, ხუმელჯი, კვირია, სანათა, გარდა ზეზვასი, ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ მიეღოს რაიმე მონაწილეობა ბახტრიონის ბრძოლაში და არც კი არიან თანამედ-

---

[1] აკ. შანიძე, „ხალხური პოეზია“ 1931 წელი, გვ. 328-329.

[2] ვაჟა-ფშაველა, ტ VII, 1956 წელი გვ. 333

როვენი ამ ბრძოლისა, თუმცა კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს—ასეთები არიან ლუხუმი, ხოშარეული, ხოლო სუმელჯი და ხანათა ეკუთვნიან იმ შავბნელ დროს, როცა ფშავლები და თუშები ერთი მეორეს ჰლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა....

ეს ორი გმირი სუმელჯი და ხანათა მე შევუ-რიე „ბახტრიონის" გმირებში; ხანათა რო-გორც ენით, სიტყვით გამამხნევებელი დიაცი და სუმელჯი — კი როგორც თავის ქვეყნისათ-ვის მებრძოლი ვაჟკაცი. კვირია და ლელა არიან საკუთარი ფანტაზიის ნაყოფი. ამათი ხსენება არც ხალხურ ლექსებში და არც ზეპირგად-მოცემაში არსად არ მოიპოვება: დედაკაცს რომ რაიმე როლი ეთამაშნოს ბახტრიონის აღებაში ამაზე არც ლექსები, არც ზეპირგად-მოცემა არავითარ ცნობას არ იძლევა".[1]

ვაჟა-ფშაველამ ხალხური თქმულების საფუ-ძველზე შექმნა პოეტურად სრულყოფილი ლი-ტერატურული ნაწარმოები, რომელშიც ჩაქ-სოვა სამშობლოს სიყვარულის იდეა.

ვაჟა-ფშაველასათვის ხალხური ლექსები და თქმულებები ბახტრიონის შესახებ იყო ის წყარო, რომელსაც ხორცი შეასხა მწერლის პროგ-რესულმა იდეამ. ქართველი მწერლები სამშობ-ლოსათვის თავდადებულ გმირთა ძიებას ხში-რად ისტორიულ წარსულში გადაჰყავდა. ის-ტორიულად ცნობილია, რომ იმერეთს არა-ვითარი მონაწილეობა არ მიუღია ბახტრიო-ნის ბრძოლებში, მაგრამ აკაკი წერე-თელმა თავის „ბაში-აჩუკში" ირანელ ბატო-ნების წინააღმდეგ ქართლ-კახეთი გააერთიანა და მის გათავისუფლებაში იმერეთსაც წილი დაუდო. აქაც მხცოვანი პოეტი ერთიან ეროვ-ნულ დამოუკიდებელ იდეას აყენებდა. ამ მო-მენტით მან ისტორიული თემა უაღრესად აქ-ტუალურ, თანამედროვე თემად აქცია. მან ცნობილი ისტორიული პირების ბიძინა ჩოლო-ყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების გვერდით, ამ შესანიშნავი მოძრაობის ინიცია-ტორად ხალხის წრიდან გამოიყვანა ბაში-აჩუკი.

ვაჟა-ფშაველამ მთის ყოფა და ხასიათი მტკიცედ დაუკავშირა ჩვენი ქვეყნის წარ-სულს, მის აწმყო ვითარებას და ქართველი ხალხის საერთო იდეალებს.

საქართველოს ბარისა და მთის მცხოვრე-ბთა ერთიანობაზე აქამდე ბუნდოვან წარმოდ-გენას ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სრუ-ლიად გარკვეული, ყველასათვის ნათელი და დამარწმუნებელი სახე მიეცა. ვაჟა-ფშაველამ გვიჩვენა, რომ ქართველი მთიელების სულის-კვეთება შერწყმულია საქართველოს სხვა კუ-თხის მცხოვრებთა საბრძოლო იდეალებთან.

ვაჟა-ფშაველას პოეტურმა ნიჭმა წესრიგ-ში მოიყვანა ხალხური მასალა და გადაამუშავა, „საკუთარ სულიერ ქურაში გადაადნო და გა-დაადუღა".

პოემა ბახტრიონი იწყება კვირიასა და სა-ნათას შეხვედრით, კვირიასთან საუბრის დროს ხანათა იგებს, რომ „მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილა მოხდილ ქალადა". თათრების წინააღმდეგ აღდგა მთელი მთა. ინიციატივა ამ ბრძოლაში აიღეს თუშებმა. მაცნეს როლი ობოლ კვირიამ იკისრა. კვირიასა და ხანათას დიალოგიდან ირკვევა, რომ მტრის მარხარი ხელი მთასაც მისწვდომია. ამის შედეგი იყო ის, რომ ფშავში მამაკაცი გამწყდარა, ყველა ბრძოლის ველზე წასულა და მათ მაგიერ ქალს დაუკლავს საკლავი და სანთელიც მას აუნ-თია. კვირიასთან საუბრის დროს ხანათა მტერზე გამარჯვებას უსურვებს თუშებს და მი-მართავს:

> ჰგებ ინებოს ბატონმა,
> გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
> თუ ამას გავიგონებდი,
> არ ვიტირებდი მკვდრებზედა:
> იმავ დღეს, შვილო დედილამ,
> ჰრელს ჩავიცომდი კაბასა,
> არ ვიგლოვებდი იმიერ
> ჩემს ჯულურას და საბასა...[1]

ხანათა არწმუნებს კვირიას, რომ ფშაველი ხალხი თუ მტერს სადმე დაიგულებს აიშლება და მხარს მისცემს თავის მოძმე ხალხს. ვაჟა-ფშაველამ მოლაშქრენი ხანათას პირით შე-ვედრა ლაშარის ჯვარს:

> გვიშველე ლაშარის ჯვარო,
> დაგვჭირდა შენი თავია,
> შენის ფრანგულით აკურთხე
> თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზავია;
> ნუმც დაელუპნოსთ, შენს მადლსა,
> ზღვაში შასული ნავია,
> ჩაუძელ, ლაშარელაო,
> ტანზე შაიბი ხმალია,
> გვიჭირს და გამოგვაყენე
> შეუმუსრავი ძალია"...[2]

ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონში" გა-ნსაკუთრებული სიყვარულით დახატა ამ ბრძო-ლების მონაწილე სახალხო გმირი ზეზვა გა-ფრინდაული. პოემის დასაწყისიდანვე გვა-ცნობს ავტორი მის უკვდავ სახეს, რომელსაც გაუერთიანებია ფშავის ლაშქარი და წასულა საომრად: ზეზვას საბრძოლო მზადება ხალხუ-რი ლექსით შემდეგნაირად არის წარმოდგენი-ლი:

---

1 ვაჟა-ფშაველა, ტ. VII, 1956 წ. გვ. 335.

1 ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1953 წელი, გვ. 130

2 იქვე

„ცხენს გაბანს გაფრინდაული,
გაზრდილსა თივა-ქერზედა,
ძუა-ფაფარსა დავარცხნის,
ნალებს დააკრავს ფეხზედა,
სალარს შეკაზმავს ზეზვაი,
აბჯარს აისხამს ტანზედა.
— სიათ მიდიხარ ზეზვაო,
ცხენი დაგიბამს კარზედა?
— ფშავ-ხევსურეთში საქმე მაქვს,
ჯავრი ვიყარო მტერზედა.
უნდა შევყარო ჯარები,
თათრების მუქარაზედა.
აბა ვიაროთ, სალარო,
ფშავ-ხევსურეთის გზაზედა —
ცხენზე შეჯდება ზეზვაი,
ჩაჩქანი ხურავს თავზედა...!

მეორე ხალხური ლექსით გაფრინდაული ფიქრობს, რომ სულთანს მოტყუებით თავი მოჰკვეთოს და ხალხიც უომრად იხსნას გასაჭირიდან. ამის შესახებ ნათქვამია:

„დავემწყემსები სულთანსა,
როგორც მიმინო მწყერსაო.
თოფს დავკრავ, ხმალსაც შემოვკრავ,
დღეს დავაყენებ ცხელსაო.
თავსაც იქ დავდებ ქალარსა,
ადგილს არ მივსცემ ჩვენსაო“[2]

გათამამებული თათრები მთაში ცხვარს იტაცებდნენ, მშვიდობიან მოსახლეობას არბევდნენ და მოწინააღმდეგეთა თავებს გზის პირას მარგილზე აგებდნენ. ამ ამბით შეწუხებული კვირია სანათას მიმართავს:

„არა სჩანს ხელის შამქცევი,
მტრის ამომყრელი ჯავრისა,
კაცი არ ჩნდება შამყრელი
და წინ გამძღოლი ჯარისა“[3].

ამ კრიტიკულ მომენტში ზეზვა გაფრინდაულის მოწოდება მთიელ ხალხს ღარაზმავს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვაჟა ამ სახალხო გმირს კვირიას პირით ახასიათებს. მას ზეზვა საოცარ კაცად, საოცარ მეომრად ჰყავს წარმოდგენილი:

„დაჯარდნენ თუშნი, რო ნახეს
ქვეყანა ნაოხარია.
პირი ქნეს იმათ წინ უძღვის
ზეზვაი საოცარია.[4]

1. ქს. სიხარულიძე „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956 წ. გვ. 207
2. ვ. კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“ 1934 წ, გვ. 122
3. ვაჟა-ფშაველა, რჩეული, 1953 წ, გვ 129
4. იქვე

მკითხველის თვალწინ იშლება საინტერესო სანახაობა: მთელი მთა „ერთ ფიქრად შეკრული“ ალსდგა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველ მეომრების ლაშქარი ბახტრიონისაკენ დაიძრა, სადაც უნდა მომხდარიყო გადამწყვეტი ბრძოლა. ბახტრიონის ციხის აღებაზე დამოკიდებული იყო კახეთის ბედი. ამ ამოცანის განხორციელება თავს იდო თუშ-ფშავ-ხევსურების ლაშქარმა. ბახტრიონის მისადგომებთან მრავალი ქართველი ვაჟკაცი დაეცა გმირის სიკვდილით, მაგრამ ქართველებმა მტერი საბოლოოდ განდევნეს კახეთიდან. ამ ბრძოლის შესახებ ვაჟა წერს:

„ხუთშაბათს დილა გათენდა,
სისხლისა ნიაღვარია,
ბახტრიონს თათრის შვილებსა
დღე გაუთენდათ მწარია.
გადმოდგა ბორბალოზედა
თავისუფლების მთვარეა.
ალაზნისაკე წავიდა
ურჯულოს სისხლის ღვარია“.

ამ სცენას მოსდევს გამარჯვებულთა ზეიმით დაბრუნება სამშობლოში.

ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონში“ განსაკუთრებით უხვად შემოიყვანა უბრალო ადამიანები, რომლებიც სამშობლოს გაჭირვების დროს მოწოდების სიმაღლეზე დგებიან. ვაჟა-ფშაველა ჩამოთვლის ამ ბრძოლების მონაწილე სახალხო გმირებს და დიდების შარავანდედით მოსავს მათ.

„ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფარია;
დროშები გზას უკურთხებენ
ძლერით აწვდილან ტარია,
როშკით მოდიან ხევსურნი,
უმელჯაურნი ცხრანია,
ალმითა-ბათაკის ძენი,
პინჭარაულნი ძმანია,
გუდანელთ ჩამასძღოლია
ხოშარეული ხარია;
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა,
წინ გაიმძღვარეს ქარია,

პოემაში საქართველოს მტერი პირცეცხლა ვეშაპის სახით კვირიას სიზმარშია წარმოდგენილი. კვირია როგორც თვითონ ამბობს, წარმოშობით ფშაველია, მაგრამ გაჭირვებამ იგი თუშებში მიიყვანა. ოცი წლის მოჯამაგირეობამ იგი იმდენად გატეხა, რომ მნახველს მოხუცებული ეგონებოდა. ვაჟა-ფშაველა სულ რამდენიმე სტრიქონით იძლევა კვირიას დახასიათებას პოემის მესამე თავში.

„უცბად გაისმა ფეხის ხმა,
კაცი გამოჩნდა უცხო რამ,
ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილი,
ერთი ყარიბი, უშნო რამ.
ხანთლისა შუქზე წამოდგა
დატანჯულისა ფერითა,
მხარზე თოფგადაგდებული,
გაბუდებულის წვერითა,
დანჯღრეულ ქარქაშიანი
ხმალი წელს ერტყა წნელითა.
ადვილად საცნობი იყო
კაცი ფშაურის ერითა".

კვირიას მსგავსად დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები არიან: ზეზვა გაფურინდაული, ლუხუმი, ხოშარეული და გივი ხუმელჯი. განსხვავება ამ გმირებს შორის ისაა, რომ კვირია და ლელა თვითონ ვაჟა-ფშაველას ფანტაზიის ნაყოფია, ხოლო დანარჩენი გმირები ნახსენები არიან ხალხური სიტყვიერებაში.

ზეზვამ მთელი თავის ახალგაზრდობა ბრძოლებში გაატარა. მისი ცხენი წელიწადში ორჯერ თუ დადგებოდა სადგომში. დანარჩენ დროს კი ის თავის პატრონთან ერთად ბრძოლის ველზე იყო. ამის შესახებ ვაჟა-ფშაველა ასე გადმოგვცემს:

„ლაშქრობამ ჩამომაბერა,
ძალლუმადურად გდებამა,
სულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ჭუძუს მამსხლიტა დედამა.
ჯერ შენთან, ძმაო ლუხუმო,
რამდენჯერ ვიყავ ომშია...
წელში ორჯელ თუ დაებმის
ჩემი საფერხე გომშია".

ხალხური შემოქმედების საუნჯედან არის აღებული პოემაში გამოყენებული ორი ობოლის ზღაპარი, რომელსაც გველი ტყეში, დაჭრილ ლუხუმს უამბობს. აღნიშნული ზღაპარი ვაჟა-ფშაველასათვის მოუყოლია დიმიტრი ღუდუშაურს. ლუხუმის გმირულმა მოქმედებამ ადამის მოდგმის, მტრის — გველის გულიც კი მოინადირა. ამის შესახებ ვაჟა-ფშაველა წერს:

მთელს ერთს თვეს ასე უვლიდა
ადამის ტომის მტერია,
ბოროტების გზა გაუშვა
კეთილი დაუჭერია
საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლალის მთისასა;
ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა.

ვაჟა-ფშაველა ფშაველი მეომრების გვერდით საპატიო ადგილს უთმობს თუშ ზეზვა გაფურინდაულს. მისი გარეგნული აღწერილობის დროს ვაჟა ნატრობს, რომ საქართველოს არ მოჰკლებოდეს მისთანა გმირები, როგორიც ზეზვა არის.

— თუშჩი ვინ ვარგა, მითხარით,
კაცად ვინ უფრო არია?
—ზეზვაი, ძმაო, ზეზვაი
მომცრო სდგომიყო ტანია.
ისა ყოფილა ვაჟკაცი,
ღირსი წელთ ერტყას ხმალია.
ლომია, უფალსა ვფიცავთ,
სწრაფი, ვით ელვა-ქარია,
ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა
დაზარნიშული ფარია...
თუ გაზრდის, — ფურმა გაზარდოს
აი მისთანა ხარია.

მიუხედავად იმისა, რომ პოემაში ლელა ბაჩილელი მხოლოდ რამოდენიმეჯერ გამოჩნდება, მასზე გარკვეული წარმოდგენა მაინც გვექმნება. იარაღასხმული ქალის გამოჩენა ლაშქარში მოლაშქრეთა გაოცებას იწვევს. მათი საწესო ტრადიციის მიხედვით ქალი უნდა ყოფილიყო შვილების აღმზრდელი და ოჯახის მომვლელი. ლელა არღვევს ამ სათემო ტრადიციას და მიდის ბრძოლის ველზე. იგი საომრად გამზადებულ მთიელებს სთხოვს, თავისი მამის მაგივრად წაიყვანონ საომრად, მაგრამ ლაშქარი მას შინ დაბრუნებას და დაჭრილი მამის მოვლას ურჩევს. ლელას ბრძოლის ველზე წასვლა გამოწვეული იყო საქართველოს საერთო მდგომარეობით, ქართლ-კახეთის დაცვის სურვილით. მისი მისვლის მიზეზი მოლაშქრეთათვის თავდაპირველად თითქოს გაუგებარი იყო. მაშინ ლელამ პირდაპირ მიმართა:

ვერ მიხვდით? პირდაპირ გეტყვით:
თათრებთან ომი მწადიან,
მინდა რო ჯავრი ვიყარო,
ბევრს სამ ავს საქმეს სჩადიან;
იკლებენ საქართველოსა,
მუმბარეზობით დადიან.

ლელა მართალია თავის ხმლის ქნევით ვერავის გააკვირვებს, მაგრამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ძმის სისხლი ახდევინოს მტერს. იგი როგორც ქალი, ლაშქარში არ მიიღეს და ურჩიეს დაჭრილ მამის მოვლა. აცრემლებული ლელა უკან ბრუნდება, მაგრამ შინ მისვლა მაინც არა აქვს გადაწყვეტილი. იგი ამ დროს ეცნობა ობოლ კვირიას და მას დად ეფიცება. კვირია და ლელა შეთანხმდნენ, რომ ბახტრიონის ციხეში შევიდნენ და იქიდან თავის ჯარს გაუღონ ციხის კარი. ისინი ასეც იქცევიან. პირველად მათ გაუღეს თავის მოძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ხალხს ციხის კარი და ამით უზრუნველჰყვეს მათი გამარჯვება მტერზე. ლელა და კვირია ამ ბრძოლაში დაიღუპნენ. გამარჯვების შემდეგ, როდესაც ჩამოთვლიან გმირ მეომრებს პირველ რიგში ასახელებენ კვირიასა და ლელას. წიწოლას კი, რომელმაც ბრძოლის ველი დატოვა, აუგად იხსენიებენ.

ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“ 1892 წელს გამოვიდა. ამის შემდეგ მას მრავალი ვარიანტი გაუჩნდა. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს დღეობით თვით ვაჟას ეს უკვდავი პოემა არის გახალხურებული. ვაჟას პოემის გმირები საბჭოთა მოლექსეების მეხსიერებაშიც ცოცხლდებიან. ერთერთ ასეთ ხალხურ ვარიანტში სანათასა და ლელას შესახებ ნათქვამია:

გოდერძათ ქალი მტრის ხელში
ახადის მთაზე სცრემლავდა:
და ბაჩლელ ლელაის შუბი
ბახტრიონს მტერსა სჩხვერავდა;
ხოშარის გორზე სანათა
შვილთა საფლავზე სცრემლავდა,
ცხოვრების ორომტრიალში
ხალხი ზღვასავით ღელავდა,
მაშინ ამ ფშავის ქვა კუთხეს
ყველა უცქერდა ბნელადა;
ასისინებდნენ მთიელებს
ერთურთის საჭიჭგნელადა,
მაგრამ დროება წინ მიდის
ცხოვრების შესაცვლელადა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ მთის ხალხი ერთ დროს ერთმანეთს ებრძოდა, გარეშე მტრის შემოსევის დროს მაინც ერთმანეთს დახმარების ხელს უწვდიდა. იმის შესახებ ვაჟა-ფშაველა ამბობს:

„ჩემთვის მარტო ის ფაქტი კმაროდა, რომ მთის ხალხი, ხხვადასხვა თემები, რომელნიც ხანდახან ერთმანეთსაც კი ჰლაშქრავდნენ, არ ინდობდნენ, ამჟამად შეიარაღდნენ, ერთსულოვნება გამოიჩინეს და ძმურად მიეშველნენ ბარს გაჭირვების დღეს. განახორციელეს თხოვნა-მუდარა იმავე ხალხური ლექსისა:?

თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშქარი გავაზიაროთ;
ერთმანეთს მხარი ვუჭიროთ,
მტერი კი დავაზიანოთ.[1]

ვაჟა-ფშაველამ ბახტრიონის ბრძოლის ამბები ფშავის ფონზე გაშალა და პოემის წინა პლანზე ფშაველი გმირები წამოწია. თუ რა დიდ როლს ანიჭებს ვაჟა-ფშაველა ფშაველ გმირებს ბახტრიონის ციხის აღებაში, ეს ნათლად ჩანს მის მიერ ხიზანაშვილისადმი გამართულ პოლემიკაში სანათას სადაურობის გამო.

ბახტრიონის ციხეში პირველად ეროვნული დროშის მიტანა, ციხის გალავანზე გადასვლა და ციხის კარის გაღებაც ხალხური ლექსების მიხედვით ზეზვა გაფრინდაულს და გოგოლაურს მიეწერება. ვაჟა-ფშაველამ ამ სახალხო გმირებს გვერდი აუარა და ფშაველი ქალი და კვირია გამოიყვანა ციხის აღების ინიციატორად.

ლუხუმისა და გველის ურთიერთობაც, პოემის დასასრულს ფშავის ბუნების ფონზე იშლება. ხალხური ნაწარმოებით შთაგონებული ვაჟას პოემა პატრიოტული მოტივების შემცველ ქართულ კლასიკურ ნაწარმოებთა ერთი ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც გაშლილია საქართველოს ისტორიულ წარსულის ფონზე.

ვაჟა-ფშაველა თავის შემოქმედებაში ფართო ადგილს უთმობს მთის ფოლკლორს. იგი მთაში მარტო მთას კი არ ხედავს, არამედ მთელ საქართველოს. მთის მასალა მას ახალ სიმაღლეზე აჰყავს. მისთვის მთა მარტო ამოსავალია, რათა დიდი და საყოველთაო მნიშვნელობის საკითხები დასვას.

„პოემა „ბახტრიონში“ ვაჟას სურს ქართველებს წარსულის ლანდებში დაანახოს იდეალი მამულისშვილისა, ადამიანისა, რომელსაც დევიზად გაუხდია აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

[1]. ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956 წ. გვ. 214

[1] ვაჟა-ფშაველა, რჩეული, 1953 წ. გვ. 358.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ჩაკვეტაძე

# ერთხელ კიდევ იშ (შ) სუფიქსიანი ლეჩხუმური ტოპონიმების შესახებ

დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ პლინიუსის, პტოლემაიოსისა და პროკოპი კესარიელის ცნობების განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ — კოლხეთის სამხრეთ და აღმოსავლეთის რაიონებში ძირითადად მეგრელებისა და ლაზების ტომები ცხოვრობდნენ. მართალია, შენიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, — ამ დებულებას ერთგვარად დამაჯერებლობას უკარგავს ის გარემოება, რომ აღნიშნულ ადგილებში, სახელდობრ, იმერეთსა და გურიაში დღეს ქართული ენაა გაბატონებული, მაგრამ იგი იქვე დასძენდა: „ამისდა მიუხედავად ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად კოლხეთის ის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც შეურყეველი რჩება იმიტომ, რომ გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომები უნდა სახლებულიყო; ბევრ სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არადა მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგალითად: მთა ჯიხანჯირი (ჯიხა — ციხე), ჯუმათი, ჭყონგვარი (ჭყონი — მუხა), მდ. ოჩხომური (ო+ჩხომური — თევზი, როგორც ოკალმახე), ოჭილაური (ო+ჭილაური — საჭილაო), ჭყვიში, ჭყვიშაური, ჭანიეთი, მდ. გუბაზეული, მდ. კინტრიში, ონჭეკეთი, ს. ოცხანა, ოცხეთი გურიაში და სხვა. ამგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ მეგრელ-ლაზების ტომებს შეეძლოთ. მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო გურიაში კი არა; ახლა ცხენისწყალი სამეგრელოს აღმოსავლეთის საზღვრად ითვლება; საგეოგრაფიო სახელები კი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ; მაგალითად: სოფ. ჯიხაიში (ჯიხა — ციხე), ჩხენიში, კულაში, ნაჯიხევი (—ნაციხევი). ქუთაისში არქიელის გორას „უქიმერიონს" ეძახიან და ეს სახელი, როგორც პროკოპი კესარიელის ისტორიიდან ჩანს, VI საუკუნეში უკვე ყოფილა; უქიმერიონი უდრის მეგრულს „ოხვამერის"-ს და სალოცავსა ჰნიშნავს. ქუთაისის ჩრდილოეთითაც მდ. რიონის მიდამოებიც ძველად მეგრელებს უნდა სჭეროდათ: იქაც ასეთი საგეოგრაფიო სახელები გვხვდება, როგორც, მაგალითად: ჯიმასვარა (ჯიმა — ძმა), ოფურჩხეთი, ვანჭეიში, ტყვიში, ნაკორალეში, ავერიში, კორენიში, ოკრიბა და სხვა. თვით პლინიუსიც ამბობს: რიონი მეგრელების მიწაზე დიოდაო. საგეოგრაფიო სახელების შესწავლა, მაშასადამე, უეჭველ ჰყოფს, რომ მთელი ეს მიწა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს ტომებს ეკუთვნოდა. ასე იყო, როგორც ჩანს სტრაბონის, პლინიუსისა და პტოლემეოსის თხზულებებიდან, პირველს ორ საუკუნეში. როგორც ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი, ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ-აღმოსავლეთით შიგ შუა გულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილი ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლება

გაქართველებულ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ“.[1]

**ივ. ჯავახიშვილი** არ დაკმაყოფილებულა ზოგადი ვარაუდებით, მან არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე კონკრეტული საზღვრების შესახებაც მიუთითა, იგი დაასკვნიდა:

„...გურიის ახალი მოსახლეობა შეიძლება გაჩენილიყო VI საუკუნის შემდგომ, VII, განსაკუთრებით VII-VIII საუკუნეებში, მაშინ, როცა აღმოსავლეთი საქართველო იბერია არაბთა მძლავრ და მკაცრ ბატონობის ქვეშ იყო და ხალხი აუტანელ მოხარკეობას გაურბოდა. ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირერიცხოვანი მკვიდრნი გაუქართებიათ, მაგრამ თვითონაც შეუთვისებიათ მათგან ბევრი რამ და ნარევ მოსახლეობას შეუქმნია ახალი ენაკილო“.[2]

ეს მოსაზრება შემდგომში ამ საკითხზე (დასავლეთ საქართველოს ქართულენოვანი მოსახლეობის ჩამოყალიბებაზე) კიდევ უფრო დააზუსტა ჯერ ნ. ბერძენიშვილმა, ამ ბოლო დროს კი გ. მელიქიშვილმა. სულ სხვა საკითხია ქართული ენის თავდაპირველი ერთიანობა და, მაშასადამე, ქართველ ტომთა თავდაპირველი განუყოფლობა. ამ საკითხზე ერთხმადაა აღიარებული, რომ ქართული ენა თავდაპირველად საერთო იყო ყველა ქართველი ტომისათვის, შემდგომში ჩამოშორდა მას ჯერ სვანური და მერმე ზანური. სხვათა შორის, პირველი სიტყვა ამ საკითხშიაც ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. იგი ხაზგასმით წერდა:

**„არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ... ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“.[3]**

განსვენებული აკადემიკოსის ხსენებულ მოსაზრებათა იმ ადგილს, სადაც ლეჩხუმის ტოპონიმიკურ მონაცემებზეა საუბარი, შემდგომში პირველად შეეხო აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და დაახლოებით იგივე მოსაზრება გამოთქვა. მისი აზრით, ლეჩხუმის ტოპონიმები — ლვირიში, ზოგიში, ტვიში, სურმუში, ლაილაში, ოყურეში, ნაკურალეში ზანური წარმოშობისაა. საერთოდ, ლეჩხუმის ტოპონიმიკაში სხვადასხვა ეთნიკური ელემენტების ღრმა კვალი შეიმჩნევაო.[4]

ეს საკითხი უფრო ვრცლად განიხილა პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა საგანგებო ნარკვევში — „ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით“.[5]

ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ **იში-ბოლოსართიანი** სახელწოდებები გვხვდება, როგორც მეგრულ, ისევე **სვანურ ტოპონიმიკაში. მ. ჩიქოვანის აზრით,** მეგრულ-ჭანური წარმოშობისა უნდა იყოს სახელები: **ტვიში, ჭყვიში, ლვიში, ბაჭეიში,** ხოლო სვანური — **ქორენიში, ჩანალიში...** იმოწმებს რა მარის ცნობილ დებულებას სიტყვა **ლეჩხუმის** შესახებ, მ. ჩიქოვანი დაასკვნის: ისტორიულად ლეჩხუმი ცხუმარების ანუ ცხუმის, ჩხუმარების სამფლობელო, სვანებისა და მეგრელების გადანაცხოვრი ადგილია. ეს დებულება მრავალი საბუთით დასტურდება, ასეთებია: ენობრივი, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ტოპონიმიკური.

დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვა მკვლევარმა მიხეილ ალავიძემ ნარკვევში — „ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი“.[5] ავტორი წერს: „სვანურმა და ზანურმა ენებმა ღრმა კვალი დააჩნიეს ლეჩხუმურ კილოს. ისტორიული მასალით მტკიცდება, რომ ახლანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე სვანებს და ზანებს უცხოვრიათ“. ავტორი იქვე იმოწმებს ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც ლეჩხუმლებს ძირითადად გამეგრელებულ სვანებად თვლიდა.

ამ **დებულების** კიდევ უფრო დამაჯერებლად **დამტკიცების მიზნით,** იგი სათანადო მასალებს განიხილავს. **იწყებს** თვით სახელწოდება **ლეჩხუმით,** ეხება მეცნიერთა მიერ ამ საკითხში გამოთქმულ მოსაზრებებს და თავის მხრივ ამ სახელწოდების ასეთნაირ ეტიმოლოგიურ წარმოქმნას ვარაუდობს: შეიძლება ლეჩხუმი **სვანური** ლეცხუმ-ლეცხვიმიდან იყოს წარმომდგარი და ეს სახელწოდება რცხილნარს ნიშნავდესო. სხვა დებულებები და საბუთები: **ლეჩხუმში** არსებული სოფლის ლარჩვალის ფონეტიკურად მსგავსი ტოპონიმები მოგვეპოება როგორც სამეგრელოში (სოფ. ლარჩვა), ასევე სვანეთშიაც (ლაჩვა), „ტვიში“ სვანური უნდა იყოს, „ტვს“ „მტვერს“ ნიშნავსო სვანურად. ასევე: „ლვირიში“ ლორლიან ადგილს უნდა ნიშნავდეს, „ლაილაში“ „ლაილადან“ უნდა მოდიოდეს და „ცხვარს“ უნდა ნიშნავდეს, როგორც მას სვანეთის ბევრ სოფელში უწოდებენო. მ. ალავიძის აზრით, ბევრი დანარჩენი გეოგრაფიული სახელის ახსნა მხოლოდ ზანურის მეშვეობით თუ მოხერხდება. მაგალითად, ონტოფო (მდინარეა ქვემო ლეჩხუმში და რიონს ერთვის, „ონტოფა“ კი სოფელია სამეგრელოში), „ზუბი“ (სოფლების სახელებია ლეჩხუმსა და სამეგრელოშიაც). ასევე ზანურ ფორმებადაა მიჩნეული ოსუნელა (საბოსტნე ადგილს ნიშნავს; ნასოფლარს ჰქვია ქვემო ლეჩხუმთან), ოფიჩხეთი, ოფურჩხეთი (სოფელია ქვემო ლეჩხუმში, საფიჩხიას ნიშნავს), ტყიბულის რაიონში მდებარე ოკრიბა (საბატკნე ადგილს ნიშნავს), ოფურეში (საძოვარს ჰქვია ლეჩხუმში)...

ასევე აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს ლეჩხუმი ნასვანარად მიაჩნდა, მაგრამ არ უარჰყოფდა **ზანურის კვალის არსებობასაც.**

ბიბლიოთეკა

ხსენებულ ავტორთაგან საკმაოდ განსხვავებულადაა წარმოდგენილი ეს საკითხი მ. ქალდანის ნაშრომში — „ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა **იშ-შ** სუფიქსის საკითხისათვის“.7

ავტორი მიუთითებს რა იმ გარემოებაზე, რომ ასეთი სუფიქსიანი ქართული ტოპონიმები იმერეთში ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება, ხოლო თვით სამეგრელოში, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით, მხოლოდ თერთმეტია, ესე იგი ლეჩხუმისაზე ერთით ნაკლებიო, სვამს კითხვას და იქვე პასუხობს:

„რით აიხსნება ეს შეუსაბამობა?

ამ შეუსაბამობის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ **იშ-შ ლეჩხუმური გეოგრაფიული სახელების შემოქმედია არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა**“.

ამის ერთ-ერთ დამამტკიცებელ საბუთად მკვლევარს ის გარემოება მიაჩნია, რომ ლეჩხუმის ზოგიერთ ტოპონიმთა ფუძე ცოცხალ სვანურ სიტყვებს ედრება. მაგალითად: „ლახამეილაში“, შესაძლოა იგი „ხამისაგან“ წარმოსდგებოდეს, ეს სიტყვა „ღორს“ ნიშნავსო. ასეთნაირადვეა გააზრებული „წუდილაშიც“. ამ სახელის ფუძეც „წუდ“ (წვდ) სვანურია და მცირედებითიან. მცირე წყაროს ნიშნავსო: ეს სახელი თვით ლეჩხუმშიაც წყაროს ჰქვია საირმესთან ახლოს. ხოლო მისი დარქმევა სხვას არავის შეეძლო, თუ არა სვანურ მოსახლეობასო.

ავტორი სავსებით არ უარჰყოფს იმ გარემოებას, რომ ლეჩხუმის ტოპონიმიკაში მკრთალად მაინც შეიმჩნევა ზანურის კვალი, მაგრამ იგი **იშ**-სუფიქსიან სახელებში კი არა, არამედ **ო**-პრეფიქსებიანშიაო. ხოლო ასეთი სახელები, მ. ჩიქოვანის მოწმობით, ძალზე მცირე, სულ ოთხიაო. ესენია: **ოღრაბაუჩე**, **ოსუნელე**, **ოყალეთი**... ამას ემატება მ. ალავიძის მიერ ჩამოთვლილი რამდენიმე სახელწოდება: **ონტოფო**, ოფიჩხეთი (ოფურჩხეთი), ოკრიბა, ონჭეიში, **ოფურეში**, რომლებიც საკუთრივ ლეჩხუმსა თუ მის მიმდგომ მიდამოებშია. აქედან ავტორი **დაასკვნის**: „სხვა საბუთი ლეჩხუმურ ტოპონიმიკაში, ზანური კვალის დამადასტურებელი **არა ჩანს**“. ამასთან, ავტორის აზრით, „საყურადღებო და ბევრის მთქმელია ისიც, რომ ამ სახელთაგან, როგორც ამას მ. ალავიძე შენიშნავს, **ოკრიბა** ტყიბულის რაიონშია, დანარჩენები ლეჩხუმის სამხრეთ საზღვართან მდებარეობს. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ზანურის გავლენა, რომელიც გარკვეულ ეპოქაში ქვემო იმერეთის მნიშვნელოვან ნაწილზე ვრცელდებოდა, აღწევდა მხოლოდ ლეჩხუმის სამხრეთ საზღვრამდე... ლეჩხუმის ძირითად ტერიტორიაზე კი **იშ (შ)**-სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელთა წარმოქმნის ეპოქაში გავრცელებული იყო სვანური მოსახლეობა და, შესაბამისად, სვანური ენაც“.

კითხვაზე, თუ რა უნდა მოსვლოდა დღევანდელი ლეჩხუმის ტერიტორიაზე მცხოვრებ სვანურ მოსახლეობას, ავტორის პასუხი ასეთია: დღევანდელი მკვიდრი ლეჩხუმელება, რომელთაც აშკარა სვანური გვარები აქვთ, ის, ოდინდელ სვანთა გაქართებული შთამომავლები უნდა იყვნენო. ამასთან დაკავშირებით, იგიც ე. თაყაიშვილის ზემოხსენებულ სიტყვებს იმოწმებს.

ბოლოს ავტორი დაასკვნის:

„ყველაფერი ეს იმის უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ დღევანდელი ლეჩხუმის დიდი ნაწილი მართლაც სვანებით დასახლებული ყოფილა და შემდეგ ეს სვანი მოსახლეობა ქართულად ამეტყველებულა“.

რა შეიძლება ითქვას ამ საკითხთან დაკავშირებით?

სვანთა საცხოვრისი უძველეს ხანაში რომ სამხრეთისაკენაც ყოფილა გავრცელებული, ამ აზრს ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამდა, ხოლო გ. მელიქიშვილმა თავის ბოლოდროინდელ მონოგრაფიაში — „კავკასიის, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“—კიდევ უფრო დასაბუთებულად გამოთქვა ეს აზრი და მან ჰენიოხებიც კი სვანებად მიიჩნია. სათანადო ადგილას მან გ. ქალდანის შეხედულებებიც დაიმოწმა.

მაგრამ, რაც შეეხება ლეჩხუმის ტოპონიმიკაში ზანურის კვალის არსებობის საკითხს, ჩვენი აზრით, ამ დებულებებს დაზუსტება ესაჭიროება.

ჯერ ერთი, კატეგორიულად არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ იშ-სუფიქსიანი ყველა ლეჩხუმური ტოპონიმი მხოლოდ სვანური წარმოშობისა იყოს და არც ერთი არ ატარებდეს ზანურის კვალს. როგორც ავტორის მიერ განხილული მასალებიდან ჩანს, მას ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა განხილვისას და მათი შედარებისას იმერეთ-სამეგრელოს ტოპონიმებთან, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობართან ერთად, ხელთ ჰქონია მ. ჩიქოვანისა და მ. ალავიძის მიერ შეკრებილი საკმაოდ მდიდარი, მაგრამ მაინც არასრული მონაცემები, ხოლო სამეგრელოს ამავე სუფიქსებიანი სახელების გარჩევისას მხოლოდ ამ ცნობარით უსარგებლია — მასში კი მხოლოდ დასახელებული ადგილების სახელწოდებებია.

ჩვენ კიდევ უფრო ხელშესახები მასალები მოგვეპოვება ლეჩხუმურ ტოპონიმებში ზანურის კვალის დასანახავად. არ არის ზუსტი, რომ ო-პრეფიქსებიანი სახელები ლეჩხუმში მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილით ამოიწურებოდეს. ჩვენის მხრივ, მას შეგვიძლია დავუმა-

ტოთ: **ოფორჩხინა** (ყანების სახელია სოფელ **მახურის** მიდამოებში), **ოჩე** (მთის ერთ გავაკებულ **ადგილს** ჰქვია სოფელ ჩქუმის თავზე). თუ აქ **ო** პრეფიქსის როლს არ ასრულებს, მთლიანად შეიძლება იგი ითარგმნოს **კალოდ**. სხვათა შორის, იქვე, ჩქუმის მახლობლად, მთაგორიან სახნავ-სათეს ადგილს „ლანდიში“ ჰქვია.

... თვით ლაილაშის, რომელსაც აშკარა სვანურ სახელად თვლიან, ახლოს მდებარეობს სოფელი **ლუ**, რაც მეგრულად **„ბუს“** ნიშნავს (შდრ **„საბუე“**). **ვფიქრობთ**, აქ უბრალო **ფონეტიკურ დამთხვევასთან** არ უნდა გვქონდეს საქმე, **როგორც** მ. ჩიქოვანი ვარაუდობს: ამ **ლუს** ლაჯანურის გამოლმა ბორცვიდან გასცქერის აშკარად მეგრული **სახელწოდების** მქონე სოფელი **ხოჯი**, რაც მეგრულად **„ხარს“** ნიშნავს. სხვათა შორის, მეტად ნიშანდობლივია ამ სოფლის ახლოს **მცხეთის** არსებობა — თუ ეს ძველი სახელწოდებაა და ისიც **მესხთა** სახელთანაა დაკავშირებული, როგორც ამას დიდი მცხეთის შესახებ ვარაუდობენ, მაშინ აქაც უნდა იყოს საძიებელი ამ უძველეს ქართველ ტომთა კვალი. ყოველ შემთხვევაში, მისი წარმოშობა საგანგებო კვლევას მოითხოვს **და** ლირს კიდეც.

ესენი ლაჯანურის ხეობის ახლო-მახლო მიდამოებშია. ხოლო, ცოტა ქვემოთ, რიონის ხეობაში, მდებარეობს ეთნიკურად უფრო ლეჩხუმური, ხოლო ადმინისტრაციულად რაჭაში შემავალი სოფელი **ჰუვიში**. თუ ამ სოფლის სახელწოდება სვანურის მეშვეობით შეიძლება აიხსნას, მაშინ იგი ვანის რაიონის ამავე სახელწოდების სოფლის ეტიმოლოგიაზეც უნდა გავრცელდეს (თუმცა ამის დაშვებაც არ იქნებოდა პარადოქსული ზემოხსენებულ ისტორიულ მოსაზრებათა გამო). რიონის პირას მდებარეობს ახლა რაჭის სოფელი **ონჭეიში (ვანჭეიში)**, რაც მეგრულად უფრო ჟღერს. ასევე ითქმის ცხენისწყლის ხეობაში განლაგებული ლეჩხუმის მიდამოების ტოპონიმებზედაც. სოფელ **ზუბის** სახელწოდება რომ აშკარად მეგრულია, ამას თვალნათლივ მოწმობს სამეგრელოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ზუსტად ამავე სახელწოდების მქონე სოფლების არსებობა. როგორც ეს განსვენებულმა მეცნიერმა შოთა მესხიამ დაამტკიცა, თვით **ზუგდიდის** ადრინდელი სახელწოდება **ზუბდიდი** ანუ **დიდი ზუბი** ყოფილა.[8] ზანურად მიიჩნევენ, აგრეთვე: სოფელ ზუბიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით შვიდი კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფლის — **ჩქუმის (ჩხომი — თევზი)** სახელწოდებასაც. თუ **ოფურეშს** ზანურად მივიჩნევთ, მაშინ **ოყურეშიც** იმავე რიგს უნდა მივაკუთვნოთ. ასევე ითქმის **ოფიტარაზედაც** და ა. შ.

მართალია ისიც, რომ ამ სახელწოდებათა ავერდით სვანურიც ბევრი გვხვდება. მაგალითად, სოფელ ზუბის კუთვნილი ყანების მახლობლად **ცხაკური** ჰქვია. ძნელი გასარკვევია სვანური „ცხაკვიდან“ (ქორი?) წარმოშობა იგივე თუ იმგვარად, როგორც მეგრული გვარი **ცხაკაია**. სვანური უფრო უნდა იყოს **ოფიტრის** ახლოს მდებარე სოფლის **ლაჭეპიტის** სახელი და ა. შ.

 აი, ასე, ერთიმეორის ახლოსაა განლაგებული ზანური და სვანური წარმოშობის ტოპონიმები, ქართულთან ერთად, ლეჩხუმის ტერიტორიაზე. საგანგებო მეცნიერული შესწავლა გაცილებით მეტად საგულისხმოს წარმოაჩენდა ამ საკითხში.

**მაშასადამე, ჩვენი აზრით**, ადრევე გამოთქმული შეხედულებები, რომ ლეჩხუმის ტოპონიმთა ნაწილი ზანურია, ზოგი — სვანური, მისგან გამომდინარე უცილობელი დასკვნებით ამ მხარის უძველეს ეთნიკურ შემადგენლობაზე, ძირითადად არ იცვლება. კამოსარკვევი რჩება საკითხი, რომელი ელემენტი უსწრებდა აქ — ზანური, თუ სვანური, ან ორივე ერთად ხომ არ იყო წარმოდგენილი?

ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს **აზრი** იმის შესახებ, რომ თანამედროვე **ლეჩხუმის** ტერიტორიაზე მცხოვრები აშკარა **სვანური** გვარების მქონე მოსახლეობა (**ბენდელიანი**, ქომეთიანი, ლიპარტელიანი, კოპალიანი და მრავალი სხვა), თითქოს იმდროინდელი სვანების მოდგმისა იყოს, როდესაც ხსენებული პრეფიქს-სუფიქსიანი სახელები წარმოიქმნა. **სხვას** რომ თავი დავანებოთ, თვით გვარი ლიპარტელიანი აშკარად ლიპარიტიდან უნდა მოდიოდეს, ხოლო ეს სახელი აშკარად არაა წარმართული ხანის. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ შევნიშნოთ: თუმცა იმ რაოდენობით არა, მაგრამ ლეჩხუმში მეგრულ გვარებსაც საკმაოდ შეხვდებით (მანდარია, ჭილვარია, გუგავა — ეს გვარი სვანეთშიაც მეგრულიდან უნდა იყოს შესული, ელიავა და სხვ.). ხომ ცნობილია, რომ იოსელიანი, დევდარიანი, ჟორჟოლიანი და მისთანები აშკარად სვანური წარმომავლობის გვარებია, მაგრამ ამ გვარით მოფენილია იმერეთის, ნაწილობრივ გურიისაც, ბევრი დაბა-სოფელი და ზოგი მათგანი ქართლშიაც დამკვიდრებულა...

მართებულად მიაჩნდა განსვენებულ აკადემიკოსს სიმონ ჯანაშიას, რომ „იანზე“ დაბოლოებული ქართული გვარები ადრეულ ხანებში არა მარტო სვანებისათვის, მეგრელებისთვისაც და იქნებ ქართის ტომებისთვისაც იყო დამახასიათებელი. საჭიროდ მიგვაჩნია საკმაოდ ვრცელი ამონაწერის მოტანა მისი ნაშრომიდან ამ საკითხზე:

„ამ წარმოების გვარების განსაკუთრებული გავრცელება დასავ. საქართველოში, **ყველაზე** მეტად სვანეთთან ახლო მდებარე რაიონებში (მაგ., ლეჩხუმში), ზოგიერთი მათგანის აშკარა წარმომავლობა სვანეთიდან (ყიფიანი,

გელოვანი, ქორქოლიანი, ბერექიანი...), ზოგის კიდევ ნათელი სვანური ეტიმოლოგია (ბერექიანი: — ბერექ. სვან. — რკინა), ისტორიული მოსაზრებები (თავისუფალი მთიელების დაწინაურება სამეფო სამსახურის გზით, კერძოდ, იმერეთის მეფის კარზე, და აზნაურობამდე ამაღლება) ადამიანს აფიქრებინებს, რომ — ან-ონ-ზე დაბოლოებული ყველა გვარი სვანური წარმომავლობისაა. მაგრამ ასეთი დასკვნა არ იქნებოდა სწორი. ჯერ ერთი, ზემოჩამოთვლილ გვარებშიაც არის ისეთები, რომელთა ისტორიასაც ჩვენ კარგად ვიცნობთ (ისინი, ასე ვთქვათ, ჩვენი ისტორიული მხედველობის არეში ჩამოყალიბდნენ[5]) და რომელთა შესახებაც გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მორფოლოგიურად მთლიანად ქართულ ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი. ასეთებია, მაგ. ორბელიანი — ბარათაშვილების ერთი შტოს სახელწოდება; ასეთი ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულია არა უადრეს მე-18 საუკუნისა, წინათ გვარი გაფორმებულია სხვაგვარად (ორბელის ძე, ორბელიშვილი), ბაგრატიონ... გაბაონი. მოცემული გვარსახელის ფორმა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული საკუთრივ ქართველებშიაც, და იგი ფეოდალიზმმა (ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა) ამოაგდო, როდესაც, კერძოდ, ფეოდალური საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. ამის უტყუარი საბუთია არაოფიციალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმარება ამ ფორმისა იმ შემთხვევაში, როცა საგვარეულო მთლიანად, კრებით, კორპორაციად, არის წარმოდგენილი«[9].

ქართველური გვარების ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე ისტორიკოსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ია-ზე დაბოლოებული მეგრული გვარებიც ადრე იან-ზე უნდა ყოფილიყო დაბოლოებული. სანიმუშოდ ავტორი შემდეგ გარემოებაზე მიუთითებს: ისტორიულად ცნობილ გვარებს დადიანს, ლიპარტიანს, რატიანს, ბედიანს და ა. შ. ტრადიციულად მეგრელები ცოცხალ მეტყველებაში ასე წარმოთქვამდნენ ხოლმე: დადია, ლიპარტია, რატია, ბედია... ამ დებულების კიდევ უფრო დამაჯერებლად დასასაბუთებლად ს. ჯანაშია მეგრულ-სვანურ-ლეჩხუმურ გვარებს ასახელებს, რომელთა საერთო წარმომავლობა უეჭველია: მეგრული კუცია, ჩხეტია, და სხვ., სვანურ-ქართული კვიციანი, ჩხეტიანი და სხვ.[10]

როგორც აღვნიშნეთ, აქ დასახელებული ბევრი გვარი — ყიფიანი, ქორქოლიანი, იოსელიანი და მისთანები — საქართველოს მრავალ კუთხეში, ამერეთ-იმერეთშიაც გვხვდება. ეს იმასაც უსვამს ხაზს, რომ მასში ქართველ ტომთა წარმომადგენლების ერთი კუთხიდან მეორეში გადასახლება-გადმოსახლების შორეული თუ გვიანდელი ამბები შეინიშნება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ სვანეთსა თუ ლეჩხუმში არსებული ბევრი საერთო გვარი გვიანდელ ხანებში ჩამოყალიბდა (მაგალითად, ლიპარტელიანი ლიპარიტისაგან, დავითულიანი — დავითის, იოსელიანი — იოსების კნინობითი იოსელასაგან და ასე შემდეგ). ხოლო ლეჩხუმის ტერიტორიაზე სვანური გვარების მქონე მოსახლეობის სიმრავლე უფრო მიგრაციით უნდა აიხსნას, რასაც ხელს უწყობდა ტერიტორიული სიახლოვე. სავსებით გამორიცხული არ არის, რომ აქ უძველესი მოსახლეობის შთამომავლებიც დარჩენილიყვნენ, ვთქვათ კოპალიანი — იქნებ მისი ძირი ღვთაება კოპალადან მოდიოდეს. მსგავსი ვარაუდი ბევრი შეიძლება გამოითქვას...

ყოველივე ამას, ვიმეორებთ, კვლავაც საგანგებო კვლევა სჭირდება. ეს არ იქნებოდა ამაო შრომა — ამით ბევრი რამ შეეძინებოდა ქართველთა წარმომავლობისა და მონათესაობის საკითხებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1960, გვ. 428.

2 იქვე, გვ. 429.

3 იქვე, გვ. 116.

4 გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის პოლევ ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII.

5 ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის შრომები, VII, 1949.

6 ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958.

7 ქართველურ ენათა საკითხები, III, 1963.

8 შოთა მესხია, „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“, ო რ ი ო ნ ი, თბილისი, 1967, გვ. 244-245. ყველა ზემოხსენებული ტოპონიმის ეტიმოლოგია გათვალისწინებული აქვს ზ. ჭუმბურიძეს ახლახან გამოცემულ წიგნში „რა გქვია შენ“.

9 სიმონ ჯანაშია, „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, შრომები, III, 1959, გვ. 37.

10 ს. ჯანაშია, იქვე, გვ. 40-41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საინტერესო მონოგრაფია შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხებზე

შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხები XII საუკუნის საქართველოში დღემდე საგანგებო კვლევის საგანი არ ყოფილა. ამას წინათ როინ მეტრეველის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი XII საუკუნის მთელ სიგრძეზე ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლის პროცესები.[1] რ. მეტრეველი აღებული საკითხის ყოველმხრივ შესასწავლად მხოლოდ XII საუკუნით არ იფარგლება. მისი კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან XIII საუკუნის 20-იან წლებს მოიცავს. აღებული პერიოდი საქართველოს ისტორიაში საინტერესო ეპოქაა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. ამ პერიოდში ადგილი აქვს მთელ რიგ სოციალურ ძვრებს, კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლებს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება უშუალოდ დაკავშირებული იყო შინაკლასობრივი ბრძოლის გაძლიერებასთან. ამდენად, შინაკლასობრივი ბრძოლების ისტორიის შესწავლა შეუძლებელია ქვეყნის გარეპოლიტიკური სამყაროს შესწავლის გარეშე. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა უშუალოდ იყო დაკავშირებული ქვეყნის შიგნით მიმდინარე მთელ რიგ პროცესებთან და მნიშვნელოვანწილად ანელებდა ან აძლიერებდა შინაკლასობრივ ბრძოლას. ამასთანავე, შინაკლასობრივი ბრძოლა უშუალოდ იყო დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებასთან. შინაკლასობრივი ბრძოლის ყოველი კონკრეტული გამოვლინება ქვეყნის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ხელს უწყობდა ან აფერხებდა მის სოციალურ-ეკონომიურ ზრდასაც. ასე რომ, შინაკლასობრივი ბრძოლის კონკრეტული გამოვლინებების საფუძვლიანი შესწავლა, მათი მიმდინარეობის ცალკეული ეტაპების შეჯამება, შედეგების გამოვლინება ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ფაქტორებისა და სხვა მთელი რიგი მომენტების გათვალისწინებით ფრიად საპატიო და საჭირო საქმეა. სწორედ ამ რთული საკითხების შესწავლას, შეჯამებასა და გარკვეულ ეტაპებად გადმოცემას ისახავს მიზნად როინ მეტრეველი თავის მონოგრაფიაში.

ამ უაღრესად საინტერესო პრობლემის გადასაჭრელად რ. მეტრეველს ჩაუტარებია მეტად შრომატევადი და სოლიდური მეცნიერული კვლევა-ძიება. ნაშრომი გარდა შესავლის, დასკვნისა, რუსული და ფრანგული რეზიუმეებისა, შედგება რვა თავისაგან ნაშრომის არქიტექტონიკა აგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შინაკლასობრივი ბრძოლების ცალკეული მნიშვნელოვანი გამოვლინებების მიხედვით.

მონოგრაფიაში თანმიმდევრულად და ამომწურავად არის შესწავლილი შინაკლასობრივი ბრძოლების ისტორია ფეოდალურ საქართველოში გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში, ნაჩვენებია შინაკლასობრივი ბრძოლების გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა, დამოკიდებულება გარეპოლიტიკურ სამყაროსთან და შედეგები. სრულიად ახლებურადაა გაგებული XI-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები, დადგენილია მთელი რიგი მნიშვნელოვანი თარიღები.

საკმაოდ ფართოა მკვლევარის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა. ამა თუ იმ საკითხის კვლევისას ავტორს გამომუშავებული აქვს წყაროთა ავტორების ტენდენციურობა, იგი კრიტიკულად უდგება წყაროებს: სიგელ-გუჯრებს, ალაპებს, ეპიგრაფიკულ თუ არქეოლოგიურ მასალებს. კარგად აქვს მომარჯ-

[1] როინ მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 354.

ვებული სომხური და აღმოსავლური წყაროები. როგორც დოკუმენტური, ასევე ნარატიული წყაროების გაანალიზებისას ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს მთელ რიგ ახალ მომენტებზე, რომლებსაც აქამდე ყურადღება არ ექცეოდა. წყაროების ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე გაკეთებული აქვს არაერთი ორიგინალური დასკვნა. საფუძვლიანადაა მიმოხილული ქართული ისტორიოგრაფიის მონაპოვრები.

ავტორი ყურადღების გარეშე არ ტოვებს თანამედროვე სომხური ისტორიოგრაფიის მიღწევებს. ნაშრომში გათვალისწინებულია როგორც ამიერკავკასიის ისტორიის, ასევე ფეოდალიზმის ზოგადი პრობლემების შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოყენებულია გერმანელი მეცნიერის ფელიქს ჰოლდაკის გამოკვლევა თამარის ხანის საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და სხვა საკითხების შესახებ, რომელიც 1906 წელს დაიბეჭდა ლაიპციგში. გერმანელი მეცნიერის ნაშრომში შეძლებისდაგვარად გადმოცემულია XII საუკუნის საქართველოს კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხები. რ. მეტრეველს საგანგებოდ აქვს გაანალიზებული გერმანელი მეცნიერის ესა თუ ის მოსაზრება და გაკეთებული აქვს სათანადო დასკვნა.

მონოგრაფიაში ყურადღება გამახვილებულია XI საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნაზე, პირველი მეფეების ბრძოლაზე ცალკეული ადგილობრივი დინასტიებისა და მსხვილი ფეოდალების სეპარატისტული მისწრაფებების წინააღმდეგ. XI საუკუნის საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების გადმოცემისას ახლებურადაა შეფასებული გიორგი II მოღვაწეობა. კერძოდ, გიორგი II რეაბილიტაციისას რ. მეტრეველი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ XI საუკუნის 70–80-იანი წლები საქართველოს ისტორიაში ძნელბედობის ხანა იყო. ქვეყნის შიგნით ადგილი ჰქონდა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლებს, ქვეყნის შიგნით არსებულ მძიმე მდგომარეობას დაერთო საგარეო პირობების გაუარესება. ამ პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში დაიწყო თურქ-სელჩუკთა მასიური ჩამოსახლება, ე. წ. „დიდი თურქობა", რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ქვეყნის ისედაც გართულებული პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება.

მანასკერტთან ბიზანტიის დამარცხების შემდეგ საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს ამიერიდან ბიზანტიის ნაცვლად საბოლოოდ დაუმეზობლდა მცირე აზიის სელჩუკთა სახელმწიფო. საქართველოს მეზობლად სელჩუკთა აგრესიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით იქმნებოდა საუკეთესო ბაზა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებზე სელჩუკთა მომთაბარე ნომადური ტომების პერმანენტული შემოსევებისათვის. საქართველო ჭეშმარიტად მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების გათვალისწინების საფუძველზე რ. მეტრეველი ცდილობს გიორგი II მოღვაწეობის ახლებურ შეფასებას. ქვეყნის საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებასთან ერთად ავტორი მნიშვნელოვან ანგარიშს უწევს, და სავსებით მართებულადაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების იმ ნაწილს, სადაც გიორგი II შესახებაა გადმოცემული.

რ. მეტრეველმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ „მატიანე ქართლისაჲს" ავტორი და დავითის ისტორიკოსი სხვადასხვანაირად გადმოგვცემენ გიორგი II მეფობის შესახებ. ამ შემთხვევაში, ავტორის მართებული დაკვირვებით, სხვადასხვა პოზიციებთან გვაქვს საქმე. დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის პოლიტიკური კურსის იდეალიზაციას ეწევა. იგი იმ პოლიტიკური დასის მომხრეა, რომლებმაც დავითის ტახტზე ასვლისთანავე უარჰყვეს გიორგი II პოლიტიკური პროგრამა და დაიწყეს აუცილებელი სახელმწიფოებრივი რეფორმების გატარება. ამიტომაც, ბუნებრივია, დავითის ისტორიკოსიც თავისი მეფის პოლიტიკური პოზიციებიდან აფასებდა მოვლენებს, და ასევე ამ პოზიციებიდან უდგებოდა იგი გიორგი II შეფასების საკითხსაც. ასე რომ, თუ დავითის ისტორიკოსი ერთგვარ ტენდენციურობას იჩენს და გიორგი II საქმიანობის შეფასებაში და ამავე დროს დავითის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების იდეალიზაციით იყო გატაცებული, არ უწევდა ანგარიშს გიორგი II დროს შექმნილ გართულებულ საშინაო და საგარეო მომენტებს, „მატიანე ქართლისაჲს" ავტორი კი უფრო მეტ ობიექტურობას იჩენდა გიორგი II მიმართ. ბუნებრივია, „მატიანე ქართლისაჲს" ავტორისათვის უფრო ნათელი იყო ის საშინაო და საგარეო ვითარება, რომელშიც მოღვაწეობა უხდებოდა გიორგი II. იგი ხომ ბაგრატ IV (1027-1072) და გიორგი II (1072-1089) თანამედროვე იყო.

გიორგი II რეაბილიტაციასთან დაკავშირებით რ. მეტრეველი სრულიად ახლებურად ხსნის XI საუკუნის 80-იან წლებში სელჩუკთა ლაშქართან ერთად გიორგი II მიერ კახეთის ციხეების გარემოცვასა და განსაკუთრებით გიორგი II მიერ ვეჟინის ციხის ალყის მოხსნასა და აფხაზეთში წასვლის საკითხს. აქ შეიძლება ზოგი რამ სადავო იყოს ავტორთან, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ჩვენ სრულიად ორიგინალურად გვეჩვენება რ. მეტრეველის შენიშვნა, რომ „თვით დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე ასვლა გარკვეული ბრძოლის, გიორგი II წინააღმდეგ ძალთა გამოყენებით მოხდა, რაც დიდგვაროვან ფეოდალთა დიდი ჯგუფის ნება-სურვილის (შეიძლება სახელმწიფოს ინტერესებითაც იყო ნაკარნახევი) გამოხატულება იყო" (გვ. 307-308).

ავტორი დავით აღმაშენებელს 1085 წლიდან ნომინალურად გიორგი II თანამმართველად მიიჩნევს. ნაშრომში არაერთი საინტერესო მოვლენის, თარიღის შესახებაა ფართოდ მსჯელობა. მაგალითად, რ. მეტრეველის ვარაუდით, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ თურქ-სელჩუკებს ხარკის გადახდაზე უარი უთხრა არა 1097 წელს, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ 1099 წელს. საამისოდ ავტორს არაერთი საინტერესო და ანგარიშგასაწევი არგუმენტი მოაქვს. ეს თარიღი — 1099 წ. კარგა ხანია უკვე შეტანილია „საქართველოს ისტორიის" საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში.

ამავე, ავტორის საფუძვლიანი მტკიცებით, ზედაზნის ციხის აღება მოხდა 1103 წელს, ამავე წელს გაუქმდა და საქართველოს შემოუერთდა კლდეკარის საერისთავო, ხოლო ბაღვაშთა მამულის გელათის მონასტრისათვის შეწირვის თარიღად რ. მეტრეველი 1106 წელს ვარაუდობს.

სარეცენზიო ნაშრომში სრულიად ორიგინალურად მოჩანს ფართო მსჯელობა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეთა გამოსვლის — ამ მეტად მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ. რ. მეტრეველის მტკიცებით, ხანგრძლივი მტრობა არსებობდა აბულეთისძეთა საგვარეულოსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. მისი აზრით, აბულეთისძეთა პირველი გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ 1085-1089 წლებშია სავარაუდებელი. ამ განდგომის ჟამს „საქართველოს მეფეებს (გიორგი II, დავით აღმაშენებელი) უმარჯვიათ და მოწინააღმდეგე დაუმარცხებიათ, გარკვეულად დაუსჯიათ კიდეც, მაგრამ უკიდურესი ზომები არ მიუღიათ მათ მიმართ" (გვ. 307).

ავტორის ვარაუდით, აბულეთისძეთა მეორე განდგომა დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის აღების შემდეგ, 1103-1104 წლებში მომხდარა. ამ შემთხვევაში განდგომილები შეუპყრიათ და სათანადოდ დაუსჯიათ. ძაგან აბულეთის ძისათვის ყველა პატივი და ღირსება აუყრიათ. რ. მეტრეველის მიერ სათანადოდაა შეფასებული აბულეთისძეთა გამოსვლის ხასიათი და მნიშვნელობა.

ავტორის მიერ მოტანილი ფართო მსჯელობიდან აშკარაა, რომ ცენტრალური ხელისუფლება XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მკაცრად უსწორდებოდა თავის შინაკლასობრივ მტრებს — დიდგვარიან ფეოდალებს და მათთან ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ამ ბრძოლის შედეგებს კი ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ქვეყანა აღმავლობის გზით მიდიოდა.

ახალი, გამწვავებული შინაკლასობრივი ბრძოლით აღინიშნა XII საუკუნის 30-40-იანი წლები. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დემეტრე I და დავით V შორის არსებულ წინააღმდეგობებთან. ამ ბრძოლასთან დაკავშირებით რ. მეტრეველი ყურადღებას ამახვილებს ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, ხაზს უსვამს იმ ღონისძიებებს, რაც დემეტრე I გიორგისათვის ტახტის მემკვიდრის უფლებების მინიჭების მიზნით გაატარა. ავტორი ეყრდნობა დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში მოცემული მემკვიდრეობის მანამდე არსებული ტრადიციული წესის შეცვლის საკითხს. რ. მეტრეველმა არ გაიზიარა ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება ანდერძის ამ ნაწილის ნაყალბევობის შესახებ. მისი ვარაუდით, დავით აღმაშენებელმა ნაწილობრივ შეცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი. დავით აღმაშენებლის ანდერძის გაანალიზებისა და დავითის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენების შესწავლის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ ახლად შემოღებული სამემკვიდრეო წესი უფრო კერძო ხასიათისაა და იგი არ წარმოადგენს საზოგადოდ ტახტის მემკვიდრეთა განსაზღვრის ნორმას.

1154-55 წლებში დავით დემეტრეს ძის გამოსვლის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა ორბელთა ამბოხება გიორგი III დროს — 1177-78 წლებში, როდესაც ივანე ორბელმა დემნა უფლისწულის გამეფებასთან დაკავშირებით ფართო ხასიათის გამოსვლა მოაწყო სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ და არსებითად ხაზი გაუსვა გიორგი III სამეფო ტახტისადმი უფლებების უსაფუძვლობას. მონოგრაფიაში ცალკე თავია მიძღვნილი დემეტრე უფლისწულ — ივანე ორბელის ამბოხების საკითხისადმი. ავტორი ყურადღებას ამახვილებს აჯანყების გამომწვევ მიზეზებზე, აჯანყების მიმდინარეობასა და შედეგებზე. რ. მეტრეველი, ქართული თუ სომხური წყაროების გაანალიზების საფუძველზე, იზიარებს და ამაგრებს იმ მოსაზრებას, რომ ორბელთა აჯანყება 1177 წელს დაიწყო და დამთავრდა 1178 წელს.

ავტორი წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიდის იმ დასკვნამდე, რომ დემნა უფლისწული აჯანყების პასიური მონაწილეა, არსებითად ამ აჯანყებას სათავეში უდგანან ორბელები. ნაშრომში ნათლადაა წარმოდგენილი ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც სამეფო ხელისუფლებამ გაატარა აჯანყე-

ბის ჩახშობის შემდეგ რ. მეტრეველს აჯანყების გამომწვევ ძირითად მიზეზად მიაჩნია ეკონომიურად დაწინაურებული და გაძლიერებული ფეოდალების ბრძოლა პოლიტიკური უფლებების გაფართოებისათვის. დიდგვარიან ფეოდალთა ერთი ჯგუფის გარკვეული მიზნების რეალიზაცია აუცილებელს ხდიდა დემნა უფლისწულის გამეფებაზე ზრუნვას. ამ აჯანყებასთან დაკავშირებით ავტორი აზუსტებს არაერთ საინტერესო საკითხს.

რ. მეტრეველი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და გარკვეულ შეფასებას აძლევს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას. იგი ემხრობა და უფრო აღრმავებს იმ ტრადიციულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ყუთლუ-არსლანი წარმომავლობით დიდგვარიანი კი არაა, არამედ მოქალაქეთა ზედა ფენის წარმომადგენელია. ამასთანავე აჯანყება შეესაბამებოდა, როგორც მოქალაქეთა ზედა ფენის ნება-სურვილებს, ასევე გარკვეულ პირობებში იგი დიდგვარიან ფეოდალთა ინტერესებსაც გამოხატავდა, რამდენადაც მათი მიზანი ერთი იყო — სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა.

ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებული პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა განმკარგულებელი უფლებების ხელში ჩაგდებას და მეფისათვის მხოლოდ აღმასრულებელი ფუნქციების დატოვებას, ვერ განხორციელდა, ვერ მოხერხდა სახელმწიფო ძალა-უფლების მეფესთან გაყოფა. მაგრამ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შედეგი იყო „დარბაზის" უფლებების ერთგვარი გაფორმება და მის შემადგენლობაში მოქალაქეთა ზედა ფენების წარმომადგენლების შეყვანა.

ავტორი საფუძვლიანი არგუმენტაციით ცდილობს გაიზიაროს და განამტკიცოს ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამეფო ხელისუფლების დასუსტება-შეზღუდვად მიჩნეული ფორმულა „ერთნებაობათა და თანადგომათა" სინამდვილეს აღარ შეესაბამებოდა. იგი უფრო სამეფო ხელისუფლების ბრძანებათა ერთსულოვნად მიღებას, ცენტრალურ ხელისუფლებასთან „მათი თანადგომისა" და მეფეთა ბრძანებებისადმი ერთი ნების გამოხატვას ემსახურებოდა. ამასთანავე, იგი ყუთლუ-არსლანის აჯანყების უშუალო შედეგად არ არის მიჩნეული, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს ჰგონია.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იური ანდრიას ძის შემოჭრას საქართველოში თავისი უფლებების რესტავრაციისათვის. საინტერესო მასალების გაანალიზების საფუძველზე ავტორი ნათელს ხდის იური ანდრიას ძის ბრძოლების გარეგნულ მხარეს და ააშკარავებს მისი შემოჭრის ნამდვილ მიზეზებს, რომელიც უფრო ღრმად იყო ფესვგადგმული სოციალურ ურთიერთობაში, კერძოდ, მეფესა და დიდგვარიანებს, აგრეთვე მოქალაქეთა ზედაფენებს შორის არსებულ მწვავე კლასობრივ ბრძოლებში.

რ. მეტრეველი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დიდგვარიანებმა იური ანდრიას ძის სახით თავიანთი გამოსვლების გასამართლებლად ახალი ძალა შემოიყვანეს. ავტორი იური ანდრიას ძის გამოსვლას არ შემოფარგლავს ვიწროდ, მოვლენათა მსვლელობებიდან აშკარა ხდება, რომ მწვავე ბრძოლა ჯერ კიდევ იური ანდრიას ძის ჩამოყვანითა და თამარის სახლობის საკითხის გადაწყვეტით დაიწყო, როდესაც სხვადასხვა დასები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რ. მეტრეველი ასაბუთებს შინაკლასობრივი ბრძოლის ამ ეტაპზე საქართველოდან იური ანდრიას ძის განდევნის ობიექტურ მიზეზებს. იური ანდრიას ძის ქვეყნის ფარგლებიდან განდევნამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა ცენტრიდანული ძალების მომხრე ფეოდალთა და მოქალაქეთა ერთი ნაწილი. ავტორის სამართლიანი მტკიცებით, იური ანდრიას ძის განდევნით, სამეფო ხელისუფლებამ მტკიცე კურსი აიღო ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ. სწორედ ცენტრისკენული ძალების დასუსტების, მოწინააღმდეგეთა უფლებების გაფართოების, იური ანდრიას ძის საქართველოდან განდევნით დაზარალებული ფეოდალების ცენტრალურ ხელისუფლებაზე თავისი გავლენის რესტავრაციას ითვალისწინებდა 1191 წლის აჯანყებაც. ამ საკითხებზე მსჯელობისას რ. მეტრეველი გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებებს აბულ ასანის წარმომავლობის, მისი აღზევებისა თუ სხვა საკითხების შესახებ.

ავტორის მსჯელობის გარეშე არ რჩება საქართველოში ათაბაგობის ინსტიტუტის წარმოშობის საკითხი. მას სავსებით დასაშვებად მიაჩნია ამ ინსტიტუტის ქრონოლოგიურად უფრო ადრე არსებობა, ვიდრე ეს დღეს ჩვენს ისტორიოგრაფიაშია მიღებული. აქვე, რ. მეტრეველი სავსებით მართებულად მიიჩნევს და კიდევ უფრო ავითარებს იმ მოსაზრებას, რომ ათაბაგობის ინსტიტუტი დაუპირისპირდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობას. ათაბაგობის ინსტიტუტის პირველ მატარებლად ავტორს მიაჩნია ივანე ახალციხელი და არა ივანე მხარგრძელი. ათაბაგობის ინსტიტუტის შემოღებით ერთგვარი ბზარი გაუჩნდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას. მისი გამოსწორება XIII საუკუნის 20-იან წლებში სცადა ლაშა-გიორგიმ, მაგრამ მას გართულებულმა საგარეო მოვლენებმა შეუშალეს ხელი, ხვარაზმელებისა თუ მონღოლების შემოსევების სახით.

რ. მეტრეველი ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზე. ეკლესიისა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფოს დამოკიდებულება მწვავე შინაკლასობრივ ბრძოლებში ვლინდებოდა. ეს შინაკლასობრივი ბრძოლები დაუსრულებლივ მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით. დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული საეკლესიო რეფორმების შემდეგ მომდევნო ხანის ხელისუფალნი ასეთ რადიკალურ ღონისძიებებს ვეღარ ახორციელებენ დიდგვაროვანი სასულიერო პირებისა და საერთოდ ეკლესიის მიმართ.

ავტორი ფართოდ მსჯელობს სამეფო ხელისუფლებასთან ეკლესიის დამოკიდებულების საკითხებზე. განხილული აქვს XI-XII საუკუნეებში თუ როგორი ხასიათის ცვლილებებს ჰქონდა ადგილი სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის ურთიერთობაში. ბოლოს ავტორი ასკვნის, რომ „XII საუკუნის საქართველოს სინამდვილეში ეკლესია სახელმწიფოს შემადგენლობაშია განუყოფლად. სამეფო ხელისუფლება ძირითადად ავრცელებს თავის უზენაესობას ეკლესიაზე (მცირე გამონაკლისის გარდა — მხედველობაში გვაქვს XII საუკუნის მეორე ნახევარი, როცა ამ პრინციპიდან გარკვეულ გადახვევას ჰქონდა ადგილი)... საქართველოში გარკვეულ ვითარებაში დაშვებული იყო საეკლესიო-სარწმუნოებრივი რჯულშემწყნარებლობა“ (გვ. 312-313).

მონოგრაფიაში, სავსებით კანონზომიერად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შინაკლასობრივი ბრძოლების გავლენას და როლს ხალხთა მასების მდგომარეობაზე. ხაზგასმულია, რომ მოსახლეობის ფართო ფენები — გლეხები, ხელოსნები, ყმა-ვაჭრები, სოციალურ უღელში იყვნენ გაბმულნი და მძიმე ექსპლოატაციის ობიექტები იყვნენ. შინაკლასობრივი ბრძოლები ძირითადად მაინც მწარმოებელი საზოგადოების კისერზე გადადიოდა. მწარმოებელი საზოგადოების ინტენსიური ექსპლოატაცია აიძულებდა ამ უკანასკნელთ ბრძოლის გარკვეული ფორმებისათვის მიემართათ. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ხალხის ფართო მასების გამოსვლები იმთავითვე განწირული იყო, მაგრამ მას გარკვეული მნიშვნელობა მაინც ჰქონდა. ავტორი სავსებით მართებულად იზიარებს და ავითარებს დებულებას იმის შესახებ, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში შინაკლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მწარმოებელ საზოგადოებაზე გაბატონების მისწრაფება იყო.

ნაშრომში XII საუკუნის საქართველოში მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლები განხილულია მთლიანობაში, კლასიფიცირებული და ცალკეულ ეტაპებადაა დაყოფილი და განხილულია მისი გამომწვევი მიზეზების, ხასიათის, ინტერესებისა და შემადგენლობის თვალსაზრისით. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოს სოციალურ სინამდვილეს მწვავე შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა განსაზღვრავდა.

ნაშრომში არის ზოგიერთი სადავო საკითხიც. მაგალითად, მონოგრაფიის პირველ თავში, სადაც მიმოხილულია წყაროები და ლიტერატურა, ავტორი მიმოხილვას იწყებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებით და სავსებით მართებულადაც, მაგრამ უგულებელჰყოფს „მატიანე ქართლისაჲს“. ავტორს „მატიანე ქართლისაჲს“ მიმოხილვითა და ანალიზით უნდა დაეწყო, რამდენადაც ნაშრომის კვლევით ნაწილში, იქ, სადაც აუცილებელი და საჭიროა „მატიანე ქართლისაჲდან“ ადგილების მოტანა და გაანალიზება ყველგან მოხმობილია. რადგანაც მონოგრაფიაში მთელი თავია დათმობილი XI საუკუნის საქართველოს საშინაო, თუ საგარეო საკითხების ისტორიისადმი, წყაროების მიმოხილვაში ყურადღება უნდა ყოფილიყო გამახვილებული „მატიანე ქართლისაჲზე“.

რ. მეტრეველი წერს: „თურქ-სელჩუკებისადმი ხარკის შეწყვეტა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1099 წელს მოხდა“. (გვ. 307). საქმე იმაშია, რომ საქართველოს მთელი XI-XII საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს. გიორგი II მიერ ხარაჯის კისრება სრულებითაც არ ნიშნავდა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას. საქართველო დიდ სელჩუკთა იმპერიასთან დამოკიდებულების გარკვეული ფორმით — ხარაჯის გადახდით იყო დაკავშირებული, გიორგი II და დავით აღმაშენებლისდროინდელი საქართველო სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა, მას მხოლოდ ხარაჯის გადახდა ევალებოდა და სულთნის ხელისუფლებას ხელი არ მიუწვდებოდა ქართულ სამეფო მიწისმფლობელობასა და სამეფო ხელისუფლებაზე. საქართველო XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სომხეთისაგან განსხვავებით, ერთადერთი სახელმწიფო იყო მთელს ამიერკავკასიაში, რომელიც სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა და მხოლოდ ხარაჯას უხდიდა დიდ სელჩუკ სულთანს, ისიც საკმაოდ მცირე ხნის განმავლობაში (1083-1099 წწ.).

რ. მეტრეველი როდესაც მსჯელობს გიორგი II პოლიტიკურად შეფასების საკითხზე, ვეღარ ყურადღების ცაზის ალყის მოხსნა და დასავლეთში გა-

დასვლა მას მიაჩნია აფხაზეთში წარჩინებულთა განდგომის მიზეზად. თუმცა, ავტორი იქვე მიუთითებს, რომ მისი მოსაზრება არაა შემაგრებული სათანადო დოკუმენტაციით. მართლაც, ავტორის ვარაუდს მეტი საბუთიანობა სჭირდება. უფრო დასაშვებია, როგორც ეს მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, გიორგი II აფხაზეთს გადასვლა წინასწარ მოფიქრებულ ნაბიჯად იქნეს მიჩნეული. ამასთანავე, არაა გამორიცხული, რომ გიორგი II წინასწარ შეთანხმებულიც ყოფილიყო ალსართან კახთა მეფესთან. გიორგი II თანამოძმესთან საიდუმლოდ შეთანხმება და ბრძოლის ველიდან გაცლა უფრო ამჯობინა, ვიდრე სელჩუკთა ძალებთან ერთად კახეთის აოხრება. კახთა მეფემაც ხომ იგივე გზა აირჩია ქვეყნის გადასარჩენად, რაც თავის დროზე გიორგი II. კახთა მეფე ეახლა სულთანს, დასთმო ქრისტიანობა და იკისრა ხარაჯის გადახდა და ამით იხსნა კახეთი სელჩუკთა შემოსევისაგან. ასე რომ, გიორგი II მიერ ვექინის ციხის ალყის მოხსნა, აფხაზეთს გადასვლა, უფრო წინასწარ მოფიქრებული და შეიძლება კახთა მეფესთანაც შეთანხმებული იყო, ვიდრე აფხაზეთის წარჩინებულთა განდგომით გამოწვეული. ამ პერიოდში გიორგი II ქვეყნის შინაგანი ძალების დასამშვიდებლად ნაკლებად ეცალა ალბათ.

ზემოთ აღნიშნული სადავო საკითხები სრულებით ვერ ამცირებენ ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. მასში წარმოდგენილი სიახლენი მოკლედ რომ შევაჯამოთ, საჭიროა ხაზი გაესვას ზოგიერთს, კერძოდ: 1. რ. მეტრეველის ნაშრომი არსებითად პირველი სოლიდური მონოგრაფიაა, რომელშიც მოცემულია XI-XII საუკუნეების საქართველოში მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლის ერთიანი სურათი: 2. ფართოა ავტორის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა. ამომწურავადაა დამუშავებული აღებული პრობლემის გარშემო არსებული როგორც დოკუმენტური, ასევე ნარატიული წყაროები: ქართულ, სომხურ, ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე, კრიტიკულადაა გაანალიზებული მათი მონაცემები და გაკეთებულია სერიოზული დასკვნები. ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად ახალი ევროპული სპეციალური ლიტერატურაცაა შემოტანილი ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში; 3. აღებული პრობლემის შესასწავლად ავტორმა მოგვცა წყაროთა მონაცემების არაერთი ახლებური გაგება. უკვე ცნობილ მოვლენებსა და კვლევის შედეგებს შინაკლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან რ. მეტრეველმა შემატა სრულიად ახალი საინტერესო ფაქტები, რომლებიც დღემდე არ ყოფილა გაანალიზებული და გახსნილი. კერძოდ, დღემდე ნაკლებად იყო ცნობილი აბულეთისძეთა ბრძოლის ისტორია დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ; ავტორმა ამ შემთხვევაში, პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, სრულად წარმოგვიდგინა ამ ბრძოლის ისტორია. დადგენილია, რომ ხანგრძლივი მტრობა არსებობდა აბულეთისძეთა საგვარეულოსა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. ავტორის ვარაუდით, აბულეთისძეთა პირველ გამოსვლას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა 1085-1089 წლებში. ძაგანისა და მოდისტოსის მეორე განდგომა 1103-1104 წლებში უნდა მომხდარიყო, ზედაზნის ციხის აღების შემდეგ. აქვე შეფასებულია აბულეთისძეთა გამოსვლის ხასიათი და მნიშვნელობა; 4. ნაშრომში ორიგინალურადაა შეფასებული გიორგი II მოღვაწეობა; 5. ფართოდაა გამოკვლეული შინაკლასობრივი ბრძოლის უშუალო კავშირი საგარეო პოლიტიკურ მოვლენებთან. საამისოდ, ავტორს უხვი მაგალითები მოაქვს და სათანადოდ აქვს შეფასებული შინაკლასობრივი ბრძოლის საგარეო მომენტებთან კავშირის თითოეული გამოვლინება; 6. რ. მეტრეველმა დაარღვია ამ პერიოდის მთელი რიგი ქრონოლოგიური მონაცემები და მოგვცა სრულიად განსხვავებული და მართებული დათარიღებები, კერძოდ: ა) თურქ-სელჩუკებისათვის ხარაჯის შეწყვეტა — 1099 წელს; ბ) დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის ციხის აღება — 1103 წელს; გ) კლდეკარის საერისთაოს გაუქმება და მთლიანად საქართველოსათვის შემოერთება — 1103 წელს; დ) ბაღვაშთა მამულის გელათის მონასტრისათვის შეწირვა — 1106 წელს; 7. ავტორის ვარაუდით, 1085 წლიდან დავით აღმაშენებელი ნომინალურად გიორგი II თანამმართველად ითვლება; 8. შესწავლილია შინაკლასობრივი ბრძოლის კავშირი კლასობრივ ბრძოლებთან და სხვ.

ზემოთჩამოთვლილი მთელი რიგი სიახლენი და ღირსებები სრულ საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ რ. მეტრეველის მონოგრაფია ქართული მედიევისტიკის კარგი შენაძენია, იგი არსებითად კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის ისტორიის საკითხებზე ჯერჯერობით ერთადერთი მონოგრაფიაა, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვან ხარვეზს ავსებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი ავტორი ასევე წარმატებით გააგრძელებს მუშაობას აღნიშნულ პრობლემებზე.

ნოდარ შენგელია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მნათობის" 1975 წლის ნომრების შინაარსი

## მოთხრობები, რომანები, ნარკვევები, პიესები

აბაშიძე გრიგოლი — ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება. რომანი. დასასრული. № 1
აბულაშვილი თემური — ყადიმი მალე გამოჩნდება. მოთხრობა № 9
ამისულაშვილი შალვა — გრძელი კიბე. მოთხრობა. № 12
ბადალაშვილი არსენი — კარგი დასაწყისი. ნარკვევი. № 10
ბახტაძე გულნარა — ტყვია და მალამო. მოთხრობა. № 5
ბეჟანიშვილი როსტომი — პატარა მოთხრობები. № 4
ბოცვაძე ნანული — სიმაღლე. მოთხრობა. № 9
გაბაონი ნიკოლოზი — აივნიანი ქალაქი. რომანი. ნაწილი I № 10, 11 12
გეწაძე აკაკი — შვილები. მოთხრობა. № 12
გოგოჭური დავითი — ბატონი ანტონი სათიბებში. მოთხრობა, № 6
იურენმატი ფრიდრიხი — მოსამართლე და მისი ჯალათი. რომანი. თარგმ. გერმანულიდან ნ. რუხაძისა, № 12.
დოჩანაშვილი გურამი — სამოსელი პირველი. რომანი. № 1,2
იოსელიანი ოტია — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. № 1,2,3,4,5,6,7,8
კლდიაშვილი სერგო — დაკარგული ლანდი. მოთხრობა. № 1
კობერიძე კარლო — კალია. მოთხრობა. № 9
კობიძე რამაზი — გვიმრის ფოთოლი. რომანი. № 12
ლომთათიძე გიორგი — ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან. ნოველა. № 1
მადაჩი იმრე — ადამიანის ტრაგედია. პიესა. თარგ. ნ. გურეშიძისა. № 10
მიქაძე მიხეილი — იულკა. მოთხრობა. № 10
მიშველაძე რევაზი — ნოველები. № 7
მესხი ლეილა — ღამე ტაძარში. მოთხრობა. № 8
მეხრიშვილი ჯემალი — შენი მიწა... შენი შირაქი... ნარკვევი. № 3
პაპუაშვილი გიორგი — იმედი. მოთხრობა. №3; არაგვო, უყარაულე!. მოთხრობა. № 5
პეტრიაშვილი გურამი — ზღაპრები. № 7
რატიანი ზურაბი — ბებერი ძაღლის სისხლი. მოთხრობა. № 4
სანადირაძე გიორგი — ცხრა ძიძის ხელში. ნარკვევი. № 9
შავლიაშვილი მედეა — ენგურსა და ერისწყალზე. ნარკვევი. № 6
ციციშვილი გიორგი — ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედი. მოთხრობა. № 9; შენც გეწვევა ჟამი სინანულისა. მოთხრობა. № 11
ჩხაიძე ზურაბი — ზიარება. მოთხრობა. № 3
ჩიქოვანი გრიგოლი — კომუნისტის გული. ნარკვევი. № 3
ჩიჯავაძე ოთარი — როცა ფარშავანგი ყივის. რომანი. № 9, 10, 11
ჩხეიძე ბორისი — ყრუ კედელთან. მოთხრობა. № 3
ჩხიკვიშვილი ავთანდილი — დრო. მოთხრობა. № 4
წულეისკირი ნოდარი — უთქვენოდ ვერ გავძლებ. ნარკვევი. № 4; [illegible] სილამაზე. ნარკვევი.. № 9
ჭილაია სერგო — აღექით, სასამართლო მოდის. ქრონიკა. № 3, 4
ხორგუაშვილი გიორგი — ძველი ყარაჩოხელი. მოთხრობა. № 6; მთებსაც სწყურიათ სიცოცხლე. ნარკვევი. № 11, 12
ჯაფარიძე რევაზი — მძიმე ჯვარი. რომანი. № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9

## ლექსები და პოემები

აბაშიძე ირაკლი — ლექსები. № 6
აბულაშვილი ანზორი — ლექსები. № 7
ადეიშვილი ნოდარი — ლექსები. № 8
ალხაზიშვილი გივი — ლექსები. № 2
ამაშუკელი რევაზი — ლექსები. № 8
არაბული ალუდა — ლექსები. № 5
ასათიანი ლია — დიდი სიმშვიდე. პოემა. № 9.
ბექიშვილი თედო — ლექსები. № 12
ბობოხიძე კალე — ლექსები. № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბროვკა პეტრუსი — ლექსები. თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა. № 9
გაგუა ხუტა — ლექსები. № 1
გაწაძე აკაკი — ლექსები. № 2
გვეტაძე ვასილი — ლექსები. № 5
გოგოლაური ირაკლი — ლექსები. № 12
გოეთე იოჰან ვოლფგანგი — ფაუსტი. თარგმ. მ. ჯორჯანელისა. № 7
გოცაძე იზა — ლექსები. № 1
ებანოიძე ზაალი — დეკემბერი. გაზაფხულის მონატრება. ლექსები. № 12.
ვაკელი იონა — ლექსები. № 4. ლექსები. № 9
ვასაძე აკაკი — ლექსები. № 11
ივარდავა დილარი — ლექსები. № 7
ისააკიანი ავეტიკი — ერევანში. ლექსი. თარგ. ირ. აბაშიძისა. № 1
კალაძე კარლო — კოლხური ნოველა. ლექსი. № 1; ცხრა მაისი. ლექსი. № 5
კანდელაკი ოთარი — ლექსები. № 3
კაჭახიძე გიორგი — ლექსები. № 10
კახიძე მედეა — ლექსები. № 7
კურესელიძე მთვარისა — ლექსები. № 4
კეშელავა ბონდო — ლექსები. № 6
მამფორია ოთარი — ლექსები. № 2
მარგიანი რევაზი — ლექსები. № 8; ლექსები. № 9
მებურიშვილი ტაგუ — ლექსები. № 6
მეძმარიაშვილი მანანა — ლექსები. № 3
მინდაძე ბიძინა — ლექსები. № 3
მირნელი მირიანი — ლექსები. № 7
ნადირაძე კოლაუ — ლექსები. № 2
ნარიმანიძე სილოვანი — ლექსები. № 8
ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები. № 5
ონელი არნო — ლექსები. № 6
რიცოსი იანისი — ლექსები. თარგმ. იზა ორჯონიკიძისა. № 9
საიათნოვა — ლექსები თარგმ. ზ. მედულაშვილისა. № 6
სულაბერიძე ლადო — სიყვარულის მედროშეები. ლექსი. № 4
სურგულაძე მირონი — ფიროსმანის გახსენება. ლექსი. № 2
ტაბატაძე ალექსანდრე — ლექსები. № 5
ტაბიძე გალაკტიონი — გამარჯვების დღესასწაული. ლექსი. № 5; ჰე, მამულო ლექსი. № 111
ტოლსტოი ა. კ. — ლექსები და ბალადები. თარგმ. მ. ლებანიძისა. № 4
ფორჩხიძე შალვა — ლექსები. № 9
ფხოველი ჯარჯი — წიგნიდან „მკურნალი მიწა“. № 11
ქუთათელი ალექსანდრე — ლექსები. № 1; ფერისცვალება. ლექსი. № 8
შალამბერიძე ოთარი — ლექსები. № 6
შანშიაშვილი სანდრო — საძმო სამარესთან. ლექსი. № 5
შეთეკაური გიორგი — ლექსები. № 7
შოტლანდიელი პოეტები — თარგმანი თ. ერისთავისა. № 12
ჩახკიევი საიდი — იმ ცეცხლოვანი წლების გახსენება. ლექსი. თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა. № 3
ძნელაძე ვახტანგი — ლექსები. № 10
წერეთელი ნუგზარი — ლექსები. № 10
ჭანტურია ტარიელი — მანქანა. პოემა. № 11
ჭელიძე ოთარი — არსენალი. ბალადა. № 5
ხარანაული ბესიკი — რა წერია სუფთა ქაღალდზე. პოემა. № 6
ხარჩილავა ვახტანგი — ლექსები. № 11
ჯანგულაშვილი თეიმურაზი — ლექსები. № 10
ჯანელიძე ჯანო — ლექსები. № 1
ჯულუხიძე გრიგოლი — გასაუბრება მზესთან. ლექსი. № 3

## ჩვენი იუბილარები

### 100 შალვა დადიანი 100

დადიანი შალვა — ჩემი დღიური. № 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგუა ალექსანდრე — შალვა დადიანთან ერთად. № 12
ქილაია სერგი — შალვა დადიანის „გვირგვინების ოჯახი“. № 12

### 100 ავეტიკ ისააკიანი 100

ჰრაჩია ჰოვანესიანი — სახეს დახუჭავდა არწივისებურ თვალს. თარგმ. ი. დავითანისა. № 10

### 80 — პაოლო იაშვილი — 80

პაოლო იაშვილი — პოეზია. ლექსი. № 11
მირიანაშვილი ანდრო — პაოლო იაშვილი. № 11
გამოუქვეყნებელი წერილი. № 11

### გამოსათხოვარი

კონსტანტინე გამსახურდია № 8
დიდ ოსტატის უკვდავება. № 8

### ფაქტები, მოგონებანი

ანანიაშვილი ნინო — რა დამავიწყებს. № 2
დურმიშიძე სერგი — სოსოს სიყვარული. № 4
ტაბიძე ნინო — ტიციანი და მისი მეგობრები. № 9, 10, 11
ჯავახიშვილი ნ. — ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან. № 6, 7, 9

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

აბაშიძე გრიგოლი — როცა ზარბაზნები ჰქუხდნენ. № 5
ამისულაშვილი შალვა — მეოცნებე უდაბნოელები. № 5
ასაევი რევაზი — ერთი ღამე № 5
აბზიანიძე ზაზა — ანა კალანდაძის პოეზია. № 4
ავსაჯანიშვილი ეთერი — ვაჟა ფშაველას პოემა „ბახტრიონის“ ხალხური წყაროები. № 12
ალიმონაკი ლერი — პოეზიის მაგნიტური არე. № 7
აფრიდონიძე შოთა, ჯაბიძე დავითი — დიდი გამარჯვება. № 5
ბარამიძე ალექსანდრე — თოხიანი პროფესორები № 5
ბარამიძე რევაზი — სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისათვის. № 6
ბუაჩიძე თენგიზი — მიხეილ შოლოხოვი. № 4, 5
გაფეზი — ბატალიონი იერიშზე. № 5
გეწაძე აკაკი — იმედის დაბადება. № 5
გუგუშვილი პაატა — თბილისი. 1000,000. № 2
გოძიაშვილი ალექსანდრე — თავრიდის ცეცხლები. № 5
გორგანელი ვახტანგი — ოლიას ქოხი. № 5
დარჩიაშვილი შანშე — XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ქრონიკების საკითხისათვის. № 2
დურმიშიძე სერგი — გახსენება. № 5
დადიანი ბაბო — გალაკტიონ ტაბიძის მერის ვინაობის შესახებ. № 11
თავდიშვილი მურმანი — ალექსანდრე სულაკაძე და რუსული პრერომანტიზმი. № 4
თოფურია აკაკი — ქრონიკები ქიაჩელს ცხოვრებიდან. № 11
იმნაშვილი ივანე — პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. № 3
ინწკირველი დალი — პოეტი ქალის გზა. № 3
ზუმბაძე დენიზა — დიონისური და დანტეანური. № 2
კაკაბაძე ნოდარი — თომას მანი და დოსტოევსკი. № 6
კეკელიძე პროკლე — აკ. წერეთელი და რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია № 12
კლდიაშვილი სერგო — მრისხანე წლები. № 5
კოპლატაძე თინა, ჭუმბურიძე ზურაბი — ილია და ქართული ენა. № 6
ლაშქარაძე დავითი — ევროპეიზმი და გრ. ორბელიანის შემოქმედება. № 2
ლეონიძე თინათინი — ჩერქეზი ასული-პოეტის შთაგონება. № 10
მაისურაძე დავითი — სოციალისტური ერების კულტურული თანამეგობრობის ისტორიული ფესვები. № 4
მარგველაშვილი გიორგი — ახალი ჩუქურთმისმჭრელი. № 8
მახარაძე ფილიპე — ქვეყნის მთავარი მოედანი. № 6; მართალი იყო [illegible] დედა. № 11

**მგელაძე დ.** — ცხრაას ხუთი წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში. № 12
**მენაბდე ლეო** — ვახტანგ მეექვსე. № 11
**მირიანაშვილი ანდრო** — აქტუალური თემა, საინტერესო გმირები. № 10
**მჭავარიანი ვლადიმერი** — „მოხმარებითი საზოგადოების“ ჯუნგლებში. № 3; ცხრა მაისი. № 5; ნუ აჩქარდებით. № 7
**ნატროშვილი გიორგი** — პოსტები და ჯარისკაცები. № 5; პოეტის გზა. № 6
**ნიკოლეიშვილი ავთანდილი** — რეზო ჭეიშვილის ნოველები. № 1
**ოლენტი დიანა** — ლექსიკოლოგიური შენიშვნები. № 9
**რატიანი პროკოფი** — ვ. ი. ლენინი რუსეთის პირველი რევოლუციის თავისებურებათა შესახებ. № 9
**რუხაძე ნოდარი** — მორალური სამსჯავროს წინაშე. № 7; ერთი აკადემიური გამოცემის გამო. № 8
**ხალირაშვილი ნათელა** — ივანე კერესელიძის ფოლკლორული ვერსიები. № 3
**სიგუა სოსო** — სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია და ქართული ლიტერატურა. № 1,2
**სირაძე რევაზი** — ძველი ქართული ლიტერატურული აზროვნების საფუძვლებიდან. № 5
**სულაბერიძე ლადო** — ჩემი წიგნის გმირები. № 5
**სურგულაძე ივ.** — ქართველი ქალი და ჩვენი ისტორია. № 7
**ურჯუმელაშვილი ვანო** — სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. № 5
**ფეიგინი ემანუილი** — ჩვენებურები. № 5
**ქუთათელი ალექსანდრე** — სტალინგრადი — მოსკოვი. № 5
**ქუმსიშვილი დიმიტრი** — ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული პოემები. № 4
**ღვინჯილია ჯანსუღი** — ბედის საგონებელი. № 12
**ყიფიანი თამარი** — ბლოკადის დღეებში. № 5
**ყიფიანი ირაკლი** — პოლემიკა ქართული ენციკლოპედიის საკითხებზე. № 11
**ყურულაშვილი ლალი** — გულწრფელი შემოქმედი. № 8
**ჩაკვეტაძე დავითი** — ერთხელ კიდევ იმ (მ)-სუფიქსიანი ლეჩხუმური ტოპონიმების შესახებ. № 12.
**ჩაჩიბაია არჩილი** — უბის წიგნაკი. № 5
**ჩიხლაძე ნინო** — ტასო მაჩაბელი. № 1
**ჩიჩუა შლავა** — რომანის დრო-ფორმისეული და იდეოლოგიური ფენომენი. № 7
**ჩხეიძე ნატალია** — ტურგენევი ქართულ ენაზე. № 2
**ჩხიკვიშვილი დავითი** — „ღალატი“. № 10
**ცისკარიძე ვიოლეტა** — „მთავარი“ და „საქმე“. № 8
**ციციშვილი გიორგი** — რომანი და თანამედროვეობის საპირბოროტო პრობლემები. № 3
**ძილაია სერგი** — ობელისკი. № 5
**ძიძინაძე იზოლდა** — ქტიტორთა გამოსახულებანი. № 2
**ძინძარაული ალ.** — „ვეფხისტყაოსნის“ ფისტიკაური სტროფის შესახებ. № 2
**ჯაში ნიკოლოზი** — ფერფლისაგან აღმდგარი ქალაქი. № 5
**ჯიბლაძე გიორგი** — სამუმიც ვერ შეძლებდა. № 5
**ჯიბუტი ვლადიმერი** — მწერალი და დრო. № 9

## წიგნების მიმოხილვა

**ანთელავა ი.** — ჟან შარდენის ცნობები საქართველოზე. № 7
**გოგიჩაიშვილი გივი** — ახალი წიგნი გურამიშვილზე. № 4
**დავითულიანი დავითი** — შენიშვნები სვანეთის ჩვეულებითი სამართლის გამოკვლევებში გაპარული შეცდომების გამო. № 11
**კანდელაკი ბორისი** — ისევ რუსთაველის პორტრეტის გამო. № 2
**ვათეიშვილი ჯუანშერი** — ნარკვევი ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ისტორიიდან. № 11
**თავდიშვილი მურმანი** — როგორც მწიფე ყანაში. № 11
**ითონიშვილი ვალერიანი** — წიგნი ქართულ ვაზსა და ვენახზე. № 9
**კვაჭაძე ლეო** — ეპოქალური ნაშრომი ქართული ენის გრამატიკის აგებულებების შესახებ. № 8
**მაღრაძე ე; ვადაჭკორია შ** — სორბონისტული დაცვის სულისკვეთებით. № 1
**პაიჭაძე გ.** — მონოგრაფია ანთიმოზ ივერიელზე. № 5
**სიგუა ალექსანდრე** — წიგნი დაწერილი სიყვარულით. № 6
**სტეფანიშვილი არჩილი** — წიგნი ძველი თბილისის ყაიდაზე. № 6
**შენგელია ნოდარი** — საინტერესო მონოგრაფია შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხზე. № 12
**წულაძე სერგი** — თარგმანის ხელოვნება. № 1
**ჯაფარიძე ალ.** — ძმური ნობათი. № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ